

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დენ ბრაუნი

და ვინჩის კოდი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქრისტიანული ტრილერი

ერთობ საგულისხმო დროს ითარგმნა ქართულად დენ ბრაუნის ბესტსელერი: მისი პირველი მსოფლიო ხიბლი უკვე თითქმის მიინავლა, ის უკვე ელოდება სულის შებერვას ჰოლივუდიდან, აკი თავიდანვე ამ იმედით არ დაიწერა? – გადაავლეთ თვალი რომანის ფურცლებს, დააკვირდით, როგორ ცვლის ერთმანეთს პერსონაჟთა ხმა და ავტორის ტექსტი – მაშინვე მოგივათ აზრად, რომ ამის დამწერს თვალწინ მომავალი სცენარისტი ედგა. აჰა, ოცნებაც აუხდა.

ერთი მხრივ, მართლაც გვიან მივიღეთ გახმაურებული თრილერი, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ საყვედურს, რადგან არის ამ დაგვიანებაში ერთი უეჭველი უპირატესობა – დუმილში უფრო ადვილია ფიქრი, უფრო ნაყოფიერია განსჯა. განსასჯელად კი რა გვრჩება? ნუთუ ის სამი თუ ოთხი წიგნი, რომელიც დენ ბრაუნმა წაიკითხა, სანამ რომანზე მუშაობას შეუდგებოდა?

არა, ეს ნამდვილად ვერ გახდება ინტელექტუალური მსჯელობის ღირსეული საგანი. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რა წიგნები შეიძლებოდა ყოფილიყო: ერთი საკმაოდ დაწვრილებითი გზამკვლევი ევროპის ტურისტულ მარშრუტებზე, ერთი პოპულარული ნაშრომი ადრექრისტიანული ერების გარშემო, ერთი ასეთივე ფერად-ფერადი გამოცემა ლეონარდო და ვინჩის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ერთიც ფსევდოისტორიული, ფარატინა სენსაციურობით სავსე ოპუსი შუა საუკუნეების თემაზე, ალბათ, ცნობილი სამეცნიერო ავანტიურისტების, ბეიჯენტისა და ლის შეთხზული. თუ ამას რამდენიმე ანტიკლერიკალური ბოღმით დამძიმებულ ვებსაიტსაც დავუმატე მადლობა უპირველეს ყოვლისა, ჩემს მეგობარსა და გამომცემელს ჯეისონ კაუფმანს, რომელმაც ასე გულმოდგინედ იმუშავა ამ პროექტზე და გაიგო, რის შესახებაა ეს წიგნი; შეუდარებელ ჰეიდ ლანჟს, და ვინჩის კოდის დაუღალავ მხარდამჭერს, გენიალურ აგენტსა და ერთგულ მეგობარს.

მე ვერასოდეს გამოვხატავ სრულად მადლიერების გრძნობას გამომცემლობა „დაბლდეის“ განუმეორებელი გუნდის მიმართ, მათი სიკეთის, რწმენისა და საუკეთესო ხელმძღვანელობისთვის. განსაკუთრებული მადლობა ბილ თომასსა და სტივ რუბინს, რომელთაც თავიდანვე სჯეროდათ ამ წიგნისა. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე გამომცემლობის თავდაპირველ ძირითად ჯგუფს, რომლის სათავეშიც იდგნენ მაიკლ პელგონი, სიუზენ ჰერცი, ჟანელ მობურგი, ჯეკი ევერლი და ადრიენ სპარკსი, აგრეთვე ნიჭიერ ადამიანებს, ვინც „დაბლდეიში“ გაყიდვას ხელმძღვანელობს და მაიკლ უინძორს გასაოცარი ყდისათვის.

ნება მიბოძეთ, ამ წიგნისათვის მასალის მოსაძიებლად ჩატარებულ კვლევაში ხელშეწყობისათვის მადლიერების გრძნობითყმოვიხსენიო ლუვრის მუზეუმი, საფრანგეთის კულტურის სამინისტრო, გუტენბერგის პროექტი, ეროვნული ბიბლიოთეკა, გნოსტიკური საზოგადოების

ბიბლიოთეკა, ლუვრის მხატვრობის შესწავლისა და დოკუმენტირების განყოფილება, კათოლიკური მსოფლიო ახალი ამბების სააგენტო, გრინვიჩის სამეფო ობსერვატორია, ლონდონის ჩანაწერთა საზოგადოება, ვესტმინსტერის სააბატოს დოკუმენტების კოლექცია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯონ პაიკი და ამერიკის მეცნიერთა ასოციაცია და „ოპუს დეის“ ხუთი წევრი (სამი მათგანი მოქმედი წევრია, ორი ყოფილი), რომლებმაც დაწვრილებით გამანდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ამბები „ოპუს დეისთან“ თავიანთი ურთიერთობის შესახებ.

მადლობას ვუძღვნი აგრეთვე უოტერ სტრიტის წიგნების მაღაზიას. მათი დახმარებით შევძელი მეპოვა კვლევისთვის საჭირო მრავალი წიგნი. მადლობა მამაჩემს, რიჩარდ ბრაუნს – მათემატიკის მასწავლებელსა და მწერალს, დახმარებისთვის ღვთაებრივ პროპორციასა და ფიბონაჩის მიმდევრობასთან დაკავშირებით. სტენ პლანტონს, სილვია ბოდელოკს, პიტერ მაკ გიგენს, ფრანსის მაკ ინერნის, მარჯი უოტჩელს, ანდრე ვერნეს, კენ კელეჰერს „ენკერბოლ ვებ მედიაში“, კარა სოტაკს, კარინ პოფამს, ესთერ სანგს, მირიამ აბრამოვიჩს, უილიამ ტანსტოლპედოს, სიმონ ედვარდსსა და გრიფინ ვუდენ ბრაუნს.

დაბოლოს, რომანში, სადაც ამდენი ლაპარაკია საკრალურ ქალურობაზე, უყურადღებობა იქნებოდა, არ მომეხსენიებინა ორი არაჩვეულებრივი ქალი, რომელთაც გავლენა იქონიეს ჩემს ცხოვრებაზე. პირველია დედაჩემი, კონი ბრაუნი – ჩემი თანამონაწილე წერის პროცესში, აღმზრდელი, მუსიკოსი და მისაბაძი მაგალითი და ჩემი მეუღლე, ბლაითი – ხელოვნებათმცოდნე, მხატვარი, ამ წიგნის პირველი და მთავარი რედაქტორი და უდავოდ ყველაზე გასაოცრად ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც ოდესმე ვიცნობდი.

<u>და ვინჩის კოდი – ფაქტები</u>

სიონის პრიორატი, ევროპული საიდუმლო საზოგადოება, რომელიც დაარსებულია 1099 წელს, რეალურად არსებული ორგანიზაციაა. 1975 წელს პარიზის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ აღმოაჩინა Les Dossiers Secretის (საიდუმლო დოკუმენტების) სახელით ცნობილი პერგამენტები, რომლებშიც დასახელებული იყო სიონის პრიორატის მრავალი წევრი, მათ შორის სერ ისააკ ნიუტონი, სანდრო ბოტიჩელი, ვიქტორ ჰიუგო და ლეონარდო და ვინჩი.

ვატიკანის პრელატურა, ცნობილი, როგორც „ოპუს დეი“, კათოლიკური სექტაა, რომლის შიგნით უკიდურესი ღვთისმოშიშებაა დამკვიდრებული. ფაქტებმა იდეოლოგიური დამუშავების, ე.წ. „ტვინის გამორეცხვის“, იძულებისა და „სხეულის მოკვდინების“ საშიში პრაქტიკის შესახებ, ეს სექტა ბოლო დროს პოლემიკის თემად აქცია. „ოპუს დეიმ“ ახლახანს დაასრულა 47 მილიონ დოლარად ღირებული ეროვნული შტაბბინის მშენებლობა ნიუ-იორკში, ლექსინგტონ ავენიუს 243 ნომერში.

ხელოვნების ნიმუშთა, არქიტექტურულ ნაგებობათა, დოკუმენტებისა და საიდუმლო რიტუალების ყველა აღწერილობა ამ რომანში სინამდვილეს შეესაბამება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პროლოგი

ლუვრი, პარიზი
22:46

მუზეუმის სახელგანთქმულმა კურატორმა, ჟაკ სონიერმა ბარბაცით გაიარა მუზეუმის დიდი გალერეის კამაროვანი გასასვლელი და მიეჭრა უახლოეს სურათს, რომლის დანახვაც შეძლო. ეს იყო კარავაჯოს ტილო. 76 წლის კაცი მოოქროვილ ჩარჩოს მოეჭიდა და რის ვაივაგლახით გამოსწია, სანამ კედლიდან ჩამოგლეჯილმა შედევრმა ქვეშ არ მოიყოლა იატაკს მძიმედ დანარცხებული მოხუცი.

როგორც მოელოდა, იქვე ახლოს გრუხუნით დავარდა რკინის ცხაური და ოთახების ანფილადაში შესასვლელი ჩახერგა. ხის იატაკი შეზანზარდა. სადღაც შორს სიგნალიზაცია ჩაირთო.

კურატორი ერთხანს იწვა, გაშმაგებით ცდილობდა ამოსუნთქვას და გონზე მოდიოდა. ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. სურათის ქვეშიდან გამოხოხდა და დასამალი ადგილის ძიებაში თვალი მოავლო გამოქვაბულისმაგვარ სივრცეს.

– არ გაინძრე, – ხმა თავზარდამცემად ახლოს გაისმა.

ოთხზე მდგარი კურატორი ადგილზე გაიყინა და თავი ნელა მოატრიალა. სულ რაღაც თხუთმეტი ფუტის იქით, დალუქული ჭიშკარის მიღმა, თავდამსხმელის მთასავით აღმართული სილუეტი ჩანდა. რკინის გისოსებიდან მიშტერებოდა. მხარბეჭიანი და მაღალი იყო. მოჩვენებასავით მკრთალი კანი და შეთხელებული თეთრი თმა ჰქონდა, თვალის გარსი – ვარდისფერი, გუგები კი მუქი წითელი. ალბინოსმა პალტოს უბიდან იარაღი ამოიღო და გისოსებიდან დაუმიზნა კურატორს.

– არ უნდა გაქცეულიყავი, – გაურკვველი აქცენტი ჰქონდა, – ახლა მითხარი, სად არის.

– უკვე გითხარით, – ენის ბორძიკით უპასუხა გალერეის იატაკზე დაჩოქილმა კურატორ-მა, – წარმოდგენა არა მაქვს, რას მეუბნებით!

– ტყუი! – კაცი მიაშტერდა. სრულიად უძრავი იყო, მარტო თვალები უბრწყინავდა მოჩვე-ნებასავით. – შენ და შენი წმინდა მამები ისეთ რამეს ფლობთ, რაც თქვენ არ გეკუთვნით.

კურატორმა ადრენალინის მოძალება იგრძნო. საიდან უნდა გაეგო?

– ამაღამ ნამდვილი მცველები დაბრუნდებიან. მითხარი, სადა გაქვს დამალული და ცოცხალს დაგტოვებ, კაცმა იარაღი კურატორს თავში დაუმიზნა. – ნუთუ ამ საიდუმლოსათვის სიცოცხლეს გაწირავ?

სონიერს სუნთქვა უჭირდა.

კაცმა თავი დახარა და თვალმოჭუტულმა დაუმიზნა.

სონიერმა ხელები ასწია თავდასაცავად.

– მოიცა, – თქვა ნელა, – გეტყვით, რაც გნებავთ.

შემდეგი სიტყვები მუზეუმის კურატორმა ფრთხილად წარმოთქვა. ეს ტყუილი ზედმიწევნით ჰქონდა დაზეპირებული, ხშირად იმეორებდა და ყოველ ჯერზე ღმერთს შესთხოვდა, რომ არასდროს დასჭირვებოდა მისი თქმა.

როდესაც მუზეუმის კურატორმა ლაპარაკი დაასრულა, თავდამსხმელმა კმაყოფილებით გაიღიმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მართალია. სხვებმაც ზუსტად ეგ მითხრეს.

სონიერი შეკრთა. სხვები?

– იმათ მივაგენი, – დამცინავად მიუგო გოლიათმა, – სამივეს. იმათაც დაადასტურეს, რაც შენ ამ წუთში თქვი.

შეუძლებელია! მუზეუმის კურატორის ნამდვილი სახე, თითქმის ისევე, როგორც მისი სამივე სენეშალისა, მათ მიერ დაცულ უძველეს საიდუმლოსავით დაფარული იყო. სონიერი ახლა მიხვდა, რომ სენეშალებმა მკაცრად დადგენილი პროცედურა შეასრულეს და თავდამსხმელს ზუსტად იგივე ტყუილი უთხრეს სიკვდილის წინ. ეს საიდუმლო წესდების ნაწილი იყო.

თავდამსხმელმა ხელმეორედ დაუმიზნა იარაღი.

– როცა შენ აღარ იქნები, მხოლოდ მე მეცოდინება სიმართლე.

სიმართლე. მუზეუმის კურატორმა წამში გაიაზრა ვითარების საშინელება. მე თუ მოვკვდები, სიმართლე სამუდამოდ დაიკარგება. ინსტინქტურად დამალვა სცადა. იჭექა და მუზეუმის კურატორმა მუცელში შესული ტყვიის მწვავე სიმხურვალე იგრძნო. ჩაიკეცა... ტკივილს ებრძოდა. სონიერი ნელ-ნელა გადაბრუნდა და რკინის რიკულებიდან მიაშტერდა თავდამსხმელს.

კაცი ახლა სასიკვდილო გასროლისთვის ემზადებოდა და სონიერს თავში უმიზნებდა. სონიერმა თვალები დახუჭა. შიშისა და სინანულის ქარიშხალი ტანჯავდა.

ცარიელი მჭიდის ტკაცუნი მკაფიოდ გაისმა დარბაზის სიცარიელეში.

მუზეუმის კურატორმა ფართოდ გაახილა თვალები.

კაცმა იარაღს დახედა, მეორე მჭიდის ამოღება დააპირა, მერე გადაიფიქრა, მშვიდად ჩაიცინა და სონიერს დაჭრილ მუცელზე მიუთითა.

– მორჩა ჩემი სამუშაო.

მუზეუმის კურატორმა მუცელზე დაიხედა: თეთრ პერანგზე, სისხლის ლაქით გარშემორტყმული ნახვრეტი მკერდის ძვლიდან რამდენიმე დიუიმით ქვემოთ მოჩანდა. კუჭია! სასტიკი აცდენა იყო. როგორც ალჟირის ომის ვეტერანს, მუზეუმის კურატორს მრავალჯერ უნახავს ეს საშინელი მტანჯველი სიკვდილი. თხუთმეტ წუთს იცოცხლებდა, სანამ კუჭის წვენი გულმკერდის ღრუში ჩაიღვრებოდა და შიგნიდან ნელ-ნელა მოწამლავდა.

– ტკივილი კარგია, მესიე, – თქვა კაცმა და წავიდა.

მარტო დარჩენილმა ჟაკ სონიერმა თავისი მზერა ისევ რკინის ჭიშკარს მიაპყრო. იგი მახეში იყო მომწყვდეული. კარები, ყველაზე ადრე, ოცი წუთის შემდეგ ხელახლა გაიღება. სანამ ვინმე იპოვის, უკვე მკვდარი იქნება. სწორედ ამიტომ, შიში, რომელმაც იგი ახლა შეიპყრო, უფრო დიდი იყო, ვიდრე საკუთარი სიკვდილით გამოწვეული შიში.

საიდუმლო უნდა გადავცე.

ბარბაცით შეეცადა ფეხზე წამოდგომას. თვალწინ სამი მოკლული ძმა ედგა. ფიქრებით გადასწვდა წინა თაობებს... მათთვის განდობილ მისიას.

ცოდნის უწყვეტი ჯაჭვი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველგვარი გაფრთხილების მიუხედავად... აღმოჩნდა, რომ ახლა ჟაკ სონიერი იყო ამ ჯაჭვის ერთადერთი გადარჩენილი რგოლი – ოდესმე არსებულთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი საიდუმლოს მარტოსული მცველი.

ცახცახით წამოდგა ფეხზე.

გამოსავალი უნდა ვიპოვო...

თვითონ მახეში იყო გამომწყვდეული დიდი გალერეის შიგნით. დედამიწაზე კი ერთადერთი ადამიანი არსებობდა, ვისთვისაც შეიძლებოდა ცოდნის ჩირაღდნის გადაცემა. სონიერმა ყურადღებით მოათვალიერა თავისი მდიდრული საპყრობილის კედლები.

მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ტილოები თითქოს ძველი მეგობრებივით უცქერდნენ. სონიერი ტკივილისაგან იჭმუხნებოდა, მაგრამ მაინც შეძლო ძალღონის მოკრება. იცოდა, რომ გასაკეთებელ საქმეს მთელი მისი დარჩენილი სიცოცხლე დასჭირდებოდა.

თავი 1

რობერტ ლენგდონმა გაჭირვებით გაიღვიძა.

სიბნელეში ტელევიზორი უჩვეულოდ მჭექარე ხმით რეკავდა. ხელის ცეცებით მონახა ღამის ლამპა საწოლის გვერდით და აანთო. მოჭუტული თვალებით მოათვალიერა რენესანსის სტილის მდიდრული ოთახი, ლუი მეთექვსმეტის დროინდელი ავეჯი, ხელით მოხატული კედლები და უზარმაზარი ოთხსვეტიანი ჩარდახით გადახურული წითელი ხის საწოლი.

სად ჯანდაბაში ვარ?

საწოლზე გადაკიდებული ჟაკარდის აბანოს ხალათს მონოგრამა ჰქონდა: სასტუმრო რიცი, პარიზი.

ნელ-ნელა გონება გაუნათდა. ლენგდონმა ყურმილი აიღო.

– გისმენთ?

– მესიე ლენგდონი ბრძანდებით? – იკითხა მამაკაცის ხმამ. – იმედია, არ გამიღვიძებიხართ?

გაბრუებულმა ლენგდონმა საწოლის გვერდით მდგარ საათს შეხედა. ღამის 12:32 იყო. მხოლოდ ერთი საათი ეძინა, თავს მკვდარივით გრძნობდა.

– კონსიერჟი გაწუხებთ, მესიე. ბოდიშს გიხდით, მყუდროება დაგირღვიეთ, მაგრამ სტუმარი გყავთ. დაჟინებით მოითხოვს თქვენთან სასწრაფოდ შეხვედრას.

ლეგდონი ჯერ კიდევ გაბრუებული იყო. სტუმარი? ამ დროს შეამჩნია საწოლის გვერდით ტუმბოზე დაგდებული დაჭმუჭნილი სარეკლამო ფურცელი.

„პარიზის ამერიკულ უნივერსიტეტს აქვს პატივი მოგიწვიოთ ჰარვარდის უნივერსიტეტის რელიგიური სიმბოლიკის პროფესორ რობერტ ლენგდონთან შეხვედრაზე.“

ლენგდონმა ამოიოხრა. იმ საღამოს ლექცია ჩაატარა, უფრო სწორად, სლაიდების შოუ წარმართული სიმბოლიზმის შესახებ. ლექციას საფუძვლად შარტრის საკათედრო ტაძრის ქვებზე ამოჩუქურთმებული სიმბოლოები დაედო. ჩანს, მისმა ლექციამ საღერღელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აუშალა ზოგიერთ კონსერვატიულად განწყობილ მსმენელს და ალბათ რომელიღაც რელიგიათმცოდნე ან თეოლოგი გამოჰყვა უკან, რომ ახლა კამათით გაეწყალებინა გული.

– უკაცრავად, – თქვა ლენგდონმა, – მაგრამ ძალიან დაღლილი ვარ და...

– მაის, მონსიეურ, – თავისას არ იშლიდა კონსიერჟი, ხმასაც კი დაუწია, თითქოს ჩურჩულით ნათქვამი უფრო იდუმალი და მნიშვნელოვანი გამოდიოდა. – თქვენი სტუმარი ძალზე გავლენიანი ადამიანია.

ლენგდონს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს სწორედ ასე იქნებოდა. თავისმა წიგნებმა რელიგიურ მხატვრობასა და საკულტო სიმბოლიკაზე ხელოვნების სამყაროში სახელი გაუთქვა, თუმცა ერთგვარი უარყოფითი მნიშვნელობით. და მაინც, შარშან მისი პოპულარულობა ასჯერ უფრო გაიზარდა პრესაში ფართოდ გაშუქებული ვატიკანის ინციდენტში მონაწილეობის გამო. ამის შემდეგ მის კართან აღარ შეწყვეტილა თავის თავში დიდად დარწმუნებულ ისტორიკოსთა და ხელოვნების მოყვარულთა უწყვეტი ნაკადი.

– თუ არ შეწუხდებით, – თქვა ლენგდონმა, თან ძალიან ცდილობდა, ზრდილობიანი ყოფილიყო, – ჩაიწერეთ მაგ კაცის სახელი და ტელეფონის ნომერი, და უთხარით, რომ ვეცდები დავურეკო, სანამ სამშაბათს პარიზიდან გავემგზავრები, გმადლობთ.

ყურმილი მანამდე დადო, სანამ კონსიერჟი მისი ნათქვამის გაპროტესტებას მოასწრებდა.

ლენგდონი ახლა უკვე წამომჯდარი იყო საწოლში და კოპებშეყრილი უყურებდა ტუმბაზე დადებულ სასტუმროს სარეკლამო ბუკლეტებს, რომლის გარეკანიც ამაყად იუწყებოდა: ჩვილი ბავშვის ძილით მოისვენეთ ათასი ჩირაღდნის ქალაქში. ტკბილი ოცნება პარიზის რიცში. ლენგდონი მოტრიალდა და დაღლილი მზერა მიაპყრო ადამიანის სიმაღლის სარკეს ოთახის სიღრმეში. სარკიდან უცხო კაცი მოშტერებოდა – თმააბურძგნილი და დაქანცული.

შვებულება გჭირდება, რობერტ.

გასულმა წელმა მასზე ძალიან მძიმე გავლენა მოახდინა, მაგრამ არ ეგონა, რომ ამას სარკეც დაუდასტურებდა. ცისფერი თვალების ჩვეულებრივ გამჭოლი მზერა ამ საღამოს დაბინდული და დაღლილი ჰქონდა. ღონიერ ყბასა და ფოსოიან ნიკაპს დიდი ხნის გაუპარსავი მუქი წვერი უფარავდა. საფეთქლების ირგვლივ ჭაღარა მოსძალებოდა და სქელი უხეში შავი თმის ტევრიც შიგადაშიგ შევერცხლოდა. თუმცა მდედრობითი სქესის კოლეგები არწმუნებდნენ, რომ შენს მიმზიდველობას ეს მხოლოდ აძლიერებს და მეცნიერულ იერს ანიჭებსო. თვითონ მშვენივრად იცოდა, რაც ხდებოდა მის თავს. „ბოსტონ მეგეზინში“ რომ მხედავდნენ ახლა.

გასულ თვეში ლენგდონი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ამ ჟურნალმა, როცა ის ქალაქის ათი ყველაზე დამაინტრიგებელი ადამიანის სიაში შეიყვანა – ძალიან საეჭვო პატივი იყო და ჰარვარდელი კოლეგების გაუთავებელი დაცინვის ობიექტად იქცა. ახლაც, სახლიდან სამი ათასი მილის დაშორებით, ჟურნალის მიერ შესხმული ხოტბა თითქოს ამოტივტივდა და პარიზული ლექციის დროს შარავანდედად დაადგა.

– ქალბატონებო და ბატონებო, – გამოუცხადა მასპინძელმა ქალმა სავსე დარბაზს – პარიზის ამერიკული უნივერსიტეტის დოფინის პავილიონში, ჩვენი დღევანდელი შეხვედრის სტუმარს წარდგენა არ სჭირდება. იგი უამრავი წიგნის ავტორია: საიდუმლო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სექტების სიმბოლიკა, ილუმინატთა ხელოვნება, იდეოგრამების დაკარგული ენა და, თუ ვიტყვი, რომ მის კალამს ეკუთვნის სახელგანთქმული წიგნი რელიგიური იკონოლოგია, ამით დიდ საიდუმლოებას არ გავამჟღავნებ. ბევრი თქვენგანი მისი წიგნებით ასწავლის და სწავლობს.

აუდიტორიაში სტუდენტებმა ენერგიულად დაიწყეს თავების ქნევა თანხმობის ნიშნად.

– მე დაგეგმილი მქონდა თქვენთვის მისი შთამბეჭდავი ბიოგრაფიის გაცნობა, თუმცა... – მან კეკლუცად ახედა ლენგდონს, რომელიც სცენაზე იყო დაბრძანებული, – აუდიტორიი-დან ეს-ესაა გადმომცეს გაცილებით უფრო, შეიძლება ითქვას... დამაინტრიგებელი მასალა.

მან ასწია „ბოსტონ მეგეზინის“ ნომერი.

ლენგდონი შიშისაგან მოიკუნტა. ეს სადღა ჯანდაბაში იშოვა?

მასპინძელმა ქალმა დაიწყო რჩეული ამონარიდების კითხვა ზემოხსენებული უაზრო სტატიიდან და ლენგდონმა იგრძნო, როგორ ცდილობდა თანდათანობით სკამის საზურგეში დამალვას. ნახევარი წუთის შემდეგ ხალხი ხითხითებდა, ქალი კი თითქოს აღარც აპირებდა გაჩერებას.

– და ბატონი ლენგდონის უარი, საჯაროდ მოგვითხროს, თუ რა უჩვეულო როლი შეასრუ-ლა გასულ წელს ვატიკანის კონკლავში, მას, როგორც ყველაზე მიმზიდველ პიროვნებას, უეჭველად მატებს ქულებს.

მანსპინძელმა ქალმა ხალხი წააქეზა:

– გინდათ, მეტი მოისმინოთ?

აუდიტორიამ ტაში დასცხო.

– ღვთის გულისათვის, გააჩერეთ, - მდუმარედ იხვეწებოდა ლენგდონი, ქალმა კი სტატიის კითხვა განაგრძო.

– მართალია, შეიძლება პროფესორი ლენგდონი ზოგიერთი ჩვენი ჯილდოს ახალგაზრდა მფლობელივით განსაკუთრებით მომხიბვლელ მამაკაცად არ მივიჩნიოთ, მაგრამ ამ ორმოცს გადაცილებულ მეცნიერს გაცილებით მეტი მეცნიერული ხიბლი აქვს. თუნდაც მისი დამატყვევებელი, უჩვეულოდ დაბალი ბარიტონი ავიღოთ. ამ ხმას მისი სტუდენტი გოგონები „შოკოლადისას“ უწოდებენ.

დარბაზში სიცილმა იფეთქა.

ლენგდონმა ძლივს აიძულა თავი უხერხულად გაეღიმა. იცოდა, რაც მოსდევდა შემდეგ – რაღაც სასაცილო წინადადება: „ჰარისონ ფორდი, ჰარისის ტვიდში გამოწყობილი“. ამ საღამოსაც ის ეცვა. გადაწყვიტა, ჰარისის ტვიდის პიჯაკისა და ბარბერის სვიტრის ჩაცმა უკვე შეიძლებაო. ახლა კი მოქმედების დრო დადგა.

– გმადლობთ, მონიკ, – თქვა მან, სწრაფად წამოდგა და თან ქალბატონის პოდიუმიდან გაძევებას შეეცადა. – „ბოსტონ მეგეზინს“ მართლაც აქვს მხატვრულად წერის ნიჭი, – ამოიოხრა და აუდიტორიას მოავლო თვალი, და ამ სტატიის აქ მომტანი თუ ვიპოვე, საკონსულოს ვაიძულებ ქვეყნიდან გააძევოს.

აუდიტორიამ კვლავ გაიცინა.

– კეთილი, მეგობრებო, როგორც იცით, დღეს იმისთვის გეახელით, რომ სიმბოლოების ძალაუფლებაზე გესაუბროთ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სასტუმროს ტელეფონის ზარმა ისევ გააწყვეტინა ლენგდონს ფიქრები.
მან უკმაყოფილო ბუზღუნით აიღო ყურმილი.
– დიახ! – როგორც მოელოდა, ისევ კონსიერჟი იყო.
– ბატონო ლენგდონ, კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს. ვრეკავ, რომ შეგატყობინოთ, სტუმარი თქვენი ოთახისკენ გამოემართა. ვიფიქრე, რომ უნდა გამეფრთხილებინეთ.
ლენგდონი ახლა უკვე საბოლოოდ გამოფხიზლდა.
– თქვენ ვიღაც გამოუშვით ჩემი ოთახისკენ?
– ბოდიშს გიხდით, მესიე, მაგრამ ასეთი ადამიანი... მე არ მაქვს მისი გაჩერების უფლება.
– კი მაგრამ, ვინ არის ასეთი?
მაგრამ კონსიერჟმა ყურმილი უკვე დაკიდა.
თითქმის მაშინვე მძიმე მუშტის ბრაგუნი მოისმა ლენგდონის კარზე.
ლენგდონი უხალისოდ ჩამოცურდა საწოლიდან, ფეხები ღრმად ეფლობოდა ფუმფულა ხალიჩაში. სასტუმროს ხალათი ჩაიცვა და კარისკენ გაემართა.
– ვინ არის?
– ბატონო ლენგდონ, უნდა დაგელაპარაკოთ, – მამაკაცის ინგლისურს აქცენტი ეტყობოდა. ეს იყო მკვეთრი და მბრძანებლური ყეფა, ლეიტენანტი ჟერომ კოლე ვარ, სასამართლო პოლიციის ცენტრალური განყოფილებიდან.
ლენგდონი შეყოყმანდა. სასამართლო პოლიცია? ეს ორგანიზაცია ხომ ამერიკული ფედერალური საგამომძიებლო ბიუროს ეკვივალენტია.
ლენგდონმა კარი რამდენიმე სანტიმეტრით შეაღო, ოღონდ ჯაჭვი არ მოუხსნია. სახე, რომელიც მას მიშტერებოდა, თხელი და თითქოს წაშლილი იყო. ლურჯ ფორმაში გამოწყობილი კაცი საოცრად გამხდარი ჩანდა
– შეიძლება შემოვიდე? – იკითხა აგენტმა.
ლენგდონი შეყოყმანდა, ეჭვი შეეპარა, როცა იგრძნო, რომ უცნობის მოყვითალო თვალები მას ყურადღებით შეისწავლიდნენ.
– რა ხდება?
– ჩემს კაპიტანს თქვენი გამოცდილება სჭირდება პირად საკითხთან დაკავშირებით.
– ახლა? – როგორც იქნა, სათქმელს თავი მოაბა ლენგდონმა. – ახლა ხომ შუაღამეა გადასული?
– მართალია, რომ თქვენ ლუვრის მუზეუმის კურატორს უნდა შეხვედროდით ამ საღამოს?
ლენგდონმა უცებ ცოტა უხერხულად იგრძნო თავი. იგი და ღირსი ჟაკ სონიერი ამ ღამით, ლენგდონის ლექციის შემდეგ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და ორიოდე ჭიქა დაელიათ, მაგრამ სონიერი არ გამოჩენილა.
– საიდან იცით?
– მის დღიურში ვნახეთ თქვენი სახელი.
– იმედი მაქვს, ცუდი არაფერი მომხდარა...
აგენტმა ავისმომასწავებლად ამოიოხრა და ვიწროდ გაღებულ კარში პოლაროიდის ფოტო შეაცურა.
ლენგდონმა ფოტოს შეხედა და გაქვავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ერთი საათიც არ არის გასული, რაც ლუვრში ეს სურათი გადავიღეთ.

გამოსახულება ამაზრზენი იყო, მაგრამ თავდაპირველი ზიზღი და შოკი უეცარმა სიბრაზემ შეცვალა.

– ვის უნდა ექნა?!

– იმედი გვქონდა, რომ თქვენ დაგვეხმარებოდით ამის გარკვევაში, თუ გავითვალისწინებთ სიმბოლოთა შესახებ მეცნიერებაში თქვენს განსწავლულობასა და დღევანდელი შეხვედრის განზრახვას.

ლენგდონი მიაშტერდა სურათს და შეძრწუნებას უკვე შიშის გრძნობა შეერია. საშინელი სურათი იყო და თანაც უაღრესად უცნაური. ახირებული შეგრძნება დაეუფლა, თითქოს რაც ახლა ხდება, ადრე უკვე მომხდარიყო. წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინ, ლენგდონმა მიიღო გვამის ფოტო და ასეთივე დახმარების თხოვნა. ოცდაოთხი საათის შემდეგ კი იგი კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს შიგ ვატიკანში. ეს სურათი სრულიად განსხვავდებოდა. და მაინც, ამ ვითარებაში იყო რაღაც ავის მომასწავლებლად ნაცნობი.

აგენტმა მაჯის საათზე დაიხედა.

– ჩემი კაპიტანი გელოდებათ, სერ.

ლენგდონმა ძლივს გაიგონა ეს სიტყვები. მისი თვალები ჯერ კიდევ სურათს იყო მიჯაჭვული.

– აი, აქ ეს სიმბოლო და ის, თუ რა უცნაურად არის მისი სხეული... მოთავსებული? – დაეხმარა აგენტი.

ლენგდონმა თავი დაუქნია, მზერა ასწია, თან გრძნობდა, სიცივე როგორ უვლიდა სხეულში.

– ვერ წარმომიდგენია, ვის უნდა ექნა ეს.

აგენტი დაუნდობელი იყო.

– თქვენ არ გესმით, ბატონო ლენგდონ. რასაც ამ სურათზე ხედავთ... – იგი შეყოვნდა. – მესიე სონიერმა ეს თვითონ გააკეთა.

<u>თავი 2</u>

ერთი მილის მოშორებით მოუქნელმა ალბინოსმა, სახელად სილასმა, კოჭლობით გაიარა მდიდრული, არისტოკრატიული რეზიდენციის გარეთა ალაყაფის კარი ბრიუერის ქუჩაზე. უხეში ძუანარევი ქსოვილის წვეტებიანი ქამარი, ძაძა რომელიც ბარძაყზე ჰქონდა შემორტყმული, ხორცს უჭრიდა და მიუხედავად ამისა, მისი სული სიამოვნებისგან მღეროდა. მან ხომ ღმერთს სამსახური გაუწია.

– ტკივილი კარგია.

რეზიდენციაში შესულმა მაშინვე წითელი თვალებით ყურადღებით მოათვალიერა დერეფანი. კიბეზე ისე ავიდა, რომ რომელიმე მეზობელი არ გაეღვიძებინა. ოთახის კარი ღია დახვდა, რადგან საკეტები აქ აკრძალული იყო. სილასი შევიდა და კარი მიიხურა. ოთახი სპარტანულად გამოიყურებოდა: მაგრამ ხის იატაკი, ფიჭვის ხის კომოდი, კუთხეში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაფენილი პატარა ჭილოფი, საწოლის ნაცვლად. სულ ერთი კვირაა, რაც აქ სტუმრად იყო. ნიუ-იორკშიც მრავალი წლის მანძილზე სწორედ ამგვარ თავშესაფარში ცხოვრობდა.

– ღმერთმა მომცა თავშესაფარი და მიზანი ცხოვრებაში.

ამ ღამით სილასმა პირველად იგრძნო, რომ ვალის გასტუმრება დაიწყო. სწრაფად მივიდა კომოდთან, იპოვა უკანა უჯრაში დამალული მობილური ტელეფონი და ნომერი აკრიფა.

– დიახ! – უპასუხა მამაკაცის ხმამ.

– მოძღვარო, დავბრუნდი.

– ილაპარაკე, – უბრძანა ხმამ, რომელიც კმაყოფილებას ვერ მალავდა.

– არც ერთი აღარ არის. სამი სენეშალი... და თავად დიდი მაგისტრი.

წამიერი პაუზა იყო ხაზის მეორე მხარეს, თითქოს ვიღაც ლოცულობდა.

– ამრიგად, უნდა ვიგულისხმო, რომ უკვე გაქვს ინფორმაცია?

– ოთხივემ აღიარა. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

– და შენც დაუჯერე?

– მათი ინფორმაცია სრულიად იდენტური იყო. ასეთი დამთხვევა არ ხდება.

აღელვებული სუნთქვა მოისმა.

– ბრწყინვალეა. ვშიშობდი, საიდუმლოს მცველი საძმოს ღირსება არ მისცემდა მათ ამის უფლებას.

– სიკვდილის მოლოდინი დიდი მამოძრავებელი ძალაა.

– აბა, ჩემო მოწაფევ, მითხარი, რაც უნდა ვიცოდე.

სილასმა იცოდა, რომ ინფორმაცია, რომელიც მან მოკლულთაგან ნაწილ-ნაწილ მოიპოვა, სრულიად მოულოდნელი იქნებოდა.

– მოძღვარო, ოთხივემ დაადასტურა, რომ არსებობს ე.წ. clef de voûte... ლეგენდარული ქვაკუთხედი.

გაიგონა, ყურმილში როგორ ჩაისუნთქა მისმა თანამოსაუბრემ – მოძღვარი აღელვებული იყო. ქვაკუთხედი. ზუსტად როგორც ჩვენ ვვარაუდობდით.

დოქტრინის მიხედვით საძმომ შექმნა ქვის რუკა clef de voûte, ანუ ქვაკუთხედი – გრავირებული ფირფიტა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა საძმოს უდიდესი საიდუმლოს საბოლოო ადგილსამყოფელის გამოცნობა. ეს ისეთი ძალის მქონე ინფორმაცია იყო, რომ სწორედ მისი დაცვა გახდა საძმოს არსებობის ძირითადი საზრისი.

– როდესაც ქვაკუთხედს მოვიპოვებთ, – თქვა მოძღვარმა, – მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა დაგვაშორებს მიზნისაგან.

– ჩვენ უფრო ახლო ვართ მიზანთან, ვიდრე თქვენ გგონიათ. ქვაკუთხედი აქ არის, პარიზში.

– პარიზში? დაუჯერებელია. რაღაც ძალიან იოლი ჩანს ყველაფერი.

სილასმა მიმდევრობით დაიწყო ამ საღამოს მომხდარი ამბების მოყოლა, როგორი თავგანწირვით ცდილობდა მისი ოთხივე მსხვერპლი, სიკვდილამდე რამდენიმე წამით ადრე, თავისი უღმერთო სიცოცხლის გამოსყიდვას საიდუმლოს გათქმით. თითოეულმა მათგანმა ერთი და იგივე უთხრა – ქვაკუთხედი საგულდაგულოდაა დამალული გარკვეულ ადგილას პარიზის ერთერთი ძველი ეკლესიის, სენსიულპისის შიგნით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ღვთის სახლში, – წარმოთქვა მოძღვარმა, – დაცინვაც გაგვიბედეს.

– ისევე, როგორც ყოველთვის დაგვცინოდნენ ოთხი საუკუნის განმავლობაში.

მოძღვარი გაჩუმდა, თითქოს საზეიმო მომენტის კარგად გააზრება სურდა. ბოლოს ხმა ამოიღო.

– შენ შესანიშნავი სამსახური გაუწიე ღმერთს. ჩვენ საუკუნეების მანძილზე ველოდით ამას. ქვა უნდა მოიპოვო ჩემთვის. სასწრაფოდ. ამაღამ. ხომ გესმის რასაც მიიღებ საზღაურად?

სილასმა მშვენივრად იცოდა. და მაინც, ის, რის გაკეთებასაც მოძღვარი უბრძანებდა, შეუძლებელი ეჩვენებოდა.

– მაგრამ ის ეკლესია ხომ ნამდვილი ციხე-სიმაგრეა. განსაკუთრებით ღამით. შიგ როგორ შევიდე?

მოძღვარმა უსაზღვრო ძალაუფლების მქონე ადამიანის თავდაჯერებული ტონით აუხსნა, თუ რისი გაკეთება იყო საჭირო. ყურმილის დადებისთანავე სილასმა აგზნებისაგან კანის ქავილიც კი იგრძნო.

ერთი საათი, – გაიფიქრა. მადლობელი იყო, რომ მოძღვარმა დრო მისცა ტაძარში მოტყუებით შესვლის მოსანანიებლად – სული უნდა განვიწმინდო დღევანდელი ცოდვებისაგან. მაგრამ მიზანი წმინდა და კეთილი იყო. ღვთის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ნამდვილად ეპატიებოდა. ამ შემთხვევაშიც კი, სილასმა იცოდა, რომ ყოველი მიტევება მსხვერპლს მოითხოვდა. მზის სათვალე მოიძრო, გაშიშვლდა და თავის ოთახში მუხლებზე დაემხო. მან დახედა თავის წვეტებიან ძაძას, რომელიც ბარძაყზე ჰქონდა შემოჭერილი. სამეუფო გზის ყველა ერთგული მიმდევარი ატარებდა ამ ნივთს – ეს იყო ტყავის ზოდი ლითონის წვეტიანი კაუჭებით, რომლებიც ხორცში ერჭობოდა პატრონს, რათა მუდმივად შეეხსენებინა მისთვის ქრისტეს ვნებანი. ამ ნივთით გამოწვეული ტკივილი ეხმარება მის მფლობელს, არ დაემორჩილოს ხორციელ გულისთქმას.

მაგრამ სილასმა ეს ქამარი სავალდებულოზე ორ საათით მეტ ხანს ატარა. იცოდა, რომ დღეს ჩვეულებრივი დღე არ იყო. მან ბალთას წაავლო ხელი და უფრო ძლიერად შემოიჭირა. ტკივილისაგან დაიმანჭა, როცა კაჭები უფრო ღრმად ჩაერჭო ხორცში. ნელ-ნელა ამოისუნთქა. სილასი ტკბებოდა ტკივილის განმწმენდი რიტუალით.

– ტკივილი კარგია, – ჩურჩულით იმეორებდა სილასი მამა ხოსე მარია ესკრივას – მოძღვართა მოძღვრის წმინდა ლოცვას. თუმცა ესკრივა 1975 წელს გარდაიცვალა, მისი სიბრძნე ცოცხლობდა. ამ სიტყვებს კვლავაც მოწიწებული ჩურჩულითა და მუხლმოყრით წარმოთქვამდა მისი ათასობით მსახური მთელ მსოფლიოში „ხორცის მოკვდინების“ იდუმალი რიტუალის აღსრულებისას.

სილასის ყურადღება ახლა მძიმე კვანძებიანმა თოკმა მიიპყრო, რომელიც, საგულდაგულოდ დახვეული, იქვე იდო, იატაკზე, ეს მათრახი იყო. კვანძებს სისხლი შეხმობოდა. უფრო ძლიერი განმწმენდი ტკივილის შეგრძნებით აფორიაქებულმა სილასმა სწრაფად წაიკითხა შესაბამისი ლოცვა. შემდეგ ჩასჭიდა ხელი თოკის ერთ ბოლოს, დახუჭა თვალები და მთელი ძალით გადაიჭირა მხრებზე. იგრძნო, როგორ მიეხალა ზურგზე კვანძები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელმეორედ შემოიკრა მათრახი, ისე, რომ კვანძები ხორცში შეერჭო. ასე დიდხანს განაგრძობდა თვითგვემას.

Castigo corpus meum.

სანამ არ იგრძნო, როგორ მიედინებოდა ზურგზე სისხლი.

თავი 3

აპრილის კრიალა სიო აღწევდა „სიტროენ ZX“ის ღია სარკმელში, როცა მანქანამ სამხრეთის მხრიდან შემოუარა ოპერის თეატრს და ვანდომის მოედანი გადაკვეთა. რობერტ ლენგდონი მგზავრის ადგილას იჯდა და თვალს ადევნებდა სარკმლის მიღმა მოსრიალე ქალაქს და აზრის მოკრებას ცდილობდა. ნაჩქარევმა შხაპმა და გაპარსვამ ადამიანური სახე კი დაუბრუნა, მაგრამ აღელვებას ვერ უშველა. ფოტოზე აღბეჭდილი შემაძრწუნებელი სანახაობა მეხსიერებაში ჩარჩენოდა.

ჟაკ სონიერი მკვდარია.

ლენგდონმა ამით თითქოს რაღაც დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ განდეგილის სახელი ჰქონდა გავარდნილი, სონიერი ხელოვნებისთვის თავდადებულ ადამიანად იყო აღიარებული, საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა. მისი წიგნები პუსენისა და ტენიეს სურათებში დამალულ საიდუმლო კოდებზე ლენგდონის საყვარელი სამუშაო ტექსტების სიაში შედიოდა. რამდენ ხანს ელოდა მასთან შეხვედრის შემთხვევას. გული დასწყდა, კურატორი რომ არ მოვიდა.

კიდევ ერთხელ გაუელვა კურატორის დამახინჯებული გვამის საშინელმა სურათმა. ჟაკ სონიერმა ეს თვითონ უყო თავის თავს? ლენგდონი შებრუნდა და სარკმელში გაიხედა, რომ ფოტოზე აღარ ეფიქრა.

შუშის მიღმა ქალაქი სწორედ ახლა იწყებდა დამშვიდებას: ქუჩის გამყიდველები დაშაქრული ნუშით სავსე ურიკებს მიაგორებდნენ, რესტორნების მიმტანებს ნაგვის პარკები მოჰქონდათ ბორდიურებთან, იქვე შეყვარებულები მიჰკვროდნენ ერთმანეთს და თითქოს სითბოს შენარჩუნებას ლამობდნენ ჟასმინის სურნელით გაჟღენთილ ჰაერში. „სიტროენი“ მბრძანებლურად მიიკვლევდა გზას ამ ქაოსში მისი შეუწყობელი ორბგერიანი სირენა ტრანსპორტის ნაკადს დანის პირივით კვეთდა.

– კაპიტანს გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ღამით თქვენ ჯერ კიდევ პარიზში იყავით, აგენტმა პირველად ამოიღო ხმა მას შემდეგ, რაც სასტუმრო დატოვეს, – გარემოებათა ბედნიერი თანხვედრაა.

ლენგდონი თავს სულაც არ გრძნობდა ბედნიერად, ხოლო გარემოებათა თანხვედრა კი ის ცნება იყო, რომელსაც იგი საერთოდ არ ენდობოდა. ლენგდონმა მთელი ცხოვრება ერთმანეთთან თითქოს შეუთავსებელ ემბლემებსა და იდეოლოგიებს შორის დაფარული კავშირების კვლევაში გაატარა, ამიტომ სამყაროს მჭიდროდ გადახლართული ისტორიებისა და მოვლენების ქსელად აღიქვამდა. კავშირი შეიძლება უხილავი იყოს – ხშირად ასე მოძღვრავდა ჰარვარდის უნივერსიტეტში სტუდენტებს – მაგრამ ყოველთვის არსებობს. უბრალოდ, ზედაპირის ქვეშ იმალება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ვფიქრობ, პარიზის ამერიკულმა უნივერსიტეტმა მოგახსენათ, სად გავჩერდი – უთხრა ლენგდონმა.

მძღოლმა თავი გაიქნია უარის ნიშნად:

– ინტერპოლმა.

ინტერპოლი, გაიფიქრა ლენგდონმა. რა თქმა უნდა. დაავიწყდა, რომ, თუ ევროპულ სასტუმროებში რეგისტრაციისათვის პასპორტის წარდგენას ითხოვენ, ეს უბრალო ფორმალობაზე მეტია – ეს კანონია. ნებისმიერ ღამეს, ნებისმიერ ადგილას, ინტერპოლმა ზუსტად უნდა იცოდეს, ვის სად სძინავს. ლენგდონის მოძებნა „რიცში“ ალბათ სულ ხუთი წუთის საქმე იყო.

„სიტროენმა“ მომატებული სიჩქარით სამხრეთის მიმართულებით გადაკვეთა ქალაქი. მარჯვნივ შორიახლო გამოჩნდა ეიფელის კოშკის განათებული და ცადატყორცნილი პროფილი. მის დანახვაზე ლენგდონს გაახსენდა ვიტორია და ერთი წლის წინ მასთან ხუმრობით დადებული პირობა: ყოველ ექვს თვეში შეხვედროდნენ ერთმანეთს მსოფლიოს სხვადასხვა რომანტიკულ ადგილებში. ეიფელის კოშკი, ლენგდონის აზრით, აუცილებ-ლად შევიდოდა ამ სიაში. ნაღვლიანი იყო იმის გახსენება, რომ ბოლოს ვიტორიას რომის ხმაურიან აეროპორტში აკოცა წელიწადზე მეტი ხნის წინ.

– ყოფილხარ იქ, ზემოთ? – იკითხა აგენტმა.

ლენგდონმა ამოხედა, აშკარად ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ.

– უკაცრავად?

– მომხიბლავი ქალბატონია, არა? – საქარე მინიდან მიუთითა აგენტმა ეიფელის კოშკისაკენ. – ამძვრალხართ ზედ?

ლენგდონმა თვალები აატრიალა.

– არა, კოშკზე არ ავსულვარ.

– ეს ქალბატონი საფრანგეთის სიმბოლოა. ჩემი აზრით, იგი უნაკლოა.

ლენგდონმა უგულისყუროდ დაუქნია თავი. სიმბოლოთა სპეციალისტები ხშირად ამბობდნენ, საფრანგეთს, ქვეყნის, რომელიც ცნობილია მებრძოლი ფემინიზმითა და ნაპოლეონისა და პიპინ მოკლეს მსგავსი ტანჩია ლიდერებით, სწორედ ასეთი ეროვნული სიმბოლო – ათასი ფუტის სიმაღლის ფალოსი სჭირდებაო.

რევოლუციის გზაჯვარედინზე წითელი შუქი ენთო, მაგრამ „სიტროენს“ სვლა არ შეუნელებია. აგენტმა მთელი სიჩქარით გადაუსწრო „სედანს“ და შევიდა კასტილიონეს ქუჩის ტყით დაფარულ მონაკვეთზე, რომელიც სახელგანთქმული ტიუილრის ბაღების, ამერიკული სენტრალპარკის პარიზული ვერსიის, ჩრდილოეთის შესასვლელი იყო. ტურისტთა უმრავლესობა ამ სახელს – ტიუილრის ბაღები – შეცდომით უკავშირებდა აქ აყვავებულ ათასობით ტიტას. მაგრამ სიტყვას Tuileries სინამდვილეში სრულიად არარო-მანტიკული ეტიმოლოგია აქვს. ოდესღაც ეს პარკი იყო არქეოლოგიური გათხრების შედეგად დარჩენილი უზარმაზარი დაბინძურებული ორმო. აქედან პარიზელი მენარდეები თიხას იღებდნენ ქალაქის ცნობილი წითელი კრამიტის, ანუ ტიუილის, დასამზადებლად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაცარიელებულ პარკში რომ შევიდნენ, აგენტმა მოღრიალე სირენა გამორთო. ლენგდონმა ამოისუნთქა, იგი უეცარი სიჩუმით ტკბებოდა. მანქანის გარეთ დაფხვნილი ხრეშით მოფენილი პარკის ბილიკი ჰალოგენური ფარების შუქით განათდა, ბორბლების ფრთხილი შრიალი კი თითქოს ჰიპნოზურ რიტმს ეწყობოდა. ლენგდონი ტიუილრის ბაღებს ყოველთვის იდუმალ ადგილად მიიჩნევდა. აქ კლოდ მონე ექსპერიმენტებს ატარებდა ფორმასა და ფერზე, რამაც, პირდაპირი გაგებით, საფუძველი ჩაუყარა იმპრესიონიზმს. მაგრამ ამჯერად ამ ადგილს უცნაური, ცუდი წინათგრძნობის აურა ჰქონდა. ახლა „სიტროენმა“ მარცხივ მოუხვია და პარკის ცენტრალური ბულვარის გაყოლებით დასავლეთისკენ გაემართა. შემოუარა მრგვალ აუზს. გადაჭრა უკაცრიელი პროსპექტი და ქვევით ფართო ოთხკუთხა ნაწილში გადავიდა. ლენგდონს ახლა შეეძლო დაენახა ტიუილრის ბაღების ბოლო, სადაც უზარმაზარი ქვის თაღი აღმართულიყო.

Arc du Carrousel.

მიუხედავად ორგიასტული რიტუალებისა, რომლებიც ძველად კარუსელის თაღთან იმართებოდა, ხელოვნების მოყვარულები ამ ადგილს სულ სხვა მიზეზით სცემდნენ პატივს. ტიუილრის ბოლოს, ესპლანადიდან, მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ოთხი მუზეუმი მოჩანდა... ქვეყნის ოთხივე მხარეს.

მარჯვნიც, სარკმლიდან, ვოლტერის სანაპიროს გადაღმა, ლენგდონს შეეძლო დაენახა ძველი რკინიგზის სადგურის ეფექტურად განათებული ფასადი – ამჟამად აღიარებული დ'ორსეის მუზეუმი. მარცხნივ თუ მიიხედავდა, ჩანდა წვერი პომპიდუს ულტრათანამედ-როვე ცენტრისა, სადაც განლაგებული იყო თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ლენგდონმა იცოდა, რომ მის უკან, დასავლეთისკენ, ხეების ზევით აზიდულიყო ფარაონ რამზესის ობელისკი. იქ ჟო დე პომის მუზეუმი იდგა.

მაგრამ პირდაპირ, დასავლეთისკენ, კამაროვანი გასასვლელის იქით, ლენგდონის თვალწინ გადაიშალა რენესანსის დროინდელი მონოლითური სასახლე, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ხელოვნების მუზეუმი.

ლუვრი.

ლენგდონს ნაცნობი გაოცების შეგრძნება დაეუფლა, როცა ამაოდ სცადა, ერთიანად მოევლო თვალი ამ უზარმაზარი, დიდებული ნაგებობისათვის. გასაოცრად მორთულ მოედანზე, გარდიგარდმო პარიზის ცის ფონზე ლუვრის შთამბეჭდავი ფასადი იყო აღმართული ზღაპრული ციხე-დარბაზივით. უზარმაზარი ნალის ფორმის ლუვრი ევროპაში ყველაზე გრძელი შენობა იყო, უფრო გრძელი, ვიდრე ერთმანეთს ბოლოებით მიწყობილი სამი ეიფელის კოშკი. ღია მოედნის მილიონი კვადრატული ფუტიც კი მუზეუმის ფრთებს შორის მუზეუმის ფასადის სიდიადესთან ვერ მოვიდოდა. ლენგდონმა ერთხელ გაიარა ლუვრის მთელი პერიმეტრი. ეს იყო სამი მილის სიგრძის გასაოცარი მოგზაურობა. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი კვირა მაინც სჭირდება ამ მუზეუმში დაცული 65300 ხელოვნების ნიმუშის სათანადოდ დათვალიერებას, ტურისტების უმეტესობა ირჩევს ექსკურსიის შემოკლებულ ვარიანტს, რომელსაც ლენგდონი „ლუვრზე გადაფრენას“ ეძახის. ეს იყო ნამდვილი ჭენება მუზეუმში სამი ყველაზე ცნობილი ნაწარმოების – მონა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიზას, ვენერა მილოსელისა და ფრთოსანი ნიკეს – სანახავად: არტ ბუხვალდმა ერთხელ დაიკვეხა, სამივე შედევრი ხუთ წუთსა და 56 წამში ვნახეო.

მძღოლმა ჯიბიდან ამოიღო ხელის რაცია და სწრაფი ფრანგულით ალაპარაკდა.

– Monsieur Langdon est arrivé. Deux minutes.

გაუგებარი დასტური ტკაცუნით დაბრუნდა უკან.

აგენტმა მოწყობილობა შეინახა და ახლა ლენგდონს მოუბრუნდა.

– კაპიტანს მთავარ შესასვლელთან შეხვდებით.

მძღოლმა ყურადღება არ მიაქცია მოედანზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის ამკრძალავ ნიშნებს, ააჩქარა ძრავა და „სიტროენი“ ბორდიურზე ააგდო. ახლა ლუვრის მთავარი შესასვლელი გამოჩნდა, გაბედულად რომ აღმართულიყო მოშორებით, შვიდი სამკუთხა აუზით გარშემორტყმული, სადაც განათებული შადრევნები მოჩუხჩუხებდა.

La Pyramide.

პარიზის ლუვრის ახალი შესასვლელი თითქმის ისეთივე ცნობილი გახდა, როგორც თვითონ მუზეუმი. საკამათო, ნეომოდერნისტული შუშის პირამიდა, რომელიც ჩინური წარმოშობის ამერიკელმა არქიტექტორმა ი.მ. პეიმ დააპროექტა, ჯერ კიდევ იწვევდა სინანულს ტრადიციონალისტებში. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ ნაგებობამ რენესანსის სტილის შიდა ეზოს სიდიადე გაანადგურა. გოეთემ არქიტექტურას „გაყინული მუსიკა“ უწოდა, ხოლო პეის კრიტიკოსებმა ეს პირამიდა საკლასო დაფაზე ფრჩხილების ღრჭიალს შეადარეს. თუმცა პროგრესულად მოაზროვნე თაყვანისმცემლები მიესალმნენ პეის 71 ფუტის სიმაღლის გამჭვირვალე ნაგებობას. მათი აზრით, ეს იყო ძველებური სტრუქტურისა და თანამედროვე მეთოდის თვალისმომჭრელი შერწყმა, სიმბოლური კავშირი ძველსა და ახალს შორის, რაც ხელს შეუწყობდა ლუვრის შესვლას ახალ ათასწლეულში.

– მოგწონთ ჩვენი პირამიდა? – ჰკითხა აგენტმა.

ლენგდონმა წარბები შეიკრა. ჩანს, ფრანგებს უყვართ, როცა ამერიკელებს ამას ეკითხებიან. აღიარება, რომ პირამიდა მოგწონს, უგემოვნო ამერიკელის რეპუტაციას მოგიტანს, საპირისპირო თვალსაზრისი კი ფრანგებისთვის საწყენი გამოდგება.

– მიტერანი გულადი კაცი იყო, – უპასუხა ლენგდონმა და სახიფათო კვანძი გადაჭრა.

ამბობენ, რომ საფრანგეთის ბოლო პრეზიდენტი, რომელმაც პირამიდის აშენების ნება დართო, „ფარაონის კომპლექსით“ იყო დაავადებული. მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ პარიზი ეგვიპტური ობელისკებით და ხელოვნების სხვა ნიმუშებითა და არტეფაქტებით აივსო. ფრანსუა მიტერანი ისე იყო გატაცემული ეგვიპტური კულტურით, რომ დღემდე „სფინქსს“ ეძახიან.

– რა ჰქვია კაპიტანს? – იკითხა ლენგდონმა თემის შეცვლის მიზნით.

– ბეზუ ფაში, – უთხრა მძღოლმა, და პირამიდის მთავარ შესასვლელს მიუახლოვდა. – Le Taureau-ს ვეძახით.

ლენგდონმა ალმაცერად გადახედა. ნეტა ყოველ ფრანგსა აქვს იდუმალი ცხოველის აღმნიშვნელი მეტსახელი?

– თქვენ რა, თქვენს კაპიტანს ბუღას ეძახით?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცმა წარბები ასწია.

– უკეთესი ფრანგული გცოდნიათ, ვიდრე თქვენ აღიარებთ, მესიე ლენგდონ.

ჩემი ფრანგული კაპიკად არ ვარდა, გაიფიქრა ლენგდონმა, მაგრამ საკმაოდ კარგად ვიცი ზოდიაქოს იკონოგრაფია. „ტაურუსი“ ყოველთვის კუროს ნიშნავდა. ასტროლოგიური სიმბოლოები მთელს მსოფლიოში ყველგან ერთია.

აგენტმა მანქანა გააჩერა და პირამიდის ერთერთწახნაგზე – ორ შადრევანს შორის გაჭრილ კარზე მიუთითა

– შესასვლელი იქაა. წარმატებას გისურვებთ, მესიე.

– თქვენ არ მოდიხართ?

– ნაბრძანები მაქვს აქ დაგელოდოთ. მე სხვა საქმე მაქვს მოსაგვარებელი.

ლენგდონმა ამოიოხრა და მანქანიდან გადმოვიდა. ეს შენი თამაშია.

აგენტმა ძრავა ჩართო და მანქანა გააქრო.

ლენგდონი მარტო იდგა და მანქანის უკანა ფარებს უყურებდა, და ამ დროს მიხვდა, რომ ადვილად შეეძლო გადაეფიქრებინა, გამოსულიყო შიდა ეზოდან, ტაქსი გაეჩერებინა და სახლისკენ დასაძინებლად წასულიყო. რაღაცამ მიახვედრა, რომ ეს ვერ იყო კარგი აზრი.

როდესაც შადრევნების ნისლიანი შარავანდედისაკენ გაემართა, ლენგდონს უსიამოვნო შეგრძნება ჰქონდა, რომ იგი სხვა ქვეყანაში მიმავალ წარმოსახვით ზღურბლს გადადიოდა. ხელახლა დაეუფლა შეგრძნება, რომ ეს საღამო სიზმარი იყო. ოცი წუთის წინ სასტუმროს ოთახში ეძინა, ახლა კი სფინქსის აშენებული გამჭვირვალე პირამიდის წინ იდგა და ელოდა პოლიციელს, რომელსაც თანამშრომლები „ბუღას“ ეძახდნენ.

– მახეში ვარ მომწყვდეული, სალვადორ დალის ნახატში, – გაიფიქრა მან. ლენგდონი მთავარი შესასვლელისაკენ – უზარმაზარი მბრუნავი კარისაკენ გაეშურა.

ფოიე ცუდად განათებული და უკაცრიელი იყო.

დავაკაკუნო?

ნეტა ჰარვარდის რომელიმე პატივცემულ ეგვიპტოლოგს ოდესმე თუ დაუკაკუნებია პირამიდის შესასვლელ კარზე და პასუხს დალოდებიაო – ფიქრობდა. ხელი ასწია შუშაზე დასაკაკუნებლად, მაგრამ ქვევით სიბნელიდან გამოჩნდა ხვეულ კიბეზე ამომავალი ფიგურა. კაცი ჩასკვნილი და შავგვრემანი იყო, თითქმის ნეანდერტალელის გარეგნობისა, მხარბეჭზე დაჭიმული ორბორტიანი კოსტიუმი ეცვა. თავდაჯერებულად მოაბიჯებდა კოტიტა ღონიერი ფეხებით. მოდიოდა და თან მობილურით ლაპარაკობდა, მაგრამ ამოსვლისთანავე საუბარი დაამთავრა კიდეც. ლენგდონს ხელით ანიშნა შემოდიო.

– მე ბეზუ ფაში ვარ, – განუცხადა ლენგდონს, როდესაც ის მბრუნავი კარით შევიდა, – სასამართლო პოლიციის ცენტრალური დირექტორატის კაპიტანი. – ტონი საწვიმარი ღარის ხმაურს მიუგავდა, ქარიშხლის დასაწყისის ხმას. ლენგდონმა ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

– რობერტ ლენგდონი.

ფაშის უზარმაზარმა ხელისგულმა ლამის თითები დაუმტვრია ლენგდონს.

– მე ვნახე ფოტო, უთხრა ლენგდონმა. – თქვენმა აგენტმა მითხრა, ჟაკ სონიერმა თავად გააკეთაო...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ბატონო ლენგდონ, – ფაშის შავი თვალები მიაშტერდა მას. – რაც სურათზე ნახეთ, მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც სონიერმა გააკეთა.

თავი 4

კაპიტანი ბეზუ ფაში მართლაც გაავებულ ხარს ჰგავდა, ფართო, უკან გაწეული ბეჭებით და თითქოს მკერდში ღრმად ჩამალული ნიკაპით. მუქი თმა უკან ჰქონდა ბრიოლინით გადაგლესილი, რაც უფრო მკვეთრად გამოკვეთდა მის უკვე კარგა გამელოტებულ შუბლზე, რაც ადრე დაქვრივების ნიშანი უნდა ყოფილიყო. მაღალ შუბლს განსაკუთრებით მკაფიოდ ეტყობოდა ხშირი წარბები, ცხვირი კი ძველებური სამხედრო ხომალდის ბუშპრიტს მიუგავდა. ფაში ახლო მოვიდა. მის მუქ თვალებს თითქოს დედამიწის დანახშირება შეეძლოთ. ისინი ცეცხლოვან სიცხადეს ასხივებდნენ და მათ პატრონს ისეთი ადამიანის რეპუტაციას უქმნიდნენ, რომელიც ნებისმიერ საკითხში შეუვალ სიმტკიცეს გამოიჩენს.

ლენგდონი კაპიტანს გაჰყვა და ისინი განთქმული მარმარილოს კიბით შუშის პირამიდის ქვეშ მდებარე ატრიუმში ჩავიდნენ. ავტომატური იარაღით შეიარაღებულ სასამართლო პოლიციის ორ მცველს შორის გაიარეს. საქმის ვითარება ნათელი იყო: ამ საღამოს ვერც შევიდოდა ვინმე ამ შენობაში და ვერც გამოვიდოდა იქიდან კაპიტან ფაშის ნებართვის გარეშე.

როდესაც მიწის დონის ქვევით ჩავიდნენ, ლენგდონი ცდილობდა კანკალს მორეოდა, რომელიც თანდათან იპყრობდა მის არსებას. ფაშის გვერდით ყოფნა სულიერ სიმშვიდეს არ ჰგვრიდა. თვით ლუვრსაც კი ამ დროს თითქმის სარკოფაგის იერი ჰქონდა. კიბე ჩაბნელებული კინოთეატრის რიგებს შორის გასასვლელივით იყო განათებული მკრთალი, სპეციალური ნათურებით, რომლებიც ყოველ საფეხურში იყო ჩამაგრებული. ლენგდონს შუშის ჭერიდან არეკლილი საკუთარი ნაბიჯების ხმა ესმოდა. ზევით აიხედა, გამჭვირვალე სახურავს მიღმა ცუდად განათებული შადრევნის ნისლი დაინახა.

– მოგწონთ? – ჰკითხა ფაშმა და ნიკაპით ზევით მიუთითა.

ლენგდონმა ამოიოხრა. ძალიან იყო დაღლილი, რომ თავი მოეჩვენებინა.

– დიახ, თქვენი პირამიდა დიდებულია.

ფაშმა ჩაიბურტყუნა:

– ეს ნაიარევია პარიზის სახეზე.

პირველი დარტყმა. ლენგდონმა იგრძნო, რომ მასპინძლის გულის მოგება ძნელი იყო. ფიქრობდა, ნეტა იცის თუ არა ფაშმა, რომ ეს პირამიდა პრეზიდენტ მიტერანის მოთხოვ-ნით შეიქმნა და ზუსტად 666 შუშის ნაჭრით არის აგებულიო. ეს უცნაური მოთხოვნა იყო და ყოველთვის საკამათო თემა იყო შეთქმულებათა თეორიის მოყვარულებს შორის. ისინი ამტკიცებდნენ, 666 სატანური რიცხვიაო.

ლენგდონმა ამ თემის წამოჭრა გადაიფიქრა.

როდესაც ისინი უფრო ღრმად ჩავიდნენ მიწისქვეშა ფოიეში, ჩრდილიდან პირდაღებული სივრცე გამოჩნდა. მიწის დონიდან 57 ფუტის სიღრმეზე ახლად აგებული 70000

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კვადრატული მეტრი დერეფანი იყო გაჭიმული უსასრულო მღვიმესავით. ის მოპირკეთებული იყო თბილი მოყავისფრო-მოყვითალო ფერის მარმარილოთი, რაც კარგად ეხამებოდა ლუვრის ფასადის თაფლისფერ ქვას. ჩვეულებრივ, მიწისქვეშა დარბაზი სავსე იყო ხოლმე მზის სინათლითა და ტურისტებით. ამ ღამით კი დერეფანი ცარიელი და ბნელი იყო, რაც მთელ სივრცეს ცივ და მიწისქვეშა სამლოცველოს მსგავს ელფერს აძლევდა.

– კი მაგრამ, მუზეუმის ჩვეულებრივი დაცვა სად არის? – იკითხა ლენგდონმა.

– En quarantaine, – მიუგო ფაშმა ისეთი ტონით, თითქოს ლენგდონს ეეჭვებოდა ფაშის გუნდის პატიოსნება. – ამაღამ აქ შემოსვლის უფლება ვიღაც უცხომ მიიღო. ლუვრის ყველა მცველი შენობის სხვა ფრთაშია შეკრებილი, სადაც მათი დაკითხვა მიმდინარეობს. ამ საღამოს ჩემი საკუთარი აგენტები ასრულებენ მუზეუმის დაცვის მოვალეობას.

ლენგდონმა თავი დაუქნია და ნაბიჯს აუჩქარა, რომ ფაშს დასწეოდა.

– როგორ იცნობდით ჟაკ სონიერს? – იკითხა კაპიტანმა.

– სინამდვილეში საერთოდ არ ვიცნობდი. ჩვენ არასოდეს შევხვედრივართ ერთმანეთს.

ფაში გაკვირვებული ჩანდა.

– ამ საღამოს თქვენი პირველი შეხვედრა უნდა შემდგარიყო?

– დიახ. ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთმანეთს ამერიკული უნივერსიტეტის მისაღებში ჩემი ლექციის შემდეგ შევხვდებოდით, მაგრამ არ მოვიდა.

ფაშმა სწრაფად ჩაინიშნა რაღაც პატარა წიგნაკში. მათ გზა განაგრძეს და ლენგდონმა თვალი მოჰკრა ლუვრის მეორე, ნაკლებად ცნობილ პირამიდას. ეს იყო შებრუნებული პირამიდა, უზარმაზარი შუშის სახურავი, რომელიც ჭერიდან გიგანტური სტალაქტიტივით ეშვებოდა ანტრესოლის მიმდებარე ნაწილში. ფაში აუძღვა ლენგდონს მოკლე კიბეზე, რომელმაც ისინი თაღიანი გვირაბის შესასვლელთან მიიყვანა, სადაც იყო წარწერა: დენონ. ეს ე.წ. „დენონის ფრთა“ ყველაზე ცნობილი იყო ლუვრის სამ მთავარ ნაწილს შორის.

– რომელმა ითხოვეთ დღევანდელი შეხვედრა? – უცებ ჰკითხა ფაშმა. – თქვენ, თუ მან?

უცნაური კითხვა იყო.

– ბატონმა სონიერმა, – უპასუხა ლენგდონმა, როდესაც გვირაბში შევიდნენ, – რამდენიმე კვირის წინ მისი მდივანი დამიკავშირდა ელექტრონული ფოსტით. მან თქვა, რომ მუზეუმის კურატორს გაუგია, რომ ამ თვეში ლექციები უნდა წამეკითხა პარიზში და უნდოდა რაღაცაზე გვემსჯელა, სანამ აქ ვიქნებოდი.

– გემსჯელათ რაზე?

– არ ვიცი. ვფიქრობ, ხელოვნებაზე. ჩვენ ერთნაირი ინტერესები გვაქვს.

ფაში სკეპტიკურად გამოიყურებოდა.

– წარმოდგენა არა გაქვთ, რაზე უნდა გესაუბრათ.

ლენგდონს წარმოდგენა არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, თავიდან მასაც აინტერესებდა, მაგრამ უხერხულად ჩათვალა დეტალების გამოკითხვა. პატივცემული ჟაკ სონიერი ცნობილი იყო განმარტოების სიყვარულით და ძალიან იშვიათად ხვდებოდა ვინმეს; ლენგდონი უბრალოდ მადლობელი იყო, რომ შეხვედრის შესაძლებლობა მიეცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ბატონო ლენგდონ, იქნებ ივარაუდოთ მაინც, რაზე უნდოდა მოკლულს თქვენთან მსჯელობა იმ ღამეს, როცა დანაშაული მოხდა? ეს შეიძლება დაგვეხმაროს.

კითხვა იმდენად პირდაპირი იყო, რომ ლენგდონმა უხერხულად იგრძნო თავი.

– ნამდვილად ვერ ვხვდები. არ მიკითხავს, რომ დამიკავშირდა, ეს უკვე დიდი პატივი იყო ჩემთვის. მე სონიერის თაყვანისმცემელი ვარ. მის ნაშრომებს ხშირად ვიყენებ ჩემს ლექციებზე.

ფაშმა ესეც ჩაიწერა თავის წიგნაკში.

მათ დენონის ფრთაში შესასვლელი გვირაბი უკვე სანახევროდ გაიარეს და ლენგდონმა შეძლო დაენახა ტყუპი ესკალატორი გვირაბის შორეულ ბოლოში, არც ერთი არ მოძრაობ-და.

– ესე იგი თქვენ საერთო ინტერესები გქონდათ, არა? – ჰკითხა ფაშმა.

– დიახ. ფაქტობრივად, გასული წლის უმეტეს დროს იმ წიგნის პირველ ვარიანტს ვწერდი, რომელიც ბატონი სონიერის ძირითადი ინტერესისა და ცოდნის სფეროს ეხება. მე ძალიან მინდოდა მის ტვინში ჩამეხედა.

ფაშმა ახედა მას.

– უკაცრავად?

როგორც ჩანს, იდიომი ვერ გადათარგმნა.

– მე მოუთმენლად ველოდი გამეგო, რას ფიქრობდა ის მოცემულ თემაზე.

– გასაგებია. რა თემაა ეს?

ლენგდონი ყოყმანობდა, ზუსტად არ იცოდა, როგორ მიეწოდებინა მისთვის.

– ძირითადად, ეს შრომა ეხება ქალღმერთის თაყვანისცემის იკონოგრაფიას. ესაა ქალური საწყისის საკრალურობის კონცეფცია ხელოვნებაში და მასთან დაკავშირებული სიმბოლოე-ბი.

ფაშმა პუტკუნა ხელი თმაზე გადაისვა.

– სონიერი ამ საკითხში განსწავლული იყო?

– ყველაზე მეტად.

– გასაგებია.

ლენგდონი მიხვდა, რომ ფაშმა სინამდვილეში ვერაფერი გაიგო. ჟაკ სონიერი ქალ ღვთაებათა იკონოგრაფიის მსოფლიოში საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. იგი მარტო ნაყოფიერების ქალღმერთთა კულტთან დაკავშირებული რელიკვიებით კი არ იყო გატაცებული, არამედ თავისი კურატორობის ოცწლიანი პერიოდის განმავლობაში ლუვრში თავი მოუყარა დედამიწაზე ქალღმერთებისადმი მიძღვნილი საკრალური ნივთების უდიდეს კოლექციას – აქ იყო ნაჯახები დელფოს ქურუმ ქალთა უძველესი ბერძნული სამარხიდან, სამეფო ოქროს კვერთხები, რომლებზედაც გამოსახულია ორი გველით გარშემორტყმული ფრთოსანი კვერთხი, ასობით ეგვიპტური რიტუალური ჯვარი, პატარა ანგელოზების მსგავსი ავსულების განსადევნი ეგვიპტურივე საჩხარუნოები, და გამაოგნებელი წყება ქანდაკებებისა, რომლებზეც ასახული იყო ღმერთი ჰორუსი, როდესაც მასზე ქალღმერთი ისიდა ზრუნავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ალბათ ჟაკ სონიერმა იცოდა თქვენი ხელნაწერის შესახებ, ახსნის ვარიანტი – შესთავაზა ფაშმა, – და დაგინიშნათ შეხვედრა, წიგნთან დაკავშირებით დახმარების შემოსათავაზებ-ლად.

ლენგდონმა თავი გაიქნია უარის ნიშნად.

– სინამდვილეში ჯერჯერობით არავინ იცის ჩემი ხელნაწერის შესახებ. მას მხოლოდ შავი მონახაზის სახე აქვს და ჩემი რედაქტორის გარდა არავისთვის მიჩვენებია.

ფაში გაჩუმდა.

ლენგდონს არ დაუმატებია ის, თუ რა მიზეზით არ უჩვენებია არავისთვის ეს ხელნაწერი. სამასგვერდიანი მონახაზი, დროებითი სათაურით საკრალური ქალურობის დაკარგული სიმბოლოები, დაკანონებული რელიგიური იკონოგრაფიის რამდენიმე ძალიან არატრადი-ციულ ინტერპრეტაციას სთავაზობდა მკითხველს. რასაკვირველია მისი აზრები საკამათო იყო.

როდესაც ლენგდონმა უძრავ ესკალატორებამდე მიაღწია, შეყოვნდა. მიხვდა, რომ ფაში მის გვერდით აღარ იყო. ლენგდონი მობრუნდა და დაინახა კაპიტანი, რომელიც რამდენიმე იარდით უკან იდგა მომუშავე ლიფტთან.

– ლიფტით წავალთ, – უთხრა ფაშმა, როდესაც ლიფტის კარი გაიღო, – რადგან დარწმუნე-ბული ვარ, იცით, გალერეა კარგა გრძელია ფეხით სასიარულოდ.

მართალია, ლენგდონმა იცოდა, რომ ლიფტი მათ უფრო სწრაფად აიყვანდა ორი სართულით ზევით, დენონის ფრთაში, მაგრამ მაინც უძრავად იდგა.

– რაიმე პრობლემაა? – ფაშს კარი ეჭირა და მოუთმენლობა ეტყობოდა.

ლენგდონმა ამოისუნთქა, მომლოდინე თვალით გადახედა უძრავ ღია ექსკალატორებს. ყველაფერი რიგზეაო თავი მოიტყუა და მძიმე ნაბიჯით დაბრუნდა უკან ლიფტთან. ბავშვობაში ლენგდონი მიტოვებულ ჭაში ჩავარდა და კინაღამ დაიღუპა ვიწრო სივრცეში, როცა რამდენიმე საათის განმავლობაში წყლის ზედაპირზე გაჩერებას ცდილობდა, ვიდრე გადაარჩენდნენ. ამის შემდეგ კლაუსტროფობია – ჩაკეტილი სივრცის – ლიფტის, მეტროს, სკვოშის მოედნის – შიში დასჩემდა. ლიფტი სრულიად უსაფრთხო მანქანაა. გამუდმებით უმტკიცებდა თავის თავს, თუმცა არასდროს სჯეროდა ამისა. ეს არის ჩაკეტილ შახტაში ჩამოკიდებული პატარა ლითონის ყუთი! სუნთქვაშეკრულმა შედგა ფეხი ლიფტში და ადრენალინის ნაცნობი მოძალება იგრძნო, როდესაც კარი სრიალით დაიხურა.

ორი სართული, ათი წამი.

– თქვენ და ბატონი სონიერი, უთხრა ფაშმა, როდესაც ლიფტი დაიძრა, ერთმანეთს არასდროს დალაპარაკებიხართ? არასდროს გისაუბრიათ? ფოსტითაც არაფერი გაგიგზავნი-ათ ერთმანეთისთვის?

კიდევ ერთი უცნაური შეკითხვა. ლენგდონმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

– არა, არასდროს.

ფაშმა თავი ასწია, თითქოს გაგონილი ტვინში ჩაინიშნა. არაფერი უთქვამს, უბრალოდ მიაშტერდა თავის წინ თავის ქრომირებულ კარს.

სანამ ლიფტით ადიოდნენ, ლენგდონი ცდილობდა, არ ეფიქრა გარშემო შემოჯარულ კედლებზე. ლიფტის პრიალა კარში კაპიტანის ჰალსტუხის ქინძისთავი დაინახა. ეს იყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერცხლის ჯვარცმა, რომელშიც ჩასმულიიყო შავი ონიქსის ცამეტი თვალი. ლენგდონს ეს ცოტა უცნაურად მოეჩვენა. ეს სიმბოლო ცნობილი იყო როგორც crux gemmata 13 პატიოსანი თვლით მორთული ჯვარი – ქრისტიანული იდეოგრამა, რომელიც ასახავს ქრისტეს და მის თორმეტ მოციქულს. როგორღაც არ ელოდა ლენგდონი, რომ ფრანგული პოლიციის კაპიტანი თავის რელიგიურობას ასე ღიად ამჟღავნებდა. მაგრამ საქმე საფრანგეთს ეხებოდა, სადაც ქრისტიანობა იმდენად რელიგია კი არა, უფრო დაბადებით მიღებული უფლებაა.

– ეს აგამშვენებული ჯვარია, – თქვა ფაშმა უეცრად.

გაოცებულმა ლენგდონმა აიხედა, რომ დაენახა, თუ როგორ უყურებდა მას ფაში კარის ანარეკლში.

ლიფტი შეჯანჯღარდა, და კარი გაიღო. ლენგდონმა სწრაფად გადმოაბიჯა დარბაზისკენ მიმავალ გზაზე. იგი ისწრაფოდა ღია, ფართო სივრცისკენ, რომელსაც ლუვრის გალერეების ცნობილი მაღალი ჭერი ქმნიდა. თუმცა, სამყარო, სადაც მან გადმოაბიჯა, სულაც არ იყო ისეთი, როგორსაც ელოდა.

გაოცებული ლენგდონი უცებ შეჩერდა.

ფაშმა მას გადახედა.

– როგორც ვხვდები, ბატონო ლენგდონ, თქვენ არასდროს გინახავთ ლუვრი სამუშაო საათების შემდეგ.

მგონი, არა, გაიფიქრა ლენგდონმა და საკუთარ შეგრძნებებში სცადა გარკვევა.

ჩვეულებრივ უნაკლოდ განათებული, ამ ღამით ლუვრის გალერეები უცნაურად ჩაბნელებულიყო. ჭერიდან გადმოფრქვეული უხვი თეთრი შუქი ახლა მუქი წითელი ნათებით შეიცვალა, რომელიც თითქოს ქვევიდან ზევით ამოდიოდა. ეს იყო ფილებით მოპირკეთებულ იატაკზე დაღვრილი გაფანტული სინათლის ლაქები.

როდესაც ლენგდონმა ბნელ დერეფანში გაიხედა, მიხვდა, რომ სწორედ ასეთი სურათი დახვდებოდა. თითქმის ყველა მთავარ გალერეაში ღამით წითელ სათადარიგო განათებას იყენებდნენ. ეს იყო სტრატეგიულ ადგილებში ქვედა დონეზე მოთავსებული მშვიდი განათება, რაც მომსახურე პერსონალს დერეფნებში მოძრაობის საშუალებას აძლევს, სურათები კი ამ დროს შედარებით ბნელ გარემოში რჩებოდა. ასე ნაკლებად ემუქრებათ გახუნება სინათლეში ზედმეტად ყოფნის შედეგად. ღამით მუზეუმი დამთრგუნველი იყო. გრძელ ჩრდილებს დაეპყროთ მთელი სივრცე და ჩვეულებრივ ცად აზიდული თაღოვანი ჭერი დაბალ და შავ სიცარიელეს ჰგავდა.

– აქეთ, – თქვა ფაშმა, მკვეთრად მიტრიალდა მარჯვნივ და გაემართა ერთმანეთთან დაკავშირებული გალერეების რიგისაკენ ლენგდონმა გაჰყვა. თვალებით ნელ-ნელა ეჩვეოდა სიბნელეს. ირგვლივ ზეთის საღებავებით შესრულებული დიდი ზომის ტილოები თანდათანობით რეალურ სახეს იღებდა, თითქოს უზარმაზარ ბნელ ოთახში ფოტოსურათები მჟღავნდებოდა... და ოთახიდან ოთახში გადასვლისას, პორტრეტების მზერა მიაცილებდა. ლენგდონმა იგრძნო მუზეუმის ნაცნობი ატმოსფერო – მშრალ, დეიონიზებულ ჰაერში ნახშირბადის ოდნავი სუნი იგრძნობოდა – ეს იყო ქარხნული წესით დამზადებული, ნახშირბადის ფილტრებით აღჭურვილი მოწყობილობის მუშაობის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შედეგი: იგი დამთვალიერებლების ამონასუნთქ ნახშირორჟანგს ანეიტრალებს და ზედმეტ სინესტეს ებრძვის.

გამოსაჩენ ადგილებზე დამონტაჟებული ვიდეოკამერები დამთვალიერებლებს გასაგებ ინფორმაციას აწვდის: ჩვენ გხედავთ. ხელი არაფერს შეახოთ.

არის რომელიმე ნამდვილი? – ჰკითხა ლენგდონმა და კამერებზე მიუთითა.

ფაშმა თავი გააქნია. „რა თქმა უნდა, არა“. ლენგდონს არ გაჰკვირვებია. ვიდეოთვალთვალი ასე დიდ მუზეუმებში არაეკონომიური

და არაეფექტურია. ლუვრის უამრავ გალერეაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებით მიღებული მასალის მონიტორინგისათვის მუზეუმს რამდენიმე ასეული ტექნიკური მუშაკი

დასჭირდებოდა. დიდი მუზეუმების უმრავლესობა ახლა ე.წ. „შემაკავებელ დაცვას“ იყენებს.

ნუ დააკავებთ ქურდებს გარეთ. უმჯობესია ისინი შიგნით დააკავოთ. შეკავების სისტემა ირთვება ექსპონატის შეხებისთანავე და, თუ ქურდი რომელიმე მათგანს მოხსნის, გასასვლელები სათანადო გალერეის ირგვლივ ჰერმეტულად დაიხურება, ქურდი კი პოლიციის მოსვლამდე რკინის გისოსებს უკან აღმოჩნდება.

ვიღაცეების ხმათა ექო ისმოდა მარმარილოს დერეფანში მათ ზევით, ხმა თითქოს დიდი ნიშნის წინ და მარჯვნივ მოდიოდა. კაშკაშა სინათლემ გაანათა დერეფანი.

ეს მუზეუმის კურატორის კაბინეტია, თქვა კაპიტანმა.

ფაშთან ერთად ნიშას მიახლოებულმა ლენგდონმა ქვევით, სონიერის მდიდრულ კაბინეტში ჩაიჭყიტა – თბილი ხე, ძველი მხატვრების ორიგინალები და უზარმაზარი ძველებური საწერი მაგიდა, რომელზეც იდგა ორი ფუტის სიმაღლის სრულად აღჭურვილი

რაინდის მოდელი. ოთახში რამდენიმე პოლიციის აგენტი ფუსფუსებდა – ტელეფონით ლაპარაკობდნენ და რაღაცას იწერდნენ. ერთერთი სონიერის მაგიდასთან იჯდა და პორტატიულ კომპიუტერზე ბეჭდავდა. აშკარა იყო, რომ მუზეუმის კურატორის პირადი კაბინეტი ამ საღამოს პარიზის სამძებრო პოლიციის დეპარტამენტის საველე პოსტი გამხდარიყო.

ბატონებო, დაიძახა ფაშმა და ოთახში მყოფი მამაკაცები მისკენ მოტრიალდნენ, Ne nous derangez pas sous aucun pretexte. გესმით?

ყველამ, ვინც ოთახში იმყოფებოდა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ლენგდონს საკმაოდ ბევრი წარწერა ენახა ამ ტექსტით: NE PAS DERANGER

სასტუმროს ოთახების კარებზე, რომ მიმხვდარიყო, რას ითხოვდა კაპიტანი. ფაში და ლენგდონი არავის არავითარი მიზეზით არ უნდა შეეწუხებინა.

მის შემედეგ ფაში ლენგდონს ქვევით ჩაუძღვა ბნელ დერეფანში. ოცდაათი იარდის იქით ბუნდოვნად მოჩანდა შესასვლელი ლუვრის ყველაზე ცნობილ ნაწილში – დიდ გალერეაში – ეს თითქოს უსასრულო დერეფანი იყო, სადაც ლუვრის უძვირფასესიიტალიური შედევრები ეკიდა. ლენგდონი უკვე მიხვდა, რომ სწორედ აქ იყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დასვცენებული სონიერის ნეშტი; დიდი გალერეის ცნობილი პარკეტის იატაკი უშეცდომოდ
ამოიცნო პოლაროიდის ფოტოზე.
როდესაც მიუახლოვდნენ, ლენგდონმა დაინახა, რომ შესასვლელი ჩაკეტილი იყო უზარმაზარი ფოლადის რიკულებით, როგორც შუა საუკუნეების ციხესიმაგრეებში, როცა მაროდიორი დაქირავებული ჯარებისაგან იცავდნენ ხოლმე თავს.
შემაკავებელი დაცვა, თქვა ფაშმა ფოლადის ცხაურთან.
ეს ბარიკადა სიბნელეშიც კი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ტანკსაც გაუმკლავდებოდა.
ლენგდონმა შეიჭყიტა რიკულებს შორის დიდი გალერეის სუსტად განათებულ მღვიმეში.
თქვენს შემდეგ, ბატონო ლენგდონ, უთხრა ფაშმა.
ლენგდონი მოტრიალდა. ჩემს შემდეგ, სად?
ფაშმა მიუთითა იატაკზე, რიკულების ქვეშ.
ლენგდონმა ძირს დაიხედა. სიბნელეში მან ვერ შეამჩნია ეს გასაძვრომი. ბარიკადა დაახლოებით ორი ფუტით იყო აწეული და ქვევით მოუხერხებელი ღრიჭო დარჩენილიყო.
ეს ადგილი ჯერ კიდევ მიუწვდომელია ლუვრის დაცვისათვის, თქვა ფაშმა, ჩემმა გუნდმა ტექნიკური და სამეცნიერო პოლიციიდან ესაესაა დაამთავრა გამოძიება, და ღია ადგილზე მიუთითა, ამის ქვეშ შეძვერით, თუ შეიძლება.
ლენგდონმა შეხედა მის წინ მდებარე ვიწრო გასახოხებელ სივრცეს. ხუმრობს, არა?
ბარიკადა ჰგავდა გილიოტინას, რომელიც ჩამოსავარდნად და თავზე დასაცემად იყო მზად.
ფაშმა რაღაც ჩაიბუზღუნა და საათს დახედა. შემდეგ მუხლებზე დავარდა და თავისი მასიური სხეული ალაყაფის კარის ქვეშ შეასრიალა. მერე მეორე მხარეს წამოდგა და ლენგდონს რიკულებიდან გამოხედა.
ლენგდონმა ამოიოხრა. ხელისგულები პრიალა პარკეტს დაადო, მუცელზე გაწვა და წინ გაათრია სხეული. ქვეშ გაძვრომისას, ჰარისის ტვიდის პიჯაკის საყელო ცხაურის ძირს გამოედო და რკინაზე კეფა მიარტყმევინა.
რა ყოჩაღი ხარ, რობერტ, გაიფიქრა მან, თავი გაითავისუფლა და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა გაძრომა. ფეხზე წამომდგარი კი მიხვდა, რომ წინ ძალიან გრძელი ღამე ელოდა.
თავი 5
მიურეი ჰილი – ოპუს დეის მსოფლიო შტაბბინა და საკონფერენციო დარბაზი, მდებარეობს ნიუიორკში, ლექსინგტონავენიუზე, 243 ნომერში. 47 მილიონ დოლარზე მეტად ღირებული 133000 კვადრატული ფუტის ფართობის კოშკი წითელი აგურით და ინდიანის შტატში მოპოვებული კირქვით არის მოპირკეთებული. შენობა დააპროექტა „მეი
& პინსკამ“ და შიგ ასზე მეტი საწოლი ოთახი, ექვსი სასადილო, ბევრი ბიბლიოთეკა, სასტუმრო ოთახი, საქმიანი შეხვედრებისათვის საჭირო სივრცე და კაბინეტია. მეორე, მერვე და მეთექვსმეტე სართულებზე განლაგებულია მოჩუქურთმებული მარმარილოთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოპირკეთებული სამლოცველოები. მეჩვიდმეტე მთლიანად საცხოვრებელი სართულია. შენობაში შესვლა მამაკაცებს შეუძლიათ მთავარი შესასვლელიდან ლექსინგტონავენიუს მხრიდან. ქალებისთვის კი გვერდითი ქუჩიდან არის ცალკე შესასვლელი და შენობაში ყოფნის დროსაც ისინი ყოველთვის „აკუსტიკურად და ვიზუალურად განცალკევებულები“
არიან მამაკაცებისაგან.
ამ საღამოს, ცოტა უფრო ადრე, თავისი პენტჰაუსის აპარტამენტის სამლოცველოში ეპისკოპოსმა მანუელ არინგაროსამ პატარა სამგზავრო ჩანთა ჩაალაგა და ტრადიციული შავი კაბა ჩაიცვა. ჩვეულებრივ იგი წელზე მეწამულ სარტყელს იხვევდა ხოლმე, მაგრამ ეს ღამე უამრავი ხალხით გარემოცულს უნდა გაეტარებინა და ამიტომ გადაწყვიტა, მაინცდამაინც არ გამოეჩინა თავისი მაღალი სტატუსი. მხოლოდ დაკვირვებული ადამიანი
თუ შეამჩნევდა მის თოთხმეტკარატიან ოქროს საეპისკოპოსო ბეჭედს, რომელსაც მეწამული ამეთვისტო და დიდი ბრილიანტები ამშვენებდა და ზედ ამოჭრილი იყო მიტრა
და საეპისკოპოსო კვერთხი. მან ჩანთა მხარზე გადაიკიდა, მდუმარედ ილოცა, აპარტამენტებიდან გამოვიდა და კიბით ჩავიდა დერეფანში, სადაც მძღოლი ელოდებოდა აეროპორტში წასაყვანად.
ახლა იგი იჯდა რომისკენ მიმავალ კომერციულ თვითმფრინავში და სარკმლიდან გადასცქეროდა ჩაბნელებულ ატლანტის ოკეანეს. მზე უკვე ჩასული იყო, მაგრამ არინგაროსამ იცოდა, რომ მისი ვარსკვლავი ახლა იწყებდა ამოსვლას. ამაღამ ბრძოლას მოვიგებთ, გაიფიქრა მან. გაოცებით ფიქრობდა იმაზეც, რომ ჯერ კიდევ სულ რამდენიმე თვის წინ თავს უძლურად გრძნობდა იმათ წინაშე, ვინც დანგრევით ემუქრებოდა მის იმპერიას.
ოპუს დეის გენერალურმა პრეზიდენტმა, ეპისკოპოსმა არინგაროსამ, თავისი ცხოვრების ბოლო ათი წელი ოპუს დეის, სიტყვასიტყვით, „ღვთის საქმის“ მოძღვრების გავრცელებაში გაატარა. საძმო, დაარსებული 1928 წელს ესპანელი მღვდლის, ხოსე მარია ესკრივას მიერ, ხელს უწყობდა კონსერვატიული კათოლიკური ფასეულობების დაბრუნებას
და აქეზებდა თავის წევრებს, სიცოცხლეშივე გაეღოთ უზარმაზარი მსხვერპლი საღვთო საქმის შესასრულებლად.
ოპუს დეის ტრადიციონალისტური ფილოსოფია თავდაპირველად ესპანეთში ფრანკოს რეჟიმამდე წარმოიშვა, მაგრამ 1934 წელს ხოსე მარია ესკრივამ გამოაქვეყნა სასულიერო შინაარსის წიგნი „სამეუფო გზა, ანუ 999 საკითხი მედიტაციისათვის: როგორ შევასრულოთ
ღვთის საქმე ამქვეყნიურ ცხოვრებაში“ რის შედეგადაც მისი ქადაგება აფეთქების ტალღასავით სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. დღეს „სამეფო გზის“ ტირაჟი 4 მილიონ ეგზემპლარს აღემატება, თარგმნილია 42 ენაზე, ოპუს დეი კი გლობალურ ძალად იქცა. მისი საცხოვრებელი დარბაზები, სასწავლო ცენტრები და უნივერსიტეტებიც კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსოფლიოს ნებისმიერ დიდ მეტროპოლისში შეიძლება ვიპოვოთ. ოპუს დეი ყველაზე სწრაფად მზარდი და ფინანსურად ყველაზე დაცული კათოლიკური ორგანიზაციაა მსოფლიოში. სამწუხაროდ, არინგაროსამ ახლა უკვე იცოდა, რომ რელიგიური ცინიზმის, ათასგვარი უცნაური კულტისა და ტელემქადაგებლის საუკუნეში ოპუს დეის მზარდი სიმდიდრე და ძალაუფლება მაგნიტივით იზიდავს ეჭვს. – ოპუს დეის ბევრი „ტვინების გამომრეცხავ“ კულტს უწოდებს, ჟურნალისტებს ხშირად დაუსვამთ მისთვის ეს შეკითხვა;
სხვები ულტრაკონსერვატორებს, ქრისტიანულ საიდუმლო საზოგადოებას გიწოდებენ. რომელი ხარ?
ოპუს დეი არც ერთი მათგანი არ არის, მოთმინებით პასუხობდა ეპისკოპოსი, ჩვენ ვართ კათოლიკური ეკლესია. ჩვენ კათოლიკეთა საძმო ვართ, და პრიორიტეტად ავირჩიეთ, ისე ზედმიწევნით მივყვეთ კათოლიკურ დოქტრინას, როგორც ამას შევძლებთ ჩვენს საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში.
ღვთის საქმე მართლა აუცილებლად გულისხმობს დაუქორწინებლობის აღთქმას, საეკლესიო მეათედის გადახდევინებას და ცოდვების მონანიებას თვითგვემითა და სპეციალური ძაძის ჩაცმით?
თქვენ ოპუს დეის მხოლოდ მცირედ ნაწილს აღწერთ, ამბობდა არინგაროსა, მრავალი სხვა ფორმაც არსებობს. ოპუს დეის ათასობით წევრი დაქორწინებულია, ჰყავს ოჯახი და ასრულებს ღვთის საქმეს თავის თემში. სხვები ცხოვრების ასკეტურ წესს ირჩევენ
და ჩვენს განმარტოებულ საცხოვრებელ დარბაზებში ბინადრობენ. ყოველ ადამიანს აქვს ინდივიდუალური არჩევანის გაკეთების უფლება, მაგრამ ოპუს დეის ყველა წევრი ერთ მიზანს ემსახურება: გააუმჯობესოს მსოფლიო ღვთის საქმის კეთებით. დარწმუნებული ვარ,
ეს მოსაწონი მიზანია.
მაგრამ საღი აზრი იშვიათად მოქმედებდა. მედიას ყოველთვის იზიდავდა სკანდალი. ამის საბაბსაც პოულობდნენ, რადგან ოპუს დეის, როგორც დიდი ორგანიზაციების უმრავლესობას, თავის წევრებს შორის აღმოაჩნდებოდა ხოლმე თითოოროლა გზასაცდენილი არსება, რომლის საქციელი ჩრდილს აყენებდა მთელს საზოგადოებას. ორი თვის წინ შუა დასავლეთის უნივერსიტეტიდან ოპუს დეის ერთერთი ჯგუფი მაშინ დაიჭირეს, როდესაც ისინი ორგანიზაციის ახალ წევრებს ნარკოტიკ მესკალინით აბრუებდნენ, რათა გამოეწვიათ ეიფორიული მდგომარეობა, რომელსაც ახალმოქცეულები მისტიკურ გამოცდილებად აღიქვამდნენ. მეორე სტუდენტმა ეკლიანიძაძა რეკომენდებულ
ორ საათზე მეტ ხანს ატარა, სხეულში ინფექცია შეეჭრა და კინაღამ დაიღუპა. ცოტა ხნის წინ
ბოსტონში იმედგაცრუებულმა ბანკირმა მთელი თავისი დანაზოგი ოპუს დეის უანდერძა და
შემდეგ თვითმკვლელობა სცადა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გზასაცდენილი კრავი, გაიფიქრა არინგაროსამ. მას გულით უყვარდა ისინი.
რა თქმა უნდა, ყველაზე უხერხული იყო ფედერალური სადაზვერვო ბიუროს ჯაშუშის, რობერტ ჰანსენის ფართოდ რეკლამირებული საქმე. ოპუს დეის ეს მნიშვნელოვანი წევრი, სექსუალური უკუღმართობებისკენაც იყო მიდრეკილი. მისი სასამართლო პროცესის დროს
დადგინდა, რომ საწოლ ოთახში ვიდეოკამერა ჰქონდა დამალული და მის მეგობრებს შეეძლოთ მეუღლესთან მისი სექსუალური ურთიერთობებისთვის ეყურებინათ. „ეს სულაც
არ ჰგავს ღვთისმოსავი კათოლიკესათვის შესაფერ ცხოვრების წესს“, აღნიშნა მოსამართლემ.
სამწუხაროდ, ყველა ამ მოვლენამ ხელი შეუწყო ახალი სამეთვალყურეო ჯგუფის დაარსებას, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც ოპუს დეის შესახებ ინფორმაციის შემცველი ქსელი. ჯგუფის პოპულარული საიტი – წწწ.ოდან.ორგ – სადაც ოპუს დეის ყოფილი წევრები თავისი წარსულის საშინელებებს ყვებოდნენ. ამით დანარჩენებს აფრთხილებდნენ, თუ რა ხიფათში შეიძლება გახვეულიყვნენ ისინი ჯგუფში შესვლის შემდეგ. ახლა მედია ოპუს დეის მოიხსენიებდა, როგორც „ღმერთის მაფიას“ და „ქრისტეს კულტს“.
ჩვენ გვეშინია იმისა, რაც არ გვესმის, გაიფიქრა არინგაროსამ, თან აინტერესებდა, ნეტა თუ იციან ამ კრიტიკოსებმა, პუს დეიმ რამდენი ვინმეს ცხოვრება გაამდიდრაო. ჯგუფი
ვატიკანის სრული მხარდაჭერითა და კურთხევით სარგებლობდა. ოპუს დეი არის პაპის პირადი პრელატურა.
მაგრამ ცოტა ხნის წინ ოპუს დეის ისეთი ძალა დაემუქრა, რომელიც მედიაზე უფრო ძლიერი იყო... მოულოდნელი ძალა, რომელსაც არინგაროსა ალბათ ვერც კი დაემალებოდა. ხუთი თვის წინ, ძალაუფლების კალეიდოსკოპი შეანჯღრიეს და არინგაროსა ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს ამ დარტყმისაგან.
მათ არ იციან, რა ომი წამოიწყეს, ჩაიჩურჩულა არინგაროსამ, რომელიც თვითმფრინავის ილუმინატორიდან ქვევით ოკეანის სიბნელეს მიშტერებოდა. წამით მზერა
მინაში არეკლილ თავის ტლანქ სახეზე შეაჩერა – ამ შავგვრემან და წაგრძელებულ სახეზე გამოირჩეოდა ბრტყელი, მონგრეული ცხვირი, რომელსაც დიდი ხნის წინათ ესპანეთში მისიონერობის დროს მიღებული მუშტის კვალი ეტყობოდა. ფიზიკური ნაკლი, რომელიც ახლა პრაქტიკულად არაფერს ნიშნავდა, რადგან არინგაროსა სულის სამყაროს ეკუთვნოდა და არა ხორცისას.
როდესაც თვითმფრინავმა პორტუგალიის სანაპიროს გადაუფრინა, არინგაროსას ანაფორაში მობილურმა ტელეფონმა დაიწყო ვიბრირება. მიუხედავად წესებისა, რომლებიც კრძალავდა ფრენის დროს მობილურების გამოყენებას, არინგაროსამ იცოდა, რომ ამ ზარზე უარს ვერ იტყოდა. მხოლოდ ერთს ჰქონდა ეს ნომერი – კაცს, რომელმაც ფოსტით გამოუგზავნა მას ტელეფონი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აღელვებულმა ეპუსკოპოსმა ჩუმად უპასუხა.
 დიახ?
 სილასმა დაადგინა ქვაკუთხედის ადგილმდებარეობა, თქვა ხმამ, ის პარიზშია. სენ სიულპისის ეკლესიაში
ეპისკოპოსმა არინგაროსამ გაიღიმა.
 მიზანს მივუახლოვდით.
 ჩვენ დაუყოვნებლივ შეგვიძლია მისი ხელში ჩაგდება. მაგრამ თქვენი გავლენა გვჭირდება.
 რა თქმა უნდა. მიბრძანეთ, რა გავაკეთო.
არინგაროსას გული ლამის ამოუვარდა, როდესაც მობილური გამორთო. კიდევ ერთხელ დააკვირდა ღამის სიცარიელეს. მის მიერ ამოქმედებული მოვლენების ფონზე, თავს ქონდრისკაცად გრძნობდა.
ხუთასი მილის დაშორებით, ალბიონი, სახელად სილასი, იდგა პატარა წყლიანი თასის წინ და რბილი ქსოვილით ნელნელა იშორებდა სისხლს ზურგიდან, თან თვალს ადევნებდა
წყალში დაკლაკნილ მოწითალო კვალს. მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, ბუტბუტებდა ის ფსალმუნის სიტყვებს, განმბანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკნე.
სილასმა იგრძნო, როგორ გაიღვიძა მასში მოლოდინმა, რაც წინა ცხოვრების მერე აღარ უგრძვნია. ამან გააოცა და აღაგზნო. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე იგი სამეფო გზას მისდევდა, ცდილობდა განწმენდილიყო ცოდვებისაგან, ხელახლა აეგო თავისი ცხოვრება, ამოეშალა წარსულის სისასტიკე. მაგრამ ამ ღამით ეს ყველაფერი უკან დაუბრუნდა, თავს დაატყდა. სიძულვილი, რომლის დამარცხებაც უდიდესი გაჭირვებით შეძლო, კვლავ ამოუტივტივდა. იგი გააოცა სისწრაფემ, რომლითაც მისი წარსული ზედაპირზე დაბრუნდა. და მასთან ერთად, რა თქმა უნდა, შესაბამისი უნარჩვევებიც – დაჟანგული, მაგრამ გამოყენებადი.
იესო გვეუბნება, იყოს მშვიდობა... არა ძალადობა... სიყვარული. ამას ასწავლიდნენ სილასს სულ თავიდან და ამას ატარებდა იგი გულით. და სწორედ ამის დანგრევით იმუქრებოდნენ ახლა ქრისტეს მტრები. ვინც ღვთის წინააღმდეგ მახვილს აიღებს, მახვილითვე განიგმირება. წარბშეუხრელად და ულმობლად.
ორი ათასწლეულის მანძილზე ქრისტიანი ჯარისკაცები იცავდნენ თავიანთ რწმენას იმათგან, ვინც ცდილობდა მის ხელყოფას. ამ ღამით სილასი ბრძოლაში გაიწვიეს.
მან შეიშრო ჭრილობები, ჩაიცვა კაპიუშონიანი მუხლებამდე მოსასხამი. სამოსი უბრალო იყო, მუქი შალისაგან შეკერილი, და ხაზს უსვამდა მისი კანისა და თმის სითეთრეს. წელზე თოკის ქამარი შემოიჭირა. თავზე კაპიუშონი ჩამოიცვა და წითელი თვალებით კმაყოფილი მზერა შეავლო თავის გამოსახულებას სარკეში. ბორბლები დატრიალდა.
თავი 6
ცხაურის ქვეშ გამძვრალი რობერტ ლენგდონი ახლა დიდ გალერეაში იდგა და გრძელი, ღრმა მღვიმის შესასვლელს მიშტერებოდა. გალერეის ორსავე მხარეს ოცდაათი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფუტის სიმაღლის შიშველი კედლები იყო აღმართული, რომლებიც მაღლა სიცარიელეში იკარგებოდა. მოწითალოდ ღვიოდა ქვემოდან ზემოთ მიმართული სათადარიგო განათება და არაბუნებრივი მბჟუტავი სინათლე ეფინებოდა ლეონარდოს, ტიციანისა და კარავაჯოს სურათების არათანაბრად განლაგებულ კოლექციას, რომლებიც ჭერიდან ჩამოშვებულ მავთულებზე ეკიდა. ნატიურმორტებს, რელიგიურ სცენებსა და პეიზაჟებს დიდგვაროვანთა
და პოლიტიკოსთა პორტრეტები მოჰყვებოდა.
მართალია, ლუვრის დიდ გალერეაში გამოფენილი იყო იტალიური ხელოვნების ყველაზე ცნობილი ნიმუშები, მაგრამ ბევრი დამთვალიერებლის აზრით, ყველაზე გასაოცარი მაინც სახელგანთქმული პარკეტის იატაკი იყო. მუხის ფილები არაჩვეულებრივ
გეომეტრიულ ნახატს ადგენდა. იქმნებოდა ხანმოკლე ოპტიკური ილუზია, თითქოს ფეხქვეშ
ერთგვარი მრავალგანზომილებიანი ქსელი გაბმულიყო და სტუმრებს შთაბეჭდილება ექმნებოდათ, თითქოს გალერეაში მყოფნი ყოველ წამს ცვალებად ზედაპირზე ლივლივებდნენ.
ლენგდონის მზერა მიჰყვა იატაკის მოზაიკას და უცებ თვალში მოხვდა მოულოდნელი საგანი, რომელიც იატაკზე იდო მისგან მარცხნივ რამდენიმე იარდის მოშორებით და გარშემორტყმული იყო პოლიციის მიერ გაბმული ლენტით. იგი უცებ მიტრიალდა ფაშისკენ.
ის... კარავაჯოა იატაკზე?
ფაშმა თავი დაუქნია ისე, რომ მისთვის არც კი შეუხედავს.
ნახატი, რომელიც ლენგდონმა ამოიცნო, ორ მილიონ დოლარზე მეტი ღირდა, და ის მაინც იატაკზე ეგდო, როგორც ძველი აფიშა.
რა ჯანდაბა უნდა იატაკზე!
ფაშმა გაბრაზებული და დაჟინებული მზერა მიაპყროს ლენგდონს და ამ ნათქვამმა აშკარად არც კი იმოქმედა მასზე.
ეს დანაშაულის ადგილია, ბატონო ლენგდონ. ჩვენ ხელი არაფრისთვის გვიხლია. ეს ნახატი მუზეუმის კურატორმა მოგლიჯა კედლიდან. სწორედ ასე შეძლო მან დამცავი სისტემის ამუშავება.
ლენგდონმა უკან გახედა ჭიშკარს, რათა წარმოედგინა, თუ რა მოხდა აქ.
მუზეუმის კურატორს თავს დაესხნენ თავის კაბინეტში, აქეთ გამოიქცა, დიდ გალერეაში და კედლიდან სურათის ჩამოგლეჯით დაცვის სისტემა აამუშავა. ცხაური მაშინვე ჩამოვარდა და ყველა შემოსასვლელი ჩაკეტა. ეს გალერეაში შემოსასვლელი და აქედან გასასვლელი ერთადერთი კარია.
ლენგდონი დაიბნა.
ესე იგი, კურატორმა ფაქტობრივად დაატყვევა თავისი თავმდასხმელი დიდ გალერეაში?
ფაშმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაკეტილმა ალაყაფის კარმა ერთმანეთისაგან განაცალკევა სონიერი და მისი თავდამსხმელი. მკვლელს აქეთ შემოსასვლელი ჩაეკეტა და დერეფანში დარჩა. მაგრამ მან შეძლო ესროლა სონიერისთვის იქიდან. – ფაშმა მიუთითა ნარინჯისფერ იარლიყზე, რომელიც ჩამოკიდებული იყო ერთერთ რიკულზე, რომლის ქვეშაც მათ ახლა გაიარეს.
ცხაურზე პოლიციელებმა დენთის კვალი იპოვეს. მან რიკულებს შორის გაისროლა. სონიერი აქ მარტო გარდაიცვალა.
ლენგდონს გაახსენდა სონიერის გვამის ფოტო. ისინი ამბობენ, რომ მან თვითონ უყო თავის თავს ის, რაც ფოტოზეა გამოსახული. ლენგდონმა გახედა მათ წინ უზარმაზარ დერეფანს.
კი მაგრამ, გვამი სად არის?
ფაშმა გაისწორა ჯვრის ფორმის ჰალსტუხის ქინძისთავი და სიარული დაიწყო.
ალბათ იცით, რომ დიდი გალერეა საკმაოდ გრძელია.
ზუსტი სიგრძე, თუ ლენგდონს სწორად ახსოვდა, დაახლოებით ათას ხუთასი ფუტია, ანუ ვაშინგტონის მონუმენტის სამმაგი სიგრძე. ასევე სუნთქვისშემკვრელი იყო დერეფნის სიგანეც. აქ თავისუფლად დაიგებოდა ორმაგი მიმართულების ლიანდაგები. დერეფნის ცენტრში ხან რაიმე ქანდაკება იდგა, ხანაც კოლოსალური ფაიფურის ურნა, რომელიც ექსპოზიციის გემოვნებით შერჩეული თემატური გამოყოფის ფუნქციას ასრულებდა და აწესრიგებდა მოძრაობას ერთი კედლის გასწვრივ ზევით და მეორე კედლის გასწვრივ – ქვევით.
ფაში ახლა ჩუმად იყო და სწრაფი ნაბიჯით მკვირცხლად მიიწევდა დერეფნის მარჯვენა მხარეს. მისი მზერა მხოლოდ წინ იყო მიმართული. ლენგდონი უკიდურეს უპატივცემულობად მიიჩნევდა ამდენი შედევრის სიახლოვეს ჩარბენას, თუნდაც თვალის შესავლებლად გაჩერების გარეშე.
თუმცა ასეთ განათებაში რაღას დავინასავ, გაიფიქრა მან.
ჩახშულმა მეწამულმა განათებამ ლენგდონს მოგონებები აუშალა, გაახსენდა თავისი ბოლო გამოცდილება ვატიკანის საიდუმლო არქივებში. ამ ღამის განმავლობაში ეს უკვე მეორე შემაშფოთებელი პარალელი იყო საბედისწერო რომაულ თავგადასავალთან. მის მეხსიერებაში კიდევ ერთხელ გაიელვა ვიტორიამ. იგი თვეების მანძილზე არ ესიზმრებოდა, ახლა კი... ლენგდონს არ სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი წლის წინ იყო; ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. სხვა ცხოვრებაში. ვიტორიასგან ბოლო წერილი დეკემბერში მიიღო – ღია ბარათი, რომელიც ამცნობდა, რომ ვიტორია იავის ზღვის რომელიღაც კუნძულზე მიემგზავრებოდა, თავისი გამოკვლევის გასაგრძელებლად... საქმე შეეხებოდა დედამიწის მანტიის შესწავლას ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით. ლენგდონს არასოდროს არ ჰქონია იმის ილუზია, რომ ვიტორია ვეტრას, მასთან ერთად კოლეჯის კამპუსში რომ ეცხოვრა, ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ რომში მათი მოულოდნელი შეხვედრის შემდეგ მასში გაიღვიძა მოლოდინის აქამდე უცნობმა, წარმოუდგენელმა გრძნობამ. მისი მუდმივი მისწრაფება უცოლო ცხოვრებისაკენ და ის მარტივი თავისუფლება,რასაც ეს მდგომარეობა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანიჭებდა, ცოტა არ იყოს, შეირყა... შეიცვალა მოულოდნელი სიცარიელით, რომელიც თითქოს ამ წლების მანძილზე გაზრდილიყო.
ისინი სწრაფად მიდიოდნენ, მაგრამ ლენგდონი გვამს ჯერაც ვერ ხედავდა.
ჟაკ სონიერი ასე შორს წავიდა?
ბატონი სონიერი იტანჯებოდა მუცელში ტყვიით მიყენებული ჭრილობით. იგი ძალიან ნელა კვდებოდა. დაახლოებით 1520 წუთის განმავლობაში. იგი უდავოდ ფიზიკურად ძალიან ძლიერი ადამიანი იყო. ლენგდონი შეძრწუნებული მოტრიალდა.
დაცვას 15 წუთი დასჭირდა აქ მოსასვლელად?
რა თქმა უნდა, არა. ლუვრის დაცვა მაშინვე მოვიდა, მაგრამ დიდი გალერეა ჩაკეტილი დახვდათ. მათ გაიგონეს, რომ ვიღაც მოძრაობდა დერეფნის ბოლოს შორეულ კუთხეში, მაგრამ ვერ ხედავდნენ, ვინ იყო. დაიძახეს, მაგრამ მათ არავინ უპასუხა. ივარაუდეს, რომ ეს შეიძლება მხოლოდ დამნაშავე ყოფილიყო, ამიტომ წესდება დაიცვეს და სასამართლო პოლიცია გამოიძახეს. ჩვენ ადგილზე ვიყავით 15 წუთში. როდესაც მოვედით, შევძელით ბარიკადის აწევა იმდენად, რომ მის ქვეშ გავმძვრალიყავით და მე თორმეტამდე შეიარაღებული აგენტი შევუშვი შიგნით. მათ ზედმიწევნით გაჩხრიკეს გალერეა მთელ სიგრძეზე, რომ დამნაშავე ეპოვნათ.
მერე?
ვერავინ ნახეს შიგნით. გარდა... – მან დერეფნის შორეული ბოლოსკენ მიანიშნა, ამის გარდა.
ლენგდონმა მზერა ფაშის წინ გაშვერილ თითს გააყოლა. ჯერ ეგონა, ფაში დერეფნის შუაში მარმარილოს დიდ ქანდაკებაზე მიუთითებდა, როდესაც უფრო ახლოს მივიდნენ, მან
შეძლო ქანდაკების იქითაც დაენახა. 30 იარდით ქვევით დერეფანში მოძრავ სვეტზე დამაგრებული ერთადერთი ლამპიონი ანათებდა იატაკს, და ამით სინათლის ცარიელ კუნძულს ქმნიდა ბნელ, მეწამული შუქით ძლივს განათებულ დერეფანში. სინათლის ცენტრში, როგორც მწერი მიკროსკოპის ქვეშ, ისე იდო პარკეტზე მუზეუმის კურატორის შიშველი გვამი.
თქვენ ფოტო ნანახი გაქვთ, უთხრა ფაშმა, ასე რომ, ეს არ გაგაკვირვებთ.
ლენგდონმა იგრძნო, როგორ აიტანა სიცივემ, როდესაც გვამს მიუახლოვდნენ. მის წინ გადაიშალა ყველაზე უცნაური სანახაობა, რაც კი ოდესმე ენახა.
ჟაკ სონიერის ფერმკრთალი გვამი პარკეტზე სწორედ ისე იდო, როგორც ეს ფოტოზე ჩანდა. ლენგდონი თავზე ადგა მას და ცდილობდა, თვალი შეეგუებინა მკვეთრი სინათლისათვის. ის გაოცებული ფიქრობდა, რომ სონიერმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები იმას მოანდომა, რომ თავისი სხეულისათვის ასეთი უცნაური პოზა მიეცა.
სონიერი თავისი ასაკისთვის საკმაოდ კარგ ფიზიკურ ფორმაში იყო და მთელი მისი მუსკულატურა დაუფარავად იყო გამოფენილი. მას სულ გაეძრო სამოსი, წესიერად დაელაგებინა იატაკზე და თვითონ ფართო დერეფნის ცენტრში ზურგზე დაწოლილიყო, ზუსტად ოთახის გრძელი ღერძის გაყოლებაზე. მკლავები და ხელები ფრთაგაშლილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არწივის მსგავსად ჰქონდა ან ბავშვის გაკეთებული თოვლის კაცივით... ან ადამიანივით, რომელიც დაზგაზე გაჭიმეს და ახლა მის ასაკუწად ემზადებიან რაღაც უხილავი ძალები. სისხლის ლაქა სონიერის მკერდის ძვლის ქვეშ, მიუთითებდა იმ ადგილზე, სადაც ტყვიამ ხორცი გაუმსჭვალა. იქვე პატარა გაშავებული გუბე იდგა. ჭრილობიდან საკვირველად ცოტა სისხლის გამოსულიყო.

სონიერს მარცხენა საჩვენებელი თითიც სისხლიანი ჰქონდა, როგორც ჩანს, თითი ჩაეყო თავის ჭრილობაში. მან საკუთარი სისხლი მელნად გამოიყენა, ხოლო თავისი შიშველი მუცელი – ტილოდ. სონიერმა სხეულზე მარტივი სიმბოლო დაიხატა – ერთმანეთის გადამკვეთი ხუთი სწორი ხაზი, რომლებიც ხუთქიმიან ვარსკვლავს ქმნიდა. პენტაკლი?

სისხლიანი ვარსკვლავის ცენტრი იყო სონიერის ჭიპი, რაც მის გვამს აშკარად ამაზრზენს ხდიდა. ფოტო, რომელიც ლენგდონმა ნახა, შემზარავი იყო, მაგრამ ახლა საკუთარი თვალით ნანახმა კიდევ უფრო ააღელვა.

მან ეს თვითონ უყო თავის თავს.

ბატონო ლენგდონ? – ფაშის მუქი თვალები ისევ მას უყურებდნენ.

ეს ხუთქიმიანი მაგიური ფიგურაა, გამოთქვა აზრი ლენგდონმა. მისი ხმა უცნაურად ისმოდა ამ უზარმაზარ სივრცეში. – ეს ერთერთი უძველესი სიმბოლოა დედამიწაზე. იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოთხი ათასი წლით ადრე გამოიყენებოდა.

კი მაგრამ რას ნიშნავს?

ლენგდონი ყოველთვის ყოყმანობდა, როდესაც ამ კითხვას აძლევდნენ. იმის ახსნა, თუ რას „ნიშნავს“ სიმბოლო, იგივე იქმნებოდა, ვინმესთვის რომ გეკითხა, როგორ იმოქმედებს შენზე ესა თუ ის სიმღერაო – ეს ხომ ყოველი ადამიანისათვის სხვადასხვა იქნება. კუ კლუქს

კლანის თეთრი თავსაბურავი შეერთებულ შტატებში სიძულვილისა და რასიზმის ასოციაციას იწვევს, ხოლო ესპანეთში იგივე კოსტიუმი ქრისტიანული რწმენის სიმტკიცეს ასახავს.

სიმბოლოებს სხვადასხვა გარემოში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, თქვა ლენგდონმა. – ხუთქიმიანი მაგიური ფიგურა, პირველ რიგში, წარმართული რელიგიური სიმბოლოა.

ფაშმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ეშმაკის თაყვანისცემა.

არა, მიუგო ლენგდონმა და მაშინვე მიხვდა, რომ უფრო გასაგებად უნდა ელაპარაკა. დღეს ტერმინით წარმართული ლამის ეშმაკის თაყვანისცემა იგულისხმება – დიდი შეცდომაა. ლათინურად წარმართი არის paganus, რაც ნიშნავსსოფლის მცხოვრებს. „წარმართებს“ სინამდვილეში უწოდებდნენ უსწავლელ სოფლელებს, რომლებიც ბუნების თაყვანისცემის ძველი, სოფლისათვის დამახასიათებელი რელიგიის ერთგულები დარჩნენ.

სინამდვილეში ისეთი ძლიერი იყო ეკლესიის შიში იმათ მიმართ, ვინც სოფლებში ცხოვრობდა, რომ მისგან ნაწარმოებმა, ერთ დროს უწყინარმა სიტყვამ „სოფლელი“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოროტი სულის“ მნიშვნელობა მიიღო.
ხუთქიმიანი მაგიური ფიგურა, განმარტა ლენგდონმა, ბუნების თაყვანისცემასთან დაკავშირებული წინაქრისტიანული სიმბოლოა. უძველესი ადამიანები აღიქვამდნენ თავიანთ სამყაროს, როგორც ორი, მამრობითი და მდედრობითი, ნაწილისაგან შემდგარს. მათი ღმერთები და ქალღმერთები ძალაუფლების ბალანსის, ინისა და იანის შესანარჩუნებლად მუშაობდნენ. როდესაც მამრობითი და მდედრობითი ძალები გაწონასწორებულია, მსოფლიოში ჰარმონია სუფევს. როდესაც ისინი გაწონასწორებულნი არ არიან, ქაოსი მკვიდრდება, ლენგდონმა მიუთითა სონიერის მუცელზე, ეს მაგიური ფიგურა აღნიშნავს ყველა საგნის მდედრობითი ნაწილს, რომელსაც რელიგიის ისტორიკოსები უწოდებენ „წმინდა მდედრს“ ან „ღვთაებრივ ქალღმერთს“. სონიერს ნამდვილად ეცოდინებოდა.
სონიერმა ქალღმერთის სიმბოლო მუცელზე დაიხატა?
ლენგდონიც ფიქრობდა, რომ ეს მართლაც უცნაური იყო. „ყველაზე სპეციფიკური ინტერპრეტაციის მიხედვით, ეს მაგიური ფიგურა არის ვენერას სიმბოლო, რომელიც სექსუალური სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთია. ფაშმა დახედა შიშველ კაცს და ამოიოხრა.
ადრეული რელიგია დაფუძნებული იყო ბუნების ღვთაებრივ კანონზომიერებაზე. ქალღმერთი ვენერა და პლანეტა ვენერა ერთი და იგივე იყო. ქალღმერთს ღამეულ ცაზე ჰქონდა ადგილი და ბევრი სახელით იყო ცნობილი: ვენერა, აღმოსავლეთის ვარსკვლავი, იშტარი, ასტარტე. ყოველი მათგანი ძლიერი ქალურობის ცნებას გამოხატავდა და დაკავშირებული იყო ბუნებასა და დედამიწასთან.
ფაში ახლა უფრო შეწუხებული ჩანდა, თითქოს მას ეშმაკის თაყვანისცემის აზრი ერჩივნა.
ლენგდონმა გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა მაგიური ფიგურის ყველაზე გასაოცარ თვისებაზე – ვენერასთან მისი კავშირების გრაფიკულ საწყისზე. როცა ახალგაზრდობაში სტუდენტი ლენგდონი ასტრონომიას შეისწავლიდა, გაოცდა, როდესაც გაიგო, რომ პლანეტა ვენერა ხაზავს ზუსტ ხუთქიმიან მაგიურ ფიგურას დაბნელებულ ცაზე ყოველი რვა
წლის მანძილზე. ისეთი გაოგნებული იყვნენ ჩვენი წინაპრები, როდესაც ეს მოვლენა შეამჩნიეს, რომ ვენერა და მისი მაგიური ფიგურა სრულყოფილების, სილამაზისა და სექსუალური სიყვარულის ციკლური ხასიათის სიმბოლოებად მიიჩნიეს. ვენერას მაგიურობისათვის ვალის მოხდის მიზნით, ბერძნებმა გამოიყენეს მისი რვაწლიანი ციკლი
თავიანთი ოლიმპიური თამაშების მოსაწყობად. დღეს ბევრმა არ იცის, რომ ოლიმპიური თამაშების ოთხწლიანი განრიგიც ვენერას ნახევარ ციკლს მიჰყვება. კიდევ უფრო ცოტამ იცის, რომ ხუთქიმიანი ვარსკვლავი კინაღამ ოლიმპიადის ოფიციალური ემბლემა გახდა, მაგრამ უკანასკნელ წუთში შეიცვალა – მისი ხუთი ქიმი ხუთი ურთიერთგადამკვეთი წრით
შეცვალეს, რათა უკეთ გამოეხატათ ოლიმპიური თამაშების სული, მონაწილეობა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰარმონიულობა.
ბატონო ლენგდონ, თქვა უეცრად ფაშმა, ნათელია, რომ ეს მაგიური ფიგურა ეშმაკთანაც უნდა იყოს დაკავშირებული. თქვენი ამერიკული საშინელებათა ფილმები ამას
გარკვევით ამბობენ.
ლენგდონმა წარბები შეკრა. მადლობა ჰოლივუდს. ხუთქიმიანი ვარსკვლავი ახლა ვირტუალური კლიშე გახდა სატანისტ სერიულ მკვლელებზე გადაღებულ ფილმებში, ის როგორც წესი, მიჩხაპნილი იყო რომელიღაც სატანისტური ბინის კედელზე, სხვა დაუსაბუთებელ დემონურ სიმბოლიკასთან ერთად. ლენგდონი ყოველთვის სასოწარკვეთილებას გრძნობდა, როდესაც ამ სიმბოლოს ასეთ კონტექსტში ხედავდა; ამ მაგიური ფიგურის ჭეშმარიტი საწყისები სინამდვილეში ღვთაებრივი იყო.
გარწმუნებთ, უთხრა ლენგდონმა, მიუხედავად იმისა, რასაც კინოში ხედავთ, ამ მაგიური ფიგურის დემონური ინტერპრეტაცია ისტორიულად არასწორია. სწორია მისი საწყისი ქალური მნიშვნელობა, მაგრამ ეს ათასწლეულის განმავლობაში დამახინჯდა. ამ შემთხვევაში სისხლისღვრით.
მე მგონი, ვერ გავიგე. ლენგდონმა შეხედა ფაშის ჰალსტუხზე დაბნეულ ჯვარცმას – არ იცოდა, როგორ
ჩამოეყალიბებინა მსჯელობის შემდეგი ჰუნქტი.
ეკლესია, სერ. სიმბოლოები ძალიან სიცოცხლისუნარიანია, მაგრამ ეს მაგიური ფიგურა ადრინდელმა რომაულმა კათოლიკურმა ეკლესიამ შეცვალა. ეს წარმართული რელიგიების მოსასპობად და მასების ქრისტიანობაზე მოსაქცევად მიმართული კამპანიის ნაწილი იყო. ეკლესიამ დაიწყო ცილისმწამებლური კამპანია წარმართული ღმერთებისა და ქალღმერთების წინააღმდეგ, მათი ღვთაებრივი სიმბოლოების ბოროტების სიმბოლოებად შეცვლით.
შემდეგ?
ეს ჩვეულებრივი მოვლენაა არეულობის პერიოდში, განაგრძო ლენგდონმა. – ახლად წარმოქმნილი ძალაუფლება ითვისებს არსებულ სიმბოლოებს და დროთა განმავლობაში აკნინებს მათ, რათა მათი მნიშვნელობა გაანადგუროს. წარმართულ და ქრისტიანულ სიმბოლოებს შორის ბრძოლაში წარმართები დამარცხდნენ; პოსეიდონის სამკბილა ეშმაკის ფიწალი გახდა, ბრძენი მოხუცის კონუსის ფორმის ქუდი ბოროტი ჯადოქრის სიმბოლოდ იქცა, ვენერას ხუთქიმიანი სიმბოლო – ეშმაკის ნიშნად. ლენგდონმა
მეტი ეფექტისთვის ოდნავ შეიცადა, სამწუხაროდ, შეერთებული შრატების სამხედრო ძალებმაც შეცვალეს ამ ნიშნის შინაარსი;
ახლა ის, პირველ რიგში, ომის სიომბოლოა. ის ახატია ყველა საომარ თვითმფრინავსა და ყოველი გენერლის სამხრეს.
და ამას ჰქვია სიყვარულის და სილამაზის ქალღმერთი.
საინტერესოა, ფაშმა მიუთითა არწივივით გაშლილ გვამზე, სხეულის მდებარეობაზე რას იტყვით? ამასროგორ ახსნით? ლენგდონმა მხრები აიჩეჩა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მდებარეობა უბრალოდ აძლიერებს მინიშნებას მაგიურ ფიგურასა და წმინდა ქალზე. ფაშს სახეზე ღრუბელმა გადაუარა.

უკაცრავად?

რეპლიკაცია, ანუ გამეორება. სიმბოლოს გამეორება მისი მნიშვნელობის გაძლიერების უმარტივესი გზაა. ჟაკ სონიერმა თავისი სხეული ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმით განალაგა. თუ ერთი მაგიური ფიგურა კარგია, ორი უფრო უკეთესია. ფაშმა კიდევ ერთხელ გადაისვა ხელი გადასლეკილ თმაზე და თვალი გააყოლა სონიერის მკლავების, ფეხებისა და თავისგან შექმნილ ხუთ ქიმს.

საინტერესო ანალიზია, აქ ოდნავ ჩაფიქრდა. – სიშიშვლეზე რაღას იტყვით? – მან ამოიოხრა, როდესაც ეს სიტყვა წარმოთქვა, მის ხმაში იგრძნობოდა, თუ როგორ ეზიზღებოდა ასაკოვანი მამაკაცის სხეულის დანახვა. – რატომ გაიხადა ტანსაცმელი? ეშმაკმა დალახვროს, შესანიშნავი კითხვაა, გაიფიქრა ლენგდონმა. იგი სულ ამაზე ფიქრობდა მას შემდეგ, რაც პირველად ნახა პოლაროიდით გადაღებული სურათი. მისი პირველი ახსნა ის იყო, რომ ადამიანის შიშველი ფორმა ვენერას – ადამიანური სექსუალურობის მფარველ ქალღმერთზე კიდევ ერთხელ მიანიშნებდა. თუმცა თანამედროვე კულტურამ წაშალა ბევრი რამ, რითაც ვენერა ასოცირდებოდა ქალისა და მამაკაცის ფიზიკურ კავშირთან. ჭკვიანი ეტიმოლოგი ჯერ კიდევ შეამჩნევს ვენერას საწყისი
მნიშვნელობის კვალს სიტყვაში „ვენერიული“. ლენგდონმა გადაწყვიტა, ამაზე არაფერი ეთქვა.

ბატონო ფაშ, ნამდვილად ვერ აგიხსნით, რატომ დაიხატა სონიერმა ეს სიმბოლო მუცელზე ან რატომ მოათავსა თავისი თავი სწორედ ასე, მაგრამ მე შემიძლია გითხრათ, რომ იგი ამ სიმბოლოს ქალურ ღვთაებრიობას უკავშირებდა. კავშირი ამ სიმბოლოსა და წმინდა ქალს შორის ფართოდ არის ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსებსა და სიმბოლიკის მკვლევრებს შორის.

შესანიშნავია. მაგრამ იმაზე რას იტყვით, რომ მან თავისი სისხლი გამოიყენა მელნად?

აშკარაა, რომ სხვა დასაწერი საშუალება არ ჰქონდა.

ფაში ცოტა ხანს ჩუმად იყო.

სინამდვილეში, მე მგონია, რომ მან სისხლი იმისათვის გამოიყენა, რომ პოლიცია გარკვეულ სასამართლო პროცედურას გაჰყოლოდა.

უკაცრავად?

შეხედეთ მის მარცხენა ხელს.

ლენგდონმა თვალი გააყოლა მუზეუმის კურატორის ფერმკრთალ მკლავს მარცხენა მტევნისაკენ, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მან გაუბედავად შემოუარა გვამს და ჩაცუცქდა. ახლა კი შეამჩნია გაოცებით, რომ მუზეუმის მცველს ხელში ჰქონდა ჩაბღუჟული დიდი, ფლომასტერის ტიპის მარკერი.

სონიერს ეს ეჭირა, როდესაც ვიპოვეთ, თქვა ფაშმა, იგი ლენგდონს მოშორდა და გაემართა რამდენიმე იარდის მოშორებით მდგარი პორტატიული მაგიდისკენ, რომელიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაფარული იყო საგამოძიებო ხელსაწყოებით, მავთულებით და დახარისხებული ელექტრონული აღჭურვილობით.
 როგორც გითხარით, თქვა მან და თან რაღაცას ეძებდა მაგიდის ირგვლივ, ჩვენ ხელი არაფრისთვის არ გვიხლია. იცნობთ ამ ტიპის კალმისტარს?
ლენგდონი უფრო დაბლა დაიხარა, რომ კალმისტარზე წარწერა დაენახა.
STYLO DE LUMIERE NOIRE (მანათობელი მელნის მარკერი) მან გაოცებულმა ამოიხედა.
ულტრაიისფერი კალმისტარი, ანუ ჭვირნიშნის სტილუსი, იყო სპეციალური მარკერი, რომელსაც თავდაპირველად იყენებდნენ მუზეუმების თანამშრომლები, რესტავრატორები
და პოლიციელები საგნებზე უხილავი ნიშნების დასატოვებლად. ეს კალმისტარი წერს უჟანგავი, სპირტზე დამზადებული ფლუორესცენტული მელნით, რომელიც მხოლოდ ულტრაიისფერ სინათლეზე ჩანს. დღეს, მუზეუმების მომვლელებს ყოველღიური შემოვლისას თან დააქვთ ეს მარკერები, რომ დაუსვან უხილავი ნიშანი იმ სურათების ჩარჩოებს, რომლებსაც რესტავრაცია სჭირდება.
როდესაც ლენგდონი ადგა, ფაში პროჟექტორთან მივიდა და გამორთო. გალერეა უეცარ სიბნელეში ჩაეფლო.
წამიერად დაბრმავებულმა ლენგდონმა იგრძნო, თუ როგორ ეუფლებოდა გაუბედაობა.
ფაშის სილუეტი გამოჩნდა, კაშკაშა მეწამული სინათლით განათებული. იგი ახლოს მივიდა.
ხელში გადასატანი სინათლის წყარო ეჭირა, რომელმაც იგი იისფერ ნისლში გაახვია.
 როგორც ალბათ იცით, უთხრა ფაშმა, მისი თვალებიც ასხივებდნენ იისფერ სინათლეში, პოლიცია ულტრაიისფერ განათებას იყენებს, როდესაც იძიებს დანაშაულის ადგილს სისხლისა და სხვა სამძებრო ნივთმტკიცებების ამოსაღებად. ასე რომ, ალბათ გაიგებთ ჩვენს გაოცებას, როდესაც... – მოულოდნელად, მან სინათლე მიაშვირა გვამის ქვედა ნაწილს.
ლენგდონმა ქვევით დაიხედა და ელდანაცემი უკან გახტა.
გულმა ბაგუნი დაუწყო, როდესაც მის წინ იატაკზე გადაშლილი უცნაური სურათი დაინახა. გაკრული ხელით დაწერილი მუზეუმის მცველის უკანასკნელი სიტყვები მეწამულად ღვიოდა მისი გვამის გვერდით, როდესაც ლენგდონმა დახედა მოკაშკაშე ტექსტს, იგრძნო, რომ იდუმალების ნისლი, რომელიც მთელ დღევანდელ ღამეს ფარავდა, უფრო გასქელდა.
ლენგდონმა წარწერა კიდევ ერთხელ წაიკითხა და ფაშს ახედა.
 ეშმაკმა დალახვროს, ეს რას ნიშნავს!
ფაშის თვალები თეთრად ანათებდა.
 ეს, ჩემო ბატონო, სწორედ ის კითხვაა, რომლის პასუხის საპოვნელადაც მოგიყვანეთ აქ.
ამ ადგილიდან არც ისე მოშორებით, სონიერის კაბინეტში, ლუვრში დაბრუნებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლეიტენანტი კოლე მყუდროდ მოკალათებულიყო აუდიოპულტის წინ მუზეუმის კურატორის
უზარმაზარ საწერ მაგიდასთან. თუ არ ჩავთვლით შუა საუკუნეების რაინდის უცნაურ,
რობოტისმსგავს თოჯინას, რომელიც თითქოს მას მიშტერებოდა სონიერის მაგიდის
კუთხიდან, კოლე თავს კარგად გრძნობდა. მან ყურსაცვამები გაიკეტა და შეამოწმა ხისტ
დისკზე ჩამწერი სისტემის მიღების ხარისხი. მიკროფონები უხინჯოდ მუშაობდა და აუდიო
კვება კრისტალურად სუფთა იყო.
Le moment de vérité ფიქრში წასულმა ჩაილაპარაკა.
გაიცინა, თვალები დახუჭა და მოემზადა, რომ მოესმინა საუბრის დარჩენილი ნაწილი,
რომელიც ახლა იწერებოდა დიდ გალერეაში.
თავი 7
სენსიულპისის ეკლესიის მოკრძალებული საცხოვრებელი ნაწილი მოთავსებული იყო
თვითონ ეკლესიის მეორე სართულზე, გუნდისათვის განკუთვნილი აივნის მარცხენა
მხარეს. ოროთახიანი ბინა ქვის იატაკითა და მწირი ავეჯით უკვე ათ წელზე მეტია დედა
სანდრინ ბიეილის სახლი იყო. ამის სიახლოვეს მყოფი სავანე, ვინმეს რომ ეკითხა, მისი
ოფიციალური საცხოვრებელი ადგილი იყო, მაგრამ იგი ეკლესიის სიმყუდროვეს
ამჯობინებდა და ზედა სართულზე საწოლით, ტელეფონითა და ცხელი საჭმელით საკმაოდ
მოხერხებულად იყო მოწყობილი.
როგორც ეკლესიის conservatrice d'affaires, დედა სანდრინი პასუხს აგებდა ეკლესიის
საქმიანობის ყველა არარელიგიურ ასპექტზე – ზოგად მოვლაზე, დამხმარე მომუშავე
პერსონალისა და ექსკურსიამძღოლების დაქირავებაზე, შენობის დაცვაზე, როდესაც იგი
დამთვალიერებლებისთვის დახურული იყო და პროდუქტის, მაგალითად, ზიარებისთვის
ღვინისა და ხმიადების შეკვეთაზე.
ამ ღამით მას თავის პატარა საწოლში ეძინა, როდესაც ტელეფონის მჭახე ხმამ
გააღვიძა. დაღლილმა, ტელეფონის ყურმილი აიღო.
Soeur Sandrine. Eglise Saintsulpice.
გამარჯობა, დაო, უთხრა მამაკაცმა ფრანგულად.
დედა სანდრინი წამოჯდა. რა დროა? თუმცა მან იცნო თავისი უფროსის ხმა. თხუთმეტი
წლის განმავლობაში მას არასდროს გაუღვიძებია იგი. ეკლესიის წინამძღვარი
უკიდურესად ღვთისმოსავი კაცი იყო. იგი, ჩვეულებრივ, მესის დამთავრებისთანავე
დასაძინებლად მიდიოდა ხოლმე სახლში.
ბოდიშს გიხდით, დაო, თუ გაგაღვიძეთ, უთხრა აბატმა, მისი ხმა სუსტად და
აღელვებულად ჟღერდა. – რაღაც უნდა გთხოვოთ. ახლახანს დამირეკა ერთმა
გავლენიანმა ამერიკელმა ეპისკოპოსმა. ალბათ იცნობთ, მანუელ არინგაროსა.
ოპუს დეის ხელმძღვანელი?
რა თქმა უნდა, ვიცნობ. ეკლესიაში ვინ არ იცნობს? არინგაროსას კონსერვატიული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პრელატურა ბოლო წლებში გაძლიერდა. მათ მიმართ წყალობა დიდი ნახტომით გაიზარდა
1982 წელს, როდესაც პაპმა იოანე პავლე მეორემ მოულოდნელად აამაღლა ისინი და
მიანიჭა წოდება პაპის პირადი პრელატურა, რითაც ოფიციალურად სანქცირებული გახადა
მათი ნებისმიერი საქმიანობა. არსებობს ეჭვი, რომ ოპუს დეის დაწინაურება იმავე წელს
მოხდა, როდესაც თითქოს ერთმა მდიდარმა სექტამ თითქმის ერთი მილიარდი დოლარი
გადაურიცხა ვატიკანის რელიგიური საქმიანობის ინსტიტუტს – ჩვეულებრივ, ვატიკანის
ბანკის სახელით ცნობილს – რითაც იგი სამარცხვინო გაკოტრებას გადაარჩინა. მეორე
მანევრი, რომელმაც ასევე ყველა გააოცა, ის იყო, რომ პაპმა ოპუს დეის დამაარსებელი
დააყენა წმინდანად შერაცხვის „სწრაფ ბილიკზე“. მან დააჩქარა კანონიზაციისათვის
ხშირად საუკუნის ხანგრძლიობის პერიოდი და იგი ოც წელზე დაიყვანა. დედა სანდრინი
ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ოპუს დეის განსაკუთრებული მდგომარეობა რომში საეჭვო
იყო, მაგრამ უწმინდესის თვალსაზრისს ვინ შეეკამათებოდა.
ეპისკოპოსმა არინგაროსამ დამირეკა და მთხოვა მისთვის რაღაცის გაკეთება,
უთხრა მას წინამძღვარმა. ხმა აღელვებული ჰქონდა, მათი ერთერთი წევრი ამაღამ
პარიზშია...
როდესაც დედა სანდრინი ამ უცნაურ თხოვნას ისმენდა, გრძნობდა, როგორ ემატებოდა
დაბნეულობა და უხერხულობა.
უკაცრავად, თქვენ ამბობთ, რომ ოპუს დეის ჩამოსული წევრი დილამდე ვერ
მოიცდის?
სამწუხაროდ, ვერა. მისი თვითმფრინავი დილაადრიან მიფრინავს. იგი ყოველთვის
ოცნებობდა, რომ სენსიულპისი ენახა.
მაგრამ ეკლესია დღისით გაცილებით საინტერესოა: მზის სხივები, გუმბათში გაჭრილი
სარკმლიდან რომ შემოდის, გარდამავალი ჩრდილები მზის საათის ისარზე. ამაშია
ეკლესიის უნიკალურობა.
დაო სანდრინ, გეთანხმებით, მაგრამ მაინც, მე პირადად გთხოვთ, რომ იგი ამაღამ
შეუშვათ. იგი მანდ იქნება... ვთქვათ, პირველ საათზე? ოც წუთში.
დედა სანდრინი მოიღუშა.
რა თქმა უნდა. სიამოვნებით.
წინამძღვარმა მადლობა გადაუხადა და ყურმილი დაკიდა.
საგონებელში ჩავარდნილი დედა სანდრინი ერთი წამით თავის თბილ ლოგინში
დარჩა, ცდილობდა, ძილის აბლაბუდა ჩამოებერტყა. მისი სამოცი წლის სხეული ისე
სწრაფად ვეღარ იღვიძებდა, როგორც ადრე. ამ ტელეფონის ზარმა ნამდვილად წყობიდან
გამოიყვანა. ოპუს დეი არასოდეს ეპიტნავებოდა. ხორცის მოკვდინების ბარბაროსული
მეთოდების გარდა, მათი შეხედულება ქალების შესახებ, მსუბუქად რომ ვთქვათ,
შუასაუკუნეობრივი იყო. დედა სანდრინი სახტად დარჩა, როდესაც გაიგო, რომ
მდედრობითი სქესის მორჩილები ვალდებულნი იყვნენ კაცების საცხოვრებელი ოთახები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაეწმინდათ მაშინ, როდესაც კაცები მესაზე იყვნენ; ქალებს უხეში ხის იატაკზე ეძინათ, კაცებს კი თივით გატენილი ლეიბები ეგოთ; რაც შეეხება ასკეტურ პრაქტიკას, აქ ქალებისთვის დამატებითი მოთხოვნებიც არსებობდა, რომლებიც მათ იძულებით უნდა მიეღოთ... ეს იყო დამატებითი მონანიება პირველყოფილი ცოდვისათვის. თითქოს ის, რომ

ევამ ხე ცნობადის ნაყოფი ჩაკბიჩა, აიძულებდა ქალებს, სამუდამოდ განწირულნი ყოფილიყვნენ და ეს ვალი ეხადათ. სამწუხაროდ, როდესაც მთელი კათოლიკური ეკლესია

სულ უფრო იხრებოდა ქალთა უფლებების აღიარებისკენ, ოპუს დეი საშიშროებას უქმნიდა

პროგრესს. მიუხედავად ამისა, დედა სანდრინმა ბრძანება მიიღო და უნდა დამორჩილებოდა კიდეც მას.

ფეხები ლოგინიდან ჩამოუშვა, ნელა ადგა, შიშველ ფეხისგულებზე სუსხი იგრძნო. როდესაც ჟრჟოლამ მთელი სხეული აიტანა, მოულოდნელი შიში დაეუფლა. გული ცუდს უგრძნობდა.

ქალური ინტუიცია?

ღვთისმოსავმა დედა სანდრინმა იცოდა, როგორ ეპოვა სიმშვიდე საკუთარი სულის შინაგან ხმებში. ახლა კი ეს ხმები ისევე გაჩუმებულიყვნენ, როგორც ეკლესია მის ირგვლივ.

თავი 8

ლენგდონი თვალს ვერ სწყვეტდა პარკეტის იატაკზე დაჩხაპნილ წითლად მანათობელ ტექსტს. ჟაკ სონიერის უკანასკნელი კავშირი სამყაროსთან არ ჰგავდა არც ერთ გამოსამშვიდობებელ წერილს, რაც კი ლენგდონს ოდესმე ენახა.

წერილში ეწერა:

13 – 3 – 2 – 21 – 1 – 1 – 8 – 5

ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო!

მართალია, ლენგდონს წარმოდგენ არ ჰქონდა, ეს რას ნიშნავს, მაგრამ კარგად ესმოდა ფაშის ინსტინქტური დასკვნა, რომ ის მაგიური ფიგურა, მართლაც რაღაცით იყო დაკავშირებული ეშმაკის თაყვანისცემასთან.

ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო!

სონიერმა ეშმაკზე პირდაპირი მინიშნება დატოვა. ასევე უცნაური იყო რიცხვების სერია. უწყების პირველი ნაწილი ციფრულ კოდს ჰგავს.

დიახ, თქვა ფაშმა. – ჩვენი კრიპტოგრაფები უკვე მუშაობენ. მე მგონი, ეს ციფრები გასაღები უნდა იყოს იმის ამოსაცნობად, თუ ვინ მოკლა სონიერი. შესაძლოა, ტელეფონის ნომერი ან რაიმე სახის სოციალური იდენტიფიკაციაა. თქვენთვის ამ ციფრებს აქვს რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა?

ლენგდონმა კიდევ ერთხელ შეხედა რიცხვებს. იგრძნო, რომ საათები დასჭირდებოდა რაიმე სიმბოლური მნიშვნელობის ამოსაცნობად. თუ ეს ჰქონდა სონიერს მიზნად. ლენგდონის აზრით, ციფრები სრულიად შემთხვევით ნაკრებს ჰგავდა, მისთვის ნაცნობი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო სიმბოლური პროგრესიები, რომლებიც რაღაც აზრისმაგვარს შეიცავდა, მაგრამ ყველაფერი, რაც აქ იყო მოცემული – ხუთქიმიანი ფიგურა, ტექსტი, ციფრები – თითქოს სრულიად არ შეესაბამებოდა ერთმანეთს.

თქვენ ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, თქვა ფაშმა, რომ სონიერის მიერ ჩადენილი ყოველი მოქმედება იყო ცდა, რომ რაღაც სახის შეტყობინება გამოეგზავნა... ქალღმერთის თაყვანისცემა, თუ რაღაც ამ სტილში... ეს წერილი ამ კონტექსტში როგორ ჯდება?

ლენგდონმა იცოდა, რომ ეს რიტორიკული შეკითხვა იყო. ეს უცნაური წერილი სულ არ ჯდებოდა ლენგდონის სცენარში ქალღმერთის თაყვანისცემის შესახებ.

ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო!

ფაშმა თქვა:

ეს ტექსტი თითქოს ვიღაცის რაღაცნაირი დადანაშაულებაა. არ მეთანხმებით?

ლენგდონი შეეცადა წარმოედგინა მუზეუმის კურატორის უკანასკნელი წუთები, როდესაც იგი მარტო იყო დამწყვდეული დიდ გალერეაში და იცოდა, რომ კვდებოდა. ფაშის ვერსია ლოგიკური ჩანდა.

მკვლელს ადანაშაულებს. ვფიქრობ ლოგიკურია.

ჩემი საქმეა, იმ ადამიანს სახელი დავარქვა. ნება მომეცით, გთხოვოთ, ბატონო ლენგდონ, თქვენ, ციფრების მიღმა, სხვა კიდევ რა გეჩვენებათ უცნაურად ამ წერილში? ყველაზე უცნაური რა არის? ინებეთ. მომაკვდავი კაცი ჩაიკეტა გალერეაში, დაიხატა სხეულზე მაგიური ფიგურა და დაჩხაპნა იდუმალი ბრალდება იატაკზე. რა არ იყო უცნაური

ამ სცენარში?

სიტყვა „დემონი“? ნეტა ვინ უნდა ეგულისხმა? თანაც „ზვიადი დემონი“ უცნაური სიტყვაშეთანხმებაა.

ჩემი აზრით, ფაშს ხმაში მოუთმენლობა შეეტყო, სონიერის სიტყვების არჩევანი აქ არსებითი არ უნდა იყოს.

ლენგდონი არ იყო დარწმუნებული, რას გულისხმობდა ფაში, მაგრამ თანდათან ეჭვი გაუჩნდა, რომ კაპიტანი ზვიადი ხასიათით დემონსაც არ ჩამოუვარდებოდა.

სონიერი ფრანგი იყო, მონოტონურად თქვა ფაშმა, ცხოვრობდა პარიზში და მიუხედავად ამისა, გადაწყვიტა ეს წერილი დაეწერა...

ინგლისურად, თქვა ლენგდონმა და ახლაღა მიხვდა, რას გულისხმობდა კაპიტანი.

ფაშმა თავი დაუქნია.

დიახ. ხვდებით, რატომ?

ლენგდონი უკვე არაფერში აღარ იყო დარწმუნებული.

გამოყენებული სიმბოლიკა და ტექსტი თითქოს ერთმანეთს არ ემთხვევა. მაპატიეთ, მაგრამ ამაზე მეტად ვერ დაგეხმარებით.

ალბათ ეს გაირკვევა, ფაში გვამს მოშორდა და ულტრაიისფერი სინათლე ისე ასწია, რომ სხივს უფრო მეტი სივრცე მოეცვა. – აბა ახლა?

ლენგდონისათვის გასაოცრად, საწყისი წრე აბრიალდა მუზეუმის კურატორის სხეულის ირგვლივ. სონიერი, როგორც ჩანს, დაწვა და კალმით ირგვლივ რამდენიმე ფართო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რკალი შემოიხაზა, რითაც საკუთარი თავი წრის შიგნით მოაქცია.
უეცრად მნიშვნელობა ნათელი გახდა.
ვიტრუვიუსის მამაკაცი, ლენგდონს სუნთქვა შეეკრა. სონიერმა შექმნა ლეონარდო და ვინჩის ყველაზე ცნობილი ჩანახატის ადამიანის ზომის რეპროდუქცია.
ლეონარდო და ვინჩის ვიტრუვიუსის მამაკაცი, რომელიც თავისი დროისათვის ანატომიურად ყველაზე უფრო სწორ ნახატად ითვლებოდა, კულტურის თანამედროვე სიმბოლო გახდა და მას ნახავთ ყველგან – პლაკატებზე, კომპიუტერის თაგვის დასადებებზე, მაისურებზე. ცნობილი ჩანახატი წარმოადგენს იდეალურ წრეს, რომლის შიგნითაც ჩახატულია შიშველი მამაკაცი... მკლავები და ფეხები არწივისებრად აქვს გაშლილი.
ლეონარდო და ვინჩი. ლენგდონს გაოცებისაგან გააჟრჟოლა. სონიერის მიზანი აშკარა იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მუზეუმის კურატორი იძარცვავს ტანსაცმელს და თავის სხეულს იატაკზე ათავსებს ზუსტად ისე, რომ აშკარა წარმოდგენა შექმნას ლეონარდო და ვინჩის ნახატზე.
წრე იყო ის კრიტიკული ელემენტი, რომელიც აკლდა მთელ ამ უცნაურ კომპოზიციას. ქალური დაცვის სიმბოლო, წრე შიშველი მამაკაცის სხეულის ირგვლივ დასრულებულ სახეს აძლევდაიმას, რის თქმასაც აპირებდა ჩვენთვის და ვინჩი – მამაკაცისა და ქალის ჰარმონიას. თუმცა ახლა სულ სხვა შეკითხვა წარმოიშვა: რატომ დასჭირდა სობიერს ამ ცნობილი ნახატის იმიტირება?
ბატონო ლენგდონ, თქვა ფაშმა, თქვენნაირ ადამიანს უეჭველად ეცოდინება, რომ ლეონარდო და ვინჩის მიდრეკილება ჰქონდა ბნელი ძალებისკენ.
ლენგდონს გაუკვირდა, რამდენი იცოდა ფაშმა ლეონარდო და ვინჩის შესახებ, და, რა თქმა უნდა, დიდი დრო დასჭირდა იმის ახსნას, თუ რატომ ჰქონდა ეჭვი კაპიტანს ეშმაკის თაყვანისცემასთან დაკავშირებით. და ვინჩი ყოველთვის უხერხული თემა იყო ისტორიკოსებისათვის, განსაკუთრებით ქრისტიანულ ტრადიციაში. გარდა იმისა, რომ მეოცნებე გენიოსი იყო, იგი აშკარა ჰომოსექსუალიც იყო და თაყვანს სცემდა ბუნების ღვთაებრივ წესრიგს. ეს ორი თვისება მას მუდმივად ამყოფებდა ღვთის წინაშე ცოდვილის
მდგომარეობაში. უფრო მეტიც, მხატვრის უცნაური ექსცენტრიული საქციელი მას, როგორც
საყოველთაოდ ცნობილია, დემონურ აურას უქმნიდა: ადამიანის ანატომიის შესასწავლად და ვინჩი საფლავიდან იღებდა გვამებს; მას ჰქონდა საიდუმლო დღიურები, სადაც წერდა გაუგებარი უკუღმა ხელწერით; სჯეროდა, რომ ფლობდა ალქიმიკოსის ძალას და შეეძლო ტყვია ოქროდ გარდაექმნა; სწამდა, რომ ღმერთიც კი შეეძლო მოეტყუებინა და შეექმნა სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ელიქსირი; მის გამოგონებებს შორის კი შემაძრწუნებელი საომარი და საწამებელი იარაღებიც იყო.
რაღაცის ვერ გაგება უნდობლობას წარმოშობს, გაიფიქრა ლენგდონმა.
და ვინჩის უზარმაზარმა წვლილმა სახვით ხელოვნებაში, რომელიც თავისი არსით სრულიად ქრისტიანული იყო, მიუხედავად ყველაფრისა, კიდევ უფრო გააღრმავა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საყოველთაო აზრი მისი სულიერი თვალთმაქცობის შესახებ. და ვინჩი ათასგვარ ფულად წყალობას იღებდა რომის ეკლესიისგან და თანხმდებოდა რელიგიური თემატიკის ასახვაზე. ეს საკუთარი რწმენის ასახვა არ ყოფილა, არამედ მხოლოდ კომერციული ავანტიურა იყო, რომელიც მისი ცხოვრების მდიდრული სტილის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. საუბედუროდ, და ვინჩი ოინბაზი იყო და ხშირად თავს ირთობდა იმით,
რომ ჩუმად ხერხავდა ტოტს, რომელზედაც თვითონ იჯდა. მან ბევრ თავის ქრისტიანულ ნახატში ჩადო დაფარული სიმბოლიკა, რომელიც სრულიად ეწინაღმდეგებოდა ქრისტიანულს – ეს იყო საკუთარი რწმენის წინაშე ვალის მოხდა და ეკლესიის გაცურება. ლენგდონმა ერთხელ ლექციაც კი წაიკითხა ლონდონის ეროვნულ გალერეაში: „ლეონარდოს საიდუმლო ცხოვრება: წარმართული სიმბოლიკა ქრისტიანულ ხელოვნებაში“.

მესმის, რაც გადარდებთ, თქვა ლენგდონმა, მაგრამ და ვინჩი რეალურად არასოდეს არ მისდევდა რომელიმე ოკულტურ დოქტრინას. იგი იყო უაღრესად სულიერი პიროვნება, თუმცა მუდმივად ჰქონდა კონფლიქტი ეკლესიასთან. – ამის თქმაზე ლენგდონს
უცნაურმა აზრმა გაუელვა თავში. მან ისევ დაიხედა ძირს. ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო!

მართლა? – თქვა ფაშმა.

ლენგდონი ყურადღებით წონიდა ყოველ სიტყვას.

სწორედ ახლა ვფიქრობდი, რომ სონიერი და და ვინჩის ბევრ სულიერ შეხედულებას იზიარებდა, მათ შორის იმასაც, რომ ეკლესიამ თანამედროვე რელიგიიდან ამოშალა ქალური საწყისის საკრალურობა. და ვინჩის ცნობილი ნახატის იმიტირებით სონიერმა ალბათ უბრალოდ ყველას გასაგონად განაცხადა მათი საერთო იმედგაცრუების შესახებ, იმის გამო, რომ თანამედროვე ეკლესია ქალღმერთის დემონიზაციას ახდენს.

ფაშს თვალებში რისხვა გამოეხატა.

თქვენ ფიქრობთ, სონიერმა ეკლესიას უწოდა „ზვიადი დემონის ნალაჩრალი“?

ლენგდონი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ეს ძნელად დასაჯერებელი იყო, მაგრამ ხუთქიმიანი ფიგურა თითქოს მაინც ერთგვარი არგუმენტი იყო ამ აზრის სასარგებლოდ.

მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ბატონმა სონიერმა მთელი სიცოცხლე ქალღმერთის ისტორიის შესწავლას დაუთმო, კათოლიკურმა ეკლესიამ კი ყველაფერი გააკეთა ამ ისტორიის წასაშლელად. ლოგიკურად მეჩვენება, სონიერს გამოსამშვიდობებელ შეტყობინებაში თავისი იმედგაცრუების გამოხატვა რომ გადაეწყვიტა.

იმედგაცრუების? – ფაშს ხმა ახლა მომთხოვნი და მტრულიც კი ჰქონდა. – ეს შეტყობინება მრისხანეს უფრო არა ჰგავს, ვიდრე იმედგაცრუებულს?

ლენგდონს მოთმინება ელეოდა.

კაპიტანო, თქვენ მკითხეთ, რისი თქმა უნდოდა სონიერსო. მე ვცდილობ ავხსნა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ეს ეკლესიის მიმართ ბრალდებაა? – ფაშს ყბა დაუვიწროვდა რადგან კბილებში ცრიდა. – ბატონო ლენგდონ, ჩემს სამუშაოზე ბევრნაირი სიკვდილი მინახავს და ნება მომეცით, ერთი რამ გითხრათ. როდესაც ერთი კაცი კლავს მეორეს, არ მჯერა, რომ მსხვერპლი უკანასკნელ წუთებში სრულიად გაუგებარი, უცნაური განცხადების დაწერაზე
ფიქრობდეს. მე მწამს, რომ ის მხოლოდ ერთადერთ რამეზე ფიქრობდა, ფაშის ჩურჩულმა თითქოს ჰაერი გაკვეთა, La vengeance, ეჭვიც არ მეპარება, სონიერმა ეს იმისათვის დაწერა, რომ ჩვენთვის მკვლელის ვინაობა ემცნო.
ლენგდონი მიაშტერდა.
მაგრამ ამას აზრი არა აქვს.
არა?
არა, სწრაფად უპასუხა ლენგდონმა. იგი ლაღლილი და იმედგაცრუებული იყო, თქვენ მითხარით, რომ სონიერს კაბინეტში თავს დაესხა ვიღაც, ის, ვინც მან აშკარად შეიპატიჟა.
დიახ.
აქედან გამომდინარე,ლოგიკური იქნება დავასკვნათ, რომ მუზეუმის კურატორი თავის თავდამსხმელს იცნობდა.
ფაშმა თავი დაუქნია.
გააგრძელეთ.
ასე რომ, თუ სონიერი იცნობდა თავის მკვლელს, ეს რაღა ბრალდებაა? – მან იატაკზე მიუთითა. – ციფრული კოდი? რაღაც გაუგებარი „ნალაჩრალი“? ზვიადი ეშმაკები? მაგიური
ფიგურა მუცელზე? ყოველივე ეს რაღაც მეტისმეტად კოდირებულია.
ფაშმა წარბები შეკრა, თითქოს ამაზე არასდროს არ უფიქრიაო.
სწორი აზრია.
თუ ამ ყოველივეს მხედველობაში მივიღებთ, თქვა ლენგდონმა, მე შემდეგს დავასკვნიდი: სონიერს თავისი მკვლელის გამჟღავნება რომ სდომოდა, ვინმეს სახელს დაწერდა.
როდესაც ლენგდონმა ეს თქვა, პირველად ამ ღამის განმავლობაში, ფაშის ტუჩებზე თვითკმაყოფილმა ღიმილმა გაიელვა.
ზუსტად, თქვა ფაშმა, ზუსტად.
მე მოწმე ვარ იმისა, თუ როგორ მუშაობს დიდოსტატი, ფიქრობდა ლეიტენანტი კოლე, თან ყურსაცვამიდან გამომავალ ფაშის ხმას ისმენდა. მთავარმა აგენტმა იცოდა, რომ სწორედ ასეთმა მომენტებმა აიყვანა ფაში ფრანგული კანონიერების სამსახურის მწვერვალზე.
ფაში იმას გააკეთებს, რასაც სხვა ვერავინ შეძლებს.
პირმოთნეობის სათუთი ხელოვნება დღევანდელ ძალოვანებს დაკარგული აქვთ. ზეწოლის დროს ეს უნარი განსაკუთრებულ თავშეკავებას მოითხოვს. ცოტა ვინმეს თუ შემორჩა აუღელვებლობა ასეთ საქმეებში. ფაში კი თითქოს ამისთვის იყო დაბადებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი თავშეკავება და მოთმინება რობოტისას უახლოვდებოდა.
მაგრამ ამჯერად ოდნავ აღელვებული ჩანდა, თითქოს ამ დაპატიმრებით პირადად იყო დაინტერესებული. ერთი საათის წინ ფაშის თათბირი აგენტებთან უჩვეულოდ მოკლე და თავდაჯერებული იყო. მე ვიცი, ვინ მოკლა ჟაკ სონიერი, თქვა ფაშმა. თქვენც იცით, რა უნდა გააკეთოთ. არავითარი შეცდომა არ უნდა დავუშვათ ამაღამ.
ჯერჯერობით არც ერთი შეცდომა არ დაუშვიათ.
კოლე ჯერ არ იცნობდა იმ საბუთს, რომელმაც განამტკიცა ფაშის რწმენა ეჭვმიტანილის დანაშაულში, მაგრამ იცოდა, რომ, ჯობდა, ეჭვი არ შეეტანა ბუღას ინსტინქტში. ზოგჯერ ფაშის ინტუიცია არაბუნებრივიც კი გეგონებოდათ. ღმერთი ჩასჩურჩულებს ყურშიო, დაჟინებით ამტკიცებდა ერთი აგენტი მას შემდეგ, რაც ერთხელ ფაშმა ეს გასაოცარი ინტუიცია მის თვალწინ გამოამჟღავნა. კოლე აღიარებდა, რომ თუკი ღმერთი არსებობს, ბეზუ ფაში მას ალბათ მთავარ სიაში ეყოლებოდა. კაპიტანი მესაზე და აღსარებაზე ფანატიკური რეგულარულობით დადიოდა – გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე დიდ დღესასწაულებზე, როგორც ამას სხვა თანამდებობის პირები აკეთებდნენ მასების თვალში
ნდობის მოსაპოვებლად. რამდენიმე წლის წინ, როდესაც პაპი პარიზს ეწვია, ფაშმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, რომ მასთან შეხვედრის პატივი რგებოდა. ფაშისა და პაპის ფოტო ახლა მის კაბინეტში ეკიდა. აგენტები მას ზურგსუკან პაპის ბუღას ეძახდნენ.
კოლე ირონიას ხედავდა იმაში, რომ ფაში, რომელიც, ჩვეულებრივ, საჯარო გამოსვლებს ერიდებოდა, ასე მტკივნეულად გამოეხმაურა კათოლიკურ ეკლესიაში გახმაურებულ პედოფილიის სკანდალს. ეს მღვდლები ორჯერ უნდა ჩამოახრჩონ, განაცხადა ფაშმა, ერთხელ ბავშვების შეურაცხყოფისათვის და ერთხელაც კათოლიკური ეკლესიის კეთილი სახელის შერცხვენისათვის. კოლე რატომღაც ფიქრობდა, რომ ფაშს უფრო მეტად ეს მეორე აბრაზებდა.
კომპიუტერისაკენ მიბრუნებული კოლე ახლა თავისი მოვალეობების მეორე ნაწილის აღსრულებას შეუდგა. სპეციალური სათვალთვალო სისტემა ჩართო. ეკრანზე გამოჩნდა დენონის ფრთის დეტალური გეგმა, მისი სტრუქტურული სქემა, რომელიც ლუვრის დაცვის
სამსახურის მასალებიდან იყო გადმოწერილი. კოლემ თვალით დაიარა გალერეებისა და დარბაზების ლაბირინთი და იპოვა ის, რასაც ეძებდა.
დიდი გალერეის შუაგულში პატარა წითელი წერტილი გამოჩნდა.
La marque.
ფაშს თავისი მსხვერპლი ძალიან მოკლე საბელით ეჭირა. ბრძნული გადაწყვეტილება იყო. რობერტ ლენგდონმა დაამტკიცა, რომ მტკიცე ხასიათი აქვს.
თავი 9
ბეზუ ფაშმა თავისი მობილური ტელეფონი თავიდანვე გამორთო. საუბარი ბატონ ლენგდონთან არავის უნდა გაეწყვეტინებინა. სამწუხაროდ, ტელეფონის ეს ძვირად ღირებული მოდელი აღჭურვილი იყო ორმხრივი რადიოარხით, რომელიც, მისი ბრძანების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიუხედავად, ერთერთმა მისმა აგენტმა მაინც გამოიყენა ინფორმაციის გადასაცემად.
Capitaine? – რაციასავით დაიტკაცუნა ტელეფონმა.
ფაშმა განრისხებისგან კბილები დააღრჭიალა. რა უნდა ყოფილიყო ისეთი მნიშვნელოვანი, რომ კოლეს ეს surveillance cachée გაეწყვეტინებინა – განსაკუთრებით ასეთ კრიტიკულ მომენტში.
მან ლენგდონს მობოდიშებით შეხედა.
თუ შეიძლება, ერთი წუთით. – მან მოიძრო ტელეფონი ქამრიდან და თითი რადიოგადამცემ ღილაკს დააჭირა.
Oui?
Capitaine, un agent du Departement de Cryptographic est arrivé.
ფაშს სიბრაზემ უცებ გაუარა. მშიფრავი? შეუფერებელ დროს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს ალბათ კარგი ამბავი იყო. მას შემდეგ, რაც სონიერის მიერ დაწერილი კოდექსი იპოვა იატაკზე, ფაშმა დანაშაულის ადგილის ამსახველი ფოტოებით აავსო კრიპტოლოგიის განყოფილება. იმედი ჰქონდა, რომ ვინმე შეძლებდა ამოხსნას, რა ჯანდაბის თქმას ცდილობდა სონიერი. თუ კოდის წამკითხველი მოვიდა, ეს ალბათ იმას ნიშნავდა, რომ ვიღაცამ სონიერის წერილი წაიკითხა.
ახლა დაკავებული ვარ, რადიოთივე უპასუხა ფაშმა ისეთი ტონით, რომ სრულიად გასაგები გახდა – საუბარი დამთავრებული იყო. სთხოვეთ მშიფრავს, რომ დამელოდოს სამეთაურო პუნქტთან. მაგ ბატონს დაველაპარაკები, როდესაც დავამთავრებ.
ქალბატონს, გაუსწორა ხმამ. – ეს აგენტი ნევეა.
ფაშს სულ უფრო და უფრო ნაკლებად სიამოვნებდა ეს ლაპარაკი. სოფი ნევე ცენტრალური სასამართლო პოლიციის უდიდესი შეცდომა იყო. ახალგაზრდა პარიზელი dechiffreuse, სოფი ნევე, რომელსაც კრიპტოგრაფია ინგლისში, როიალ ჰოლოუეიში შეესწავლა, ორი წლის წინ ფაშს თავს მოახვიეს სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, რომელიც გულისხმობდა პოლიციის სისტემაში ქალების უფრო აქტიურ ჩართვას. სამინისტროს მუდმივი თავდასხმა პოლიტიკური კორექტულობის ლოზუნგით, ფაშის აზრით, დეპარტამენტს ასუსტებდა. ქალებს მარტო ფიზიკური მონაცემები კი არ აკლდათ, არამედ მათი არსებობა, უბრალოდ, საშიში დამაბნეველი ფაქტორი იყო ამ სფეროში მომუშავე მამაკაცებისათვის. ფაშის აზრით, სოფი ნევე სწორედ ეს დამაბნეველი ფაქტორი იყო.
32 წლის სოფი ნევეს სიჯიუტეში გადასული შეურყეველი სიმტკიცე ახასიათებდა. მისი მზადყოფნა, ხალისით აეთვისებინა ბრიტანეთის ახალი კრიპტოლოგიური მეთოდოლოგია,
გამუდმებით აღიზიანებდა მასზე იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ ვეტერან ფრანგ მშიფრავებს. მაგრამ ფაშს უფრო მეტად აწუხებდა საყოველთაო ურყევი ჭეშმარიტება, რომ დაწესებულებაში, სადაც შუახნის მამაკაცები მუშაობენ, ახალგაზრდა მომხიბლავი ქალი მათ ყურადღებას მიიპყრობს და ისინი თავის საქმეს მოსცდებიან.
მისმა მოსაუბრემ რადიოთი თქვა:
აგენტი ნევე დაჟინებით მოითხოვდა თქვენთან დაუყოვნებლივ დალაპარაკებას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაპიტანო. ვეცადე შემეჩერებინა, მაგრამ იგი ახლა გალერეისკენ მოემართება.
ფაში იმედგაცრუებისგან შეცბა
 დაუშვებელია! მე სრულიად გასაგებად გითხარით...
ერთი წუთით ლენგდონს ეგონა, ფაშს დამბლა დაეცაო. კაპიტანმა წინადადება შუაში გაწყვიტა, ყბა გაუშეშდა და თვალები გადმოეკარკლა. მისი გამკიცხავი მზერა თითქოს რაღაცაზე დაფიქსირდა, რაც ლენგდონის მხარს უკან იყო, სანამ ლენგდონი შეძლებდა მოტრიალებას, მის უკან ქალის ხმა გაისმა.
 Excusezmoi, messieurs. ლენგდონი მოტრიალდა და დაინახა ახალგაზრდა ქალი, რომელიც მათ
უახლოვდებოდა. იგი მათკენ გრძელი, ნარნარი ნაბიჯით მოდიოდა დერეფანში, რაც მისი სიარულის მანერას მოჩვენებით თვითდაჯერებულობას ანიჭებდა. ყოველდღიური ტანსაცმელი ეცვა შავ გამაშებზე მუხლებამდე ნაღებისფერი ირლანდიური სვიტერი. იგი მომხიბვლელი იყო და ისე გამოიყურებოდა, რომ 30 წელს თუ მისცემდით. სქელი ბურგუნდიულღვინისფერი წითელი თმა თავისუფლად ეყარა მხრებზე, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა სახის თბილ გამომეტყველებას. არ ჰგავდა განყენებულ, მაგარი ბიჭების საყვარელ ქერათმიან ლამაზმანებს, რომელთა ფოტოებითაც არის ხოლმე მორთული ჰარვარდის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის კედლები, ეს ქალი მარტო ლამაზი და უშუალო კი არ იყო, არამედ ძალასა და თვითდაჯერებულობას ასხივებდა.
ლენგდონის გასაოცრად, ქალი პირდაპირ მისკენ წამოვიდა და ზრდილობიანად გაუწოდა ხელი.
 ბატონო ლენგდონ, მე აგენტი ნევე ვარ ცენტრალური სასამართლო პოლიციის დეპარტამენტის კრიპტოლოგიის განყოფილებიდან, მსუბუქი ფრანგული აქცენტი განსაკუთრებულ ეშხს ანიჭებდა ინგლისურ სიტყვებს, ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.
ლენგდონმა ხელი ჩამოართვა და მის რბილ ხელისგულთან ერთად მაშინვე იგრძნო ამ ქალბატონის ძლიერი მზერა. თვალები ზეთისხილისფერი მწვანე ქონდა მტკიცე და სუფთა.
ფაშმა ხმაურით შეისუნთქა, რაც აშკარად იმას ნიშნავდა, რომ საყვედურების გამოსათქმელად ემზადებოდა.
 კაპიტანო, უთხრა ქალმა, და სწრაფად მიტრიალდა მისკენ, რითაც დარტყმა აიცდინა, თუ შეიძლება, მაპატიეთ, რომ შეგაწყვეტინეთ მაგრამ...
 Ce n' est pas le moment! – გაბრაზებით ჩაიბურტყუნა ფაშმა.
 მე ვეცადე თქვენთან დაკავშირება, გააგრძელა სოფიმ ინგლისურად, თითქოს ლენგდონისადმი პატივისცემის ნიშნად, მაგრამ თქვენი მობილური გამორთული იყო.
მობილური სპეციალურად გამოვრთე, ჩაისისინა ფაშმა, მე ბატონ ლენგდონს ველაპარაკები.
 მე გავხსენი ციფრული კოდი, თქვა ქალმა მონოტორულად.
ლენგდონმა იგრძნო, თუ როგორ აუჩქარდა პულსი აღელვებისაგან. მან გახსნა კოდი?
ფაშმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სანამ აგიხსნით, თქვა სოფიმ, მე სასწრაფო შეტყობინება მაქვს ბატონი ლენგდონისთვის.
ფაშს ახლა ძლიერ შეწუხებული გამომეტყველება ჰქონდა.
ბატონი ლენგდონისთვის?
ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ისევ ლენგდონს მიუბრუნდა.
ბატონო ლენგდონ, თქვენ უნდა დაუკავშირდეთ შეერთებული შტატების საელჩოს. მათ თქვენთვის შეტყობინება აქვთ შტატებიდან.
ლენგდონს გაუკვირდა. მისმა მღელვარებამ კოდთან დაკავშირებით უეცრად ადგილი დაუთმო ახალ საფიქრალს. შეტყობინება შტატებიდან? იგი ეცადა წარმოედგინა, ვის უნდა
ნდომოდა მასთან დაკავშირება, მხოლოდ მისმა თითოოროლა კოლეგამ თუ იცოდა, პარიზში რომ იყო.
ფაშს ფართო ყბა დაეძაბა ამ ახალი ამბის გაგებით.
შეერთებული შტატების საელჩო? – იკითხა მან, მის ხმაში ეჭვი იგრძნობოდა, საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ მისი ნახვა აქ შეიძლებოდა?
სოფიმ მხრები აიჩეჩა.
როგორც ჩანს, მათ ბატონ ლენგდონს სასტუმროში დაურეკეს, სადაც კონსიერჟმა უთხრა, რომ ბატონი ლენგდონი სასამართლო პოლიციის ცენტრალური დეპარტამენტის აგენტმა წაიყვანა.
ფაში შეწუხებული ჩანდა.
საელჩო კი შემდეგ დაუკავშირდა დეპარტამენტის კრიპტოლოგიურ განყოფილებას.
არა სერ, თქვა სოფიმ მტკიცე ხმით, როდესაც დეპარტამენტში დავრეკე, თქვენთან დაკავშირებას რომ ვცდილობდი, მათ უკვე მიღებული ჰქონდათ გადაწყვეტილება ბატონი
ლენგდონისთვის და მე მთხოვეს, მისთვის გადამეცა.
ფაშმა აშკარა დაბნეულობისგან წარბი შეიჭმუხნა. მერე პირი გააღო საპასუხოდ, მაგრამ სოფი ისევ ლენგდონს დაუბრუნდა.
ბატონო ლენგდონ, განაცხადა მან, და ჯიბიდან პატარა ბარათი ამოაძვრინა, ეს არის თქვენი საელჩოს ცნობათა ბიუროს ტელეფონის ნომერი. მათ გთხოვეს, რომ სასწრაფოდ დაურეკოთ. – მან ქაღალდი გადასცა ლენგდონს და დაჟინებული მზერით შეხედა. – სანამ კაპიტან ფაშს კოდს ავუხსნიდე, თქვენ უნდა დარეკოთ.
ლენგდონმა ყურადღებით დახედა ქაღალდს. ზედ პარიზის ტელეფონის ნომერი და შიდა ნომერი ეწერა.
გმადლობთ, უთხრა მან. ახლა უკვე აღელვებული ჩანდა. – სად არის ტელეფონი?
სოფიმ თავისი სვიტრის ჯიბიდან მობილური ტელეფონის ამოღება დააპირა, მაგრამ ფაშმა ხელი აუქნია. ახლა იგი ვეზუვის მთას ჰგავდა, რომელიც ესესაა ამოიფრქვეოდა. ისე, რომ სოფისთვის თვალი არ მოუშორებია, თავისი მობილური ამოიღო და ლენგდონს გაუწოდა, ეს საიმედო ხაზია, ბატონო ლენგდონ. შეგიძლიათ გამოიყენოთ.
ლენგდონს არ ესმოდა, რატომ იყო ფაში ამ ახალგაზრდა ქალზე გაბრაზებული. იგი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უხერხულად გრძნობდა თავს, როდესაც კაპიტანს ტელეფონი გამოართვა. ფაშმა სასწრაფოდ გაიყვანა სოფი რამდენიმე ნაბიჯზე და ყრუ ხმით დაუწყო გაკიცხვა. მას თანდათანობით სულ უფრო და უფრო არ მოსწონდა კაპიტანი. ლენგდონი მოშორდა ამ უცნაურ დაპირისპირებას და მობილური ჩართო. მან ჩაიხედა ფურცელში, რომელიც მას სოფიმ მისცა და ნომერი აკრიფა.

ხაზმა რეკვა დაიწყო.

ერთი ზარი... ორი ზარი... სამი ზარი...

ბოლოს, როგორც იქნა, დაუკავშირდა.

ლენგდონი ელოდა, რომ საელჩოს ოპერატორის ხმას გაიგონებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი ავტომოპასუხეს უსმენდა. უცნაური იყო, მაგრამ ფირზე ჩაწერილი ხმა ნაცნობი იყო. ეს სოფი ნევეს ხმა იყო.

Bonjour, vous etes bien chez Sophie Neveu, თქვა ქალის ხმამ. – Je suis absente pour le moment? mais...

დაბნეული ლენგდონი ქალისკენ მიბრუნდა. „უკაცრავად, ქალბატონო ნევე? ვფიქრობ თქვენ მე მომეცით...

არა, ეს სწორი ნომერია, უპასუხა სოფიმ სწრაფად, თითქოს იგი ლენგდონის ამ რეაქციას ელოდა. – საელჩოს შეტყობინებათა ავტომატური სისტემა აქვს. თქვენ შიდა კოდი უნდა აკრიფოთ და შეძლებთ თქვენი შეტყობინების მიღებას.

ლენგდონი გაკვირვებული დარჩა.

კი მაგრამ...

ეს სამნიშნა კოდია, რომელიც ჩემს მოცემულ ფურცელზე წერია.

ლენგდონმა პირი გააღო უცნაური შეცდომის ასახსნელად, მაგრამ სოფიმ ერთი წამით ისეთი თვალებით შეხედა, რომ ლენგდონი მიხვდა, უნდა გაჩუმებულიყო. მისი მწვანე თვალები აბსოლუტურად გასაგებად ეუბნებოდნენ ლენგდონს: ნუ სვამთ კითხვებს. უბრალოდ გააკეთეთ.

გაოგნებულმა ლენგდონმა აკრიფა შიდა ნომერი, რომელიც ფურცელზე ეწერა: 454.

სოფის გამავალი შეტყობინება მაშინვე შეწყდა, და ლენგდონმა გაიგონა ელექტრონული ხმა, რომელმაც ფრანგულად გამოაცხადა: „თქვენთვის ერთი ახალი შეტყობინებაა. „როგორც ჩანს 454 სოფის დისტანციური კავშირის დამატებითი კოდი იყო, რომლის საშუალებითაც იგი იღებდა შეტყობინებებს, როდესაც სახლიდან შორს იყო.

მე ამ ქალის შეტყობინებებს ვიღებ?

ლენგდონმა გაიგონა, როგორ გადაიხვა ფირი. ბოლოს იგი გაჩერდა და მანქანა ჩაირთო. ლენგდონს უსმენდა. ფირზე ჩაწერილი ხმა ისევ სოფის ეკუთვნოდა.

ბატონო ლენგდონი, შეტყობინება დაიწყო შემაშინებელი ჩურჩულით. – არ შეიმჩნიოთ. უბრალოდ, მშვიდად მოისმინეთ. ახლა თქვენ საფრთხეში ხართ. ზედმიწევნით შეასრულეთ ჩემი მითითებები.

თავი 10

სილასი მოძღვრის მომზადებული შავი „აუდის“ საჭესთან იჯდა და სენსიულპისის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდებულ ეკლესიას შესცქეროდა. შენობა პროჟექტორთა რიგით ქვევიდან იყო განათებული. გრძელი ფასადის ზემოთ ორი სამრეკლო კოშკი უდრეკი მცველივით აღმართულიყო. ორივე მხარეს გლუვი კონტრფორსების რიგი ამოშვერილიყო, ბინდბუნდში რაღაც მშვენიერი მხეცის ნეკნებივით რომ მოჩანდა.
წარმართებმა ღვთის სახლი გამოიყენეს თავიანთი ქვაკუთხედის შესანახად. საძმომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ურწმუნოებისა და მატყუარებისაგან შედგება. სილასი მოუთმენლად ელოდა დროს, როდესაც ქვაკუთხედს იპოვიდა და მოძღვარს გადასცემდა, რათა მორწმუნეებს საძმოს მიერ დიდი ხნის წინათ მოპარული სიწმინდის აღდგენა შესძლებოდათ.
როგორ გააძლიერებს ეს ოპუს დეის!
სილასმა „აუდი“ სენსიულპისის დაცარიელებულ მოედანზე დააყენა, შვებით ამოისუნთქა და თავის თავს მოუწოდა, საქმეს საღი გონებით შეუდექიო. ფართო ზურგი ჯერ
კიდევ სტკიოდა ახლახან გადატანილი სასტიკი რიტუალის გამო, და მაინც, ეს ტკივილი ვერ შეედრებოდა მისი ცხოვრების სიმწარეს, სანამ ოპუს დეიმ არ გამოიყვანა იმ ჯოჯოხეთიდან.
მოგონებები მაინც არ ასვენებდა მის სულს.
გათავისუფლდი სიძულვილისგან, უბრძანა სილასმა თავის თავს, მიუტევე მათ, ვინც შენ წინაშე შესცოდა.
ახედა სენსიულპისის ქვის სამრეკლოებს, შეებრძოლა მოზღვავებულ ნაცნობ გრძნობას... ის ძალა ხშირად წაათრევდა ხოლმე მის გონებას უკან, წარსულში, კვლავ აბრუნებდა ციხეში, რომელიც ახალგაზრდობაში მისი სამყარო იყო. მოგონებები განსაწმენდელის შესახებ ისევ მოულოდნელად, ქარიშხალივით დაატყდა თავს და გრძნობები წაულეკა... დამპალი კომბოსტოს, სიკვდილის, შარდისა და განავლის მყრალი სუნი. უიმედობის კივილი პირენეების ღრიალა ქარში და დავიწყებულ ადამიანთა ჩუმი ქვითინი.
ანდორა, გაიფიქრა მან და იგრძნო, როგორ შეეკუმშა კუნთები.
დაუჯერებელია, მაგრამ სწორედ ესპანეთსა და საფრანგეთს შორის ჩაკარგულ ამ ერთი ციცქნა სუვერენულ სახელმწიფოში, ქვის საკანში ჩამწყვდეული, სიკვდილის ერთადერთი სურვილით შეპყრობილი და სასოწარკვეთით მოცახცახე სილასი გადაარჩინეს.
იმ დროს მან ეს ვერ გაიაზრა.
სინათლე მეხის გავარდნიდან კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა.
მაშინ სილასი არ ერქვა, თუმცა ვერც ის გაიხსენა, მშობლებმა რა დაარქვეს. სახლი შვიდი წლისამ დატოვა. მამამისი, ზორბა ლოთი დოკერი, ალბინოსი ვაჟიშვილის დაბადებით განრისხებული, დედამისს ლამის ყოველდღე სცემდა, რადგან სწორედ მას ადანაშაულებდა შვილის უხერხული გარეგნობის გამო. როდესაც ბიჭი დედის დაცვას ცდილობდა, მასაც მწარედ ხვდებოდა.
ერთ ღამეს, შემზარავი ბრძოლის შემდეგ დედა აღარც ამდგარა ფეხზე. ბიჭი მის უსიცოცხლო სხეულს ადგა თავს და დანაშაულის აუტანელ მოძალებას გრძნობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი ბრალია!
თითქოს რაღაც დემონური ძალა მართავდა მის სხეულს. ბიჭი სამზარეულოში გავიდა და ხელი დაავლო ხორცის საჭრელ დანას. ჰიპნოზიანივით საწოლ ოთახს მიაშურა, სადაც მამამისი გალეშილი იწვა საწოლზე. ბიჭმა უსიტყვოდ ჩასცა ზურგში დანა. მამამისმა ტკივილისგან წამოიყვირა და გადაბრუნება სცადა, მაგრამ შვილმა დანა ხელმეორედ ჩაარტყა, შემდეგ კიდევ და კიდევ, სანამ ბინაში სიჩუმე არ ჩამოვარდა.
ბიჭი სახლიდან გაიქცა, მაგრამ მარსელის ქუჩები არანაკლებ მტრული აღმოჩნდა. უცნაური გარეგნობის გამო იგი გარიყული აღმოჩნდა სახლიდან გაქცეული სხვა ახალგაზრდებისაგან. ამიტომ იძულებული იყო, მარტო ეცხოვრა დანგრეული ქარხნის სარდაფში და ნავსაყუდელიდან მოპარული ხილი და უმი თევზი ეჭამა. მეგობრობას მხოლოდ ნაგავში ნაპოვნი დახეული ჟურნალები უწევდა, რომელთა კითხვასაც მიაჩვია საკუთარი თავი. დროთა განმავლობაში გაიზარდა და გაძლიერდა. 12 წლის რომ იყო, მეორე მაწანწალამ – გოგონამ, რომელიც მასზე ორჯერ უფროსი იყო, დასცინა ქუჩაში და საჭმლის მოპარვაც დაუპირა. ამ გოგოს ისე სცემა მუშტებით, რომ კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა. როდესაც პოლიციამ ძალით გამოჰგლიჯა ის გოგო ხელიდან, მას ულტიმატუმი წაუყენეს – ან მარსელი დაეტოვებინა, ან არასრულწლოვანთა ციხეში წასულიყო.
ბიჭი ტულონში გადასახლდა, ახლა სიბრალულით აღარ უყურებდნენ ქუჩაში, მისი უკვე ეშინოდათ. ბიჭი ღონიერ ახალგაზრდა კაცად ქცეულიყო. როდესაც ადამიანები ჩაუვლიდნენ, ესმოდა, როგორ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. მოჩვენება, ამბობდნენ ისინი და თვალები შიშით უფართოვდებოდათ, როდესაც მის თეთრ კანს დააცქერდებოდნენ. მოჩვენება ეშმაკის თვალებით!
და თვითონაც საკუთარ თავს მოჩვენებად აღიქვამდა... გამჭვირვალე და მსუბუქი, თითქოს ნავსადგურიდან ნავსადგურში დატივტივებდა.
ადამიანები თითქოს მის მიღმა იყურებოდნენ.
18 წლის რომ იყო, ერთ საპორტო ქალაქში ეკიპაჟის ორმა წევრმა დაიჭირა, როდესაც სატვირთო გემიდან შებოლილი ლორის მოპარვას ცდილობდა. ორ მეზღვაურს, რომლებმაც ცემა დაუწყეს, ლუდის სუნი ასდიოდათ, ისევე, როგორც მამამისს. შიშის და სიძულვილის მოგონებები ურჩხულივით ამოუტივტივდა სიღრმიდან. ახალგაზრდა კაცმა
ერთ მეზღვაურს შიშველი ხელებით კისერი მოსტეხა და მეორე მეზღვაური მხოლოდ პოლიციის მოსვლით გადაურჩა იმავე ბედს.
ორი თვის შემდეგ ბორკილდადებული ჩაიყვანეს ანდორის ციხეში.
მოჩვენებასავით თეთრი ხარ. დასცინეს სხვა პატიმრებმა, როდესაც მცველებმა ციხეში შეიყვანეს, შიშველი და გაყინული. Mira el espectro! ალბათ მოჩვენება კედელშიც გაივლის!
12 წლისგანმავლობაში ხორცი და სული დაუჭკნა და მიხვდა, რომ გამჭვირვალე გახდა.
მე მოჩვენება ვარ.
მე უწონო ვარ.
Yo soy un espectro... palido como un fantasma... caminando este mundo a solas.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ ღამეს მოჩვენებას სხვა პატიმრების ყვირილზე გამოეღვიძა. არ იცოდა, რა უხილავი ძალა არყევდა იმ სართულს, სადაც ეძინა, არც ის იცოდა, ვისი ძლიერი ხელები აზანზარებდნენ მისი საკნის ბეტონის კედლებს, მაგრამ, როგორც კი საწოლიდან წამოხტა, უზარმაზარი ლოდი ჩამოვარდა ზუსტად იმ ადგილას, სადაც მანამდე ეძინა. როდესაც ზევით აიხედა, მოქანავე კედელში ნახვრეტი დაინახა და იმის იქით ის, რაც ათი წლის მანძილზე არ ენახა. ეს მთვარე იყო.

მიწა ჯერ კიდევ ირყეოდა, როდესაც მოჩვენება მიხვდა, რომ ვიწრო გვირაბში მიხოხავდა, იგი ბორძიკით მიემართებოდა გარეთ, ფართო გასასვლელისკენ. მერე კი ქვევით ჩაგორდა, უნაყოფო მთაგორიან ტყეებში. მთელი ღამე ირბინა, სულ ქვევით მიიწევდა, შიმშილითა და დაღლილობით გაბრუებული.

გონების დაკარგვის ზღვარზე მყოფი დაბინდებისას მოტიტვლებულ ადგილას აღმოჩნდა, სადაც მატარებლის ლიანდაგი ტყეს კვეთდა. თითქოს ძილბურანში მიჰყვა რელსებს, მერე ცარიელი სატვირთო ვაგონი დაინახა, შიგნით შეხოხდა, რომ თავი შეეფარებინა და დაესვენა. როდესაც გაეღვიძა, მატარებელი მოძრაობდა, რამდენი ხანია მიდის? რა მანძილი გაიარა? მის ნაწლავებში ტკივილი მატულობდა. ვკვდები? ისევ დაეძინა. ამჯერად იმან გააღვიძა, რომ ვიღაც უყვიროდა, სცემდა და სატვირთო ვაგონიდან

აგდებდა. საკუთარ სისხლში მოსვრილი მიხეტიალებდა პატარა სოფლის განაპირას და უშედეგოდ ეძებდა საჭმელს. ბოლოს იმდენად დასუსტდა, რომ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი

ვეღარ შეძლო. გზის ნაპირას მიწაზე დაწვა და გონება დაკარგა.

სინათლე ნელნელა გამოჩნდა. მოჩვენებას აინტერესებდა, რამდენ ხანს იყო მკვდარი. ერთი დღე? სამი დღე? ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ღრუბელივით რბილ ლოგინში იწვა და ირგვლივ ჰაერში სანთლების ტკბილი სუნი ტრიალებდა. იქ იესო იყო და ზევიდან დაჰყურებდა. მე აქ ვარ, უთხრა იესომ. საფლავის ქვა გვერდზე გადაგორდა და შენ ხელმეორედ დაიბადე.

ისევ და ისევ იძინებდა და იღვიძებდა. ნისლი ეხვეოდა მის ფიქრებს. ადრე არასდროს სჯეროდა სამოთხისა. მაგრამ იესო მასზე ზრუნავდა. მისი საწოლის გვერდით საჭმელი ჩნდებოდა და მოჩვენება ჭამდა, იმასაც კი გრძნობდა, როგორ ისხამდა ხორცს მისი დაღლილი ძვლები. მერე ისევ ეძინა და ისევ გაიღვიძა, იესოც ისევ უღიმოდა მაღლიდან და ელაპარაკებოდა. შენ გადარჩენილი ხარ, შვილო ჩემო. კურთხეულ არიან ისინი, ვინც ჩემს გზას მიჰყვება.

და ისევ დაეძინა.

ტკივილისა და რისხვის კივილმა გამოაფხიზლა ძილისაგან. მისი სხეული საწოლიდან წამოხტა, ბორძიკით გაიარა დერეფანი იქითკენ, საიდანაც ყვირილის ხმა მოდიოდა. იგი შევიდა სამზარეულოში და დაინახა, როგორ სცემდა დიდი კაცი პატარას. არც კი იცოდა, რატომ, მოჩვენებამ ხელი წაავლო დიდ კაცს და მთელი ძალით მიახეთქა კედელს. კაცი გაიქცა, მოჩვენება კი თავს დაადგა მღვდლისსამოსიანი ახალგაზრდა კაცის სხეულს. მღვდელს ცხვირი ჰქონდა საშინლად დამტვრეული. მოჩვენებამ ასწია გასისხლიანებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მღვდელი და ტახტისკენ წაიყვანა.
 გმადლობთ, მეგობარო, თქვა მღვდელმა დამტვრეული ფრანგულით. – შემოწირული ფული ქურდებს იზიდავს. შენ ძილში ფრანგულად ლაპარაკობდი. ესპანურადაც ლაპარაკობ?
მოჩვენებამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.
 რა გქვია? – განაგრძო მან დამტვრეული ფრანგულით.
მოჩვენება ვერ იხსენებდა, რა დაარქვეს მშობლებმა. მხოლოდ მწარე და დამცინავი მეტსახელები ახსოვდა, რომელსაც ციხის მცველები ეძახდნენ.
მღვდელს გაეცინა.
 No hay problema. მე მანუელ არინგაროსა მქვია. მისიონერი ვარ მადრიდიდან. აქ გამომგზავნეს, რომ ავაშენო ეკლესია Obra de Diosის ათვის.
 სადა ვარ? – იკითხა მოჩვენებამ თითქოს ცარიელი ხმით.
 ოვიედოში. ჩრდილოეთ ესპანეთში.
 როგორ მოვხვდი აქ?
 ვიღაცამ დაგტოვა ჩემი კარის ზღურბლთან. ავად იყავი. მე გიპატრონე. უკვე დიდი ხანია აქა ხარ.
მოჩვენება თავის მხსნელს აკვირდებოდა. წლების მანძილზე მის მიმართ სიკეთე არავის გამოუხატავს.
 გმადლობთ, მამაო.
 ეს მე ვარ მადლობელი, მეგობარო.
დილით გაღვიძებულ მოჩვენებას ყველაფერი თითქოს უფრო განათებული დახვდა. სასთუმალს ზემოთ, კედელზე დაკიდებულ ჯვარცმას ახედა. მართალია, იესო აღარ ესაუბრებოდა, მაგრამ მისი დამამშვიდებელი სიახლოვე მაინც აშკარად იგრძნობოდა.
ლოგინზე წამოჯდა და გაოცებული დააშტერდა გაზეთიდან ამოჭრილ სტატიას, რომელიც
მის საწოლთან მდგარ ტუმბაზე იდო. გაზეთი ფრანგული იყო, ერთი კვირის წინანდელი, როდესაც სტატია წაიკითხა, შიში დაეუფლა. აქ მოთხრობილი იყო მთაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის ამბავი, როცა ციხე დაინგრა და საშიში დამნაშავეები გაიქცნენ. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. მღვდელმა იცის, ვინა ვარ! ეს გრძნობა, მრავალი წელია, არ განეცადა. სირცხვილი. დანაშაულის გამო სინანული. ამას თან ახლდა შიში იმისა, რომ დაიჭერდნენ. საწოლიდან ჩამოხტა, სადუნდა გავიქცე?
 საქმე მოციქულთა, გაისმა ხმა კარიდან.
მოჩვენება შეშინებული მოტრიალდა.
ახალგაზრდა მღვდელი ღიმილით შემოვიდა. ცხვირი სახელდახელოდ ჰქონდა შეხვეული, ხელში ბიბლია ეჭირა და მას აწოდებდა.
 ფრანგულად ვიპოვე შენთვის. თავი მონიშნულია.
მოჩვენებამ გაუბედავად აიღო ბიბლია და დახედა თავს, რომელიც მღვდელს მოენიშნა.
საქმე მოციქულთა 16.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტექსტი მოუთხრობდა სილასად წოდებულ ერთ ტყვეზე, რომელიც შიშველი და ნაცემი იწვა თავის საკანში და ღმერთს უგალობდა. როდესაც 26ე მუხლს მიადგა, სუნთქვა შეეკრა.
... და უეცრად, მოხდა ძლიერი მიწისძვრა, ისეთი, რომ ციხის საძირკველი დააზიანა და ყველა კარი გაიღო.
მან სწრაფად ახედა მღვდელს.
მღვდელმა თბილად გაუღიმა.
დღეიდან, მეგობარო, თუ სხვა სახელი არა გაქვს, მე სილასს დაგიძახებ.
მოჩვენება შეცბუნებული დაეთანხმა. სილასი. მას ხორცი შეასხეს. მე მქვია სილასი.
საუზმის დროა, უთხრა მღვდელმა, შენ ძალა დაგჭირდება, თუ აპირებ, რომ ამ ეკლესიის აშენებაში დამეხმარო.
ხმელთაშუა ზღვის დონიდან 20 000 ფუტის სიმაღლეზე ავიაკომპანია „ალიტალიას“ რეისი 1618 ძლიერ ქარში ირყეოდა, რის გამოც მგზავრებს ნერვიულად აკანკალებდათ. ეპისკოპოსი არინგაროსა ამას თითქმის ვერ ამჩნევდა. იგი ოპუს დეის მომავალზე ფიქრობდა. საშინლად აინტერესებდა პარიზში განვითარებული მოვლენები და სილასთან
ტელეფონით დაკავშირებას ნატრობდა. მაგრამ არ შეეძლო – მოძღვარმა ამ საქმეს წინასწარ მიხედა.
ეს შენი უსაფრთხოებისთვის კეთდება, აუხსნა მოძღვარმა ინგლისურად ფრანგული აქცენტით. – მე კარგად ვიცნობ ელექტონულ კომუნიკაციებს და ვიცი, რომ ადვილია მათი
მოსმენა. შედეგი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.
არინგაროსას ეჭვი არ ეპარებოდა მის სიმართლეში. მოძღვარი უკიდურესად ფრთხილი ადამიანი იყო. მას არ გაუმჟღავნებია თავისი ვინაობა არინგაროსასტვის, მაგრამ მაინც მოახერხა იმის დამტკიცება, რომ მისი მორჩილება ღირდა. ბოლოს და ბოლოს, მან შეძლო უკიდურესად საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება. საძმოს ოთხი უმაღლესი წევრის სახელები! ეს იყო საქმეში ერთერთი იმ იღბლიანთაგანი, რამაც დაარწმუნა ეპისკოპოსი, რომ მოძღვარი მართლაც შეძლებდა გამაოგნებელი ჯილდოს მოპოვებას.
მეუფეო, უთხრა მას მოძღვარმა, მე ყველაფერი მოვაგვარე. იმისთვის, რომ ჩემი გეგმა განხორციელდეს, ნება უნდა დართოთ სილასს, რამდენიმე დღის განმავლობაში მხოლოდ ჩემთან ჰქონდეს კონტაქტი. თქვენ ორნი არ ილაპარაკებთ. მე მასთან საიმედო არხების საშუალებით მექნება კავშირი.
ხომ პატივისცემით მოეპყრობით?
მორწმუნე ადამიანი უმაღლეს მოწიწებას იმსახურებს.
ძალიან კარგი! მაშინ ყველაფერი გასაგებია. სილასი და მე არ ვილაპარაკებთ, სანამ ყველაფერი არ დამთავრდება.
მე ამას იმისათვის ვაკეთებ, რომ საიდუმლოდ შევინახო შენი ვინაობა, სილასის ვინაობა და ჩემი ინვესტიცია.
თქვენი ინვესტიცია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეუფეო, თუ პროგრესს მიყოლის დიდი სურვილი ციხეში ამოგაყოფინებთ თავს, იმ შემთხვევაში თქვენ ვერ შეძლებთ, ჩემი შრომის საფასური გადამიხადოთ.
ეპისკოპოსს გაეცინა.
კარგი აზრია, ჩვენი სურვილები ერთმანეთს ემთხვევა, ღმერთი გიშველით.
20 მილიონი ევრო, გაიფიქრა ეპისკოპოსმა. ახლა იგი თვითმფრინავის სარკმლიდან იყურებოდა. თანხა დაახლოებით იგივე იყო ამერიკულ დოლარებში. ეს ხომ უმნიშვნელო თანხაა ასე ყოვლისშემძლე რამისათვის. არინგაროსამ ხელახლა ირწმუნა, რომ მოძღვარი და სილასი არ დამარცხდებოდნენ. ფული და რწმენა დიდი მამოძრავებელი ძალა იყო.
თავი 11
ციფრული ხუმრობა? – ბეზუ ფაში ძალიან გაბრაზებული იყო და უნდობლად უმზერდა სოფი ნევეს. ციფრული ხუმრობა? – თქვენი პროფესიული შეფასება სონიერის კოდისა ისაა,
რომ ეს ერთგვარი მათემატიკური ცუღლუტობაა?
ფაში სრულიად გაოგნებული იყო ამ ქალის თავხედობით გარდა იმისა, რომ გამოძიების საქმეში დაუკითხავად ჩაერია, ახლა იმასაც ამტკიცებდა, რომ სონიერმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მათემატიკური ხუმრობის დასატოვებლად მოიცალა!
ეს კოდი, სოფი ფრანგულად არაკრაკდა, აბსურდულამდე პრიმიტიულია. ჟაკ სონიერს უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენ მას მაშინვე მივხვდებოდით, მან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო თავისი სვიტერის ჯიბიდან და ფაშს გაუწოდა. – ეს არის გაშიფვრა.
ფაშმა ბარათს დახედა.
1123581321
სულ ეს არის? – თქვა მან გაღიზიანებით. – ყველაფერი, რაც თქვენ გააკეთეთ, არის ის, რომ დაალაგეთ ციფრები აღმავალი თანმიმდევრობით.
სოფის ნამდვილად ჰქონდა იმდენი სითამამე, რომ კმაყოფილი ღიმილით ეპასუხა.
სწორედ ასეა.
ფაშის ტონი ჩხუბის ტონს დაემსგავსა.
აგენტო ნევე, წარმოდგენა არა მაქვს, ამით რა ჯანდაბის თქმას აპირებთ, მაგრამ გირჩევთ, რაც შეიძლება სწრაფად გამაგებინოთ.
მან აღელვებული მზერა ესროლა ლენგდონს, რომელიც შორიახლო იდგა და ტელეფონი ჰქონდა ყურზე მიდებული, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ისმენდა შეტყობინებას შეერთებული შტატების საელჩოდან. ლენგდონის გაფითრებული სახის მიხედვით ფაში მიხვდა, რომ ცუდი ამბავი იყო.
კაპიტანო, თქვა სოფიმ შემაშფოთებლად უტიფარი ტონით, ციფრთა თანამიმდევრობა, რომელიც თქვენ გიჭირავთ ხელში, ერთერთი ყველაზე ცნობილი მათემატიკური პროგრესიაა ისტორიაში.
ფაშს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ თურმე არსებობს მათემატიკური პროგრესია, რომელიც ცნობილია და, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა სოფის თავხედური ტონი.
ეს არის ფიბონაჩის მიმდევრობა, განაცხადა ქალმა და თავის დაქნევით მიანიშნა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფაშის ხელში ჩაბღუჯულ ქაღალდზე, ეს ის პროგრესიაა, რომელშიც ყოველი მომდევნო ციფრი ორი წინა ციფრის ჯამის ტოლია.
ფაშმა ციფრები შეისწავლა. მართლაც ყოველი მომდევნო ციფრი წინა ორი ციფრის ჯამის ტოლი იყო. და მაინც, ფაშს უჭირდა იმის წარმოდგენა, თუ რა კავშირი იყო რიცხვების
მწკრივსა და სონიერის სიკვდილს შორის.
ციფრთა ეს თანამიმდევრობა იტალიელმა მათემატიკოსმა ლეონარდო ფიბონაჩიმ ხიიი საუკუნეში შეადგინა. რა თქმა უნდა, შეიძლება ყველა ციფრი, რომელიც სონიერმა დაწერა იატაკზე, არ ეკუთვნოდეს ფიბონაჩის ცნობილ მიმდევრობას.
ფაში რამდენიმე წამით მიაშტერდა ახალგაზრდა ქალს.
კეთილი, თუ არავითარი კავშირი არ არის, მაშინ ხომ ვერ მეტყოდით, რატომ გადაწყვიტა ჟაკ სონიერმა ამის გაკეთება. რას გვეუბნება ამით? რას გულისხმობს?
ქალმა მხრები აიჩეჩა.
სრულიად არაფერს. სწორედ ესაა საქმე. ეს არის პრიმიტიული კრიპტოგრაფიული ხუმრობა. მსგავსად იმისა, როდესაც ვიღებთ სიტყვებს ცნობილი ლექსიდან, უსისტემოდ ავურევთ და გვინდა ვნახოთ, ვინმე თუ მიხვდება, რა აქვს საერთო ყველა ამ სიტყვას.
ფაშმა მუქარით აღსავსე ნაბიჯი გადადგა წინ, სახე სოფისთან რამდენიმე დიუმის მოშორებით მიიტანა.
რა თქმა, უნდა იმედი მაქვს, რომ ამაზე უფრო დამაკმაყოფილებელი ახსნა გექნებათ.
სოფიმ თავი ასწია და რბილი ნაკვეთები გასაოცრად მკაცრი გაუხდა.
კაპიტანო, იმას თუ გავითვალისწინებთ, რა შეიძლება მოიგოთ აქ ამ ღამეს, ვიფიქრე, თქვენთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა გცოდნოდათ, რომ ჟაკ სონიერი შეიძლება გეხუმრებოდათ. როგორც ჩანს, არა. მე გავაფრთხილებ კრიპტოგრაფიის განყოფილების დირექტორს, რომ თქვენ აღარ გჭირდებათ ჩვენი მომსახურება.
ამის თქმით, ქალი ქუსლებზე მოტრიალდა და წავიდა იმავე გზით, რომლითაც მოვიდა. გაოგნებული ფიში უყურებდა, როგორ გაუჩინარდა იგი სიბნელეში. გაგიჟდა? სოფი ნევემ ამ წუთში პროფესიული თვითმკვლელობა ჩაიდინა.
ფაში ლენგდონს მიუბრუნდა, რომელსაც ჯერ კიდევ ტელეფონი ეჭირა ხელში. იგი ყურადღებით უსმენდა სატელეფონო შეტყობინებას და ახლა უფრო შეწუხებული ჩანდა, ვიდრე მანამდე. შეერთებული შტატების საელჩო. ბეზუ ფაშს ბევრი რამ ეზიზღებოდა... მაგრამ ცოტა რამ თუ იწვევდა მასში ისეთ რისხვას, როგორც შეერთებული შტატების საელჩო.
ფაში და ამერიკის ელჩი რეგულარულად ებრძოდნენ ერთმანეთს საერთო სახელმწიფო საკითხებზე – მათი საერთო ბრძოლის ველი იყო ჩამოსული ამერიკელების მიმართ კანონის აღსრულება. კრიმინალური პოლიციის სასამართლო დეპარტამენტი თითქმის ყოველდღე აპატიმრებდა ამერიკულ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს ნარკოტიკების შენახვისათვის, შეერთებული შტატების ბიზნესმენებს – არასრულწლოვან მეძავეებთან კავშირისთვის, ამერიკელ ტურისტებს – მაღაზიაში ქურდობის ან კერძო საკუთრების განადგურებისათვის. კანონის მიხედვით, შეერთებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შტატების საელჩოს შეეძლო ჩარეულიყო და თავისი დამნაშავე მოქალაქეები დაებრუნებინა შეერთებულ შტატებში, სადაც ისინი მხოლოდ მსუბუქ გაკიცხვას დაიმსახურებდნენ. საელჩო ასეც იქცეოდა.
L'emasculation de la Police Jidiciaire, ასე ეძახდა მას ფაში. „პარი მატჩში" ამას წინათ დაიბეჭდა კარიკატურა, სადაც ფაშის სახიანი პოლიციის ძაღლიცდილობს უკბინოს ამერიკელ დამნაშავეს, მაგრამ ვერ ახერხებს მოსწვდეს, იმიტომ, რომ იგი ჯაჭვით არის აშშს საელჩოზე მიბმული.
ამაღამ ასე არ მოხდება, უთხრა ფაშმა თავის თავს. ძალიან ბევრი რამეა ამაზე დამოკიდებული.
ამ დროისთვის რობერტ ლენგდონმა დაამთავრა ლაპარაკი. იგი ცუდად გამოიყურებოდა.
ყველაფერი წესრიგშია? ჰკითხა ფაშმა.
ლენგდონმა უარის ნიშნად ძლივძლივობით გაიქნია თავი.
ცუდი ამბებია სახლიდან, მიხვდა ფაში, როცა შეამჩნია, რომ ლენგდონს ოფლი ასხამდა, როცა ფაშმა მას ტელეფონი გამოართვა.
უბედური შემთხვევა, თქვა ლენგდონმა ბორძიკით და ფაშს შეხედა უცნაური გამომეტყველებით, მეგობარო... – იგი შეყოვნდა. – დილით შინ უნდა გავფრინდე პირველივე რეისით. – ფაშს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ შოკი ლენგდონის სახეზე ნამდვილი იყო, თუმცა მან იქვე სხვა ემოციაც შეატყო. ამერიკელს თითქოს შორეულმა შიშმა გაუელვა
თვალებში.
ვწუხვარ, თქვა ფაშმა და უფრო ყურადღებით დააცქერდა ლენგდონს. – ხომ არ ჩამოჯდებით? – და მიუთითა დერეფანში ერთერთი სკამისკენ.
ლენგდონმა უემოციოდ დაუქნია თავი და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა სკამისკენ. იგი შეყოვნდა, სულ უფრო დაბნეული გამოიყურებოდა.
ისე, ვფიქრობ, საპირფარეშოში წასვლა მირჩევნია.
ფაში შეიჭმუხნა, შინაგანად არ ესიამოვნა დაყოვნება.
საპირფარეშო. რა თქმა უნდა. მოდით, რამდენიმე წუთით შევისვენოთ. – მან მიუთითა უკან, გრძელი დერეფნის მიმართულებით, საიდანაც მოვიდნენ. – საპირფარეშოები უკან, მუზეუმის კურატორის კაბინეტისკენაა.
ლენგდონი ყოყმანობდა. მან სხვა მიმართულებით, გალერეის დერეფნის შორეული ბოლოსკენ მიუთითა. ვიცი, რომ უფრო ახლო საპირფარეშო იმ ბოლოშია.
ფაში მიხვდა, რომ ლენგდონი მართალი იყო. ისინი მანძილის ორი მესამედით უფრო შორს იყვნენ ფაშის მიერ მითითებული საპირფარეშოებიდან, ხოლო დიდი გალერეის ჩამკეტ ჩიხში, გაცილებით უფრო ახლოს, ორი სხვა საპირფარეშო იყო.
ხომ არ წამოგყვეთ?
ლენგდონმა თავი გააქნია და უკვე გალერეისაკენ გაემართა.
არ არის საჭირო. ვფიქრობ, ჯობია, რამდენიმე წუთით მარტო დავრჩე.
ფაშს მაინცდამაინც არ უხაროდა, რომ ლენგდონს მარტო უნდა ეხეტიალა დარეფნის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარჩენილ ნაწილში, მაგრამ მშვიდად იყო, რადგან დიდი გალერეა ჩიხი იყო და ერთადერთ გასასვლელად ჭიშკარი ჰქონდა მეორე მხარეს რომლის ქვეშაც გამოძვრნენ. მართალია, ფრანგული სახანძრო წესები მოითხოვდა რამდენიმე საავარიო კიბის უჯრედს ასეთი დიდი სივრცისთვის, მაგრამ კიბის ის უჯრედები ავტომატურად ჩაიკეტა, როდესაც სონიერმა დაცვის სისტემა აამოქმედა. მართალია, სისტემა ახლა ისევ დაყენებულია, კიბის
უჯრედები გაიღო, მაგრამ არა უშავდა – პოლიციის აგენტებით დაცული გარეთა კარის გაღების შემთხვევაში სახანძრო სიგნალიზაცია აუცილებლად ჩაირთვებოდა. ლენგდონი შენობას ისე ვერ დატოვებდა, რომ ფაშს ეს არ გაეგო.

მე ერთი წუთით უნდა დავბრუნდე ბატონი სონიერის კაბინეტში. – თქვა ფაშმა, თუ შეიძლება, იქ მომძებნეთ, ბატონო ლენგდონ, ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს სალაპარაკო.

ლენგდონმა ჩუმად დაიქნია ხელი და სიბნელეში გაუჩინარდა. ფაში უკან მობრუნდა და საპირისპირო მიმართულებით გაემართა. კვლავ ცხაურის ქვეშ გაძვრა და დიდ გალერეაში გავიდა, დერეფანი გაიარა და სონიერის კაბინეტში მოწყობილ სამეთვალყურო ცენტრში შევიდა.

ვინ დართო ამ შენობაში შემოსვლის ნება სოფი ნევეს! – იღრიალა ფაშმა.

კოლემ პირველმა უპასუხა:

მან გარეთ უთხრა მცველებს, რომ კოდი გახსნა.

ფაშმა მიმოიხედა, წავიდა?

ის თქვენთან არ არის?

წავიდა. – ფაშმა გარეთ გაიხედა ჩაბნელებული დერეფნისკენ. ალბათ სოფი სხვა ოფიცრებთან შეჩერებისა და დალაპარაკების ხასიათზე არ იყო. ერთი წუთით ფაშმა იფიქრა, რადიოთი დაჰკავშირებოდა დაცვას და ეთქვა მათთვის, გაეჩერებინათ სოფი და უკან მოეთრიათ მასთან, სანამ იგი შენობას დატოვებდა. ფაში კარგად ჩაუფიქრდა ამ აზრს.

ეს მხოლოდ სიამაყე იყო... ბოლო სიტყვა მისი უნდა ყოფილიყო. ამისათვის კი გასართობი საკმარისად ჰქონდა ამაღამ.

აგენტ ნევეს მერე მიხედე, უთხრა თავის თავს და უკვე მოუთმენლად ელოდა იმ მომენტს, როცა სამსახურიდან დაითხოვდა.

ფაშმა, როგორც იქნა, თავიდან ამოიგდო სოფი და ერთხანს სონიერის საწერ მაგიდაზე მდგარ რაინდის მინიტურულ ქანდაკებას მიაშტერდა. შემდეგ კოლეს მიუბრუნდა.

ადგილმდებარეობა დააფიქსირე? – კოლემ მოკლედ დაუქნია თავი და პორტატიული კომპიუტერის ეკრანი ფაშისკენ მიატრიალა. წითელი წერტილი კარგად ჩანდა სართულის გეგმის სქემაზე, ის სტაბილურად ციმციმებდა ოთახში, რომელიც სქემაზე აღნიშნული იყო
სიტყვებით: საზოგადოებრივი საპირფარეშოები.

კარგია, თქვა ფაშმა, სიგარეტს მოუკიდა და გრძელი ნაბიჯებით დერეფანში გავიდა. – უნდა დავრეკო. თვალი ადევნე, რომ საპირფარეშოს გარდა, არსად წავიდეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობერტ ლენდგონს თავბრუ ეხვეოდა, როდესაც დაღლილი მილასლასებდა დიდი გალერეის ბოლოსკენ. სოფის სატელეფონო შეტყობინება თავში უტრიალებდა. დერეფნის ბოლოს განათებული ნიშნები საპირფარეშოს აღმნიშვნელი საერთაშორისო სომბოლოებით გზას უჩვენებდნენ დერეფნის ლაბირინთში, რომლის კედლებზეც გამოფენილი იყო იტალიური გრაფიკა.

ლენგდონმა მამაკაცთა საპირფარეშოს კარს მიაგნო, შევიდა და სინათლე აანთო. ოთახი ცარიელი იყო, მივიდა პირსაბანთან, წყალი შეისხა სახეზე და გამოფხიზლება სცადა.

კაშკაშა დღის სინათლის ნათურა თვალისმომჭრელად ანათებდა კედლებიდან და ოთახში ამიაკის სუნი იდგა. პირი რომ შეიმშრალა, მის უკან კარი ჭრიალით გაიღო, ლენგდონი შეკრთა.

სოფი ნევე შემოვიდა, მისი შეშინებული მწვანე თვალები ანათებდნენ. – მადლობა ღმერთს, რომ მოხვედით. ბევრი დრო არა გვაქვს.

ლენგდონი პირსაბანების გვერდით იდგა და გაოგნებული მიშტერებოდა სასამართლო პოლიციის მშიფრავს, სოფი ნევეს. სულ რამდენიმე წუთის წინ ლენგდონმა მოისმინა მისი სატელეფონო შეტყობინება და ფიქრობდა, ახალმოსული მშიფრავი გიჟიაო. და მაინც, რაც მეტს უსმენდა, უფრო მეტად ხვდებოდა, რომ სოფი ნევე არ ხუმრობდა.

დაბნეულმა ლენგდონმა გადაწყვიტა, ზუსტად მიჰყოლოდა სოფის რჩევას. ფაშს უთხრა, რომ სატელეფონო შეტყობინება ეხებოდა მის ავარიაში დაშავებულ მეგობარს, რის შემდეგაც დერეფნის ბოლოს საპირფარეშოში გაშვება სთხოვა. ახლა სოფი მის წინ იდგა.

კაშკაშა სინათლეზე ლენგლონმა გაკვირვებით შენიშნა, რომ სოფის მტკიცე ნაკვთები მოულოდნელ სირბილესა და სინაზეს ასხივებდა. ოღონდ მისი მზერა პირდაპირი იყო და ამ ხასიათის შერწყმა რენუარის პორტრეტების მრავალშრიან იერს ქმნიდა – ოდნავ დაბნეულს, და მაინც აშკარად გამბედავ სახეს, რომელიც როგორღაც ინარჩუნებდა იდუმალების საფარს.

მინდოდა გამეფრთხილებინეთ, ბატონო ლენგდონ... – დაიწყო სოფიმ, ჯერ კიდევ უჭირდა სუნთქვა, რომ თქვენ ხართ sous surveillance cachée, თვალყურს გადევნებენ. – მისი აქცენტიანი ინგლისური კაფელის კედლებიდან ირეკლებოდა და ეს ოდნავ აყრუებდა

მის წკრიალა ხმას.

კი მაგრამ... რატომ? – ჰკითხა ლენგდონმა. სოფიმ ეს უკვე აუხსნა ტელეფონით, მაგრამ მას უნდოდა პირადად მისგან გაეგო.

იმიტომ, რომ – თქვა მან, და ნაბიჯი გადადგა, ამ საქმეში პირველი ეჭვმიტანილი თქვენ ხართ. ლენგდონი მზად იყო ამ სიტყვების მოსასმენად, მაგრამ ისინი მაინც ძალიან სასაცილოდ მოეჩვენა. სოფის თქმით, ამ ღამეს ლენგდონი ლუვრში გამოიძახეს არა როგორც სიმბოლიკის ექსპერტი, არამედ როგორც ეჭვმიტანილი და ამჟამად მასზე სამართალდამცავთა საყვარელ მეთოდს ცდიდნენ – მოხერხებულ ხრიკს, როცა პოლიცია მშვიდად იწვევს ხოლმე ეჭვმიტანილს დანაშაულის ადგილას და დაკითხვას უწყობს იმ იმედით, რომ მას ნერვები უმტყუნებს და უნებლიედ თავს გაამჟღავნებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პიჯაკის მარცხენა ჯიბეში ჩაიხედეთ, უთხრა სოფიმ, იქ იპოვით იმის მტკიცებას, რომ გითვალთვალებენ.
ლენგდონმა იგრძნო, რომ ვითარებაში გარკვევა დაიწყო. ჯიბეში ჩავიხედო? ეს რაღაც იაფფასიან ჯადოსნურ ტრიუკს ჰგავდა.
უბრალოდ ჩაიხედეთ.
თავგზააბნეულმა ლენგდონმა ხელი ჩაიყო ტვიდის პიჯაკის მარცხენა ჯიბეში – ეს იყო ჯიბე, რომელიც არასდროს არ გამოუყენებია. ხელით მოიჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. აბა რა ეშმაკს ელოდი? იქნებ ეს სოფი მართლა გიჟია?
უცებ თითებში რაღაც მოულოდნელი მოხვდა. ლენგდონმა პატარა მაგარი საგანი დაიჭირა, ჯიბიდან ამოაძვრინა და გაოცებით დააშტერდა. ეს იყო ღილის ფორმის ლითონის ფირფიტა, მაჯის საათის ბატარეის ზომისა, ასეთი რამ არასოდეს ენახა.
რა ჯანდაბაა?..
 ეს სათვალთვალო ფირფიტაა, უთხრა სოფიმ, ის მუდმივად გადასცემს თავის ადგილმდებარეობას გლობალური დამაფიქრებელი სისტემის თანამგზავრს, რომელსაც პოლიცია აკონტროლებს. ჩვენ მას ვიყენებთ, რომ თვალი ვადევნოთ ადამიანების გადაადგილებას. ის ზუსტად გადასცემს ინფორმაციას 2 ფუტის სიზუსტით დედამიწის ნებისმიერ ადგილას. თქვენ იმათ ელექტრონულ კაბელზე ჰყავხართ გამობმული. აგენტმა, რომელმაც წამოგიყვანათ სასტუმროდან, გასვლის წინ ჩაგიცურათ ის ჯიბეში.
ლენგდონმა გაიხსენა სასტუმროს ოთახი ... ნაჩქარევად მიღებული შხაპი, ჩაცმის პროცესი. პოლიციის აგენტი ზრდილობიანად აწოდებს მას ტვიდის პიჯაკს, როცა ოთახიდან გამოდიან. გარეთ გრილა ბატონო ლენგდონ, ამბობს აგენტი. გაზაფხული პარიზში არ არის ისეთი, როგორც ამას სიმღერებში იკვეხნიან. ლენგდონმა მადლობა გადაუხადა და პიჯაკი ჩაიცვა.
სოფის ზეთისხილისფერი გამჭოლი მზერა ჰქონდა.
 სათვალთვალო ფირფიტაზე უფრო ადრე არ გითხარით, რადგან არ მინდოდა, რომ ფაშის თვალწინ ჯიბეების ჩხრეკა დაგეწყოთ.
ლენგდონმა არ იცოდა, რა ეპასუხა.
 მათ ეს ფირფიტა ჩაგიდეს, რომ არ გაქცეულიყავით, სოფი ოდნავ შეყოყმანდა, სინამდვილეში მათ იმედი ჰქონდათ, რომ თქვენ გაიქცეოდით, რაც მათ პოზიციას უფრო გაამყარებდა.
 რატომ უნდა გავქცეულიყავი? – ჰკითხა ლენგდონმა, მე უდანაშაულო ვარ!
 ფაში კი სხვაგვარად ფიქრობს.
გაბრაზებულმა ლენგდონმა სანაგვისკენ გადადგა ნაბიჯი სათვალთვალო ფირფიტის გადასაგდებად.
 არა! – სოფიმ მკლავი დაუჭირა და შეაჩერა. – ჯიბეში გქონდეთ, თუგადაადგილებით, სიგნალი მოძრაობას შეწყვეტს და ისინი გაიგებენ, რომ თქვენ ეს ფირფიტა იპოვეთ. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ფაშმა მარტო დაგტოვათ, ისაა, რომ მას თქვენი გადაადგილების კონტროლი შეუძლია. თუ აღმოაჩენს, რომ სიმართლე გაიგეთ... – სოფიმ აზრი აღარ დაამთავრა. სამაგიეროდ, ლითონის ფირფიტა ლენგდონს ხელიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოჰგლიჯა და კვლავ პიჯაკის ჯიბეში ჩაუცურა. – ფირფიტა თქვენთან რჩება. ამ ეტაპზე მაინც.
ლენგდონი დაბნეული იყო.
 როგორ შეეძლო ფაშს დაეჯერებინა, რომ მე მოვკალი ჟაკ სონიერი!
 მას საკმაოდ სარწმუნო მიზეზი აქვს, სოფის დაუნდობელი გამომეტყველება ჰქონდა.
– აქ არის ერთი სამხილი, რომელიც თქვენ ჯერ არ გინახავთ. ფაში მას დიდი მონდომებით მალავს.
ლენგდონი გაოცებით დააშტერდა სოფის.
 გახსოვთ ორსტრიქონიანი ტექსტი, რომელიც სონიერმა იატაკზე დაწერა?
ლენგდონმა თავი დაუქნია. ციფრები და სიტყვები ჩაბეჭდილი ჰქონდა მეხსიერებაში.
სოფის ხმა ახლა ჩურჩულზე გადავიდა.
 სამწუხაროდ, თქვენი არასრული ტექსტი ნახეთ, იყო მესამე პწკარიც, რომელიც ფაშმა ფირზე გადაიღო და მერე წაშალა, სანამ თქვენ მოხვიდოდით.
თუმცა ლენგდონმა იცოდა, რომ უხილავი მელანი შეიძლება ადვილად წაიშალოს, მაგრამ მას ვერ გაეგო, რატომ წაშალა ფაშმა სამხილი.
ფაშს არ უნდოდა, თქვა სოფიმ, ტექსტის ბოლოს წინადადება რომ გცოდნოდათ. – აქ შეიცადა, რომ ლენგდონს უკეთესად გაეაზრებინა ნათქვამი. – თუნდაც მანამდე, სანამ თქვენ საქმეს არ მორჩებოდა.
სოფიმ ამოაძვრინა სვიტრის ჯიბიდან ფოტოს კომპიუტერული ამონაბეჭდი და მისი გაშლა დაიწყო.
 ამავე საღამოს, უფრო ადრე, ფაშმა კრიპტოლოგიის განყოფილება დანაშაულის ადგილის ფოტოებით აავსო. იმედი ჰქონდა, რომ ჩვენ შევძლებდით გაგვეგო, რას ნიშნავდა სონიერის ტექსტი. აი, ეს არის სრულყოფილი ტექსტის ფოტო.
მან ფურცელი ლენგდონს გადასცა. გაოგნებული ლენგდონი სურათს დაჰყურებდა.
ახლო მანძილიდან გადაღებულ ფოტოზე იატაკზე დაწერილი ტექსტი თითქოს ღვიოდა.
ბოლო ხაზმა ლენგდონზე ისე იმოქმედა, თითქოს მუცელში ჩაარტყესო.
1332211185
ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო!
P.S. იპოვე რობერტ ლენგდონი.
თავი 13
გაოგნებული ლენგდონი რამდენიმე წამს დაშტერებოდა სონიერის პოსტკრიპტუმის ფოტოს პ.შ. იპოვე რობერტ ლენგდონი. გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ იატაკი.
სონიერმა პოსტკრიპტუმი დატოვა ჩემი სახელის ხსენებით? ყველაზე გაბედულ ფიქრებშიც
კი ვერ წარმოიდგენდა ლენგდონი, რატომ.
 ახლა გაიგეთ, თქვა სოფიმ, იგი დაჟინებული მზერით უყურებდა ლენგდონს, რატომ დაგიბარათ აქ ფაშმა და რატომ ხართ ნომერი პირველი ეჭვმიტანილი?
მხოლოდ ერთი რამ გაიგო ლენგდონმა, რატომ ჩანდა ფაში ასე თვითკმაყოფილი, როდესაც ლენგდონმა ივარაუდა, სონიერი ალბათ თავისი მკვლელის ვინაობას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაასახელებდაო.
იპოვე რობერტ ლენგდონი.
 რატომ უნდა დაეწერა ეს სონიერს? – იკითხა ლენგდონმა. მისი დაბნეულობა ახლა სიბრაზეში გადაიზარდა. – რატომ უნდა მდომოდა ჟაკ სონიერის მოკვლა?
 ფაშმა ჯერ მოტივი უნდა იპოვოს. იგი მთელ თქვენს საუბარს იწერდა იმ იმედით, რომ თქვენ ამ მოტივს გამოავლენდით.
ლენგდონმა პირი გააღო, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს.
 ფაშს მიმაგრებული აქვს მინიატიურული მიკროფონი, განმარტა სოფიმ, იგი დაკავშირებულია გადამცემთან მის ჯიბეში, რომელიც რადიოთი გადასცემს სიგნალს სამეთვალყურეო პოსტს.
 შეუძლებელია, ენის ბორძიკით თქვა ლენგდონმა. – მე ალიბი მაქვს. ლექციის შემდეგ პირდაპირ სასტუმროში წავედი. შეგიძლიათ სასტუმროს მისაღებში იკითხოთ.
 ფაშმა უკვე იკითხა. მის მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ თქვენ კონსიერჟისგან აიღეთ თქვენი ოთახის გასაღები დაახლოებით 10:30ზე. სამწუხაროდ, მკვლელობის დრო იყო თერთმეტთან ახლოს. თქვენ შეგეძლოთ ჩუმად დაგეტოვებინათ თქვენი ოთახი ისე, რომ ვერავის დაენახეთ.
 სიგიჟეა! ფაშს არა აქვს სამხილი!
სოფის თვალები გაუფართოვდა თითქოს ამბობდა: ეს აბა სამხილი არ არის?
 ბატონო ლენგდონ, თქვენი სახელი წერია იატაკზე გვამის გვერდით. სონიერის დღიურში მითითებულია, რომ დაახლოებით მკვლელობის დროს თქვენ მასთან ერთად იყავით. – აქ ოდნავ შეიცადა, ფაშს საჭიროზე მეტი სამხილი აქვს იმისათვის, რომ დაგაკავოთ და დაგკითხოთ.
ლენგდონი უცებ მიხვდა, რომ ადვოკატი სჭირდებოდა.
 ეს მე არ გამიკეთებია.
სოფიმ ამოიოხრა.
 ეს ამერიკული ტელევიზია არ არის, ბატონო ლენგდონ. საფრანგეთში კანონი პოლიციას იცავს და არა დამნაშავეს. საუბედუროდ ამ საქმეში მედიაც არის ჩარეული. ჟაკ სონიერი მნიშვნელოვანი და ყველასათვის საყვარელი პიროვნება იყო პარიზში და მისი მკვლელობის ამბავს დილის ახალ ამბებში გააშუქებენ. ფაშზე მოახდენენ ზეწოლას, რომ საჯარო განცხადება გააკეთოს. იგი უკეთესად გამოჩნდება, თუ უკვე დაკავებული ეყოლება
ეჭვმიტანილი. ხართ თუ არა დამნაშავე, სასამართლო პოლიციის ცენტრალური განყოფილება თქვენ მაინც დაგაკავებთ, სანამ მიხვდებიან, თუ რა მოხდა სინამდვილეში.
ლენგდონი თავს გალიაში დატყვევებული ცხოველივით გრძნობდა.
 თქვენ რატომ მეუბნებით ამ ყველაფერს?
 იმიტომ, ბატონო ლენგდონ, რომ მე მჯერა – თქვენ უდანაშაულო ხართ, სოფიმ წამით გვერდზე გაიხედა და მერე ისევ ჩახედა თვალებში ლენგდონს. – და კიდევ იმიტომ, რომ ეს ნაწილობრივ ჩემი ბრალია, თქვენ რომ პრობლემა შეგექმნათ.
 თქვენ წუხართ? თქვენი ბრალია, რომ სონიერი ცდილობდა ჩემთვის ტყუილად დაედო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრალი?
 სონიერი არ ცდილობდა თქვენთვის ბრალის დადებას. ეს შეცდომაა. შეტყობინება ჩემთვის იყო დაწერილი.
ლენგდონს ერთი წუთი დასჭირდა, რომ ეს ინფორმაცია გაეაზრებინა.
 უკაცრავად?
 ეს შეტყობინება არ იყო პოლიციისთვის. მან ეს ჩემთვის დაწერა. ვფიქრობ, იგი იძულებული იყო ყველაფერი ისე ჩქარა გაეკეთებინა, რომ ვერც კი გაიაზრა, როგორ შეხედავდა ამას პოლიცია, სოფი ერთხანს დუმდა, ციფრული კოდი უშინაარსოა. სონიერმა ეს იმიტომ დაწერა, რომ გამოძიებაში მშიფრავი ჩაერთოთ, და დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მე რაც შეიძლება სწრაფად შევიტყობდი, რა დაემართა მას. ლენგდონი გრძნობდა, რომ სწრაფად კარგავდა რეალობის გრძნობას. სოფი ნევე
გაგიჟდა თუ არა, ახლა მას უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ლენგდონმა ის მაინც გაიგო, თუ რატომ ცდილობდა იგი მის დახმარებას. P.S. იპოვე რობერტ ლენგდონი. როგორც ჩანს, სოფის სჯეროდა, რომ მუზეუმის კურატორმა მას დაუტოვა კოდირებული პოსტკრიპტუმი,
რითიც ლენგდონის პოვნას ურჩევდა.
 კი მაგრამ, რატომ ფიქრობთ, რომ მისი შეტყობინება თქვენთვის იყო?
 ვიტრუვიუსის მამაკაცი, თქვა სოფიმ უბრალოდ, სწორედ ეს ნახატი ყოველთვის იყო და ვინჩის ჩემი საყვარელი ნამუშევარი. ამ ღამით მან ის ჩემი ყურადღების მისაპყრობად გამოიყენა.
 მოითმინეთ, თქვენ ამბობთ, რომ მუზეუმის კურატორმა იცოდა, რომელია თქვენი საყვარელი ხელოვნების ნიმუში?
ქალმა თავი დაუქნია.
 მაპატიეთ, ყველაფერი აირია. მე და ჟაკ სონიერი...
და ლენგდონს უეცრად მის ხმაში მელანქოლია მოესმა. მტკივნეულია წარსული, რომელიც ძირზე ქვეშ ილექება. სოფის და ჟაკ სონიერს, როგორც ჩანს, რაღაც სახის განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ. ლენგდონმაყურადღებით დაათვალიერა მის წინ მდგარი მშვენიერი ქალი. მან კარგად იცოდა, რომ ასაკოვანი მამაკაცები საფრანგეთში ხშირად საყვარლებად ახალგაზრდებს ირჩევენ. მიუხედავად ამისა, სოფი ნევე არ ჯდებოდა „კმაყოფაზე აყვანილი ქალის“ კატეგორიაში.
 ათი წლის წინათ ჩვენ წავეჩხუბეთ ერთმანეთს, თქვა სოფიმ, ახლა იგი ჩურჩულებდა, მას შემდეგ თითქმის აღარც დავლაპარაკებივართ ერთმანეთს. ამ ღამით, როდესაც კრიპტოლოგიაში დარეკეს, რომ იგი მოკლეს და მისი ნეშტი და ტექსტი დავინახე იატაკზე,
მივხვდი, რომ ეს ჩემთვის განკუთვნილი ინფორმაცია იყო.
 ვიტრუვიუსის მამაკაცის გამო?
 და ასოები P.S.
 პოსტკრიპტუმი?
მან თავი გააქნია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

P.S. ჩემი ინიციალებია
თქვენ ხომ სოფი ნევე ხართ.
მან განზე გაიხედა.
P.S. მან შემარქვა და ასე მეძახდა, როდესაც ერთად ვცხოვრობდით. – იგი გაწითლდა.
– ეს ნიშნავს პრინცესა სოფის.
ლენგდონმა არ უპასუხა.
სისულელეა, მესმის, თქვა მან. – მაგრამ ეს წლების წინ იყო. როდესაც პატარა გოგო ვიყავი.
იცნობდით, როცა პატარა გოგო იყავით?
საკმაოდ კარგად, თქვა სოფიმ და თვალები მოუწყლიანდა გრძნობებისგან, ჟაკ სონიერი ჩემი ბაბუა იყო.
სად არის ლენგდონი? – იკითხა ფაშმა, თან ბოლო სიგარეტის ბოლი გამოუშვა, როდესაც ჩქარი ნაბიჯით შებრუნდა სამეთვალყურეო პოსტზე.
ჯერ ისევ კაცების საპირფარეშოშია, სერ, ლეოტენანტი კოლე ელოდა მის კითხვას.
ფაშმა ჩაიბუზღუნა:
არ ჩქარობს, როგორც ვხედავ.
კაპიტანმა კოლეს მხარს ზევიდან შეავლო თვალი წითელ წერტილს. კოლემ თითქოს გაიგონა, როგორ ტრიალებდა ჭანჭიკები ფაშის ტვინში. კაპიტანი ებრძოდა სურვილს, რომ თვითონ წასულიყო და ლენგდონი შეემოწმებინა. იდეალურ შემთხვევაში სათვალთვალო ობიექტს უფლებას აძლევდნენ, რაც შეიძლებოდა მეტი დროითა და თავისუფლებით ესარგებლა. ამით მას უსაფრთხოების მცდარ შეგრძნებას უქმნიდნენ. ლენგდონი თავისი ნებით უნდა დაბრუნებულიყო და მაინც, უკვე ათი წუთი იყო გასული.
ძალიან დიდი დრო გავიდა.
შესაძლებელია, რომ ლენგდონი ჩვენს მიზანს ხვდებოდეს? – იკითხა ფაშმა.
კოლემ თავი გააქნია.
ჩვენ ვხედავთ მცირე მოძრაობებს კაცების საპირფარეშოში. ასე რომ, სათვალთვალო აპარატი აშკარად ზედა აქვს. ალბათ ცუდად გრძნობს თავს. აპარატი რომ ეპოვა, მოიხსნიდა და გაქცევას შეეცდებოდა.
ფაშმა საათს დახედა.
ძალიან კარგი.
მაინც დაფიქრებული იყო. მთელი საღამო კოლე გრძნობდა კაპიტნის განსაკუთრებულ დაძაბულობას. რთულ ვითარებაში ყოველთვის მიუკერძოებელი და მშვიდი, ამ ღამით ფაში დაძაბული იყო, თითქოს ეს საქმე მას როგორღაც პირადად ეხებოდა.
არ არის გასაკვირი, გაიფიქრა კოლემ. ფაშს ეს დაპატიმრება უაღრესად სჭირდებოდა. ბოლო დროს მინისტრთა საბჭო და პრესა უკვე ღიად აკრიტიკებდნენ ფაშის აგრესიულ ტაქტიკას, მის შეტაკებებს უცხოურ საელჩოებთან და ახალ ტექნოლოგიებზე დახარჯულ უზარბაზარ თანხებს. ამ ღამეს მაღალი ტექნოლოგიების დახმარებით პროფესიულად შესრულებული ოპერაცია – ამერიკელის დაკავება – დიდი ხნით გააჩუმებდა ფაშის კრიტიკოსებს და დაეხმარებოდა მას კიდევ რამდენიმე წლით შეენარჩუნებინა სამსახური,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სანამ შეძლებდა პენსიაზე გასვლას სანატრელი ანაზღაურებით. უწყის ღმერთმა, რომ მას მართლაც სჭირდება პენსია, ფიქრობდა კოლე. ახალი ტექნოლოგიებისადმი ფაშის მისწრაფებამ მას ზიანი მიაყენა როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად. ხმები დადიოდა, რომ რამდენიმე წლის წინ ფაშმა მთელი თავისი დანაზოგი რაღაც ახალ ტექნოლოგიურ სიგიჟეში დააბანდა და ბოლო პერანგიც კი დაკარგა. ფაში კი ის ადამიანია,
რომელიც მხოლოდ საუკეთესო პერანგებს იცვამს.
ამ ღამით დრო ჯერ კიდევ საკმარისი იყო. სოფი ნევეს უცნაური ჩარევა, თუმცა უშედეგო, მხოლოდ ხარვეზი იყო. ქალი ახლა წასული იყო, ფაშს კი კიდევ ჰქონდა გასათამაშებელი კარტი. მან ჯერ კიდევ უნდა აუწყოს ლენგდონს, რომ მისი სახელი იატაკზეა დაჩხაპნილი მსხვერპლის გვერდით. P.S. იპოვე რობერტ ლენგდონი.
ამერიკელის რეაქცია ამ პაწაწინა სამხილზე მრავლისმთქმელი იქნება.
კაპიტანო! – ცენტრალური სასამართლო პოლიციის დეპარტამენტის ერთერთმა აგენტმა დაიძახა კაბინეტის მეორე ბოლოდან. – მგონი, ჯობია, ამ ზარს უპასუხოთ. – მას ტელეფონის ყურმილი ეჭირა და შეწუხებული ჩანდა.
ვინ არის? – იკითხა ფაშმა.
აგენტმა წარბები შეიკრა.
ჩვენი კრიპტოლოგიის განყოფილების დირექტორია.
მერე?
ეს სოფი ნევეს ეხება, სერ. რაღაც წესრიგში არ არის.
თავი 15
უკვე დრო იყო.
შავი „აუდიდან“ გადმოსული სილასი შინაგან ძალას გრძნობდა. ღამის ნიავი მის ხალვათ სამოსს აფრიალებდა. განახლების ქარი იგრძნობა. მან იცოდა, რომ დავალება სიზუსტეს უფრო მოითხოვდა მისგან, ვიდრე ღონეს და ამიტომ თავისი ავტომატური პისტოლეტი მანქანაში დატოვა. ცამეტვაზნიანი „ჰეკლერი და კოჰი“ USP 40 მას მოძღვარმა მისცა.
სიკვდილის იარაღს არაფერი ესაქმება ღვთის სახლში.
ამ დროს დიდებული ეკლესიის წინ მდებარე მოედანი ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლით სენსიულპისის მოედნის შორეულ ნაწილში რამდენიმე არასრულწლოვან მეძავს, რომლებიც გვიანი ღამით მანქანიან ტურისტებს თავიანთ საქონელს უჩვენებდნენ. მათი მწიფე სხეულების დანახვაზე სილასს ნაცნობი სურვილი გაახსენდა და ბარძაყი ინსტინქტურად დაეძაბა, რის გამოც წვეტებიანი უხეში ქამარი მტკივნეულად ჩაერჭო. ხორციელი სურვილი მაშინვე გაუქრა. უკვე ათი წელია, სილასი სასტიკად უკრძალავდა თავის თავს ყველა სახის სექსუალურ სურვილს, მასტურბაციის ჩათვლით. ეს იყო სამეუფო
გზა. მან იცოდა, რომ უკვე დიდი მსხვერპლი გაიღო იმისათვის, რომ ოპუს დეის გაჰყოლოდა, მაგრამ მან ხომ უფრო მეტი მიიღო სანაცვლოდ. დაუქორწინებლობის აღთქმა და ყოველგვარ კერძო საკუთრებაზე უარი მისთვის დიდ მსხვერპლს არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარმოადგენდა. მის წარსულს სიღარიბესა და იმ სექსუალურ საშინელებებთან შედარებით,
რაც მან ციხეში გადაიტანა, დაუქორწინებლობისა და უპოვარების აღთქმა მხოლოდ სასიამოვნო ცვლილება იყო.
ახლა, როდესაც ანდორაში გატარებული პატიმრობის შემდეგ კვლავ საფრანგეთში დაბრუნდა, სილასი გრძნობდა, რომ სამშობლო გამოცდას უწყობდა მისი აღორძინებული სულიდან ძალადობის მოგონებების ამოთრევით. შენ ხელახლა დაიბადე. შეახსენა მან თავის თავს. ღვთისადმი ერთგულება დღეს მკვლელობის ჩადენას მოითხოვდა, მაგრამ ესეც მსხვერპლი იყო. რომლისთვისაც უზენაესი საზღაური ელოდა.
შენი რწმენა იმოდენაა, რამოდენა ტკივილის ატანაც შეგიძლია, უთხრა ერთხელ მოძღვარმა. სილასისთვის ტკივილი უცხო არ იყო და ძალიან უნდოდა, მოძღვრისთვის დაემტკიცებინა, რომ ტკივილი არაფერს ნიშნავს, როცა მის მოქმედებებს უზენაესი ძალა განსაზღვრავს.
Hago la obra de Dios, ჩაიჩურჩულა სილასმა. ახლა ეკლესიის შესასვლელისაკენ მიდიოდა.
მასიური შესასვლელის ჩრდილში შეჩერდა და ღრმად ჩაისუნთქა. მხოლოდ ამ მომენტში გაიაზრა, რის გაკეთებას აპირებდა და რა ელოდა შიგნით.
ქვაკუთხედი. იგი საბოლოო მიზნისაკენ წაგვიძღვება.
თავისი აჩრდილისმაგვარი მკრთალი მუშტი ასწია და კარზე სამჯერ დააბრახუნა.
რამდენიმე წამის შემდეგ უზარმაზარი ხის პორტალის ურდულები ამოძრავდა.
თავი 16
სოფის აინტერესებდა, რამდენი დრო დასჭირდებოდა ფაშს, იმის მისახვედრად, რომ ის შენობიდან არ გასულა. ლენგდონი აშკარად თავზარდაცემული იყო და სოფი თავის თავს ეკითხებოდა, სწორი იყო თუ არა მისი აქ, კაცების საპირფარეშოში მომწყვდევა.
ნეტა კიდევ რა უნდა გამეკეთებინა?
მას გაახსენდა ბაბუას სხეული, შიშველი და იატაკზე არწივივით გაშლილი. იყო დრო, როცა ბაბუა სოფისათვის მთელ ქვეყნიერებას ნიშნავდა, თუმცა ამ ღამეს გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ თითქმის არავითარი სინანულის გრძნობა არ დაჰბადებია ამ კაცის მიმართ. ახლა ჟაკ სონიერი მისთვის უცხო იყო. მათი ურთიერთობა წამში აორთქლდა მარტის ერთ ღამეს, როდესაც სოფი ოცდაორი წლისა იყო. ეს იყო ათი წლის წინ. მაშინ სოფი ინგლისში ასპირანტურაში სწავლობდა და შინ რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა. შემთხვევით შეესწრო იმას, თუ როგორ აკეთებდა ბაბუა რაღაც ისეთს, რაც სოფის თვალისთვის არ იყო განკუთვნილი. ნანახი დღემდე ვერ დაეჯერებინა.
ჩემი საკუთარი თვალით რომ არ მენახა...
უკიდურესმა სირცხვილმა და გაოგნებამ არ მისცა სონიერის უხერხული განმარტებების მოსმენის საშუალება. სოფიმ მაშინვე დატოვა სახლი და თან მხოლოდ თავისი დანაზოგი ფული წაიღო. მალე პატარა ბინა იქირავა, სადაც მეგობარ გოგონასთან ერთად დასახლდა. დაიფიცა, არასოდეს არავისთან სიტყვაც არ დაეძრა ნანახზე. ბაბუა თავგანწირვით ცდილობდა მასთან დაკავშირებას, უგზავნიდა ბარათებს და წერილებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეევედრებოდა შეხვედროდა მას და მიეცა ყველაფრის ახსნის საშუალება. როგორ უნდა აეხსნა? სოფის არასდროს უპასუხია, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც აუკრძალა მასთან ოდესმე დარეკვა ან ხალხში შეხვედრა. მას ეშინოდა, რომ ახსნა უფრო შემაძრწუნებელი იქნებოდა, ვიდრე თვითონ შემთხვევა.
დაუჯერებელია, მაგრამ სონიერს არასდოს დაუნებებია მისთვის თავი და ახლა სოფის კომოდის უჯრაში ედო ათი წლის მანძილზე დაგროვილი გაუხსნელი წერილები. ბაბუას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე იგი პატივს სცემდა მის თხოვნას და ერთხელაც არ დაურეკავს.
ამ შუადღემდე.
სოფი! – ავტომოპასუხეზე ჩაწერილი მისი ხმა სოფის შემაშფოთებლად დაბერებული მოეჩვენა, მე ამდენი ხნის მანძილზე შენს სურვილებს ვასრულებდი... და ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, ახლა რომ გირეკავ, მაგრამ უნდა დაგელაპარაკო, რაღაც საშინელი მოხდა.
თავისი პარიზული ბინის სამზარეულოში მყოფ სოფის შეამცივნა, როდესაც ამ წლების შემდეგ კვლავ გაიგონა ბაბუას ხმა. ამ კეთილმა ხმამ ბავშვობის უამრავი საყვარელი მოგონება დაუბრუნა.
სოფი, გეთაყვა, მომისმინე, ის ინგლისურად ლაპარაკობდა, ყოველთვის ასე იქცეოდა, როდესაც სოფი პატარა იყო. ფრანგულში ივარჯიშე სკოლაში. ინგლისურში ივარჯიშე შინ. – არ შეიძლება, სამარადისოდ გაბრაზებული იყო. არ წაგიკითხავს ის წერილები, ამ წლების მანძილზე რომ გწერდი? ჯერ კიდევ ვერ გაიგე? – სონიერის ხმამ წაიბორძიკა. – აუცილებლად უნდა დაგელაპარაკო. გთხოვ, შეუსრულე ბაბუას ეს ერთი სურვილი. დამირეკე ლუვრში. სასწრაფოდ. ვფიქრობ, მე და შენ დიდი საფრთხე გვემუქრება.
სოფი ავტომოპასუხეს მოშორდა. საფრთხე? რაზე ლაპარაკობს?
პრინცესა... – ბაბუას რაღაც გაუგებარი ემოციის გამო ხმა თითქოს გაებზარა. – ვიცი, რაღაცას გიმალავდი, და ვიცი, ეს შენი ჩემდამი სიყვარულის ფასად დამიჯდა. მაგრამ ეს შენ გამო ხდებოდა. ახლა შენ სიმართლე უნდა გაიგო. თუ შეიძლება, სიმართლე უნდა გამცნო შენს ოჯახზე.
უცებ სოფიმ აშკარად გაიგონა, როგორ აუძგერდა გული. ჩემი ოჯახი? სოფის მშობლები დაეღუპა, როდესაც ოთხი წლისა იყო. მათი მანქანა ხიდიდან გადავარდა სწრაფ მდინარეში. ბებია და უმცროსი ძმაც მანქანაში ისხდნენ და ერთ წამში სოფის მთელი ოჯახი
თითქოს გაქრა. მას ჰქონდა ამის დამამტკიცებელი გაზეთის ამონარიდებით სავსე მთელი ყუთი.
სონიერის სიტყვებმა სოფი მოულოდნელად მიახვედრა, როგორ ენატრებოდა ისინი. ჩემი ოჯახი! იმ მოკლე წარმავალი წამის განმავლობაში, სოფის თავლწინ გაუელვა სურათებმა სიზმრიდან, რომელსაც ის პატარაობისას ხშირად გაუღვიძებია: ჩემი ოჯახი ცოცხალია! ისინი შინ ბრუნდებიან! მაგრამ ეს სურათები იმ სიზმარივით ახლაც გაქრა.
შენი ოჯახი დაიღუპა, სოფი. ისინი შინ აღარ მოვლენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფი... – განაგრძობდა ბაბუას ხმა. – წლების მანძილზე ველოდი წუთს, როცა ამას გეტყოდი. შემთხვევას ველოდებოდი, მაგრამ ახლა დრო აღარ დარჩა. დამირეკე ლუვრში. როგორც კი ამ შეტყობინებას მიიღებ. მთელი ღამე დაგიცდი. ვწუხვარ, ჩვენ ორივე საფრთხეში აღმოვჩნდით. ძალიან ბევრი რამაა, რაც შენ უნდა იცოდე.

შეტყობინება დასრულდა.

აკანკალებული სოფი რამდენიმე წუთს ჩუმად იდგა. ის ბაბუას შეტყობინებაზე ფიქრობდა და, თავისი წარმოდგენით, ერთადერთი ახსნა იყო აზრიანი. ბაბუას ნამდვილ მიზანს მიუხვდა.

ეს სატყუარა იყო.

აშკარაა, ბაბუას ძალიან უნდოდა მისი ნახვა და ყოველ ღონეს ხმარობდა ამისთვის. სოფის სიძულვილი იმ კაცის მიმართ უფრო გაღრმავდა. იმასაც ფიქრობდა, შეიძლება ბაბუა მძიმედ არის ავად დაგადაწყვიტა, ნებისმიერი ტაქტიკური სვლა სცადოს, რომ უკანასკნელად მიმიყვანოსო. თუ ასეა, ჭკვიანური არჩევანი გაუკეთებია.

ჩემი ოჯახი.

ახლა იდგა ლუვრში, კაცების ბნელ საპირფარეშოში და ექოსავით ესმოდა შუადღისას მოსმენილი სატელეფონო შეტყობინება. სოფი, ჩვენ შეიძლება საფრთხეში აღმოვჩნდეთ. დამირეკე.

არ დაურეკავს. არც აპირებდა. თუმცა ახლა კი ხვდებოდა, რომ მწარედ შეცდა. ბაბუა თავისივე მუზეუმში იწვა მოკლული და იატაკზე რაღაც კოდი დაეწერა.

კოდი მისთვის იყო განკუთვნილი. ამაში სოფის ეჭვი არ ეპარებოდა.

მართალია, ბაბუას წერილის მნიშვნელობა არ ესმოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ უწყების კრიპტოლოგიური ხასიათი დამატებითი მტკიცება იყო, რომ ამ სიტყვებით სონიერი მას მიმართავდა. კრიპტოგრაფიის სიყვარული და ნიჭი იმის შედეგი იყო, რომ სოფი ჟაკ სონიერის გვერდით იზრდებოდა. სონიერი თვითონ იყო კოდების, სიტყვებით თამაშებისა და გამოცანების ოსტატი, რამდენი კვირადღე გვაქვს გატარებული გაზეთებში დაბეჭდილი კრიპტოგრამებისა და კროსვორდების ამოხსნაში?

12 წლის ასაკში სოფის შეეძლო დაუხმარებლას შეევსო ლე მონდის კროსვორდი და ბაბუამ იგი ინგლისურენოვან კროსვორდებზე, მათემატიკურ თავსატეხებსა და შეთავსებით

კოდებზე გადაიყვანა. სოფიმ ესეც ადვილად შთანთქა. ბოლოს და ბოლოს მან ეს გატაცება პროფესიად აქცია და სასამართლო პოლიციაში დაიწყო მუშაობა შიფრის გამხსნელად.

ამ ღამით კრიპტოგრაფი სოფი პავიტისცემით ფიქრობდა ბაბუაზე. მან ხომ საოცრად ჭკვიანური და მარტივი კოდის გამოყენებით შეახვედრა ორი ერთმანეთისათვის სრულიად

უცხო ადამიანი – სოფი ნევე და რობერტ ლენგდონი.

ისმის კითხვა, რატომ?

სამწუხაროდ, ლენგდონის გაოგნებული გამომეტყველებით სოფი მიხვდა, რომ ამერიკელს მასზე მეტად არ ესმოდა, რატომ შეახვედრა ბაბუამ ისინი.

მან ერთხელ კიდევ სცადა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქვენ და ბაბუა უნდა შეხვედროდით ერთმანეთს წუხელ. რატომ? ლენგდონი მართლაც დაბნეული ჩანდა.

მისმა მდივანმა დანიშნა ეს შეხვედრა. არავითარი განსაკუთრებული მიზეზი არ დაუსახელებია და არც მე მიკითხავს, ვივარაუდე, რომ ალბათ გაიგო წარმართულ იკონოგრაფიაზე ჩემი მოსალოდნელი ლექციის შესახებ. ამ თემით დაინტერესდა და ჩათვალა, რომ კარგი იქნებოდა შევხვედრილიყავით და რამე დაგველია ლექციის შემდეგ. სოფი ამით არ დაკმაყოფილდა. კავშირი ძალიან სუსტი იყო. ბაბუამისმა წარმართულ იკონოგრაფიაზე უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ნებისმიერმა ადამიანმა დედამიწაზე. გარდა ამისა, ის თავისთვის ცხოვრობდა. არ იქნებოდა ვიღაც ამერიკელ პროფესორთან საჭორაოდ განწყობილი, თუ ამის განსაკუთრებული მიზეზი არ ჰქონდა.

სოფიმ ღრმად ჩაისუნთქა.

დღეს შუადღისას ბაბუამ დამირეკა და მითხრა, რომ ჩვენ დიდი საფრთხე გვემუქრება. ეს რამეზე მიგანიშნებთ?

ლენგდონს ლურჯი თვალები ეჭვმა დაუჩრდილა.

არა, მაგრამ მხედველობაში მივიღებთ, რაც ახლახანს მოხდა...

სოფიმ თავი დაუქნია. ამღამინდელი ამბების გათვალისწინებით, სულელი უნდა იყო, რომ არ შეგეშინდეს. სოფი გრძნობდა, რომ ძალა გამოელია. იგი საპირფარეშოს ბოლოს ტყვიაგაუმტარი შუშით დაცულ სარკმელს მიუახლოვდა და საგანგაშო სადენებს მიღმა გარეთ გაიხედა. მიწამდე შორი იყო, დაახლოებით ორმოცი ფუტი.

სოფიმ ამოიოხრა და თვალი მიაპყრო პარიზის თვალწარმტაც ხედს. მისგან მარცხნივ, სენის გადაღმა, განათებული ეიფელის კოშკი იდგა, ზუსტად პირდაპირ კი ტრიუმფალური

თაღი. მარჯვნივ, მონმარტრის აღმართის ზევით, მოხდენილი და უჩვეულოდ მოწნული საკრეკერის გუმბათი მოჩანდა. მისი გაპრიალებული ქვა თეთრად ელვარებდა.

აქედან, დენონის ფრთის უკიდურესი დასავლეთი წერტილიდან, ჩანდა, რომ კარუსელის მოედნიდან ჩრდილოეთსამხრეთის გზატკეცილზე გასასვლელი ძალიან ახლოს გადიოდა შენობასთან და მხოლოდ ერთი ტროტუარით იყო დაშორებული ლუვრის

გარე კედელს. შორს, ქვევით, ღამის სატვირთო მანქანების ჩვეულებრივი ქარავანი უქმედ იდგა. ისინი ცვლის დამთავრებას უცდიდნენ. მათ მოძრავი სინათლეები თითქოს დამცინავად უკრავდნენ თვალს სოფის.

არ ვიცი, რა ვთქვა, თქვა ლენგდონმა და სოფის უკნიდან მიუახლოვდა. – ბაბუათქვენი აშკარად რაღაცის თქმას ცდილობდა. ვწუხვარ, რომ ასე ცოტა რამით გეხმარებით.

სოფი შემობრუნდა. მან ლენგდონის სერიოზულ ხმაში გულწრფელი სინანული იგრძნო. მიუხედავად მის ირგვლივ შექმნილი მთელი სირთულისა, მას აშკარად უნდოდა ქალს დახმარებოდა. იგი ბუნებით პედაგოგია, გაიფიქრა სოფიმ. მას წაკითხული ჰქონდა პოლიციის დასკვნა ეჭვმიტანილზე: ჭეშმარიტი მეცნიერი, რომელიც ვერ იტანს, როდესაც რაღაც არ ესმის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს საერთო თვისება გვქონია, გაიფიქრა მან
როგორც მშიფრავი, სოფი ფულს ერთი შეხედვით უაზრო მონაცემებიდან აზრის გამოტანით შოულობდა. ამ ღამით მისი საუკეთესო მიხვედრა ის იყო, რომ რობერტ ლენგდონი, იცოდა მან ეს თუ არა, ფლობდა ინფორმაციას, რომელიც სოფის უკიდურესად სჭირდებოდა. პრინცესა სოფი, იპოვე რობერტ ლენგდონი, ამაზე გარკვევით რაღა უნდა ეთქვა ბაბუას? სოფის ლენგდონთან მეტი დრო უნდა გაეტარებინა. დრო, რომელიც ფიქრისთვის არის საჭირო, დრო, რომ ეს საიდუმლო ერთად აეხსნათ. სამწუხაროდ, დრო იწურებოდა.
სოფიმ ლენგდონს შეხედა და ის ერთადერთი რამ გადაწყვიტა, რისი გაკეთებაც შეეძლო.
ბეზუ ფაშინებისმიერ მომენტში გაგისტუმრებთ წინასწარი დაკავების საკანში. მე შემიძლია ამ მუზეუმიდან გაგიყვანოთ. მაგრამ ამისთვის დაუყოვნებლივ უნდა ვიმოქმედოთ.
ლენგდონს თვალები გაუფართოვდა.
თქვენ გინდათ, რომ გავიქცე?
ეს იქნება ყველაზე ჭკვიანური, რის გაკეთებასაც შეძლებთ. თუ ფაში ახლა დაგაპატიმრებთ, რამდენიმე კვირის გატარება მოგიწევთ ფრანგულ ციხეში, სანამ სასამართლო პოლიციის ცენტრალური დეპარტამენტი და ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩო იდავებენ იმის თაობაზე, თუ რომელმა სასამართლომ უნდა გაარკვიოს თქვენი საქმე. მაგრამ თუ ახლა აქედან გაგიყვანთ და წავალთ თქვენს საელჩოში, მაშინ თქვენი მთავრობა დაიცავს თქვენს უფლებებს, სანამ მე და თქვენ დავამტკიცებთ, რომ არაფერი საერთო არ გაქვთ ამ მკვლელობასთან.
ლენგდონი ამან ოდნავადაც არ დაარწმუნა.
დაივიწყეთ! ფაშს შეიარაღებული დაცვა ჰყავს ყოველ გასასვლელთან! თუ მაინც შევძლებთ თავის დაღწევას ისე, რომ არ გვესვრიან, ჩემი გაქცევით მხოლოდ იმას დავამტკიცებ, რომ დამნაშავე ვარ. თქვენ უნდა უთხრათ ფაშს, რომ წერილი იატაკზე თქვენთვის იყო დატოვებული და ჩემი სახელი იქ დადანაშაულების მიზნით არ წერია.
მე ამას გავაკეთებ, – თქვა სოფიმ. იგი აჩქარებული ლაპარაკობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენ უსაფრთხოდ იქნებით შეერთებული შტატების საელჩოში. აქედან საელჩო დაახლოებით ერთი მილის მანძილზეა და ჩემი მანქანა ზუსტად მუზეუმის წინ დგას.
აქედან ფაშთან საქმის მოგვარება სარისკოა. ვერ ხედავთ? ფაშის მიზანია, რომ ამაღამვე დაამტკიცოს, რომ დამნაშავე ხართ. ერთადერთი მიზეზი, რატომაც მან აქამდე არ დაგაპატიმრათ, ის იყო, რომ უნდოდა, თვალყური ედევნებინა თქვენთვის. მას იმედი ჰქონდა, რომ თქვენ ისეთ რამეს გააკეთებდით, რაცმ მის პოზიციას გაამყარებდა.
სწორედ ამას ვამბობ. ეს მაშინ მოხდება, თუ გავიქცევი!
სოფის სვიტრის ჯიბეში მობილური ტელეფონი მოჰყვა რეკვას. ალბათ ფაშია. მან ხელი შეყო სვიტერში და ტელეფონი გამორთო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბატონო ლენგდონ, თქვა სოფიმ. იგი ჩქარობდა, ერთი ბოლო კითხვა უნდა დაგისვათ და თქვენი მომავალი შეიძლება ამაზე იყოს დამოკიდებული. იატაკზე ნაწერი აშკარად არ ამტკიცებს თქვენს დანაშაულს, თუმცა ფაშმა ჩვენს გუნდს უთხრა, რომ ის დარწმუნებულია, რომ თქვენ მისი ხართ. ხომ არ არის კიდევ სხვა მიზეზი, რის გამოც მას ასე სჯერა თქვენი დანაშაულისა?

ლენგდონი ერთხანს დუმდა.

არავითარი, რამდენადაც ვიცი.

სოფიმ შვებით ამოიოხრა. რაც ნიშნავს იმას, რომ ფაში იტყუება. რატომ, სოფი ვერ ხვდებოდა, მაგრამ ამ წუთში ეს არ იყო მთავარი. სიმართლე კი ის იყო, რომ ბეზუ ფაშს გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, რობერტ ლენგდონი ციხეში ჩაესვა

ამაღამვე. სოფის ლენგდონი თავისთვის სჭირდებოდა. სწორედ ამ დილემამ სოფის მხოლოდ ერთ ლოგიკური დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა.

მე ლენგდონი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში უნდა მივიყვანო.

სოფი მოტრიალდა ფანჯრისკენ და ტყვიაგაუმტარი მინიდან თავბრუდამხვევი ორმოცი ფუტით ქვევით გაშლილ ტროტუარზე გადაიხედა. ამ სიმაღლიდან ნახტომი, საუკეთესო შემთხვევაში, ლენგდონს ორი მოტეხილი ფეხის ფასად გაუჯდებოდა.

სოფიმ გადაწყვეტილება მაინც მიიღო.

რობერტ ლენგდონი, სადაცაა, თავს დააღწევდა ლუვრს, უნდოდა ეს თუ არა.

თავი 17

რას ნიშნავს არ პასუხობს? – სკეპტიკურად იკითხა ფაშმა. – შენ მის მობილურზე რეკავ, არა? ვიცი, რომ თანა აქვს.

კოლე უკვე რამდენიმე წუთი იყო, რაც სოფისთან დაკავშირებას ცდილობდა.

შეიძლება ელემენტები დაუჯდა, ან ზარი აქვს გამორთული.

ფაში შეწუხებული ჩანდა მას მერე, რაც კრიპტოლოგიის განყოფილების დირექტორს ელაპარაკა ტელეფონით. როდესაც ყურმილი დადო, იგი კოლესკენ წამოვიდა და აგენტ ნევესთან დაკავშირება მოსთხოვა. კოლემ ეს ვერ მოახერხა და ფაში ოთახში ბოლთას ისე სცემდა, როგორც ლომი გალიაში.

რატომ დარეკა კრიპტოლოგმა? – ახლაღა გაბედა კოლემ კითხვის დასმა. ფაში მოტრიალდა.

რომ ეთქვა, ვერანაირი კავშირი ვერ ვნახეთ ვერც ზვიად დემონებთან და ვერც მათ ნალაჩრალთანო, თუ რაც არის.

სულ ესაა?

არა, აგრეთვე იმის სათქმელად, რომ სწორედ ახლა ამოიცნეს სონიერის დაწერილ ციფრებში ფიბონაჩის მწკრივი, მაგრამ ეჭვი აქვთ, რომ ეს არაფერს ნიშნავს.

კოლე დაბნეული ჩანდა.

კი მაგრამ, მათ ხომ უკვე გამოგზავნეს აგენტი ნევე ამის სათქმელად

ფაშმა თავი გააქნია.

იმათ ნევე არ გამოუგზავნიათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაო?
დირექტორმა თქვა, რომ ჩემი ბრძანების მიხედვით, თავისი გუნდის წევრებს ჩემგან
მიღებული სურათები პეიჯერით დაუგზავნა. როდესაც აგენტი ნევე მივიდა, ერთი შეხედა
სონიერის ფოტოებს, კოდს და უსიტყვოდ დატოვა ოფისი. დირექტორს მისთვის მიზეზი არ
უკითხავს, ვინაიდან გასაგები იყო, თუ როგორ იმოქმედებდა მასზე ფოტოები.
იმოქმედებდა? რა, აგენტ ნევეს არასდროს არ უნახავს გვამის ფოტოები?
ფაში ერთი წუთით დადუმდა.
მე ეს არ ვიცოდი, და, ვფიქრობ, არც დირექტორმა იცოდა მანამდე, სანამ ერთერთმა
თანამშრომელმა არ მოახსენა, რომ სოფი ნევე ჟაკ სონიერის შვილიშვილია.
კოლეს მოულოდნელობისგან ენა ჩაუვარდა.
დირექტორმა თქვა, რომ აგენტ ნევეს არასდროს უხსენებია სონიერი მათთან. ალბათ
არ უნდოდა, გამოჩენილი ბაბუის გამო მისთვის რაიმე უპირატესობა მიენიჭებინათ.
არ არის გასაკვირი, რომ მასზე სურათებმა იმოქმედა. კოლემ ცხადად წარმოიდგინა
ვითარება. ახალგაზრდა ქალი გამოიძახეს იმ კოდის გასახსნელად, რომელიც მისი ოჯახის
გარდაცვლილმა წევრმა დაწერა. ეს ტრაგიკული დამთხვევა იყო. და მაინც, სოფის
მოქმედებების აზრი მისთვის გაუგებარი რჩებოდა.
მაგრამ მან აშკარად იცნო ფიბონაჩის რიცხვები, რადგან მოვიდა და ჩვენ გვითხრა.
არ მესმის, რატომ უნდა წამოსულიყო ოფისიდან ისე, რომ არავისთვის ეთქვა თავისი
აღმოჩენის შესახებ.
კოლეს შეეძლო წარმოედგინა ერთადერთი სცენარი, რომელიც მოვლენათა ამგვარ
განვითარებას ახსნიდა. სონიერმა ციფრული კოდი იატაკზე იმ იმედით დაწერა, რომ ფაში
გამოძიებაში კრიპტოგრაფებს ჩართავდა და, შესაბამისად, მის შვილიშვილსაც. ტექსტის
დარჩენილ ნაწილს რაც შეეხება, ნუთუ სონიერი რაღაც ფორმით თავის შვილიშვილს
ელაპარაკებოდა? თუ ასეა, მაშინ რა უთხრა? და რა შუაშია ლენგდონი?
სანამ კოლე გააგრძელებდა ამაზე ფიქრს, დაცარიელებული მუზეუმის სიჩუმე
საგანგაშო სიგნალმა დაარღვია. ზარი თითქოს გალერეიდან გამოდიოდა.
განგაშია! – იღრიალა ერთერთმა აგენტმა, რომელიც თვალს ადევნებდა ობიექტს
კომპიუტერის მონიტორზე. – ეს დიდი გალერეაა! მამაკაცების საპირფარეშოდან!
ფაში კოლეს მივარდა.
სად არის ლენგდონი?
ჯერ კიდევ მამაკაცების ტუალეტშია! – კოლემ მიუთითა თავისი კომპიუტერის ეკრანზე
მოციმციმე წითელ წერტილზე, ეტყობა, ფანჯარა გატეხა! – კოლემ იცოდა, რომ
ლენგდონი შორს ვერ წავიდოდა. პარიზის სახანძრო უსაფრთხოების კოდექსი მოითხოვს,
რომ საზოგადოებრივ შენობებში 15 მეტრზე ზევით ფანჯრები ხანძრის შემთხვევაში უნდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტყდებოდეს. თუმცა ლუვრიდან თავის დაღწევა მეორე სართულის ფანჯრიდან კაუჭის და
კიბის დახმარების გარეშე თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. უფრო მეტიც, დენონის ფრთის დასავლეთ ნაწილის ბოლოს კედელთან ხეები და ბალახი არ იყო, ამიტომ რბილად დაცემის შესაძლებლობაც არ იქმნებოდა. სწორედ საპირფარეშოს ქვეშ გადიოდა ორზოლიანი კარუსელის მოედანი გარეთა კედლიდან რამდენიმე ფუტის იქით.
ღმერთო ჩემო, აღმოხდა ეკრანს მიშტერებულ კოლეს, ლენგდონი ფანჯრის კარნიზზე მოძრაობს!
მაგრამ ფაში უკვე საქმეს აკეთებდა. მან სწრაფად ამოაძრო თავისი მღ93 ტიპის რევოლვერი სამხრე ბუდიდან და ოთახიდან გავარდა.
კოლე გაოგნებული უყურებდა ეკრანს. მოციმციმე წერტილი გავიდა ფანჯრის კარნიზზე და შემდეგ რაღაც სრულიად წარმოუდგენელი გააკეთა. წერტილი გავიდა შენობის პერიმეტრს გარეთ.
რა ხდება? გაუკვირდა მას. ლენგდონი რაფაზეა თუ...
ღმერთო ჩემო! – კოლე წამოხტა, როდესაც დაინახა, როგორ გადახტა წერტილი კედლის იქით საკმაოდ შორ მანძილზე. ერთი წამით სიგნალი თითქოს აცახცახდა და შემდეგ მოციმციმე წერტილი უეცრად გაჩერდა, შენობის პერიმეტრიდან დაახლოებით 10 იარდის იქით.
რამდენიმე საკონტროლო ღილაკის საშუალებით, კოლემ გამოიძახა პარიზის ქუჩების რუკა და მასზე გადაიყვანა სათვალთვალო ობიექტი. მან გაადიდა გამოსახულება და ახლა უკვე ხედავდა სიგნალის ზუსტ მდებარეობას.
ობიექტიაღარ მოძრაობდა.
ის გაუნძრევლად იდო კარუსელის მოედნის შუაგულში.
ლენგდონი, როგორც ჩანს, ფანჯრიდან გადახტა.
თავი 18
ფაში სირბილით დაუყვა დიდ გალერეას მაშინ, როდესაც კოლე რადიო ღრიალით ცდილობდა განგაშის სიგნალის დაფარვას.
გადახტა! – ყვიროდა კოლე, სიგნალი კარუსელის მოედანზეა! ტუალეტის ფანჯრის გარეთ! საერთოდ არ მოძრაობს! ღმერთო ჩემო, ლენგდონმა, მგონი, ეს წუთია, თავი მოიკლა!
ფაშმა გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანა. ის გარბოდა. დერეფანი თითქოს უსასრულო იყო. როდესაც მან სონიერის გვამს ჩაურბინა, თვალი მოჰკრა დერეფნის გამყოფებს დენონის ფრთის ბოლოში. განგაშის სიგნალი ახლა უფრო ხმამაღლა ისმოდა.
მოიცადეთ! – კოლეს ხმა ისევ აღრიალდა რადიოში. ის მოძრაობს! ღმერთო ჩემო, ის ცოცხალია. ლენგდონი მოძრაობს!
ფაში გარბოდა და ყოველ ნაბიჯზე დერეფნის სიგრძეს წყევლიდა
ლენგდონი უფრო სწრაფად მოძრაობს! – ჯერ კიდევ ყვიროდა რადიოში კოლე. – მირბის! მოიცადეთ... სიჩქარეს უმატა! ახლა ძალიან სწრაფად მოძრაობს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამყოფებთან მივარდნილი ფაში მათ შორის გაძვრა, დაინახა საპირფარეშოს კარი და იქით გაიქცა.
ახლა რაციის ხმა თითქმის აღარ ისმოდა, საგანაგაშო სიგნალის გამო.
მანქანაში უნდა იყოს! მე ვერ...
კოლეს სიტყვები განგაშის სიგნალმა შთანთქა მაშინ, როდესაც ფაში იარაღით ხელში, როგორც იქნა, მამაკაცთა საპირფარეშოში შევარდა. შეიჭმუხნა – სიგნალიზაციის ხმა აქ ყურისწამღები იყო. ადგილი მოათვალიერა.
ტუალეტის კაბინები ცარიელი იყო. ფაშმა მაშინვე თვალებით მოძებნა ჩატეხილი ფანჯარა ოთახის ბოლოში, მივარდა და გადაიხედა. ლენგდონი არსად ჩანდა. ფაშს ვერ წარმოედგინა, რომ ვიღაცამ ასეთი ილეთის ჩატარება გაბედა. რა თქმა უნდა, თუ ამ სიმაღლიდან გადავარდა, მძიმედ დაშავდებოდა.
ბოლოს და ბოლოს განგაშის სიგნალი შეწყდა და კოლეს ხმა ისევ გაისმა რაციაში.
... სამხრეთისკენ მოძრაობს... უფრო სწრაფად... სენა გადაკვეთა კარუსელის ხიდით!
ფაში მარცხნივ მიტრიალდა. ერთადერთი ტრანსპორტი კარუსელის ხიდზე იყო უზარმაზარი ორნაწილიანი ტრეილერი, რომელიც ლუვრიდან სამხრეთის მიმართულებით
მოძრაობდა. სატვირთოს ღია ნაწილი დაფარული იყო ვინილის ბრეზენტით, რომელიც გიგანტურ ჰამაკს წააგავდა. ფაშს გააჟრიალა, როდესაც მიხვდა, თუ რა მოხდა. ის მანქანა რამდენიმე წამის წინ გაჩერდა წითელ შუქზე სწორედ საპირფარეშოს ფანჯრის ქვეშ. მხოლოდ გიჟი თუ გარისკავდა ასე, თქვა ფაშმა თავისთვის. შეუძლებელია ლენგდონს სცოდნოდა, რა მიჰქონდა მანქანას ბრეზენტის ქვეშ. ფოლადი რომ ყოფილიყო? ან ცემენტი? ან თუნდაც ნაგავი? ორმოცი ფუტის სიმაღლიდან გაკეთებული ნახტომი? სიგიჟეა.
სიგნალი ტრიალებს! – დაიძახა კოლემ, მარჯვნივ, სენპერესის ხიდზე უხვევს!
მართლაც, ტრეილერმა ხიდი გადაკვეთა, სვლა შეანელა და მარჯვნივ მოუხვია სენ პერეს ხიდზე. ასე იყოს, გაიფიქრა ფაშმა. იგი გაოცებული უყურებდა, როგორ გაუჩინარდა მანქანა მოსახვევში. კოლე უკვე რადიოთი უკავშირდებოდა გარეთ მდგარ აგენტებს, მოხსნა ისინი ლუვრის პერიმეტრიდან და საპატრულო მანქანებისკენ გაგზავნა, რომ გაქცეულს დასდევნებოდნენ და თან გზადაგზა ყველას ატყობინებდა ტრეილერის ადგილმდებარეობას. ძალიან უცნაური რეპორტაჟი იყო.
ფაშმა იცოდა, რომ დამთავრდა. მისი აგენტები მანქანას რამდენიმე წამში შემოარტყამენ ალყას. ლენგდონი ვეღარსად წაუვიდოდა.
ფაშმა იარაღი შეინახა, საპირფარეშოდან გავიდა და რადიოთი დაუკავშირდა კოლეს.
ჩემი მანქანა აქ მომიყვანეთ. მინდა, იქ ვიყო, როცა დავაპატიმრებთ.
ფაში ძუნძულით გარბოდა უკან დიდ გალერეაში და თან ფიქრობდა, გადარჩა თუ არა ლენგდონი.
ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა
ლენგდონი გაიქცა. ესე იგი დამნაშავეა.
საპირფარეშოდან სულ რაღაც თხუთმეტიოდე იარდის იქით, ლენგდონი და სოფი დიდი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გალერეის სიბნელეში იდგნენ. ისინი ზურგით ებჯინებოდნენ დერეფნის ერთერთ ფართო გამყოფს. ძლივს მოასწრეს დამალვა, როდესაც ფაშმა იარაღით ხელში ჩაუქროლა და საპირფარეშოში გაუჩინარდა.

ბოლო სამოცი წამი ლენგდონმა თითქოს ბურანში გაატარა.

ლენგდონი იდგა კაცების საპირფარეშოში და უარს ამბობდა გაქცევაზე. განა რა დააშავა საამისოდ? ამ დროს სოფიმ თვალი დაადგა ტყვიაგაუმტარ ფანჯარას და შეამოწმა მასში ჩაყოლებული სასიგნალო ხლართი. შემდეგ გადაიხედა ქუჩაში, თითქოს ნახტომს ზომავდა.

– თუ კარგად დამიზნება შეგიძლიათ, აქედან თავს დააღწევთ, – თქვა მან.

– დამიზნება? შეწუხებულმა ლენგდონმა ფანჯრიდან გადაიხედა.

უზარმაზარი ორნაწილიანი თვრამეტბორბლიანი ტრეილერი მოემართებოდა ზუსტად ფანჯრის ქვეშ მყოფი მუქნიშნისაკენ. მანქანის მასიურ ტანზე გადაჭიმული ცისფერი ვინილის ბრეზენტი თავისუფლად იყო გადაფარებული ტვირთზე. ლენგდონს იმედი ჰქონდა, რომ სოფის სულ სხვა რამე ჰქონდა თავში.

– სოფი, მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავხტები.

– ამოიღეთ სათვალთვალო ფირფიტა.

დაბნეულმა ლენგდონმა ხელი მოიფათურა ჯიბეში და პაწაწინა ლითონის ფირფიტა მოძებნა. სოფიმ გამოართვა და პირსაბნისკენ წავიდა. შემდეგ აიღო საპნის სქელი ნაჭერი, ფირფიტა ზედ მიადო და ცერით მაგრად ჩააჭყლიტა.

ამის შემდეგ საპონი ლენგდონს გადასცა, მერე პირსაბნის ქვეშიდან ცილინდრის ფორმის სანაგვე გამოაძვრინა. სანამ ლენგდონი წინააღმდეგობის გაწევას მოიფიქრებდა, სოფი ფანჯრისკენ გარბოდა და ნაგვის ყუთი კედლის სამტვრევი იარაღივითჰქონდა წინ გაშვერილი. ფანჯრის ცენტრს დაუმიზნა და ჩაამსხვრია.

მათ ზევით საგანგაშო სიგნალმა ყურის წამღები კივილი ატეხა.

– მომეცი საპონი! – დაიყვირა სოფიმ. მისი ხმა ძლივს ისმოდა ატეხილ ხმაურში.

ლენგდონმა საპონი ხელში მიაჩეჩა.

სოფიმ საპონი ხელისგულში მოიგდო და ჩატეხილი ფანჯრიდან გადახედა ქვემოთ მდგარ თვრამეტბორბლიან მანქანას. მიზანი კარგა დიდი იყო – ფართო, უძრავი ბრეზენტი

– და შენობის კედლიდან ათ ფუტზე ნაკლებ მანძილზე იდგა. როდესაც შუქნიშანი შესაცვლელად მოემზადა, სოფიმ ღრმად ჩაისუნთქა და საპნის ნაჭერი ღამეში მოისროლა.

საპონი სწრაფად დაეშვა მანქანის მიმართულებით, ბრეზენტის კიდეზე დავარდა და უკან, სატვირთო განყოფილებაში ჩასრიალდა სწორედ მაშინ, როცა შუქნიშანზე მწვანე აინთო.

– მომილოცავს, – თქვა სოფიმ. ახლა იგი ლენგდონს უკვე კარისკენ მიათრევდა. – თქვენ, ეს წუთია, ლუვრს თავი დააღწიეთ.

ისინი გამოიქცნენ კაცების საპირფარეშოდან და თავი ჩრდილს შეაფარეს სწორედ მაშინ, როდესაც ფაშმა გვერდით ჩაუქროლა.

ახლა, როცა სახანძრო სიგნალი შეწყდა, ლენგდონმა გაიგონა, როგორ შორდებოდნენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლუვრს პოლიციის სირენები. პოლიცია გარბის! ფაშიც აჩქარებული ნაბიჯით გაეცალა იქაურობას და დიდი გალერეა დატოვა.

აქედან დაახლოებით თხუთმეტი მეტრით უკან დიდ გალერეაში საავარიო კიბეა, უთხრა სოფიმ, ახლა, როდესაც დაცვა პერიმეტრს ტოვებს, ჩვენ აქედან თავის დაღწევას შევძლებთ.

ლენგდონმა გადაწყვიტა, აღარაფერი ეთქვა მთელი საღამოს მანძილზე. სოფი ნევე მასზე გაცილებით ჭკვიანი იყო.

თავი 19

ამბობენ, სენსიულპისის ეკლესიას პარიზის შენობებს შორის ყველაზე უცნაური ისტორია აქვსო. იგი ეგვიპტური ქალღმერთის, ისიდას უძველესი ტაძრის ნანგრევებზეა აშენებული და მისი სქემა არქიტექტურული პროპორციებით პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისას ემთხვევა. ამ წმინდა სალოცავმა უმასპინძლა მარკიზ დე სადისა და შარლ ბოდლერის ნათლისღებასა და ვიქტორ ჰიუგოს ქორწინებას. ეკლესიასთან არსებულ სემინარიაში დაცულია ერესთა უმდიდრესი და საუცხოოდ დოკუმენტირებული ისტორია.

ოდესღაც ეს იყო მრავალრიცხოვან საიდუმლო საზოგადოებათა შეხვედრის ადგილი.

ამ ღამით სენსიულპისის ჩაბნელებული ნავი აკლდამასავით მდუმარე იყო.

ერთადერთი მინიშნება სიცოცხლეზე საღამოს მესის შემდეგ დარჩენილი საკმევლის ოდნავ

შესამჩნევი სუნი იყო. დედა სანდრინის ქცევაში სილასმა დაძაბულობა იგრძნო, როდესაც მონაზონი ტაძარში შეუძღვა. ამას არ გაუკვირვებია. სილასი მიჩვეულო იყო, რომ ადამიანები მის გვერდით უხერხულად გრძნობდნენ თავს.

ამერიკელი ხართ? – ჰკითხა ქალმა.

წარმოშობით ფრანგი, უპასუხა სილასმა. – ესპანეთში ვმუშაობდი, და ახლა შეერთებულ შტატებში ვსწავლობ.

დედა სანდრინმა თავი დაუქნია. იგი პატარა მშვიდთვალებიანი ქალი იყო.

და თქვენ არასდროს გინახავთ სენსიულპისი?

ვხვდები, რომ ეს უკვე ცოდვაა.

დღისით უფრო მშვენიერია.

ეჭვიც არ მეპარება. და მაინც, მადლობელი ვარ, რომ ამის შესაძლებლობას მომცემთ ამაღამ.

ეს სააბატომ ითხოვა. თქვენ აშკარად გავლენიანი მეგობრები გყავთ.

თქვენ ამაზე წარმოდგენაც არ გაქვთ, გაიფიქრა სილასმა.

სილასი დედა სანდრინს გაჰყვა მთავარი ნავის სიღრმეში და გაოცებული დარჩა ტაძრის სისადავით. ღვთისმშობლის ტაძრისგან განსხვავებით, სადაც ნახავდით ფერად ფრესკებს, ჩუქურთმებიან მოოქროვილ საკურთხევლებს და თბილი ხის დეკორაციებს, სენ

სიულპისი შიშველი და ცივი იყო, თითქმის მოსაწყენი, რითაც ესპანეთის ასკეტურ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეკლესიებს მოგაგონებდათ. მორთულობის სიმწირე ინტერიერს უფრო ფართოს ხდიდა და
როცა სილასმა ასხლეტილწვერებიან ჭერის თაღს ახედა, წარმოიდგინა, რომ უზარმაზარი ამობრუნებული ხომალდის ქვეშ იდგა.
შესაფერისი შედარებაა, გაიფიქრა მან. საძმოს ხომალდი, სადაცაა, სამუდამოდ გადაბრუნდება თავდაღმა. ერთი სული ჰქონდა, სანამ საქმეს შეუდგებოდა, ამიტომაც ინატრა, ნეტა სანდრინმა დამტოვოსო. ამ პატარა ქალის გაკავება სილასს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ფიცი დადო, რომ უკიდურესი საჭიროების გარეშე ძალადობას მოერიდებოდა. ის ხომ მონაზონია და მისი ბრალი არ არის, რომ საძმომ სწორედ მისი ეკლესია აირჩია ქვაკუთხედის დასამალად. იგი სხვისი ცოდვებისთვის არ უნდა დაისაჯოს.
უხერხულად ვგრძნობ თავს, დაო, რომ ჩემი გულისათვის გაგაღვიძეს.
არა უშავს, თქვენ ცოტა ხნით ხართ პარიზში. არ შეიძლება სენსიულპისი არ ნახოთ.
თქვენ ეკლესიის არქიტექტურული მხარე უფრო გაინტერესებთ, თუ ისტორიული?
სინამდვილეში, დაო, მე სულიერი ინტერესები მაქვს.
ქალმა სასიამოვნოდ გაიღიმა.
რა თქმა უნდა. მე უბრალოდ მაინტერესებდა, საიდან უნდა დამეწყო ექსკურსია.
სილასმა იგრძნო, რომ თვალები საკურთხეველზე შეაჩერა.
ექსკურსია არ არის საჭირო. თქვენ უკვე ძალიან ბევრი გააკეთეთ ჩემთვის. მე თვითონ შევძლებ დათვალიერებას.
სულ არ ვწუხდები, თქვა მონაზონმა, მე ხომ უკვე გაღვიძებული ვარ.
სილასი გაჩერდა. ახლა მათ სკამების წინა რიგს მიაღწიეს და საკურთხეველი მხოლოდ თხუთმეტი იარდის მოშორებით იყო. მთელი თავისი მასიური სხეულით სილასი პატარა ქალისკენ მიტრიალდა და იგრძნო, როგორ მოიბუზა მონაზონი, როდესაც მის წითელ თვალებს შეხედა.
ძალიან დიდ თავხედობაში არ ჩამომართვათ, დაო, მე არ ვარ ჩვეული ღვთის სახლში უბრალოდ სეირნობას და ექსკურსიებს. თუ წინააღმდეგი არა ხართ, ცოტა ხანს მარტო ვილოცებ და მერე თვითონ დავათვალიერებ ეკლესიას.
დედა სანდრინი ყოყმანობდა.
რა თქმა უნდა, არა. მე ეკლესიის უკანა მერხზე დაგელოდებით. სილასმა თავისი რბილი, მაგრამ მძიმე ხელი ქალს მხარზე დაადო და მოჭუტული თვალებით დახედა.
დაო, მე უკვე დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ გაგაღვიძეთ. გთხოვთ, რომ კიდევ იფხიზლოთ, უკვე მეტისმეტი იქნება. გეთაყვა, დაბრუნდით თქვენს საწოლში. მე ვისიამოვნებ თქვენს ტაძარში ყოფნით და მერე თვითონ გავიკვლევ გზას.
ქალი უხერხულად გრძნობდა თავს.
დარწმუნებული ხართ, რომ თავს მიტოვებულად არ იგრძნობთ?
სულაც არა. ლოცვა ისეთი სიხარულია, რომლის სხვისთვის გაზიარებაც არ ეგების.
როგორც გენებოთ.
სილასმა ხელი აიღო მისი მხრიდან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძილი ნებისა, დაო. ღმერთმა მშვიდობა არ მოგაკლოთ.
თქვენც, დედა სანდრინი კიბისკენ გაემართა, როცა წახვალთ, თუ შეიძლება, შეამოწმეთ, რომ კარი კარგად დაიკეტოს.
შევამოწმებ. სილასი უყურებდა, როგორ მოეფარა იგი თვალს. შემდეგ მოტრიალდა და კათედრის წინ დაიჩოქა. მაშინვე იგრძნო, როგორ ჩაეჭირა ფეხში ძაძა.
ძვირფასო ღმერთო, შენ გიძღვნი იმ სამუშაოს, რასაც დღეს აქ გავაკეთებ...
მაღლა, საკურთხევლის ზევით, მგალობელთა კლიროსის ჩრდილში მიწაზე განრთხმული დედა სანდრინი მოაჯირის რიკულებიდან ჩუმადუთვალთვალებდა მოსასხამში გახვეულ ბერს, რომელიც მარტოდმარტო იყო დაჩოქილი მუხლებზე. მას უეცრად შეეშინდა და მიხვდა, რომ სიმშვიდე დაკარგა. წამით ისიც კი იფიქრა, სწორედ ეს იდუმალი სტუმარი ხომ არ არის ის, ვის შესახებაც აფრთხილებდნენ, და სწორედ ახლა ხომ
არ არის ის ღამე, როდესაც მას უნდა შეესრულებინა ის ბრძანებები, რასაც მთელი ამ წლების მანძილზე საიდუმლოდ ინახავდა. გადაწყვიტა, აქ, სიბნელეში დარჩენილიყო და თვალი ედევნებინა ღამის დაუპატიჟებელი სტუმრის ყოველი მოძრაობისათვის.
თავი 20
ჩრდილიდან გამოსული ლენგდონი და სოფი ფეხაკრეფით გაუყვნენ დიდი გალერეის დაცარიელებულ დერეფანს სათადარიგო გასასვლელის კიბისკენ.
ლენგდონმა არეული თავსატეხის ბრმად აწყობა მოინდომა. ამ საიდუმლოს ახალაღმოჩენილი მხარე აშფოთებდა: სასამართლო პოლიციის კაპიტანს უნდა, მკვლელობა მე ამკიდოს.
ხომ არ შეიძლება დავუშვათ, ჩაიჩურჩულა მან, რომ თვითონ ფაშმა დაწერა ეს ტექსტი იატაკზე?
სოფი არ კი მობრუნებულა.
შეუძლებელია.
ლენგდონი არ იყო ასე დარწმუნებული.
რატომაც არა. ის ძალიან მონდომებულია, რომ დამნაშავედ მე გამომაჩინოს. იქნებ იფიქრა, რომ იატაკზე ჩემი სახელის დაწერა დაეხმარებოდა მის ვერსიას?
ფიბონაჩის მიმდევრობა? ინიციალები პ.შ.? და ვინჩის და ქალღმერთის სიმბოლოები? ეს მხოლოდ ბაბუა უნდა ყოფილიყო. ლენგდონმა იცოდა, რომ იგი მართალი იყო. ყველა ნახსენებ გასაღებთა სიმბოლიზმი
იდეალურად ებმის ერთმანეთს – ხუთქიმიანი ფიგურა, ვიტრუვიუსის მამაკაცი, ლეონარდო
და ვინჩი, საკრალური ქალურობა და ფიბონაჩის მიმდევრობაც კი. ეს ხომ ერთიანი სიმბოლური ჯგუფია, როგორც სპეციალისტები იტყოდნენ. ყოველი მათგანი რთულად არის
ურთიერთგადაბმული.
და კიდევ, ბაბუამ დღეს შუადღისას დამირეკა, დაუმატა სოფიმ. – მითხრა, რომ რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის. დარწმუნებული ვარ, ეს მისი უწყება უკანასკნელი ცდა იყო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ რაღაც მნიშვნელოვანი ეთქვა ჩემთვის, რაღაც, რის გაგებაშიც, ფიქრობდა, რომ თქვენ დამეხმარებოდით.
ლენგდონი მოიღუშა. ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო! ნეტა შეეძლოს ამ შეტყობინების გაგება, როგორც სოფის, ისე საკუთარი კეთილდღეობისათვის.
მდგომარეობა აშკარად გაუარესდა მას შემდეგ, რაც პირველად შეხედა საიდუმლო სიტყვებს. ეს საპირფარეშოს ფანჯრიდან ვითომ ნახტომიც ფაშის თვალში იოტითაც არ შემატებს ღირსებას. ეჭვი ჰქონდა, რომ საფრანგეთის პოლიცია იუმორის გრძნობით არ აღიქვამდა იმას, რომ საპნის ნაჭერის დევნა და დაპატიმრება მოუხდა.
გარეთ გასასვლელი კარი არც ისე შორსაა, თქვა სოფიმ.
ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა, ციფრები ბაბუათქვენის შეტყობინებაში შეიცავდეს გასაღებს დანარჩენის გასაგებად? – ერთხელ ლენგდონი ფრენსის ბეკონის ხელნაწერების სერიაზე მუშაობდა, რომელიც შეიცავდა ეპიგრაფიკულ კოდს. კერძოდ, გარკვეული ხაზები
გასაღები იყო სხვა სტრიქონების გასახსნელად.
ციფრებზე მთელი ღამეა ვფიქრობ. შესაკრებები, ცალკეული ციფრები, ნამრავლები. ვერაფერს ვხედავ. მათემატიკური თვალსაზრისით ისინი შემთხვევით არის დალაგებული.
ეს კრიპტოგრაფული უაზრობაა.
და მაინც, ეს ფიბონაჩის მიმდევრობის ნაწილია. არ შეიძლება დამთხვევა იყოს.
არცაა დამთხვევა. ფიბონაჩის რიცხვები ბაბუას კიდევ ერთი მითითება იყო ჩემთვის – ისევე, როგორც შეტყობინების ინგლისურად დაწერა, ან დაწოლა ჩემი საყვარელი ნახატის პოზაში, ან ხუთქიმიანი ნიშანი მის მუცელზე. ყოველივე ეს მან გააკეთა იმისათვის, რომ ჩემი ყურადღება მიეპყრო.
ხუთქიმიან ფიგურას აქვს თქვენთვის მნიშვნელობა?
დიახ. ამის თქმა ვეღარ მოვასწარი. ხუთქიმიანი ფიგურა ჩემსა და ბაბუას შორის სპეციალური სიმბოლოს როლს ასრულებდა, როდესაც მასთან ვიზრდებოდი. ჩვენ ვერთობოდით ტაროს ქაღალდის თამაშით. ჩემი მომგებიანი კარტი ყოველთვის ხუთქიმიანი ფიგურების რიგიდან იყო ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ბაბუა სპეციალურად აწყობდა ქაღალდს. ერთი სიტყვით, ხუთქიმიანი ფიგურები ჩვენი პატარა ხუმრობაა.
ლენგდონს ჟრუანტელმა დაუარა. ისინი ტაროს თამაშობდნენ? ეს შუა საუკუნეების იტალიური თამაში ისე იყო გაჯერებული ფარული ერეტიკული სიმბოლოებით, რომ ლენგდონმა თავის ახალ ხელნაწერში ტაროს მთელი თავი დაუთმო. თამაშისთვის საჭირო 22 კარტს სახელები ერქვა: პაპესა, იმპერატრიცა და ვარსკვლავი. თავდაპირველად ტარო იმისათვის შეიქმნა, რომ ეკლესიის მიერ აკრძალული იდეოლოგიები თაობიდან თაობას გადასცემოდა. ახლა ტაროს მისტიკურ თვისებებს თანამედროვე მკითხავები იყენებენ. ტაროს კარტებში ქალური ღვთაებრიობის საწყისს სწორედ ხუთქიმიანი ფიგურები აღნიშნავს, გაიფიქრა ლენგდონმა, და მიხვდა, რომ თუ სონიერი ყოველთვის თითქოს გასართობად ნიშნავდა შვილიშვილის კარტს, ხუთქიმიან ფიგურას დაფარული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისინი საავარიო კიბეს მიადგნენ და სოფიმ ფრთხილად გააღო კარი. განგაშის ხმა აღარ ისმოდა, ოღონდ გარეთ გასასვლელი კარები მავთულით იყო შეკრული. სოფი ლენგდონს ვიწრო დახვეულ კიბეზე ჩაუძღვა. თანდათან სულ უფრო აუჩქარეს ნაბიჯს.

როცა ბაბუამ ხუთქიმიანი ფიგურის შესახებ მოგითხროთ, უთხრა ლენგდონმა, რომელიც ძლივს მისდევდა ქალს, ქალღმერთის თაყვანისცემა ან კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა ხომ არ უხსენებია?

სოფიმ თავი გააქნია.

მე უფრო მისი მატემატიკური მხარე მაინტერესებდა – ღვთაებრივი პროპორცია, რიცხვი PHI, ფიბონაჩის მიმდევრობა და ასეთი რაღაცეები.

ლენგდონს გაუკვირდა.

ბაბუა პჰი რიცხვის შესახებ გესაუბრებოდათ?

რა თქმა უნდა. ღვთაებრივი პროპორცია, სოფიმ დაირცხვინა. – სინამდვილეში, ის ამბობდა რომ მე ნახევრად ღვთაებრივი ვარ... იცით, ჩემი სახელის შემადგენელი ასოების გამო.

ლენგდონი ერთხანს დაფიქრდა და ამოიოხრა.

soPHIe.

ჯერ კიდევ კიბეზე ჩადიოდნენ, ლენგდონის გონება კი ისევ PHIს დაუბრუნდა. ახლახანსმიხვდა, რომ სონიერის მინიშნებები ბევრად უფრო თანამიმდევრული იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა.

და ვინჩი... ფიბონაჩის რიცხვები... ხუთქიმიანი მაგიური ფიგურა.

გასაოცარი იყო, რომ ყოველივე ეს ერთმანეთს უკავშირდებოდა ერთი ცნებით, რომელიც იმდენად ფუნდამენტური იყო ხელოვნების ისტორიისათვის, რომ ლენგდონი ხშირად რამდენიმე ლექციას უთმობდა ხოლმე მას.

PHI. ლენგდონი თითქოს ჰარვარდში დაბრუნდა და ახლა აუდიტორიაში იდგა, ხელოვნების

სომბოლიკაზე ლექციას კითხულობდა და ცარცით დაფაზე გამოჰყავდა თავისი საყვარელი

რიცხვი.

1. 618

დაფას მოსცილდა და ცნობისმოყვარე სტუდენტთა ზღვას მიაჩერდა.

ვინ მეტყვის, რა რიცხვია ეს?

გრძელფეხება სტუდენტმა, ძირითადი სპეციალობით მათემატიკოსმა, ხელი ასწია.

ესაა ციფრი PHI, გააგრძელა, „ფიი“, თითქოს პირში იგემოვნებსო.

კარგია, სტეტნერ, თქვა ლენგდონმა. – ძვირფასო საზოგადოებავ, გაიცანით PHI.

PIში არ უნდა აგვერიოს, ღიმილით დასძინა სტეტნერმა. – როგორც ჩვენ, მათემატიკოსები ვამბობთ ხოლმე, PHI ერთი Hით უფრო მაგარია PI,ზე!

ლენგდონს გაეცინა, მაგრამ სხვა ვერავინ მიხვდა ხუმრობის აზრს. სტეტნერი მძიმედ დაჯდა.

ეს რიცხვი, PHI – განაგრძო ლენგდონმა, ერთი მთელი, ექვსას თვრამეტი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეათასედი, ძალიან მნიშვნელოვანია ხელოვნებისთვის. ვინ მეტყვის, რატომ?
სტეტნერმა სცადა თავისი რეპუტაცია აღედგინა.
იმიტომ, რომ იგი მშვენიერია.
ყველას გაეცინა.
სინამდვილეში, თქვა ლენგდონმა, სტეტნერი ისევ მართალია. PHI მიჩნეულია ყველაზე მშვენიერ რიცხვად სამყაროში.
სიცილი უცებ შეწყდა, სტეტნერი ზეიმობდა.
ლენგდონი სლაიდოსკოპს ამზადებდა და თან სტუდენტებს უხსნიდა, რომ რიცხვი PHI მიღებულია ფიბონაჩის მიმდევრობიდან. ეს მწკრივი მარტო იმით კი არაა ცნობილი, რომ ყოველი ორი მეზობელი რიცხვის ჯამი უდრის მესამე რიცხვს, არამედ იმიტომაც, რომ მეზობელი რიცხვების შეფარდებებს საოცარი თვისება აქვთ: ეს შეფარდებები მიისწრაფიან
PHIკენ!
მიუხედავად PHIს თითქოსდა მისტიკური მათემატიკური წარმოშობისა, განმარტავდა ლენგდონი, მისი ნამდვილად დამაბნეველი ასპექტია როლი, რომელსაც ის ასრულებს ბუნებაში, როგორც ძირითადი საშენი მასალა. მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანების აგებულების პროპორციებში ხშირად ვხვდებით რიცხვს, რომელიც PHIდან კვადრატული ფესვის ტოლია.
PHIს საყოველთაოობა ბუნებაში, თქვა ლენგდონმა და სინათლე ჩააქრო, აშკარად შეუდარებელია. აქედან გამომდინარე, უკვე ანტიკურ ხანაში ვარაუდობდნენ, რომ ციფრი PHI სამყაროს შემოქმედის მიერ უნდა ყოფილიყო განპირობებული. იმ ეპოქის მეცნიერებმა ერთი მთელი და ექვსას თვრამეტი მეათასედი ღვთაებრივ პროპორციად გამოაცხადეს.
ერთი წუთით, წარმოთქვა წინა რიგში მჯდომარე გოგონამ. – მე ბიოლოგიის მაგისტრი ვარ და არასდროს მინახავს ღვთაებრივი პროპორცია ბუნებაში.
არა? – გაეცინა ლენგდონს, შეგისწავლიათ ფუტკართა კოლონიაში მდედრებსა და მამრებს შორის ურთიერთობა?
რა თქმა უნდა, მდედრი ფუტკრები ყოველთვის რიცხობრივად სჭარბობენ მამრებს.
სწორია. და იცოდით, რომ თუ მდედრ ფუტკართა რაოდენობას მამრ ფუტკართა რაოდენობაზე გაყოფთ, მსოფლიოს ნებისმიერი სკისათვის, ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს მიიღებთ?
მართლა?
დიახ. ეს არის PHI
გოგონა გაოცდა.
შეუძლებელია!
შესაძლებელია! – სწრაფად უპასუხა ლენგდონმა, გაიცინა, და ეკრანზე სპირალური ნიჟარის სლაიდი გამოიყვანა. – ცნობთ ამას?
ეს ნაუტილუსია, თქვა ბიოლოგმა, თავფეხიანთა ოჯახის მოლუსკი, რომელიც, იმისთვის, რომ იტივტივოს, გაზს აგროვებს თავისი ნიჟარის კამერებში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართალია. და ხვდებით, როგორია სპირალის ყოველი ხვეულის დიამეტრის შეფარდება მომდევნოსთან?
გოგონა დაეჭვებული უყურებდა ნაუტილუსის სპირალის კონცენტრულ თაღებს. ლენგდონმა თავი დაიქნია.
PHI. ღვთაებრივი პროპორცია.
გოგონა გაოგნებული იყო. ლენგდონი შემდეგ სლაიდზე გადავიდა. გამოჩნდა მზესუმზირის ყვავილი.
მზესუმზირას მარცვლები სპირალურადაა განლაგებული საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. ხვდებით, როგორ შეეფარდება თითოეული წრის დიამეტრი შემდეგს?
PHI? – თქვა ყველამ.
ბინგო. – ახლა ლენგდონი სწრაფად გადადიოდა ერთი სლაიდიდან მეორეზე – ფიჭვის გირჩის სპირალურად განლაგებული ქერცლი, ფოთლის განლაგება მცენარის ღეროზე, მწერის სხეულის სეგმენტები – ყოველი მათგანი საკვირველი სიზუსტით იმეორებდა ღვთაებრივ პროპორციას.
გასაოცარია! – წამოიძახა ვიღაცამ.
დიახ! – კიდევ ვიღაცამ დაუმატა, მაგრამ ამას რა საერთო აქვს ხელოვნებასთან?
აჰა! – თქვა ლენგდონმა, მადლობელი ვარ, რომ იკითხეთ. – მან ამოიღო შემდეგი სლაიდი, ეკრანზე გამოჩნდა მკრთალი ყვითელი პერგამენტი, რომელზეც გამოსახული იყო
და ვინჩის დახატული ცნობილი შიშველი ფიგურა – ვიტრუვიუსის მამაკაცი – ეს სახელი ნახატს დაერქვა მარკუს ვიტრუვიუსის, ბრწყინვალე რომაელი არქიტექტორის პატივსაცემად. რომელმაც ხოტბა შეასხა ღვთაებრივ პროპორციას თავის ნაშრომში De Architectura.
არავის ესმოდა და ვინჩიზე უკეთესად ადამიანის სხეულის ღვთაებრივი სტრუქტურა. და ვინჩი გვამების ექსჰუმაციას ახდენდა, რომ გაეზომა ადამიანის ჩონჩხის ზუსტი პროპორციები. ისპირველი იყო, ვინც აჩვენა, რომ ადამიანის სხეული ფაქტობრივად შედგება ნაწილებისგან, რომელთა პროპორციული შეფარდება ყოველთვის ტოლია PHI სა.
სტუდენტები დაეჭვებულნი ჩანდნენ.
არ გჯერათ ჩემი? – გამოიწვია ისინი ლენგდონმა. – როდესაც შხაპის ქვეშ იდგებით, აიღეთ სანტიმეტრი
ერთიორი ფეხბურთელი ჩუმად ახითხითდა.
მხოლოდ თქვენ, არა მორცხვო შოტლანდიელებო. – უკარნახა ლენგდონმა, ყველა თქვენგანმა. ბიჭებმა და გოგოებმა, სცადეთ. გაზომეთ მანძილი თავის წვეროდან იატაკამდე, შემდეგ გაყავით ეს მანძილზე თქვენი ჭიპიდან იატაკამდე. ხომ მიხვდით, რა ციფრს მიიღებთ?
ეს არ იქნება PHI! – წამოაყრანტალა ერთერთმა ურწმუნო შოტლანდიელმა.
დიახ, სწორედ PHI იქნება, უპასუხა ლენგდონმა. – 1. 618. გინდათ კიდევ მაგალითი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაზომეთ მანძილი თქვენი მხრიდან ხელის თითის წვერებამდე, შემდეგ გაყავით მანძილზე
იდაყვიდან ისევ ხელის თითის წვერებამდე, ისევ PHI. კიდევ მაგალითი? მანძილი
ბარძაყიდან იატაკამდე გამოყოფილი მანძილზე მუხლიდან იატაკამდე. ისევ PHI. თითების
სახსრები. ფეხის თითები. ხერხემლის მალები. PHI, PHI, PHI. მეგობრებო, ყოველი
თქვენგანი არის ღვთაებრივი პროპორციის მოარული მტკიცება.
ლენგდონი სიბნელეშიც კი ხედავდა, რა განცვიფრებული იყო ყველა. ტანში ნაცნობმა
სითბომ დაუარა. სწორედ ამ წუთების ეშხით ასწავლიდა იგი.
მეგობრებო, როგორც ხედავთ, სამყაროს ქაოსში წესრიგი იმალება. როცა ძველებმა
PHI აღმოაჩინეს, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ღვთის მიერ სამყაროს შექმნისას
გამოყენებულ აგურს წააწყდნენ. ამის გამო თაყვანი სცეს ბუნებას. ეს გასაგებია. ღმერთის
წვლილი ბუნებაში აშკარაა. დღემდე არსებობს წარმართული, დედამიწის
თაყვანისმცემელი რელიგიები. ბევრი ჩვენგანი, თავისდაუნებურად, ეთაყვანება ბუნებას
ისევე, როგორც ამას წარმართები აკეთებდნენ. მაისის დღესასწაული ამის შესანიშნავი
მაგალითია. ეს არის გაზაფხულის მოსვლის ზეიმი... დედამიწა ცოცხლდება, რათა შექმნას
თავისი ნობათი. ღვთაებრივ პროპორციაში ჩადებული იდუმალება უპირველეს დასაბამში
დაიწერა. ადამიანი უბრალოდ ბუნების წესებით თამაშობს, რადგან ხელოვნება არის
ადამიანის ცდა, მიბაძოს შემოქმედის მშვენიერ საქმეს. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ამ
სემესტრში შესაძლებლობა გვექნება ვიხილოთ ღვთაებრივი პროპორციის ბევრი
მაგალითი ხელოვნებაში.
შემდეგი ნახევარი საათის განმავლობაში ლენგდონმა მათ მიქელანჯელოს, ალბრეხტ
დიურერის, და ვინჩისა და სხვათა ნაწარმოებების სლაიდები უჩვენა. ყოველი ამ
ქმნილებათაგანი აშკარად მოწმობდა, როგორ გამიზნულად იცავდა მხატვარი ღვთაებრივ
პროპორციას ნაწარმოების კომპოზიციაში. ლენგდონმა უჩვენა PHI ბერძნული
პართენონის, ეგვიპტური პირამიდებისა და ნიუიორკის გაეროს შენობის არქიტექტურულ
განზომილებებში. PHI შეიმჩნევა მოცარტის სონატების, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის,
აგრეთვე ბარტოკის, დებიუსისა და შუბერტის ნაწარმოებების ორგანიზაციულ
სტრუქტურებში. რიცხვი პჰი, უთხრა მათ ლენგდონმა, სტრადივარიუსმაც კი გამოიყენა
თავისი ცნობილი ვიოლინოების დამზადებისას.
დასასრულ, თქვა ლენგდონმა, და დაფისკენ გაემართა, ისევ ვუბრუნდებით
სიმბოლოებს, მან დახატა ხუთი ურთიერთგადამკვეთი ხაზი, რომელმაც შეადგინა
ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ეს ერთერთი ყველაზე ძლიერი სიმბოლოა, რომელსაც ამ
სემესტრში შევხვდებით. იგი ოფიციალურად ცნობილია, როგორც პენტაგრამა, ანუ მაგიური
ფიგურა, პენტაკლი, როგორც ძველები ეძახდნენ. ამ სიმბოლოს ბევრი კულტურა მიიჩნევს
ღვთაებრივი და ჯადოსნური ძალის მქონე გამოსახულებად. ვინმე ხომ ვერ მეტყვის,
რატომ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტეტნერმა, მათემატიკოსმა სტუდენტმა, ხელი აიწია, იმიტომ, რომ თუ დახაზავთ პენტაგრამას, წრფის მონაკვეთები ავტომატურად დაყოფენ ერთმანეთს ღვთაებრივი პროპორციის მიხედვით.
ლენგდონმა ამაყად დაუქნია თავი ახალგაზრდა კაცს.
კარგი პასუხია. დიახ, ყველა წრფივი სეგმენტის შეფარდება ხუთქიმიან ვარსკვლავში მაგიური PHIს ტოლია. ამით ეს სიმბოლო ღვთაებრივი პროპორციის სრულყოფილი გამოსახულება ხდება. ამიტომ ხუთქიმიანი ვარკვლავი ყოველთვის იყო სილამაზისა და სიზუსტის სიმბოლო, დაკავშირებული ქალღმერთთან და წმინდა ქალთან.
აუდიტორიაში მყოფი გოგონები სიხარულისგან გაიფურჩქნენ.
ერთი შენიშვნა, მეგობრებო. ჩვენი დღეს მხოლოდ გაკვრით შევეხეთ ლეონარდო და ვინჩის, მაგრამ ამ სემესტრში კიდევ ბევრჯერ შევხვდებით მას. ლეონარდო იყო ქალღმერთის თაყვანისცემის უძველესი კულტის უაღრესად ცნობილი მიმდევარი. ხვალ გიჩვენებთ მის ფრესკას „საიდუმლო სერობა“, რომელიც საკრალური ქალურობის წინაშე გაღებული ერთერთი ყველაზე გასაოცარი ხარკია, რასაც ოდესმე ნახავთ.
ხუმრობთ, არა? – თქვა ვიღაცამ, მე ვფიქრობდი „საიდუმლო სერობა“ იესო ქრისტეს შესახებ იყო. ლენგდონმა თვალი დაახამხამა.
სიმბოლოები იქ დამალულია ისეთ ადგილებში, რომ ვერც კი წარმოიდგენთ.
წამოდით, ჩაუჩურჩულა სოფიმ, რა მოხდა? ჩვენ თითქმის მოვედით. იჩქარეთ!
ლენგდონმა აიხედა, იგი შორეული ფიქრებიდან დაბრუნდა. მიხვდა, რომ გაშიშვლებული იდგა კიბეზე, აღმოჩენისაგან უეცრად პარალიზებული.
ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო!
სოფიმ უკან გამოხედა ლენგდონს.
არ შეიძლება, ასე მარტივი იყოს, გაიფიქრა ლენგდონმა.
მაგრამ მან იცოდა, რომ სწორედ ასე იყო.
იქ ლუვრის სიღრმეებში... ტვინში PHIისა და და ვინჩის ხატები უტრიალებდა. სწორედ ამ დროს რობერტ ლენგდონმა მოულოდნელად გახსნა სონიერის კოდი.
ო, ზვიად დემონის ნალაჩრალნო!– თქვა მან. – ეს უმარტივესი კოდია!
ამან ლენგდონის ქვევით კიბეზე სოფი გააჩერა. ქალი მას დაბნეული უყურებდა. კოდი? იგი ხომ მთელი ღამის განმავლობაში ფიქრობდა ამ სიტყვებზე და კოდი მაინც ვერ დაინახა. მით უმეტეს, მარტივი.
ეს ხომ თქვენ თვითონვე თქვით, ლენგდონს ხმა აღელვებისაგან უკანკალებდა, ფიბონაჩის რიცხვებს აზრი მხოლოდ სწორი თანამიმდევრობითა აქვთ. სხვა შემთხვევაში ეს მათემატიკური ნონსენსია.
სოფის წამოდგენა არ ჰქონდა, რაზე ლაპარაკობდა იგი. ფიბონაჩის რიცხვებზე? დარწმუნებული იყო, რომ ის რიცხვები მხოლოდ იმისთვის იყო საჭირო, რომ კრიპტოგრაფიული განყოფილება ამ ღამით ჩართულიყო ძიებაში. მათ სხვა დანიშნულებაც
აქვთ? მან ხელი ჩაიყო ჯიბეში და ამოიღო კომპიუტერზე ამობეჭდილი სურათი. სოფიმ კიდევ ერთხელ დახედა ბაბუას ტექსტს ყურადღებით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1332211185
ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო!
რას ნიშნავს ეს ციფრები?
არეული ფიბონაჩის მიმდევრობა გასაღებია, თქვა ლენგდონმა და სოფის ქაღალდი გამოართვა. – ციფრები მინიშნებაა, როგორ უნდა გაიხსნას დანარჩენი ტექსტი. მან თანამიმდევრობა აურია, რომ ტექსტიც იმავე პრინციპით წაგვეკითხა. ო, ზვიადი დემონის
ნალაჩრალნო! ეს სტრიქონები არაფერს არ ნიშნავს. ეს უბრალოდ უწესრიგოდ დაწერილი ასოებია.
სოფის ერთი წამი დასჭირდა, რომ ლენგდონის აზრს მიმხვდარიყო და ეს სასაცილოდ მარტივი აღმოჩნდა. – თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შეტყობინება ... ანაგრამაა? – იგი ლენგდონს მიაშტერდა, როგორც გაზეთიდან ამოღებული არეულდარეული სიტყვებით დაწერილი წერილი?
ლენგდონმა სოფის სახეზე სკეპტიციზმი შეამჩნია და, რა თქმა უნდა, მიხვდა. ცოტამ თუ იცოდა, რომ ანაგრამებს, გარდა იმისა, რომ ისინი თანამედროვე გაცვეთილი გასართობებია, ამასთან საიდუმლო სიმბოლოების მდიდარი ისტორია აქვთ.
კაბალის მისტიკური მოძღვრება უამრავ ანაგრამას შეიცავდა – ებრაულ სიტყვებში ასოებს გადაადგილებდა ახალი მნიშვნელობების მისაღებად. ფრანგ მეფეებს მთელი აღორძინების ეპოქის მანძილზე იმდენად სჯეროდათ ანაგრამების მაგიური ძალისა, რომ სამეფო ანაგრამატისტებიც კი დანიშნეს. მათ ევალებოდათ მეფეებს დახმარებოდნენ საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებაში მნიშვნელოვან დოკუმენტებში სიტყვების ანალიზის გზით. რომაელები ანაგრამების შესწავლას არს მაგნას დიდებულ ხელოვნებას უწოდებდნენ.
ლენგდონმა სოფის ახედა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, რასაც ბაბუა გულისხმობდა, თვალწინ გვქონდა მთელი ამ ხნის მანძილზე. მან საჭიროზე მეტი გასაღები
დაგვიტოვა, რომ ეს დაგვენახა.
ლენგდონს მეტი არაფერი უთქვამს, პიჯაკის ჯიბიდან კალამი ამოიღო და ყოველ ხაზში ასოები გადაალაგა.
ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო!
შემდეგი სტრიქონების ზუსტი ანაგრამა იყო...
ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზა!
თავი 21
მონა ლიზა.
გასასვლელი კიბის ბაქანზე მდგარ სოფის წამით სულ გადაავიწყდა ლუვრიდან გაქცევა.
ძნელი სათქმელი იყო, ანაგრამის საზრისმა განაცვიფრა, თუ იმან დასწყვიტა გული, რომ თვითონ ვერ გაშიფრა. ალბათ პროფესიონალიზმმა უღალატა, რაღაც ძალიან რთულს მოელოდა და სიტყვების მარტივი თამაში ვერ დაძლია. სამწუხაროა, რადგან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინგლისური ანაგრამებით თამაში მისთვის ბავშვობიდანვე არ ყოფილა უცხო. პატარაობიდანვე ბაბუა ანაგრამიანი თამაშებით ცდილობდა გაეწაფა სოფი ინგლისურ მართლწერაში. ერთხელ ბაბუამ, დაწერა ინგლისური სიტყვა „planets' და უთხრა სოფის, რომ ამ ერთი სიტყვის ასოების გამოყენებით შეიძლებოდა სხვადასხვა სიგრძის კიდევ 92 ინგლისური სიტყვის შედგენა. სოფი სამ დღეს ეწვალა, ვიდრე ინგლისურ ლექსიკონში ყველა ეს სიტყვა არ იპოვა.

ვერ წარმომიდგენია, თქვა ლენგდონმა, როგორ შეძლო ბაბუათქვენმა ასეთი ჩახლართული ანაგრამის შედგენა სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე.

სოფის პასუხი მზად ჰქონდა და ამის შეგნებამ ლამის გული შეუღონა. ეს უნდა შემემჩნია! ახლაღა გაახსენდა, რომ ბაბუა, სიტყვებით თამაშისა და ხელოვნების მოყვარული, ახალგაზრდობაში თავს ცნობილ შედევრთა ანაგრამების შედგენით ირთობდა. ერთხელ, სოფის ბავშვობაში, მისმა ერთერთმა ანაგრამამ პრობლემაც კი შეუქმნა სონიერს. ამერიკული ჟურნალისთვის მიცემულ ერთ ინტერვიუში მან მოდერნისტული კუბისტური მიმართულების მიმართ სიძულვილი იმით გამოხატა, რომ აღნიშნა: პიკასოს შედევრს Les Demoiselles d'Avignon შესანიშნავი ანაგრამა მოეპოვებაო – Vile meaningless doodles. პიკასოს თაყვანისმცემლებს არ ესიამოვნათ.

ბაბუას მონა ლიზას ეს ანაგრამა ალბათ დიდი ხნის წინ ჰქონდა შედგენილი, თქვა სოფიმ და ლენგდონს ახედა. და ამ ღამეს იძულებული გახდა გამოეყენებინა ის, როგორც დროებითი კოდი. ბაბუას ხმა თითქოს ქვესკნელიდან აღწევდა.

ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზა!

რატომ მოიხსენიებდა სოფისადმი მიწერილი ეს უკანასკნელი უწყება ამ სახელგანთქმულ ტილოს, სოფის წამოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, შემზარავი ვარაუდი გაუჩნდა.

ეს არ იყო მისი უკანასკნელი სიტყვები...

ნუთუ ამ გზით ბაბუა სოფის მონა ლიზასთან მისვლაზე მიანიშნებდა? კიდევ რა უწყება დაუტოვა ბაბუამ იქ? ეს აზრი საკმაოდ რეალური ჩანდა. ბოლოს და ბოლოს, ცნობილი ნახატი ხომ სალდეეტაში ეკიდა – ეს ცალკე დარბაზი იყო, სადაც შესვლა მხოლოდ დიდი გალერეიდან შეიძლებოდა. სოფი ახლა მიხვდა, რომ იქითკენ გამავალი კარი სულ რაღაც ოცი მეტრით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც ბაბუას გვამი იპოვეს. სიკვდილის წინ მას ადვილად შეეძლო მონა ლიზასთან მისვლა.

სოფიმ ყოყმანით ახედა საავარიო კიბის უკვე ჩავლილ საფეხურებს. უეჭველია, სასწრაფოდ უნდა გაეყვანა ლენგდონი მუზეუმიდან, და ამავე დროს ინსტინქტი საწინააღმდეგო მხარეს უბიძგებდა. სოფიმ გაიხსენა თავისი პირველი ბავშვობის დროინდელი ვიზიტი დენონის ფრთაში და მიხვდა, რომ თუ ბაბუას რაღაც საიდუმლოს გამხელა უნდოდა მისთვის, დედამიწაზე ცოტა იყო შეხვედრისათვის უფრო შესაფერისი ადგილი, ვიდრე და ვინჩის მონა ლიზა.

ის უფრო იქითაა, ჩასჩურჩულა ბაბუამ. სოფის პაწაწა ხელი ჰქონდა ჩაკიდებული და საღამოს დაცარიელებულ მუზეუმში დაასეირნებდა. სოფი ექვსი წლისა იყო. თავს პატარა და უსუსურად გრძნობდა, როდესაც ზევით უზარმაზარ ჭერს ახედავდა და ქვევით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავბრუდამხვევ იატაკს დააცქერდებოდა. უკაცრიელი მუზეუმი აშინებდა, მაგრამ ბაბუასთვის ამის თქმა არ უნდოდა. პირი მაგრად მოკუმა და ბაბუას ხელი გაუშვა.

წინ, დერეფნის ზევით არის სალდეეტა, უუთხრა ბაბუამ, როდესაც ლუვრის ყველაზე ცნობილ ოთახს მიადგნენ. მიუხედავად ბაბუას აშკარა აღელვებისა, სოფის სახლში უნდოდა წასვლა. მას მონა ლიზას სურათები წიგნებში ჰქონდა ნანახი და სულაც არ მოსწონდა. არ ესმოდა, რატომ იყო ყველა ასე აღფრთოვანებული.

C'est ennuyeux – ჩაიბუზღუნა სოფიმ.

Boring, გაუსწორა ბაბუამ. – სკოლაში – ფრანგული, შინ – ინგლისური.

Le Louvre, c'est pas chez moi! – თქვა მან სოფიმ.

ბაბუას დაღლილი სიცილი ჰქონდა.

მართალი ხარ. მაშინ ინგლისურად გასართობად ვილაპარაკოთ.

სოფიმ ტუჩები გაბუტულივით დაბერა და სიარული განაგრძო. როდესაც სალდეეტაში შევიდნენ, თვალი მოავლო ვიწრო ოთახს და მზერა შეაჩერა მუზეუმის სიამაყეზე – ეს იყო მარჯვენა მხარეს კედლის ცენტრში, სადაც ტყვიაგაუმტარი მინის უკან ერთადერთი პორტრეტი ეკიდა. ბაბუა კარში შეჩერდა და სურათზე მიუთითა.

მიდი, სოფი! ბევრს არ ეძლევა მასთან ცალკე დარჩენის საშუალება.

სოფი შიშს მოერია და ნელა გადაკვეთა ოთახი. იმდენი რამ სმენოდა მონა ლიზაზე, რომ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სამეფო კარის წარმომადგენელს უახლოვდებოდა. დამცავი შუშის წინ რომ აღმოჩნდა, სოფიმ სუნთქვა შეიკრა და აიხედა, რომ ერთიანად აღექვა სურათი.

არ იცოდა, რა შეგრძნება ელოდა. და შეგრძნებაც მოულოდნელი გამოდგა. გაოცების ბიძგი არ უგრძნია. არც უეცარი ინტერესი. ცნობილი სახე ისეთივეიყო, როგორც წიგნებში. ჩუმად დგომაში თითქოს მთელმა საუკუნემ გაიარა, მაგრამ ის რაღაც არ ხდებოდა.

აბა, რას ფიქრობ? – ჩასჩურჩულა მის უკან მოსულმა ბაბუამ. – მშვენიერია, არა?

რა პატარაა!

სონიერმა გაიცინა.

შენც პატარა ხარ და მშვენიერი.

მე არა ვარ მშვენიერი, გაიფიქრა სოფიმ. მას სძულდა თავისი წითელი თმა და ჭორფლი და ისიც, რომ კლასში ყველა ბიჭზე უფრო დიდი იყო. მან ისევ შეხედა მონა ლიზას და თავი გააქნია. – უარესიც კია, ვიდრე წიგნებში. მისი სახე... brumeux.

დანისლულია, შეაშველა სიტყვა ბაბუამ.

დანისლული, გაიმეორა სოფიმ, იცოდა, რომ საუბარი არ გაგრძელდებოდა, ვიდრე ახალ ლექსიკურ ერთეულს არ გაიმეორებდა.

ამ ხერხს მხატვრობაში sfumato ჰქვია, უთხრა ბაბუამ, და ძალიან ძნელი გასაკეთებელია. ლეონარდო და ვინჩი ამის დიდოსტატი იყო.

სოფის სურათი მაინც არ მოსწონდა.

ისეთი სახე აქვს, თითქოს რაღაც იცისო... როგორც ბავშვებმა იციან ხოლმე სკოლაში, როდესაც რამე საიდუმლო აქვთ.

ბაბუამ გაიცინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს მისი დიდებულების ნაწილია, ხალხს მოსწონს იმის გამოცნობა, რატომ იღიმება.
შენ იცი, რატომ იღიმება?
შეიძლება, ბაბუამ თვალი ჩაუკრა, ოდესმე ამის შესახებ ყველაფერს გეტყვი.
სოფიმ ფეხი დააბაკუნა იატაკზე.
აკი გითხარი, საიდუმლოებები არ მიყვარსმეთქი!
პრინცესა, გაიცინა ბაბუამ, ცხოვრება სავსეა საიდუმლოებებით. ყველას ერთბაშად ვერ გაიგებ.
უკან, ზევით ვბრუნდები – გამოაცხადა სოფიმ, მისი ხმა ყრუდ ისმოდა კიბის ბაქანზე. მონა ლიზასთან? ლენგდონი შეკრთა, ახლა?
სოფი დაფიქრდა, რა შეიძლებოდა მოხდეს. – მე მკვლელობაში ეჭვმიტანილი არა ვარ. ამ შემთხვევას გამოვიყენებ. უნდა გავიგო, რისი თქმა უნდოდა ჩემთვის ბაბუას.
საელჩოს რაღა ვუყოთ?
სოფიმ თავი დამნაშავედ იგრძნო. ლენგდონი ჯერ აიძულა, გაქცეულიყო, ახლა კი მარტო ტოვებდა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. მან ლენგდონს კიბის ქვევით ლითონის კარზე მიუთითა. – იმ კარში გახვალთ და განათებულ წარწერებს მიჰყვებით. ბაბუას აქ ჩამოვყავდი ხოლმე. წარწერები დაცვის ტურნიკეტთან მიგიყვანენ. ის მხოლოდ ერთი მიმართულებით, გარეთ იღება. – მან ლენგდონს თავისი მანქანის გასაღები გაუწოდა, ჩემი წითელი „სმარტია“, თანამშრომელთა სადგომზე დგას, ზუსტად ამ საყრდენი კედლის გარეთ. იცით, საელჩოში როგორ უნდა მოხვდეთ?
ლენგდონმა თავი დაუქნია და გასაღებს დახედა თავის ხელში.
მისმინეთ, თქვა სოფიმ, ხმა უფრო რბილი გაუხდა, მე მგონია, რომ ბაბუამ რაღაც შეტყობინება დამიტოვა მონა ლიზასთან – რაღაც გასაღები იმის ამოსახსნელად, თუ ვინ მოკლა იგი, ან მე რატომ ვარ საფრთხეში. – ან რა შეემთხვა ჩემს ოჯახს, უნდა წავიდე და ვნახო.
კი მაგრამ, თუკი იმის თქმა უნდოდა, რატომ ხართ საფრთხეში, ეს უბრალოდ იატაკზე რატომ არ დაწერა, იქ, სადაც მოკვდა? რა საჭირო იყო ეს რთული სიტყვათა თამაში?
არ უნდოდა, ეს ვინმე სხვასაც გაეგო. თვით პოლიციასაც კი. – აშკარა იყო, ბაბუამ ყველაფერი იღონა, რისი ძალაც შესწევდა, რომ საიდუმლო შეტყობინება პირდაპირ შვილიშვილისთვის გადაეცა. მან ეს კოდით დაწერა, შიგ ჩართო სოფის საიდუმლო ინიციალები და რობერტ ლენგდონის მოძებმა ურჩია – ბრძნული მოფიქრებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ამერიკელმა სიმბოლოლოგმა გახსნა მისი კოდი. – რაც უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, თქვა სოფიმ, ვფიქრობ, მას უნდა, რომ მე უფრო ადრე მივიდე მონა ლიზასთან, ვიდრე ვინმე სხვა მიხვდება ამას.
მეც წამოვალ.
არა! ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს იქნება დიდი გალერეა ცარიელი. თქვენ უნდა წახვიდეთ.
ლენგდონი ყოყმანობდა. მისი მეცნიერული ცნობისწადილი უმოწყალოდ თრგუნავდა საღ გონებას და უკან, ფაშის ხელში მიათრევდა.
წადით. ახლა. – სოფიმ მას მადლობის ნიშნად გაუღიმა, მე თქვენ საელჩოში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეგხვდებით, ბატონო ლენგდონ.
ლენგდონი უკმაყოფილოდ გამოიყურებოდა.
მე თქვენ იქ მხოლოდ ერთი პირობით შეგხვდებით, უპასუხა მან მტკიცე ხმით.
სოფი დაძაბული შეჩერდა.
რა პირობით?
რომ ბატონ ლენგდონს აღარ დამიძახებთ.
სოფიმ დაინახა, როგორ გაუკრთა რაღაც ღიმილისმაგვარი ლენგდონს სახეზე და იგრძნო, როგორ გაუღიმა თვითონაც პასუხად. – წარმატებას გისურვებ, რობერტ.
როდესაც ლენგდონმა კიბის ბოლო ბაქანს მიაღწია, ტილოსა და თაბაშირის მტვრის ნაცნობი სუნი ეცა ცხვირში. მის წინ განათებული SORTIE/EXIT გრძელი დერეფნისკენ მიუთითებდა.
ლენგდონმა დერეფანში შეაბიჯა.
მარჯვნივ მოჩანდა პირდაღებული ბნელი სარესტავრაციო სტუდია, საიდანაც რესტავრირების სხვადასხვა სტადიაში მყოფ ქნდაკებათა ჯარი იყურებოდა. მარცხნივ ლენგდონმა დაინახა ჩამწკრივებული სტუდიები, ჰარვარდის ხელოვნების საკლასოოთახების მსგავსი – მოლბერტების, ნახატების, პალიტრების, ჩარჩოს დასამზადებელი ხელსაწყოების რიგები – ხელოვნების ერთგვარი კონვეიერი.
იგი დერეფანს მიუყვებოდა და თან ფიქრობდა: ხომ შეიძლება, რომ უცებ კემბრიჯში გამეღვიძოს, ჩემს საწოლშიო. მთელი საღამო თითქოს ერთი უცნაური სიზმარი იყო. სადაცაა ლუვრიდან გავიპარები... გაქცეული.
სონიერის ანაგრამული შეტყობინება ისევ თავში უტრიალებდა და აინტერესებდა, რას იპოვიდა სოფი მონა ლიზასთან... ან იპოვიდა კი რამეს? სოფი დარწმუნებული ჩანდა, რომ თითქოს ბაბუას უნდოდა, რომ მას კიდევ ერთხელ ენახა ცნობილი სურათი. ეს ყველაფერი
გასაგები იყო, მაგრამ ლენგდონს არ ასვენებდა შემაშფოთებელი პარადოქსი.
P.S. მოძებნე რობერტ ლენგდონი.
სონიერმა იატაკზე მისი სახელი დაწერა, რითაც სოფის მისი მოძებნა დაავალა. მაგრამ რატომ? ნუთუ მარტო იმიტომ, რომ ლენგდონი სოფის ანაგრამის წაკითხვაში დახმარებოდა?
ნაკლებად სარწმუნო ჩანდა.
ბოლოს და ბოლოს, სონიერს არავითარი საბაბი არ ჰქონდა ეფიქრა, რომ ლენგდონი ანაგრამების წაკითხვაში გაწაფული იქნებოდა. ჩვენ ხომ არც კი შევხვედრივართ ერთმანეთს. ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ სოფიმ მაშინვე განაცხადა, რომ მას თვითონ უნდა გაეხსნა ანაგრამა. სწორედ სოფიმ იპოვა ფიბონაჩის მიმდევრობა და, უეჭველია, ცოტა მეტი დრო რომ ჰქონოდა, სოფი თავად ამოხსნიდა შეტყობინებას ლენგდონის დახმარების გარეშეც.
სოფის ანაგრამა თვითონ უნდა ამოეხსნა. ლენგდონმა უეცრად იგრძნო, რომ ამაში უფრო და უფრო რწმუნდებოდა. და მაინც, სონიერის მოქმედებების შესახებ დასკვნაში პირდაღებული ლოგიკური ნაპრალი დარჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რატომ მე? ფიქრობდა დერეფანში მიმავალი ლენგდონი. რატომ მოინდომა მომაკვდავმა სონიერმა, რომ მის ცალკე მცხოვრებ შვილიშვილს მე ვეპოვე? რა არის ის, რაც, სონიერის აზრით, მე ვიცი?

მოულოდნელი დაკვრისგან ლენგდონი უცებ გაჩერდა. თვალები გაუფართოვდა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და კომპიუტერის ამონაბეჭდი ამოაძვრინა. იგი სონიერის შეტყობინების ბოლო სტრიქონს დააშტერდა.

P.S. მოძებნე რობერტ ლენგდონი.

მან ორ ასოზე დააფიქსირა ყურადღება.

P.S.

იმავე წამს ლენგდონმა იგრძნო, რომ სონიერის დამაბნეველი სიმბოლოების აბლაბუდა კაშკაშა სხივის ქვეშ მოექცა. მის თვალწინ გაიელვა მთელი მისი სამეცნიერო კარიერის მანძილზე დაგროვილმა ცოდნამ და გამოცდილებამ და თითქოს თავზე დაემხო.

ყველაფერი, რაც წუხელ ჟაკ სონიერს გაეკეთებინა, დღესავით ნათელი გახდა.

ფიქრები სწრაფად ცლიდნენ ერთიმეორეს. ლენგდონი ცდილობდა, თავი მოეყარა ყველაფრისათვის, რასაც მიხვდა.

არის კიდევ დრო?

მან იცოდა, რომ ამას მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა.

და უყოყმანოდ გაიქცა უკან, კიბისკენ.

თავი 22

სკამების პირველ რიგთან მუხლებზე დამხობილი სილასი ვითომ ლოცულობდა და ამავე დროს ყურადღებით ათვალიერებდა ტაძრის განლაგებას. ბევრი სხვა ეკლესიის მსგავსად, სენსიულპისს უზარმაზარი რომაული ჯვრის ფორმა ჰქონდა. მისი გრძელი ცენტრალური ნაწილი – ნავი – პირდაპირ საკურთხევლისკენ მიემართებოდა, სადაც მას გარდიგარდმო კვეთდა უფრო მოკლე ნაწილი, ეგრეთ წოდებული ტრანსეპტი. მთავარი ნავი და ტრანსეპტი ზუსტად მთავარი გუმბათის ქვეშ გადაიკვეთებოდა და ეს ადგილი ეკლესიის გულად იყო მიჩნეული... ეს იყო მისი ყველაზე წმინდა და იდუმალი წერტილი.

ამაღამ არა, გაიფიქრა სილასმა, სენსიულპისი სადღაც სხვაგან მალავს თავის საიდუმლოებას.

თავი მარჯვნივ მიაბრუნა და ახლა ტრანსეპტის სამხრეთ მხარეს გახედა, იატაკის ღია ნაწილისკენ, რიგების ბოლოს – სწორედ ეს ადგილი აუწერა ოთხივე მსხვერპლმა.

იქ არის.

ნაცრისფერი გრანიტის იატაკში ჩამჯდარი თხელი გაპრიალებული თითბრის ნაჭერი ქვაში ბზინავდა... ოქროსფერი ხაზი ირიბად კვეთდა ეკლესიის იატაკს. ხაზს დანაყოფები ეტყობოდა. ეს იყო გნომონი, როგორც სილასს უთხრეს, რაღაც მზის საათის მსგავსი, რასაც წარმართი სწავლულები ასტრონომიულ ხელსაწყოდ იყენებდნენ. მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ტურისტები, მეცნიერები, ისტორიკოსები და წარმართული კულტების თაყვანისმცემლები თავს იყრიდნენ სენ სიულპისში ამ განთქმული ხაზის სანახავად.

ვარდის ხაზი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სილასმა აუჩქარებლად გააყოლა თვალი თითბრის ზოლს: ის იატაკს მისგან
მარჯვნიდან მარცხნივ კვეთდა, ზედ სილასის წინ მოუხერხებელი კუთხით ტყდებოდა, რაც
სრულიად არ შეესაბამებოდა ეკლესიის სიმეტრიას; შემდეგ ეს ზოლი თვით მთავარ
საკურთხეველს სერავდა, როგორც განივი ნაიარევი მშვენიერ სახეს; ამის შემდეგ ორად
აპობდა ტრაპეზის მოაჯირს, ბოლოს კი სიგანეზე კვეთდა მთელ ეკლესიას და ტრანსეპტის
ჩრდილოეთ კუთხესთან სრულიად მოულოდნელი ნაგებობის ძირში წყდებოდა.
ეს ნაგებობა იყო ვეებერთელა ეგვიპტური ობელისკი.
აქ. ვარდის ლაპლაპა ზოლი ოთხმოცდაათი გრადუსით ვერტიკალურად უხვევდა და
ზევით, პირდაპირ ობელისკის „სახეზე“ გრძელდებოდა კარგა ოცდაცამეტი ფუტის
სიმაღლეზე, რათა საბოლოოდ, პირამიდის წვერთან შეჩერებულიყო.
ვარდის ხაზი, გაიფიქრა სილასმა. საძმომ ქვაკუთხედი ვარდის ხაზთან დამალა.
უფრო ადრე ამ ღამით სილასმა მოძღვარს უთხრა, რომ მონასტრის ქვაკუთხედი სენ
სიულპისის შიგნითაა დამალული. თავდაპირველად მოძღვარი დაეჭვდა, მაგრამ, როდესაც
სილასმა დაუმატა, რომ ყველა ძმამ მას ერთნაირი ინფორმაცია მისცა მისი ზუსტი
ადგილმდებარეობის შესახებ, კერძოდ, რომ ეს თითბრის ხაზთანაა, რომელიც სენ
სიულპისის იატაკზე გადის, მოძღვარს გაკვირვებისგან სუნთქვა შეეკრა.
შენ ვარდის ხაზზე ლაპარაკობ!
მოძღვარმა მოკლედ უამბო სილასს სენსიულპისის განთქმულ არქიტექტურულ
საოცრებაზე: ეს არის თითბრის ხაზი, რომელიც ტაძარს ზუსტად ორ ნაწილად ყოფს
ჩრდილოეთსამხრეთის ღერძის გასწვრივ. ეს უძველესი მზის საათის მსგავსი რამ იმ
წარმართული ეკლესიის ნარჩენია, რომელიც ოდესღაც აქ იდგა. სამხრეთის კედლის
მრგვალი ფანჯრებიდან შემოსული მზის სხივები ამ ხაზს ეცემა და ყოველდღე ქვევით
ქვევით მიიწევს, რაც მზის ერთი ბუნიობიდან მეორემდე დროის სვლას აჩვენებს.
ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადაჭიმული ხაზი ცნობილი იყო „ვარდის ხაზის“
სახელით. საუკუნეების განმავლობაში ვარდის სიმბოლო რუკებთან და მოგზაურთა
გზამკვლევებთან ასოცირდენოდა. ვარდის მსგავსი კომპასი თითქმის ყველა რუკაზე იყო
დახატული და ქვეყნის მხარეებს – ჩრდილოეთს, აღმოსავლეთს, სამხრეთს, დასავლეთს –
აღნიშნავდა. თავდაპირველად მას „ქართა ვარდი“ ეწოდებოდა და ოცდათორმეტი ქარის
მიმართულებას მიუთითებდა, რომელთა შორის ითვლებოდა რვა მთავარი ქარი, რვა
ნახევარქარი და თექვსმეტი მეოთხედქარი. როდესაც ამას წრის შიგნით აღნიშნავდნენ,
კომპასის ეს ოცდათორმეტი მიმართულება ზუსტად ემსგავსებოდა გაშლილი ვარდის
ტრადიციულ ოცდათორმეტ ფურცელს. დღემდე ეს ძირითადი სანავიგაციო ხელსაწყო
ცნობილია როგორც ვარდის კომპასი, რომელზედაც ჩრდილოეთი აღნიშნულია ისრის
ბუნიკით... სხვანაირად მას ფლერდელიზიც ეწოდებოდა.
გლობუსზე ვარდის ხაზი – რომელსაც ასევე მერიდიანი, ანუ გრძელი ერქვა – იყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებისმიერი წარმოსახვითი ხაზი, გავლებული ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებს შორის.
რა თქმა უნდა, შეიძლება ვარდის ხაზების უსასრულო რაოდენობის მიღება, იმიტომ, რომ გლობუსზე ყოველ წერტილს შეიძლება ჰქონდეს გრძედი, რომელიც მასზე გაივლის და ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლუსებს შეაერთებს. ძველ ნავიგატორებს უნდა გადაეწყვიტათ, ამ ხაზებიდან რომელი იქნებოდა სწორედ მათთვის საჭირო ვარდის ხაზი, ანუ ნულოვანი გრძელი – ხაზი, საიდანაც აითვლებოდა ყველა სხვა გრძედი დედამიწაზე. დღეს ეს ხაზი ლონდონშია და გრინვიჩის ობსერვატორიაზე გადის.
მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა.
დიდი ხნით ადრე, ვიდრე გრინვიჩი მთავარი მერიდიანის უფლებას დაიმკვიდრებდა, მთელი მსოფლიოს ნულოვანი გრძედი გადიოდა პარიზში, სენსიულპისის ეკლესიაში. სენ სიულპისის თითბრის მარკერი მსოფლიოს პირველი მთავარი მერიდიანის ნიშნული იყო და, მართალია, გრინვიჩმა ეს პატივი პარიზს 1888 წელს ჩამოართვა, პირველი ვარდის ხაზი აქ დღემდე ემჩნეოდა.
ასე რომ, ლეგენდა სიმართლეს მოგვითხრობს, უთხრა მოძღვარმა სილასს, ამბობენ, რომ ეკლესიის ქვაკუთხედი „ვარდის ნიშნის ქვეშ“ ინახება.
ჯერ კიდევ მუხლებზე დაჩოქილმასილასმა ეკლესია მოათვალიერა და ყური დაუგდო სიჩუმეს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ირგვლივ არავინ იყო. ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს შრიალის ხმა გაიგონა კლიროსიდან. იგი მიბრუნდა და რამდენიმე წამით იმ ადგილს მიაშტერდა. არავინ იყო.
მარტო ვარ.
მერე ადგა, საკურთხევლისკენ მიტრიალდა და სამგზის სცა თაყვანი. შემდეგ მიბრუნდა მარცხნივ და მიჰყვა თითბრის ხაზს პირდაპირ ჩრდილოეთით მდგარი ობელისკისაკენ.
ამ დროს, რომის ლეონარდო და ვინჩის საერთაშორისო აეროპორტში ასაფრენ ბილიკზე შასის მიწასთან შეხებით გამოწვეულმა შერყევამ ეპისკოპოსი არინგაროსა გამოაფხიზლა. ჩამძინებია, გაიფიქრა მან და გაოცდა. ნუთუ იმდენად მოეშვა, რომ დაძინებაც კი შეძლო?
Benvenuto a Roma , გაისმა რეპროდუქტორიდან.
არინგაროსა წამოჯდა, გაისწორა თავისი შავი მოსასხამი და თავს ოდნავი გაღიმების უფლება მისცა. ამჯერად სიამოვნებით იმგზავრა. ძალიან დიდი ხანია, თავს ვიცავ. ამ ღამით კი წესები შეიცვალა. სულ რაღაც ხუთი თვის წინ არინგაროსას ეშინოდა, რომ მათ რწმენას მომავალი აღარ ექნებოდა. ახლა კი, ღვთის ნებით, გამოსავალი თავისით გაჩნდა. ღვთაებრივი ჩარევა.
თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დაგეგმილი იყო ამაღამ, პარიზში, არინგაროსა მალე მიიღებს იმას, რაც მას მთელს ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე ძალმოსილ ადამიანად აქცევს.
თავი 23
სოფი აქოშინებული მიადგა სალდეეტას ფართო ხის კარს. აქ მონა ლიზა ეკიდა. შესვლამდე უხალისოდ გახედა დერეფანს, სადაც დაახლოებით ოცი იარდის დაშორებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯერ კიდევ ესვენა პროჟექტორით განათებული ბაბუას ნეშტი.
ძლიერმა და უეცარმა სინანულის გრძნობამ შეიპყრო. მწუხარებას დანაშაულის
შეგრძნება ერეოდა. ეს კაცი გასული ათი წლის მანძილზე რამდენჯერ ეცადა მასთან
დაკავშირებას, სოფი კი ყურს არ იბერტყავდა – მის წერილებსა და ამანათებს გაუხსნელად
აწყობდა კომოდის უჯრაში და უარს ამბობდა ბაბუასთან შეხვედრაზე. მომატყუა! ამაზრზენ
საიდუმლოს ინახავდა! რა უნდა მექნა? და ამრიგად, სოფიმ ბაბუა საბოლოოდ მოიკვეთა.
ახლა კი ბაბუა მკვდარი იყო და იმ ქვეყნიდან ელაპარაკებოდა.
მონა ლიზა.
სოფი უზარმაზარ ხის კარს მიაწვა. შესასვლელმა პირი დააღო. სოფი ერთი წამით
ზღურბლზე შეჩერდა და მის წინ გადაშლილი მართკუთხა დარბაზი მოათვალიერა. ისიც
რბილ წითელ სინათლეში იყო ჩაფლული. სალდეეტა ამ მუზეუმის ერთერთი იშვიათ
ჩიხთაგანი და ერთადერთი ყოველი მხრიდან ჩაკეტილი ოთახი იყო დიდი გალერეის შუა
ნაწილში. დარბაზში შესვლა მხოლოდ ამ ვეებერთელა კარიდან შეიძლებოდა, რომელიც
პირდაპირ შესცქეროდა შორეულ კედელზე გაბატონებულ თხუთმეტი ფუტის სიმაღლის
ტილოს. მის ქვევით, ხის იატაკის ცენტრში იდგა უშველებელი რვაკუთხა დივანი, რომელიც
სასიამოვნო დასასვენებული ადგილის ფუნქციას ასრულებდა ათასობით სტუმრისთვის.
დაღლილ დამთვალიერებელს აქ შეეძლო შვება მიეცა ფეხებისთვის და თან ლუვრის
ყველაზე ძვირფასი საუნჯით დამტკბარიყო.
შესვლამდე სოფიმ უკვე იცოდა, რომ რაღაცის წამოღება დაავიწყდა – ულტრაიისფერი
სინათლისა. ელექტონული ხელსაწყოებით გარშემორტყმულ ბაბუას გვამს გახედა
დერეფნის ბოლოში. თუ ბაბუამ აქაც რამე დაწერა, ნამდვილად უხილავ მელანს
გამოიყენებდა.
სოფიმ ღრმად ჩაისუნთქა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარგად განათებული
დანაშაულის ადგილისაკენ. გვამს თვალს არიდებდა და მხოლოდ პოლიციის ხელსაწყოებს
უყურებდა. როგორც იქნა, პატარა ულტრაიისფერი სანათი იპოვა, ჩაიცურა სვიტრის ჯიბეში
და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა უკან დერეფანში სალდეეტას ღია კარისკენ.
კუთხემდე მისულმა მოუხვია და ზღურბლს გადააბიჯა. სწორედ ამ დროს
მოულოდნელი ყრუ ფეხის ხმა მოესმა, დარბაზიდან მისკენ ვიღაც სწრაფად მოდიოდა.
ნეტა ვინაა! მოწითალო ნისლიდან მოულოდნელად ვიღაცამ აჩრდილივით გამოაბიჯა.
სოფი უკან გახტა.
– აქა ხარ? – ლენგდონის ჩახლეჩილმა ჩურჩულმა თითქოს ჰაერი გაკვეთა, მისი
სილუეტი სიბნელიდან გამოსრიალდა და სოფის წინ გაჩერდა.
სოფის შვება მხოლოდ წამიერი იყო.
– რობერტ, ხომ გითხარით აქედან წადიმეთქი! თუ ფაში...
– სად იყავი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ულტრაიისფერი სინათლის მოსატანად, ჩაიჩურჩულა სოფიმ და ფანარი აჩვენა, თუ ბაბუამ წერილი დამიტოვა...
სოფი, მომისმინე. – ლენგდონს სუნთქვა შეეკრა, როდესაც მისი ცისფერი თვალები სოფის მზერას წააწყდა. – ასოები P.S... კიდევ რამეს ხომ არ ნიშნავს შენთვის? ნებისმიერ სხვა რამეს?
მათი ხმა ექოსავით რომ არ გავრცელებულიყო დერეფანში, სოფიმ ლენგდონი დარბაზში შეათრია, ჩუმად მიხურა უზარმაზარი ორმაგი კარი და სიგნიდან ჩაკეტა.
გითხარი, ეს ინიციალები „პრინცესა სოფიას“ ნიშნავსმეთქი.
ვიცი, მაგრამ ოდესმე ხომ არ გინახავს ისინი სადმე სხვაგან? ბაბუას ეს ინიციალები P.S. ოდესმე სხვანაირად ხომ არ გამოუყენებია, როგორც მონოგრამა, ან იქნებ საკანცელარიო ან სხვა პირად ნივთად?
ამ შეკითხვამ სოფი შეაშფოთა. საიდან უნდა იცოდეს ეს რობერტმა? სოფის ერთხელ მართლაც ნანახი ჰქონდა ეს ინიციალები, რაღაც მონოგრამის მსგავსი. ეს იყო მისი მეცხრე დაბადების დღის წინ. იგი ჩუმად ჩხრეკდა სახლს, დამალულ საჩუქრებს ეძებდა. მაშინაც კი
ვერ იტანდა სოფი, რაღაცას რომ უმალავდნენ. რა მიყიდა წელს ბაბუამ? ჭურჭლის კარადაში შეძვრა, ხელი მოაფათურა უჯრებში. მე რომ მინდოდა, ის თოჯინა მიყიდა? ნეტა
სად შეინახავდა?
მთელ სახლში რომ ვერაფერი იპოვა, გამბედაობა მოიკრიბა და ბაბუას საწოლ ოთახშივ შევიდა. აქ მას შესვლა აკრძალული ჰქონდა, მაგრამ ბაბუას ქვევით ეძინა, ტახტზე.
მხოლოდ ერთი წამით შევიჭყიტავ!
სოფიმ ფეხაკრეფით გადაკვეთა ხის ჭრიალა იატაკი და კედლის კარადასთან მივიდა. თაროებზე ბაბუას ტანსაცმლის უკან შეიჭყიტა. არაფერი. შემდეგ საწოლის ქვეშ შეიხედა. ისევ არაფერი. მივიდა ბაბუას საწერ მაგიდასთან, უჯრები გამოაღო და რიგრიგობით მოაფათურა ხელი ყოველ მათგანში. აქ რაღაც იქნება ჩემთვის! როდესაც ქვედა უჯრას მიადგა, ჯერ თოჯინისმაგვარი არაფერი ჰქონდა ნაპოვნი. დამწუხრებულმა გამოსწია ბოლო უჯრა და რაღაც შავი ტანსაცმელი ამოათრია, რომელიც ბაბუას ტანზე არასოდეს ენახა. უკვე უჯრის დაკეტვას აპირებდა, როდესაც სიღრმეში ოქრო აბრჭყვიალდა. ჯიბის საათის ძეწკვს ჰგავდა. სოფიმ იცოდა, რომ ბაბუა ასეთ საათს არ ატარებდა. გული აუძგერდა, როცა მიხვდა, რა უნდა ყოფილიყო.
ყელსაბამი!
სოფიმ ფრთხილად ამოაძვრინა ძეწკვი უჯრიდან. მისდა გასაკვირად, ძეწკვის ერთ ბოლოზე ჩამოკიდებული იყო მოელვარე ოქროს გასაღები. მძიმე და მბზინავი.გაოგნებულმა აიღო ხელში. ასეთი გასაღები მას არასდროს ენახა. გასაღებთა უმეტესობა ბრტყელია და უსწორმასწორო კბილები აქვს. ეს გასაღები კი განივ კვეთაში სამკუთხა იყო, მთლიანად პატარა ნიშნებით დაფარული. მის მასიურ მოოქროვილ თავს ჯვრის ფორმა ჰქონდა, მაგრამ ჯვარიც უჩვეულო ჩანდა. ეს იყო თანაბარმხრებიანი ჯვარი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნიშანი „პლუსივით“. ჯვრის შუაში ამოტვიფრული იყო უცნაური სიმბოლო – ორი ურთიერთგადახლართული ასო, რომელიც რაღაც ყვავილს მოგაგონებდა.
P.S. – ჩაიჩურჩულა სოფიმ და წარბები შეჭმუხნა. ეს რაღა უნდა იყოს?
სოფი! – მოისმა კარიდან ბაბუას ხმა.
შეშინებული სოფი მოტრიალდა და გასაღები ხმამაღალი ჩხარუნით დაუვარდა იატაკზე. გოგონა ძირს დაგდებულ გასაღებს დააშტერდა. ბაბუასათვის სახეში შეხედვისა ეშინოდა.
მე... ჩემი დაბადების დღის საჩუქარს ვეძებდი, თქვა მან და თავი ჩაქინდრა, რადგან იცოდა, რომ თავისი საქციელით ბაბუას ნდობას უღალატა.
ის დრო, რაც ბაბუა ჩუმად იდგა კარში, სოფის უსასრულოდ მოეჩვენა. ბოლოს შეწუხებულმა ბაბუამ გრძლად ამოიოხრა.
აიღე გასაღები, სოფი.
სოფი დაემორჩილა.
ბაბუა ოთახში შემოვიდა.
სოფი, შენ პატივი უნდა სცე სხვის საიდუმლოს, იგი ფრთხილად დაიხარა და სოფის გასაღები გამოართვა, ეს განსაკუთრებული გასაღებია. ის რომ დაგეკარგა...
ბაბუას მშვიდმა ხმამა სოფი უფრო ცუდად გახადა.
ვწუხვარ, Grandepere. მართლა ვწუხვარ. – სოფი თვალებში უყურებდა ბაბუას. – ვიფიქრე, ეს ყელსაბამი ჩემი დაბადების დღისთვის იყო.
ბაბუა რამდენიმე წამს უყურებდა მას.
კიდევ გაგიმეორებ, სოფი, იმიტომ, რომ ეს მნიშვნელოვანია. უნდა ისწავლო სხვისი საიდუმლოს პატივისცემა.
დიახ, Grandepere.
ამაზე ჩვენ ოდესმე კიდევ ვილაპარაკებთ. ახლა კი ბაღში სარეველები უნდა ამოვთხაროთ.
სოფი სწრაფად გავიდა გარეთ და თავის ყოველდღიურ საქმეებში ჩაეფლო.
მეორე დილით ბაბუასგან დაბადების დღის საჩუქარი არ მიუღია. მას შემდეგ, რაც ჩაიდინა, ის არც ელოდა რამეს. თანაც ბაბუამ მთელი დღის განმავლობაში არც კი მიულოცა დაბადების დღე. იმ ღამეს ნაღვლიანი სოფი ძლივს მილასლასდა საწოლთან. მაგრამ, როდესაც დაწვა, ბალიშზე ბარათი იპოვა. ამ ბარათზე მარტივი გამოცანა ეწერა. სანამ გამოცანას ამოხსნიდა, სოფი უკვე იღიმებოდა. ვიცი რაც არის! ბაბუამ ბოლო შობის დილითაც იგივე გააკეთა.
განძის ძიება!
ენთუზიაზმით შეუდგა სოფი გამოცანის ამოხსნას. პასუხმა იგი სახლის სხვა მხარეს წაიყვანა. აქ მეორე ბარათი იპოვა, მეორე გამოცანით. ისიც ამოხსნა და შემდეგი ბარათისაკენ გაექანა. გიჟივით დარბოდა წინ და უკან, ერთი მინიშნებიდან მეორისკენ, სანამ ბოლოს მიღებულმა პასუხმა ისევ თავის საწოლ ოთახში არ დააბრუნა. სოფი ავარდა კიბეზე. თავის ოთახში შევარდა და უცებ გაშეშდა. იქ, ოთახის შუაში იდგა მბზინავი წითელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ველოსიპედი, ბაფთაშებმული საჭით. სოფიმ სიხარულისგან იკივლა.
ვიცი, შენ თოჯინა მთხოვე, თქვა ბაბუამ, რომელიც კუთხეში იდგა და იღიმებოდა. – ვიფიქრე, ეს უფრო მოგეწონებოდა.
მეორე დღეს ბაბუამ სოფის ველოსიპედის ტარება ასწავლა. იგი ხეივანში სირბილით დაჰყვებოდა. როდესაც სოფიმ ბილიკიდან გადაუხვია და წონასწორობა დაკარგა, ორივე ბალახზე დავარდა, მიგორავდნენ და იცინოდნენ.
Grandpere, თქვა სოფიმ და მოეხვია. – მართლა ძალიან ვწუხვარ გასაღების გამო.
ვიცი, ძვირფასო. უკვე გაპატიე. მე შენზე გაბრაზებული დიდხანს ვერ ვიქნები. ბაბუები და შვილიშვილები ყოველთვის აპატიებენ ერთმანეთს.
სოფიმ იცოდა, არ უნდა ეკითხა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა.
რას აღებს ის გასაღები? ისეთი გასაღები არასდროს მინახავს. ძალიან ლამაზი იყო.
ბაბუა კარგა ხანს დუმდა. სოფი ხედავდა, რომ ბაბუა პასუხს ეძებდა. გრანდპერე არასდროს ტყუის.
ის ერთ ყუთს აღებს, თქვა მან ბოლოს. – სადაც მე ბევრ საიდუმლოს ვინახავ.
სოფიმ ტუჩები დაბერა
მეჯავრება საიდუმლოებები!
ვიცი, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი საიდუმლოა. ოდესმე შენ შეძლებ ისევე დააფასო ის, როგორც მე ვაფასებ.
მე გასაღებზე ასოები და ყვავილი დავინახე.
დიახ, ეს ჩემი საყვარელი ყვავილია. მას ჰქვია fleurdelis. ჩვენს ბაღშიც ხარობს. თეთრი ყვავილებია. ამისთანა ყვავილს შროშანს ეძახიან.
ვიცი! მეც ძალიან მიყვარს ეს ყვავილი!
მაშინ მოდი, შევთანხმდეთ. – ბაბუამ წარბები ასწია ისე, როგორც ის ყოველთვის აკეთებდა, როცა სოფისთვის რაღაც საინტერესოს ამზადებდა. – თუ შენ ჩემი გასაღების საიდუმლოს შეინახავ და მეტს არასდროს დაილაპარაკებ მასზე, არც ჩემთან და არც ვინმე სხვასთან, მაშინ ოდესმე ის შენი გახდება.
სოფი ყურებს არ უჯერებდა.
მართალს ამბობ?
გპირდები. როცა დრო მოვა, გასაღები შენი იქნება. მასზე შენი სახელი წერია.
სოფიმ შუბლი შეიჭმუხნა.
არა. იქ P.S. ეწერა. მე P.S. არ მქვია!
ბაბუამ ხმასდაუწია და მიმოიხედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არავინ უსმენდა.
კარგი, სოფი, თუ ძალიან გინდა იცოდე, P.S. კოდია. ეს შენი საიდუმლო ინიციალებია.
სოფის თვალები გაუფართოვდა.
მე საიდუმლო ინიციალები მაქვს?
რა თქმა უნდა. შვილიშვილებს ყოველთვის აქვთ საიდუმლო ინიციალები, რომლებიც მხოლოდ მათი ბაბუებისთვის არის ცნობილი.
P.S. ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბაბუამ მას ასიამოვნა.
 პრინცესა სოფია.
სოფიმ ჩაიხითხითა.
 მე არა ვარ პრინცესა.
ბაბუამ თვალი ჩაუკრა.
 ჩემთვის ხარ.
იმ დღიდან მათ გასაღებზე აღარაფერი უთქვამთ. ხოლო სოფი ბაბუასათვის პრინცესა სოფია გახდა.
სოფი ჩუმად იდგა სალდეეტაში და დანაკარგის მძაფრი ტკივილი ტანჯავდა.
 ინიციალები, ჩაიჩურჩულა ლენგდონმა და მას უცნაურად შეხედა, ადრე გინახავს ისინი?
სოფის თითქოს ბაბუას ჩურჩული მოესმა მუზეუმის დერეფნიდან. არასდროს ილაპარაკო გასაღების შესახებ, სოფი. არც ჩემთან და არც არავისთან. მან იცოდა, რომ ერთხელ ბაბუას უკვე გაუცრუა იმედი და არ აპატია, ახლა კი ფიქრობდა, შეიძლებოდა თუ
არა მისი ნდობისათვის კიდევ ერთხელ ეღალატა. P.S. იპოვე რობერტ ლენგდონი. ბაბუას უნდოდა, რომ სოფის ლენგდონი დახმარებოდა. სოფიმ თავი დაუქნია ლენგდონს თანხმობის ნიშნად.
 დიახ, ერთხელ ვნახე P.S. ინიციალები. ძალიან პატარა რომ ვიყავი.
 სად?
სოფი შეყოყმანდა.
 რაღაცაზე, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ლენგდონმა თვალი თვალში გაუყარა.
 სოფი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მითხარი, ეს ინიციალები სხვა სიმბოლოსთან ერთად იყო? ეს P.S. იყო?
სოფიმ გაოგნებისაგან ბორძიკით უკან დაიხია.
 მაგრამ... შენ ეს საიდან უნდა იცოდე!
ლენგდონმა ამოისუნთქა და ხმას დაუწია.
 სრულიდ დარწმუნებული ვარ, რომ შენი ბაბუა საიდუმლო საზოგადოების წევრი იყო. ეს არის უძველესი საიდუმლო საძმო.
სოფიმ იგრძნო, როგორ გაენასკვა რაღაც მუცელში. თვითონაც იყო ამაში დარწმუნებული. ათი წელია, ცდილობდა დაევიწყებინა ის შემთხვევა, რამაც მას ეს საშინელი რამ დაუდასტურა. იგი რაღაც წარმოუდგენელს შეესწრო. რისი პატიებაც არ შეიძლება.
 Fleurdelis, თქვა ლენგდონმა, P.S. ინიციალებთან ერთად, არის საძმოს ოფიციალური ემბლემა. მათი გერბი. მათი ლოგო.
 საიდან იცი? – სოფი ღმერთს შესთხოვდა, რომ ლენგდონს არ ეთქვა, მეც ამ ორგანიზაციის წევრი ვარო.
 მე გამოკვლევა მაქვს ამ ჯგუფის შესახებ. – თქვა მან, ხმა აღელვებისგან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკანკალებდა, საიდუმლო საზოგადოებების სიმბოლიკის კვლევა ჩემი სპეციალობაა.
ისინი თავის თავს Prieure de Sionს – სიონის პრიორატს უწოდებენ. აქ, საფრანგეთში არიან
დაფუძნებულნი და თავის რიგებში მთელი მსოფლიოდან გავლენიან ადამიანებს იზიდავენ.
ფაქტობრივად, ეს მსოფლიოში შემორჩენილი ერთერთი უძველესი საიდუმლო
საზოგადოებაა.
სოფის არასდროს არ გაუგია მათ შესახებ.
ლენგდონი ახლა სწრაფად, ნაწყვეტნაწყვეტ ლაპარაკობდა: ამ საძმოს წევრები
ისტორიაში ცნობილი ყველაზე განათლებული ადამიანები იყვნენ, მაგალითად, ბოტიჩელი,
სერ ისააკ ნიუტონი, ვიქტორ ჰიუგო, ლენგდონი შეჩერდა, მის ხმაში აკადემიური
ენთუზიაზმი ისმოდა, და ლეონარდო და ვინჩი.
სოფი მას მიაშტერდა.
და ვინჩი საიდუმლო საზოგადოების წევრი იყო?
და ვინჩი 1510 წლიდან 1519 წლამდე პრიორატის პრეზიდენტი, პრიორატის დიდი
მაგისტრი იყო. ეს გასაგებს ხდის შენი ბაბუის სიყვარულს ლეონარდოს შემოქმედების
მიმართ. ამ ორ ადამიანს ისტორიული ძმური კავშირი აახლოებდა. ეს გარემოება კი
შესანიშნავად ეთანხმება იმას, რომ ორივე გატაცებული იყო ქალღმერთის იკონოლოგიის
შესწავლით, წარმართობით, ქალღვთაებებით და ეკლესიისადმი სიძულვილით.
მონასტერს აქვს კარგად დოკუმენტირებული წმინდა ქალის თაყვანისცემის ისტორია.
შენ ამბობ, რომ ეს ჯგუფი თაყვანს სცემდა ქალღმერთის ერთერთ წარმართულ
კულტს?
უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქალღმერთის თაყვანისცემის ერთადერთ წარმართულ
კულტს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისინი ცნობილნი არიან როგორც უძველესი
საიდუმლოს მცველები. ეს ის საიდუმლოა, რომელმაც მათ უზარმაზარი ძალაუფლება
მიანიჭა.
მიუხედავად ლენგდონის თვალებში ანთებული მტკიცე რწმენისა, სოფის პირველი
რეაქცია ჯიუტი უნდობლობა იყო. საიდუმლო წარმართული კულტი? ოდესღაც ლეონარდო
და ვინჩის ხელმძღვანელობით? ეს ყველაფერი სრულ აბსურდს უფრო ჰგავდა. და მაინც,
თუმცა არ უნდოდა, მაგრამ მისი გონება ათი წლის წინ მომხდარ ამბავს დაუბრუნდა. ეს ის
ღამე იყო, როდესაც სოფიმ ბაბუას მოულოდნელად გაოცება მოისურვა და შეესწრო იმას,
რასაც დღემდე ვერ შერიგებოდა. იქნებ ამან ახსნას...? – საძმოს ცოცხალი წევრების
სახელები ღრმადაა გასაიდუმლოებული, თქვა ლენგდონმა, მაგრამ პ.შ. და შროშანი,
რომელიც ბავშვობაში გინახავს, უტყუარი მტკიცებულებაა. ეს მხოლოდ საძმოსთან
შეიძლება იყოს დაკავშირებული.
სოფი ახლაღა მიხვდა, რომ ლენგდონმა გაცილებით მეტი იცოდა ბაბუაზე, ვიდრე მას
ადრე წარმოედგინა. ამ ამერიკელს უამრავი რამ ექნება სათქმელი, მაგრამ აქ შესაფერისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადგილი არ არის, მე მათ ნებას არ მივცემ, რომ დაგვიჭირონ, რობერტ. ჩვენ ბევრი გვაქვს სალაპარაკო. შენ უნდა წახვიდე!
ლენგდონს მისი ხმა ჩუმი დუდუნივით ესმოდა. ის არსად არ აპირებდა წასვლას. ახლა ის სხვაგან დაიკარგა. იქ, სადაც უძველესი საიდუმლოებები ზედაპირზე ამოტივტივდა, ადგილზე, სადაც მივიწყებულმა ისტორიებმა ჩრდილიდან დაიწყეს გამოსვლა.
ნელა, თითქოს წყალქვეშ მოძრაობსო, ლენგდონმა თავი მიატრიალა და მოწითალო ნისლში მონა ლიზასკენ გაიხედა.
fleurdelis... ლიზას ყვავილი...მონა ლიზა.
ყველაფერი ერთმანეთში იყო გადახლართული. ჩუმი სიმფონია უხალისოდ ამხელდა ყველაზე ღრმად დაფარულ საიდუმლოს სიონის პრიორატისა და ლეონარდო და ვინჩის შესახებ.
რამდენიმე მილის იქით, მდინარის სანაპიროზე ინვალიდების ხიდის ქვეშ, ორმაგი ტრეილერის მძღოლი მისკენ მიშვერილი იარაღის წინ იდგა და გაოგნებით უყურებდა, როგორ დაიღრიალა სიმწრისაგან სასამართლო პოლიციის განრისხებულმა კაპიტანმა, როცა საპნის ნაჭერი ამოათრია და შემდეგ მოდიდებულ სენაში გადააგდო.
თავი 24
სილასმა ახედა სენსიულპისის ობელისკს და აღიქვა მარმარილოს მასიური კოლონის მთელი სიგრძე. სიხარულისაგან თითქოს კიდევ უფრო დაეჭიმა კუნთები. ერთხელაც მიიხედმოიხედა ეკლესიაში, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მარტო იყო. შემდეგ ისევ დაიჩოქა კვარცხლბეკთან, მაგრამ თაყვანის საცემად კი არა, არამედ საჭიროების გამო.
ქვაკუთხედი ვარდის ხაზის ქვეშაა დამალული.
სენსიულპისის ობელისკის კვარცხლბეკში.
დაღუპულ ძმათა ჩვენებები ერთმანეთს დაემთხვა.
ახლა სილასი სწორედ იმ ადგილას იყო დაჩოქილი მუხლებზე. ხელები ქვის იატაკს მოუსვა. არავითარი ნაპრალი ან ნიშანი არ მიუთითებდა, რომ ფილა მოძრავი იყო, ამიტომ იატაკზე მსუბუქად კაკუნი დაიწყო. მერე თითბრის ხაზს მიჰყვა ობელისკისაკენ. თითბრის
ზოლის მიმდებარე ყოველ ფილაზე დააკაკუნა. ბოლოს და ბოლოს ერთერთმა მათგანმა უცნაური ხმა გამოსცა.
აქ სიცარიელეა იატაკის ქვეშ!
სილასმა გაიღიმა. მის ოთხსავე მსხვერპლს მართალი უთქვამს.
ადგა და თავშესაფარი მოათვალიერა, რაღაცას ეძებდა, რითაც იატაკის ფილას გატეხდა.
სილასის ზევით, აივანზე, დედა სანდრინი შეეცადა გაოცების წამოძახილი შეეკავებინა.
მისი ყველაზე საშინელი ეჭვი, ეს წუთია, გამართლდა. ეს სტუმარი არ იყო ის, რადაც თავს აჩვენებდა. ოპუს დეის იდუმალი მღვდელი სენსიულპისში სულ სხვა მიზნით იყო მოსული.
საიდუმლო მიზნით.
შენ ერთადერთი არა ხარ, ვისაც საიდუმლო აქვს, გაიფიქრა მან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედა სანდრინ ბიეილი უფრო მეტი იყო, ვიდრე ეკლესიის ზედამხედველი. ის დარაჯი იყო, ამ ღამით კი უძველესი ბორბლები ამოძრავდა. ამ უცნობის მოსვლა ობელისკის კვარცხლბეკთან, ნიშანი იყო საძმოდან.
ჩუმი უბედურების ნიშანი.
თავი 25
შეერთებული შტატების საელჩო პარიზში ავენიუ გაბრიელზე ელისეს მინდვრების ჩრდილოეთით მდებარე შენობათა კომპაქტურ კომპლექსს წარმოადგენს. შემოღობილი მიწის სამი აკრი შეერთებული შტატების ტერიტორიად ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა, ვინც ამ ტერიტორიაზე დგას, იმავე კანონებს ემორჩილება და ყველას შეუძლია, ისეთივე დაცვით ისარგებლოს, როგორსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღებდა. როდესაც ტელეფონის ზარი გაისმა, საელჩოს ღამის ოპერატორი ჟურნალ ტაიმის საერთაშორისო დამატებას კითხულობდა.
შეერთებული შტატების საელჩო გისმენთ, უპასუხა ქალმა.
საღამო მშვიდობისა. – ყურმილში ინგლისურად მოლაპარაკე ხმას ფრანგული აქცენტი ეტყობოდა. – თქვენი დახმარება მჭირდება, მიუხედავად თავაზიანი სიტყვებისა, მამაკაცს ტონი გაღიზიანებული და ოფიციალური ჰქონდა, მე მითხრეს, რომ თქვენ სატელეფონო შეტყობინება გქონდათ ჩემთვის თქვენს ავტომატურ სისტემაზე. ჩემი გვარია
ლენგდონი. სამწუხაროდ, დამავიწყდა ჩემი სამნიშნა დამატებითი კოდი. თუ დამეხმარებით,
ძალიან მადლობელი ვიქნებოდი.
ოპერატორს დაბნეულობისგან ხმა ჩაუვარდა.
უკაცრავად, სერ, თქვენი შეტყობინება ძალიან ძველი უნდა იყოს. ეს სისტემა ორი წლის წინ უსაფრთხოების მიზნით მოიხსნა. უფრო მეტიც, ყველა დამატებითი კოდი ხუთნიშნა იყო. ვინ გითხრათ, რომ ჩვენ შეტყობინება გვაქვს თქვენთვის?
თქვენ არ გაქვთ ავტომატური სატელეფონო სისტემა?
არა, სერ. ყველა შეტყობინება თქვენთვის ხელნაწერის სახით იქნება შენახული ჩვენი მომსახურების განყოფილებაში. თუ შეიძლება, გაიმეორეთ თქვენი სახელი...
მაგრამ მამაკაცმა ყურმილი უკვე დაკიდა.
ბეზუ ფაში სენის სანაპიროზე მირბოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მეხი დაეცა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ლენგდონმა ადგილობრივი ნომერი აკრიფა, სამციფრიანი კოდი შეიყვანა და შემდეგ ჩანაწერი მოისმინა. მაგრამ თუ ლენგდონს საელჩოში არ დაურეკავს, მაშინ ვინ ოხერმა დაურეკა?
სწორედ ამ მომენტში, როცა თავის მობილურ ტელეფონს დასჩერებოდა, ფაში მიხვდა, რომ პასუხი ხელისგულზე ედო. ლენგდონმა ხომ ჩემი ტელეფონიდან დარეკა!
ის შევიდა მენიუში, გამოიძახა ბოლო დროს აკრეფილი ნომრების სია და იპოვა, ლენგდონის მიერ აკრეფილი ნომერი.
პარიზის საქალაქო ნომერი იყო და მას სამციფრიანი კოდი, 454 მოჰყვებოდა.
ხელახლა აკრიფა ეს ნომერი და პასუხს დაელოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს ქალის ხმა გაისმა.
Bonjour, vous etes bien chez Sopie Neveu, გამოაცხადა ჩანაწერმა. – Je suis absente pour le moment, mais...
ფაშს სისხლი უდუღდა, როდესაც ნომერ 4... 5... 4ს კრეფდა.
თავი 26
თავისი უზარმაზარი რეპუტაციის მიუხედავად, მონა ლიზა 30X21 დიუიმის ზომის ტილოა – უფრო პატარა, ვიდრე მისივე გამოსახულებიანი პოსტერები, რომლებიც იქვე, ლუვრის საჩუქრების მაღაზიაში იყიდება. იგი სალდეეტას ჩრდილოდასავლეთის კედელზე კიდია, ორი დიუიმის სისქის პლექსიგლასის დამცველი შუშის უკან. ის დახატულია ალვისხის თხელ ფიცარზე. სურათის არაამქვეყნიური, ბურუსით მოცული ატმოსფერო იმის შედეგია, რომ და ვინჩი ვირტუოზულად ფლობდა sfumatoს ხერხს. ამ ხერხით შესრულებულ ნახატებში ფორმები თითქოს ერთმანეთში იკარგება.
მას შემდეგ, რაც ლუვრში დაიდო ბინა, მონა ლიზა, ანუ La Joconde, ორჯერ მოიპარეს. ბოლო შემთხვევა 1911 წელს იყო, როდესაც სურათი გაქრა ლუვრის ეგრეთ წოდებული კვადრატული დარბაზიდან, რომელსაც შეუღწევადის რეპუტაცია ჰქონდა. პარიზელები ტიროდნენ ქუჩებში და წერილებს გზავნიდნენ გაზეთებში, სადაც ქურდებს ევედრებოდნენ, დაებრუნებინათ სურათი. ორი წლის შემდეგ მონა ლიზა იპოვეს ფლორენციის რომელიღაც სასტუმროს ერთერთ ნომერში, ორმაგძირიან ჩემოდანში.
ლენგდონმა მიახვედრა სოფი, რომ არსად წასვლას არ აპირებდა და მასთან ერთად გადაკვეთა სალდეეტა. მონა ლიზა ჯერ კიდევ ერთი ოცი იარდით მაინც იყო დაშორებული მათგან, როდესაც სოფიმ ულტრაიისფერი ფანარი აანთო. მათ წინ იატაკზე მარაოსავით გაიშალა შუქის მოლურჯო ნახევარმთვარე. იგი სხივს განმნაღმველივით იატაკზე წინ და უკან ამოძრავებდა. მანათობელი მელნის რაიმე ნიშანს ეძებდა.
ლენგდონი მის გვერდით მიაბიჯებდა და მოლოდინის ის გრძნობა ჰქონდა, რასაც ხელოვნების უდიდეს ქმნილებებთან პირისპირ შეხვედრისას განიცდიდა ხოლმე. იგი დაიძაბა, რომ რამე დაენახა იმ მოიისფრო სინათლის მიღმა, რომელსაც სოფის ფარანი გამოსცემდა. ოთახში მარცხნივ გამოჩნდა რვაკუთხა დივანი, როგორც პირქუში კუნძული ბნელი პარკეტის ზღვაში.
ახლა ლენგდონმა დაინახა კედელზე შავად მომზირალი შუშის მართკუთხედი. მის უკან, საკანში დამწყვდეულივით ეკიდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სურათი.
მონა ლიზას მსოფლიო აღიარება არაფრით არ იყო დაკავშირებული ქალის ამოუცნობ ღიმილთან. არც იმ იდუმალ ინტერპრეტაციაზე იყო დამოკიდებული, რომელსაც მრავალი ხელოვნებათმცოდნე თუ საიდუმლოების მოყვარული იძლეოდა. ყველაფერი უფრო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარტივია: მონა ლიზა იმიტომ იყო ცნობილი, რომ ლეონარდო და ვინჩი ამტკიცებდა, თითქოს ეს იყო მისი შემოქმედების უმაღლესი მწვერვალი, სურათს ყოველთვის თან დაატარებდა მოგზაურობისას და, თუ ეკითხებოდნენ, უპასუხებდა ხოლმე, რომ ძალიან უძნელდებოდა თავისი შექმნილი ქალური მშვენიერების ყველაზე ამაღლებულ და დიდებულ გამოხატულებასთან დაშორება.

მიუხედავად ამისა, ბევრი ხელოვნებათმცოდნე ვარაუდობდა, რომ და ვინჩის ღრმა პატივისცემას მონა ლიზასადმი არაფერი ჰქონდა საერთო მის ხელოვნებასთან. სინამდვილეში სურათი გასაოცრად უბრალო sfumatoს სტილში შესრულებული ნაწარმოები იყო. და ვინჩი თაყვანს სცემდა თავის ნამუშევრებს. ეს კი, ბევრის აზრით, რაღაც უფრო ღრმა მიზეზის გამო ხდებოდა. ეს უნდა ყოფილიყო საღებავების ფენებს შორის დამალული შეტყობინება. ვარაუდობდნენ, რომ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი მონა ლიზა საიდუმლო ხუმრობაა. ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილი ბევრი წიგნი განიხილავს სურათის ათასგვარ საიდუმლოსა და მსუბუქ ალუზიებს, და მაინც,

გასაოცარია, რომ უდიდეს საიდუმლოდ უმრავლესობა მაინც მის ღიმილს მიიჩნევს. არავითარი საოცრება არ არსებობს, გაიფიქრა ლენგდონმა. იგი წინ მიდიოდა. ხედავდა, თანდათანობით როგორ იღებდა ფორმებს სურათის მკრთალი კონტური. არავითარი საოცრება.

ცოტა ხნით ადრე ლენგდონი მონა ლიზას საიდუმლოს შესახებ ესაუბრა საკმაოდ შეუფერებელ მსმენელებს – ეს იყო ესექსის საგრაფოს ციხის თორმეტამდე ტუსაღი. ლენგდონის ეს სემინარი ჰარვარდის გასვლითი პროგრამის ნაწილი იყო. პროგრამა მიზნად ისახავდა პენიტენციალურ სისტემაში განათლების შეტანას – კულტურა მსჯავრდებულებს, ასე უწოდებდნენ ლენგდონის კოლეგები ამ კამპანიას.

ლენგდონი ციხის ჩაბნელებულ ბიბლიოთეკაში იდგა პროექტორთან და ლექციაზე მოსულ პატიმრებს უყვებოდა მონა ლიზას საიდუმლოს. მისდა გასაოცრად, ეს ადამიანები საუბარში ჩაერთნენ, მოუხეშავად, მაგრამ ჭკვიანურად, თქვენ ალბათ შეამჩნევდით, უთხრა მათ ლენგდონმა და ბიბლიოთეკის კედელზე არეკლილ მონა ლიზას რეპროდუქციას მიუახლოვდა, ფონი ქალის სახის უკან არათანაბარია, მან მიუთითა თვალშისაცემ განსხვავებაზე. – და ვინჩიმ ჰორიზონტის ხაზი მარცხნივ გაცილებით დაბლა

დახატა, ვიდრე მარჯვნივ.

სიაფანდია? – იკითხა ერთერთმა პატიმარმა.

ლენგდონმა ჩაიცინა.

არა. და ვინჩი ამას ხშირად არ აკეთებდა. ეს მხოლოდ პატარა ტრიუკია. და ვინჩიმ სოფლის პეიზაჟი დაბლა დასწია მარცხნივ, რითაც იმას მიაღწია, რომ მონა ლიზა მარცხნიდან ბევრად უფრო დიდი ჩანს, ვიდრე მარჯვნიდან. ეს არის ავტორის პატარა ფარული ხუმრობა. ისტორიულად, მდედრობითობისა და მამრობითობის ცნებები მხარეებს

ინაწილებდნენ – მარცხენა მდედრობითია, მარჯვენა კი მამრობითი. იმის გამო, რომ და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვინჩი ქალური პრინციპების თაყვანისმცემელი იყო, მან მონა ლიზა ისე დახატა, რომ იგი უფრო დიდებული მარცხნიდან ყოფილიყო და არა მარჯვნიდან.
 გამიგია, რომ ის ცისფერი იყო. – თქვა თხისწვერიანმა კაცმა.
ლენგდონი შეკრთა.
 ისტორიკოსები ამას პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ,დიახ, და ვინჩი ჰომოსექსუალი იყო.
 ამიტომ იყო იგი დაინტერესებული მთელი ამ ქალური ამბებით?
 სინამდვილეში, და ვინჩისათვის ახლო იყო სწორედ წონასწორობა მამაკაცსა და ქალს შორის. მას სჯეროდა, რომ ადამიანის სული ისე ვერ განათლდება, თუ მასში არ არის ორივე, მდედრობითი და მამრობითი ელემენტი.
 თქვენ გულისხმობთ გოგოებს პენისებით? – დაიძახა ვიღაცამ.
ამან გულიანი სიცილი გამოიწვია. ლენგდონმა ჯერ იფიქრა, აეხსნა მათთვის სიტყვა ჰერმაფროდიტის ეტიმოლოგია. ეჩვენებინა კავშირი ჰერმესსა და აფროდიტესთან, მაგრამ რაღაცამ უკარნახა, რომ ამ ბრბოსთან ეს მხოლოდ დროის კარგვა იქნებოდა.
 ეი, ბატონო ლენგფორდ, უთხრა კუნთებიანმა კაცმა. – მართალია, რომ მონა ლიზა და ვინჩის ავტოპორტრეტია ქალის ზმანებში? გამიგია, რომ ეგრეა.
 შეიძლება, თქვა ლენგდონმა, და ვინჩი ხუმარა იყო. მონა ლიზასა და და ვინჩის ავტოპორტრეტების კომპიუტერული ანალიზი გაკეთდა, რამაც დაადასტურა მათ სახეებზე
ზოგიერთი ნაკვთის გასაოცარი შესაბამისობა. რაც არ უნდა ჰქონოდა და ვინჩის ჩაფიქრებული, თქვა ლენგდონმა, მისი მონა ლიზა არც კაცია და არც ქალი. მასში ოდნავი მინიშნებაა ანდროგინიაზე. ეს არის ორივეს შერწყმა.
 იქნებ ეგ რაღაც ჰარვარდული მონაჩმახია იმის სათქმელად, რომ მონა ლიზა ერთი უშნო გოგოა?
ახლა კი ლენგდონს გაეცინა.
 შეიძლება მართალიცა ხართ. მაგრამ სინამდვილეში და ვინჩიმ დატოვა სერიოზული მინიშნება, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ნახატი ანდროგინიული უნდა იყოს. აქ რომელიმეს ხომ არ გაგიგიათ რამე ეგვიპტური ღმერთის, ამონის შესახებ?
 ამის დედა ვატირე, ვიცი. – თქვა ზორბა კაცმა, ეგ მამაკაცური ნაყოფიერების ღმერთია!
ლენგდონი გაოცებული დარჩა.
 „ამონის“ პრეზერვატივების კოლოფებს აწერია ეგრე, გაიღრიჭა კუნთებიანი ტიპი, წინა მხარეს ვერძისთავიანი კაცი ახატია და აწერია, ნაყოფიერების ეგვიპტელი ღმერთიაო.
ლენგდონი ამ ბრენდს არ იცნობდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა, რომ კონტრაცეპტივების მწარმოებლებს სწორედ დაეწერათ ამ ღვთაების სახელი.
 ძალიან კარგი. ამონს მართლაც ვერძისთავიანი კაცის სახით ხატავდნენ და მისი ამგვარი რქიანი გამოსახულება იქცა დღევანდელი ინგლისური ჟარგონის საფუძვლად.
 არ არსებობს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწორედაც რომ ეგრეა! – თქვა ლენგდონმა, იცით ვინ იყო ამონის წყვილი? ვინ იყო ნაყოფიერების ეგვიპტური ქალღმერთი?
დასმული კითხვის შემდეგ რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა.
ეს იყო ისიდა, უთხრა მათ ლენგდონმა და ხელი წაავლო მარკერს. – ამრიგად, ჩვენ გვყავს მამაკაცი ღმერთი, ამონი – Amon. – მან დაწერა ეს სიტყვა დაფაზე. – და ქალღმერთი ისიდა – ისის, რომლის უძველესი პიქტოგრამა ადრე ცნობილი იყო, როგორც L'ISA. ლენგდონმა დაასრულა წერა და უკან დაიხია პროექტორისგან.
AMON L'ISA
რამეს გაგონებთ?
მონა ლიზა... მაგარია, წამოიძახა ვიღაცამ.
ლენგონმა თავი დაუქნია
ჯენტლმენებო, მონა ლიზას მარტო სახე კი არა აქვს ბისექსუალური, არამედ მისი სახელიც კი მამაკაცისა და ქალის ღვთაებრივი კავშირის აღმნიშვნელი ანაგრამაა. და ეს, მეგობრებო, და ვინჩის პატარა საიდუმლო და მონა ლიზას მრავლისმთქმელი ღიმილის მიზეზია.
ბაბუა აქ იყო, თქვა სოფიმ და უცებ მუხლებზე დაეცა, ამჯერად მონა ლიზასგან რამდენიმე ფუტის დაშორებით. მან ულტრაიისფერი სინათლე ყოველი შემთხვევისათვის მიანათა ლაქას იატაკზე.
თავდაპირველად ლენგდონს არაფერი დაუნახავს. შემდეგ, როდესაც ისიც სოფის გვერდით მუხლებზე დადგა, მან დაინახა სითხის გამშრალი პაწაწინა წვეთი, რომელიც ანათებდა. მელანია? უცებ მას გაახსენდა, რისთვის ხმარობენ ულტრაიისფერ სინათლეს.
სისხლია. ჟრუანტელმა დაუარა. სოფი არ შემცდარა, ჟაკ სონიერი მართლაც ესტუმრა მონა ლიზას სიკვდილის წინ.
ის აქ ტყუილუბრალოდ არ მოვიდოდა, ჩაიჩურჩულა სოფიმ და ადგა. – ვიცი, რაღაც ინფორმაციას აქაც დამიტოვებდა, მან სწრაფად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი მონა ლიზასკენ და იატაკი ზუსტად სურათის წინ გაანათა. იგი შიშველ პარკეტზე ფარანს აქეთ იქით ატრიალებდა.
აქ არაფერი არ არის!
და იმავე ლენგდონმა შეამჩნია მკრთალი მეწამული ციმციმი მონა ლიზას დამცავ მინაზე. იგი სოფის მაჯას დასწვდა და ნელნელა მიაშვირა ფანარი თვითონ სურათისკენ. ორივე ადგილზე გაიყვინა.
მინაზე მონა ლიზას სახის პირდაპირ დაწერილი ოთხი სიტყვა ღვიოდა.
თავი 27
სონიერის საწერ მაგიდასთან მჯდომ ლეიტენანტ კოლეს ყურზე ტელეფონი მიეჭირა და დაეჭვებით უსმენდა. ნუთუ სწორად გავიგე ფაშის ნათქვამი? – საპნის ნაჭერი? კი მაგრამ, საიდან უნდა გაეგო ლენგდონს სათვალთვალო ფირფიტის შესახებ?
სოფი ნევე. – უპასუხა ფაშმა, იმან უთხრა.
რა? რატომ?
ღმერთმანი, კარგი შეკითხვაა, მაგრამ სწორედ ახლა მოვისმინე ჩანაწერი, რომელიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამტკიცებს, რომ აგენტმა ნევემ გააფრთხილა.
კოლემ ლაპარაკის უნარი დაკარგა. რას ფიქრობდა ნევე? ახლა ფაშს იმის მტკიცება ჰქონდა ხელთ, რომ სოფი სასამართლო პოლიციის ცენტრალური დეპარტამენტის მოსატყუებელ ოპერაციაში ჩაერია. ასეთ შემთხვევაში სოფი ნევეს მარტო სამსახურიდან კი
არ გააგდებენ, ციხეშიც ჩასვამენ.
კი მაგრამ, კაპიტანო... მაშინ სადღაა ლენგდონი ახლა?
მანდ სადმე იყო სახანძრო განგაში?
არა, სერ.
არც ვინმე გამოსულა დიდი გალერეის ალაყაფიდან?
არა. ლუვრის დაცვის უფროსი დგას ალაყაფის კართან. როგორც თქვენ მოითხოვეთ.
ლენგდონი ჯერ კიდევ დიდი გალერეის შიგნით იმყოფება.
შიგნით? კი მაგრამ რას აკეთებს?
ლუვრის დაცვის უფროსი შეიარაღებულია?
დიახ, სერ. იგი უფროსი მცველია.
შიგნით შეიყვანე, უბრძანა ფაშმა, რამდენიმე წუთში მე ვერ შევძლებ ჩვენი ბიჭების უკან დაბრუნებას და არ მინდა, ლენგდონი მანამდე გაიქცეს, აქ ოდნავ დაფიქრდა, და ჯობია დაცვას უთხრა, რომ აგენტი ნევეც მანდ არის ლენგდონთან ერთად.
მე მეგონა, აგენტი ნევე წავიდა.
შენ ნამდვილად დაინახე, რომ წავიდა?
არა, სერ, მაგრამ...
კარგი, ტერიტორიაზე არც არავის დაუნახავს მისი წასვლა. მათ მხოლოდ ის ნახეს, როგორ შემოვიდა.
კოლე გაოგნებული იყო სოფი ნევეს სიმამაცით. jer kidev SenobaSia?
მოუარე მაგ საქმეს, უბრძანა ფაშმა. – მე რომ მოვბრუნდები, მინდა ლენგდონი და ნევე მიზანში გყავდეთ ამოღებული.
სატვირთო ტრეილერი წავიდა და კაპიტანმა ფაშმა თავისი ხალხი მოაგროვა. ამ ღამით რობერტ ლენგდონი ძნელად დასაჭერი ნადავლი აღმოჩნდა და აგენტ ნევეს დახმარებით, მისი კუთხეში მომწყვდევა სავარაუდოზე მეტად გაუჭირდებოდათ. ფაშმა გადაწყვიტა, რისკზე აღარ წასულიყო.
თავის დასაზღვევად, თავისი ხალხის ნახევარს ლუვრის პერიმეტრზე დაბრუნება უბრძანა. მეორე ნახევარი კი პარიზში გაგზავნა იმ ერთადერთი შენობის სადარაჯოდ, სადაც რობერტ ლენგდონი შეძლებდა უსაფრთხო ნავსაყუდელის პოვნას.
თავი 28
სალდეეტაში მყოფი ლენგდონი გაოგნებით მიშტერებოდა ოთხ სიტყვას, რომლებიც ტყვიაგაუმტარ მინაზე მოჩანდა. ტექსტი თითქოს სივრცეში ფარფატებდა და მისი კლაკნილი ჩრდილი მონა ლიზას იდუმალ ღიმილს ეცემოდა.
პრიორატი, ჩაიჩურჩულა ლენგდონმა, ეს ამტკიცებს, რომ ბაბუაშენი მისი წევრი იყო!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაბნეულმა სოფიმ მას შეხედა.
შენ ეს გესმის?
რასაკვირველია, თქვა ლენგდონმა, თავს აქნევდა და ფიქრები სადღაც ებნეოდა. –
ეს არის მონასტრის მთავარი ფილოსოფიური პრინციპის გაცხადება!
სოფი თავგზააბნეული ჩანდა მონა ლიზას სახის გასწვრივ დაწერილი ტექსტის ფონზე.
შავმა ღონემ იმედი იხილა
სოფი, შორიდან დაიწყო ლენგდონმა, საძმოს ტრადიცია, საუკუნეების მანძილზე
შეენარჩუნებინა ქალღმერთის კულტი, დაფუძნებულია იმ რწმენაზე, რომ ადრეული
ქრისტიანული ეკლესიის გავლენიანმა მამაკაცებმა „მოატყუეს“ მსოფლიო იმით, რომ
გაავრცელეს ქალის დამამცირებელი ტყუილები და სასწორი მამაკაცების სასარგებლოდ
გადახარეს.
სოფი ჩუმად იყო და წარწერას მიშტერებოდა.
საძმოს სწამს, რომ კონსტანტინემ და მისმა მიმდევარმა მამაკაცებმა წარმატებით
გადაიყვანეს მსოფლიო მატრიარქალური წარმართობიდან პატრიარქალურ
ქრისტიანობაზე. ამას პროპაგანდისტული კამპანიით მიაღწიეს და, შედეგად, წმინდა ქალი
დემონურ ძალად გამოცხადდა და ცნება „ქალღმერთი“ სამუდამოდ მოსპო თანამედროვე
რელიგიიდან.
სოფი მაინც არ იყო დარწმუნებული, ბაბუამ განა აქ ამის სანახავად მომიყვანა? ის
ალბათ ამაზე მეტის თქმას უნდა ცდილობდეს ჩემთვის.
ლენგდონი მიხვდა, რასაც გულისხმობდა სოფი. ფიქრობს, რომ ეს კიდევ ერთი
კოდირებული ფრაზაა. იყო თუ არა აქ დაფარული მნიშვნელობა, ლენგდონს ამის თქმა
ახლავე არ შეეძლო. მისი ტვინი ჯერ კიდევ სონიერის ხილული ინფორმაციის თამამ
სიცხადეს ებღაუჭებოდა.
შავმა ღონემ იმედი იხილა, გაიფიქრა მან. იხილა კი?
ვერავინ უარყოფს იმ უზარმაზარ სიკეთეს, რომელიც ეკლესიას შემოაქვს დღევანდელ
პრობლემებით სავსე მსოფლოში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეკლესიას სიცრუითა და
ძალადობით სავსე ისტორია ჰქონდა. მისი სასტიკი ჯვაროსნული ლაშქრობა წარმართთა
და ქალის თაყვანისმცემელი რელიგიების „ხელახალი განათლების“ მიზნით სამ საუკუნეს
მოიცავდა. და ამ დროის განმავლობაში სხვაგვარი აზროვნება განსაკუთრებული
სისასტიკით იდევნებოდა.
კათოლიკურმა ინკვიზიციამ გამოსცა წიგნი, რომელსაც შეიძლება კაცობრიობის
ისტორიაში ყველაზე სისხლიანი პუბლიკაცია ეწოდოს. Malleus Maleficarum – ჯადოქართა
ურო – იყო წიგნი, რომელმაც მსოფლიოს გააცნო „თავისუფლად მოაზროვნე ქალთაგან
მომდინარე საშიშროებები“ და მითითებას აძლევდა სამღვდელოებას, როგორ უნდა
მოეძებნათ, ეწამებინათ და გაენადგურებინათ ისინი. ამ ეკლესიის მიერ დასჯილ
„ჯადოქრებს“ შორის იყვნენ მეცნიერი და ქურუმი ქალები, ბოშები, მისტიკისა და ბუნების
მოყვარულები, სამკურნალო მცენარეთა შემგროვებლები და ნებისმიერი ქალი, რომელიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„საეჭვოდ იყო შეწყობილი გარემომცველ ბუნებასთან“. ბებიაქალებსაც ხოცავდნენ მათი ერეტიკული საქმიანობისათვის, ანუ იმისათვის, რომ თავიანთ სამედიცინო ცოდნას ისინი
სამშობიარო ტკივილების შესამსუბუქებლად იყენებდნენ. ეკლესიის განცხადებით, ეს ტანჯვა ღვთის სამართლიანი სასჯელია იმისათვის, რომ ევამ შეჭამა ხე ცნობადის ნაყოფი და დასაბამი მისცა პირველ ცოდვას. ჯადოქართა დევნის სამასი წლის მანძილზე ეკლესიამ
კოცონზე დაწვა ქალების საოცარი რაოდენობა – ხუთი მილიონი.
პროპაგანდამ და სისხლისღვრამ შედეგი გამოიღო. დღევანდელი მსოფლიო ამის ცოცხალი მტკიცებაა.
ქალები, რომლებიც ოდესღაც სრულყოფის უმნიშვნელოვანეს საწყისად იყვნენ მიჩნეულნი, ახლა ტაძრებიდან განდევნილნი აღმოჩნდნენ. მსოფლიოში არ არსებობენ ქალი რაბინები, მდედრობითი სქესის კათოლიკე მღვდლები ან ისლამის მსახურნი.
ოდესღაც კურთხეული აქტი Hieros Gamos კაცსა და ქალს შორის ბუნებრივი სექსუალური კავშირი, რომლის შედეგადაც თითოეული პარტნიორი სულიერ და ხორციელ მთლიანობას
იძენს – დღეს სირცხვილადაა მიჩნეული. წმინდა მამებს, რომელთაც ოდესღაც ქალთან სექსუალური კავშირი ღმერთთან ურთიერთობის დამყარებაში ეხმარებოდა, ახლა ეშინოდათ თავიანთი ბუნებრივი სექსუალური მოთხოვნილებისა და ამას ეშმაკის ხრიკებად
მიიჩნევდნენ, თვით ქალი კი ბოროტის საყვარელ თანამზრახველად იყო შერაცხული.
არც ქალთა მემარცხენე ყაიდის ორგანიზაციები გადაურჩნენ ეკლესიისაგან ცილისწამებას. საფრანგეთსა და იტალიაში, სიტყვებმა, რომლებიც აღნიშნავს „მარცხენას“ gauche და sinistra – უკიდურესად უარყოფითი მნიშვნელობა მიიღო, მაშინ, როდესაც სიტყვა „მარჯვენა“ ნიჭისა და სიმართლის სინონიმად იქცა. დღემდე რადიკალური აზროვნება ითვლება მემარცხენედ და ყოველივე ბოროტი და შავბნელი sinisterია.
ქალური საწყისი შავ ძალად გამოცხადდა.
ქალღმერთის დღეები დათვლილი იყო. მდგომარეობა შეიცვალა. დედამიწა კაცის სამყაროდ იქცა და დადგა განადგურებისა და ომის ღმერთების ხანა. ორი ათასი წლის განმავლობაში ქალური საწყისის მიერ გაწონასწორებული მამაკაცური „მე“ ახლა მარტო დარჩა. სიონის მონასტერს სწამდა, რომ წმინდა ქალური საწყისის განადგურებამ გამოიწვია თანამედროვე მსოფლიოში ის, რასაც ჰოპის ტომის ამერიკელი ინდიელები უწოდებდნენ kayanisquatsil „წონასწორობადაკარგულ ცხოვრებას“. ეს არასტაბილური მდგომარეობა გამოიხატა ტესტოსტერონით წაქეზებული ომებით, ქალთმოძულე საზოგადოებების სიმრავლითა და დედაბუნების აბუჩად აგდების ურიცხვი შემთხვევით.
რობერტ! – თქვა სოფიმ, ვიღაც მოდის!
ლენგდონმა გაიგონადერეფნიდან მოახლოებული ფეხის ხმა.
აქეთ! – სოფიმ ჩააქრო ულტრაიისფერი სინათლე და თითქოს აორთქლდა ლენგდონის თვალწინ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი წამით ის სრულიად დაბრმავდა. საით აქეთ? მხედველობა რომ დაუბრუნდა, დაინახა სოფის სილუეტი, რომელიც ოთახის ცენტრისკენ გარბოდა და უცებ გაუჩინარდა რვაკუთხა დივანის უკან. ლენგდონი, ის იყო სოფის კვალს უნდა გაჰყოლოდა, როდესაც გუგუნა ხმამ გააშეშა.

Arretez! – კარიდან უბრძანა კაცმა.

დარბაზის შემოსასვლელში ლუვრის დაცვის აგენტი გამოჩნდა, ხელში პისტოლეტი ეჭირა და ლენგდონს პირდაპირ მკერდში უმიზნებდა.

ლენგდონმა იგრძნო, როგორ ინსტინქურად აიწია მისი ხელები მაღლა.

Couchezvous! – უბრძანა მცველმა, ძირს დაწექით! – რამდენიმე წამში ლენგდონი პირქვე იწვა იატაკზე. მცველი სწრაფად მიუახლოვდა, ფეხის ერთი დარტყმით გააწევინა ფეხები და ლენგდონი იატაკზე გაიშალა.

ვერ იყო კარგი აზრი, ბატონო ლენგდონ, უთხრა მან და იარაღი დააჭირა ზურგზე, ძალიან ცუდი აზრი იყო.

სახით პარკეტს მიჭყლეტილს, ხელები და ფეხები ფართოდ ჰქონდა გაშლილი. ლენგდონს თავისი მდგომარეობის კომიკურობაზე სულაც არ ეცინებოდა. ვიტრუვიუსის მამაკაცი, გაიფიქრა მან. ოღონდ პირქვე.

თავი 29

სენსიულპისის ეკლესიაში სილასმა საკურთხევლის უკან ნაპოვნი რკინის მძიმე შანდალი წაიღო ობელისკისკენ – სახელური მშვენივრად გამოდგებოდა ქვის დასამსხვრევად – დახედა ნაცრისფერი მარმარილოს ფილას, რომელიც, ჩანს, იატაკქვეშ სიცარიელეს ფარავდა. სილასი მიხვდა, რომ მას უხმაუროდ ვერ დაამსხვრევდა. რკინა მარმარილოზე. გუმბათოვანი ჭერი კი ამ ხმას კიდევ უფრო გააძლიერებდა. მონაზონი გაიგონებს? ახლა ხომ უკვე სძინავს. მაინც გადაწყვიტა, არ გაერისკა. მიმოიხედა. ქსოვილის რაიმე ნაჭერი სჭირდებოდა რკინაზე შემოსახვევად. სამწუხაროდ, ვერაფერი იპოვა, გარდა საკურთხევლის დაფარნისა. მისი წაბილწვა კი არ მოინდომა. ჩემი მოსასხამი, გაიფიქრა მან. იცოდა, რომ ამ დიდებულ ეკლესიაში მარტო იყო, ამიტომ მოსასხამი გაიხსნა და გადაიძრო. გახდისას ჩხვლეტა იგრძნო, როდესაც მატყლის ბოჭკოები ახალ ჭრილობებს შეეხო ზურგზე.

ახლა იგი შიშველი იყო, წელზე შემოსახვევის ამარა. სილასმა მოსასხამი რკინის ჯოხის ბოლოზე დაახვია, იატაკის ფილის ცენტრს დაუმიზნა და დაარტყა. ყრუ ბრახუნის ხმა გაისმა. ქვა არ გატყდა. ხელმეორედ დაარტყა. ისევ ყრუ ხმა იყო, ოღონდ ამჯერად ტკაცუნიც მოჰყვა. მესამე დარტყმაზე თავსახური, ბოლოს და ბოლოს, დაიმსხვრა და ქვის ნატეხები იატაკის ქვეშ გამოჩენილ ღრუში ჩაცვივდა.

აქ სიცარიელეა!

მან სწრაფად ამოკრიფა დარჩენილი ქვის ნატეხები იმ ადგილიდან და სიცარიელეში ჩაიხედა. ჭრილობებიდან სისხლი წასკდა, როდესაც ამოტეხილი ადგილის წინ ჩაიმუხლა. სილასმა ფერმკრთალი შიშველი ხელი ასწია და შიგ ჩაყო.

პირველად ვერაფერი იპოვა. სათავსოს შიშველი, გლუვი ქვის იატაკი იყო, მერე ხელი უფრო ღრმად მოაფათურა, ვარდის ხაზის ქვეშ შეყო და რაღაცას შეეხო! ქვის სქელი დაფა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო. შემოაჭდო, ჩაბღუჯა და ფრთხილად ამოსწია. როდესაც ადგა და მონაპოვარი დაათვალიერა, მიხვდა, რომ ხელში უხეშად გათლილი ქვის ფილა ეჭირა, რომელზეც წარწერა იყო ამოკვეთილი. ერთი წამით თავი თანამედროვე მოსედ წარმოიდგინა. როდესაც სილასმა დაფაზე დაწერილი სიტყვები წაიკითხა, გაკვირვებული დარჩა. იგი ელოდა, რომ ქვაკუთხედი რუკა იქნებოდა ან მითითებების რთული ჯაჭვი, შეიძლება კოდირებულიც კი. ქვის ამ ნატეხზე კი უმარტივესი რამ ეწერა.
იობი 38:11
საღმრთო წერილის ერთერთი მუხლი? ამ ეშმაკეულმა სიმარტივემ სილასი გააოგნა. საიდუმლო ნივთი, რასაც ისინი ეძებდნენ, ბიბლიის ერთი მუხლი აღმოჩნდა. საძმომ არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ მასხარად აეგდო ყველაზე ღვთისნიერნი!
იობი. თავი ოცდათვრამეტი, მუხლი მეთერთმეტე.
მართალია, სილასს მეთერთმეტე მუხლი ზეპირად არ ახსოვდა, მაგრამ იცოდა, რომ იობის წიგნი მოგვითხრობდა ამბავს კაცისა, რომლის რწმენამაც არაერთ გამოცდას გაუძლო. მართლაც შეეფერება, გაიფიქრა მან. ძალიან უჭირდა მღელვარების შეკავება. მხარს უკან მოელვარე ვარდის ხაზს გადახედა და ღიმილი ვერ შეიკავა. იქ მთავარი საკურთხევლის თავზე გაშლილი, მოოქროვილი წიგნი იდო – უზარმაზარი ტყავის ყდაში ჩასმული ბიბლია.
მაღლა, კლიროსზე, დედა სანდრინი კანკალებდა. რამდენიმე წამის წინ იგი მზად იყო გაქცეულიყო და ადრე მიღებული ბრძანებები შეესრულებინა. ამ დროს ქვევით მყოფმა მოსასხამი გაიხადა. მისი ალებასტრივით თეთრი სხეულის დანახვაზე ქალი შემაძრწუნებელი უხერხულობის გრძნობამ მოიცვა. მას ფართო, უფერული ზურგი აჭრელებული ჰქონდა სისხლიანი ზოლებით. შორიდანაც კი ჩანდა, რომ ჭრილობები სულ ახალი იყო.
მან მის ბარძაყზე შემოხვეული სისხლიანი ძაძაც შეამჩნია, რომლით მიყენებული ჭრილობიდანაც სისხლი მოწვეთავდა. ნეტა რომელ ღმერთს სურს ასე ნატანჯი სხეული? დედა სანდრინმა იცოდა, რომ ოპუს დეის რიტუალებს ვერასდროს ჩასწვდებოდა. მაგრამ ამ წუთში ეს ნაკლებად აფიქრებდა. ოპუს დეი ქვაკუთხედს ეძებს. საიდან გაიგეს? დედა სანდრინმა არ იცოდა, მაგრამ ფიქრის დრო აღარ ჰქონდა.
გასისხლიანებული ბერი ახლა წყნარად იცვამდა მოსასხამს. თავისი მონაპოვარი ჩაებღუჯა და საკურთხევლისკენ მიდიოდა. იქით, სადაც ბიბლია იდო.
სუნთქვაშეკრული დედა სანდრინი კლიროსიდან ჩამოვიდა, სწრაფად გაიარა დერეფანი და თავის ოთახში შევიდა. იქ დაიჩოქა, ხელი ხის საწოლქვეშ შეყო და დაბეჭდილი კონვერტი გამოაძვრინა. ეს კონვერტი მან სამი წლის წინ დამალა. კონვერტი რომ გახსნა, შიგ პარიზის ოთხი ტელეფონის ნომერი იპოვა.
აკანკალებულმა ქალმა ნომრის აკრეფა დაიწყო.
ქვევით სილასმა ქვის ფილა საკურთხეველზე დადო და მოუთმენლად გადაშალა ტყავის ბიბლია. როდესაც ფურცლებს შლიდა, გრძელი თეთრი თითები გაუოფლიანდა. გადაფურცლა ძველი აღთქმა და იობის წიგნს მიაგნო. იპოვა ოცდამეთვრამეტე თავი. თითი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გააყოლა ტექსტის სვეტს. სიტყვებს ელოდა, რომლებსაც სადაცაა წაიკითხავდა.
ისინი გზას მიჩვენებენ!
სილასმა მეთერთმეტე მუხლი იპოვა და წაიკითხა. ის მხოლოდ შვიდი სიტყვისგან შედგებოდა. დაბნეულმა კიდევ გადაიკითხა. გრძნობდა, რომ რაღაც არ აეწყო. მუხლი მხოლოდ ამას ამბობდა:
აქამომდე მოხვიდე და არა გარდაჰხდე.
თავი 30
დაცვის უფროსი კლოდ გრუარი თავს ადგა მონა ლიზას წინ ძირს გართხმულ ტყვეს და სიბრაზისაგან გული უდუღდა. ამ ნაძირალამ მოკლა ჟაკ სონიერი! გრუარსა და მის გუნდს სონიერი მამასავით უყვარდათ.
გრუარს ერთი სული ჰქონდა, ჩახმახი გამოეწია და რობერტ ლენგდონისთვის ზურგში ტყვია ჩაეჭედებინა. როგორც დაცვის უფროსი, გრუარი ერთერთი იყო იმ რამდენიმე მცველთაგან, ვისაც დატენილი იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. მაგრამ მან თავს შეახსენა, რომ ლენგდონისათვის სიკვდილი ბედნიერება იქნებოდა, თუ იმას გავითვლისწინებთ, რა ტანჯვა მოელოდა მას ბეზუ ფაშთან საუბრისას ან ფრანგულ ციხეში
მოხვედრის შემთხვევაში.
გრუარმა რაცია ამოაძრო ქამრიდან და დახმარების გამოძახება სცადა. ეთერი დუმდა.
ამ დარბაზიდან დაცვის დამატებითი ელექტრონული სისტემის გამო მცველებს ყოველთვის
უჭირდათ ერთმანეთთან დაკავშირება. კარისკენ უნდა წავიდე. ლენგდონი ისევ მიზანში ჰყავდა ამოღებული და ნელნელა შემოსავლელისკენ დაიწყო უკანუკან დახევა. მესამე ნაბიჯი რომ გადადგა, მან შეამჩნია რაღაც, რამაც აიძულა, უცებ გაჩერებულიყო.
ეს რაღა ეშმაკია!
დაახლოებით ოთახის ცენტრში რაღაც გაურკვეველი ფორმის სილუეტი იკვეთებოდა.
კიდევ ვინმე იყო აქ? სიბნელეში ქალი მოძრაობდა. იგი სწრაფად მიიწევდა შორეული მარცხენა კედლისკენ. მის წინ მოწითალო სინათლის სხივი წინ და უკან დახტოდა იატაკზე.
იგი თითქოს რაღაცას ეძებდა ფერადი ფანრით.
Qui est la? – ბრძანების ტონით იკითხა გრუარმა. ეს უკვე მეორედ იგრძნო ადრენალინის მოძალება ამ ბოლო ოცდაათი წამის განმავლობაში. უცებ დაიბნა. აღარ იცოდა, ვისთვის დაემიზნებინა იარაღი ან საით წასულიყო.
ტექნიკური და სამეცნიერო პოლიცია, მშვიდად უპასუხა ქალმა და თავისი ფანრით იატაკის თვალიერება განაგრძო.
ტექნიკური და სამეცნიერო პოლიცია. გრუარს ახლა ოფლი ასხამდა. მეგონა, ყველა აგენტი წასული იყო! მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ წითელი სხივი ულტრაიისფერი სინათლე იყო, რაც ტსპს გუნდის აუცილებელ აღჭურვილობაში შედიოდა, მაგრამ მაინც ვერ გაეგო, რატომ ეძებდა პოლიცია სამხილს აქ.
Votre nom? – დაიყვირა გრუარმა. ინსტინქტი უკარნახებდა, რომ რაღაც ხდებოდა. –

www.PDF.ChiaturaINFO.GE

Repondez!

C'est moi, უპასუხა ხმამ წყნარი ფრანგულით. – Sophie Neveu.

გრუარს ტვინის შორეულ კუთხეში ეს სახელი ამოუტივტივდა. სოფი ნევე? სონიერის შვილიშვილის სახელი არ არის? აქ მოდიოდა ხოლმე ბავშვობაში, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. არ შეიძლება, რომ ეს ის იყოს! და რომ იყოს კიდეც, იმისათვის არ კმარა, რომ დაუჯეროს; გრუარს გაგონილი ჰქონდა ჭორები, რომ სონიერი და მისი შვილიშვილი მტკივნეულად დაშორდნენ ერთმანეთს.

შენ მე მიცნობ, დაუძახა ქალმა, რობერტ ლენგდონს ბაბუაჩემი არ მოუკლავს.

დამიჯერე.

მცველი გრუარი ასე უბრალოდ ამის დაჯერებას არ აპირებდა. დახმარება მჭირდება!

ისევ სცადა რაციის ჩართვა. სიგნალი არ იყო. შემოსასვლელიდან ერთი ოცი იარდით მაინც იყო დაშორებული და გრუარმა ისევ სცადა ნელნელა უკან დახევა, თან იარაღი იატაკზე გაშოტილი კაცისთვის არ მოუშორებია. ერთი დიუიმით დაიხია უკან და დაინახა,

რომ ოთახის ბოლოს ქალმა თავისი ულტრაიისფერი სინათლე ასწია და დარბაზის შორეულ კედელზე დაკიდებული დიდი სურათის შემოწმება დაიწყო. ეს სურათი ზუსტად

მონა ლიზას პირდაპირ ეკიდა.

ღმერთო ჩემო, ნეტა რას აკეთებს?

ოთახის მეორე მხარეს სოფი ნევე გრძნობდა, როგორ უფარავდა შუბლს ცივი ოფლი. ლენგდონი ისევ არწივივით იყო გართხმული იატაკზე. გამაგრდი, რობერტ. თითქმის

შენთან ვარ. სოფიმ იცოდა, რომ სინამდვილეში მცველი არც ერთს არ ესროდა და ამიტომ ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა. ყველაფერი ყურადღებით დაათვალიერა ერთი შედევრის ირგვლივ. ესეც და ვინჩისა იყო. მაგრამ ულტრაიისფერმა სინათლემ არაფერი უცნაური არ გამოავლინა არც იატაკზე, არც კედლებზე და არც თვითონ ტილოზე.

აქ აუცილებლად რაღაც უნდა იყოს!

სოფი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ სწორად გამოიცნო ბაბუას მიზნები.

კიდევ რა შეიძლებოდა, რომ დაეპირებინა?

და ვინჩის შედევრი, რომელსაც ის ათვალიერებდა, ხუთი ფუტის სიმაღლის ტილო იყო.

უცნაური სცენა, რომელზეც გამოსახული იყო უხერხულ პოზაში მჯდომი ქალწული მარიამი

ყრმა იესოთი, იოანე ნათლისმცემელი და ანგელოზი ურიელი პიტალო კლდეზე. პატარა

რომ იყო, არც ერთი ვიზიტი მონა ლიზასთან ისე არ დამთავრდებოდა, რომ ბაბუას სოფი ოთახის მეორე ბოლოში ამ მეორე სურათის სანახავად არ მოეყვანა.

Grandpere, აქა ვარ! მაგრამ ვერ ვხედავ!

სოფის ესმოდა, მის უკან როგორ ცდილობდა მცველი რადიოთი დახმარების

გამოძახებას.

იფიქრე!

მან წარმოიდგინა მონა ლიზას დამცავ მინაზე დაწერილი ტექსტი. შავმა ღონემ იმედი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იხილა. ამ სურათს არ ჰქონდა დამცავი მინა, რაზეც რამის დაწერა იქნებოდა
შესაძლებელი. და სოფიმ ისიც იცოდა, რომ ბაბუა არასდროს გააფუჭებდა ამ შედევრს ზედ
რამის დაწერით. იგი შეჩერდა.ბოლოს და ბოლოს ის ნახატს არაფერს დააწერდა წინა
მხარეს. მან უცებ ზევით აიხედა, ჭერიდან გრძელი მავთულები იყო ჩამოშვებული ტილოს
დასაჭერად.
შეიძლება რომ ეს იყოს? მან მარცხენა მხრიდან ხელი წაავლო მოჩუქურთმებულ ხის
ჩარჩოს და თავისკენ მოსწია. ნახატი დიდი იყო და მავთული დაიჭიმა, როდესაც სოფიმ ის
კედელს მოაშორა. მან თავი და მხრები ნახატის უკან შეყო და ულტრაიისფერი სინათლე
ასწია, ტილოს უკანა მხარე რომ დაეთვალიერებინა.
რამდენიმე წამში მიხვდა, რომ ინტუიციამ უმტყუნა. ნახატის უკანა მხარე უფერული და
ცარიელი იყო. აქ წითელი ტექსტი არ იყო, მხოლოდ დაძველებული ტილოსათვის
დამახასიათებელი წერტილებიანი ყავისფერი უკანა მხარე და...
მოიცა!
სოფის თვალში მოხვდა ბზინვარე ლითონის შეუფერებელი ბრწყინვა ჩარჩოს ხის
კარკასის ქვედა კიდესთან. საგანი პატარა იყო, ნაწილობრივ ჩარჭობილი იმ ნაპრალში,
სადაც ტილო და ჩარჩო ერთდება. იქიდან მბრწყინავი ოქროს ძეწკვი იყო
გადმოკიდებული.
სოფი განცვიფრდა, როცა შეამჩნია, რომ ძეწკვი მიმაგრებული იყო ნაცნობ ოქროს
გასაღებზე. ფართო, მოხარატებულ თავს ჯვრის ფორმა ჰქონდა და ზედ ამოტვიფრული
იყო ბეჭედი, რომელიც სოფის ბავშვობის მერე არ ენახა. ეს იყო შროშანი და ინიციალები
P.S. იმ წამს მას მოეჩვენა თითქოს ბაბუას აჩრდილი ყურში ჩასჩურჩულებდა. როცა დრო
მოვა, ეს გასაღები შენი იქნება. ყელში რაღაცამ მოუჭირა, როდესაც მიხვდა, ბაბუა
მკვდარიც კი ასრულებდა თავის დაპირებას. ეს გასაღები ხსნის ყუთს, ეუბნებოდა ხმა,
სადაც მე ბევრ საიდუმლოს ვინახავ. სოფი ახლა მიხვდა, რომ ამ ღამის სიტყვათა თამაშის
ერთადერთი მიზანი ეს გასაღები იყო. ბაბუას იგი თან ჰქონდა, როდესაც მოკლეს. მას არ
უნდოდა, გასაღები პოლიციას ჩავარდნოდა ხელში და ამიტომ დამალა ამ სურათის უკან.
შემდეგ შეადგინა განძის საძიებელი მარტივი გამოცანები, რათა დარწმუნებული
ყოფილიყო, რომ მხოლოდ სოფი იპოვიდა გასაღებს.
Au secours! – დაიღრიალა მცველმა.
სოფიმ გასაღები სწრაფად აიღო და ღრმად ჩაიცურა ჯიბეში ულტრაიისფერ ფანართან
ერთად. ტილოს უკნიდან გამოიხედა და დაინახა, როგორ ცდილობდა სასოწარკვეთილი
მცველი რაციით ვინმესთან დაკავშირებას. იგი უკანუკან იხევდა შემოსასვლელისკენ და
ლენგდონს იარაღს უმიზნებდა.
Au secours! – კიდევ ერთხელ ჩაჰყვირა რადიოს.
პასუხი არ ისმოდა.
ვერ გადასცემს, მისვდა სოფი და გაახსენდა, როგორ უცრუვდებოდათ ხოლმე იმედი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მობილური ტელეფონების მქონე ტურისტებს, როდესაც ამ დარბაზიდან რეკავდნენ, რომ დაეკვეხათ, მონა ლიზა ვნახეთო. კედლებში ჩატანებული დამატებითი სათვალთვალო სისტემის მავთულები დარბაზიდან გაუსვლელად პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ტელეფონის ხმარებას. მცველი ახლა კარისკენ იხევდა და სოფი მიხვდა, რომ სწრაფად უნდა ემოქმედა.

მან ახედა დიდ სურათს, რომელიც მას ნაწილობრივ მალავდა და მიხვდა ლეონარდო და ვინჩი ამ ღამეს მეორედ დაეხმარებოდა.

კიდევ რამდენიმე მეტრი, გაიფიქრა გრუარმა. იარაღი ისევ დამიზნებული ეჭირა.

Arretez! Ou je la detruis! – ოთახში ექოსავით გაისმა ქალის ხმა. გრუარმა მიიხედა და შეჩერდა. Mon Dieu, non!

მოწითალო ნისლში მან დაინახა, რომ ქალს ფართო ტილო მავთულებიდან ჩამოეხსნა და იატაკზე დაედგა. ხუთი ფუტის სიმაღლის ტილო ტანს თითქმის მთლიანად უფარავდა.

პირველი, რაც გრუარმა გაიფიქრა, ის იყო, სურათის დასაკიდებელმა მავთულებმა რატომ არ ჩართო საგანგაში სისტემა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ მავთულების სენსორები ამ ღამით ხელმეორედ იყო ჩასართველი. რას შვრება ეს ქალი!

როდესაც დაინახა, სისხლი გაეყინა.

ტილო შუაში გამოიზნიქა, ქალწული მარიამის, ყრმა იესოსა და იოანე ნათლისმცემლის სათუთი კონტურები დაიბრიცა.

Non! – დაიყვირა შეძრწუნებულმა გრუარმა, როცა დაინახა, როგორ იჭიმებოდა უძვირფასესი და ვინჩის ტილო. ქალი შუაში მუხლით აწვებოდა!

Non!

გრუარი მოტრიალდა და ახლა ქალს დაუმიზნა იარაღი, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ეს ფუჭი მუქარა იყო. ტილო მხოლოდ ქსოვილი იყო, მაგრამ სრულიად შეუღწევადი – ექვსმილიონ დოლარიანი ჯავშანჟილეტი.

მე ვერ ვესვრი და ვინჩის!

დაუშვი იარაღი და რაცია, უთხრა ქალმა მშვიდი ფრანგულით, თორემ ფეხით გავხევ ამ ნახატს. მე მგონი, იცი, ბაბუას ამაზე რა რეაქცია ექნებოდა.

გრუარს თავბრუ ეხვეოდა.

გეთაყვა... არა. ეს ხომ მონა ლიზაააა მღვიმეში! – მან იარაღი და რადიო დაყარა და ხელები ასწია.

გმადლობთ, უთხრა ქალმა. – ახლა ზუსტად ის გააკეთე, რასაც გეტყვი, და ყველაფერი რიგზე იქნება.

ცოტა ხნის შემდეგ ლენგონს ჯერ ისევ ძლიერად უცემდა გული, როცა ის საავარიო კიბით სოფის გვერდით პირველი სართულისაკენ გარბოდა. არც ერთს აღარ უთქვამს არაფერი მას შემდეგ, რაც აკანკალებული ლუვრის მცველი იატაკზე დაწოლილი დატოვეს სალდეეტაში. მცველის იარაღი ახლა ლენგდონს ჩაებღუჯა ხელში და ერთი სული ჰქონდა,თავიდან მოეშორებინა. იარაღი მისთვის მძიმე, სახიფათო და უცხო იყო. ლენგდონი ორორ საფეხურს ახტებოდა და ფიქრობდა, ნეტა თუ ესმის სოფის, კინაღამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა ძვირფასი სურათი გააფუჭაო. მისი არჩევანი ხელოვნებაში უცნაურად შეეფერებოდა ამ ღამის თავგადასავალს. და ვინჩის შედევრს, რომელსაც სოფიმ დასტაცა ხელი, მონა ლიზასი არ იყოს, ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი ხელოვნების ისტორიკოსთა შორის შიგ დაფარული უხვი სიმბოლიკის გამო.

შენ ძვირფასი მძევალი აირჩიე, უთხრა სოფის. ისინი ისევ გარბოდნენ.

მონა მღვიმეში, უპასუხა სოფიმ. – მე სულაც არ ამირჩევია, ბაბუამ აირჩია. მან პატარა რაღაც დამიტოვა სურათის უკან.

ლენგდონმა მას გაოცებული მზერა ესროლა.

რაო!? კი მაგრამ, საიდან იცოდა, რომელი სურათი იყო? რატომ მადონა მღვიმეში?

შავმა ღონემ იმედი იხილა, სახე გამარჯვებული ღიმილით გაუნათდა, პირველი ორი ანაგრამა ვერ გამოვიცანი, რობერტ. მესამე მე უნდა ამოვხსნა.

თავი 31

ისინი მკვდრები არიან! – ენის ბორძიკით უთხრა ვიღაცას დედა სანდრინმა ტელეფონში. ის თავისი სენსიულპისის სამყოფელიდან რეკავდა და შეტყობინებას ტოვებდა ავტომოპასუხეზე. – გთხოვთ მიპასუხოთ! ისინი ყველანი მკვდრები არიან!

პირველ სამ ნომერზე დარეკვამ მას შემაძრწუნებელი შედეგი მისცა – ისტერიკაში მყოფი ქვრივი, დეტექტივი, რომელიც გვიან ღამით დანაშაულის ადგილზე მუშაობდა, და სიტყვაძუნწი მღვდელი, რომელიც დაობლებულ ოჯახს ამშვიდებდა. სამივე საკონტაქტო პირი მკვდარი იყო. და ახლა, როდესაც იგი სიაში მეოთხე და უკანასკნელ ნომერს დაუკავშირდა – ამ ნომერზე მას მხოლოდ მაშინ უნდა დაერეკა, თუ პირველ სამს ვერ დაუკავშირდებოდა – მას ავტომოპასუხემ გასცა პასუხი. გამავალი შეტყობინება არავითარ სახელს არ ამბობდა, მხოლოდ სთხოვდა იმას, ვინც რეკავდა, თავისი შეტყობინება დაეტოვებინა.

იატაკის ფილა გატეხილია! – შეევედრა იგი, როდესაც შეტყობინება დატოვა, დანარჩენი სამი მკვდარია!

დედა სანდრინმა არ იცოდა, ვინ იყო ის ოთხი ადამიანი, ვისაც იცავდა, მაგრამ ეს ნომრები საწოლის ქვეშ ჰქონდა დამალული და მხოლოდ ერთი პირობით უნდა გამოეყენებინა:

თუ იატაკის ფილა ოდესმე გატყდებოდა, უთხრა მას უსახო მაცნემ, ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი ეშელონი გაირღვა. ერთერთი ჩვენგანი სასიკვდილოდ დააშინეს და აიძულეს, რომ ეთქვა სასოწარკვეთილი ტყუილი. დარეკეთ ამ ნომრებზე. გააფრთხილეთ დანარჩენები. ამ საქმეში არ გვიღალატოთ.

ეს ჩუმი განგაშის ნიშანი იყო. თავისი სიმარტივით საიმედო გეგმამ პირველივე მოსმენაზე განაცვიფრა დედა სანდრინი. თუ რომელიმე ძმას საფრთხე დაემუქრებოდა, მას

უნდა ტყუილი ეთქვა, რომელიც სხვების გამაფრთხილებელ მექანიზმს აამოქმედებდა. თუმცა ამ ღამეს, როგორც ჩანს, ერთზე მეტი ჩავარდა საფრთხეში.

გთხოვთ მიპასუხოთ, ჩურჩულებდა შეშინებული და სანდრინი, სადა ხართ?

დაკიდე ყურმილი, გაისმა დაბალი ხმა შემოსასვლელიდან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეძრწუნებული ქალი შემობრუნდა და დაინახა უზარმაზარი ბერი. მას ხელში რკინის მძიმე შანდალი ეჭირა. დედა სანდრინმა კანკალით დადო ტელეფონის ყურმილი.
ისინი მკვდრები არიან, თქვა ბერმა, ოთხივე. მათ გამაცუცურაკეს. მითხარი, სად არის ქვაკუთხედი.
არ ვიცი! – გულახდილად უპასუხა დედა სანდრინმა, საიდუმლოს სხვები იცავენ. სხვები, ვინც უკვე მოკვდა!
კაცმა წინ წაიწია. თეთრ მუშტებში რკინის შანდალი ჰქონდა ჩაბღუჯული. – თქვენ მონაზონი ხართ და მაინც მათ ემსახურებით?
იესო ერთ ჭეშმარიტებას გვასწავლის, კადნიერად წარმოთქვა დედა სანდრინმა, ოპუს დეიში მე ვერ ვხედავ ამ ჭეშმარიტებას.
უეცარმა სიბრაზემ იფეთქა ბერის თვალებში. მან ნაბიჯი წინ გადადგა და შანდალი გოლფის ჯოხივით მოიქნია. როდესაც დედა სანდრინი იატაკზე დაეცა, მისი უკანასკნელი გრძნობა მოახლოებული ბოროტების ყოვლისმომცველი შეგრძნება იყო.
ოთხივე მკვდარია.
ძვირფასი სიმართლე სამუდამოდ დაიკარგა.
თავი 32
დენონის ფრთის დასავლეთ ნაწილში ამუშავებული სიგნალიზაციის ხმამ ტიუილრის ბაღების მტრედები აქეთიქით გაფანტა. იმავე წუთს ლენგდონი და სოფი ლუვრიდან პარიზის ღამეში გამოცვივდნენ და სირბილით გადაკვეთეს მოედანი სოფის ავტომობილისკენ. ლენგდონს უკვე ესმოდა შორიდან პოლიციის მანქანების კივილი.
აი, იქ არის, დაიძახა სოფიმ და მიუთითა მოედანზე გაჩერებულ აპრეხილცხვირიან წითელ ორადგილიან მანქანაზე.
რა თქმა უნდა, ხუმრობს! ეს ყველაზე პატარა მანქანა იყო, რომელიც ლენგდონს ოდესმე ენახა.
„სმარტი“, თქვა სოფიმ, ერთი ლიტრით ას კილომეტრს გადის. ლენგდონი ისის იყო მგზავრის სავარძელზე დაჯდა, რომ სოფიმ სრული სიჩქარით მოსწყვიტა ადგილს მანქანა, ბორდიურს გადაახტა და ხრეშიან გამყოფ ნაწილზე გადავიდა. ლენგდონი მართვის დაფას
ჩააფრინდა, როცა მანქანამ ელვის სისწრაფით გადაკვეთა ტროტუარი და გავიდა სავალ ნაწილზე, რომელიც მცირე წრეს ქმნიდა კარუსელის მოედნის წინ.
სოფი ერთი წამით დაფიქრდა, მოკლედ ხომ არ მოეჭრა გზა წრიული მოედნის გავლით, შუაში გადაეჭრა ცოცხალი ღობის გარე საზღვარი და ბალახის ფართო რკალი ცენტრში გადაეკვეთა.
არა! – დაიყვირა ლენგდონმა. კარუსელის მოედნის ირგვლივ შემოვლებული ცოცხალი ღობე მალავდა ცენტრში საშიშ ნაპრალს – La Pyramide Iversee – გადმობრუნებული პირამიდის შუშის სახურავს, რომელიც მან ადრე მუზეუმის ფანჯრიდან
დაინახა. ნაპრალი იმდენად ფართო იყო, რომ ციცქნა მანქანა ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდა. საბედნიეროდ, სოფიმ უფრო ტრადიციული მარშრუტი აირჩია, ღონივრად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაატრიალა საჭე მარჯვნივ, სრული წრე შემოახაზა, გავარდა ჩრდილოეთის გზაზე და მომატებული სიჩქარით გაექანა რიუ დე რივოლისკენ.
მათ უკან პოლიციის საყვირების გნიასი სულ უფრო ძლიერდებოდა. მათ ფარებს ლენგდონი უკვე გვერდით სარკეში ხედავდა. „სმარტის“ ძრავამ საცოდავად დაიყმუვლ პროტესტის ნიშნად, როდესაც სოფიმ მისი აჩქარება მოინდომა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაშორებოდნენ ლუვრს. ორმოცდაათი იარდით წინ, რივოლისთან, შუქნიშანზე წითელი აინთო. სოფიმ ჩუმად შეუკურთხა და შეუნელებლად განაგრძო გზა. ლენგდონმა იგრძნო როგორ დაეძაბა კუნთები.
სოფი?
სოფიმ გზაჯვარედინთან მხოლოდ ოდნავ შეანელა, სწრაფად აანთო ფარები და ქურდულად მოავლო თვალი იქაურობას, მერე კი აქსელერატორის პედალს დააწვა და მკვეთრად შეაბრუნა მანქანა მარცხნივ ცარიელი გზაჯვარედინისაკენ რივოლიზე. ელვის სისწრაფით გაიარეს მეოთხედი მილი დასავლეთისკენ, მერე სოფიმ „სმარტი“ მარჯვენა რიგში ჩააყენა და სულ მალე ისინი ელისეს მინდვრების ფართო პროსპექტზე მიექანებოდნენ.
ლენგდონი მობრუნდა ვიწრო სკამზე, კისერი წაიგრძელა და ლუვრისკენ გაიხედა. ისე ეტყობოდა, რომ პოლიცია აღარ მოსდევდათ. ლურჯი სინათლეების ზღვა თავს იყრიდა მუზეუმთან.
როგორც იქნა, ლენგდონს გულისცემა დაუწყნარდა.
საინტერესო იყო.
სოფის თითქოს არ ესმოდა. წინ იყურებოდა ელისეს მინდვრების გასწვრივ, სადაც ორ მილზე გადაჭიმულიყო მოდური მაღაზიების შესასვლელები. ამ ადგილს ხშირად პარიზის
მეხუთე ავენიუსაც უწოდებენ. საელჩომდე სულ რაღაც ერთი მილი რჩებოდა და ლენგდონი
სკამზე მოკალათდა.
შავმა ღონემ იმედი იხილა.
სოფის სწრაფი აზროვნება შთამბეჭდავი იყო.
იხილე მადონა მღვიმეშია.
სოფიმ თქვა, რომ ბაბუამ რაღაც დაუტოვა სურათის უკან. საბოლოო შეტყობინება?
ლენგდონი აღაფრთოვანა სონიერის ბრწყინვალე სამალავმა; მადონა მღვიმეში კიდევ ერთი მორგებული რგოლი იყო ამ საღამოს ურთიერთდაკავშირებული სიმბოლოების ჯაჭვში. აშკარა იყო, რომ სონიერი ყოველ ნაბიჯზე ამტკიცებდა თავის სიყვარულს ლეონარდო და ვინჩის შემოქმედების უცნობი და ხრიკებით მდიდარი მხარისადმი.
თავდაპირველი დავალება, დაეხატა მადონა მღვიმეში, და ვინჩის მისცა ორგანიზაციამ, რომელიც „უმანკო ჩასახვის საძმოს“ სახელით იყო ცნობილი. მათ სჭირდებოდათ წმინდა ფრანცისკოს ეკლესიაში, მილანში, საკურთხევლის ტრიპტიხის დასამშვენებელი ნახატი.
მონაზვნებმა ლეონარდოს მისცეს განსაზღვრული ზომები და სასურველი თემა – ქალწული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარიამი, ყრმა იოანე ნათლისმცემელი, ანგელოზი და ყრმა იესო თავს აფარებენ გამოქვაბულს. მართალია, და ვინჩიმ ის გააკეთა, რაც სთხოვეს, მაგრამ, როცა ნამუშევარი შემკვეთებს ჩააბარა, ისინი შეძრწუნდნენ. სურათი სავსე იყო ფეთქებადსაშიში და შემაშფოთებელი დეტალებით.

სურათზე გამოსახული იყო ქალწული მარიამი ცისფერ სამოსში. იგი იჯდა და მკლავი მოეხვია ჩვილისთვის. სავარაუდოდ, ეს იყო ყრმა იესო. მარიამის წინ იჯდა ანგელოზი, ისიც ყრმასთან ერთად, როგორც ეტყობა, ეს იოანე ნათლისმცემელი უნდა ყოფილიყო. უცნაური ის იყო, რომ კანონიკური ტრადიციის მიხედვით იესო აკურთხებს იოანეს, აქ კი, პირიქით, ყრმა იოანე ლოცავდა იესოს... და იესო ემორჩილებოდა მის ავტორიტეტს!

მაგრამ უფრო შემაშფოთებელი შემდეგი დეტალი იყო: მარიამს ერთი ხელი აწეული ჰქონდა ყრმა იოანეს თავს ზევით და ეს მოძრაობა აშკარა მუქარას გამოხატავდა – მისი არწივის კლანჭებივით თითები თითქოს ვიღავის უხილავ თავს ჩაჰფრენოდა. და ბოლოს, ყველაზე აშკარა და შიშისმომგვრელი ის იყო, რომ სწორედ მარიამის დაგრეხილი თითების ქვევით, ანგელოზი ურიელი თითქოს ვიღაცას მარიამის ბრჭყალებისმაგვარ თითებში მომწყვდეულ უხილავ თავს აჭრიდა.

ლენგდონის სტუდენტები კმაყოფილები რჩებოდნენ, როდესაც იგებდნენ, რომ და ვინჩიმ ბოლოს საძმო დაამშვიდა და ამ სურათის მეორე „შელამაზებული“ ვარიანტი დახატა. აქ ყველა მოქმედი პირი უფრო ორთოდოქსული წესით იყო განლაგებული. მეორე

ვარიანტი ახლა ლონდონის ეროვნულ გალერეაში ეკიდა და ერქვა ქალწული მღვიმეში, თუმცა თვითონ ლენგდონს ლუვრის უფრო საინტერესო და დამაფიქრებელი ვარიანტი ერჩია.

სოფი მანქანას მიაქროლებდა. ისინი ელისეს მინდვრებს ზევით მიუყვებოდნენ, როდესაც ლენგდონმა თქვა: ნახატი ვიპოვეთ, მაგრამ რა იყო მის უკან?

სოფის გზისთვის თვალი არ მოუშორებია.

გაჩვენებ, როგორც კი საელჩოში უსაფრთხოდ ვიქნებით.

მაჩვენებ? – გაიკვირვა ლენგდონმა, რამე საგანი დაგიტოვა?

სოფიმ სწრაფად დაუქნია თავი.

ზედ შროშანი და ინიციალები P.S.ა ამოტვიფრული.

ლენგდონი ყურებს არ უჯერებდა.

ჩვენ მოვახერხებთ, გაიფიქრა სოფიმ, როდესაც „სმარტი“ მარჯვნივ მოატრიალა, სწრაფად მოჭრა გზა, მდიდრულ სასტუმრო „კრიიონს“ ჩაუქროლა და პარიზის ტყის ზოლით

გამოყოფილ დიპლომატიურ უბანში შევიდა. ახლა საელჩომდე ერთ მილზე ნაკლებიღა იყო დარჩენილი. სოფიმ ბოლოს და ბოლოს იგრძნო, რომ თავისუფლად შეეძლო სუნთქვა. მაშინაც კი, მანქანას რომ მართავდა, სოფის გონება ჯიბეში ჩადებულ გასაღებს იყო მიჯაჭვული. ახსენდებოდა ის დრო, როდესაც პირველად ნახა ეს ოქროს თავი, რომელსაც თანაბარმხრებიანი ჯვრის ფორმა ჰქონდა, სამკუთხა ტარი, კბილანები, ამოტვიფრული ყვავილოვანი ბეჭედი და ასოები P.S.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ სოფის გასაღები წლების მანძილზე ცხადად ჰქონდა ჩაბეჭდილი მეხსიერებაში. სადაზვერვო საზოგადოებაში მუშაობამ ბევრი რამ ასწავლა უსაფრთხოების შესახებ და ახლა გასაღების უჩვეულო ფორმები იმდენად მისტიკურად აღარ ეჩვენებოდა. ლაზერული
ცვლადი მატრიცა. კოპირება შეუძლებელია. ეს კბილანებს კი არ ეხება, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავს რევერსული მექანიზმი, არამედ ამ გასაღების ლაზერით ამოჭრილი ნიშნების თავისებურ განლაგებას, რასაც საკეტის ელექტრონული თვალი ამოწმებს. თუ თვალი განსაზღვრავს, რომ ექვსკუთხა ნიშნები სათანადოდაა განლაგებული, საკეტი გაიხსნება.
სოფის ვერ წარმოედგინა, რას გახსნიდა ამგვარი გასაღები, მაგრამ გრძნობდა, რომ რობერტი შეძლებდა მიგნებას. ბოლოს და ბოლოს მან უნახავად აღწერა გასაღების ტვიფრიანი ბეჭედი. ჯვრისებრი თავი აღნიშნავდა, რომ გასაღები ეკუთვნოდა რაღაც ქრისტიანულ ორგანიზაციას, და ამავე დროს, სოფიმ არ იცოდა არც ერთი ეკლესია, რომელიც იყენებდა ლაზერით დამუშავებულ ცვლადმატრიციან გასაღებს.
გარდა ამისა, ბაბუა ქრისტიანი არ იყო...
სოფიმ ამის მტკიცება ათი წლის წინ თავისი თვალით ნახა. ბედის ირონია იყო ალბათ, რომ ეს იყო სხვა გასაღები – გაცილებით უფრო ჩვეულებრივი – რომელმაც სოფისთვის ბაბუას ნამდვილი სახე გამოავლინა.
სოფი შუადღისას ჩაფრინდა შარლ დე გოლის აეროპორტში და შინ წასასვლელად ტაქსი გააჩერა. Grandpere გაოცდება, როდესაც დამინახავს, გაიფიქრა მან. სოფი ბრიტანეთში ასპირანტურაში სწავლობდა და ახლა საგაზაფხულო არდადეგებზე რამდენიმე
დღით ადრე დაითხოვეს. სოფის ერთი სული ჰქონდა, სანამ ბაბუას ნახავდა, მისთვის ხომ ყველაფერი უნდა მოეყოლა ინგლისში ნასწავლ გაშიფვრის მეთოდებზე.
ბაბუა პარიზის სახლში არ დახვდა. გული დასწყდა. იცოდა, ბაბუა არ ელოდა და ალბათ ლუვრში მუშაობდა. მაგრამ დღეს ხომ შაბათია, შუადღე, გაახსენდა სოფის. ბაბუა იშვიათად მუშაობდა უქმე დღეებში. ასეთ დღეებში იგი ჩვეულებრივ... სოფიმ კმაყოფილებისგან გაიღიმა, სახლიდან გამოვიდა და გარაჟისკენ გაიქცა. რა თქმა უნდა, მისი მანქანა იქ არ იდგა. უქმე დღე იყო. ჟაკ სონიერს სძულდა ქალაქში მანქანით მგზავრობა და მანქანას მხოლოდ ერთ ადგილას მისასვლელად იყენებდა. ეს იყო მისი ვილა ნორმანდიაში, პარიზის ჩრდილოეთით. თვეების მანძილზე ხალხმრავალი ლონდონის შემდეგ სოფის ბუნების სურნელი მოენატრა და ძალიან მოუნდა არდადეგები მაშინვე დაეწყო. ჯერ დაღამებულიც არ იყო და ამიტომ გადაწყვიტა სასწრაფოდ გამგზავრებულიყო და ბაბუა გაეკვირვებინა. მანქანა მეგობარს სთხოვა და ჩრდილოეთით,
მთვარით განათებულ გორაკებს შორის დაკლაკნილი გზით კრეულის მხარეს გაემგზავრა. თერთმეტი საათი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ჩავიდა. ბაბუას სახლისკენ მიმავალ გრძელ კერძო სამანქანო გზაზე ჩაუხვია. ეს გზა ერთ მილზე ცოტათი უფრო გრძელი იყო და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ ნახევარი რომ გაიარა, შეძლო დაენახა სახლი ხეებს შორის – ერთგვარი მამონტი, ძველი ქვის სასახლე, მთის ფერდობთან ტყეში შეყუჟული.
სოფი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ბაბუა ჩაძინებული დახვდებოდა და გაუხარდა, როცა დაინახა, რომ სახლი მოციმციმე ნათურებით იყო განათებული. მაგრამ მალე მისი სიხარული გაოცებით შეიცვალა. სახლს რომ მიუახლოვდა, მის წინ გაჩერებული
უამრავი მანქანა დაინახა „მერსედესები“, „ბმვ“, რამდენიმე „აუდი“ და ერთიც „როლს როისი“.
სოფი ცოტა ხანს გაოცებით უყურებდა ამ სურათს და შემდეგ სიცილი წასკდა. ჩემი Grandpere ცნობილი განდეგილი“ ჟაკ სონიერი, როგორც ჩანს, ნაკლებად იყო განდეგილი ვიდრე თავს აჩვენებდა. აშკარა იყო, იგი ახლა მასპინძლობდა წვეულებას, სანამ სოფი შორსიყო სკოლაში და, იქ მდგომი მანქანების მოდელებით თუ ვიმსჯელებთ, პარიზის ზოგიერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი ესწრებოდა ამ წვეულებას.
სოფის ძალიან უნდოდა მისი გაოცება. ამიტომ სწრაფად მივიდა შესასვლელ კართან. კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა. დააკაკუნა. პასუხი არავინ გასცა. გაკვირვებულმა შენობას შემოუარა და უკანა კარი მოსინჯა. ისიც ჩაკეტილი იყო. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ცოტა ხანს იდგა დაბნეული და უსმენდა. მინდორში მოშრიალე გრილი ნორმანდიული ჰაერის ყრუ კვნესამ მიაღწია მის ყურამდე.
არავითარი მუსიკა.
არავითარი ხმები.
არაფერი.
ირგვლივ ტყის სიჩუმე იდგა. სოფი ახლა გვერდიდან მიადგა სახლს, აძვრა შეშის გროვაზე და სასტუმრო ოთახის ფანჯარას სახე მიაჭყლიტა. შიგნით ვერაფერი დაინახა.
აქ არავინაა!
მთელი პირველი სართული ცარიელი იყო.
სად არის ეს ხალხი?
სოფის გული ჩქარა უცემდა. გაიქცა შეშის შესანახი ფარდულისკენ და აიღო სათადარიგო გასაღები, რომელსაც ბაბუა ნაფოტებიანი ყუთის ქვეშ ინახავდა. დაბრუნდა შესასვლელ კართან და გააღო. როგორც კი ფეხი შედგა უკაცრიელ ვესტიბიულში, უსაფრთხოების სისტემის საკონტროლო დაფაზე წითელი სინათლე აციმციმდა – გაფრთხილება, რომ, თუ შემოსული 10 წუთში არ აკრეფდა შესაბამის კოდს, უსაფრთხოების სიგნალიზაცია ჩაირთვებოდა.
სიგნალიზაცია აქვს ჩართული წვეულების დროს?
სოფიმ სწრაფად აკრიფა კოდი და სისტემა გაჩერდა.
შენობაში შესული სოფი დარწმუნდა, რომ მთელს სახლში კაცის ჭაჭანება არ იყო. ასევე იყო მეორე სართულზეც. როცა ისევ სასტუმრო ოთახში ჩამოვიდა, ცოტა ხანს სიჩუმეში იდგა და ფიქრობდა, ნეტავ რა ხდებაო.
სწორედ ამ დროს გაიგონა.
მოგუდული ხმები. ისინი თითქოს იმ ადგილის ქვეშიდან ამოდიოდა. სადაც სოფი იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფი სულ დაიბნა. მიწაზე გაწვა, ყური იატაკს დაადო და მიაყურადა. დიახ, ხმა სწორედ იქიდან ამოდიოდა. თითქოს მღეროდენ ან, უფრო ზუსტად... გალობდნენ? მას შეეშინდა. ხმაზე უფრო იდუმალი ის იყო, რომ შენობას სარდაფიც კი არ ჰქონდა.
ყოველ შემთხვევაში, მე არც ერთი არ მინახავს.
როდესაც შემობრუნდა და მისაღებ ოთახს გადახედა, სოფის მზერა მოხვდა იმ ერთადერთ საგანს მთელ სახლში, რომელსაც ადგილი ჰქონდა შეცვლილი – ბაბუას უსაყვარლეს ანტიკვარულ ნივთს. გაჭიმულ ობიუსონურ გობელენს. იგი, ჩვეულებრივ, აღმოსავლეთ კედელზე ეკიდა, ბუხართან, მაგრამ იმ ღამეს გვერდზე იყო გაწეული და მის უკან კედელი ჩანდა.
მოშიშვლებულ ხის კედელს მიახლოებულმა სოფიმ იგრძნო, რომ გალობის ხმა უფრო გაძლიერდა. ყოყმანის შემდეგ კედელს ყური მიადო. ხმები ახლა უფრო გამოკვეთილად ისმოდა. ნამდვილად გალობდნენ... წარმოთქვამდნენ სიტყვებს, რომლებსაც სოფი ვერ არჩევდა.
კედლის უკან ცარიელი სივრცეა!
პანელების კიდის მოსინჯვის შემდეგ, სოფიმ ჩაღრმავება აღმოაჩინა. იგი საიდუმლოდ იყო გაკეთებული. მოსრიალე კარი. სოფის გული ძლიერ უცემდა. შეყო თითი ნახვრეტში და
მიაწვა. მძიმე კედელი უხმაუროდ გაიწია გვერდზე. კედლის მიღმა სიბნელიდან ხმები მაღლა ექოსავით ამოვიდა.
სოფი კარში შეძვრა და უხეშად გამოთლილ ქვის კიბეებზე აღმოჩნდა, რომელიც სპირალურად ეშვებოდა ქვევით. სოფი ამ სახლში ბავშობიდან ცხოვრობდა, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენდა ამ კიბის არსებობას.
კიბეზე რომ ჩადიოდა, შეამჩნია, თანდათანობით როგორ უფრო და უფრო გრილი ხდებოდა ჰაერი. ხმები კი უფრო გარკვევით ისმოდა. სოფიმ ახლა უკვე კაცებისა და ქალების ხმებიც გაარჩია. ვერაფერს ხედავდა, რადგან კიბის სპირალი უშლიდა ხელს, მაგრამ უკვე ბოლო საფეხური იკვეთებოდა. მის იქით მან სარდაფის იატაკის პატარა ნაგლეჯი დაინახა – ქვა, განათებული ცეცხლის მოციმციმე ნარინჯისფერი ალით.
სუნთქვაშეკრული სოფი რამდენიმე საფეხურით ქვევით ჩავიდა და მოიხარა, რომ დაენახა. რამდენიმე წამი დასჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რასაც ხედავდა.
ოთხი გამოქვაბული იყო – კლდის გრანიტში უხეში გამოჭრილი დარბაზი. სინათლე მხოლოდ კედლებზე დამაგრებული შუქურებიდან მოდიოდა. ოთახის ცენტრში ცეცხლის ალის ბრიალში ასე ოცდაათი ადამიანი იდგა წრეში.
მესიზმრება. გაიფიქრა სოფიმ. სიზმარია. სხვა რა უნდა იყოს?
ოთახში ყველას ნიღაბი ეკეთა. ქალებს თხელი თეთრი კაბები და ოქროსფერი ფეხსაცმელები ეცვათ. ნიღბები თეთრი ჰქონდათ, ხელში კი ოქროსფერი სფეროები ეჭირათ. კაცებს გრძელი შავი ტუნიკები ეცვათ და ნიღბებიც შავი ეკეთათ. ყველანი უზარმაზარ ჭადრაკის ფიგურებს ჰგავდნენ. წრეში მდგარნი წინ და უკან ირწეოდნენ და პატივისცემით უგალობდნენ იმას, რაც მათ წინ იატაკზე იდო... ამ რაღაცას სოფი ვერ ხედავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გალობა ისევ თანაბარი გახდა. შემდეგ აჩქარდა. ახლა უკვე ქუხდა. უფრო სწრაფად. მონაწილეებმა წინ გადადგეს ნაბიჯი და მუხლი მოიყარეს. ამ მომენტში სოფიმ ბოლოს და ბოლოს დაინახა ის, რასაც ყველანი ესწრებოდნენ. სოფიმ, შეძრწუნებულმა, მაშინვე უკან დაიხია და მაინც იგრძნო, რომ ნანახი სამუდამოდ ჩაებეჭდა გონებაში. გულისრევის გრძნობით და თავბრუსხვევით სოფი გამობრუნდა, ქვის კედლებს ეჭიდებოდა და ისე ადიოდა კიბეზე. კარი სწრაფად დახურა, გამოიპარა ცარიელისახლიდან და პარიზში დაბრუდა ტირილისაგან დაოსებული.
იმ ღამეს დაიმსხვრა მისი ცხოვრება იმედგაცრუებითა და ღალატით. სოფიმ ბარგი ჩაალაგა და სახლიდან წავიდა. სასადილო ოთახის მაგიდაზე ბარათი დატოვა.
მე იქ ვიყავი. არ სცადო ჩემი პოვნა.
წერილის გვერდით მან ვილის შეშის ფარდულიდან აღებული სათადარიგო გასაღები დადო.
 სოფი! – ლენგდონის ხმამ ფიქრი შეაწყვეტინა. – გაჩერდი! გაჩერდი!
მოგონებებიდან გამოფხიზლებული სოფი მუხრუჭს დააწვა და მანქანა გააჩერა.
 რა არის? რა მოხდა?
ლენგდონმა მიუთითა მათ წინ გაშლილ გრძელ ქუჩაზე.
როდესაც სოფიმ ეს დაინახა, სისხლი გაეყინა. ასი იარდის იქით, გზაჯვარედინზე გვერდულად იყო დაყენებული ორი პოლიციის მანქანა. ნათელი იყო. მათ გაბრიელის პროსპექტი ჩაკეტეს!
ლენგდონმა მწუხარედ ამოიოხრა. – როგორც ხვდები, ამ საღამოს საელჩომდე ვერ მივაღწევთ!
პოლიციელები, რომლებიც თავიანთ მანქანებთან იდგნენ, ახლა მათკენ იყურებოდნენ, როგორც ჩანს, დაინტერესდნენ მანქანით, ასე უცებ რომ გაჩერდა.
კარგი, სოფი, ახლა ძალიან ნელა მოტრიალდი.
სოფიმ „სმარტი“ უკან დახია და რთული სამმაგი ბრუნით მანქანას მიმართულება შეუცვალა. იმ ადგილს რომ გასცილდნენ, უკან მომავალი მანქანის საბურავების ჭრიალი გაიგონა. სირენები აკივლდა.
სოფი წყევლაკრულვით დააწვა აქსელერატორს.
თავი 33
სოფის „სმარტმა“ ჩაუქროლა დიპლომატიურ კორპუსს, საელჩოებსა და საკონსულოებს, ბოლოს, გვერდითი ქუჩით გამოვიდა და მარჯვნივ მოსახვევით ისევ უკან დაბრუნდა ელისეს მინდვრების მთავარ პროსპექტზე.
უკიდურესად დაძაბული ლენგდონი მგზავრის სავარძელზე იჯდა და, უკან მოტრიალებული, ყურადღებით აკვირდებოდა გზას. ახლა იმას ნატრობდა, ნეტა სულ არ გავქცეულიყავიო. შენ თვითონ არც გაქცეულხარ, შეახსენა საკუთარ თავს. სოფიმ მის მაგიერ მიიღო ეს გადაწყვეტილება და თვითონ გადააგდო სათვალთვალო აპარატი საპირფარეშოს ფანჯრიდან. ახლა, როცა ისინი საელჩოს დაშორდნენ და ელისეს მინდვრებზე მიმავალ კანტიკუნტ მანქანებს შორის მიძვრებოდნენ, ლენგდონმა იგრძნო, რომ მას სულ უფრო ნაკლები არჩევანი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სოფიმ თითქოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოიცილა პოლიცია, ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისთვის, ლენგდონს მაინც ეჭვი ეპარებოდა, რომ მათ დიდხანს გაუმართლებდათ.
საჭესთან მჯდარი სოფი სვიტრის ჯიბეში იქექებოდა. მან პატარა ლითონის საგანი ამოიღო და ლენგდონს გაუწოდა.
 რობერტ, ჯობს ამას შეხედო. ესაა, რაც ბაბუამ დამიტოვა სურათის უკან.
ლენგდონს მოუთმენლობისგან აკანკალებდა. საგანი აიღო და ყურადღებით დაათვალიერა. ეს იყო ჯვრის ფორმის მძიმე საგანი. ერთი შეხედვით, იმ მემორიალურ ჭდეს ჰგავდა, რომელსაც სასაფლაოზე მიწაში არჭობენ ხოლმე მომავალი საფლავისთვის ადგილის მოსანიშნად. მაგრამ შემდეგ შეამჩნია, რომ ჯვრიდან გამომავალ სახელურს პრიზმისა და სამკუთხედის ფორმა ჰქონდა. სახელური დაწინწკლული იყო ასობით პაწაწინა ექვსკუთხედით, ძალიან ოსტატურად გაკეთებულით და თითქოს უსისტემოდ გაბნეულით.
 ეს ლაზერით მოჭრილი გასაღებია, უთხრა სოფიმ, ამ ექვსკუთხედებს ელექტრონული თვალი კითხულობს.
გასაღები? ლენგდონს არასოდეს არ ენახა ამის მსგავსი არაფერი.
 მეორე მხარეს შეხედე, უთხრა სოფიმ, თან გზა შეიცვალა და გზაჯვარედინი გაიარა.
ლენგდონმა გასაღები გადაატრიალა და იგრძნო, ყბა როგორ ჩამოუვარდა. ჯვრის ცენტრში სათუთად იყო ამოტვიფრული ტრადიციული შროშანი ინიციალებით P.S.!
 სოფი, თქვა მან, რომ გიყვებოდი, ეს ის ბეჭედია. სიონის მონასტრის ოფიციალური ემბლემა!
სოფიმ თავი დაუქნია. – როგორც გითხარით, ეს გასაღები დიდი ხნის წინა მაქვს ნანახი. ბაბუამ მთხოვა არასოდეს არ მეხსენებინა.
ლენგდონი ისევ ამოტვიფრულ გასაღებს დასჩერებოდა. მისი მაღალტექნოლოგიური დამუშავება და უძველესი სიმბოლიკა აშკარად წარმოაჩენდა ანტიკური და თანამედროვე სამყაროების იდუმალ შერწყმას.
 მან მითხრა, გასაღები იმ ყუთს აღებს, სადაც ბევრი საიდუმლოა შენახულიო.
ლენგდონს გააჟრჟოლა, როცა წარმოიდგინა, როგორი საიდუმლო უნდა ჰქონოდა შენახული ისეთ ადამიანს, როგორიც ჟაკ სონიერი იყო. არ ესმოდა, რაში სჭირდებოდა უძველეს საძმოს ეს მომავლის გასაღები. საძმოს არსებობის ერთადერთი მიზანი საიდუმლოს დაცვა იყო. ეს იყო წარმოუდგენელი ძალაუფლების მიმნიჭებელი საიდუმლო.
შეიძლება ამ გასაღებს რაიმე საერთო ჰქონდეს ამასთან? ამ აზრმა სწრაფად მოიცვა ლენგდონის აზროვნება.
 იცი, რას აღებს ეს გასაღები?
სოფის იმედგაცრუება დაეტყო.
 იმედი მქონდა, რომ შენ გეცოდინებოდა.
ლენგდონი ჩუმად იყო, ხელში ჯვრის ფორმის გასაღებს ატრიალებდა და ყურადღებით ათვალიერებდა.
 ქრისტიანულს ჰგავს, არ ეშვებოდა სოფი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონი ამაში დარწმუნებული არ იყო. გასაღების თავი არატრადიციული ქრისტიანული ჯვრის ფორმისა იყო, იგი უფრო კვადრატულ ჯვარს ჰგავდა – ოთხი თანაბარი სიგრძის მხრით, რომელიც ქრისტიანობას 1500 წლით მაინც უსწრებდა წინ. ამგვარი ჯვარი არ იყო დაკავშირებული ჯვარცმასთან. რაც თავის მხრივ, ასოცირდება გრძელფეხა ჯვართან, რომაელები იყენებდნენ როგორც საწამებელ იარაღს. ლენგდონს ყოველთვის უკვირდა, თუ რა ცოტა ქრისტიანი აცნობიერებდა „ჯვარცმის“ ხილვისას, რომ

მათი სიმბოლოს ძალადობით სავსე ისტორია აირეკლა მისსავე სახელში: „ჯვარი“ და „ჯვარცმა“ წარმოიშვა ლათინური ზმნისგან cruciare – წამება.

სოფი, უთხრა მან, მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამგვარი თანაბარმხრებიანი ჯვარი მშვიდობიან ჯვრად ითვლება. კვადრატული ფორმა ჯვარცმისათვის არ გამოდგება და მისი გაწონასწორებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ნაწილები ქალისა და მამაკაცის ბუნებრივ ერთიანობას განასახიერებს. ეს ყველაფერი მას პრიორატის ფილოსოფიას შეუსაბამებს.

სოფიმ დაღლილი თვალებით შეხედა ლენგდონს.

წარმოდგენა არა გაქვს, არა? ლენგდონი შეიჭმუხნა.

არავითარი.

კარგი, გზიდან უნდა გადავიდეთ, სოფიმ უკან გაიხედა სარკეში. – უსაფრთხო ადგილი გვჭირდება, რომ გამოვიცნოთ, რას აღებს ეს გასაღები.

ლენგდონს დანანებით მოაგონდა თავისი კეთილმოწყობილი ოთახი „რიცში“. ნათელი იყო, რომ ეს შეუძლებელია.

ჩემს მასპინძლებთან ხომ არ გვეცადა პარიზის ამერიკულ უნივერსიტეტში?

ძალიან თვალში საცემია. ფაში მათ შეამოწმებს.

შენ ვინმეს უნდა იცნობდე. ხომ აქაური ხარ.

ფაში შეამოწმებს ჩემს ტელეფონს და ელექტრონული ფოსტის ჩანაწერებს, დაელაპარაკება ჩემს კოლეგებს. ჩემი ნაცნობები კომპრომეტირებულები არიან. არც სასტუმროს ვარიანტი ვარგა, რადგან იქ ყველას პირადობის დამადასტურებელ საბუთს სთხოვენ.

ლენგდონი ისევ ფიქრობდა, უკეთესი ხომარ იქნებოდა, ლუვრში ფაშისთვის ჩემი დაპატიმრების საშუალება მიმეცაო.

მოდი, საელჩოს დავურეკოთ. ავუხსნი სიტუაციას და ვაიძულებ ვინმე გამოგზავნონ ჩვენს შესახვედრად.

შესახვედრად? – სოფი მიტრიალდა და ლენგდონს მიაშტერდა, ხომ არ გაგიჟდი. – რობერტ, სიზმარში ხომ არ ხარ? შენი საელჩოს იურისდიქცია მხოლოდ მის ტერიტორიაზე

ვრცელდება. ჩვენს დასახსნელად ვინმეს გამოგზავნა საფრანგეთის მთავრობისგან გაქცეულის დახმარებად ჩაითვლება. გამორიცხულია. შენ თუ ხვალ შენს საელჩოში დროებით თავშესაფარს მოითხოვ, ეგ სხვა საქმეა, მაგრამ არ შეიძლება სთხოვო მათ, ხელი შეუშალონ ფრანგული კანონის აღსრულებას, სოფიმ თავი გააქნია, ახლავე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარეკე შენს საელჩოში და ისინი გეტყვიან, რომ უმჯობესია შეწყვიტო შემდგომი ზიანის მიყენება და ფაშს ჩაბარდე. შემდეგ დაგპირდებიან, რომ დიპლომატიურ გზების გამოყენებით სამართლიან სასამართლო პროცესს უზრუნველყოფენ შენთვის, მან გახედა ელეგანტური მაღაზიების შესასვლელების წყებას ელისეს მინდვრებზე, ნაღდი ფული რამდენი გაქვს?

ლენგდონმა თავის საფულეში ჩაიხედა.

ასი დოლარი. რამდენიმე ევრო. რატომ მეკითხები?

საკრედიტო ბარათები გაქვს?

რა თქმა უნდა.

სოფიმ სიჩქარეს მოუმატა და ლენგდონი მიხვდა, რომ იგი გეგმას აწყობდა. სწორედ მათ პირდაპირ, ელისეს მინდვრების ბოლოს აღმართული იყო ტრიუმფალური თაღი – ნაპოლეონის სამხედრო გამარჯვებების დამადასტურებელი 164 ფუტის სიმაღლის ძეგლი, რომლის ირგვლივ გადიოდა საფრანგეთის ყველაზე ფართო ცხრარიგიანი წრიული გზა. როდესაც წრიულ გზას მიადგნენ, სოფიმ უკან მიიხედა.

დროებით ჩამოვიშორეთ. – თქვა მან, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ ისევ გვიპოვიან, თუ ამ მანქანაში დავრჩით.

ესე იგი, სხვა მანქანა უნდა მოვიპაროთ, ფიქრობდა ლენგდონი, ახლა ხომ ისედაც დამნაშავეები ვართ, რას აპირებ?

სოფიმ „სმარტი“ წრიულ ხაზზე ააგდო, მენდე.

ლენგდონმა არ უპასუხა. ამ ღამეს ნდობამ მას კარგი დღე არ დააყენა. ქურთუკის სახელო აიწია და საათს დახედა – ძველი მოდელი იყო, კოლექციონერთათვის გამოშვებული მიკი მაუსის მაჯის საათი, რომელიც მშობლებმა აჩუქეს, 10 წლის რომ გახდა.

საბავშვო ციფერბლატი ხალხში გაოცებას იწვევდა. ლენგდონს სხვა საათი არასოდეს არ ჰქონია. დისნეის მულტფილმებით გაიცნო პირველად ფორმისა და ფერის საიდუმლო და მიკი ახლა ყოველდღე ახსენებდა ლენგდონს, რომ გულით ახალგაზრდა უნდა დარჩენილიყო. ამ წუთას მიკის მკლავები უხერხულ კუთხედ მოხრილიყო და, შესაბამისად,

უხერხულ დროს აჩვენებდა.

დილის 2:51 იყო.

საინტერესო საათია, თქვა სოფიმ, თან მაჯაზე უყურებდა და ფართო წრიულ გზაზე მანევრირებდა.

გრძელი ისტორიაა, თქვა ლენგდონმა და სახელო ჩამოიწია.

წარმომიდგენია, სოფიმ სწრაფად გაუღიმა, წრიული გზიდან გადავიდა და ჩრდილოეთისკენ წავიდა. ძლივს მოასწრო ორ მწვანე სინათლეზე გასვლა და მესამე გზაჯვარედინს მიადგა. მარჯვნივ, მალზერბის ბულვარისკენ მკვეთრად მოუხვია. უკან მოიტოვეს მდიდრული, გამწვანებული დიპლომატიური კვარტალის ქუჩები და უფრო ბნელ

სამრეწველო კვარტალში გადავიდნენ. სოფიმ სწრაფად მოუხვია მარცხნივ და ერთი წამის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ ლენგდონი მიხვდა, სადაც იყვნენ.
სენლაზარის რკინიგზის სადგური.
მათ წინ იყო შუშით გადახურული მატარებლების ტერმინალი, რომელიც თვითმფრინავების ანგარისა და სათბურის ნაჯვარს ჰგავდა. ევროპის რკინიგზის სადგურებს არასოდეს არ ეძინათ. ამ დროსაც კი ექვსიოდე ტაქსი უსაქმოდ იდგა მთავარ შესასვლელთან. დამტარებლებს ურიკები დატვირთული ჰქონდათ ბუტერბროდებითა და
მინერალური წყლით. ამავე დროს ნამძინარევი ზურგჩანთამოკიდებული ბავშვები გამოდიოდნენ სადგურიდან თვალების ფშვნეტით, აქეთიქით იყურებოდნენ, თითქოს ცდილობდნენ გაეხენებინათ, ახლა რომელ ქალაქში ვართო. ქუჩის ზევით, ქალაქის ორი პოლიციელი იდგა და გზას ასწავლიდა რამდენიმე დაბნეულ ტურისტს.
სოფიმ „სმარტი“ ტაქსების უკან მიიყვანა და წითელ ზონაში გააჩერა, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩის გადაღმა გასაჩერებელი ადგილი თავისუფალი იყო. სანამ ლენგდონი იკითხავდა, რა ხდებაო, სოფი უკვე მანქანიდან გადავიდა. იგი აჩქარებით მივიდა მათ წინ მდგარ ტაქსის ფანჯარასთან და მძღოლს დაუწყო ლაპარაკი.
ლენგდონმა „სმარტიდან“ გადმოსვლისას დაინახა, როგორ მისცა სოფიმ ტაქსის მძღოლს ქაღალდის ფულის შეკვრა. მძღოლმა თავი დაუქნია და, ლენგდონის გასაოცრად, მათ გარეშე წავიდა.
– რა მოხდა? – ჰკითხა ლენგდონმა, როცა სოფისთან მივიდა ტაქსის გაუჩინარების შემდეგ.
სოფი უკვე სადგურის შესასვლელისკენ დაიძრა, – წამოდი. ორ ბილეთს ვყიდულობთ პარიზიდან მიმავალ პირველსავე მატარებელზე.
ლენგდონი აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვებოდა გვერდზე. ის, რაც თავიდან მხოლოდ ერთი მილის იქით შეერთებული შტატების საელჩოსკენ გაქცევა იყო, ახლა პარიზიდან ევაკუაციას ჰგავდა. ლენგდონს ეს აზრი სულ უფრო და უფრო ნაკლებად მოსწონდა.
თავი 34
მძღოლი, რომელმაც ეპისკოპოსი არინგაროსა ლეონარდო და ვინჩის აეროპორტიდან წამოიყვანა პატარა, შეუხედავი შავი ფიატსედანით იყო მოსული. არინგაროსამ ის დრო გაიხსენა, როდესაც ვატიკანს მხოლოდ დიდი და ძვირფასი მანქანები ჰყავდა. ეს მანქანები თავს იწონებდნენ დეკორატიული ვერცხლის მედალიონებით და წმინდა საყდრის სახელმწიფო დროშებით. ის დღეები წარსულს ჩაბარდა. ვატიკანის მანქანები ახლა ნაკლებად იპყრობდა ყურადღებას. ვატიკანი აცხადებდა, ეს ეკონომიისთვის კეთდებაო, მაგრამ არინგაროსა ეჭვობდა, რომ ეს უფრო უსაფრთხოების ზომები იყო. მსოფლიო გაგიჟდა. ბევრ ადგილას ევროპაში იესო ქრისტესადმი სიყვარულის გამოცხადება იგივე იყო, რომ მანქანის სახურავზე სამიზნე დაეხატათ.
არინგაროსა თავის შავ ანაფორაში გაეხვია, უკანა სავარძელზე კარგად მოკალათდა და განდოლფოს ციხესიმაგრისაკენ ხანგრძლივი მგზავრობისათვის მოემზადა. მგზავრობა ისეთივე იქნებოდა, როგორც ხუთი თვის წინ.
შარშანდელი ვიზიტი რომში, ამოიოხრა მან. ყველაზე გრძელი ღამე ჩემს ცხოვრებაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხუთი თვის წინ ვატიკანმა ტელეფონით აცნობა არინგაროსას, რომ სასწრაფოდ უნდა ჩასულიყო რომში. მათ არაფერი აუხსნიათ. თქვენი ბილეთები აეროპორტშია. წმინდა ტაძარი უმაღლესი წოდების სამღვდელოების წინაშეც კი ყოველთვის იდუმალების საფარველის შენარჩუნებას ცდილობდა.
მოულოდნელი გამოძახება, როგორც არინგაროსა ეჭვობდა, პაპისა და სხვა ოფიციალურ პირთა მხრიდან აშკარა მცდელობა იყო, რომ მოულოდნელი დარტყმა მიეყენებინათ ოპუს დეისათვის. ეს იყო რეაქცია ოპუს დეის პოპულარობის ბოლოდროინდელ ზრდაზე – მათ ხომ ნიუიორკში მსოფლიო შტაბბინის მშენებლობა დაასრულეს. ჟურნალმა არქიტექტურულმა დაიჯესტმა ოპუს დეის ამ შენობას „თანამედროვე ლანდშაფტს დიდებულად შეწყმული კათოლიციზმის მანათობელი შუქურა“ უწოდა. ბოლო დროს კი ვატიკანს იზიდავდა ყველაფერი, რაც სიტყვა „თანამედროვეს“ შეიცავდა.
არინგაროსას სხვა გზა არ ჰქონდა, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, უნდა დამორჩილებოდა. არინგაროსა, არცთუ დიდი გულშემატკივარი ამჟამინდელი პაპის ადმინისტრაციისა, ისევე, როგორც კონსერვატული სამღვდელოების უმრავლესობა, ღრმა მწუხარების გრძნობითყადევნებდა თვალს პაპის მმართველობის პირველ წელს. უპრეცედენტო ლიბერალმა, მისმა უწმინდესობამ, ეს თანამდებობა ვატიკანის ისტორიაში ერთერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი და უჩვეულო კონკლავის შემდეგ მოიპოვა. ახლა კი, იმის მაგიერ, რომ ძალაუფლების სათავეში უეცარი მოსვლის შემდეგ მოკრძალება შეეძინა, უწმინდესი მამა ქრისტიანული სამყაროს უმაღლესი ძალაუფლებით მინიჭებულ ყველა შესაძლებლობას იყენებდა, რომ კიდევ უფრო გაძლიერებულიყო. კარდინალთა კოლეგიის ლიბერალური ნაკადის შემაშფოთებელი მხარდაჭერის იმედით, პაპი ახლა აცხადებდა თავის უზენაეს მისიას „მესამე ათასწლეულისათვის ვატიკანის დოქტრინის განახლებასა და კათილიციზმის მოდერნიზებას“.
ეს იმას ნიშნავს, წუხდა არინგაროსა, რომ ეს კაცი სინამდვილეში ამპარტავანია. ფიქრობს, რომ შეუძლია ღვთის კანონების გადაწერა, სურს, რომ ისევ მოიგოს იმათი გულები, ვინც ჭეშმარიტი კათილიციზმის მოთხოვნებს თანამედროვე მსოფლიოსათვის მოუხერხებლად მიიჩნევს.
არინგაროსა მთელ თავის პოლიტიკურ გავლენას იყენებდა – რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, თუ ოპუს დეის მიმდევართა მრავალრიცხოვნებასა და ორგანიზაციის
ფულად შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ – დაერწმუნებინა პაპი და მისი მრჩევლები,
რომ ეკლესიის კანონების შემსუბუქება მარტო ურწმუნობა და ლაჩრობა კი არ არის, არამედ პოლიტიკური თვითმკვლელობაცაა. მან შეახსენა მათ, თუ რა მოჰყვა ადრე „ვატიკანის მეორე ფიასკოდ“ ცნობილ ეკლესიის კანონის შემსუბუქების მცდელობას. გამანადგურებელი შედეგი მივიღეთ: ეკლესიაში ახლა გაცილებით ნაკლები ხალხი დადიოდა, ვიდრე ოდესმე, დოტაციები იწურებოდა და კათოლიკე მღვდლებიც კი აღარ ჰყოფნიდათ ეკლესიების სამართავად.
ხალხს ეკლესიისაგან ორგანიზება და მიმართულება სჭირდება, დაიჟინა არინგაროსამ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და არა განებივრება და ცდუნება!
იმ ღამეს, თვეების წინ, როდესაც ფიატმა აეროპორტი დატოვა, არინგაროსას გასაოცრად, ვატიკანისკენ კი არ წავიდნენ, არამედ აღმოსავლეთით, მთის დაკლაკნილ გზას გაუყვენ.
 სად მივდივართ? – ჰკითხა მძღოლმა.
 ალბანის მთებში, უპასუხა მან, შეხვედრა განდოლფოს ციხედარბაზში იქნება.
პაპის საზაფხულო რეზიდენცია? იქ არინგაროსა არასოდეს ყოფილა და არც არასდროს ჰქონია სურვილი. გარდა იმისა, რომ ეს იყო პაპის საზაფხულო დასავენებელი სახლი, ამ მეთექვსმეტე საუკუნის ციხესიმაგრეში იყო აგრეთვე ე.წ. Specula Vaticana – ვატიკანის ობსერვატორია – ერთერთი ყველაზე მოწინავე ასტრონომიული ობსერვატორია ევროპაში. არინგაროსას არასოდეს არ მოსწონდა ვატიკანის ისტორიული მოთხოვნილება, ჩარეულიყო მეცნიერებაში, რა ეყარა რაციონალური მეცნიერებისა და რწმენის გაერთიანებაში? ობიექტური მეცნიერი ვერ გახდება ის, ვისაც ღვთის რწმენა აქვს. არც მორწმუნეს სჭირდება რამეში თავისი რწმენის ფიზიკური დამტკიცება.
აი ისიც, გაიფიქრა მან, როდესაც განდოლფოს ციხედარბაზი ვარსკვლავებით მოჭედილ ნოემბრის ცაზე წამოიმართა. სამანქანო გზიდან განდოლფოს ციხედარბაზი უზარნაზარ ქვის ურჩხულს ჰგავდა, რომელიც თითქოს წუთით შეყოვნებულიყო თავბრუდამხვევი ნახტომის წინ. კლდის კიდეზე წამოჭიმული ციხედარბაზი წინ იყო გადმოხრილი და გადმოჰყურებდა იტალიური ცივილიზაციის აკვანს – დაბლობს, სადაც რომის დაარსებამდე გაცილებით ადრე კურიაცისა და ორაცის კლანები ებრძოდნენ ერთმანეთს.
მხოლოდ ფორმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განდოლფოს ნახვა ნამდვილად ღირდა – ეს იყო შთამბეჭდავი ნიმუში იარუსებიანი, თავდაცვითი დანიშნულების არქიტექტურული
ნაგებობისა, რომელიცკარგად ეხმიანებოდა ამ დრამატულ კლდოვან გარემოს. საწყენი იყო, რაც ახლა შეამჩნია არინგაროსამ, რომ ვატიკანს დაემახინჯებინა შენობა სახურავზე ორი უზარმაზარი ალუმინის ტელესკოპის გუმბათის დამონტაჟებით. ამის გამო ოდესღაც დიდებული ნაგებობა დაემსგავსა ამაყ მეომარს, რომელსაც ჯამბაზის ორი ჩაჩი ახურავს. მანქანიდან რომ გადმოვიდა, არინგაროსას ახალგაზრდა იეზუიტი მღვდელი გამოეგება აჩქარებული ნაბიჯით.
 კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, უსამღვდელოესო. მე მამა მანგანო ვარ. აქაური ასტრონომი.
კარგი ვინმეც კი ხარ, ყოჩაღ. არინგაროსამ ჩაიბუზღუნა მისალმება და თავის მასპინძელს ვესტიბიულში შეჰყვა. ეს იყო ფართო ღია სივრცე მორთული ულამაზო ჩუქურთმებით, რომლებიც აღორძინების ეპოქის ხელოვნებისა და ასტრონომიული გამოსახულებების ნარევს წარმოადგენდა. როცა თავის გამცილებელს ფართო მარმარილოს კიბეზე მიჰყვებოდა ზევით, არინგაროსამ შეამჩნია ოთახებზე გაკეთებული წარწერები: საკონფერენციო ცენტრი, სამეცნიერო სალექციო დარბაზი, და ტურისტთა საინფორმაციო სამსახური. გასაოცარი იყო, რაც დრო გადიოდა, ვატიკანს სულ უფრო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უჭირდა ადამიანთა სულიერ აღზრდისათვის დალაგებული, დამაჯერებელი მითითებების
მიწოდება, მაგრამ დროს როგორღაც პოულობდა ტურისტებისთვის ასტროფიზიკაში
ლექციების წასაკითხად.
მითხარი, უთხრა არინგაროსამ ახალგაზრდა მღვდელს, როდის აქეთია, ქვეყანა
ყირაზე დადგა?
მღვდელმა ვერ გაიგო.
ბატონო?
არინგაროსამ ხელი აუქნია და ლაპარაკის დაწყება გადაიფიქრა. ვატიკანი გაგიჟდა.
წარმოიდგინეთ ზარმაცი მშობელი, რომელიც ამჯობინებს, უსიტყვოდ დაემორჩილოს
თავისი განებივრებული შვილის ახირებას, იმის მაგივრად, რომ მტკიცე პოზიცია
შეინარჩუნოს და თავის ნაშიერს ჭეშმარიტი ღირებულებები ასწავლოს. ეკლესიაც სწორედ
ასე იქცეოდა. უფრო და უფრო არბილებდა წესებს და ცდილობდა შეეცვალა საკუთარი
თავი, რათა გზააბნეული კულტურისათვის შეეწყო ფეხი.
ზედა სართულის დერეფანი ფართო იყო, მდიდრულად მოწყობილი და მხოლოდ ერთი
მიმართულებით მიდიოდა, ეს იყო უზარმაზარი მუხის კარი სპილენძის წარწერით.
BIBLIOTECA ASTRONOMICA
არინგაროსას სმენოდა ამ ადგილის შესახებ – ეს იყო ვატიკანის ასტრონომიული
ბიბლიოთეკა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, 25 ათასზე მეტ წიგნს მოიცავდა. მათ შორის
იყო კოპერნიკის, გალილეის, კეპლერის, ნიუტონისა და სეჩის იშვიათი თხზულებები,
როგორც ამტკიცებდნენ, ეს იყო ასევე ადგილი, სადაც პაპის უმაღლეს ეშელონში შემავალი
ოფიციალური პირები კერძო შეხვედრებს მართავდნენ... ეს ის შეხვედრები იყო, რომელთა
ჩატარება ვატიკანის კედლებში არ იყო სასურველი.
როდესაც კარს უახლოვდებოდა, არინგაროა ვერ წარმოიდგენდა იმ თავზარდამცემ
ახალ ამბავს სულ მალე უნდა გაეგო, რომელიც ვერც იმ მოვლენათა ჯაჭვს, რომელსაც ეს
შემთხვევა აამოქმედებდა. არინგაროსა მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გამოვიდა
შეხვედრიდან ბორძიკით. მოსმენილის გამანადგურებელი შინაარსი მხოლოდ მაშინ
დაილექა მის თავში. დღეიდან ექვსი თვის შემდეგ! გაიფიქრა მან. ღმერთო გვიშველე!.
ფიატში მჯდომმა ეპისკოპოსმა არინგაროსამ მხოლოდ ახლა გააცნობიერა, რომ
მუშტები მოეკუმშა პირველი შეხვედრის გახსენებაზე. ხელები გაშალა, ნელა ჩაისუნთქა
და
კუნთები მოადუნა.
ყველაფერი კარგად იქნება. უთხრა თავის თავს, როდესაც ფიატი მთაზე დაკლაკნილ
გზას მიუყვებოდა. და მაინც, სურდა, რომ მის მობილურს დაერეკა. რატომ არ დამირეკა
მოძღვარმა? ამ დროისათვის ქვაკუთხედი სილასს უკვე ნაპოვნი უნდა ჰქონდეს.
ნერვების დასამშვიდებლად ეპისკოპოსი თავისი ბეჭდის იისფერ ამეთვისტოს
დააცქერდა. სიამოვნებითყთითით მოსინჯა ამოტვიფრული მიტრა და კვერთხი და
ბრილიანტის წახნაგები და გაიფიქრა, ეს ბეჭედი გაცილებით ნაკლები ძალაუფლების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიმბოლოა, ვიდრე ის, რომელსაც მალე მოვიპოვებო.

თავი 35

სენლაზარის ვაგზალი შიგნით ისევე გამოიყურებოდა, როგორც ნებისმიერი სხვა სადგური ევროპაში. ეს იყო საეჭვო გარეგნობის ხალხით სავსე პირდაღებული გამოქვაბული. ირგვლივ ეყარნენ უსახლკაროები ხელში მუყაოს ნაგლეჯებზე დაწერილი გულის ამაჩვილებელი ტექსტებით, კოლეჯის თვალებდაბინდული სტუდენტები, რომლებსაც ან ზურგჩანთებზე ეძინათ, ან MP3 პლეიერებიდან მუსიკას უსმენდნენ და ლურჯ ფორმაში გამოწყობილი მებარგულები, რომლებიც სიგარეტის მოსაწევად შეჯგუფულიყვნენ.

სოფიმ მატარებლების განრიგის უზარმაზარ დაფას ახედა. დროდადრო ზედ ადგილს ინაცვლებდა შავი და თეთრი უჯრედები, როდესაც ახალი ინფორმაცია ემატებოდა. გამსვლელ მატარებელთა სიის ზედა სტრიქონზე ეწერა: ლილი – ჩქარი – 3:06

ნეტა უფრო მალე გადიოდეს, თქვა სოფიმ, ლილი კი გამოდგება.

უფრო მალე? ლენგდონმა საათს დახედა, დილის 2:59 იყო. მატარებელი შვიდ წუთში გადიოდა და მათ ჯერ ბილეთებიც კი არ ჰქონდათ.

სოფიმ მიიყვანა ლენგდონი ბილეთების სალაროს ფანჯარასთან და უთხრა. „იყიდე ჩვენთვის ორი ბილეთი შენი საკრედიტო ბარათით“.

მეგონა, რომ საკრედიტო ბარათის გამოყენება შეიძლება შემოწმდეს...

ჩვენც ეს გვინდა.

ლენგდონმა გადაწყვიტა სოფი ნევესთან არ ეკამათა. თავისი ვიზაბარათით მან ლილისკენ მიმავალი მატარებლის ორი ბილეთი იყიდა და სოფის გადასცა.

სოფიმ ის ახლა რკინიგზის ხაზებისკენ წაიყვანა, სადაც ზარის ნაცნობი ხმა გაისმა და რადიოთი მგზავრებს ბოლო გაფრთხილება მიეცათ. მათ წინ თექვსმეტი სხვადასხვა ხაზი გადაიშალა. მოშორებით, მარჯვნივ, მესამე ბაქანთან, ლილის მატარებელი ემზადებოდა გასამგზავრებლად. ამ დროს კი სოფის ამერიკელის მკლავი ჩაებღაუჯა და სრულიად საპირისპირო მიმართულებით მიჰყავდა. მათ ჩქარი ნაბიჯით გაიარეს გვერდითი დერეფანი, სადღეღამისო კაფეს ჩაუარეს და ბოლოს შენობის გარეთ წყნარ ქუჩაზე სადგურის დასავლეთის მხარეს გავიდნენ.

კართან ერთადერთი ტაქსი იცდიდა.

მძღოლმა სოფი დაინახა და სინათლე ააციმციმა.

სოფი შეხტა ტაქსიში უკანა სავარძელზე და ლენგდონიც მიჰყვა.

როდესაც ტაქსი სადგურს მოშორდა, სოფიმ ახალნაყიდი ბილეთები ამოიღო და დახია.

ლენგდონმა ამოიოხრა. სამოცდაათი დოლარი ქარს გაატანა.

ტაქსი ჩრდილოეთისკენ მიმავალი რიუდეკლიშის მონოტონურ ხმაურს მოერგო.

მხოლოდ ახლა იგრძნო ლენგდონმა, რომ მათ გაქცევა მოახერხეს. მარჯვნივ ფანჯრიდან მონმარტრი და საკრე კერის ლამაზი გუმბათი ჩანდა. ამ სურათში პოლიციის მანქანის ფარები შემოიჭრა და მათ შესახვედრად წამოვიდა.

ლენგდონი და სოფი დაიხარენ და სირენებიც ჩაწყნარდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფის ტაქსის მძღოლისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ ქალაქის გასასვლელისაკენ წასულიყო. მისი დაძაბული გამომეტყველებით ლენგდონი მიხვდა, რომ სოფი შემდეგი ნაბიჯის მოფიქრებას ცდილობდა.

ლენგდონმა კიდევ ერთხელ შეამოწმა გასაღები ყურადღებით, ფანჯრისკენ ასწია და თვალებთან ახლოს მიიტანა. უნდოდა, პერიოდულად შემხვედრი შუქნიშნების სინათლეზე

დაენახა რამე წარწერა ან ნიშანი, იმის მაჩვენებელი, თუ სად იყო ეს გასაღები გაკეთებული, მაგრამ ვერაფერი ამოიკითხა, საძმოს ბეჭდის გარდა.

გაუგებარია, თქვა მან ბოლოს.

რა?

ის, რომ ბაბუაშენმა ამდენი მხოლოდ იმისთვის იწვალა, რომ შენთვის მოეცა გასაღები, რომელსაც თავს და ბოლოს ვერ გაუგებდი.

გეთანხმები.

დარწმუნებული ხარ, რომ სურათის უკანა მხარეს არაფერი დაუწერია?

მე იქ ყოველი კუნჭული შევამოწმე. მხოლოდ ეს იყო, ეს გასაღები, ჩარჭობილი ნახატის უკან. დავინახე პრიორატის ბეჭედი, გასაღები ჯიბეში ჩავიდე და შემდეგ ჩვენც წამოვედით.

ლენგდონმა წარბები შეკრა. სამკუთხა ტარის ბლაგვ ბოლოს დასჩერებოდა. არაფერი. თვალები მოჭუტა, მიიტანა გასაღები ახლოს და დაათვალიერა მისი თავის კიდეები. იქაც არაფერი, ეს გასაღები ცოტა ხნის წინ გაუწმენდიათ.

რატომ?

გასაწმენდი სპირტის სუნი ასდის.

სოფი მობრუნდა.

უკაცრავად?

ისეთი სუნი აქვს, თითქოს ვიღაცამ სპეციალური სითხით გააპრიალა, ლენგდონმა გასაღები ცხვირთან მიიტანა და დაყნოსა, მეორე მხარეს უფრო მძაფრი სუნი იგრძნობა, მან გასაღები გადაატრიალა, დიახ, სითხეში სპირტი იყო, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თიტქოს ეს გასაღები სპეციალური სითხით იყო გაპრიალებული ანდა... – ლენგდონი გაჩერდა.

რა არის?

მან გასაღებს სინათლეზე გახედა და ჯვრის ფართო მხრის გლუვი ზედაპირი შეამოწმა. იგი ზოგ ადგილებში ბზინავდა... თითქოს სველი იყო. – კარგად დაათვალიერე, სანამ ჯიბეში ჩაიდებდი?

რა? კარგად არ დამითვალიერებია. მეჩქარებოდა!

ლენგდონი მისკენ მიბრუნდა.

თანა გაქვს ულტრაიისფერი ფანარი?

სოფიმ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ულტრაიისფერი ფანარი ამოიღო. ლენგდონმა გამოართვა და გასაღების უკანა მხარეს მიანათა.

გასაღების უკანა მხარე მაშინვე განათდა. მასზე რაღაც ეწერა. გაკრული ხელით იყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაწერილი, მაგრამ იკითხებოდა.
ძალიან კარგი, თქვა ლენგდონმა ღიმილით, მგონი, ახლა ვიცით, რატომ ჰქონდა სპირტის სუნი.
სოფი გაკვირვებული უყურებდა მოიისფრო ნაწერს გასაღების უკანა მხარეს.
აქსოს ქუჩა, ნომერი 24
მისამართი! ბაბუამ მისამართი დამიწერა.
სად არის? – იკითხალენგდონმა.
სოფის წარმოდგენა არ ჰქონდა. იგი გასწორდა, წინ გადაიხარა და აღელვებულმა ჰკითხა მძღოლს:
Connaisezvous la Rue Haxo?
მძღოლი ერთი წუთით დაფიქრდა და შემდეგ თავი დაუქნია.
ჩოგბურთის სტადიონთანაა, გარეუბანში, პარიზის დასავლეთით.
სოფიმ სასწრაფოდ იქ წაყვანა მოსთხოვა.
ყველაზე მოკლე მარშრუტი ბულონის ტყის გავლითაა, უთხრა მძღოლმა ფრანგულად, გინდათ?
სოფიმ შუბლი შეიკრა. მას ნაკლებად სკანდალური მარშრუტი ერჩია, მაგრამ ახლა არჩევის დრო არ იყო.
Oui, ჩვენ გავაკვირვებთ სტუმრად ჩამოსულ ამერიკელს.
სოფიმ ისევ გასაღებს შეხედა და დაფიქრდა. რა შეიძლება იყოს ამ მისამართზე. ეკლესია? საძმოს შტაბბინის მსგავსი რამ?
მან ისევ გაიხსენა ის საიდუმლო რიტუალი, რომელსაც სარდაფის გამოქვაბულში შეესწრო ათი წლის წინ, და ღრმად ამოიოხრა.
რობერტ, ბევრი რამე მაქვს შენთხვის მოსაყოლი, შეჩერდა, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ტაქსი დასავლეთისკენ გაქანდა, მაგრამ ჯერ მინდა ყველაფერს მომიყვე, რაც სიონის პრიორატზე იცი.
თავი 36
სალდეეტას გარეთ მდგარი ბეზუ ფაში სიბრაზისაგან დუღდა. თან ლუვრის მცველს გრუარს უსმენდა, რომელიც თავისი განიარაღების ისტორიას უყვებოდა. რატომ უბრალოდ
არ ესროლე იმ დალოცვილ ნახატს?
კაპიტანო! – ლეიტენანტი კოლე პირდაპირ თავისი სადარაჯო პოსტიდან მოიჭრა, კაპიტანო, ახლა მოვისმინე. აგენტ ნევეს მანქანა უპოვიათ.
საელჩოში წავიდა?
არა. რკინიზის სადგურში. ორი ბილეთი იყიდა. მატარებელი ეს წუთია გავიდა.
ფაშმა სიტყვა გააწყვეტინა გრუარს, კოლე იქვე მდებარე ნიშასთან გაიყვანა და ჩუმად ჰკითხა:
რა მიმართულებით?
ლილის.
ალბათ სატყუარაა, ამოისუნთქა ფაშმა და გეგმა შეადგინა, კარგი, მზადყოფნაში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოიყვანე შემდეგი სადგური, მატარებელი გააჩერე და ყოველი შემთხვევისთვის გაჩხრიკე. მანქანა იქ დატოვე, სადაც არის და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული აგენტები დააყენე იმ შემთხვევისთვის, თუ უკან დაბრუნებას ეცდებიან. გაგზავნე ხალხი სადგურის ირგვლივ
ქუჩების გასაჩხრეკად, თუ ფეხით გაიქცნენ. ავტობუსები გადიან სადგურიდან?
ამ დროს არა, სერ. მხოლოდ ტაქსების რიგია.
კარგი. გამოჰკითხე ტაქსების კომპანიის სადისპეტჩეროს და მათი აღწერილობა მიეცით. მე ინტერპოლში ვრეკავ.
კოლე გაკვირვებული ჩანდა.
ტელეფონს ენდობით?
ფაშმა იცოდა, რომ ეს გარკვეულ უხერხულობას შეუქმნიდა, მაგრამ სხვა გზას ვერ ხედავდა.
მახე სწრაფად და მჭიდროდ უნდა დაიკეტოს.
პირველი საათი ყოველთვის კრიტიკულია. გაქცეულთა ქცევის გათვლა დასაწყისიდან ერთი საათის განმავლობაში შეიძლება. ყველას ერთი და იგივე სჭირდება: სამგზავრო საშუალება, თავის შესაფარებელი ადგილი, ნაღდი ფული – წმინდა სამება. ინტერპოლს კი ჰქონდა იმის ძალა, რომ სამივე თვალის დახამხამებაში აღმოეჩინა. ლენგდონისა და სოფის ფოტოებს ფაქსით გადაუგზავნიდნენ პარიზის ტურისტულ ადმინისტრაციებს, სასტუმროებს, და ბანკებს, რის შედეგადაც ინტერპოლი მათ არჩევანს აღარ დაუტოვებდა –
მოუსპობდა ქალაქიდან გასასვლელ ყველა გზას, არ ექნებოდათ თავშესაფარის პოვნის საშუალება და არც ერთი ბანკი არ მისცემდა ნაღდი ფულის გამოტანის ნებას. თუ რამის გაკეთებას შეეცდებოდნენ, ინტერპოლი მათ დააკავებდა. ამ დროს, როგორც წესი, გაქცეულებს პანიკა ეწყებათ და რაღაც სისულელეებს აკეთებენ – მანქანას იპარავენ, მაღაზიას ქურდავენ. სასოწარკვეთილებისგან საბანკო ბარათს იყენებენ. რომელი შეცდომაც არ უნდა დაუშვან, მალევე გაამჟღავნებენ თავიანთ ადგილსამყოფელს.
მხოლოდ ლენგდონი, არა? – ჰკითხა კოლემ, თქვენ სოფი ნევეს არ გამოამჟღავნებთ. ის ხომ ჩვენი აგენტია.
რასაკვირველია, გამოვამჟღავნებ! – უხეშად უპასუხა ფაშმა, რა აზრი აქვს ლენგდონის გამომჟღავნებას, თუ სოფი ნევე შეძლებს მთელი მისი ბინძური საქმის გაკეთებას? მე ვაპირებ ნევეს პირადი ფაილის შემოწმებას – მეგობრების, ოჯახის, პირადი კონტაქტებისა – ვინმესი, ვისაც შეიძლება დახმარებისათვის მიმართოს. არ ვიცი, გააზრებული თუ აქვს, რასაც აკეთებს და რატომ აკეთებს, მაგრამ ეს ყველაფერი მას სამსახურის დაკარგვაზე გაცილებით ძვირად დაუჯდება!
მე ტელეფონთან გჭირდებით თუ გარეთ?
გარეთ. მიდი რკინიგზის სადგურში და იქ უხელმძღვანელე ბიჭების მუშაობას. სადავეები შენს ხელშია, ოღონდ ნაბიჯი არ გადადგა ჩემთან დალაპარაკების გარეშე.
დიახ, ბატონო, კოლე გაიქცა.
ფაშმა დაძაბულობა იგრძნო, როდესაც იქ, ნიშაში იდგა. ფანჯრის მიღმა პირამიდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანათებდა შუაში. მისი ანარეკლი აუზებში ქარით აწრიალებულ წყლის ზედაპირზე ცახცახებდა. თვალსა და ხელს შუა დამიძვრნენ. თავს უბრძანა, მოდუნებულიყო. მხოლოდ გაწრთვნილი პრაქტიკოსი აგენტი თუ შეძლებდა ინტერპოლის ზეწოლის გაძლებას.

ქალი კრიპტოლოგი და კოლეჯის მასწავლებელი?

არა, ისინი განთიადამდე ვერ გაძლებდნენ.

თავი 37

ხშირტევრიან პარკს, რომელიც „ბულონის ტყის“ სახელითაა ცნობილი, სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ, მაგრამ პარიზელი მოყვარულები მას იცნობენ, როგორც „ამქვეყნიურ სიამეთა ბაღს“. ეს ეპითეტი თითქოს პირფერობაა, მაგრამ სინამდვილეში პარკის შინაარსს ზუსტად ასახავს. ვისაც კი ბოსხის ამავე სახელწოდების ტრაგიკული სურათი უნახავს, მიხვდება, რა იგულისხმება ამაში. ნახატი, ისევე, როგორც თვითონ ტყე, ბნელი და არეულდარეულია. ეს არის ყველა ჯურის ავაზაკისა და გარყვნილის თავშესაფარი. ღამით ტყის მიხვეულმოხვეული გზები სავსეა ასობით მანათობელი გასაქირავებელი სხეულით – მამაკაცებით, ქალებითა და გაურკვეველი სქესის არსებებით, რომლებიც მიწიერ სიამეებს – ადამიანის ყველაზე ღრმად ჩამარხულ, გამოუთქმელ სურვილებს დააკმაყოფილებენ.

როდესაც ლენგდონი აზრებს იკრებდა, რომ სიონის პრიორატის შესახებ მოეყოლა, ტაქსიმ გაიარა პარკის ტყით დაფარული შესასვლელი და რიყის ქვით მოკირწყლული გზით

დასავლეთისკენ გაემართა. ლენგდონს კონცენტრირება უჭირდა, რადგან პარკის გაფანტული ღამეული ბინადარნი უკვე გამოდიოდნენ ჩრდილიდან და ამაყად წარმოადგენდნენ თავიანთ საქონელს მანქანის ფარების წამიერ შუქზე. წინ ორმა წელზევით შიშველმა მოზარდმა გოგონამ ტაქსის ცეცხლოვანი მზერა ესროლა. იმათ უკან კარგად გაპოხილი ზანგი კაცი, რომელსაც მხოლოდ ბარძაყის სახვევი ეკეთა, მიტრიალდა და უკანალი აათამაშა. მის გვერდით მშვენიერმა ქერათმიანმა ქალმა მინიკაბა აიწია იმის საჩვენებლად, რომ სინამდვილეში ქალი არ იყო.

ღმერთო, შენ მიშველე! ლენგდონმა თვალი აარიდა და ღრმად ჩაისუნთქა.

მომიყევი სიონის მონასტერზე, სთხოვა სოფიმ.

ლენგდონმა თავი დაუქნია. ამაზე შეუფერებელი ფონი წარმოუდგენელი იყო იმ ლეგენდისათვის, რომლის მოყოლასაც აპირებდა. ფიქრობდა, საიდან დაეწყო. საძმოს ისტორია ათასწლეულზე მეტს მოიცავდა... ეს იყო გამაოგნებელი ქრონიკა საიდუმლოებებისა, შანტაჟისა, ღალატისა და განრისხებული პაპის მიერ სასტიკი წამებისაც

კი.

სიონის საძმო, დაიწყო ლენგდონმა, დააარსა ფრანგების მეფემ გოდფრუა დე ბუიონმა 1099 წელს იერუსალიმში, ზუსტად ქალაქის დაპყრობის შემდეგ.

სოფიმ თავი დაუქნია. მზერა ლენგდონისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

ამბობენ, მეფე გოდფრუას ოჯახი ფლობდა დიდ საიდუმლოს, რომელიც ქრისტეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დროიდან მოდიოდა. იმის შიშით, რომ ეს საიდუმლო მისი სიკვდილის შემდეგ არ დაკარგულიყო, მეფე გოდფრუამ დააარსა საიდუმლო საძმო – სიონის პრიორატი – და დაავალა მათ, რომ ის დაეცვათ და თაობიდან თაობისათვის გადაეცათ. იერუსალიმში გატარებული დროის მანძილზე საძმომ შეიტყო დამალული დოკუმენტების საცავის შესახებ.

ისინი დამარხული იყო ჰეროდეს აშენებული ტაძრის ნანგრევებქვეშ, რომელიც, თავის მხრივ, აშენებული ყოფილა ამავე ადგილას ადრე მდგარი სოლომონის ტაძრის ადგილას. ეს დოკუმენტები, მათი რწმენით, ადასტურებენ გოდფრუას დიდ საიდუმლოს და ისინი ისეთი სახიფათო შინარსისაა, რომ ეკლესია არაფერზე დაიხევს უკან მათ ხელში ჩასაგდებად.

სოფი ეჭვით უყურებდა.

საძმომ ფიცი დადო, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დოკუმენტები მოეპოვებინა ტაძრის ნანგრევებიდან და სამუდამოდ დაეცვა ისე, რომ საიდუმლო არასოდეს დაკარგულიყო. დოკუმენტების ნანგრევებიდან გამოსახსნელად საძმომ შექმნა სამხედრო შენაერთი – ცხრა რაინდისაგან შემდგარი ჯგუფი, სახელად „ქრისტესა და სოლომონის ტაძრის გლახაკ რაინდთა ორდენი“, ლენგდონი შეჩერდა, ჩვეულებრივ, ისინი ტაძრის რაინდების, ანუ ტამპლიერების სახელით არიან ცნობილნი.

სოფიმ ლენგდონს ახედა. იგი გაოცებული იყო. ეს სახელი ეცნო.

ლენგდონს საკმაოდ ხშირად უწევდა ტამპლიერებზე ლექციის წაკითხვა და იცოდა, რომ დედამიწის ზურგზე თითქმის ყველას ჰქონდა გაგონილი მათ შესახებ, ზედაპირულად

მაინც. მეცნიერებისათვის ტამპლიერების ისტორია გაურკვეველი სამყარო იყო, სადაც სინამდვილე და გამონაგონი იმდენად იყო გადახლართული ერთმანეთში, რომ ჭეშმარიტების დადგენა თითქმის შეუძლებელი იყო. ახლა ლენგდონი კიდეც ყოყმანობდა ხოლმე, ეხსენებინა თუ არა ტამპლიერები ლექციების დროს, რადგან ეს აუცილებლად იწვევდა გაუთავებელ შეკითხვებს კონსპირაციის თეორიების შესახებ.

სოფი უკვე დაბნეული ჩანდა.

შენ ამბობ, რომ ტამპლიერების ორგანიზაცია სიონის საძმომ იმისათვის დააარსა, რომ საიდუმლო დოკუმენტები დაებრუნებინათ? მე კი მეგონა, რომ ტამპლიერების ორდენი

წმინდა მიწის დასაცავად შეიქმნა.

გავრცელებული, მაგრამ მცდარი აზრია. პილიგრიმების დაცვის იდეა ნიღაბი იყო. ამ ნიღაბს ამოფარებული ტამპლიერები თავიანთ მისიას ასრულებდნენ. მათი ჭეშმარიტი მიზანი წმინდა მიწაზე ტაძრის ნანგრევებიდან დოკუმენტების ამოღება იყო.

და იპოვეს?

ლენგდონმა გაიღიმა.

დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ ერთ რამეს კი ყველა მეცნიერი ეთანხმება: რაინდებმა რაღაც აღმოაჩინეს ნანგრევების ქვეშ... რაღაც ისეთი, რამაც ისინი გაამდიდრა და წარმოუდგენელი ძალაუფლება მიანიჭა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონმა სწრაფად დაუხატა სოფის ტამპლიერთა ისტორიის სტანდარტული, მეცნიერებაში აღიარებული სურათი. აუხსნა, როგორ ილაშქრეს რაინდებმა მეორედ წმინდა მიწაზე და როგორ უთხრეს მეფე ბოლდუინ იის, რომ მათი მიზანი გზებზე ქრისტიან
პილიგრიმთა დაცვა იყო. რაინდები გასამრჯელოს არ იღებდნენ და ღარიბულად ცხოვრობდნენ და მეფეს მოახსენეს, რომ მხოლოდ თავშესაფარი სჭირდებოდათ. მათ ითხოვეს უფლება, რომ ტაძრის ნანგრევებისქვეშა საჯინიბოები დაეკავებინათ.მეფე ბოლდუინმა დააკმაყოფილა ჯარისკაცების თხოვნა და რაინდებიც მოკრძალებულად დასახლდნენ განადგურებულ ტაძარში.
საცხოვრებლის ასეთი უცნაური შერჩევა, ახსნა ლენგდონმა, შემთხვევითი არ იყო. რაინდებს სწამდათ, რომ დოკუმენტები, რომლებსაც საძმო ეძებდა, ღრმად იყო ჩამარხული ნანგრევების ქვეშ – წმინდათაწმინდას ქვევით. ეს იყო საიდუმლო დარბაზი, სადაც, მოარული აზრით, თვით ღმერთის სამყოფელი იყო. პირდაპირი მნიშვნელობით, ეს
ებრაული რწმენის ცენტრი იყო. თითქმის ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ცხრა რაინდი ნანგრევებში და ყველასგან ფარულად მაგარ კლდეს თხრიდა.
სოფიმ ლენგდონი შეათვალიერა.
შენ თქვი, მათ რაღაც აღმოაჩინესო
ასეც იყო, უთხრა ლენგდონმა და აუხსნა, რომ ამისთვის მათ ცხრა წელი დასჭირდათ, მაგრამ საბოლოოდ იპოვეს ის, რასაც ეძებდნენ. მათ განძი აიღეს და წავიდნენ ევროპაში, სადაც მათი გავლენა თითქოს ერთ ღამეში განმტკიცდა.
არავინ იცოდა ზუსტად, ეს რაინდების მხრიდან ვატიკანის შანტაჟი იყო, თუ ეკლესიამ უბრალოდ სცადა რაინდების სიჩუმე ეყიდა, მაგრამ მოხდა ის, რომ პაპმა ინოკენტი იიმ მაშინვე გამოუშვა უპრეცედენტო ბულა, რომელიც რაინდ ტამპლიერებს უსაზღვრო ძალაუფლებას ანიჭებდა და აცხადებდა მათ „საკუთარი თავის კანონმდებლებად – ავტონომიურ სამხედრო შენაერთად, რომელიც დამოუკიდებელი იყო მეფისა თუ პრელატებისგან და ყოველგვარი – რელიგიური თუ პოლიტიკური – ჩარევისაგან იყო დაცული.
ვატიკანისგან მიღებული კარტბლანშის საშუალებით რაინდ ტამპლიერთა გავლენა გასაოცრად გაიზარდა როგორც რიცხობრივად, ისე პოლიტიკური ძალაუფლების თვალსაზრისითაც. მათ თავი მოუყარეს უზარმაზარ მამულებს თორმეტზე მეტ ქვეყანაში, დაიწყეს კრედიტების მიცემა გაკოტრებული დიდებულებისათვის და, სამაგიეროდ, მათ პროცენტებს ახდევინებდნენ. ამგვარად, მათ თანამედროვე საბანკო სისტემა დააარსეს და თავიანთი სიმდიდრე და ზეგავლენა გააფრთოვეს.
1300 წლისათვის ვატიკანის სანქციამ რაინდებს ხელი შეუწყო, ისეთი ძალაუფლება მოეპოვებინათ, რომ პაპმა კლიმენტი მეხუთემ გადაწყვიტა რაიმე ეღონა. საფრანგეთის მეფე ფილიპ მეოთხესთან შეთანხმებით, პაპმა შეადგინა კარგად დაგეგმილი ცბიერი ოპერაცია ტამპლიერების მოსასპობად და მათი განძის ხელში ჩასაგდებად. ამ გზით მას უნდოდა კონტროლის ქვეშ ჰქონოდა ვატიკანისათვის საზიანო საიდუმლო. ერთერთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამხედრო მანევრის დროს, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსას თუ შეედრებოდა, პაპმა გამოსცა საიდუმლოდ დაბეჭდილი ბრძანება, რომელიც მთელი ევროპის მასშტაბით უნდა გაეხნათ მის მეომრებს 1307 წლის 13 ოქტომბერს.
13 ოქტომბერი რომ გათენდა, დოკუმენტები გახსნეს და ცნობილი გახდა მათი შემზარავი შინაარსი. კლიმენტის წერილში ნათქვამი იყო, რომ მას ღმერთი გამოეცხადა და გააფრთხილა: ტამპლიერები ერეტიკოსები არიან და მათ ბრალი ედებათ ეშმაკის თაყვანისცემაში, ჯვრის წაბილწვაში, მამათმავლობასა და სხვა მკრეხელურ საქციელში.
ღმერთმა კლიმენტის უბრძანა, გაეწმინდა დედამიწა ყველა რაინდის ერთად მომწყვდევით
და მათი წამებით იქამდე, ვიდრე ისინი ღმერთის წინაშე თავიანთ დანაშაულს არ აღიარებდნენ. კლიმენტის მაკიაველური ოპერაცია ზედმიწევნითი საზუსტით ჩატარდა. იმ
დღეს ურიცხვი რაინდი დაატყვევეს, უმოწყალოდ აწამეს და, საბოლოოდ, ცოცხლად დაწვეს, როგორც ერეტიკოსი. ამ ტრაგედიის გამოძახილი ჯერ კიდევ ისმის თანამედროვე კულტურაში; დღემდე პარასკევი, ცამეტი რიცხვი უიღბლოდ ითვლება.
სოფი დაბნეული ჩანდა. – როგორ, რაინდი ტამპლიერები განადგურდნენ? მე მეგონა, ტამპლიერთა საძმოები დღემდე არსებობს.
არსებობს, მაგრამ სხვადასხვა სახელის ქვეშ დამალული. მიუხედავად კლიმენტის ცილისწამებისა და მათი მოსპობის უკიდურესი სურვილისა, რაინდებს ჰყავდათ გავლენიანი მოკავშირეები და ზოგიერთმა მოახერხა, ვატიკანის მიერ მოწყობილი წმენდისთვის თავი დაეღწია. კლიმენტის ჭეშმარიტ მიზნად ტამპლიერების ნაპოვნი ძლევამოსილი და ძვირფასი დოკუმენტების ხელში ჩაგდება ჰქონდა დასახული, როგორც ჩანს, ისინი იყო მათი ძალაუფლების წყარო, მაგრამ ხელიდან გაუცურდა. დოკუმენტები უკვე დიდი ხანია, მინდობილი ჰქონდა ტამპლიერების ჩრდილში მყოფ მათ შექმნელს, სიონის მონასტერს, რომლის საიდუმლოების საფარმა დაიცვა ისინი ვატიკანის ელვისებური შემოტევის დროს, როდესაც ვატიკანმა ალყა შეკრა, პრიორატმა დოკუმენტები ღამით პარიზიდან ჩუმად ლაროშელში მდგარი ტამპლიერების გემებზე გადაიტანა.
სად წავიდა დოკუმენტები?
ლენგდონმა მხრები აიჩეჩა.
პასუხი ამ საიდუმლოზე მხოლოდ სიონის პრიორატისათვის არის ცნობილი, რადგან ეს დოკუმენტები დღესაც კი გამუდმებული ძიებისა და სპეკულაციის წყაროა. სჯერათ, რომ
ისინი რამდენჯერმე გადააადგილეს და ხელახლა გადამალეს. მიმდინარე დაკვირვებების მიხედვით დოკუმენტები სადღაც გაერთიანებულ სამეფოში უნდა იყოს.
სოფი შეწუხებული ჩანდა.
საუკუნეების განმავლობაში, განაგრძო ლენგდონმა, ამ საიდუმლოსთან დაკავშირებული ლეგენდები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დოკუმენტთა მთელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეკვრა, მისი მნიშვნელობა და საიდუმლო, რომელსაც იგი იცავს, ცნობილია ერთი საერთო
სახელით – სანგრილი. ასობით წიგნი დაწერილა მის შესახებ და ცოტა ისეთი საიდუმლო, რომელსაც ისტორიკოსებს შორის ისეთი ინტერესი გამოეწვიოს, როგორც სანგრილს.
სანგრილი? ეს სიტყვა რამით დაკავშირებულია ფრანგულ სიტყვა sangთან, ან ესპანურ sangreსთან, რაც „სისხლს“ ნიშნავს?
ლენგდონმა თავი დაუქნია. სისხლია სიტყვა სანგრილის ძირი, მაგრამ არა იმ სახით, სოფიმრომ წარმოიდგინა.
ეს რთული ლეგენდაა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პრიორატი იცავს დამამტკიცებელ საბუთს და ელოდება ისტორიის სათანადო მომენტს, რომ სიმართლე გამოაჩინოს.
რა სიმართლე? რა საიდუმლო უნდა იყოს ასე დიდი?
ლენგდონმა ღრმად ჩაისუნთქა და გახედა, სარკმელს მიღმა გადაშლილ პარიზის გარეგნილების ბუდეს.
სოფი, სანგრილი უძველესი სიტყვაა. წლების განმავლობაში მისგან წარმოიქმნა მეორე ტერმინი... უფრო გვიანდელი სახელი. – ერთხანს ჩუმად იყო, როდესაც მის გვიანდელ სახელს გეტყვი, მიხვდები, რომ შენ თურმე ბევრი გცოდნია მის შესახებ.
ფაქტობრივად, თითქმის ყველას დედამიწის ზურგზე სმენია სანგრილის ამბავი.
სოფი სკეპტიკურად უყურებდა
მე არასოდეს არ გამიგია.
დარწმუნებული ვარ, რომ გაგიგია, გაეცინა ლენგდონს, შენ უბრალოდ მას „წმინდა გრაალის“ სახელით იცნობ.
თავი 38
სოფი ეჭვით დააკვირდა ლენგდონს. ხუმრობს. „წმინდა გრაალი?“
ლენგდონმა სერიოზული გამომეტყველებით დაუქნია თავი, წმინდა გრაალი სანგრილის ზუსტი მნიშვნელობაა. ეს გამოთქმა მოდის ფრანგული Sangraalიდან, რომელიც მოგიანებით სანგრილად გადაიქცა და გაიყო ორ სიტყვად: San Greal.
წმინდა გრაალი – წმინდა ბარძიმი. სოფის გაუკვირდა, რომ მაშინვე ვერ დაინახა ეს ენობრივი კავშირი. და მაინც, ლენგდონის განცხადება მისთვის ჯერ კიდევ გაუგებრი იყო,
მე მეგონა, რომ წმინდა ბარძიმი ჭურჭელი იყო. შენ კი ამბობ, რომ სანგრილი დოკუმენტების ნაკრებია, რომელიც რაღაც ბნელ საიდუმლოს მალავს.
დიახ ასეა, მაგრამ სანგრილის დოკუმენტები წმინდა ბარძიმის საგანძურის მხოლოდ ნახევარია. ისინი თვით ბარძიმთან ერთადაა დამარხული... და მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას მალავს. დოკუმენტებმა ტამპლიერებს ისეთი დიდი ძალაუფლება იმიტომ მიანიჭა, რომ ისინი ბარძიმის ჭეშმარიტ ბუნებას ავლენდნენ.
ბარძიმის ჭეშმარიტი ბუნება? სოფი ახლა უფრო დაიბნა. მას ეგონა, რომ წმინდა ბარძიმი იყო ჭურჭელი, საიდანაც იესო სვამდა საიდუმლო სერობისას და რომელშიც მერე იოსებ არიმთიელმა მისი სისხლი შეაგროვა ჯვარცმის შემდეგ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წმინდა ბარძიმი ქრისტეს ჭურჭელია, თქვა სოფიმ, ამაზე მარტივი რა შეიძლება იყოს?

სოფი, ჩაიჩურჩულა ლენგდონმა და მისკენ დაიხარა, სიონის პრიორატის თანახმად, წმინდა გრაალი სულაც არ არის ჭურჭელი. ისინი აცხადებენ, რომ ბარძიმის, ანუ ჩჰალიცეის, ლეგენდა, სინამდვილეში, არის ჭკვიანურად დაფარული ალეგორია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბარძიმის ისტორია იყენებს Chaliceს, როგორც მეტაფორას სხვა, გაცილებით დიდი რამისათვის, აქ ოდნავ შეიცადა, იმისათვის, რაც შესანიშნავად თანხვდება იმას, რის თქმასაც ბაბუაშენი ცდილობს ახლა ჩვენთვის, საკრალურ ქალურ საწყისზე ყველა სიმბოლური მინიშნების ჩათვლით.

სოფი ჯერ კიდევ არ უჯერებდა. თუმცა, ამავე დროს, მიხვდა, რომ ლენგდონს ძალიან კარგად ესმოდა მისი. ეს ჩანდა მისი მომთნები ღიმილიდან.

მაგრამ თუ წმინდა ბარძიმი ჭურჭელი არ არის, ჰკითხა მან, მაშ რაღაა?

ლენგდონი ელოდა ამ შეკითხვას და მაინც არ იცოდა, როგორ ეპასუხა სწორად. თუ პასუხს შესაბამის ისტორიულ ფონზე არ წარმოადგენდა, სოფის მაინც დაბნეული სიცარიელის შეგრძნება დარჩებოდა – იგივე გამომეტყველება შეატყო ლენგდონმა თავის გამომცემელსაც რამდენიმე თვის წინ, როდესაც თავისი ხელნაწერის პირველი მონახაზი გადასცა.

რას ამტკიცებს ეს ხელნაწერი? – კინაღამ დაიხრჩო გამომცემელი, ღვინის ჭიქა დადგა და თავის ნახევრად შეჭმულ ყუათიან საუზმეს დააშტერდა, შენ რა, ხუმრობ?

მე ისე სერიოზული ვარ, რომ მთელი წელი მოვანდომე ამის კვლევას.

ცნობილმა ნიუიორკელმა გამომცემელმა ჯონას ფოკმენმა ნერვიულად შეიცურა თითები წვერში. თავისი კარიერის განმავლობაში მას, რა თქმა უნდა, მოსმენილი ჰქონდა რამდენიმე გიჟური იდეა, მაგრამ ამან თითქოს თავზარი დასცა.

რობერტ, უთხრა ბოლოს ფოკმენმა, ცუდად არ გამიგო, მე ძალიან მომწონს შენი მეცნიერული ნააზრევი. ჩვენი თანამშრომლობა ყოველთვის წარმატებული იყო. მაგრამ თუ დაგთანხმდები და ამ იდეას გამოვაქვეყნებ, თვეების მანძილზე ვერ მოვიშორებ მოპიკეტეებს. გარდა ამისა, ეს შენს რეპუტაციას გაანადგურებს. ღმერთო ჩემო, შენ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ხარ და არა პოპულარული იაფფასიანი მწერალი, რომელიც იოლ ფულს ეძებს. ნეტა ვიცოდე, როგორ დაასაბუთებ დამაჯერებლად ამ თეორიას?

ლენგდონმა ტვიდის პიჯაკის ჯიბიდან მშვიდი ღიმილით ამოაძრო ფურცელი და ფოკმენს გაუწოდა. ამ გვერდზე მოცემული იყო ორმოცდაათზე მეტი სათაურისაგან შემდგარი ბიბლიოგრაფია. ეს იყო ცნობილი ისტორიკოსების წიგნები, ზოგი თანამედროვე, ზოგიც საუკუნეების წინანდელი. ამათგან ბევრი მეცნიერული ბესტსელერი იყო. ყველა წიგნის სათაურში იგივე აზრი იყო გატარებული, რაც ლენგდონმა წამოაყენა. ფოკმენმა სია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ჩაიკითხა, იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც ესესაა აღმოაჩინა, რომ თურმე სინამდვილეში დედამიწა ბრტყელი ყოფილა.

მე ვიცნობ ამ ავტორთაგან ზოგიერთს. ისინი... ნამდვილი ისტორიკოსები არიან. ლენგდონმა ჩაიცინა.

როგორცხედავთ, ჯონას, ეს მხოლოდ ჩემი თეორია არ არის. ის, დიდი ხანია, არსებობს. მე მხოლოდ ვეყრდნობი მას. არც ერთ წიგნში წმინდა ბარძიმის ლეგენდა სიმბოლური კუთხით არ გამოუკვლევიათ. იკონოგრაფიული მონაცემები, რომელსაც მე ვპოულობ თეორიის გასამყარებლად, მართლაც გასაოცრად დამაჯერებელია.

ფოკმენი ისევ სიას ჩაშტერებოდა, ღმერთო ჩემო, ამ წიგნებიდან ერთი სერ ლი თიბინგის დაწერილია. ეს ხომ ბრიტანეთის სამეფო აკადემიის ისტორიკოსია!

თიბინგმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი წმინდა ბარძიმის შესწავლას მიუძღვნა. მე მას შევხვედრივარ. ჩემი შთაგონების დიდი ნაწილი მისი დამსახურებაა. ჯონას, მას, ისევე როგორც ყველა სხვას ამ სიაში, სჯერა.

შენ მეუბნები, ყველა ამ ისტორიკოსს სჯერაო... – ფოკმენმა ნერწყვი გადაყლაპა. როგორც ჩანს, უჭირთ ამ სიტყვების გამოთქმა. ლენგდონმა ისევ ჩაიცინა.

წმინდა ბარძიმი ხომ ყველაზე სასურველი განძია კაცობრიობის ისტორიაში. ბარძიმმა წარმოშვა ლეგენდები, მიზეზი იყო ომებისა და უსასრულო ძიებისა. აბა რა გამოდის? ეს ყველაფერი უბრალოდ ჭურჭლისთვის ხდებოდა? თუ ასეა, მაშინ სხვა რელიკვიებიც უნდა

იწვევდეს იმავე ან უფრო მეტ ინტერესს, მაგრამ ასე არ არის. ისტორიის მანძილზე წმინდა ბარძიმი ყოველთვის განსაკუთრებულად იყო გამორჩეული. – ლენგდონმა ჩაიცინა, – ახლა

კი იცი, რატომ.

ფოკმენი ჯერ კიდევ თავს აქნევდა უარის ნიშნად.

მაგრამ თუ ყველა ეს წიგნი მის შესახებაა დაწერილი, მაშინ ეს თეორია უფრო ფართოდ რად არ არის ცნობილი?

ეს წიგნები ვერ შეეჯიბრება საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ისტორიას, განსაკუთრებით, თუ ამ ისტორიას მხარს უჭერს ყველა დროის მთავარი ბესტსელერი.

ფოკმენს თვალები გაუფართოვდა.

არ მითხრა, რომ „ჰარი პოტერი“ წმინდა ბარძიმს შეეხებაო.

მე ბიბლიას ვგულისხმობდი.

ფოკმენი შიშისაგან მოიკუნტა.

ასეც ვიცოდი.

Laissezle! – სოფის დაყვირებამ ტაქსის შიგნით თითქოს ჰაერი გაკვეთა, ეგ დაბლა დადე! – ლენგდონი შეხტა, როდესაც სოფი წინ გადაიხარა და ტაქსის მძღოლს დაუყვირა. ლენგდონმა დაინახა, რომ მძღოლს რადიოს მიკროფონი ეჭირა და რაღაცას ჩასძახოდა. სოფი მობრუნდა და ლენგდონს ტვიდის პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაუყო, სანამ ლენგდონი მიხვდებოდა, რაში იყო საქმე, სოფის პისტოლეტი უკვე ამოეღო, ჩახმახი შეეყენებინა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა უკნიდან მძღოლის თავზე ჰქონდა მიბჯენილი. მძღოლმა მაშინვე დააგდო რადიო და
ერთი თავისუფალი ხელი ასწია.
სოფი! – ლენგდონს სუნთქვა შეეკრა, რა ჯანდაბა...
Arretez! – უბრძანა სოფიმ მძღოლს.
აკანკალებული მძღოლი დაემორჩილა, და მანქანა გააჩერა.
მხოლოდ მაშინ გაიგონა ლენგდონმა ტაქსების კომპანიის დისპეტჩერის ლითონისებრი ხმა, რომელიც მართვის დაფიდან მოდიოდა: ... qui s'appelle Agent Sophie Neveu... – დაიტკაცუნა რადიომ. – Et un Americain, Robert Langdon...
ლენგდონი დაიძაბა. მათ უკვე გვიპოვეს.
Descendez, უბრძანა სოფიმ.
აკანკალებული მძღოლი ხელაწეული გადავიდა ტაქსიდან და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.
სოფიმ თავისი ფანჯრის მინა დაუშვა და ახლა პისტოლეტს უმიზნებდა გარეთ მდგარ დაბნეულ ტაქსის მძღოლს.
რობერტ, უთხრა წნარად, დაჯექ საჭესთან. შენ წაიყვან.
ლენგდონს არც უფიქრია შეკამათება ქალთან, რომელიც ხელში იარაღს ატრიალებს.
იგი მანქანიდან გადმოვიდა და საჭეს მიუჯდა. მძღოლი ყვირილით აგინებდა მათ, მაგრამ ხელები ისევ ზევით ჰქონდა აწეული.
რობერტ, უთხრა სოფიმ უკანა სავარძელიდან. – დარწმუნებული ვარ, საკმარისად ისიამოვნე ჩვენი ჯადოსნური ტყით.
ლენგდონმა თავი დაუქნია. საკმარისზე მეტადაც.
კარგი, მაშინ გავიდეთ აქედან.
ლენგდონმა დახედა მანქანის მართვის ბერკეტებს დ შეყოყმანდა. ჯანდაბა! მან ჩაბღუჯა სიჩქარეთა გადასაყვანი ხელის ბერკეტი. – სოფი? იქნებ შენ...
წადი! – დაიყვირა სოფიმ.
გარეთ რამდენიმე მეძავი წამოვიდა მათკენ, რომ დაენახათ, რა ხდებოდა. ერთი ქალი მობილურით დარეკვას ცდილობდა. ლენგდონმა შეასუსტა გადამრთველი. თავისი აზრით,
პირველ სიჩქარეში გადაიყვანა. მერე ხელი შეახო აქსელერატორს და გაზი შეამოწმა.
ლენგდონმა ბერკეტი მოსწია. საბურავებმა იყმუვლეს, როცა ტაქსი წინ გაიჭრა, გიჟურად დაამუხრუჭა და ირგვლივ უკვე შეგროვილი ბრბო აქეთიქით გაფანტა.
Doucement! – თქვა სოფიმ, როდესაც მანქანა გზაზე გამოსვლისას გვერდზე გადაიხარა. – რას შვრები?
ვეცადე გამეფრთხილებინე, დაიყვირა ლენგდონმა მანქანის ღრჭიალში. – მე მარტო ავტომატურს ვატარებ!
თავი 39
მიუხედავად იმისა, რომ ბრუიერის ქუჩაზე მდებარე მდიდრული სახლის სპარტანულად მოწყობილი ოთახი მრავალ ტანჯვას შესწრებია, სილასს ეჭვი ეპარებოდა, რომ რაიმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეედრებოდა იმ წამებას, ახლა რომ დაუფლებოდა მის სხეულს. მომატყუეს. ყველაფერი დაკარგულია.
სილასი გააცურეს. ძმებმა მოატყუეს, სიკვდილი არჩიეს საიდუმლოს გამჟღავნებას, სილასს ძალა არ შესწევდა მოძღვრისთვის დაერეკა. მან მარტო ოთხი ადამიანი კი არ მოკლა, რომლებმაც იცოდნენ, სად იყო ქვაკუთხედი, მან მონაზონიც მოკლა სენ სიულპისში. ის ხომ ღმერთის წინააღმდეგ წავიდა! მან ოპუს დეის საქმე დაგმო! იმპულსურად ჩადენილი ქალის მკვლელობა საქმეს ძალიან ართულებდა. სენ სიულპისში იგი ეპისკოპოს არინგაროსას ზარმა შეიყვანა; რას იფიქრებს სააბატო, როდესაც მოკლულ მონაზონს აღმოაჩენს? მართალია, სილასმა გვამი ისევ საწოლში ჩააწვინა, მაგრამ თავზე ჭრილობა აშკარად ეტყობოდა. სილასმა სცადა იატაკის გატეხილი ფილების შეცვლა, მაგრამ ზიანიც ძალიან აშკარა იყო. ისინი მიხვდებოდნენ, რომ იქ ვიღაც იყო.
მას შემდეგ, რაც თავის დავალებას შეასრულებდა, სილასს ოპუს დეიში დამალვა ჰქონდა დაგეგმილი. ეპისკოპოსი არინგაროსა დამიცავს. სილასს უფრო ნეტარი არსებობა ვერც კი წარმოედგინა, ვიდრე ოპუს დეის ნიუიორკის შტაბბინის კედლებს მიღმა კარგად დაცული ცხოვრება მედიტაციასა და ლოცვაში. იგი აღარასოდეს გამოადგამდა ფეხს გარეთ. ყველაფერი, რაც საჭირო იყო, თავშესაფარში მოიპოვებოდა. არავის დავაკლდები. სამწუხაროდ, სილასმა ისიც იცოდა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ადამიანი, როგორიც ეპისკოპოსი არინგაროსაა, ასე ადვილად ვერ გაქრებოდა.
საფრთხეში ჩავაგდე ეპისკოპოსი. მან გულგრილად დახედა იატაკს და თავის მოკვლა იფიქრა. ბოლოს და ბოლოს, ხომ სწორედ არინგაროსამ აჩუქა სილასს სიცოცხლე...
პატარა მღვდლის სახლში მალავდა, ესპანეთში. ეპისკოპოსი ასწავლიდა და ცხოვრების მიზანს აძლევდა.
მეგობარო, უთხრა მას რინგაროსამ, შენ ალბინოსად დაიბადე. უფლებას ნუ მისცემ სხვებს, ამის გამო დაგცინონ. ნუთუ ვერ ხვდები, რამდენად განსაკუთრებულს გხდის ეს? არ
იცოდი, რომ თავად ნოეც ალბინოსი იყო?
კიდობნის ნოე? – სილასს ეს არასოდეს არ გაეგო. არინგაროსა იღიმებოდა.
დიახ, სწორედ ის, კიდობნის ნოე, ალბინოსი იყო. როგორც შენ, მასაც კანი ანგელოზივით თეთრი ჰქონდა. იფიქრე ამაზე. ნოემ დედამიწაზე არსებული ყველა ცოცხალი სულიერი გადაარჩინა. შენ დიდი საქმეებისთვის ხარ მოვლენილი, სილას. უფალმა შენ გადაგარჩინა და მიზანი დაგისახა. შენ შენი მოწოდება გაქვს. უფალს შენი დახმარება სჭირდება თავისი საქმის გასაკეთებლად.
დროთა განმავლობაში სილასმა ისწავლა თავისი თავის ახალი კუთხით დანახვა. მე წმინდა ვარ. თეთრი. მშვენიერი. როგორც ანგელოზი.
თუმცა ამ დროს, მას მამის იმედგაცრუებული ჩურჩული მოესმა წარსულიდან.
Tu es un desastre. Un spectre.
იგი ხის იატაკზე დაიჩოქა და შეწყალების ლოცვა დაიწყო. შემდეგ სამოსი შემოიძარცვა და ისევ გაიწოდა ხელი მათრახისაკენ თვითგვემისათვის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 40

სიჩქარეების გადასართავთან ჭიდილში ლენგდონმა მოახერხა მოტაცებული ტაქსის ისე გაყვანა ბულონის ტყის ბოლომდე, რომ მხოლოდ ორჯერ ჩაუქრა. სამწუხაროდ, სიტუაციის კომიკურობა ტაქსების დისპეტჩერის ხმამ დაჩრდილა, რომელიც პერიოდულად
იძახებდა მანქანას რადიოთი.

Voiture einqsixtrois. Ou etesvous? Repondez!

როდესაც ლენგდონმა პარკიდან გასასვლელს მიაღწია, მან შეძლო თავისი მამაკაცური სიამაყე დაეთრგუნა და დაამუხრუჭა. – ჯობია, შენ წაიყვანო.

სოფის გულზე მოეშვა, როცა საჭესთან გადაჯდა, სულ რამდენიმე წამში მანქანა თანაბრად მისრიალებდა ლონშანის ხეივნის გასწვრივ დასავლეთის მიმართულებით და მიწიერ სიამოვნებათა ბაღს უკან იტოვებდა.

საით არის აქსოს ქუჩა? – იკითხა ლენგდონმა, როცა დაინახა, რომ სპიდომეტრის ისარი საათში ასკილომეტრიან ნიშნულს გადასცდა.

სოფი გზას უყურებდა.

ტაქსის მძღოლმა თქვა, როლან გაროს ჩოგბურთის სტადიონის მახლობლად არისო.

ვიცი ეგ ადგილი.

ლენგდონმა მძიმე გასაღები ისევ ამოაძვრინა ჯიბიდან და ხელით მისი წონა მოსინჯა. გრძნობდა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი საგანი იყო. შესაძლებელია, მისი თავისუფლების გასაღებიც კი.

ადრე, როდესაც სოფის რაინდ ტამპლიერებზე უყვებოდა, ლენგდონი მიხვდა, რომ ამ გასაღებს, გარდა იმისა, რომ ზედ მონასტრის ბეჭედი იყო ამოტვიფრული, უფრო ღრმა კავშირი ჰქონდა სიონის პრიორატთან. თანაბარმხრებიანი ფორმის ჯვარი წონასწორობისა და ჰარმონიის სიმბოლო იყო, მაგრამ, ამავე დროს, ტამპლიერების სიმბოლოდაც იყო ცნობილი. ყველას უნახავს ნახატებზე გამოსახული წითელი თანაბარმხრებიანი ჯვრებით შემკულ თეთრ მოსასხამებში გამოწყობილი ტამპლიერები. მართალია, ტამპლიერთა ჯვარი ბოლოებში ცოტათი გაფართოებული იყო, მაგრამ მხრების სიგრძე ყოველთვის თანაბარი ჰქონდა.

კვადრატული ჯვარი. სწორედ ისეთი, როგორიც გასაღებზეა.

ლენგდონი გრძნობდა, რომ მისმა ფანტაზიამ ფრთა შეისხა, როდესაც იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა შეიძლებოდა ეპოვათ. წმინდა ბარძიმი. კინაღამ ხმამაღლა გაიცინა, იმდენად აბსურდული იყო ეს აზრი. არსებობდა ვერსია, რომ ბარძიმი სადღაც ინგლისში იმალებოდა, ტამპლიერთა მრავალრიცხოვანი ეკლესიებიდან ერთერთის ქვეშ მდებარე საიდუმლო დარბაზში ჩამარხული. იქ მალავდნენ დაახლოებით 1500 წლიდან.

დიდი მაგისტრ და ვინჩის ეპოქაში.

თავიანთი დოკუმენტების უსაფრთხოდ შენახვის მიზნით დასაწყისში საძმო იძულებული იყო ხშირად შეეცვალა მათი ადგილსამყოფელი. ახლა ისტორიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ბარძიმს სულ ექვსჯერ შეუცვალეს ადგილი მას მერე, რაც ის იერუსალიმიდან ევროპაში ჩამოიტანეს. ბარძიმის უკანასკნელი „ხილვა“ მოხდა 1447 წელს. არსებობს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მრავალი მოწმის მიერ აღწერილი ხანძარი, რომელმაც უეცრად იფეთქა და კინაღამ
შთანთქა დოკუმენტები, სანამ მათი უსაფრთხო ადგილას გადატანას მოასწრებდნენ. ეს
დოკუმენტები ჩაწყობილი იყო ოთხ უზარმაზარ სკივრში და თითოეულს ექვსი კაცი
მიათრევდა. ამის შემდეგ, არავის განუცხადებია ბარძამის ხილვის შესახებ. მხოლოდ
იშვიათად ჩურჩულით იმეორებდნენ ამბავს, რომ გრაალის სამყოფელი ახლა დიდი
ბრიტანეთია, მეფე არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდთა ქვეყანაო.
სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, არსებობს ორი მნიშვნელოვანი ფაქტი.
ლეონარდომ სიცოცხლეში იცოდა, თუ სად იყო ბარძიმი.
სავარაუდოა, რომ ის ადგილი დღემდე არ იყოს შეცვლილი.
ამის გამო ბარძიმის ენთუზიასტები ჯერ კიდევ ცდილობენ, ზედმიწევნით შეისწავლონ
ლეონარდო და ვინჩის ხელოვნება და დღიურები იმ იმედით, რომ ამოკრიბონ დაფარული
მინიშნებები ბარძიმის დღევანდელი ადგილმდებარეობის შესახებ. ზოგი ამტკიცებდა, რომ
სურათის – მადონა მღვიმეში – ფონი ემთხვევა შოტლანდიის გამოქვაბულებით სავსე
მთების ტოპოგრაფიას. სხვები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ საიდუმლო სერობაში იესოს
მოწაფეთა საეჭვო განლაგება იყო რაღაცნაირი კოდი. ამავე დროს კი მესამენი
ამტკიცებდნენ, რომ მონა ლიზას რენტგენულმა ანალიზმა გამოავლინა, თითქოს
თავდაპირველ ვარიანტში მას ისიდას ლაზურიტის კულონი ეკეთა, რომელიც და ვინჩიმ
მოგვიანებით შეგნებულად დაფარა. არასოდეს ლენგდონს კულონის არავითარი მტკიცება
არ უნახავს, და ვერც წარმოედგინა, რა კავშირში იყო ეს წმინდა ბარძიმთან და მაინც
ბარძიმის მოყვარულები ამაზე უსასრულოდ მსჯელობდნენ ინტერნეტის საინფორმაციო
ბიულეტენებში და „ჩეტში“.
ყველას უყვარს საიდუმლო.
და ისინი არ აყოვნებდნენ. ყველაზე ბოლო, რა თქმა უნდა, იყო განსაცვიფრებელი
აღმოჩენა, რომ ცნობილი მოგვთა თაყვანისცემა საღებავის ფენებს შორის ბნელ
საიდუმლოს მალავს. იტალიური ხელოვნების ექსპერტმა, მაურიციო სერაჩინიმ
გამოავლინა შემაშფოთებელი ჭეშმარიტება, რომელიც ჟურნალმა ნიუიორკ ტაიმსმა
დიდის ამბით გამოიტანა სტატიის სათაურში „ლეონარდოს დაშიფრული სურათი“.
სერაჩინიმ გამოავლინა ის, რომ მოგვთა თაყვანისცემის ნაცრისფერმწვანე
პირველადი ქვედა ფენა მართლაც ლეონარდოს ნამუშევარია, ხოლო თვითონ ფერწერა
მას არ ეკუთვნის. სინამდვილეში და ვინჩის სიკვდილიდან წლების გასვლის შემდეგ ვიღაც
ანონიმმა მხატვარმა და ვინჩის მონახაზი ფერთა ზედმიწევნითი იმიტირებით შეავსო. კიდევ
უფრო შემაშფოთებელი იყო ის, რაც თვითმარქვიას ქვეშ იყო. ინფრაწითელი
რეფლექტოგრაფიის ხერხით გადაღებულმა ფოტოებმა და რენტგენმა გვიჩვენა, რომ ამ
ცრუ მხატვარმა, როდესაც და ვინჩის მიერ დატოვებულ კონტურებს აფერადებდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამდენიმე საეჭვო გადახვევაც კი გააკეთა ორიგინალიდან... თითქოს უნდოდა, და ვინჩის ნამდვილი მიზანი გაენადგურებინა. რაც არ უნდა ყოფილიყო სურათის ქვეშ,ის მაინც ცნობილი უნდა გამხდარიყო ხალხისათვის. და მაინც უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილმა ფლორენციის უფიცის გალერეის ადმინისტრაციამ მაშინვე დამალა სურათი
ქუჩის გადაღმა საწყობში. ახლა გალერეის სტუმრები ლეონარდოს დარბაზში ერთობ დამაბნეველ და არაფრისმთქმელ წარწერას ხედავდნენ მოგვთა თაყვანისცემის ადგილას. ამ სურათს უტარდება დიაგნოსტიკური
ტესტები და სარესტავრაციოდ მზადდება.
ბარძიმის თანამედროვე მაძიებლების საოცარ იატაკქვეშეთში ლეონარდო და ვინჩი ყოველთვის უდიდეს საიდუმლოდ რჩებოდა. მისი ნამუშევრები თითქოს ვეღარ იტევდნენ
საიდუმლოს გამხელის სურვილს, და რაც უნდა ყოფილიყო ეს საიდუმლო, იგი ან საღებავის ფენის ქვეშ რჩებოდა დამალული, ან უბრალოდ პეიზაჟში იყო კოდირებული, ან
სულაც არსად არ იყო. შესაძლოა, და ვინჩის უამრავი დამაფიქრებელი მინიშნება მხოლოდ
უაზრო დაპირება იყო ცნობისმოყვარეთა გულის გასახეთქად და იმისთვის იყო დატოვებული, რომ ეშმაკური ღიმილი მოეგვარა თავისი მონა ლიზასათვის.
შესაძლებელია, ჰკითხა სოფიმ და ლენგდონი ფიქრებიდან გამოიყვანა, რომ გასაღები, რომელიც შენ გიჭირავს, წმინდა ბარძიმის სამალავს აღებდეს?
თავისი სიცილი ლენგდონსაც კი ნაძალადევი ეჩვენა.
ნამდვილად ვერ წარმომიდგენია. თანაც ცნობილია, რომ წმინდა ბარძიმი დამალულია სადღაც გაერთიანებულ სამეფოში და არა საფრანგეთში. – მან სწრაფად გააცნო სოფის მოკლე ისტორია.
მაგრამ ბარძიმი ერთადერთი რაციონალური დასკვნა უნდა იყოს, დაიჟინა სოფიმ, ჩვენ გვაქვს ძალზე სანდო გასაღები, სიონის საძმოს ბეჭდით, გადმოცემული ჩვენთვის საძმოს წევრის მიერ – ეს ის საძმოა, რომელიც, როგორც შენ ახლა მითხარი, წმინდა ბარძიმის იცავს.
ლენგდონმა იცოდა, რომ სოფის თვალსაზრისი ლოგიკური იყო, მაგრამ ინტუიციურად ამ ვერსიას ვერ იღებდა. დადიოდა ჭორები, თითქოს პრიორატმა დაიფიცა, რომ ოდესმე გრაალს დააბრუნებდა საფრანგეთში, თავის საბოლოო დასასვენებელ ადგილზე, მაგრამ ნამდვილად არ მოიპოვებოდა ისტორიული დასაბუთება იმისა, რომ ეს სინამდვილეში ასეც
იყო. საძმოს ბარძიმის საფრანგეთში ჩამოტანა რომ მოეხერხებინა კიდეც, შეუძლებელია, რომ აქსოს ქუჩა 24, ჩოგბურთის მოედანთან ახლოს, მისი საბოლოო სამყოფელი ყოფილიყო.
სოფი, ნამდვილად ვერ ვხედავ როგორ შეიძლება ამ გასაღებს რაიმე საერთო ჰქონდეს ბარძიმთან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმიტომ, რომ ბარძიმი ინგლისში უნდა იყოს?
არა მარტო... წმინდა ბარძიმის ადგილმდებარეობა ერთერთი ყველაზე კარგად შენახული საიდუმლოა ისტორიაში. საძმოს წევრები წლობით ელოდებიან და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სანდონი არიან, სანამ მიაღწევენ საძმოს უმაღლეს ეშელონებს და გაიგებენ, სად არის ეს საიდუმლო დაცული. არსებობს ამ ცოდნის დანაწილების მთელი სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ საძმოს წევრთა რაოდენობა ძალზე დიდია, მხოლოდ მისმა ოთხმა წევრმა იცის ერთსა და იმავე დროს, თუ სად არის დამალული ბარძიმი – დიდმა მაგისტრმა და მისმა სამმა სენეშალმა. იმის შესაძლებლობა, რომ ბაბუაშენი ამ ოთხი მთავარი ადამიანიდან ერთერთ იყო, ძალზე მცირეა.
ბაბუა ერთერთი მათგანი იყო, გაიფიქრა სოფიმ და აქსელერატორს ფეხი დააჭირა.
მეხსიერებაში ჰქონდა ჩაბეჭდილი სურათი, რომელიც უდავოდ ამტკიცებდა ბაბუას სტატუსს
საძმოში.
და თუნდაც შენი ბაბუა უმაღლეს ეშელონში ყოფილიყო, მას არასდროს ექნებოდა უფლება, გაემხილა რაიმე ვინმესთვის საძმოს ფარგლებს გარეთ. წარმოუდგენელია, რომ მას შენ შეეყვანე შიდა წრეში.
მე იქ უკვე ვიყავი, გაიფიქრა სოფიმ და წარმოიდგინა სარდაფში ნანახი რიტუალი.
ფიქრობდა, შეიძლებოდა თუ არა ახლა ლენგდონისთვის იმის მოყოლა, რასაც იმ ღამეს ნორმანდიულ ვილაში შეესწრო. ათი წელია, უბრალო სირცხვილის გამო სოფი ვერავის უყვებოდა იმ ამბავს. გაფიქრებაზეც კი აკანკალებდა. სადღაც შორს პოლიციის სირენების კივილი გაისმა და სოფიმ იგრძნო როგორ შემოეხვია დაღლილობის მოსასხამი.
სოფიმ გზა გაიკვლია მოედნისკენ. რამდენიმე ვიწრო ქუჩის გავლის შემდეგ, მათ იპოვეს აქსოს ქუჩის გადაკვეთა, იქით შეუხვიეს და ქუჩას ნომრების კლების მიმართულებით
გაუყვნენ. არემარე უფრო სამრეწველო რაიონს დაემსგავსა. ქუჩაზე სხვადასხვა ფირმები იყო ჩამწკრივებული.
ჩვენ ნომერი 24 გვჭირდება, უთხრა ლენგდონმა თავის თავს და მიხვდა, რომ ჰორიზონტს ეკლესიის წვეტიანი გუმბათის მოლოდინში ათვალიერებდა. ნუ ხარ სულელი.
რა უნდა ტამპლიერების მივიწყებულ ეკლესიას ამ უბანში?
აი, აქ არის, წამოიძახა სოფიმ და თითი გაიშვირა.
ლენგდონმა მზერა წინ მდგარ შენობაზე გადაიტანა.
რა ჯანდაბაა?
შენობა თანამედროვე იყო. ქვისგან აშენებული ციტადელის წვერზე ნეონის თანაბარმხრიანი ჯვარი ანათებდა. ჯვრის ქვევით კი ეწერა:
ციურიხის სადეპოზიტო ბანკი
ლენგდონი მადლობელი იყო, რომ სოფის არ გაუზიარა თავისი იმედები ტამპლიერების ეკლესიასთან დაკავშირებით. სიმბოლოლოგების პროფესიული ნაკლია მათი მუდმივი სწრაფვა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში აღმოაჩინონ დაფარული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მნიშვნელობა, იქ სადაც ხშირად ის სულ არ არის. ლენგდონს სულ გადაავიწყდა, რომ მშვიდობიანი, თანაბარმხრიანი ჯვარი ნეიტრალური შვეიცარიის დროშის სიმბოლოა. ყოველ შემთხვევაში, საიდუმლო ამოხსნილი იყო.

სოფის და ლენგდონს ხელში ეჭირათ შვეიცარიული სადიპოზიტო ბანკის გასაღები.

თავი 41

განდოლფოს ციხედარბაზს რომ მიადგნენ, ეპისკოპოსი არინგაროსა ფიატიდან გადმოვიდა და მაშინვე იგრძნო მთის ჰაერის სიგრილე. ანაფორაზე უფრო თბილი რამ უნდა ჩამეცვა, გაიფიქრა მან, თან კანკალის შეკავებას ცდილობდა. სულაც არ უნდოდა, რომ ამ ღამით სუსტი და შეშინებული ყოფილიყო.

ციხედარბაზი ჩაბნელებული იყო, თუ არ ჩავთვლით შენობის ბოლო სართულზე განათებულ ფანჯრებს, რომლებიც ავის მომასწავებლად იყო განათებული. ბიბლიოთეკა, გაიფიქრა არინგაროსამ. ღვიძავთ და მელოდებიან, თავი დახარა ქარის შემხვედრი მიმართულებით და გზა ისე განაგრძო, რომ ობსერვატორიის გუმბათისკენ არც გაუხედავს.

ბერი, რომელიც შესასვლელთან შეხვდა, ნამძინარევი იყო. ეს ისევ ის ბერი იყო, ხუთი თვის წინ რომ შეეგება არინგაროსას. ახლა იგი ნაკლებად სტუმართმოყვარე ჩანდა. ჩვენ ვღელავდით, ეპისკოპოსო უთხრა ბერმა, თან მაჯის საათს დახედა. იგი უფრო გაჯავრებული ჩანდა, ვიდრე შეწუხებული.

ბოდიშს ვიხდი. ავიახაზები დღეს აღარ არის საიმედო.

მღვდელმა რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნა და შემდეგ თქვა: ზევით გელიან. მე მიგაცილებთ.

ბიბლიოთეკა იყო უზარმაზარი კვადრატული სულ მთლად ხეში ჩამჯდარი ოთახი. ყოველ მხარეს ჭერამდე აღმართული წიგნის კარადები სავსე იყო ტომებით. ქარვისფერი მარმარილოს იატაკს შავი ბაზალტის არშია დაუყვებოდა, რაც შეგვახსენებდა, რომ ეს შენობა ოდესღაც სასახლე იყო.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ეპისკოპოსო, მოისმა ოთახის ბოლოდან კაცის ხმა.

არინგაროსა შეეცადა დაენახა, ვინ ლაპარაკობდა, მაგრამ სინათლე ძლივს ანათებდა, ბევრად უფრო სუსტად, ვიდრე პირველი ვიზიტის დროს. მაშინ ყველაფერი ელვარებდა. სრული სიფხიზლის ღამე იყო. ახლა კი ეს კაცები ისე ისხდნენ სიბნელეში, თითქოს რცხვენოდათ იმისი, რაც სულ მალე უნდა მომხდარიყო.

არინგაროსა ნელა, თითქმის მეფურად შევიდა. ოთახის შორეულ ბოლოში სამი კაცის სილუეტი მოჩანდა. ისინი გრძელ მაგიდასთან ისხდნენ. შუაში მჯდომის სილუეტი მაშინვე

იცნო. ეს იყო ვატიკანის მსუქანი სახელმწიფო მდივანი, იქ მიმდინარე ყველა სამართლებრივი საკითხის გამგებელი. დანარჩენი ორი მაღალი რანგის იტალიელი კარდინალი იყო.

არინგაროსამ ბიბლიოთეკა გადაკვეთა მათი მიმართულებით.

გულწრფელად გიხდით ბოდიშს ერთი საათით დაგვიანებისათვის. ჩვენ სხვადასხვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დროის სარტყელში ვიმყოფებით. თქვენ დაღლილები უნდა იყოთ.
სრულებითაც არაა, თქვა სახელმწიფო მდივანმა, ხელები თავის უზარმაზარ მუცელზე ჰქონდა დაწყობილი. ჩვენ მადლობელნი ვართ, რომ ჩამოხვედით. ერთადერთი,
რაც შეგვეძლო, ის იყო, რომ ფხიზლები დაგხვედროდით. ყავა ან გამაგრილებელი სასმელი ხომ არ შემოგთავაზოთ?
მე ვამჯობინებდი, რომ თავი არ მოვიტყუოთ, თითქოს ეს უბრალო ვიზიტი იყოს. მე სხვა თვითმფრინავს უნდა მივუსწრო. გადავიდეთ საქმეზე?
რა თქმა უნდა, თქვა მდივანმა. თქვენ უფრო სწრაფად იმოქმედეთ, ვიდრე ჩვენ გვეგონა.
ნუთუ?
კიდევ ერთი თვე გაქვთ.
თქვენ ხუთი თვის წინ გამაცანით ის, რას გაწუხებდათ. თქვა არინგაროსამ, რატომ უნდა მომეცადა?
მართლაც. ჩვენ ძალზე ნასიამოვნები ვართ თქვენი მიზანდასახულობით.
არინგაროსამ მზერა მოატარა მაგიდის მთელ სიგრძეს და შეჩერდა დიდ შავ პორტფელზე.
ეს ის არის, რაც მე მოვითხოვე?
ის არის, მდივანს ხმაში უხერხულობა ეტყობოდა. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ შეწუხებულნი ვართ მოთხოვნით. ეს თითქოს ძალზე...
თავისუფლება ძვირი ღირს. მე ჩემი უსაფრთხოება არ მაწუხებს. ღმერთი ჩემთანაა. მამაკაცები მართლაც დაეჭვებულნი ჩანდნენ.
თანხა ზუსტად ისეთია, როგორც მე მოვითხოვე?
მდივანმა თავი დაუქნია.
მაღალი დენომინაციის ფასიანი ქაღალდებია ვატიკანის ბანკიდან. მსოფლიოში ყველგან ნაღდი ფულის ძალა აქვს.
არინგაროსა მივიდა მაგიდის ბოლოსთან და დიპლომატი გახსნა. შიგ ფასიანი ქაღალდების ორი სქელი შეკვრა იყო, თითეულზე ვატიკანის ბეჭედი და წარწერა PORTATORE იყო ამოტვიფრული. ეს ქაღალდს გადახდისუნარიანს ხდიდა ნებისმიერი მფლობელისათვის.
მდივანი დაძაბული ჩანდა.
უნდა აღვნიშნო, უსამღვდელოესო, ყოველი ჩვეთაგანი ნაკლებად იქნებოდა შეშფოთებული, ეს თანხა ნაღდი ფული რომ ყოფილიყო.
ამდენ ნაღდ ფულს ვერ ავწევდი, გაიფიქრა არინგაროსამ, როდესაც დიპლომატს ხურავდა.
ფასიან ქაღელდებს ნაღდი ფულის ძალა აქვს. თქვენ თვითონ არ თქვით?
კარდინალებმა უხერხულად შეხედეს ერთმანეთს და ბოლოს ერთიერთმა თქვა. დიახ, მაგრამ ამ ფასიანი ქაღალდების კვალი მაძიებელს ვატიკანის ბანკში მიიყვანს.
არინგაროსას გულში გაეღიმა. სწორედ ამიტომაც ურჩია მოძღვარმა არინგაროსას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფული ვატიკანის ბანკის ფასიანი ქაღალდების სახით აეღო. ეს დაზღვევის მაგივრობას გაუწევდა. ჩვენ ახლა ყველანი ერთად ვართ ამაში გარეულნი.
ეს სრულიად კანონიერი გადარიცხვაა, თავი დაიცვა არინგაროსამ, ოპუს დეი ვატიკანის პირადი საპრელატოა და მის უწმინდესობას შეუძლია ისე განაგოს ფულადი თანხა, როგორც თავად თვლისსაჭიროდ. არანაირი კანონი აქ არ დარღვეულა.
მართალია, და მაინც... მდივანი წინ გადმოიხარა და სკამმა გაიჭრიალა მისი სხეულის სიმძიმის ქვეშ. ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რას უპირებთ ამ თანხას და
თუ თქვენი მიზანი რამენაირად არალეგალურია...
თუ გავითვალისწინებთ იმას, რის გაკეთებასაც მთხოვთ, შეეწინააღმდეგა არინგაროსა, რას გავაკეთებ ამ ფულით, ნამდვილად აღარ არის თქვენი საქმე.
სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა.
იციან, რომ მართალი ვარ, გაიფიქრა არინგაროსამ.
ახლა კი, მე მგონი, რაღაცას ხელი უნდა მოვაწერო.
სამივე წამოხტა. ქაღალდი ისეთი ენთუზიაზმით მიუწიეს, თითქოს მხოლოდ მისი აქედან წასვლა სურდათ.
არინგაროსამ შეათვალიერა ქაღალდი. ზედ პაპის ბეჭედი ერტყა.
ეს იმ ასლის იდენტურია, რომელიც მე გამომიგზავნეთ?
ზუსტად იგივეა.
არინგაროსას გაუკვირდა, თუ რამდენად უემოციოდ მოაწერა ხელი დოკუმენტს. სამმა კაცმა კი თითქოს შვებით ამოისუნთქა.
გმადლობთ, ეპისკოპოსო, უთხრა მდივანმა, თქვენი ამაგი ეკლესიაში არასოდეს მიეცემა დავიწყებას.
არინგაროსამ აიღო პორტფელი და მის სიმძიმეში იმედი და ძალაუფლება იგრძნო. ოთხმა მამაკაცმა ცოტა ხნით შეხედა ერთმანეთს, თითქოს კიდევ რაღაც ჰქონდათ სათქმელი, მაგრამ, როგორც ჩანს, აღარაფერი იყო დარჩენილი. არინგაროსა მიტრიალდა და კარისკენ გაემართა.
უსამღვდელოესო, დაიძახა ერთერთმა კარდინალმა, როდესაც არინგაროსამ ზღურბლს მიაღწია.
არინგაროსა შეჩერდა და შეტრიალდა.
დიახ!
აქედან საით მიდიხართ?
არინგაროსა მიხვდა, რომ შეკითხვა უფრო სულიერი იყო, ვიდრე გეოგრაფიული, მაგრამ არ სურდა, გვიან ღამით მორალური საკითხები განეხილა.
პარიზში, თქვა მან და გარეთ გავიდა.
თავი 42
ციურიხის სადეპოზიტო ბანკი დღეღამეში ოცდაოთხი საათის განმავლობაში სპეციალიზირებულ მომსახურებას სთავაზობდა კლიენტებს. ეს იყო მრავალფეროვანი ანონიმური მომსახურების სრული თანამედროვე პაკეტი შვეიცარიული ტიპის ნომრიანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანგარიშით. გარდა მოქმედი ოფისებისა ციურიხში, კუალალუმპურში, ნიუიორკსა და პარიზში, ბანკმა ბოლო წლებში გააფართოვა თავისი მომსახურების სფერო და შემოიღო ძვირფასეულობის შესანახი სეიფები კომპიუტერული კოდირებული მომსახურებით. ბანკის საქმიანობის "პური და ყველი" იყო მისი უძველესი და უმარტივესი სერვისი, ე.წ. "ანონიმური" სადეპოზიტო სეიფის ყუთები. კლიენტებს საშუალება ეძლეოდათ, სურვილისამებრ შეენახათ ძვირფასი ნივთები, სააქციო სერტიფიკატებით დაწყებული და ხელოვნების ნიმუშებით დამთავრებული. და შემდეგ ეს ნივთები ნებისმიერ დროს გამოეტანათ. მაღალტექნოლოგიური საშუალებების წყალობით პროცესი თავიდან ბოლომდე ანონიმურობის სრული დაცვით ხორციელდებოდა.

როდესაც სოფიმ ტაქსი დანიშნულების ადგილის წინ გააჩერა, ლენგდონმა თვალი შეავლო შენობის უკომპრომისო არქიტექტურას და მიხვდა, რომ ციურიხის სადეპოზიტო ბანკი ის ორგანიზაცია იყო, სადაც იუმორის გრძნობა მოიკოჭლებს. შენობა უფანჯრო იყო, მართკუთხედის ფორმისა, თითქმის მთლიანად გლუვი ფოლადისგან ჩამოსხმული. ეს შენობა, რომელიც უშველებელ ლითონის აგურს მოგაგონებდათ, გზის პირიდან კარგა დაშორებული იყო. მის ფასადს 15 ფუტის სიმაღლის ნეონის თანაბარმხრებიანი ჯვარი ანათებდა.

შვეიცარიისათვის საბანკო საქმეში საიდუმლოს შენახვა შემოსავლის ერთერთი ყველაზე მომგებიანი წყაროა. მაგრამ ხელოვანთა წრეებში, კარგა ხანია, არსებობს აზრი, რომ ასეთი მომსახურება გამართლებული არ არის. ეს ხომ იდეალური ადგილია, სადაც ხელოვნების ნიმუშთა ქურდებს წლობით შეუძლიათ ნაქურდალის შენახვა, ვიდრე ვნებათა ღელვა არ ჩაივლის. საკუთრების კანონები დეპოზიტებს პოლიციისაგან იცავს, თანაც ანგარიშებს მხოლოდ ნომრები აქვს და გვარებით არ არის ცნობილი. ამიტომაც ქურდები მშვიდად გრძნობენ თავს, რადგან მათ კვალზე პოლიციას ვერავინ და ვერაფერი მიიყვანს.

სოფიმ ტაქსი გააჩერა იმპოზანტურ ალაყაფის კართან, რომელიც ბანკის შენობასთან მისასვლელ სამანქანო გზას კეტავდა. თვით შენობას გარშემო ცემენტდასხმული პანდუსი ჰქონდა შემოვლებული. მაღლა დამონტაჟებული ვიდეოკამერა ზუსტად მათკენ იყო მომართული და ლენგდონი მიხვდა, რომ, ლუვრის კამერებისგან განსხვავებით, ეს ნამდვილი იყო.

სოფიმ სარკმლის მინა ჩამოსწია და მძღოლის მხარეს მიმაგრებული ელექტრონული დაფა დაათვალიერა. თხევადკრისტალური ეკრანი შვიდ ენაზე იძლეოდა მითითებებს. სია ინგლისურით იწყებოდა.

ჩასვით გასაღები

სოფიმ ჯიბიდან ოქროს ლაზერით დაწინწკლული გასაღები ამოიღო და დაფას მიუბრუნდა. ეკრანის ქვევითაც სამკუთხა ნახვრეტი იყო.

რატომღაც მგონია, რომ მოერგება, თქვა ლენგდონმა.

სოფიმ გასაღების სამკუთხა სახელური ნახვრეტს უსწორა, შემოარჭო და ჩააცურა, სანამ სახელური ხვრელში არ გაუჩინარდა. ამ გასაღებს გადატრიალება არ სჭირდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უეცრად, ალაყაფის კარი დაიძრა. სოფიმ მუხრუჭს ფეხი მოაცილა და მანქანა მეორე ალაყაფის კარისკენ დააგორა, სადაც მათ მეორე ელექტრონული დაფა ელოდებოდა. პირველი კარი მათ უკან ჩაიკეტა. ისინი მომწყვდეულნი აღმოჩნდნენ, როგორც გემი რაბებს შორის. ლენგდონს არ მოეწონა ჩაკეტილობის შეგრძნება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მეორე
ალაყაფის კარიც გაიღება.
მეორე დაფაზე უკვე ნაცნობი მითითება ეწერა.
ჩასვით გასაღები.
სოფიმ გასაღები ნახვრეტს მოარგო და მეორე ალაყაფის კარიც მაშინვე გაიღო. ცოტა ხნის შემდეგ ისინი უკვე გზას მიიკვლევდნენ პანდუსით შენობის შუაგულისკენ. კერძო გარაჟი პატარა და თითქმის ჩაბნელებული იყო. აქ ასე თორმეტიოდე მანქანის დასაყენებელი ადგილი თუ იქნებოდა. შორეულ ბოლოში ლენგდონმა შენობის მთავარი შესასვლელი შეამჩნია. ცემენტის იატაკზე წითელი ხალიჩა იყო დაფენილი, რომელიც მომსვლელებს ეგებებოდა და მთლიანი ლითონისაგან ჩამოსხმული უშველებელი კარისაკენ მიჰყავდა.
ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას იძლევიან, გაიფიქრა ლენგდონმა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და არ შემოხვიდეთ.
სოფიმ მანქანა შესასვლელთან ახლოს სპეციალურ სადგომზე გააჩერა და ძრავა გამორთო.
ჯობია, იარაღი აქ დატოვო.
სიამოვნებით, გაიფიქრა ლენგდონმა და პისტოლეტი სავარძლის ქვეშ შეაცურა.
სოფი და ლენგდონი მანქანიდან გადმოვიდნენ და წითელ ხალიჩას გაუყვნენ კარისკენ, რომელიც ფოლადის კედელს უფრო ჰგავდა. კარს სახელური არ ჰქონდა, მაგრამ მის გვერდით კედელზე კიდევ ერთი სამკუთხა ნახვრეტი იყო გასაღებისათვის. ამჯერად არავითარი მითითება არ იყო მოცემული.
ჩლუნგებისგან დაცულები არიან, თქვა ლენგდონმა. სოფიმ ნერვიულად ჩაიცინა.
აბა, ვცადოთ, მან გასაღები ნახვრეტში შეარჭო და კარი ჩუმი გუგუნით გაიღო. სოფიმ და ლენგდონმა ერთმანეთს გადახედეს და შევიდნენ. კარი მათ უკან ყრუ ხმით დაიხურა. ციურიხის სადეპოზიტო ბანკის ვესტიბიული ისე იმპოზანტურად იყო გაფორმებული, რომ მსგავსი ლენგდონს არასოდეს ენახა. ბანკების უმრავლესობა მხოლოდ ჩვეულებრივი გაპრიალებული მარმარილოთი და გრანიტით კმაყოფილდებოდა. ამ ბანკს კი გარს კედლიდან კედლამდე გადაჭიმული დამოქლონებული ლითონის პანელები ერტყა.
ნეტა ვინ გაუკეთა ინტერიერის დიზაინი? გაიფიქრა ლენგდონმა. ნუთუ ლითონჩამომსხმელმა კომპანია “ელაიედ სტილმა”?
სოფიმ დერეფანი მოათვალიერა. ისიც დამფრთხალი ჩანდა. ყველგანრუხი ლითონი იყო იატაკზე, კედლებზე, დახლებთან, კარებებზე, დერეფნის სკამებიც კი თითქოს თუჯისაგან იყო ჩამოსხმული. მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი შთამბეჭდავ ეფექტს ახდენდა. აზრი გასაგები იყო: თქვენ სეიფში ბრძანდებით.
როდესაც შევიდნენ, გადატიხრულს იქით მდგარმა მხარბეჭიანმა კაცმა ამოხედა. მან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პატარა ტელევიზორი გამორთო და მოსულებს სასიამოვნო ღიმილით შეეგება. მიუხედავად
მისი შთამბეჭდავი კუნთებისა და ქამარზე დამაგრებული იარაღისა, ის ძალზე
ზრდილობიანი იყო, სწორედ ისეთი, როგორიც შვეიცარიელი ლაქია უნდა ყოფილიყო.
Bonsoir, თქვა მან. რით გემსახუროთ?
ორენოვანი მისალმება ევროპელი მასპინძლის სტუმართმოყვარეობის გამომხატველი
უახლესი წესი იყო. არაფერს ნიშნავდა, უბრალოდ, საშუალებას აძლევდა სტუმარს, პასუხი
იმ ენაზე გაეცა, რომელიც უფრო მოსახერხებელი იყო მისთვის.
სოფიმ არც ერთ ენაზე არ უპასუხა. მან უბრალოდ კაცს წინ დახლზე ოქროს გასაღები
დაუდო.
კაცმა დახედა და მაშინვე გასწორდა.
რა თქვა უნდა. თქვენი ლიფტი დარბაზის ბოლოშია. ვინმეს შევატყობინებ, რომ თქვენ
მოდიხართ.
სოფიმ თავი დაუქნია და გასაღები აიღო.
რომელ სართულზეა?
კაცმა გაოცებით შეხედა.
თქვენი გასაღები ეუბნება ლიფტს, რომელ სართულზე ავიდეს.
სოფიმ გაიღიმა.
დიახ, რა თქმა უნდა.
მცველი თვალს აყოლებდა ორ ახალმოსულს, სანამ ისინი ლიფტთან არ მივიდნენ,
გასაღები ნახვრეტში არ გაუყარეს, ლიფტის კაბინაში არ შევიდნენ და არ გაუჩინარდნენ.
როგორც კი ლიფტის კარი დაიხურა, მან ტელეფონის ყურმილი აიღო. იგი არავის არ
აფრთხილებდა. ეს საჭირო არ იყო. სეიფის მცველი ავტომატურ გაფრთხილებას მაშინვე
იღებდა, როგორც კი კლიენტი გასაღებს პირველ კარს მოარგებდა.
მცველი სინამდვილეში ბანკის ღამის მენეჯერს ურეკავდა. როგორც კი მენეჯერს
დაუკავშირდა, ისევ ჩართო ტელევიზორი და ეკრანს მიაშტერდა. ახალი ამბები ახლა უკვე
თავდებოდა. არა უშავს. მან კიდევ ერთხელ შეათვალიერა ახალმოსულთა ახლა უკვე
ტელევიზორის ეკრანზე გამოჩენილი სახეები. ღამის მენეჯერმა ყურმილი აიღო.
Oui?
ჩვენ აქ განსაკუთრებული მდგომარეობა გვაქვს.
რა ხდება? ჩაეკითხა მენეჯერი.
საფრანგეთის პოლიცია ორ გაქცეულს ეძებს.
მერე?
ეს წუთია, ორივე ჩვენს ბანკში შემოვიდა.
მენეჯერმა ჩუმად შეიგინა.
კეთილი, მე სასწრაფოდ დავუკავშირდები ბატონ ვერნეს.
მცველმა ლაპარაკი დაამთავრა და მაშინვე ახალი ნომერი აკრიფა, ამჯერად
ინტერპოლისა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონს გაუკვირდა, როდესაც იგრძნო, რომ ლიფტს ზევით კი არ აჰყავდა ისინი, არამედ ქვევით. წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რამდენი სართულით ქვევით ჩავიდნენ ციურიხის სადეპოზიტო ბანკის მიწის სიღრმეში, სანამ კარი ისევ გაიღებოდა. თუმცა ამის ჯავრი არ ჰქონდა. ძლივს ამოისუნთქა, როცა ბოლოს და ბოლოს ლიფტიდან გამოვიდა. შთამბეჭდავი იყო მასპინძლის მონდომება, რადგან იგი უკვე ლიფტთან ეგებებოდა. ეს იყო სასიამოვნო ასაკოვანი მამაკაცი, რომელსაც კარგად დაუთოებული ფლანელის კოსტიუმი ეცვა და შეუსაბამოდ გამოიყურებოდა ძველი დროის საბანკო კლერკი მაღალი ტექნოლოგიების გარემოცვაში.

Bonsoir, თქვა კაცმა. საღამო მშვიდობისა, თუ შეიძლება გამომყევით, s'il vous plait?

პასუხისათვის არ დაუცდია, ისე შემოტრიალდა ქუსლებზე და ცოცხალი ნაბიჯით გაუყვა ვიწრო ლითონის დერეფანს.

ლენგდონმა და სოფიმ დერეფანთა მთელი რიგი გაიარეს, უკან მოიტოვეს მოციმციმე კომპიუტერებით სავსე რამდენიმე ვრცელი ოთახი.

Voici, თქვა მასპინძელმა და სქელი ფოლადის კარი გაუღო. მობრძანდით

ლენგდონი და სოფი სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ. ეს პატარა ოთახი შესანიშნავი სასტუმროს მდიდრულ ნომერს ჰგავდა. აქ ლითონი და მოქლონები აღარსად ჩანდა. სამაგიეროდ იქაურობა მორთული იყო აღმოსავლური ხალიჩებით, მუქი ფერის მუხის ავეჯით და რბილი სკამებით. ოთახის შუაში მდგარ ფართო მაგიდაზე იდგა ორი ბროლის ჭიქა და პერიეს ბოთლი, რომელიც ახალი გახსნილი იყო და შიგ ბუშტები ჯერ ისევ შუშხუნებდა. გვერდით თუჯის ყავის მადუღარაში ახლად მოხარშულ ყავას ოხშივარი ასდიოდა.

საათივით მუშაობენ, გაიფიქრა ლენგდონმა. ეს მხოლოდ შვეიცარიელებს შეუძლიათ. მამაკაცმა გაგებით გაუღიმა.

ვხვდები, რომ ეს თქვენი პირველი ვიზიტია ჩვენთან.

სოფი შეყოყმანდა, მერე კი თავი დაუქნია.

გასაგებია. გასაღები ხშირად მემკვიდრეობით გადადის და ჩვენთან ახლად მოსული მფლობელები წესდებას არ იცნობენ, მან სასმელიანი მაგიდისკენ მიუთითა. ეს ოთახი თქვენს განკარგულებაშია, სანამ გჭირდებათ.

თქვენ თქვით, რომ გასაღები ხანდახან მემკვიდრეობით გადადის?

დიახ. თქვენი გასაღები მოქმედებს როგორც შვეიცარიულნომრიანი ანგარიში, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას. ჩვენი ოქროს ანგარიშის ლიზინგის ყველაზე ხანმოკლე ვადა 50 წელია, წინასწარი გადახდით, რა თქმა უნდა. ასე რომ, ჩვენ ოჯახში თაობათა ცვლის მოწმეები ვხდებით.

ლენგდონი მოლაპარაკეს მიაშტერდა.

თქვენ თქვით, 50 წელიო?

ყველაზე ნაკლები, უპასუხა მასპინძელმა, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ უფრო ხანგრძლივი დროითაც იქირაოთ. მაგრამ, თუ შემდგომი შეთანხმებები გაუქმებულია, თუ ანგარიშზე 50 წლის განმავლობაში არანაირი მოძრაობა არ არის, უსაფრთხო სადეპოზიტო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყუთის შემცველობა ავტომატურად ნადგურდება. გნებავთ მოგახსენოთ თქვენი სადეპოზიტო
ყუთის მიღებისთვის საჭირო პროცესების შესახებ?
სოფიმ თავი დაუქნია.
დიახ, თუ შეიძლება.
მასპინძელმა ხელი მოავლო მდიდრულ სალონს.
ეს თქვენი კერძო დასათვალიერებელი ოთახია. როდესაც მე გავალ, თქვენ შეგიძლიათ იმდენ ხანს დაყოთ აქ, რამდენიც დაგჭირდებათ, რომ თქვენი უსაფრთხო სადეპოზიტო ყუთის შიგთავსი შეამოწმოთ. ყუთი მოვა... აქ. მან ისინი მოშორებულ კედელთან მიიყვანა, სადაც ოთახში დახვეულ მრუდე ხაზად ფართო კონვეიერი შემოდიოდა. ის რაღაცით აეროპორტის ბარგის მისაღებ კონვეიერს წააგავდა, ათავსებთ თქვენს გასაღებს აი იმ ნახვრეტში, მამაკაცმა დიდ ელექტრონულ დაფაზე მიუთითა, რომელიც კონვეიერს უყურებდა. მას უკვე ნაცნობი სამკუთხა ხვრელი ჰქონდა, როდესაც კომპიუტერი სპეციალურ ნიშნებს ამოიკითხავს თქვენს გასაღებზე. შეგყავთ თქვენი ანგარიშის ნომერი და თქვენი დაცული სადეპოზიტო ყუთი ავტომატურად ამოვა სეიფიდან,
რათა მისი შიგთავსი იხილოთ. როდესაც ყუთი აღარ დაგჭირდებათ, დადგამთ ისევ კონვეიერზე, ისევ გაუყრით გასაღებს ნახვრეტში და პროცესი შებრუნებული სვლით მიმდინარეობს. რადგანაც ყველა მოქმედება ავტომატურია, თქვენი საიდუმლოს უსაფრთხოება გარანტირებულია თვით ბანკის მომსახურეთა მხრიდანაც კი. თუ რაიმე დაგჭირდეთ, უბრალოდ დააჭირეთ თითი გამოძახების ღილაკს ოთახის ცენტრში მდგარ მაგიდაზე.
ისის იყო, სოფის კითხვა უნდა დაესვა, რომ ტელეფონმა დარეკა. მათი მასპინძელი დაბნეული და შეცბუნებული ჩანდა, გთხოვთ მაპატიეთ, იგი ტელეფონთან მივიდა, რომელიც მაგიდაზე იდგა ყავის და პერიეს გვერდით.
Oui. უპასუხა მან.
ერთხანს უსმენდა, მერე წარბები შეეჭმუხნა. “Oui... Oui... d’acord.” ტელეფონი გათიშა და სოფის და ლენგდონს უხერხულად გაუღიმა.
მაპატიეთ, ახლა უნდა დაგტოვოთ. თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში.
და სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარისკენ.
უკაცრავად, დაუძახა სოფიმ. შეგიძლიათ რაღაც ამიხსნათ, სანამ წახვალთ? თქვენ ახსენეთ, რომ ანგარიშის ნომერი უნდა შევიყვანოთ?
მამაკაცი კართან შეჩერდა. ფერდაკარგული იყო.
რა თქმა უნდა. ისევე, როგორც თითქმის ყველა შვეიცარიულ ბანკში, ჩვენი ყველა დაცული სადეპოზიტო ყუთი რეგისტრირებულია ნომრით და არა გვარით. კლიენტს აქვს გასაღები და პირადი ანგარიშის ნომერი, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ცნობილი. გასაღები კლიენტის იდენტიფიცირების მხოლოდ ნახევარია. მეორე ნახევარი არის ანგარიშის ნომერი. სხვა შემთხვევაში, თქვენ გასაღები რომ დაკარგოთ, მას ხომ ყველა გამოიყენებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფი შეყოყმანდა.
მაგრამ თუ ჩემმა კეთილისმყოფელმა არავითარი ანგარიშის ნომერი არ გადმომცა? ბანკირს გული აჩქარებულად უცემდა. მაშინ თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ! მან წყნარად გაუღიმა სოფის და ლენგდონს.
ვინმეს ვთხოვ, რომ დაგეხმაროთ. მალე მოვა.
ბანკირი ოთახიდან გავიდა, კარი მოხურა და მძიმე საკეტი გადაატრიალა. კარი გარედან ჩაიკეტა.
ქალაქის ბოლოში, კოლე ჩრდილოეთის სადგურის მატარებლების ტერმინალში იდგა, როდესაც მისმა ტელეფონმა დარეკა.
ეს ფაში იყო.
ინტერპოლმა ცნობა მიიღო, უთხრა მან, თავი გაანებე მატარებელს. ლენგდონი და ნევე ამ წუთას ციურიხის სადეპოზიტო ბანკის პარიზის ფილიალში შევიდნენ. ახლავე შენი
ხალხი მჭირდება იქ.
რამე გაირკვა, რის თქმას ცდილობდა სონიერი ნევესა და რობერტ ლენგდონისათვის?
ფაში ცივი ტონი ჰქონდა.
თუ მათ დააპატიმრებთ, ლეიტენანტო კოლე, მაშინ შესაძლებლობა მომეცემა, ეს მათ პირადად ვკითხო.
კოლე მიხვდა რასაც გულისხმობდა ფაში.
აქსოს ქუჩა 24, ახლავე კაპიტანო. კოლემ ტელეფონი გათიშა და რაციით დაუკავშირდა თავის ხალხს.
თავი 43
ანდრე ვერნე ციურიხის სადეპოზიტო ბანკის პარიზის ფილიალის პრეზიდენტი ბანკის თავზე მოწყობილ მშვენიერ ბინაში ცხოვრობდა. მიუხედავად მდიდრულად მორთული აპარტამენტებისა, იგი ყოველთვის ოცნებობდა, სახლი ჰქონოდა მდინარის პირას, სენ ლუიანლილში, სადაც ჭეშმარიტ არისტოკრატებს შორის იცხოვრებდა, აქ კი მხოლოდ ბინძურ მდიდრებთან ჰქონდა ურთიერთობა.
როდესაც პენსიაზე გავალ, ეუბნებოდა ვერნე თავის თავს, მარანს იშვიათი ბორდოთი ავავსებ, სალონს მოვრთავ ფრაგონარით და, შესაძლოა, ბუშეც დავუმატო და დროს ლათინურ კვარტალში ანტიკვარული ავეჯისა და იშვიათი წიგნების ძებნაში გავატარებ.
მხოლოდ ექვსნახევარი წუთი იყო, რაც ვერნე გააღვიძეს, და მაინც, როდესაც ის ბანკის მიწისქვეშა დერეფანს ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს პირადმა მკერავმა და დალაქმა გამოსვლის წინ გულმოდგინედ გააპრიალეს. აბრეშუმის კოსტიუმში გამოწყობილმა ვერნემ გზად ცოტაოდენი სუნთქვის გასაუმჯობესებელი დეზოდორანდი შეისხურა პირში და ჰალსტუხი მოიჭირა. ვერნე მიჩვეული იყო სხვადასხვა
საათობრივი სარტყელიდან ჩამოსული კლიენტების დასახმარებლად ნებისმიერ დროს გაღვიძებას. ამაში დაეხმარა ძილის ჩვევები, რომლებიც მასაის მეომრებისაგან გადმოიღო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ აფრიკული ტომის წარმომადგენლები ცნობილნი არიან იმით, რომ შეუძლიათ ძალიან ღრმა ძილიდან რამდენიმე წამში გამოფხიზლება და თავის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა.
საბრძოლო მზადყოფნა, ფიქრობდა ვერნე და თან შიშობდა, რომ ამ ღამით ეს შედარება ისე შეეფერებოდა ვითარებას, როგორც არასდროს. ოქროს გასაღების მქონე კლიენტის ვიზიტი მისგან ყოველთვის დამატებით ყურადღებას მოითხოვდა, მაგრამ ოქროსგასაღებიანი კლიენტის ვიზიტი, რომელსაც პოლიცია ეძებს, განსაკუთრებით დელიკატური საქმე იყო. ბანკს ბევრი ბრძოლა გადაუტანია, როდესაც პოლიცია, კანონზე დაყრდნობით, დანაშაულში ეჭვმიტანილი ზოგიერთი კლიენტის დაკავებას მოითხოვდა. ბანკი, რომლის მომსახურება გულისხმობდა კლიენტის პიროვნების საიდუმლოს დაცვასა და ქონების უსაფრთხოებას, ითხოვდა სამხილს, რაც პოლიციას ყოველთვის არ გააჩნდა. ხუთი წუთი, უთხრა ვერნემ. ეს ხალხი მანამდე უნდა გავიყვანო ჩემი ბანკიდან, სანამ პოლიცია მოვა.
თუ სწრაფად იმოქმედებდა, შეეძლო ეს მოსალოდნელი უსიამოვნება მოხერხებულად აეცდინა თავიდან. ვერნეს შეეძლო პოლიციისთვის ეთქვა, რომ ძებნილები მართლაც შევიდნენ ბანკში, როგორც იყო მოხსენებული, მაგრამ ისინი მათი კლიენტები არ აღმოჩნდნენ, ვინაიდან ანგარიშის ნომრები არ აღმოაჩნდათ. ამის გამო მათ მომსახურებაზე უარი უთხრეს. ნეტა იმ წყეულ დარაჯს არ დაერეკა ინტერპოლისათვის. საათში 15 ევროს ანაზღაურების მქონე მცველს კეთილგონიერება აშკარად არ ახასიათებდა.
იგი შესასვლელთან შეჩერდა. ღრმად ჩაისუნთქა და მოდუნდა. შემდეგ სასიამოვნო ღიმილი გამოიხატა სახეზე, კარი შეაღო და თბილი ნიავივით შესრიალდა ოთახში.
საღამო მშვიდობისა, თქვა მან და თვალით თავისი კლიენტები მოძებნა. მე ანდრე ვერნე ვარ. როგორ შემიძლია დაგეხ... წინადადების დასასრული სადღაც ხორხის ქვეშ დარჩა. მის წინ მდგარი ქალი ისეთი სტუმარი იყო, როგორიც მას არასოდეს არ ჰყოლია.
უკაცრავად, ჩვენ შევხვედრივართ? ჰკითხა მას სოფიმ. ბანკირი ვერ იცნო. მას კი ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მოჩვენება დაინახაო.
არა... ჩაიბუტბუტა ბანკის პრეზიდენტმა. არა... ასე მგონია. ჩვენი მომსახურება ანონიმურია, ძლივს ამოისუნთქა მან და ძალდატანებით გაიღიმა. ჩემმა ასისტენტმა მითხრა, რომ თქვენ ოქროს გასაღები გაქვთ, მაგრამ არ გაქვთ ანგარიშის ნომერი? შეიძლება გკითხოთ, როგორ ჩაგივარდათ ხელში ეს გასაღები?
ბაბუამ მომცა, უპასუხა სოფიმ და ყურადღებით დააკვირდა კაცს. მისი შეცბუნება ახლა უფრო აშკარა იყო.
მართლა? ბაბუამ მოგცათ გასაღები და ანგარიშის ნომერი არ მოუცია?
მე მგონი, ვერ მოასწრო, თქვა სოფიმ, იგი ამ ღამით მოკლეს.
სოფის სიტყვებმა კაცი აიძულეს უკანუკან ბარბაცით წასულიყო, ჟაკ სონიერი მკვდარია? იკითხა მან და თვალები შიშით აევსო, კი მაგრამ... როგორ?!
ახლა სოფიმ დაიხია უკან შოკისაგან დამუნჯებულმა. თქვენ რა, იცნობდით ბაბუას? ბანკირი ვერნე სოფის მსგავსად იყო გაოგნებული და მაგიდის კიდეს ეყრდნობოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ არ წაქცეულიყო. ჟაკი და მე ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით. როდის მოხდა ეს?
ამ ღამით. ლუვრში.
ვერნე ღრმა ტყავგადაკრული სკამისკენ წავიდა და შიგ ჩაეშვა, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა უნდა დაგისვათ ორივეს. მან ჯერ ლენგდონს ახედა მერე სოფის, რომელიმე დაკავშირებული ხართ რამით მის სიკვდილთან?
არა! განაცხადა სოფიმ. სრულიად არაფრით.
ვერნეს ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა. ის ფიქრობდა, თქვენს სურათებს ინტერპოლი ავრცელებს. აი ამით გიცანით. თქვენ მკვლელობაში ხართ ეჭვმიტანილი.
სოფი მძიმედ დაეშვა სკამზე. ფაშმა უკვე ინტერპოლი ჩართო? ჩანს, კაპიტანი იმაზე მონდომებული აღმოჩნდა, ვიდრე სოფის ეგონა. მან სწრაფად აუხსნა ვერნეს, ვინ იყო ლენგდონიდა უამბო, თუ რა მოხდა ლუვრში ამ ღამით.
ვერნე გაოგნებული ჩანდა.
და ბაბუათქვენი რომ კვდებოდა, შეტყობინება დაგიტოვათ, რომელიც ბატონი ლენგდონის მოძებნას გირჩევდათ?
დიახ. და აი ეს გასაღები. სოფიმ გასაღები ვერნეს წინ დაუდო ყავის მაგიდაზე. მონასტრის ბეჭედი არ ჩანდა.
ვერნემ თვალი შეავლო გასაღებს და არც კი უფიქრია, ხელით შეხებოდა. მან მხოლოდ ეს გასაღები დაგიტოვათ? სხვა არაფერი? არავითარი ფურცლის ნაგლეჯი?
სოფიმ იცოდა, რომ ლუვრში ყოფნისას იგი ჩქარობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ კარგად დაათვალიერა მადონა მღვიმეში. სურათის უკან მეტი არაფერი იყო.
არა. მხოლოდ გასაღები.
ვერნემ უიმედოდ ამოიოხრა.
სამწუხაროდ, ყოველი გასაღები ელექტრონულად არის დაწყვილებული ათციფრიან ანგარიშის ნომერთან, რომელიც კოდის როლს ასრულებს. იმ ნომრის გარეშე თქვენს გასაღებს არავითარი ფასი არა აქვს.
ათი ციფრი. სოფიმ უხალისოდ დაითვალა კრიპტოგრაფიული ვარიანტები. არსებობს ათი მილიარდი შესაძლებელი ვარიანტი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიციის ყველაზე ძლიერი ერთდროულად პროცესირებადი კომპიუტერების გამოყენებას შეძლებდა, მას კვირები დასჭირდებოდა კოდის ამოსახსნელად.
დარწმუნებული ვარ, მესიე, თუ გარემოებას გავითვალისწინებთ, თქვენ შეძლებთ ჩვენს დახმარებას.
ვწუხვარ. მართლაც ვერაფერს ვიღონებ. კლიენტები თავიანთ ანგარიშის ნომრებს დაცული ტერმინალის საშუალებით ირჩევენ, და იგულისხმება, რომ ეს ნომერი იციან მხოლოდ კლიენტმა და კომპიუტერმა. ეს ერთადერთი გზაა, რომლის საშუალებითაც უზრუნველვყოფთ ანონიმურობას. და აგრეთვე ჩვენი თანამშრომლების უსაფრთხოებას.
სოფიმ გაიგო. თვითმომსახურების მაღაზიებშიც იგივე კეთდება. თანამშრომლებს არა აქვთ სეიფის გასაღებები. თანამშრომელს საფრთხე არ ემუქრებოდა იმ შემთხვევაში, თუ, ვთქვათ, ვინმე გასაღებს მოიპარავდა და ბანკის თანამშრომელს მძევლად აიყვანდა, რომ ანგარიშის ნომერი გაეგო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფი ლენგდონის გვერდით დაჯდა, შეხედა გასაღებს და შემდეგ ვერნეს ახედა.
 გაქვთ რაიმე წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რას ინახავს ბაბუა თქვენს ბანკში?
 არავითარი. ეს ბანკის წესდების დარღვევა იქნებოდა.
 მონსიეურ ვერნე, დაიჟინა სოფიმ, ამ ღამით ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვაქვს. მე, თუ ნებას მომცემთ, ძალიან პირდაპირი ვიქნები. მან ხელი გაიწოდა ოქროს გასაღებისკენ და გადაატრიალა, თან კაცის თვალებს უყურებდა როდესაც სიონის მონასტრის ბეჭედი გამოაჩინა. ეს სიმბოლო გასაღებზე რაიმეს ხომ არ გეუბნებათ?
ვერნემ დახედა ბეჭედზე გამოსახულ შროშანს და არავითარი რეაქცია არ ჰქონდა.
 არა, მაგრამ ბევრი ჩვენი კლიენტი ამოტვიფრავს ხოლმე თავიანთ გასაღებებზე კომპანიის ლოგოს ან ინიციალებს.
სოფიმ ამოიოხრა და ისევ ყურადღებით დააკვირდა ვერნეს.
 ეს ბეჭედი სიმბოლოა საიდუმლო საზოგადოებისა, რომელიც ცნობილია, როგორც სიონის საძმო.
ვერნე არც ახლა შეტოკებულა.
 არაფერი არ ვიცი ამის შესახებ. თქვენი ბაბუა ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ ჩვენ უმეტესწილად ბიზნესზე ვსაუბრობდით, კაცმა ჰალსტუხი გაისწორა. ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა.
 Monsieur ვერნე, არ მოეშვა სოფი. ამ საღამოს ბაბუამ დამირეკა და მითხრა, რომ მე და შენ საშინელი საფრთხე გვემუქრებაო. მითხრა, რომ რაღაც უნდა მოეცა ჩემთვის. მან მომცა თქვენი ბანკის გასაღები. ახლა ის მკვდარია. ყველაფერი, რასაც კი გვეტყვით, დაგვეხმარება.
ვერნეს ოფლმა დაასხა.
 ჩვენ ამ შენობიდან უნდა გავიდეთ. ძალიან მალე აქ პოლიცია გაჩნდება. ჩემმა მცველმა თავი მოვალედ ჩათვალა, რომ ინტერპოლისათვის დაერეკა.
სოფისაც სწორედ ამის ეშინოდა. მან უკანასკნელად სცადა.
 ბაბუამ მითხრა, რომ სიმართლე უნდა ეთქვა ოჯახის შესახებ. ეს თქვენ რამეს გეუბნებათ?
 ქალბატონო, თქვენი ოჯახი ავტოავარიაში დაიღუპა, როცა თქვენ პატარა იყავით. ვწუხვარ. ვიცი, რომ ბაბუას ძალიან უყვარდით. რამდენჯერ უთქვამს, თუ როგორ განიცდიდა თქვენთან დაშორებას.
სოფიმ არ იცოდა, როგორ ეპასუხა. ახლა ლენგდონმა იკითხა:
 ამ ანგარიშის შემცველობას აქვს რაიმე კავშირი სანგრილთან?
ვერნემ მას უცნაური გამომეტყველებით შეხედა.
 წარმოდგენა არა მაქვს, რას მეუბნებით.
სწორედ ამ დროს ვერნეს მობილურმა დარეკა.
 Oui? მან მოისმინა რასაც ეუბნებოდნენ, სახეზე გაკვირვება და თანდათან მზარდი შეშფოთება ეხატებოდა. La police? Si rapidement? შეიკურთხა, რამდენიმე სწრაფი მითითება გასცა ფრანგულად და უთხრა, დარბაზში ძალიან მალე ამოვალო.
ტელეფონი რომ გათიშა, კვლავ სოფის მოუბრუნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოლიცია ამჯერად უფრო სწრაფად გამოეხმაურა სიგნალს, ვიდრე ოდესმე. ახლა, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, ისინი ბანკს უახლოვდებიან.
სოფის არ უნდოდა, ხელცარიელი დარჩენილიყო.
უთხარით, რომ ჩვენ ვიყავით და უკვე წავედით. თუ ბანკისგაჩხრეკას მოინდომებენ, ჩხრეკის ორდერი მოსთხოვეთ. ამას დრო დასჭირდება.
მომისმინეთ, თქვა ვერნემ, ჟაკი ჩემი მეგობარი იყო და ჩემს ბანკს ასეთი ზეწოლა არ სჭირდება. ამ ორი მიზეზის გამო არ დავუშვებ, რომ ჩემს ტერიტორიაზე დაგაკავონ. ცოტა დამაცალეთ და მოვიფიქრებ, როგორ გაგიყვანოთ აქედან შეუმჩნევლად. ამაზე მეტად ამ საქმეში ვერ ჩავერევი. იგი ადგა და აჩქარებული ნაბიჯით წავიდა კარისკენ, აქ დარჩით. მე მოვამზადებ, რაც საჭიროა და ძალიან მალე მოვბრუნდები.
მაგრამ სეიფის სადეპოზიტო ყუთი, გამოაცხადა სოფიმ. ჩვენ ასე უბრალოდ ვერ წავალთ აქედან.
ვერაფრით დაგეხმარებით, უთხრა ვერნემ და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან, ვწუხვარ.
სოფი ერთხანს მას მიშტერებოდა და ფიქრობდა, ნუთუ ანგარიშის ნომერი ერთერთ იმ უთვალავ წერილსა თუ ამანათშია დამარხული, ბაბუა რომ მიგზავნიდა წლების მანძილზე
და რომლებსაც არც კი ვხსნიდიო.
უცებ ლენგდონი ადგა და სოფიმ მოულოდნელი კმაყოფილების სხივი შენიშნა მის თვალებში.
რობერტ? შენ იღიმები.
ბაბუაშენი გენიოსი იყო.
რა?
ათი ციფრი.
სოფის წარმოდგენა არ ჰქონდა რაზე ლაპარაკობდა ლენგდონი.
ანგარიშის ნომერი, თქვა მან და ნაცნობმა ირიბმა ღიმილმა გადაუარა. რა თქმა უნდა, დაგვიტოვა.
სად?
ლენგდონმა დანაშაულის ადგილის ფოტოს ამონაბეჭდი ამოაძვრინა და ყავის მაგიდაზე გაშალა. სოფის მხოლოდ პირველი ხაზის წაკითხვა დასჭირდა, რომ მიმხვდარიყო. ლენგდონი მართალი იყო.
1332211185
ო, ზვიადი დემონის ნალაჩრალნო
P.S. მოძებნე რობერტ ლენგდონი
თავი 44
ათი ციფრი, თქვა სოფიმ და იგრძნო, როგორ აეშალა შინაგანი კრიპტოგრაფული შეგრძნებები, როცა ამონაბეჭდს აკვირდებოდა.
1332211185
GrandPereმა ანგარიშის ნომერი ლუვრის იატაკზე დაწერა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც სოფიმ პირველად ნახა პარკეტზე დაჩხაპნილი ფიბონაჩის მწკვრივი,
ჩათვალა, რომ ბაბუას ძირითადი მიზანი ის იყო, რომ პოლიციისათვის ეკარნახა, მოეწვიათ
კრიპტოგრაფები და პირადად სოფი ჩაერთოთ გამოძიების პროცესში. მოგვიანებით კი
მიხვდა, რომ ციფრები იმის გასაღებიც იყო, როგორ გაეშიფრათ დანარჩენი სტრიქონები
არეული თანმიმდევრობა... ციფრული ანაგრამა. ახლა სოფი გაოგნებული ხედავდა, რომ
ციფრებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აზრიც ჰქონია. ეს საიდუმლო უსაფრთხო
სადეპოზიტო ყუთის საბოლოო გასაღები იყო.
ის ორმაგი მნიშვნელობის სპეციალისტი იყო, თქვა სოფიმ და ლენგდონს
მიუბრუნდა, მას უყვარდა ყველაფერი, რასაც რამდენიმე შრე ჰქონდა. კოდში დამალული
კოდი. ლენგდონი უკვე ელექტრონული დაფისკენ მიეშურებოდა. სოფიმ კომპიუტერულ
ამონაბეჭდს დასტაცა ხელი და უკან გაჰყვა.
დაფას ისეთივე საინფორმაციო პანელი ჰქონდა, როგორც ბანკომატს. ეკრანზე
გამოსახული იყო ბანკის ჯვრის ფორმის ლოგო. გასაღების დასადებს გვერდით სამკუთხა
ნახვრეტი ჰქონდა. სოფიმ გასაღების წვერი ხვრელში შეაცურა.
ეკრანზე ინფორმაცია მაშინვე შეიცვალა.
ანგარიშის ნომერი

კურსორი აციმციმდა. იცდიდა.
ათი ციფრი. სოფიმ ამონაბეჭდიდან ციფრები ამოიკითხა და ლენგდონმა ისინი
კომპიუტერში შეიყვანა.
ანგარიშის ნომერი
1332211185
უკანასკნელი ციფრი რომ აკრიფა, ეკრანზე ინფორმაცია ისევ განახლდა. გამოჩნდა
წარწერა რამდენიმე ენაზე. სულ ზევით ინგლისური იყო.
ყურადღება!
სანამ ინფორმაციის შესაყვან ღილაკს დააჭერთ თითს, გთხოვთ
შეამოწმოთ თქვენი ანგარიშის ნომრის სიზუსტე
თქვენი უსაფრთხოებისათვის. თუ კომპიუტერი ვერ
ამოიცნობს თქვენი ანგარიშის ნომერს, ეს სისტემა
ავტომატურად დაიხურება.
სისტემა ავტომატურად დაიხურა, თქვა სოფიმ და წარბები შეიკრა. ჩანს, მხოლოდ
ერთი ცდის უფლება გვაქვს. სტანდარტული ბანკომატი სამჯერ ცდის საშუალებას აძლევს
მომხმარებელს. თქვენ შეგიძლიათ სამჯერ შეიყვანოთ პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი,
ვიდრე ბანკის ბარათს გაგიუქმებდნენ. ეს კი ჩვეულებრივი ბანკომატი არ იყო.
მე მგონი, ნომერი სწორი უნდა იყოს, დაუდასტურა ლენგდონმა, თან ყურადღებით
შეადარა აკრეფილი ნომერი კომპიუტერულ ამონაბეჭდს. მერე ინფორმაციის შესაყვანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღილაკისკენ მიუთითა.
მიდი.
სოფიმ თითი გაიწოდა ღილაკისკენ, მაგრამ შეყოყმანდა. უცნაური აზრი მოუვიდა თავში.
მიდი, აქეზებდა ლენგდონი, ვერნე მალე დაბრუნდება.
არა, მან თითი უკან წამოიღო, ეს არ არის სწორი ნომერი.
რა თქმა უნდა სწორია! ათი ციფრი. სხვა რაღა უნდა იყოს?
რაღაც ძალიან უსისტემოა.
ძალიან უსისტემოა? ლენგდონი არ ეთანხმებოდა. ყოველი ბანკი თავის კლიენტებს ურჩევდა საიდენტიფიკაციო ნომერი უსისტემოდ შეერჩიათ, რომ ვერავის გამოეცნო. უეჭველია, კლიენტებს აქაც იმავეს ურჩევდნენ.
სოფიმ აკრეფილი რიცხვი წაშალა და ლენგდონს მიაშტერდა. მის გამოხედვაში იგრძნობოდა, რომ იგი დარწმუნებული იყო, უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს, რომ ეს თითქოსდა უსისტემო ანგარიშის ნომერი შეიძლება ისე გადავალაგოთ, რომ ფიბონაჩის მიმდევრობა მივიღოთ.
ლენგდონი მიხვდა, რომ სოფი სწორ გზას ადგა. უფრო ადრე სოფიმ გადაალაგა ეს ანგარიშის ნომერი ფიბონაჩის მიმდევრობად. რა შანსი იყო, რომ კიდევ შეძლებდა იმავეს?
სოფი ისევ დაფასთან იყო. მას ახალი ნომერი შეჰყავდა, თითქოს ზეპირად ახსოვდა, უფრო მეტიც, სიმბოლოებისა და კოდებისადმი ბაბუას სიყვარულს თუ გავითვალისწინებთ,
ვფიქრობ, ის ანგარიშის ისეთ ნომერს შეარჩევდა, რომელიც მისთვის რაღაცას ნიშნავდა, იმას, რასაც ადვილად დაიმახსოვრებდა, მან დაამთავრა ციფრების შეყვანა და ეშმაკურად გაიღიმა. ისეთს, რაც უსისტემო ჩანს, მაგრამ... სინამდვილეში ასეთი არ არის. ლენგდონმა ეკრანს შეხედა.
ანგარიშის ნომერი
1123581321 ლენგდონი მაშინვე მიხვდა, რომ სოფი მართალი იყო.
ფიბონაჩის მიმდევრობა.
1123581321
როდესაც ფიბონაჩის მიმდევრობა უბრალო ათციფრიან ანგარიშის ნომერზე დაიყვანეს, იგი სრულიად ამოუცნობი გახდა. ადვილი დასამახსოვრებელი და მაინც, ერთი
შეხედვით, უსისტემო. ბრწყინვალე ათციფრიანი კოდი, რომელსაც სონიერი არასდროს დაივიწყებდა. უფრო მეტიც, ახლა გასაგები გახდა, რატომ ლაგდებოდა ლუვრის იატაკზე დაჩხაპნილი რიცხვები ცნობილ პროგრესიად.
სოფი დაიხარა და “ENTER”ის კლავიშს თითი დააჭირა.
არაფერი არ მოხდა.
ყოველ შემთხვევაში არაფერი ისეთი, რასაც ისინი შენიშნავდნენ.
სწორედ ამ დროს კი, იმ ოთახის ქვეშ, სადაც სოფი და ლენგდონი იდგნენ, ღრმა მიწისქვეშა სეიფში, რობოტის კლანჭი გაცოცხლდა და, მოცემული კოორდინატების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თანახმად, ჭერზე დამაგრებულ ტრანსპორტიორს გაჰყვა. ქვევით, ცემენტის იატაკზე
უზარმაზარ ბადეზე ჩამწკრივებული იყო ასობით იდენტური პლასტმასის ყუთი... როგორც
ერთნაირი პატარა კუბოების რიგი მიწისქვეშა საძვალეში.
რობოტის კლანჭი საჭირო ადგილას გაჩერდა, დატრიალდა, ქვევით დაეშვა და
ელექტრონულმათვალმა წაიკითხა ყუთის ფირფიტაზე აღნიშნული კოდი. შემდეგ,
კომპიუტერული სიზუსტით, კლანჭი დასწვდა მძიმე სახელურს და ყუთი ვერტიკალურად
ასწია. ახლა სხვა მოწყობილობები ამუშავდა. კლანჭმა ყუთი საცავის მოშორებულ მხარეს
გადაიტანა და მოძრავ კონვეიერთან გაჩერდა.
ამჯერად ამომღებმა მკლავმა ყუთი კონვეიერზე ფრთხილად დადო და უკან გაიწია.
მკლავი მოსცილდა თუ არა, კონვეიერის ლენტი დაიძრა.
როგორც კი კონვეიერი ამოძრავდა, სოფიმ და ლენგდონმა შვებით ამოისუნთქეს. ისინი
თავს გრძნობდნენ დაქანცული მგზავრებივით, რომლებიც ბარგის მისაღებ პუნქტთან
მათთვის უცნობი შიგთავსის მქონე საიდუმლო ჩემოდანს ელოდებიან.
კონვეიერის ზოლი მარჯვნიდან, მოძრავი კარის ქვევით მდებარე ვიწრო ხვრელიდან
შემოსრიალდა ოთახში. ლითონის კარი მაღლა აიწია და კონვეიერის დაქანებული
სივრციდან ყუთი გამოჩნდა. ყუთი შავი იყო, მთლიანი მძიმე პლასტმასის ნაჭრისგან
დამზადებული და იმაზე დიდი, ვიდრე სოფის წარმოედგინა. ყუთი თვითმფრინავის
ცხოველთა გადასაყვან კონტეინერს ჰგავდა, მხოლოდ ხვრელები არ ჰქონდა.
ყუთი ზუსტად მათ წინ გაჩერდა.
ლენგდონი და სოფი ჩუმად იდგნენ და საიდუმლო კონტეინერს მისჩერებოდნენ.
როგორც სხვა ყველაფერი ამ ბანკში, ყუთის ფორმაც ინდუსტრიულ სტილში იყო
გადაწყვეტილი ლითონის ბალთები, ზევიდან დაკრული შტრიხკოდი, ჩამოსხმული მძიმე
სახელური. სოფიმ გაიფიქრა, ეს ხელსაწყოიარაღების შესანახი ვეებერთელა
კონტეინერიაო.
სოფიმ დროის დაუკარგავად გახსნა მის მხარეს დამაგრებული ორი ბალთა. შემდეგ
ლენგდონს გადახედა. მათ ერთად ახადეს მძიმე სახურავი და ის უკან გადავარდა.
ისინი დაიხარნენ და ყუთში ჩაიჭყიტეს.
თავიდან სოფის მოეჩვენა, რომ ყუთი ცარიელი იყო. შემდეგ კი რაღაც დაინახეს. ძირში
რაღაც ეული საგანი იდო.
გაპრიალებული ხის ზარდახშა დაახლოებით ფეხსაცმლის კოლოფისოდენა იყო და
მოჩუქურთმებული საკეტები ჰქონდა. ლაპლაპა მეწამულ ხეს გამოკვეთილი ძარღვები
დაუყვებოდა. ვარდის ხე. ბაბუას უსაყვარლესი ხის ჯიში. სახურავზე ლამაზი ვარდი იყო
ამოკვეთილი. სოფიმ და ლენგდონმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. სოფი გადაიხარა,
ყუთს დასწვდა და კონტეინერიდან ამოიღო.
ღმერთო, რა მძიმეა!
სოფიმ ფრთხილად მიიტანა ყუთი დიდ მაგიდასთან და ზედ დადგა. ლენგდონი სოფის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვერდით იდგა. ორივე დასჩერებოდა იმ პატარა განძის კოლოფს, რომლის
გამოსატანადაც, ჩანს, ბაბუამ ისინი აქ გამოგზავნა.
ლენგდონი გაოცებით და აღფრთოვანებით მიაშტერდა თავსახურზე ხელით
ამოტვიფრულ ხუთფურცლიანი ვარდის ინკრუსტაციას. მას ასეთი ვარდი ხშირად ენახა,
ხუთფურცლიანი ვარდი, ჩაიჩურჩულა მან, ეს არის საძმოს მიერ წმინდა ბარძიმისათვის
არჩეული სიმბოლო.
სოფი მოტრიალდა და მას შეხედა. ლენგდონი ხვდებოდა, თუ რაზე ფიქრობდა სოფი.
თვითონაც ხომ იგივე ფიქრები უტრიალებდა თავში. ყუთის ზომები, მისი შიგთავსის
დაახლოებითი წონა და მონასტრის ბარძიმისეული სიმბოლო ძალაუნებურად ერთი
წარმოუდგენელი დასკვნისკენ უბიძგებდა მათ. ქრისტეს სასმისი ამ ხის ყუთშია. ლენგდონმა
კიდევ ერთხელ გაუმეორა თავის თავს, ეს შეუძლებელიაო.
იმ ზომისაა, წაიჩურჩულა სოფიმ, რომ დაიტიოს... თასი.
არ შეიძლება ეს თასი იყოს.
სოფიმ ყუთი თავისკენ მიიწია და გასახსნელად მოამზადა. მაგრამ, როდესაც
აამოძრავა, მოულოდნელი რამე მოხდა. ყუთმა უცნაური ბუყბუყის ხმა გამოსცა.
ლენგდონმა ყუთი ყურადღებით შეათვალიერა. შიგ რა, სითხეა?
სოფიც შემცბარი ჩანდა. შენც გაიგონე?
ლენგდონმა დაბნევით დაუქნია თავი. სითხის ხმა იყო.
სოფი წინ გადაიხარა, ნელა გახსნა საკეტი და სახურავი ახადა.
ყუთში იდო საგანი, რომლის მსგავსიც ლენგდონს არასოდეს ენახა. თუმცა ერთი კი
მაშინვე გახდა ცხადი ორივესთვის: ეს ნამდვილად არ იყო ქრისტეს სასმისი.
თავი 45
პოლიცია ქუჩას კეტავს, თქვა ანდრე ვერნემ, როდესაც მოსაცდელ ოთახში შევიდა,
თქვენი გარეთ გაყვანა ძნელი იქნება. როდესაც კარი მიიხურა, ვერნემ მხოლოდ მაშინ
შეამჩნია მძიმე პლასტმასის ყუთი კონვეიერზე და ადგილზე გაიყინა. ღმერთო ჩემო!
სონიერის ანგარიშში შეუღწევიათ!
სოფი და ლენგდონი მაგიდასთან იდგნენ და თავს დასტრიალებდნენ რაღაცას, რაც
სამკაულების დიდ ხის ყუთს ჰგავდა. სოფიმ მაშინვე დაახურა ყუთს თავი და ვერნეს
ახედა.
ჩვენ თურმე მაინც გვქონია ანგარიშის ნომერი, თქვა მან.
ვერნეს ენა ჩაუვარდა. ეს ყველაფერს ცვლიდა. მან ყუთს პატივისცემით მოაცილა მზერა
და სცადა შემდეგი ნაბიჯი მოეფიქრებინა. ისინი ბანკიდან უნდა გავიყვანო! მაგრამ რადგან
პოლიციას უკვე გადაკეტილი ჰქონდა ქუჩა, ვერნეს მხოლოდ ერთი გზაღა დარჩენოდა.
მადმუაზელ ნევე, თუ შევძლებ თქვენს უსაფრთხოდ გაყვანას ბანკიდან, ამ ნივთს თან
წაიღებთ, თუ ისევ საცავში დააბრუნებთ?
სოფიმ ჯერ ლენგდონს შეხედა, შემდეგ კი ისევ ვერნეს.
უნდა წავიღოთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერნემ თავი დაუქნია.
 კეთილი. მაშინ, რაც არ უნდა იყოს ეს ნივთი, მე გირჩევთ პიჯაკში გაახვიოთ, როდესაც დერეფანში გავალთ. ჯობია, არავინ დაინახოს.
სანამ ლენგდონი პიჯაკს იხდიდა, ვერნე სწრაფად მივიდა კონვეიერთან, ცარიელ ყუთს თავი დაახურა და რამდენიმე მარტივი ბრძანება აკრიფა. კონვეიერი ისევ ამოძრავდა და პლასტმასის ყუთი უკან, მიწისქვეშა საცავში წაიღო. ვერნემ ოქროს გასაღები გამოაძრო და სოფის მიაწოდა.
 აქეთ მობრძანდით, გეთაყვა, იჩქარეთ.
როდესაც ბანკის უკან მდებარე დასატვირთ ბაქანს მიაღწიეს, ვერნეს თვალში ეცა პოლიციის მანქანების სინათლეები მიწისქვეშა გარაჟში. წარბები შეკრა. ისინი ალბათ პანდუსს კეტავდნენ. ნუთუ ამის გაკეთებას მოვახერხებ? ვერნე ოფლად იღვრებოდა.
იგი ბანკის პატარა ჯავშნიანი სატვირთო მანქანისკენ გაემართა. Transport sur
მომსახურების კიდევ ერთი სახე იყო, რომელსაც კლიენტებს ციურიხის სადეპოზიტო ბანკი
სთავაზობდა.
 ადით მანქანის სატვირთო ნაწილში, თქვა ვერნემ, მანქანის მასიური უკანა კარი გააღო და ფოლადის მბზინავ განყოფილებაზე მიუთითა, მე ახლავე დავბრუნდები.
სოფი და ლენგდონი მანქანაში ავიდნენ. ამ დროს ვერნე სწრაფად გაემართა დასატვირთი ბაქნის პირდაპირ მდებარე სამეთვალყურეო პუნქტისკენ. შიგ შევიდა, მანქანის გასაღები აიღო და მოძებნა მძღოლის სპეციალური ფორმა ქურთუკი და კეპი.
ვერნემ პიჯაკი და ჰალსტუხი მოიშორა და მძღოლის ქურთუკის ჩაცმა დაიწყო. უცებ აზრი
შეიცვალა და მხარიღლივ გასაკეთებელი იარაღის ბუდე ფორმის ქვეშ დაიმაგრა. სანამ გამოვიდოდა, მძღოლის იარაღი აიღო თაროდან, მჭიდი გამართა და ბუდეში ჩადო და ფორმის ღილები შეიკრა. მანქანასთან დაბრუნებულმა ვერნემ მძღოლის კეპი რაც შეიძლება დაბლა ჩამოიფხატა და მის ქვეშიდან გაიხედა იქით, სადაც სოფი და ლენგდონი იყვნენ. ისინი ფოლადის ცარიელ კაბინაში იდგნენ.
 ეს დაგჭირდებათ, უთხრა ვერნემ, მისწვდა კედელზე ჩამრთველს და შუქი აანთო. კაბინის ჭერზე ერთადერთი ნათურა აკიაფდა. და სჯობს დასხდეთ. ალაყაფის კარიდან გასვლისას ხმა არ ამოიღოთ.
სოფი და ლენგდონი ლითონის იატაკზე დასხდნენ. ლენგდონმა თავის ტვიდის პიჯაკში გახვეული განძი მუხლებზე დაიდო. ვერნემ მძიმე კარი დახურა და ისინი შიგნით ჩაკეტა, შემდეგ საჭეს მიუჯდა და ძრავა ჩართო.
როდესაც ჯავშნიანი სატვირთო მანქანა გრუხუნით მიემართებოდა პანდუსის ზედა ნაწილისაკენ, ვერნე გრძნობდა, რომ მძღოლის კეპქვეშ ოფლი უგროვდებოდა. ხედავდა, რომ წინ პოლიციის სინათლეები იმაზე მეტი იყო, ვიდრე ეგონა. როდესაც სატვირთო პანდუსზე ავიდა, შიდა ალაყაფის კარი შიგნით გაიღო მის გასატარებლად. ვერნემ გაიარა და დაელოდა, სანამ ალაყაფის კარი მის უკან დაიკეტებოდა. ამის შემდეგ იგი წინ წავიდა და შემდეგ სენსორი ჩაირთო. მეორე კარი გაიღო და ამჯერად შენობიდან გასასვლელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოჩნდა.
ერთი პრობლემა რჩება. პოლიციის მანქანა, რომელიც პანდუსს კეტავს.
ვერნემ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და სვლა განაგრძო.
მაღალი გამხდარი პოლიციის ოფიცერი გადმოვიდა მანქანიდან და ვერნეს ანიშნა,
გაჩერებულიყო გზის გადაკეტილი ადგილიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. იქვე ოთხი
საპატრულო მანქანაც იდგა.
ვერნე გაჩერდა. მან უფრო მეტად ჩამოიფხატა მძღოლის კეპი და ისეთი უხეში
გამომეტყველება მიიღო, რამდენადაც მისი აღზრდის მქონე ადამიანს შეეძლო. არც კი
განძრეულა, კარი ისე გააღო და ზევიდან დახედა აგენტის მკაცრსა და ავადმყოფურ სახეს.
Qu'estce qui se passe? ჰკითხა ვერნემ უხეში ტონით.
ჟე სუის ჟერომე ჩოლლეტ, უპასუხა აგენტმა. Lieutenant Police Judiciaire. მან
ტვირთის გადასაზიდზე მიუთითა. Qu'estce qu'il y a ladedans?
ეშმაკმა წაიღოს, თუ ვიცოდე, უპასუხა ვერნემ უხეში ფრანგულით, მე მარტო მძღოლი
ვარ.
კოლეზე ამან არ იმოქმედა.
ჩვენ ორ დამნაშავეს ვეძებთ.
ვერნემ გაიცინა.
მაშინ ზუსტად მოსულხართ. ზოგიერთ არამზადას, ვისთვისაც ამ მანქანას ვატარებ,
იმდენი ფული აქვს, რომ უეჭველად დამნაშავე იქნება.
აგენტმა რობერტ ლენგდონის პასპორტის სურათი უჩვენა. ეს კაცი იყო თქვენს ბანკში
ამ ღამით?
ვერნემ მხრები აიჩეჩა.
აზრზე არ ვარ. მე აქ პატარა კაცი ვარ. ჩვენ ვინ გვაკარებს კლიენტებს? შიგნით უნდა
შეხვიდეთ და მისაღებში იკითხოთ.
თქვენი ბანკი ჩხრეკის ორდერს ითხოვს.
ვერნემ ზიზღნარევი გამომეტყველება მიიღო.
უფროსობა. ახლა არ დამაწყებინოთ მაგათზე ლაპარაკი.
თუ შეიძლება გახსენით მანქანის სატვირთო ნაწილი, კოლემ ტვირთის გადამტანზე
მიუთითა.
ვერნე აგენტს მიაშტერდა და თავს ძალა დაატანა, რომ რაც შეიძლება უსიამოვნოდ
გაეცინა. სატვირთო გავაღო? თქვენ ფიქრობთ, გასაღები მაქვს? გგონიათ, გვენდობიან?
ერთი უნდა ნახოთ, რა კაპიკებს მიხდიან.
აგენტმა თავი გვერდზე გადახარა, აშკარად ეტყობოდა, რომ არ სჯეროდა.
თქვენ ამბობთ, რომ არა გაქვთ საკუთარი მანქანის გასაღები?
ვერნემ თავი გააქნია.
სატვირთო განყოფილების არა. მხოლოდ მანქანის დასაქოქი გასაღები მაქვს. ამ
მანქანებს დასატვირთ დოკში ლუქავს ზედამხედველი, შემდეგ მანქანა იქვე იცდის, ვიდრე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის გასაღებს ვინმე დანიშნულების ადგილას არ მიიტანს. როდესაც დაგვირეკავენ, რომ სატვირთოს გასაღები უკვე ადრესატთანაა, მხოლოდ ამის შემდეგ ვიღებთ თანხმობას მანქანის წაყვანაზე. არც ერთი წამით ადრე. არასოდეს არ ვიცი, რა ჯანდაბა მიმაქვს.
ეს სატვირთო როდის ჩაიკეტა?
ალბათ რამდენიმე საათის წინ. მთელი ღამე უნდა ვიარო, რომ სენტურიალამდე მივაღწიო. გასაღები უკვე იქ არის.
აგენტმა არ უპასუხა, თითქოს ცდილობდა თვალებით ამოეკითხა, თუ რა ხდებოდა ვერნეს ტვინში.
ოფლის წვეთი მზად იყო ვერნეს ცხვირზე ჩამოსაცურებლად. თუ წინააღმდეგი არა ხართ, თქვა მან, ცხვირი სახელოთი მოიწმინდა და პოლიციის მანქანებზე მიუთითა, გზას რომ კეტავდნენ, ძალიან მძიმე გრაფიკი მაქვს.
ყველა მძღოლს "როლექსი" უკეთია? ჰკითხა აგენტმა და ვერნეს მაჯაზე მიუთითა.
ვერნემ დაიხედა და თავისი აბსურდულამდე ძვირფასი მაჯის საათის ბრჭყვიალა სამაჯური დაინახა, რომელიც ქურთუკის სახელოდან ჩანდა. Merde!
ეს ნაგავი? 20 ევროდ ვიყიდე ტაივანელი ქუჩის გამყიდველისგან სენჟერმენდე პრეზე. თუ გინდათ, ორმოცად მოგცემთ.
აგენტი შეყოყმანდა, მაგრამ უკან გადადგა ნაბიჯი.
არა, გმადლობთ. ფრთხილად იმგზავრეთ.
ვერნეს აღარ ამოუსუნთქავს ვიდრე მანქანამ 50 მეტრი არ გაიარა, ახლა მას კიდევ ერთი პრობლემა ჰქონდა. თავისი ტვირთი. სად წავიყვანო?
თავი 46
სილასი პირქვე იწვა თავის ოთახში დაფენილ ტილოს ფარდაგზე, რომ დაფლეთილი ზურგისთვის მოშუშების საშუალება მიეცა. ამ ღამით განმეორებით თვითგვემამ თავბრუსხვევა და სისუსტე დაუტოვა. ჯერ კიდევ ეკეთა ძაძის სარტყელი და გრძნობდა, როგორ მოსწანწკარებდა სისხლი ბარძაყის შიდა მხრიდან. მაინც ვერ ბედავდა მის მოხსნას.
ეკლესიას ვუღალატე.
უფრო უარესი, მე ეპისკოპოსს ვუღალატე.
ამ ღამით უნდა გადარჩენილიყო ეპისკოპოსი არინგაროსა. ხუთი თვის წინ ეპისკოპოსი დაბრუნდა შეხვედრიდან, რომელიც ვატიკანის ობსერვატორიაში ჩატარდა. ამის შემდეგ იგი ძალიან შეიცვალა. რამდენიმე კვირის განმავლობაში არინგაროსა დეპრესიაში იყო და ბოლოს სილასს გაუმხილა ახალი ამბავი.
შეუძლებელი! წამოიყვირა სილასმა, ვერ დავიჯერებ.
ეს სიმართლეა, მიუგო არინგაროსამ, წარმოუდგენელია, მაგრამ სიმართლეა, მხოლოდ ექვსი თვეღა დარჩა.
ეპისკოპოსმა სიტყვებმა სილასი შეაძრწუნა. იგი ლოცულობდა ხსნისათვის და იმ დღეებშიც კი არ შერყევია ღვრთისა და სამეუფო გზის რწმენა. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ
სასწაულებრივად გაიხსნა ღრუბლები და იმედის სხივი გამოჩნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღვთაებრივი ჩარევა უწოდა ამას არინგაროსამ.
ეპისკოპოსს ამ ხნის მანძილზე პირველად დაეტყო იმედი, სილასს, ჩურჩულებდა იგი, ღმერთმა მოგვანიჭა შესაძლებლობა, რომ სამეუფო გზა დავიცვათ. ჩვენს ბრძოლაში, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ბრძოლაში, იქნება მსხვერპლი. შენ იქნები ღვთის მეომარი?
სილასი მუხლებზე დაეცა ეპისკოპოს არინგაროსას წინ, იმის წინ, ვინც სიცოცხლე ხელახლა აჩუქა, და უთხრა:
მე ღვთი კრავი ვარ, მომმწყემსეთ ისე, როგორც გული გეუბნებათ.
როდესაც არინგაროსამ აღუწერა ახლად გამოჩენილი შესაძლებლობა, სილასი მიხვდა, რომ ეს მხოლოდ საღვთო ჩარევით შეიძლებოდა მომხდარიყო. გასაოცარი იღბალია! არინგაროსამ სილასი დააკავშირა კაცათან, რომელმაც მათ გეგმა შესთავაზა კაცთან, რომელიც საკუთარ თავს "მოძღვარს" უწოდებდა. მოძღვარი და სილასი პირისპირ არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. ყოველი სატელეფონო საუბრის შემდეგ სილასს მოკრძალებული აღფრთოვანების გრძნობა ეუფლებოდა მოძღვრის მიმართ, მისი რწმენის სიღრმისა და ძალაუფლების მასშტაბის გამო. მოძღვარი, როგორც ჩანს, ის ადამიანი იყო, ვინც ყველაფერი იცოდა. მას ყველგან ჰყავდა ინფორმაციის მომწოდებელი. სილასმა არ იცოდა, მოძღვარმა ცნობები როგორ შეკრიბა, მაგრამ არინგაროსა უსაზღვროდ ენდობოდა მას და სილასსაც ურჩია, ასეთივე ნდობით მოჰკიდებოდა.
გააკეთე, რასაც მოძღვარი გიბრძანებს, უთხრა სილასს, და გავიმარჯვებთ.
გამარჯვებულები. ახლა სილასიშიშველ იატაკს დაჰყურებდა და ეშინოდა, რომ გამარჯვება ხელიდან გაუსხლტათ. მოძღვარი მოატყუეს. ქვაკუთხედი ეშმაკური ჩიხი გამოდგა. ყველანაირი იმედი გაქრა.
სილასს ეპისკოპოს არინგაროსასთან დარეკვა უნდოდა გასაფრთხილებლად, მაგრამ მოძღვარმა ამ ღამით მათი ყველა საკომუნიკაციო ხაზი გამორთო. ჩვენივე უსაფრთხოებისთვის.
ბოლოს და ბოლოს, სილასმა უზომო შიში დაძლია, რის ვაივაგლახით წამოდგა, იატაკზე დაგდებული კაბა მოძებნა და ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოაძვრინა. დარცხვენილმა თავი ჩაჰკიდა და ნომერი აკრიფა.
მოძღვარო, წაიჩურჩულა მან, ყველაფერი დაკარგულია, და სილასმა გულწრფელად უამბო, თუ როგორ მოტყუვდა.
ძალზე სწრაფად კარგავ რწმენას, უპასუხა მოძღვარმა, ეს წუთია, ახალი ცნობა მივიღე, ძალზე მოულოდნელი და სასიამოვნო. საიდუმლო ცოცხალია. ჟაკ სონიერმა, სანამ მოკვდებოდა, ის სხვას გადასცა. მალე დაგირეკავ. ჩვენი ამჟამინდელი სამუშაო ჯერ არ დასრულებულა.
თავი 47
ჯავშნიანი მანქანის სუსტად განათებული სატვირთო განყოფილებით მგზავრობა პატიმრების ეტაპირებას უფრო ჰგავდა. ლენგდონი ყველა იმ ნაცნობ შიშს ებრძოდა, რაც დახშულ სივრცეში მოეძალებოდა ხოლმე. ვერნემ თქვა, რომ ქალაქიდან უსაფრთხო მანძილზე გაგიყვანთო. სად? რამსიშორეზე?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონს ფეხები დაუბუჟდა ლითონის იატაკზე ჯდომისაგან და გვერდი იცვალა. შეიჭმუხნა, როდესაც იგრძნო, როგორ აუმოძრავდა სისხლი. ბანკიდან გამოხსნილი უცნაური განძი ჯერ კიდევ მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული.

მგონი უკვე გზატკეცილზე გავედით, წაიჩურჩულა სოფიმ.

ლენგდონმაც იგრძნო. ბანკის პანდუსის წვერზე დაძაბული გაჩერების შემდეგ სატვირთო მანქანამ გზა გააგრძელა. ერთიორი წუთის განმავლობაში ხან მარცხნივ უხვევდა და ხანაც მარჯვნივ. ახლა კი ეტყობოდა, რომ სიჩქარეს მაქსიმუმამდე მოუმატა. მათ ქვეშ ტყვიაგაუმტარი საბურავები სწორ ასფალტზე მისრიალებდა. ლენგდონმა ძლივს გადაიტანა ყურადღება ვარდის ხის ზარდახშაზე, ძვირფასი ტვირთი ძირს დადო, პიჯაკი შემოაცალა, ზარდახშა ამოიღო და თვალიერება დაუწყო. სოფიმაც ადგილი შეიცვალა და ახლა გვერდიგვერდ ისხდნენ. ლენგდონს წამით ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ბავშვები იყვნენ და საშობაო საჩუქარს დასტრიალებდნენ.

ზარდახშის თბილი ფერებისაგან განსხვავებით, მის სახურავში ინკრუსტირებული ვარდი უფრო ღია ფერის ხისგან იყო გამოთლილი, ალბათ იფნისგან, რომელიც თითქოს ბინდბუნდში ანათებდა. ვარდი. ამ სიმბოლოზე დაყრდნობით მთელი არმიები და საიდუმლო საზოგადოებები იქმნებოდა. როზენკროიცერები. ვარდისა და ჯვრის რაინდები.

მიდი, უთხრა სოფიმ, გახსენი.

ლენგდონმა ღრმად ჩაისუნთქა. ხელი სახურავისკენ გაიწოდა და კიდევ ერთხელ მოავლო ქურდულად თვალი დახვეწილ ნამუშევარს. შემდეგ საკეტი გახსნა, ზარდახშას თავი ახადა და შიგნით მდებარე საგანი გამოაჩინა.

ზარდახშის შიგთავსის შესახებ ლენგდონს თავისი ფანტაზიები ჰქონდა, თუმცა თავიდანვე ნათელი იყო, რომ ცდებოდა. სქელი მეწამული აბრეშუმით ამოფენილ სიღრმეში ლენგდონისათვის სრულიად გამოუცნობი საგანი შეყუჟულიყო მყუდროდ. გაპრიალებული თეთრი მარმარილოს ნაკეთობა წარმოადგენდა დაახლოებით ჩოგბურთის ბურთის თუნუქის კოლოფისხელა ცილინდრს. ეს ქვის ერთიანი ნაჭერი კი არ

იყო, არამედ სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგებოდა. ხუთი მარმარილოს დისკო ერთმანეთთან იყო მიერთებული და თითბრის ნატიფ ჩარჩოში იყო ჩასმული. საგანი მილისებრ მრავალნაწილიან კალეიდოსკოპს ჰგავდა. ცილინდრს ორივე ბოლოზე მარმარილოსავე ხუფი ჰქონდა აფარებული, რაც ცილინდრში ჩახედვას შეუძლებელს ხდიდა. იქიდან გამომავალი ბუყბუყით ლენგდონმა დაასკვა, რომ ცილინდრი ღრუ იყო. ცილინდრის კონსტრუქცია იდუმალი იყო, თუმცა ლენგდონის ყურადღება მიიპყრო მილზე ამოჭრილმა წარწერებმა. ხუთივე დისკზე გულმოდგინედ იყო ამოკვეთილი ერთნაირი ასოების მოულოდნელი კომბინაციები. აქ მთელი ანბანი იყო წარმოდგენილი. ასოებიანმა ცილინდრმა ლენგდონს თავისი ბავშვობის დროინდელი სათამაშო გაახსენა ეს იყო ძელი, ზედ ძაფით მიმაგრებული ასოებიანი თოჯინებით. მათი დატრიალებით სხვადასხვა სიტყვის შედგენა შეიძლებოდა.

საოცარია, არა? ჩაიჩურჩულა სოფიმ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონმა ახედა.
არ ვიცი. რა ჯანდაბაა?
ახლა სოფის თვალებში გაიელვა ნაპერწკალმა.
ბაბუა თავისუფალ დროს თავისი ხელით აკეთებდა ხოლმე ამ რაღაცეებს. ეს ლეონარდო და ვინჩის გამოგონებაა.
იმ მკრთალ და გაფანტულ სინათლეზეც კი შეძლო სოფიმ ლენგდონის გაოცების შემჩნევა.
და ვინჩის? ამოილუღლუღა მან და ისევ საგანს შეხედა.
დიახ. ამას კრიპტექსი ჰქვია. როგორც ბაბუა მეუბნებოდა, ამის ნახაზები და ვინჩის ერთერთ საიდუმლო დღიურშია მოყვანილი.
რისთვის არის ეს?
ამ ღამის გამოცდილებით, სოფიმ იცოდა, რომ პასუხს შეიძლება საინტერესო დასკვნები მოჰყოლოდა.
ეს საცავია, თქვა მან, საიდუმლო ინფორმაციის შესანახად.
ლენგდონს თვალები უფრო მეტად გაუფართოვდა.
სოფიმ აუხსა, რომ და ვინჩის გამოგონებათა მოდელების დამზადება ბაბუას ყველაზე საყვარელი საქმე იყო თავისუფალ დროს. მას ოქროს ხელები ჰქონდა და საათობით მუშაობდა ხოლმე თავის ხისა და ლითონის სახელოსნოში. ჟაკ სონიერი სიამოვნებით ბაძავდა ცნობილ ოსტატებს ფაბერჟეს, დახვეწილი ტიხრული მინანქრის შემოქმედთ და ნაკლებად ნატიფ, მაგრამ გაცილებით უფრო პრაქტიკულ ლეონარდო და ვინჩის.
და ვინჩის დღიურების უბრალო თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ მიხვდეთ, რატომ იყო ეს გამოჩენილი ადამიანი ისევე ცნობილი საქმის ბოლომდე არმიყვანით, როგორც თავისი ბრწყინვალე გონებით. და ვინჩიმ ასობით გამოგონების იდეა შექმნა და განუხორციელებლად დატოვა. ჯაკ სონიერის ყველაზე საყვარელი გასართობი თავისუფალ
დროს იყო და ვინჩის ყველაზე გაუგებარი ნააზრევის პრაქტიკული განხორციელება ქრონომეტრების, წყლის ტუმბოების, კრიპტექსების და, უფრო მეტიც, შუა საუკუნეების ფრანგი რაინდის დასრულებული მოძრავი მექანიკური მოდელისა, რომელიც ამაყად იდგა
მის კაბინეტში საწერ მაგიდაზე. და ვინჩიმ ეს მოდელი 1495 წელს შექმნა, როგორც შედეგი მისი ყველაზე ადრინდელი ანატომიური და კინესიოლოგიური კვლევისა. ავტომატური რაინდის შიდა მექანიზმი საოცარი სიზუსტით დამზადებულ სახსრებსა და მყესებს შეიცავდა
და ისეიყო მოწყობილი, რომ შეეძლო დაჯდომა, მკლავების ქნევა და თავის ტრიალი მოძრავი კისრის საშუალებით. ამავე დროს ის ავტომატურად აღებდა და ხურავდა პირს. სოფი დარწმუნებული იყო, რომ ეს იარაღასხმული რაინდი ყველაზე უფრო მშვენიერი საგანი იყო, რაც კი ბაბუას ოდესმე შეექმნა... ასე ეგონა, სანამ ვარდის ხის ზარდახშაში მოთავსებულ კრიპტექსს ნახავდა.
ერთი ასეთი მეც გამიკეთა, პატარა რომ ვიყავი, თქვა სოფიმ, მაგრამ ასე მოხატული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ამხელა არასოდეს მინახავს.
ლენგდონი თვალს ვერ აცილებდა.
სოფის ეს არ გაჰკვირვებია. ლეონარდოს განუხორციელებელი გამოგონებების უმრავლესობა არასდროს არავის არ შეუსწავლია და მათთვის სახელიც კი არ დაურქმევიათ. ტერმინი კრიპტექსი, როგორც ჩანს, სონიერის გამოგონილი იყო. ეს სახელი
შეეფერება იმ ხელსაწყოს, რომელიც მასში მოთავსებულ გრაგნილზე ან კოდექსზე დაწერილი ინფორმაციის დასაცავად კრიპტოლოგიის მეცნიერებას იყენებდა. სოფიმ იცოდა, რომ და ვინჩი კრიპტოლოგიის პიონერი იყო, თუმცა იშვიათად თუ აღიარებდნენ მის დამსახურებას მეცნიერების ამ სფეროს მიმართ. სოფის უნივერსიტეტის ლექტორები, ინფორმაციის დასაცავად არსებული კომპიუტერული მეთოდების სწავლების დროს ხოტბას
ასხამდნენ თანამედროვე კრიპტოლოგებს, მაგალითად, ციმერმანსა და შნეიერს, მაგრამ იმას არ ამბობდნენ, რომ სწორედ ლეონარდო იყო ის, ვინც საუკუნეების წინ გამოიგონა კოდირების პირველი ჩანასახოვანი ფორმები. სოფის ბაბუას, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ნაამბობი ჰქონდა თავისი შვილიშვილისათვის.
ჯავშნიანი მანქანა გრუხუნით მიქროდა გზატკეცილზე, სოფი კი ლენგდონს უხსნიდა, რომ კრიპტექსი ლეონარდომ იმისთვის გამოიგონა, რომ დიდ მანძილზე საიდუმლო შეტყობინებათა უსაფრთხო გადაცემის მარადიული პრობლემა გადაეწყვიტა. ეპოქაში, როცა ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა არ იყო, საიდუმლოს შენახვის ერთადერთი გარანტია სანდო მალემსრბოლი იყო. სამწუხაროდ, თუ მალემსრბოლი მიხვდებოდა, რომ მოწინააღმდეგისათვის წერილის მიყიდვით უფრო მეტი გასამრჯელოს შოვნას შეძლებდა, იგი ყოველთვის ვერ უძლებდა ამ ცდუნებას.
ბევრი მოაზროვნე ფიქრობდა ინფორმაციის დამცავი კრიპტოლოგიური საშუალების გამოგონებაზე: იულიუს კეისარმა შექმნა წერილობითი კოდი, რომელსაც "კეისრის ზარდახშა" ეწოდა; შოტლანდიის დედოფალი მერი იყენებდა შენაცვლებად შიფრს და ასე გზავნიდა საიდუმლო უწყებებს ციხიდან; ხოლო ბრწყინვალე არაბი მეცნიერი აბუ იუსუფ ისმაილ ალკინდი თავის საიდუმლოს შესანიშნავად დაფარული შენაცვლებადი შიფრით იცავდა, რომელშიც ბევრი ანბანი იყო გამოყენებული.
და ვინჩიმ კი თავი აარიდა მათემატიკასა და კრიპტოლოგიას. მან საკითხის მექანიკური გადაწყვეტა ამჯობინა. ეს იყო კრიპტექსი ადვილად გადასატანი კონტეინერი, რომელსაც შეეძლო დაეცვა წერილები, რუკები, სქემები და ნებისმიერი სხვა რამ. როგორც კი ინფორმაცია კრიპტექსში ჩაიკეტებოდა, მისი მიღება შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც შესაბამისი პაროლი ჰქონდა.
 პაროლი გვჭირდება, თქვა სოფიმ და მიუთითა ასოებიან ციფერბლატზე.
კრიპტექსის მუშაობა ველოსიპედის საიდუმლო საკეტსა ჰგავს. თუ დისკოებს სწორ პოზიციაში დავაყენებთ, საკეტი გაიხსნება. ამ კრიპტექსის პაროლი, თუ დისკოების რაოდენობით ვიმსჯელებთ, ხუთასოიანია. თუ მათ სწორი თანმიმდევრობით დავატრიალებთ, შინაგანი კბილანები სათანადოდ განლაგდება და ცილინდრი გაიხსნება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შიგ რაღაა?
როდესაც ცილინდრი გაიხსნება, გამოჩნდება ღრუ, სადაც შეიძლება აღმოჩნდეს წერილი საიდუმლო ინფორმაციით.
ლენგდონი ეჭვით უყურებდა სოფის.
და შენ ამბობ, ბაბუა ასეთ სათამაშოებს გიკეთებდა, როცა პატარა იყავი?
დიახ, რამდენიმე ამაზე ცოტა უფრო პატარა კრიპტექსი მეც მქონდა. ერთიორჯერ დაბადების დღისთვის გამიკეთა და მომცა გამოცანა. გამოცანაზე პასუხი იყო კრიპტექსის პაროლი და როგორც კი მივხვდი, შევძელი გამეხსნა და შიგ მოსალოცი ბარათი დამხვდა.
მეტისმეტი შრომაა ერთი ბარათისათვის.
არა, ბარათებში ყოველთვის იყო კიდევ ერთი გამოცანა ან მინიშნება. ბაბუა ხშირად მიწყობდა სახლში გადამალული განძის ძიებას. ეს იყო მინიშნებათა ჯაჭვი, რომელიც ბოლოს და ბოლოს ნამდვილ საჩუქართან მიმიყვანდა ხოლმე. ყოველი ასეთი ძებნა ჩემთვის ხასიათისა და ღირსების გამოცდა იყო. ბაბუა უნდა დამერწმუნებინა, რომ ჯილდოს
ვიმსახურებდი. ტესტები კი არასოდეს არ იყო მარტივი.
ლენგდონი კვლავ უნდობლად დააცქერდა ცილინდრს.
კი მაგრამ, რატომ არ შეიძლება, უბრალოდ გავტეხოთ ან დავამსხვრიოთ? ლითონი თითქოს სუსტია, მარმარილო კი რბილი ქვაა.
სოფიმ გაიღიმა.
იმიტომ, რომ და ვინჩი უაღრესად ჭკვიანი ადამიანი იყო. მისი კრიპტექსი ისეა გაკეთებული, რომ, თუ მის ძალით გახსნას ეცდები, შიგ მოთავსებული ინფორმაცია თვითონ განადგურდება. შეხედე, სოფიმ ყუთში ხელი ჩაყო და ცილინდრი ამოიღო, ამაში
შესანახი ინფორმაცია ჯერ პაპირუსის გრაგნილზე იწერება.
და არა ეტრატზე?
სოფიმ თავი გააქნია.
პაპირუსზე. ვიცი, ცხვრის ტყავის ეტრატი უფრო გამძლე და მიღებული იყო იმ დროს, მაგრამ აქ პაპირუსს იყენებდნენ. რაც უფრო თხელი იქნებოდა, მით უკეთესი.
გასაგებია.
სანამ პაპირუსს კრიპტექსში ჩადებდნენ, მას ჯერ თხელი შუშის სინჯარაზე შემოახვევდნენ. იგი თითით შეეხო კრიპტექსს და შიგ სითხემ დაიბუყბუყა. სითხიანი სინჯარაა.
რა სითხეა?
სოფიმ გაიღიმა.
ძმარი. ლენგდონი ერთი წუთით შეყოყმანდა, შემდეგ კი თავის ქნევა დაიწყო, მან ყველაფერი
გაიგო.
ბრწყინვალეა.
ძმარი და პაპირუსი, გაიფიქრა სოფიმ. თუ ვინმე ეცდებოდა კრიპტექსის ძალით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გახსნას, შუშის სინჯარა გატყდებოდა, ძმარი კი პაპირუსს მყისვე გაანადგურებდა. და თუ ვინმე წერილს ამოიღებდა, ხელში მხოლოდ არაფრისმთქმელი რბილი მასა შერჩებოდა.
როგორც ხედავ, უთხრა მას სოფიმ, ერთადერთი გზა კრიპტექსში დამალული ინფორმაციის მოსაპოვებლად ზუსტი ხუთასოიანი პაროლის ცოდნაა. ხუთი დისკოს შემთხვევაში, თუ ყოველ მათგანზე 26 ასო წერია, მივიღებთ ოცდაექვსს მეხუთე ხარისხში.

სოფიმ სწრაფად გამოიანგარიშა, დაახლოებით 12 მილიონი ვარიანტი გამოდის.
მჯერა, თქვა ლენგდონმა ისეთი სახით, თითქოს თავში 12 მილიონი კითხვა უტრიალებდა. როგორ ფიქრობ, რა ინფორმაცია უნდა იყოს შიგ?
რაც არ უნდა იყოს, აშკარაა, რომ ბაბუას ძალიან უნდოდა მისი საიდუმლოდ შენახვა. წამით შეჩერდა, ყუთს სახურავი დაახურა და ზედ ამოტვიფრულ ვარდს დახედა. რაღაც აწუხებდა. შენ ხომ თქვი ცოტა ხნის წინ, რომ ვარდი ბარძიმის სიმბოლო იყო?
მართალია. პრიორატის სიმბოლიკაში ვარდი და ბარძიმი სინონიმებია.
სოფიმ შუბლი შეიჭმუხნა, უცნაურია, რადგან ბაბუა ყოველთვის მეუბნებოდა, ვარდი იდუმალებას ნიშნავსო. სახლში ვარდს თავისი კაბინეტის კარზე კიდებდა ხოლმე, როდესაც
კონფიდენციალური სატელეფონო საუბარი ჰქონდა და მე არ უნდა შევსულიყავი. მეც მირჩევდა, რომ იგივე გამეკეთებინა! ძვირფასო, მეუბნებოდა ხოლმე ბაბუა, როდესაც განმარტოება გვინდა, იმის მაგიერ, რომ ერთმანეთს კარი ჩავუკეტოთ, შეგვიძლია კარზე დავკიდოთ ვარდი les fleur des secrets. ამგვარად შევეჩვევით ერთმანეთის პატივისცემასა და ნდობას. ვარდის დაკიდება უძველესი რომაული წესია.
Sub rosa, თქვა ლენგდონმა. რომაელები ვარდს კიდებდნენ შეხვედრის დროს, რითაც მიანიშნებდნენ, რომ ეს შეხვედრა კონფიდენციალური იყო. შეხვედრის მონაწილეები ხვდებოდნენ, რომ რაც ითქმებოდა ვარდის ქვეშ ანუ sub rosa საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.
ლენგდონმა სწრაფად ახსნა, რომ საიდუმლოსთან კავშირი არ იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც საძმო ბარძიმის სიმბოლოდ ვარდს იყენებდა. Rosa rugosa, ვარდის უძველესი ჯიში, ხუთფურცლიანი იყო და ხუთკუთხოვანი სიმეტრია ჰქონდა, როგორც მანათობელ შუქურას პლანეტა ვენერას. ამით ვარდი ძლიერი იკონოგრაფიული ნიშნებით
უკავშირდება ქალურობას. ამასთან ერთად, ვარდს ახლო კავშირი ჰქონდა "ჭეშმარიტ მიმართულებასთან" და ნაოსნობასთან. ეგრეთ წოდებული "ვარდის კომპასი" ეხმარებოდა მოგზაურებს გზის პოვნაში, ისევე, როგორც "ვარდის ხაზები", ანუ რუკაზე აღნიშნული გრძედი. ამის გამო ვარდი იყო სიმბოლო, რომელიც ბარძიმის შესახებ სხვადასხვაგვარად მეტყველებდა. ეს იყო იდუმალება, ქალურობა და გზის ჩვენება, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქალის ფიალა და მანათობელი ვარსკვლავი, რომლებსაც ჭეშმარიტი სიმართლისკენ მივყავართ.
ლენგდონმა ახსნა დაამთავრა და უცნაურად დაიძაბა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობერტ? კარგადა ხარ? ლენგდონის თვალები ვარდის ხის ყუთზე იყო მიჯაჭვული. Sub... rosa, მას თითქოს
რაღაც გადასცდა და შიშნარევმა გაოცებამ გადაუარა სახეზე, შეუძლებელია!
რა? ლენგდონმა ნელა ასწია თვალები, ვარდის ნიშნის ქვეშ, ჩაიჩურჩულა მან, ეს
კრიპტექსი... მე მგონი, ვიცი, რაც არის.
თავი 48
ლენგდონს უჭირდა თავისი ვარაუდის დაჯერება. და მაინც, თუ გავითვალისწინებთ, ვინ
მისცა მათ ეს ქვის ცილინდრი, როგორ გადასცა და ახლა ყველაფერს კიდევ ზარდახშაზე
ინკრუსტირებული ვარდიც დაემატა, ლენგდონს მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთების
შესაძლებლობას უტოვებდა.
მე ხელში მიჭირავს საძმოს ქვაკუთხედი.
ლეგენდა ზუსტად მას აღწერდა.
ქვაკუთხედი ვარდის ნიშნის ქვეშ ძევს და კოდირებულ უწყებას შეიცავს.
რობერტ? სოფი ახლა მას უყურებდა. რა ხდება?
ლენგდონს ერთი წუთი დასჭირდა აზრის მოსაკრებად. ბაბუას შენთვის ოდესმე
უთქვამს, რას უწოდებენ la clef de voutel?
სეიფის კლიტეს? გადათარგმნა სოფიმ.
არა, ეს სიტყვასიტყვითი თარგმანია. Clef de voute ჩვეულებრივი ტერმინია
არქიტექტურაში. Voute მხოლოდ ბანკის სეიფს კი არ ნიშნავს, არამედ თაღს კამაროვან
გასასვლელში.
მაგრამ თაღს რა კლიტე უნდა ჰქონდეს?
აქვს. ნებისმიერ ქვის კამაროვან გასასვლელს სჭირდება ცენტრალური სოლის
ფორმის ქვა ყველაზე მაღალ წერტილში: ის აკავშირებს თაღის ნაწილებს ერთმანეთთან
და მთელ სიმძიმეს თავის თავზე იღებს ასე ვთქვათ, კეტავს თაღს. ეს ქვა, არქიტექტურული
თვალსაზრისით, არის თაღის გასაღები. მას ქვაკუთხედსაც ვუწოდებთ. ლენგდონი სოფის
თვალებს აკვირდებოდა იმ იმედით, რომ მიმხვდარიყო, რამე ხომ არ ეცნოო.
სოფიმ მხრები აიჩეჩა და კრიპტექსს დახედა.
ეს აშკარად არ არის ქვაკუთხედი.
ლენგდონმა არ იცოდა, საიდან დაეწყო. ქვაკუთხედები, ქვის კამაროვანი
გასასვლელის მშენებლობის ტექნიკა, ქვისმთლელების, ანუ მასონების ადრეულ საძმოებში
ყველაზე კარგად დაცული საიდუმლო იყო. თაღების სამეფო ხარისხი. არქიტექტურა,
ქვაკუთხედები. ეს ყოველივე ურთიერთდაკავშირებული იყო. კამაროვანი თაღების
ასაგებად ქვაკუთხედების გამოყენება იმ სიბრძნის ნაწილი იყო, რომელმაც მასონები
ხელოსანთა უმდიდრეს კორპორაციებად აქცია და სწორედ ამ საიდუმლოს იცავდნენ ისინი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდი სიფრთხილით. ქვაკუთხედები მუდამ იდუმალებით იყო მოცული. და მაინც, ვარდის
ხის ზარდახშაში ჩაკეტილი ქვის ცილინდრი აშკარად რაღაც სხვა უნდა ყოფილიყო. საძმოს
ქვაკუთხედი, თუ ეს მართლაც ის იყო, სრულიად განსხვავდებოდა ლენგდონის
წარმოდგენებისგან.
საძმოს ქვაკუთხედი ჩემი სპეციალიზაცია არ არის, აღიარა ლენგდონმა, ჩემი
ინტერესი წმინდა ბარძიმის მიმართ, პირველ რიგში, სიმბოლიკასთან არის
დაკავშირებული. მე ღრმად არ შემისწავლია ზღვა მასალა თქმულებების შესახებ,
რომლებიც მისი პოვნის ტექნოლოგიას აღწერს.
სოფიმ წარბები ასწია გაკვირვებისგან.
წმინდა ბარძიმის პოვნა?
ლენგდონმა უხერხულად დაუქნია თავი და შემდეგი სიტყვები ფრთხილად წარმოთქვა.
სოფი, საძმოს გადმოცემით, ქვაკუთხედი არის კოდირებული რუკა... რუკა, რომელიც
გვიჩვენებს ადგილს, სადაც წმინდა ბარძიმია დამალული. სოფი გაფითრდა.
და შენ ფიქრობ, რომ ეს სწორედ ის არის? ლენგდონმა არ იცოდა, რა ეთქვა. მასაც არ სჯეროდა თითქოს, მაგრამ მაინც,
ქვაკუთხედი ერთადერთი შესაძლო ლოგიკური დასკვნა იყო. ვარდის ნიშნის ქვეშ
დამალული კოდირებული უწყება.
ის, რომ კრიპტექსი მოფიქრებული იყო ლეონარდო და ვინჩის სიონის საძმოს
ყოფილი დიდი მაგისტრის მიერ, კიდევ ერთხელ ამტკიცებდა იმას, რომ ეს მართლაც
საძმოს ქვაკუთხედი იყო. ყოფილი დიდი მაგისტრის ნახაზი... საუკუნეთა შემდეგ საძმოს
მეორე წევრის მიერ განხორციელებული. შეუძლებელი იყო არ შეგემჩნია ასე აშკარა
კავშირი.
ბოლო ათი წლის განმავლობაში ისტორიკოსები ქვაკუთხედს ფრანგულ ეკლესიებში
ეძებდნენ. ბარძიმის მაძიებლებმა პრიორატის ორაზროვანი ნართაული სტილის
გათვალისწინებით დასკვნეს, რომ ლა ცლეფ დე ვოუტე იყო სწორედ ქვაკუთხედი, ანუ
არქიტექტურული სოლი, გრავირებული, კოდირებული ქვა, რომელიც ეკლესიის თაღების
კამაროვან გასასვლელშია ჩასმული. ვარდის ნიშნის ქვეშ. არქიტექტურა ვარდების
ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. მრგვალი ფანჯრები, ეგრეთ წოდებული
ვარდულები, ვარდის ფორმის რელიეფი. და რა თქმა უნდა, უამრავი ხუთფურცლიანი
დეკორატიული ყვავილი, რომლებსაც ხშირად ათავსებდნენ კამაროვანი თაღების წვერზე,
ზუსტად ქვაკუთხედის ზევით. დასამალი ადგილი ეშმაკურად მარტივი იყო. წმინდა
ბარძიმის მოსაძებნი რუკა რომელიღაც მივიწყებული ეკლესიის კამაროვან გასასვლელში
იყო ჩაყოლებული და დასცინოდა ბრმა მორწმუნეებს, რომლებიც მის ქვეშ მიმოდიოდნენ.
ეს კრიპტექსი არ შეიძლება ქვაკუთხედი იყოს, შეედავა მას სოფი, ეს ძალიან ძველი
არ არის. დარწმუნებული ვარ, ბაბუას გაკეთებულია. ის არ შეიძლება გრაალის შესახებ
რომელიმე უძველესი ლეგენდის ნაწილი იყოს.
სინამდვილეში, უპასუხა ლენგდონმა, მას ხმაში აღელვება შეეპარა, ცნობილია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ საძმომ ქვაკუთხედი ბოლო ოციოდე წლის განმავლობაში შექმნა.
სოფიმ ეჭვით სავსე მზერა ესროლა ლენგდონს.
მაგრამ თუ ეს კრიპტექსი წმინდა ბარძიმის სამალავ ადგილს აჩვენებს, ბაბუა მე რატომ მომცემდა? მე ხომ წარმოდგენა არა მაქვს, როგორ გავხსნა, ან რა ვუყო. მე ისიც კი არ ვიცი, რა არის წმინდა ბარძიმი.
თავისდა გასაკვირად, ლენგდონი მიხვდა, რომსოფი მართალი იყო. მას მანამდე არ მისცემია სოფისთან ბარძიმის რაობაზე საუბრის საშუალება. მაგრამ ეს ამბავი მოიცდიდა, ახლა ქვაკუთხედი იყო მთავარი.
თუ ის, რა თქმა უნდა, მართლა ქვაკუთხედია.
ტყვიაგაუმტარი ბორბლების ხმაურის ფონზე, ლენგდონმა სწრაფად აუხსნა სოფის ყველაფერი, თუკი რამ ქვაკუთხედის შესახებ გაეგო. როგორც ამტკიცებდნენ, საუკუნეების
მანძილზე საძმოს ყველაზე დიდი საიდუმლო წმინდა ბარძიმის ადგილსამყოფელი არასოდეს ჩაუწერიათ. უსაფრთხოების მიზნით ეს საიდუმლო ზეპირად გადაეცემოდა ყოველ ახლად დაწინაურებულ სენეშალს საიდუმლო ცერემონიალზე. თუმცა გასულ საუკუნეში ხმები გავრცელდა, რომ პრიორატის პოლიტიკა შეიცვალა. ეს ალბათ დაკავშირებული იყო ახალი მისაყურადებელი ელექტრონული საშუალებების შემოღებასთან, მაგრამ საძმომ ფიცი დადო, აღარასოდეს ელაპარაკა სამალავის შესახებ.
მაშ როგორღა უნდა გადასცენ ეს საიდუმლო? იკითხა სოფიმ.
აი, აქ შემოდის ქვაკუთხედი. ახსნა ლენგდონმა. როდესაც საძმოს ოთხი უმაღლესი წევრიდან ერთერთი მოკვდებოდა, დარჩენილი სამი ირჩევდა უფრო დაბალი ეშელონებიდან მომდევნო კანდიდატს, რომელიც სენეშალად უნდა დაეწინაურებინათ. იმის
ნაცვლად, რომ ეთქვათ ახალი სენეშალისთვის, სად იყო ბარძიმი დამალული, მას ცდიდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ახლად არჩეული ნდობის ღირსი იყო.
ამის გაგონებაზე სოფი აღელდა და უეცრად ლენგდონსაც გაახსენდა, სოფის მონაყოლი, თუ როგორ უწყობდა მას ბაბუა განძის ძიების თამაშს, preuves de merite. ეს ქვაკუთხედის მსგავსი ცნება იყო. და კიდევ ერთიც, შემოწმების ასეთი მეთოდები ფართოდ
იყო გავრცელებული საიდუმლო საზოგადოებებში. მათ შორის ყველაზე კარგად იყო ცნობილი მასონების ორგანიზაცია. ამ საზოგადოების წევრებს იმ შემთხვევაში ჰქონდათ უფრო მაღალ რანგში გადასვლის უფლება, თუ დაამტკიცებდნენ, რომ საიდუმლოს შენახვა
შეეძლოთ. ამისათვის წლების მანძილზე ასრულებდნენ მათი ღირსების გამოსაცდელ მრავალ რიტუალსა და ტესტს. დავალებები იქამდე რთულდებოდა, ვიდრე კულმინაციას არ მიაღწევდა და წარმატებული კანდიდატის ოცდამეთერთმეტე ხარისხის მასონად მიღებით დასრულდებოდა.
ესე იგი, ქვაკუთხედი ღირსების დადასტურებაა, თქვა სოფიმ, თუ დასაწინაურებელ სენეშალი მის გახსნას შეძლებს, ამით დაამტკიცებს, რომ ღირსია, შიგ დაფარული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინფორმაცია იცოდეს.
დამავიწყდა, რომ შენ გაქვს ამგვარი გამოცდილება.
არა მარტო ბაბუასთან. კრიპტოლოგიაში ამას “ნების დამრთავ” ენას უწოდებენ, რაც
იმას ნიშნავს, რომ, თუ ჭკვიანი ხარ და კოდირებულ უწყებას წაიკითხავ, უფლება გეძლევა,
მისი შინაარსი იცოდე. ლენგდონი ერთი წუთით შეყოვნდა.
სოფი, ხვდები? თუ ეს მართლაც ქვაკუთხედია, მაშინ ის, რომ შენი ბაბუა მასთან
დაშვებული იყო, მიგვანიშნებს სიონის საძმოში მის განსაკუთრებულ ძალაუფლებაზე. იგი
ოთხ სენეშალთაგან ერთერთი უნდა ყოფილიყო.
სოფიმ ამოიოხრა.
მას მართლაც მაღალი ადგილი ეჭირა რომელიღაც საიდუმლო საზოგადოებაში.
ამაში დარწმუნებული ვარ. მე მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო, რომ ეს საძმო იყო. ლენგდონი ისე გაოცდა, რომ ამაზე რეაქცია უცებ ვერ მოახდინა.
შენ იცოდი, რომ ის საიდუმლო საზოგადოებაში იყო?
ათი წლის წინ მე დავინახე რაღაც, რაც არ უნდა დამენახა. მას შემდეგ ერთმანეთს არ
დავლაპარაკებივართ. სოფის ლაპარაკი უჭირდა. ბაბუაჩემი უბრალოდ მაღალი რანგის
წევრი არ იყო ამ საზოგადოებაში... დარწმუნებული ვარ, ის ყველაზე მაღალი რანგის
წევრი იყო. ლენგდონს უჭირდა იმის დაჯერება რაც ახლა მოისმინა. დიდი მაგისტრი? მაგრამ... ეს
საიდან უნდა გაგეგო!
მირჩევნია, ამაზე არ ვილაპარაკო. სოფიმ თვალი აარიდა ლენგდონს.
გამომეტყველება მტკიცე და თანაც ტანჯული ჰქონდა.
ლენგდონი მეხდაცემულივით იჯდა. ჟაკ სონიერი? დიდი მაგისტრი? უცნაური შეგრძნება
დაეუფლა, რომ ყველაფერი საოცრად ლოგიკურად დალაგდა. ბოლოს და ბოლოს,
მონასტრის წინა დიდი მაგისტრებიც სულით ხელოვანი გამოჩენილი საზოგადო
მოღვაწეები იყვნენ. ამის მტკიცება აღმოაჩინეს წლების წინ პარიზის ეროვნულ
ბიბლიოთეკაში, სადაც ნაპოვნი ქაღალდები შემდგომ Dossiers Secretsის სახელით გახდა
ცნობილი.
საძმოს საქმიანობის აღმწერ ყველა ისტორიკოსს და ბარძიმის მოყვარულს წაკითხული
ჰქონდა ეს დოკუმენტები. ისინი კატალოგში შეიტანეს 40lm 1 249 ნომრით. საიდუმლო
დოკუმენტების ავთენტურობა ბევრმა სპეციალისტმა შემოწმა და საბოლოოს დამტკიცდა
ის, რასაც დიდი ხნის მანძილზე ვარაუდობდნენ ისტორიკოსები: საძმოს დიდი მაგისტრების
რიცხვში შედიოდნენ ლეონარდო და ვინჩი, ბოტიჩელი, სერ ისააკ ნიუტონი, ვიქტორ ჰიუგო
და ყველაზე ბოლო დროისა, ჟან კოქტო, ცნობილი პარიზელი მხატვარი, პოეტი და
დრამატურგი.
რატომ არ შეიძლება, ჟაკ სონიერიც ყოფილიყო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონს ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერდა, როდესაც გაიხსენა, რომ ამ ღამით იგი ჟაკ
სონიერს უნდა შეხვედროდა. საძმოს დიდმა მაგისტრმა დამინიშნა შეხვედრა. რატომ?
ხელოვნებაზე რომ გვესაუბრა? უცებ მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ, თუ ლენგდონს წინათგრძნობა მართალს ეუბნებოდა, სიონის საძმოს დიდმა მაგისტრმა ესესაა
საძმოს ლეგენდარულიქვაკუთხედი თავის შვილიშვილს გადასცა და თან უბრძანა რობერტ
ლენგდონი მოეძებნა.
წარმოუდგენელია!
ლენგდონს ვერ გაეგო, რა გარემოებათა თანხვედრას უნდა გამოეწვია სონიერის
ნაბიჯი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სონიერს სიკვდილისა ეშინოდა, არსებობდა კიდევ სამი
სენეშალი, რომლებიც ასევე ფლობდნენ საიდუმლოს. ეს იყო საძმოს უსაფრთხოების
გარანტია. რატომ უნდა გადაეცა სონიერს თავისი შვილიშვილისათვის ქვაკუთხედი? ეს ხომ
უზარმაზარი რისკი იყო, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ ცუდი
ურთიერთობა ჰქონდათ? და რატომ ჩართო ამ საქმეში ლენგდონი... სრულიად უცნობი
ადამიანი?
ამ ასსწყობ თავსატეხს ერთი ნაწილი აკლია, გაიფიქრა ლენგდონმა.
პასუხებს, როგორც ჩანს, სწრაფად ვერ იპოვიდნენ. ძრავის შენელების ხმამ ორივეს
თავის დაწევა აიძულა. საბურავების ქვეშ ქვიშამ დაიხრაშუნა. უკვე რატომ აჩერებს?
დაინტერესდა ლენგდონი. ვერნემ ხომ გვითხრა, ქალაქიდან კარგა შორს, უსაფრთხო
ადგილას გაგიყვანთო? სატვირთო მანქანამ სიჩქარე დააგდო, იგი ახლა გაჭირვებით
მიხოხავდა მოულოდნელად უსწორმასწორო გზაზე. სოფიმ შეწუხებული მზერა ესროლა
ლენგდონს. აჩქარებით დახურა და ჩაკეტა კრიპტექსიანი ზარდახშა. ლენგდონმა
ზარდახშას ისევ გადააფარა თავისი პიჯაკი.
მანქანა გაჩერდა. ძრავა ისევ ჩართული იყო, როდესაც გვერდითი კარის საკეტი
გადატრიალდა. კარი გაიღო და ლენგდონმა გაკვირვებით შეამჩნია, რომ ისინი ტყიან
ადგილას გაჩერებულიყვნენ. გზიდან კარგა მოშორებით. გამოჩნდა ვერნე. მას დაძაბული
მზერა ჰქონდა. ხელში პისტოლეტი ეჭირა.
ძალიან ვწუხვარ, ამას რომ ვაკეთებ, თქვა მან, მაგრამ სხვა გამოსავალი უბრალოდ
არა მაქვს.
თავი 49
პისტოლეტით ხელში ანდრე ვერნე სულელურად გამოიყურებოდა, მაგრამ თვალებით
ისეთ სიმტკიცეს ასხივებდა, რომ ლენგდონი მიხვდა: ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევა
უგუნურება იქნებოდა.
ვწუხვარ, დაჟინებით უნდა მოვითხოვო, თქვა ვერნემ და იარაღი მიუშვირა, ყუთი
ძირს დადეთ.
სოფიმ ზარდახშა გულზე მიიკრა
თქვენ თქვით, რომ ბაბუასთან მეგობრობდით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი მოვალეობაა, დავიცვა ბაბუათქვენის საკუთრება, უპასუხა ვერნემ, და ახლა სწორედ ამას ვაკეთებ. დადეთ ყუთი ძირს.
ბაბუამ ეს მე მანდო! განაცხადა სოფიმ.
გააკეთეთ, რასაც გეუბნებით, უბრძანა ვერნემ და იარაღი ასწია.
სოფიმ ზარდახშა თავის ფეხებთან დადო. ლენგდონმა დაინახა, რომ იარაღის ლულა ახლა მისკენ მიტრიალდა.
ბატონო ლენგდონ, თქვა ვერნემ, თქვენ ყუთს აქ მომიტანთ. მინდა იცოდეთ, იმიტომ გთხოვთ ამის გაკეთებას, რომ თქვენ დაუყოვნებლივ გესვრით.
ლენგდონი ბანკირს მიშტერებოდა. მისთვის გაუგებარი იყო, რაც ხდებოდა.
რატომ აკეთებთ ამას?
როგორ ფიქრობთ, რატომ? სწრაფად უპასუხა ვერნემ, ახლა მისი აქცენტიანი ინგლისური დაიხვეწა. იმისათვის, რომ დავიცვა ჩემი კლიენტის საკუთრება.
ახლა ჩვენ ვართ თქვენი კლიენტები. თქვა სოფიმ.
ვერნეს გამომეტყველება ყინულივით ცივი გაუხდა. ის შემაძრწუნებლად გარდაისახა.
მადმუაზელ ნევე, არ ვიცი, როგორ ¸ჩაიგდეთ ხელში გასაღები და ანგარიშის ნომერი, მაგრამ აშკარაა, რომ ეს სიცრუით მოახერხეთ, რომ მცოდნოდა თქვენი დანაშაულის მასშტაბი, ბანკის დატოვებაში არასდროს დაგეხმარებოდით.
მე გითხარით, ყთხრა სოფიმ, ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს ბაბუას მკვლელობასთან!
ვერნემ ლენგდონს შეხედა. და მაინც რადიო აცხადებს, რომ თქვენ იძებნებით არა მარტო ჟაკ სონიერის, არამედ კიდევ იმ სამი ადამიანის მკვლელობისთვისაც?
რაო! ლენგდონს ელდა ეცა. კიდევ სამი მკვლელობა? მასზე ციფრის დამთხვევამ უფრო მეტად იმოქმედა, ვიდრე იმან, რომ ის თვითონ იყო მთავარი ეჭვმიტანილი. ეს დამთხვევა არ უნდა ყოფილიყო. სამი სენეშალი? ლენგდონის მზერა ვარდის ხის ზარდახშას მოხვდა. თუ სენეშალები მოკლეს, მაშინ სონიერს არჩევანი აღარ ჰქონია. ქვაკუთხედი ვინმესთვის უნდა გადაეცა.
ამას პოლიცია გაარკვევს, როდესაც მათ ჩაგაბარებთ, თქვა ვერნემ. ჩემი ბანკი უკვე ისედაც ძალიან ჩავითრიე ამ საქმეში.
სოფიმ განრისხებული მზერა ესროლა ვერნეს.
აშკარაა, რომ თქვენ ჩვენს დაბეზღებას არ აპირებთ. ასე რომ იყოს, უკან წაგვიყვანდით ბანკში. ამის მაგიერ კი აქ მოგვიყვანეთ და იარაღს გვიმიზნებთ?
ბაბუათქვენმა მე იმიტომ დამიქირავა, რომ მისი ქონების უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა დამეცვა. რაც არ უნდა იყოს ამ ყუთში, მე არ დავუშვებ, რომ ის პოლიციის
საგამოძიებო კატალოგში შეტანილი დანომრილი ნივთმტკიცება გახდეს. ბატონო ლენგდონ, მომიტანეთ ყუთი.
სოფი თავი გააქნია.
არ დაემორჩილო!
გასროლამ დაიგრიალა და ტყვიამ მათ ზევით კედელი გაარღვია. ვიბრაციამ ძარას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჟრუანტელივით დაუარა და ცარიელი მასრა წკრიალით დაეცა იატაკზე.
ეშმაკმა წაიღოს! ლენგდონი ადგილზე გაიყინა.
ვერნე ახლა უფრო მტკიცედ ალაპარაკდა.
ბატონო ლენგდონ, აიღეთ იატაკიდან ყუთი. ლენგდონმა ყუთი ასწია.
ახლა ჩემთან მოიტანეთ, ვერნეს იგი მიზანში ჰყავდა ამოღებული, თვითონ კი ბამპერის უკან იდგა, იარაღი კი წინ ჰქონდა გაშვერილი და ტვირთმზიდის შიგნით მდგარ ლენგდონს უმიზნებდა.
ზარდახშით ხელში ლენგდონმა ტვირთმზიდი გადაკვეთა ღია კარის მიმართულებით.
რაღაც უნდა ვიღონო! გაიფიქრა ლენგდონმა. თორემ სადაცაა ვიღაცას გადავცემ პრიორატის ქვაკუთხედს! როდესაც ლენგდონი კარისკენ წავიდა, მაღალზე დგომით მიღებული უპირატესობა უფრო აშკარა გახდა და მან მის გამოყენებაზე დაიწყო ფიქრი.
ვერნეს იარაღი, აწეულიც კი, ლენგდონს მუხლის სიმაღლეზე სწვდებოდა. კარგად დამიზნებული დარტყმა ალბათ ივარგებს? სამწუხაროდ, როდესაც ლენგდონი მიუახლოვდა, ვერნემ თითქოს იგრძნო მოვლენათა საშიში განვითარების შესაძლებლობა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ექვსი ფუტის იქით დაიკავა ადგილი. ახლა იგი ძნელად
მისაწვდომი იყო.
ყუთი კარის გვერდზე დადეთ, უბრძანა ვერნემ.
სხვა გზა აღარ იყო. ლენგდონი დაიხარა და ვარდის ხის ზარდახშა ტვირთმზიდის კიდესთან დადო, ზუსტად ღია კარის წინ.
ახლა ადექით.
ლენგდონი წამოიწია, მაგრამ იატაკზე დავარდნილი მასრა შეამჩნია და შეყოვნდა.
ადექით და ყუთს მოშორდით.
ლენგდონი ერთი წამით კიდევ შეყოვნდა და ლითონის ზღურბლი მოათვალიერა.
შემდეგ წამოდგა. ადგომისას განგებ გაჰკრა ფეხი მასრას და კიდიდან ვიწრო კარნიზზე გადააგდო, კარის ვიწრო ქვედა ზღურბლთან. მერე წელში გასწორდა და უკან დაიხია.
დაბრუნდით უკანა კედელთან და მიტრიალდით.
ლენგდონი დაემორჩილა.
ვერნეს საკუთარი გულისცემა ესმოდა. იარაღს მარჯვენა ხელით უმიზნებდა,ხოლო მარცხენა ხელით მისწვდა ვარდის ხის ზარდახშას. ის უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე ელოდა. ორი ხელი მჭირდება. ტყვეებისკენ გაიხედა და აწონდაწონა, რამდენად სარისკო იქნებოდა მისი შემდგომი ქცევა. ორივე ტვირთმზიდის შორეულ ბოლოში იდგა, მისგან 15
ფუტის მოშორებით. მისკენ არც ერთი არ იყურებოდა. ვერნემ გადაწყვეტილება მიიღო. მან
სწრაფად დადო იარაღი ბამპერზე, ყუთი ორივე ხელით ასწია და მიწაზე დადო, მაშინვე ისევ დასტაცა ხელი იარაღს და ტვირთმხიდის უკანა განყოფილებაში მდგარ ტყვეებს დაუმიზნა. არც ერთი ტყვე არ განძრეულა.
შესანიშნავია. ახლა მხოლოდ კარის დახურვა და ჩაკეტვაღა იყო საჭირო. ვერნემ ერთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წამით დატოვა ყუთი მიწაზე, ხელი გაიწვდინა ერთადერთი ურდულისკენ, რომელიც თავის
ადგილას უნდა ჩაცურებულიყო. კარი ხმაურით დაიხურა. ვერნემ სწრაფად წაავლო ხელი ურდულს და მარცხნივ გასწია. ურდული რამდენიმე დიუიმით ჩასრიალდა და მოულოდნელი ჩხაკუნით გაიჭედა, ისე, რომ ღრმულში ვერ შეცურდა. რა ხდება? ვერნემ კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ ურდული არ ჩაიკეტა. მექანიზმი არ მუშაობდა. კარი ბოლომდე არ არის დახურული! ვერნეს პანიკა დაეუფლა, იგი კარს დაეჭიდა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. რაღაცა უშლის ხელს! ვერნე გვერდზე მიბრუნდა, რომ მხარი შეეყო კარის ღრიჭოში, მაგრამ ამ დროს კარი მთელი ძალით გაიღო, ვერნეს სახეში დაეჯახა, უკან გადააგდო და მიწაზე გააგორა. ცხვირი ლამის გაუსკდა. იარაღი გადავარდა, როდესაც ვერნემ ხელები სახეზე აიფარა, იგრძნო, როგორ დაუსველა თითები ცხვირიდან დადენილმა თბილმა სისხლმა.
რობერტ ლენგდონი სადღაც ახლოს ჩამოხტა, ვერნემ ადგომა სცადა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. თვალისჩინდაკარგული ისევ უკან გადავარდა. მხოლოდ სოფი ნევეს გაურკვეველი ყვირილი ესმოდა. ცოტა ხნის შემდეგ კი იგრძნო, როგორ დაადგა თავზე ჭუჭყისა და გამონაბოლქვის ღრუბელი. ხრეშზე საბურავების ღრჭიალიც გაიგონა და წამომჯდარმა დაინახა, რა გაჭირვებით უხვევდა მანქანა განიერ ბორბლებზე. ჭახანი მოესმა წინა ბამპერი პატარა ხეს გამოედო. ძრავამ დაიღმუვლა, ხე კი ჭრიალით მოიხარა. ბოლოს ისევ ბამპერმა ვეღარ გაუძლო და ცალი მხარეს მოსწყდა. ჯავშნიანმა ავტომობილმა თითქოს ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, თან წინა ბამპერს მიითრევდა. როდესაც ბოლოს და ბოლოს მოკირწყლულ გასასვლელ გზას მიაღწია, ნაპერწკლების წვიმამ გაანათა ღამე და კუდივით გაჰყვა მანქანას.
ვერნემ დაბლა დაიხედა, იქ, სადაც ერთი წამის წინ ჯავშნიანი ფურგონი იდგა. მთვარის მკრთალ შუქზეც კი გაარჩია მომხდარი.
ხის ზარდახშა გამქრალიყო.
თავი 50
სრულიად ჩვეულებრივი და უღიმღამო ფიატსედანი განდოლფოს სასახლიდან გამოვიდა და ალბანოს გორაკებს შორის გაშლილი დაბლობისაკენ დაეშვა ქვევით. მანქანის უკანა სავარძელზე მჯდარი ეპისკოპოსი არინგაროსა იღიმებოდა, წარმომდგენზე გაფორმებული ობლიგაციების სიმძიმე სიამოვნებდა. მუხლებზე სიმდიდრით სავსე პორტფელი ედო. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როდის შეძლებდა მოძღვართან ერთად ამ ფასიანი ქაღალდების განაღდებას.
ოცი მილიონი ევრო.
ეს თანხა არინგაროსას ახლანდელზე გაცილებით მეტი ძალაუფლების ყიდვის შესაძლებლობას მიანიჭებდა.
მანქანა რომისკენ მიქროდა, არინგაროსა კი ისევ ჩაფიქრდა. აქამდე რატომ არ დაუკავშირდა მოძღვარი? მოსასხამის ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და მიმღები სიგნალი შეამოწმა. ძალიან დაბალი იყო.
ფიჭური კავშირი ამ სიმაღლეზე შეზღუდულია, უთხრა მძღოლმა და სარკიდან მზერა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეაგება, ასე, ხუთ წუთში გავივაკებთ და კავშირიც აღდგება.
 გმადლობთ, არინგაროსა უცებ შეწუხდა. მთებში კავშირი არ არის? ვინ იცის, იქნებ მოძღვარი მთელი ამ ხნის მანძილზე ცდილობდა ჩემთან დაკავშირებას. შეიძლება რაღაც ძალიან ცუდი მოხდა.
არინგაროსამ სწრაფად შეამოწმა მიღებული შეტყობინებების სია. ცარიელი იყო. მცირე ხანში ისევ შეამოწმა. მერე კი მიხვდა, რომ მოძღვარი მას ჩაწერილ შეტყობინებას არ დაუტოვებდა; ეს კაცი ძალიან დიდ სიფრთხილეს იჩენდა ამ თვალსაზრისით. მოძღვარზე უკეთ არავინ იცოდა, რა საფრთხეს ქმნიდა თანამედროვე მსოფლიოში ღია კავშირი. განა თვითონ ელექტრონული მიყურადების საშუალებებით არ შეაგროვა ის აურაცხელი ინფორმაცია, რომელსაც ფლობდა?
სწორედ ამიტომ ფრთხილობს.
სამწუხაროდ, მოძღვარმა არინგაროსას არავითარი საკონტაქტო ტელეფონი არ მისცა როგორც ეტყობა, ესეც წესად ჰქონდა. მხოლოდ მე დაგიკავშირდებით, ამცნო მოძღვარმა ამიტომ ტელეფონი მუდამ თან იქონიეთ. ახლა, როდესაც არინგაროსამ აღმოაჩინა, რომ მისი ტელეფონი ალბათ კარგად არ მუშაობდა, შეწუხდა. ნეტა რას იფიქრებდა მოძღვარი, თუ რეკავდა და პასუხს არ იღებდა.
იფიქრებს, რომ საქმე ცუდადაა, რომ მე ობლიგაციები ვერ მოვიპოვე.
მღელვარებისგან ოდნავ გაოფლიანდა კიდეც.
ან კიდევ უარესი... ფული ავიღე და გავიქეცი!
თავი 51
მართალია, ჯავშნიანი ფურგონი საათში სულ რაღაც სამოცი კილომეტრის სიჩქარით მიდიოდა, მაგრამ ჩამოგლეჯილი ბამპერი მაინც საშინელი ღრჭიალით მიხრიგინებდა გარეუბნის დაცარიელებულ გზაზე და ნაპერწკლებს აფრქვევდა.
გზიდან უნდა გადავიდეთ, გაიფიქრა ლენგდონმა.
ვერც კი ხედავდა, საით მიდიოდნენ. მანქანის ერთადერთი მოქმედი ფარი გვერდზე იყო გადახრილი და დაბრეცილი სხივით ხვრეტდა ირგვლივ შემოჯარულ ტყეს. როგორც ეტყობა, ჯავშნით მხოლოდ ძარა იყო დაფარული, მძღოლის ადგილი კი დაუცველი იყო.
სოფი მგზავრის ადგილას იჯდა და გულგრილად დაჰყურებდა თავის მუხლებზე დასვენებულ ვარდის ხის ზარდახშას.
 კარგადა ხარ? ჰკითხა ლენგდონმა.
სოფი გაბრუებული ჩანდა.
 მისი გჯერა?
 სამ მკვლელობაზე ამბობ? რა თქმა უნდა. ეს ხომ ბევრს კითხვაზე იძლევა პასუხს რატომ ცდილობდა ბაბუაშენი ქვაკუთხედის გადმოცემას და რატომ მდევნის ასე გულმოდგინედ ფაში.
 არა, მე იმაზე გეუბნები, რაც ვერნემ თავისი ბანკის დაცვის შესახებ თქვა.
ლენგდონმა მას გადახედა.
 სხვა რა უნდა უნდოდეს?
 თვითონ წაიღოს ქვაკუთხედი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონს ამაზე არც კი უფიქრია.
 საიდან უნდა სცოდნოდა, რა იყო ზარდახშაში?
 ის ხომ მის ბანკში ინახებოდა. თანაც ბაბუას იცნობდა. იქნებ ამ საქმის კურსში იყო.
 იქნებ გადაწყვიტა, რომ ბარძიმი თვითონაც გამოადგებოდა?
 ლენგდონმა თავი გაიქნია. ვერნე არ ჰგავდა ამ ტიპის ადამიანს.
 ჩემი გამოცდილებით, ადამიანები ორი მიზეზით ეძებენ ხოლმე ბარძიმს: პირველი, იმდენად მიამიტები არიან, რომ სჯერათ, თითქოს დიდი ხნის წინ დაკარგულ ქრისტეს ბარძიმს ეძებენ...
 და მეორე?
 და მეორე, მათ იციან სიმართლე და ის მათ აშინებს. ისტორიულად ცნობილია, რომ სხვადასხვა დროს არსებობდა ბევრი ჯგუფი, რომელიც ბარძიმის განადგურებას ცდილობდა.
 ერთხანს არაფერს ამბობდნენ და უფრო მკაფიოდ ისმოდა მოღრჭიალე ბამპერის ხმა. უკვე რამდენიმე კილომეტრი ჰქონდათ გავლილი. ლენგდონი უყურებდა მანქანის წინა ნაწილიდან ამოფრქვეული ნაპერწკლების კასკადს. ნეტა საშიში ხომ არ არის? რომ არ ყოფილიყო კიდეც, შემხვედრი მანქანების ყურადღებას უეჭველად მიიპყრობდა.
 ლენგდონმა გადაწყვეტილება მიიღო.
 ვნახავ, იქნებ ბამპერი გავასწორო.
 მანქანა გზიდან გადაიყვანა და გააჩერა.
 როგორც იქნა, სიჩუმემ დაისადგურა.
 გარეთ გამოსულმა ლენგდონმა საკუთარი თავში გასაოცარი ძალა იგრძნო. ამ ღამის განმავლობაში მან უკვე მეორედ გაუსწორა თვალი იარაღის ლულას და, როგორც ჩანს, შინაგანი ენერგიის უშრეტი წყარო გაეხსნა. ღამის ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და გონება მოიკრიბა. ლენგდონს ეძებდნენ, რაც მის მდგომარეობას ამძიმებდა, მაგრამ ამას დაემატა სრულიად ახალი პასუხისმგებლობა. სულაც არ იყო გამორიცხული, რომ ის და სოფი მართლაც ფლობდნენ კოდირებულ მითითებათა კომპლექტს ყველა დროის ერთერთი ყველაზე სანუკვარი საიდუმლოს შესახებ.
 გარდა იმისა, რომ ეს პასუხისმგებლობა თავისთავად იყო მძიმე, ლენგდონი იმასაც მიხვდა, რომ პრიორატში საიდუმლოს დასაბრუნებლად უკვე აღარავითარი გზა აღარ იყო.
 ცნობას კიდევ სამი მკვლელობის შესახებ საზარელი მნიშვნელობა ჰქონდა. საძმოში ვიღაცამ შეაღწია. ისინი საფრთხეში არიან. საძმოს აშკარად ვიღაც უთვალთვალებს ან მათ რიგებშია ჯაშუში. ეს თითქოს ხსნის იმას, თუ რატომ გადასცა სონიერმა ქვაკუთხედი სოფის
 და ლენგდონს საძმოს გარეთ მყოფ ადამიანებს, იმათ, ვინც, როგორც სონიერმა იცოდა, არ იყო საფრთხეში. გამოდის, რომ ჩვენ სულაც არ უნდა დავუბრუნოთ ქვაკუთხედი საძმოს. ლენგდონს რომ სცოდნოდა კიდეც, როგორ ეპოვა საძმოს რომელიმე წევრი და ქვაკუთხედი მისთვის გადაეცა, ადვილი შესაძლებელია, ის მტერი აღმოჩენილიყო. ახლა კი, უნდოდათ თუ არა, ქვაკუთხედი სოფისა და ლენდონის ხელში იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მანქანის წინა ნაწილი უფრო უარესად გამოიყურებოდა, ვიდრე ეს ლენგდონს წარმოედგინა. მარცხენა ფარი აღარ იყო, მარჯვენა კი ბუდიდან გადმოკიდებულ თვალის კაკალს ჰგავდა. ლენგდონი უშედეგოდ ეცადა მის გასწორებას. სანუგეშოდ ისღა დარჩათ, რომ ბამპერი თითქმის მთლიანად იყო მოგლეჯილი და ლენგდონი მიხვდა, რომ ფეხის ერთი დარტყმით შეძლებდა მის მოწყვეტას.

როდესაც მეორედ მიარტყა ფეხი დაბრეცილ ლითონს, გაახსენდა თავისი და სოფის წეღანდელი საუბარი. ბაბუამ დამიტოვა სატელეფონო შეტყობინება, უთხრა მაშინ სოფიმ. მან მითხრა, რომ სიმართლე უნდა ეთქვა ჩემი ოჯახის შესახებ. მაშინ ეს არაფერს ნიშნავდა. ახლა კი, როცა გაიგეს, რომ საქმე სიონის საძმოს ეხებოდა, ლენგდონმა იგრძნო, რომ ახალი საოცარი შანსი წარმოიქმნა.

ბამპერი უეცარი ხმაურით მოსძვრა. ლენგდონი სულის მოსათქმელად შეყოვნდა. როგორც იქნა, მანქანა დამოუკიდებლობის დღესასწაულის ფეიერვერკს აღარ ჰგავდა. ლენგდონი დაეჭიდა ბამპერს და ტყეში გაათრია. ახლა იმაზე ფიქრობდა, საით უნდა წასულიყვნენ. მათ წარმოდგენა აღარ ჰქონდათ, როგორ უნდა გაეხსნათ კრიპტექსი, ან რისთვის გადმოსცა სონიერმა ეს ნივთი. სამწუხაროდ, მათი გადარჩენა, როგორც ჩანს, იმაზე იყო დამოკიდებული, თუროგორ მოახერხებდნენ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

დახმარება გვჭირდება, გადაწყვიტა ლენგდონმა. პროფესიონალის დახმარება.

წმინდა ბარძიმისა და სიონის საძმოს სამყაროში ეს მხოლოდ ერთადერთ ადამიანს შეეძლო. მაგრამ სოფის დარწმუნება იქნებოდა რთული.

ჯავშნიან მანქანაში დარჩენილი სოფი ლენგდონის დაბრუნებას ელოდა. მუხლებზე ვარდის ხის ზარდახშის სიმძიმეს გრძნობდა და სძულდა ის. რატომ მომცა ეს ყუთი ბაბუამ?

ოდნავი წამოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა უნდა ექნა.

სოფი, იფიქრე! ტვინი გაანძრიე. ბაბუა რაღაცის თქმას ცდილობს!

მან ზარდახშა გახსნა და კრიპტექსის დისკოები დაათვალიერა. ღირსების დამტკიცება. ამას ბაბუას ხელი ეტყობოდა. ქვაკუთხედი ის რუკაა, რომელიც გზას უჩვენებს მხოლოდ ღირსეულთ. ზუსტად ასე იტყოდა ბაბუა.

მან კრიპტექსი ყუთიდან ამოიღოო და თითები დისკოებს გადაუსვა. ხუთი ასო. სათითაოდ დაატრიალა დისკოები. მექანიზმი თანაბრად ტრიალებდა. დისკოები ისე განალაგა, რომ არჩეული ასოები ცილინდრის ორივე ბოლოს მდებარე ორი თითბრის ისარს შორის დაელაგებინა. ციფერბლატზე ახლა ხუთასოიანი სიტყვა დაიწერა, სოფიმ იცოდა, რომ ეს სისულელემდე აშკარა იყო.

GRAIL

მან ფაქიზად დაიჭირა ცილინდრის ორივე ბოლო და გასწია, იგი ძალას ნელნელა ატანდა საგანს. კრიპტექსი არც შერხეულა. მან გაიგონა, როგორ დაიბუყბუყა შიგნით ძმარმა და ძალა აღარ დაუტანებია.

VINCI

ისევ არავითარი მოძრაობა.

VOUTE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არაფერი. კრიპტექსი მაგრად იყო ჩაკეტილი.
იმედგაცრუებულმა სოფიმ კრიპტექსი ზარდახშაში დააბრუნა და სახურავი დაახურა.
გარეთ მყოფ ლენგდონს გახედა. სოფი მადლობას სწირავდა განგებას, რომ ამ ღამით ეს
კაცი ჰყავდა გვერდით. P.S. მოძებნე რობერტ ლენგდონი. ახლა გასაგები იყო, რატომ
დაწერა ეს ბაბუამ. სოფის ცოდნა არ ეყოფოდა სონიერის მიზნების გამოსაცნობად. ამიტომ
დაევალა რობერტ ლენგდონს, მისი მეგზური გამხდარიყო, წინამძღოლი, რომელიც
მეთვალყურეობას გაუწევდა მის განათლებას. სამწუხაროდ, ლენგდონისთვის ამ
ყველაფერს უფრო სერიოზული შედეგი მოჰყვა, ვიდრე უბრალოდ სოფის
ხელმძღვანელობა. ლენგდონი სამიზნედ იქცა, ერთი მხრივ, ბეზუ ფაშის... და მეორე მხრივ,
რაღაც უჩინარი ძალისა, რომელსაც მიზნად წმინდა ბარძიმის ხელში ჩაგდება დაესახა.
რაც არ უნდა გამოდგეს ეს ბარძიმი...
ნუთუ სიცოცხლესაც გაწირავდა ბარძიმის საპოვნელად?
როცა ჯავშნიანმა მანქანამ ისევ აკრიფა სიჩქარე, ლენგდონმა კმაყოფილებით
აღნიშნა, რომ ახლა ის გაცილებით თანაბრად მიდიოდა.
იცი, ვერსალში როგორ უნდა მივიდეთ?
სოფიმ გაკვირვება ვერ დამალა.
გინდა დაათვალიერო?
არა. გეგმა მაქვს. არის ერთი რელიგიის ისტორიკოსი, რომელიც ვერსალის ახლოს
ცხოვრობს. ზუსტად არ მახსოვს, სად, მაგრამ შეგვიძლია მოვძებნოთ. მის მამულში
რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. ლი თიბინგი ჰქვია. ადრე ბრიტანეთის სამეფო კარის
ისტორიკოსი იყო.
და პარიზში ცხოვრობს?
თიბინგის ცხოვრების მიზანი გრაალის პოვნაა. 15 წლის წინ, როდესაც ხმები
გავრცელდა საძმოს ქვაკუთხედის შესახებ, იგი საფრანგეთში ჩამოვიდა და სცადა ბარძიმი
აქ მოეძებნა. მას წიგნები აქვს დაწერილი ქვაკუთხედსა და წმინდა ბარძიმზე. ალბათ
შეძლებს დაგვეხმაროს კრიპტექსის გახსნაში და გვეტყვის, რა ვუყოთ მას.
სოფის თვალებში უნდობლობა გამოჩნდ
მისი ნდობა შეიძლება?
ნდობა, რაში? ინფორმაცია რომ არ მოიპაროს?
და არ ჩაგვიშვას.
მე არ ვაპირებ მისთვის იმის თქმას, რომ პოლიცია გვეძებს. იმედი მაქვს,
შეგვიფარებს, ჩვენ კი ამასობაში ყველაფერში გავერკვევით.
რობერტ, თუ მოგსვლია აზრად, რომ ახლა საფრანგეთის ყველა ტელევიზია ემზადება
ჩვენი ფოტოების გადასაცემად? ბეზუ ფაში ყოველთვის იყენებს მედიას. იგი ეცდება, ისეთი
პირობები შეგვიქმნას, რომ ჩვენი შეუმჩნევლად გადაადგილება შეუძლებელი გახდეს.
რა შესანიშნავია, გაიფიქრა ლენგდონმა. ეს იქნება ჩემი დებიუტი საფრანგეთის
სატელევიზიო გადაცემაში "პოლიცია პარიზში ეძებს". ჯონას ფოკმენი მაინც ხომ დარჩება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კმაყოფილი; ყოველთვის, როდესაც ლენგდონის სახელი ახალ ამბებში ხვდებოდა, მისი წიგნების გაყიდვა ნახტომისებურად იმატებდა ხოლმე.

ეგ კაცი შენი ახლო მეგობარია? ჰკითხა სოფიმ.

ლენგდონს ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ თიბინგი ტელევიზორს საერთოდ უყურებდა, განსაკუთრებით, ამ დროს. მაგრამ ეს კითხვა დამაფიქრებელი იყო. ინსტინქტი უკარნახებდა, რომ თიბინგი სრულიად სანდო ადამიანი და იდეალური უსაფრთხო ნავსაყუდელი იყო. არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით, თიბინგი ყველაფერს იღონებდა მათ დასახმარებლად. და მარტო იმიტომ არა, რომ ლენგდონისაგან თავს დავალებულად გრძნობდა. თიბინგი ხომ თვითონ იყო ბარძიმის მკვლევარი, სოფი კი ამტკიცებდა, რომ ბაბუამისი სიონის საძმოს ნამდვილი დიდი მაგისტრი იყო. ამის გაგონებაზე თიბინგს უეჭველად ნერწყვი მოადგებოდა და სიამოვნებით დაეხმარებოდა მათ ამოცანის ამოხსნაში.

თიბინგი შეიძლება ძლიერი მოკავშირე იყოს, თქვა ლენგდონმა, ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რაში გსურს ჩაახედო.

ფაშმა ალბათ ფულადი ჯილდო დააწესა პოლიციის დახმარებისთვის.

ლენგდონმა გაიცინა.

დამიჯერე, ამ ტიპსყველაზე ნაკლებად ფული სჭირდება. ლი თიბინგის ქონება ერთი პატარა ქვეყნის სიმდიდრეს შეედრებოდა. ბრიტანეთის პირველი ჰერცოგის, ლანკასტერის შთამომავალმა, თიბინგმა ფული ძველმოდური ხერხით მოიპოვა, ანუ მემკვიდრეობით მიიღო. მისი მამული პარიზის მახლობლად მეჩვიდმეტე საუკუნის სასახლეა ორი საკუთარი ტბით.

ლენგდონი პირველად რამდენიმე წლის წინ შეხვდა მას ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის საშუალებით. თიბინგს ბიბისისათვის წინადადებით მიემართა, გადაეღოთ ისტორიული შინაარსის დოკუმენტური ფილმი, რომელშიც იგი ძირითადი არხის აუდიტორიას წარუდგენდა წმინდა ბარძიმის თავბრუდამხვევ ისტორიას. ბიბისის პროდიუსერებზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თიბინგის ემოციურმა თეორიამ, მისმა გამოკვლევამ და მისმა რეგალიებმა. მაგრამ ისინი შიშობდნენ, რომ ამ თეორიის არსი იმდენად გამაოგნებელი და ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ მათი ქსელის მაღალი ხარისხის ჟურნალისტური რეპუტაცია შეილახებოდა. ამაზე თიბინგმა ურჩია, ეჭვების გასაფანტად ფილმში ჩაერთოთ მსოფლიოში დაფასებულ სამ ისტორიკოსთან საუბრის ეპიზოდები, სადაც ყოველი მათგანი თავის გამოკვლევებში ადასტურებდა წმინდა ბარძიმის საიდუმლოს გამაოგნებელ ხასიათს. ლენგდონი ამ სამს შორის აღმოჩნდა.

ეპიზოდის გადასაღებად ბიბისიმ ლენგდონი თიბინგის ფრანგულ მამულში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადააფრინა. იგი დაჯდა კამერების წინ თიბინგის მდიდრულ სასტუმრო ოთახში და მოჰყვა
თავის ისტორიას. თავდაპირველად, აღიარა ლენგდონმა, წმინდა ბარძიმის შესახებ ალტერნატიული ისტორიის მოსმენისას, სკეპტიციზმი დამეუფლა. მომდევნო წლების მანძილზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა კი დამარწმუნა, რომ ეს ისტორია მართალი იყოო. ბოლოს, ლენგდონმა წარმოადგინა თავისი კვლევის ზოგიერთი შედეგი სიმბოლური კავშირები თითქოსდა ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების მხარდასაჭერად.
როდესაც პროგრამა ბრიტანეთის ეთერში გავიდა, მიუხედავად მისი კარგად შეწყობილი მონაწილეებისა და სარწმუნო ფაქტებისა, ფილმში წარმოდგენილი პოსტულატი ისე უხეშად დაეჯახა პოპულარულ ქრისტიანულ წარმოდგენას, რომ მაშინვე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ეს პროგრამა შტატებში არასდროს გასულა, მაგრამ უარყოფითი გამოძახილი ექოსავით გავრცელდა ატლანტის ოკეანის იქით. ცოტა ხნის შემდეგ ლენგდონმა ღია ბარათი მიიღო თავისი ძველი მეგობრისაგან. ეს იყო ფილადელფიის კათოლიკე ეპისკოპოსი. ბარათზე მხოლოდ სამი სიტყვა ეწერა: Et tu, Robert?
რობერტ, ჰკითხა სოფიმ, დარწმუნებული ხარ, რომ ამ კაცის ნდობა შეიძლება?
სრულიად. ჩვენ კოლეგები ვართ, მას ფული არ სჭირდება და მე ისიც კი გამიგია, რომ ფრანგული ადმინისტრაცია სძულს. საფრანგეთის მთავრობა მას გაუგებარ გადასახადს ახდევინებს, ვინაიდან ისტორიული ადგილი იყიდა. ის არ მოინდომებს ფაშის დახმარებას.
სოფი ბნელ გზას გასცქეროდა.
მასთან თუ მივალთ, რამდენს ეტყვი?
ლენგდონს ეტყობოდა, რომ ეს ნაკლებად აწუხებდა.
დამიჯერე, ლი თიბინგზე მეტი სიონის საძმოსა და წმინდა ბარძიმის შესახებ არავინ იცის დედამიწის ზურგზე.
სოფიმ მას გადახედა.
ბაბუაზე მეტი?
მე იმათ ვგულისხმობ, ვინც საძმოს გარეთაა.
საიდან იცი, რომ თიბინგი თვითონ არ არის საძმოს წევრი?
თიბინგმა თავისი სიცოცხლე მოანდომა წმინდა ბარძიმის შესახებ სიმართლის გარკვევას, საძმოს ფიცის მიხედვით მისი ჭეშმარიტი ბუნება საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული.
ინტერესთა კონფლიქტი ხომ არ იქნება?
ლენგდონი მიხვდა, რა აწუხებდა სოფის. სონიერის კრიპტექსი პირადად სოფის მისცა და, თუმცა სოფიმ არ იცოდა, როგორ გაეხსნა, ან რა ექნა მისთვის, მაინც ყოყმანობდა, არ უნდოდა ამ საქმეში სრულიად უცხო ადამიანის ჩართვა. თუ გავითვალისწინებთ დაფარულ
ინფორმაციას, ალბათ ეს სწორი წინათგრძნობა იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ არის საჭირო თიბინგს თავიდანვე მოვუყვეთ ქვაკუთხედის შესახებ. შეიძლება საერთოდაც არაფერი ვუთხრათ. ჩვენ შევძლებთ მის სახლში დავიმალოთ და ვიფიქროთ, და როდესაც მასთან ბარძიმის შესახებ ვილაპარაკებთ, იქნებ შენ თვითონვე მიხვდე, რატომ მოგცა ბაბუამ ეს ნივთი.

ჩვენ, შეახსენა სოფიმ.

ლენგდონმა მოკრძალებული სიამაყე იგრძნო და კიდევ ერთხელ დაფიქრდა, რატომ ჩართო სონიერმა იგი ამ გაუგებრობაში.

დაახლოებით მაინც იცი, სად ცხოვრობს თიბინგი?

მის მამულს ჰქვია Chateau Villette.

სოფიმ ყურებს არ დაუჯერა.

Chateau Villette?

სწორედ ასე.

კარგი მეგობრები გყოლია.

იცი ეს მამული?

გამივლია. ციხეკოშკების რაიონშია. აქედან ოცი წუთის სავალზე.

ლენგდონი მოიღუშა.

იმსიშორეზე?

დიახ, და შენ დროც გექნება, რომ მიამბო, რა არის სინამდვილეში წმინდა ბარძიმი. ლენგდონი შეყოყმანდა.

თიბინგთან რომ მივალთ, მაშინ გეტყვი. ჩვენ ამ ლეგენდის სხვადასხვა ასპექტის სპეციალისტები ვართ. ამიტომ ორივეს მონაყოლით სრულ ისტორიას მოისმენ. გარდა ამისა, ბარძიმი თიბინგის სიცოცხლეა და მისგან მოსმენილი წმინდა გრაალის ისტორია იგივეა, რომ ფარდობითობის თეორია თვით ალბერტ აინშტაინისგან მოისმინო.

იმედი მაქვს, ლი წინააღმდეგი არ იქნება, რომ ასე გვიანი სტუმრები მიიღოს.

ცნობისათვის, ის სერ ლი გახლავთ, ლენგდონმა ეს შეცდომა მხოლოდ ერთხელ დაუშვა, თიბინგი ძალიან საინტერესო პიროვნებაა. მან რაინდის წოდება დედოფლისგან მიიღო მას შემდეგ, რაც იორკების საგვარეულოს ვრცელი ისტორია შეადგინა.

სოფიმ ლენგდონს გამოხედა. ხუმრობ? ჩვენ რა, რაინდთან სტუმრობას ვაპირებთ?

ლენგდონმა უხერხულად გაიღიმა.

სოფი, ჩვენ ბარძიმს ვეძებთ. ამ საქმეში კი რაინდზე უკეთესად ვინ დაგვეხმარება?

თავი 52

185 აკრის ფართობზე გაშლილი შატო ვილეტი 25 წუთის სავალზე იყო პარიზის ჩრდილოდასავლეთით, ვერსალის შემოგარენში. პარიზის ეს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული ციხეკოშკი ფრანსუა მანსარმა დააპროექტა და ააგო 1668 წელს ოფლეის გრაფისათვის. ორი მართკუთხა ტბორი და ლენოტრის გაშენებული ბაღები ამ კომპლექსს დასრულებულ სახეს აძლევდა. შატო ვილეტი მომცრო ციხედარბაზი უფრო იყო, ვიდრე საკუთარი სახლი. საინტერესოა ისიც, რომ ამ მამულს მოფერებით la Petite Versailles პატარა ვერსალი უწოდეს.

ჯავშნიანი მანქანა ძაგძაგით გაჩერდა ერთი მილის სიგრძის კერძო სამანქანო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შესასვლელის ბოლოში. შთამბეჭდავი ალაყაფის კარს იქით, მდელოზე სერ ლი თიბინგის სახლი იყო აღმართული. ალაყაფის კარზე მომსვლელს ინგლისური წარწერა აუწყებდა: კერძო საკუთრება. შესვლა აკრძალულია.

თიბინგი ყველას გასაგონად აცხადებდა, რომ მისი სახლი ბრიტანეთის კუნძული იყო. ჯერ ერთი, ყველა წარწერა მის ტერიტორიაზე ინგლისურად იყო. გარდა ამისა, ალაყაფის კარზე ინტერკომის შემოსაშვები სისტემაც შემომსვლელი მანქანების მარჯვენა მხარეს დააყენა. ევროპის ყველა ქვეყანაში, ინგლისის გარდა, ეს მგზავრის მხარე იყო. სოფიმ გაოცებით შეხედა არასწორ ადგილას დამონტაჟებულ სისტემას.

თუ ვინმე მგზავრის გარეშეა მოსული, მაშინ რა ხდება?

ნუ მკითხავ, ლენგდონს ეს საკითხი უკვე განხილული ჰქონდა თიბინგთან, ურჩევნია, ყველაფერი ისე ჰქონდეს, როგორც სამშობლოშია.

სოფიმ ფანჯარა ჩამოუშვა.

რობერტ, ჯობია შენ ილაპარაკო.

ლენგდონმა პოზა შეიცვალა და მთელი ტანით გადაიხარა სოფისკენ, რომ ღილაკზე თითი დაეჭირა. სოფის სუნამოს მიმზიდველი სურნელით აევსო ნესტოები, და უცებ მიხვდა,

რა ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ასე უხერხულად გადახრილი იცდიდა, სანამ მოწყობილობიდან ზუზუნის ხმა ისმოდა. ბოლოს სისტემამ დაიტკაცუნა და გაღიზიანებული

ფრანგულაქცენტიანი ხმა გაისმა:

Chateau Villette. ვინ ბრძანდებით?

რობერტ ლენგდონი, ყურმილში ჩასძახა სოფის მუხლებზე გადაწოლილმა

ლენგდონმა. მე სერ ლი თიბინგის მეგობარი ვარ. მისი დახმარება მჭირდება.

ჩემს ბატონს სძინავს. მეც მეძინა, სხვათა შორის. რა საქმე გაქვთ მასთან?

პირადი საკითხია. მისთვის ძალიან საინტერესო.

მაშინ დარწმუნებული ვარ, იგი სიამოვნებით მიგიღებთ დილით. ლენგდონმა თავის პიროვნებას წონა შემატა.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ისევე, როგორც სერ ლის ძილი. თუ თქვენ მეგობარი ხართ, მაშინ გეცოდინებათ მისი ჯანმრთელობის ამბავი.

სერ ლი თიბინგს ბავშვობაში პოლიომიელიტი ჰქონდა გადატანილი. ახლა კი ფეხებზე ლითონის სპეციალურ რგოლებს ატარებდა და ყავარჯნებით დადიოდა. მაგრამ ბოლო ვიზიტის დროს ლენგდონმა ნახა, როგორი ცოცხალი და კოლორიტული პიროვნება იყო იგი და ეს ნაკლი თითქმის არც კი იგრძნობოდა.

უთხარით, გეთაყვა, რომ მე ახალი ინფორმაცია მოვიპოვე ბარძიმის შესახებ. ამის დილამდე გადადება კი არ შეიძლება.

ამას გრძელი პაუზა მოჰყვა.

ლენგდონი და სოფი იცდიდნენ, მანქანა ხმამაღლა თუხთუხებდა. სრული ერთი წუთი გავიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს ვიღაცამ დაილაპარაკა.
ჩემო კარგო, შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ისევ ჰარვარდის დროზე ხართ, ხმა ცოცხალი და ლაღი იყო.
მსუყე ბრიტანული აქცენტის გაგონებაზე ლენგდონმა ჩაიცინა.
ლი, დიდ ბოდიშს გიხდით ამ უდროო დროს გაღვიძებისათვის.
ჩემი მსახური მეუბნება, რომ თქვენ არამც თუ პარიზში ხართ, არამედ ბარძიმის შესახებაც კი ღაღადებთ.
ვიფიქრე, რომ ამით მაინც შევძლებდი თქვენს ლოგინიდან აყენებას.
ასეც მოხდა.
იმედი მაქვს, რომ ძველ მეგობარს კარს გაუღებთ?
ის, ვინც სიმართლეს ეძიებს, მეგობარზე უფრო ძვირფასია. ის ძმაა. ლენგდონმა სოფისკენ აღაპყრო თვალები, ის კარგად იცნობდა თიბინგის
მიდრეკილებას ანტიკური დრამისაკენ.
კარს, რა თქმა უნდა, გაგიღებთ, განაცხადა თიბინგმა, მაგრამ ჯერ უნდა დამიმტკიცოთ, რომ წრფელი გული გაქვთ. გთავაზობთ კეთილშობილების გამოსაცდელ ტესტს. თქვენ სამ კითხვას უნდა უპასუხოთ.
ლენგდონმა დაიკვნესა და სოფის გადაუჩურჩულა:
უნდა დამელოდო. ხომ გითხარი, უცნაური ადამიანიამეთქი.
პირველი შეკითხვა, დაიგვირგვინა თიბინგმა. რა მოგართვათ, ყავა თუ ჩაი? ლენგდონმა იცოდა თიბინგის დამოკიდებულება ყავის ამერიკული ფენომენის მიმართ.
ჩაი, უპასუხა მან, ერლ გრეი.
ძალიან კარგი. მეორე შეკითხვა. რძით თუ შაქრით?
ლენგდონი შეყოყმანდა.
რძით, ყურში უჩურჩულა სოფიმ. ბრიტანელები რძით სვამენ.
რძით, უპასუხა ლენგდონმა.
სიჩუმე.
შაქრით?
თიბინგი არ პასუხობდა.
მოიცა! ლენგდონს გაახსენდა მწარე სასმელი, რომელიც ბოლო ვიზიტის დროს მიართვეს და მიხვდა, რომ მახე იყო დაგებული. ლიმონით! განაცხადამან. ერლ გრეი ლიმონით.
სწორია, თიბინგს ხმაზე ეტყობოდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო. დაბოლოს, ყველაზე ძნელი შეკითხვა, თიბინგი შეჩერდა და შემდეგ საზეიმო ტონით წარმოთქვა, ბოლოს რომელ წელს დაამარცხა წყვილი ნიჩბით მოასპარეზე ჰარვარდელმა ოქსფორდელი ჰელნიში?
ლენგდონს წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ მიხვდა იმ ერთადერთ მიზეზს, რის გამოც ეს კითხვა დაისვა:
დარწმუნებული ვარ, ასეთი უცნაური რამ არასდროს არ მომხდარა.
ალაყაფის კარი ტკაცუნით გაიღო, თქვენ წრფელი გული გაქვთ, მეგობარო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეგიძლიათ შემოხვიდეთ.
თავი 53
ბატონო ვერნე! ციურიხის სადეპოზიტო ბანკის ღამის მენეჯერმა შვებით ამოისუნთქა, როდესაც ყურმილში ბანკის პრეზიდენტის ხმა გაიგონა, სერ, სად წახვედით? პოლიცია აქ არის, ყველა თქვენ გელოდებათ!
პატარა პრობლემა მაქვს, უპასუხა ბანკის პრეზიდენტმა ტანჯული ხმით, სასწრაფოდ მჭირდება თქვენი დახმარება.
შენ უფრო დიდი პრობლემა გაქვს, გაიფიქრა მენეჯერმა. პოლიციამ მთლიანად ალყაში მოაქცია ბანკი და იმუქრება, რომ სასამართლო პოლიციის ცენტრალური დეპარტამენტის კაპიტანი თვითონ გამოჩნდება ბანკის მიერ მოთხოვნილი ორდერით.
რით დაგეხმაროთ, სერ?
ჯავშნიანი მანქანა ნომერი 3 უნდა ვიპოვო.
საგონებელში ჩავარდნილმა მენეჯერმა დატარების განრიგი შეამოწმა.
აქ არის, ქვევით, დასატვირთ დოკთან.
სინამდვილეში იქ არ არის. მანქანა ორმა ადამიანმა გაიტაცა, რომლებსაც პოლიცია ეძებს.
რაო? როგორ გავიდნენ აქედან?
ტელეფონით არ მინდა დეტალებზე ლაპარაკი. მაგრამ აქ ისეთი სიტუაციაა, რომელმაც შეიძლება მომავალში უბედურება მოუტანოს ბანკს.
რა გინდათ, რომ გავაკეთო, სერ?
თუ შეიძლება, ჩართე მანქანის საგანგაშო ტრანსპონდერი.
ღამის მენეჯერმა გახედა გამანაწილებლის საკონტროლო ყუთს ოთახის ბოლოში.
ისევე, როგორც ბევრ ჯავშნიან მანქანაზე, ბანკის ყოველ ფურგონზეც დაყენებული იყო რადიოთი კონტროლირებული სათვალთვალო მოწყობილობა. მისი ჩართვა ბანკიდან შორ მანძილზეც შეიძლებოდა. მენეჯერს ეს საავარიო სისტემა მხოლოდ ერთხელ ჰქონდა გამოცდილი, როდესაც მანქანა გაიტაცეს და სისტემამ მაშინ უშეცდომოდ იმუშავა ფურგონი იპოვა და ავტომატურად დაადგინა მისი კოორდინატები. თუმცა მენეჯერს ისეთი
შთაბეჭდილება შეექმნა, რომ პრეზიდენტს მეტი სიფრთხილე მართებდა. სერ, ხომ იცით, თუ სისტემას ჩავრთავ, ტრანსპონდერი იმავდროულად შეატყობინებს ხელისუფლებას, რომ
პრობლემები გვაქვს.
ვერნე დუმდა რამდენიმე წამს.
დიახ, ვიცი. მაინც გააკეთე. სატვირთო მანქანა 3. დაგელოდები. მანქანის ზუსტი ადგილმდებარეობა მჭირდება, იმ წუთშივე, როგორც კი მიიღებ.
ახლავე, სერ.
ნახევარი წუთის შემდეგ, 40 კილომეტრის დაშორებით, ჯავშნიანი მანქანის სატვირთო ნაწილში დამალული პაწაწინა ტრანსპონდერი გაცოცხლდა.
თავი 54

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც კი ლენგდონი და სოფი ჯავშნიანი მანქანით ალვისხეებს შორის დაკლაკნილ კერძო სამანქანო გზას დაადგნენ, სოფიმ იგრძნო, როგორ მოუდუნდა კუნთები. შვება იყო, გზატკეცილიდან რომ გადაუხვიეს და შედარებით საიმედო ადგილას შეაფარეს თავი. იმაზე
უფრო უსაფრთხო ადგილს კი ძნელად თუ იპოვიდნენ, ვიდრე ეს კერძო, გალავნით შემოზღუდული მამული იყო, რომელიც კეთილ უცხოელს ეკუთვნოდა.
წრიულ შენობასთან მისასვლელ ფართო გზაზე შემოუხვიეს და მარჯვნივ შატო ვილეტი გამოჩნდა. სამსართულიანი, თითქმის 60 მეტრის სიგრძის შენობა გარედან ნაცრისფერი ქვით იყო მოპირკეთებული და პროჟექტორებით განათებული. შენობის უბრალო ფასადი სრულ კონტრასტს ქმნიდა ზედმიწევნით დაგეგმილ ბაღებთან და სარკისებრ ტბორთან. სახლში სინათლეები ინთებოდა.
იმის მაგიერ, რომ მანქანა კართან მიეყვანა, ლენგდონმა ის მოშორებით გააჩერა, მარადმწვანე ბუჩქებში.
აზრი არა აქვს გარისკვას. არ არის საჭირო, რომ ვინმემ გზიდან შეგვამჩნიოს, თქვა მან, არც ის მინდა, რომ ლი დავაფიქროთ, რატომ მოვედით დამტვრეული ჯავშნიანი მანქანით.
სოფიმ თავი დაუქნია.
კრიპტექსს რა ვუყოთ? აქ ხომ არ დავტოვებთ. მაგრამ ლი თუ დაინახავს, აშკარად მოუნდება გაიგოს, რა არის.
არაფერი გვაქვს სადარდებელი, უპასუხა ლენგდონმა. მანქანიდან რომ გადმოვიდა, ტვიდის პიჯაკი გაიხადა, ყუთს შემოახვია და ჩვილი ბავშვივით დაიჭირა.
სოფი დაეჭვებით უყურებდა.
ჭკვიანურია.
თიბინგი კარს თვითონ არასოდეს არ აღებს; იგი ოფიციალურ მიღებას ამჯობინებს. სანამ შემოგვიერთდება, რამე ადგილს ვიპოვი ამის დასამალად, ლენგდონი შეჩერდა, ალბათ უნდა გაგაფრთხილო, სანამ შეხვდები. სერ ლის იუმორი ზოგს ცოტა უცნაურად ეჩვენება.
სოფის არ სჯეროდა, რომ ამ ღამით კიდევ რამე გაუკვირდებოდა.
მთავარი შესასვლელისკენ მიმავალი ბილიკი რიყის ქვით იყო მოკირწყლული. იგი მკვეთრად უხვევდა მუხისა და ალუბლის ხის მოჩუქურთმებულ კართან, გრეიპფრუტისოდენა თითბრის კარის ჩაქუჩით. სანამ სოფი ჩაქუჩს დასწვდებოდა, კარი შიგნიდან გაიღო.
მათ წინ ელეგანტურად გამოწკეპილი კამერდინერი იდგა და ჰალსტუხსა და სმოკინგს საბოლოოდ იწესრიგებდა. როგორც ეტყობა, ესესაა ჩაეცვა. ასე, ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, დახვეწილი ნაკვეთებითა და მკაცრი გამომეტყველებით, ადვილი შესამჩნევი იყო, რომ სულაც არ იყო მათი ნახვით ნასიამოვნები.
სერ ლი ახლავე ჩამოვა, გამოაცხადა მან ძლიერი ფრანგული აქცენტით, იგი იმოსება. მას არ სურს სტუმრებს საღამურ ტანსაცმელში დახვდეს. შეიძლება პიჯაკი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩამოგართვათ? – მან ბრაზიანი მზერა ესროლა ლენგდონის მკლავებში მოჭმუჭნულ ტვიდს.

გმადლობთ, არ არის საჭირო.

როგორც გენებოთ. აქეთ, თუ შეიძლება.

კამერდინერმა ისინი მარმარილოთი ჭარბად მორთული ფოიეს გავლით დახვეწილად მოწყობილ სასტუმრო ოთახში წაიყვანა, რომელიც მკრთალად იყო განათებული ფოჩებიანი ვიქტორიანული აბაჟურებით. ოთახის ჰაერში ძველმოდური, ერთგვარად მეფური სუნი იდგა. ეს იყო ნარევი, რომელშიც იგრძნობოდა ჩიბუხის თამბაქოს, ჩაის ფოთლის, სუფრის შერისა და ქვის ნაგებობების მიწიერი არომატები. შორეულ კედელთან ჩამწკრივებული იყო პრიალა ჯაჭვის პერანგის ორი რიგი, მათ შორის კი მოქცეული იყო უხეშად გამოთლილი ისეთი დიდი ბუხარი, რომ შიგ ხარიც კი ჩაიწვებოდა. მსახურთუხუცესი

ბუხართან მივიდა, მუხლებზე დადგა და ასანთი შეახო იქ წინასწარ დალაგებულ მუხის მორებსა და ნაფოტებს. ცეცხლი იმწამსვე ტკაცუნით აინთო.

კაცი ადგა და პიჯაკი გაისწორა.

მისი ღირსება გთხოვთ, თავი ისე იგრძნოთ, როგორც საკუთარ სახლში, თქვა ეს და გავიდა. ლენგდონი და სოფი მარტო დარჩნენ.

სოფის ვერ გადაეწყვიტა, ცეცხლის წინ მდგარი ანტიკური ავეჯიდან რომელზე უნდა დამჯდარიყო რენესანსის ხავერდის დივანზე, არწივისბრჭყალებიან სარწეველა სავარძელზე თუ იმ ორ ქვის სკამთაგან ერთერთზე, რომლებიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს რომელიღაც ბიზანტიური ტაძრიდან იყო წამოღებული.

ლენგდონმა კრიპტექსს პიჯაკი შემოაცალა, ხავერდის დივანისკენ გაემართა და ხის ყუთი მის ქვეშ ღრმად შეაცურა, ისე, რომ არ გამოჩენილიყო. შემდეგ პიჯაკი დაბერტყა, ჩაიცვა, ბორტები გაისწორა და სოფის გაუღიმა, როდესაც დამალულ განძს ზემოდან დააჯდა.

ესე იგი, დივანი, გაიფიქრა სოფიმ და თვითონაც ლენგდონს მიუჯდა. სოფი აშკარად აბრდღვიალებულ ცეცხლს უყურებდა. ოთახში სასიამოვნო სითბო ტრიალებდა. სოფიმ გაიფიქრა, ბაბუას ეს ოთახი მოეწონებოდაო. მუქი ხის კედლის პანელი ძველი ოსტატების სურათებით იყო მორთული. ერთერთში სოფიმ პუსენი ამოიცნო, ბაბუას მეორე საყვარელი

მხატვარი. ბუხრის თავზე დაკიდებული თაროდან ისიდას თაბაშირის ბიუსტი გადასცქეროდა ოთახს.

ეგვიპტური ქალღმერთის ქვეშ, ბუხრის შიგნით, ქვის ორი გარგულია ასრულებდა შეშის დასაწყობი რკინის ორნამენტიანი სადგამის მოვალეობას. საშინელი დაღებული ხახა მოუჩანდათ. სოფის ბავშვობაში გარგულიებისა ეშინოდა, სანამ ბაბუამ ერთ მშვენიერ დღეს

ამ შიშისგან არ განკურნა. სონიერმა სოფი ძლიერი წვიმის დროს ნოტრ დამის საკათედრო ტაძრის წვერზე აიყვანა.

პრინცესა, შეხედე ამ სულელ ქმნილებებს, უთხრა ბაბუამ და მიუთითა საწვიმარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მილის გარგულიაზე, რომლის პირიდანაც წყალი მოთქრიალებდა. გესმის უცნაური ხმა
მათ ხახაში? – სოფიმ თავი დაუქნია და ძალად გაიღიმა წყლის ბუყბუყა ხმის გაგონებაზე. –
ისინი წყალს ივლებენ ყელში, უთხრა ბაბუამ. – ყელში გამოსავლები! და აქედან მიიღეს ეს
სულელური სახელი "გარგულიები".
ამის შემდეგ სოფის აღარ შეშინებია.
სასიამოვნო მოგონებამ ნაღველი მოჰგვარა, ისევ წარმოიდგინა ის საშინელი
მკვლელობა. ბაბუა აღარ არის. მას გაახსენდა დივანის ქვეშ დამალული კრიპტექსი და
გაიფიქრა, ნეტავ ლი თიბინგს თუ აქვს წარმოდგენა, როგორ უნდა გავხსნათო. ან საერთოდ
უნდა ვკითხოთ კი მას? ბაბუას უკანასკნელი დავალება რობერტ ლენგდონის მოძებნა იყო.
მას არ უთქვამს, კიდევ ვინმე ჩართეთო. ჩვენ დასამალი ადგილი გვჭირდებოდა, გაიფიქრა
სოფიმ და კიდევ ერთხელ გადაწყვიტა მინდობოდა რობერტის გადაწყვეტილებას.
სერ რობერტ! – დაიბუბუნა ხმამ სადღაც უკნიდან. – ვხედავ, მშვენიერ ქალბატონთან
ერთად მოგზაურობთ.
ლენგდონი ადგა. სოფიც წამოხტა. ხმა ისმოდა ხვეული კიბის ბოლოდან, რომელიც
ზემოთ მიიკლაკნებოდა და მეორე სართულის ბინდბუნდში იკარგებოდა. კიბის თავში,
რომელიც სიბნელეში არ ჩანდა, რაღაც ფიგურა გაინძრა. მათ მხოლოდ სილუეტის გარჩევა
შეეძლოთ.
საღამო მშვიდობისა, ასძახა ლენგდონმა. – სერ ლი, ნება მიბოძეთ
წარმოდგიდგინოთ სოფი ნევე.
ჩემთვის დიდი პატივია, თიბინგი სინათლეზე გამოვიდა.
გმადლობთ, რომ მიგვიღეთ, თქვა სოფიმ. მან ახლაღა შეამჩნია, რომ კაცს ფეხზე
ლითონის რგოლები ეკეთა და ყავარჯნები ეჭირა. ის ფრთხილად ჩამოვიდა საფეხურებზე,
ვხვდები, რომ ძალიან გვიანია.
ისე გვიანია, ძვირფასო, რომ უკვე ადრეც კია, გაიცინა თიბინგმა. – თქვენ ამერიკელი
არ ხართ, არა?
სოფიმ თავი გაიქნია.
პარიზელი ვარ.
უნაკლო ინგლისურს ლაპარაკობთ.
გმადლობთ, "როიალ ჰოლოუეიში" ვსწავლობდი.
გასაგებია. ეს ყველაფერს ხსნის, თიბინგი კოჭლობით ჩამოვიდა რამდენიმე
საფეხურზე. – ალბათ რობერტმა გითხრათ, რომ მე იქვე, ოქსფორდში ვასწავლიდი. –
თიბინგმა ეშმაკური ღიმილი ესროლა ლენგდონს, რა თქმა უნდა, მე ჰარვარდსაც
მივმართე, თავის დასაზღვევად.
ახლა მათი მასპინძელი უკვე სულ ჩამოვიდა კიბეზე და სოფიმ დაინახა, რომ ის სერ
ელტონ ჯონზე მეტად არ ჰგავდა რაინდს. დიდებულსა და სახეაჭარხლებულს, სერ ლი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თიბინგს ხშირი წითელი თმა და ცოცხალი თაფლისფერი თვალები ჰქონდა, რომლებიც ლაპარაკის დროს უციმციმებდა. მას ეცვა ნაოჭებიანი შარვალი და თავისუფალი აბრეშუმის
პერანგი ჭრელი ჟილეტის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ფეხებზე ალუმინის რგოლები ეკეთა, იგი ცოცხლად და ლაღად მოძრაობდა, რაც არისტოკრატიული წარმოშობის შედეგი
უფრო იყო, ვიდრე რაიმე შეგნებული ძალისხმევისა.
თიბინგი მათ მიუახლოვდა და ლენგდონს ხელი გაუწოდა.
– რობერტ, კილოგრამები დაგიკარგავთ.
ლენგდონმა ჩაიხითხითა.
– თქვენ კი გიპოვიათ.
თიბინგმა გულიანად გაიცინა და მომრგვალებულ მუცელზე ხელი მოითათუნა –
– თოუცჰე, ბოლო დროს ჩემი ერთადერთი ხორციელი სიამოვნება კულინარიაა, – ახლა სოფის მიუბრუნდა, ფაქიზად აიღო მისი ხელი და ოდნავ თავი დახარა, მსუბუქად შეეხო მის
თითებს და გვერდზე გაიხედა, – ჩემო ქალბატონო.
სოფიმ ლენგდონს გადახედა, ვერ გაეგო წარსულში გადავიდა, თუ საგიჟეთში მოხვდა.
კამერდინერი ისევ შემოვიდა, ჩაი შემოიტანა და ბუხრის წინ მდგარ მაგიდაზე დადგა.
– ეს რემი ლეგალუდეკია, – თქვა თიბინგმა, – ჩემი მსახური.
მოხდენილმა კამერდინერმა მათ თავი სერიოზულად დაუკრა და ისევ გაუჩინარდა.
– რემი ლიონელია. – ჩურჩულით თქვა თიბინგმა, თითქოს ეს რაღაც სამარცხვინო ავადმყოფობა იყო, – მაგრამ მშვენიერ სოუსებს აკეთებს.
ლენგდონი ამან გაართო.
– მე კი მეგონა, რომ თქვენ ბრიტანელი მსახურები ჩამოიყვანეთ.
– ღმერთო ჩემო, არა! ბრიტანელ შეფმზარეულს არავის ვუსურვებ, – ფრანგი გადასახადების ამკრეფების გარდა. მან სოფის გადახედა. – Pardonnezmoi, Mademoiselle Neveu. მსურს დაგარწმუნოთ, რომ ფრანგებისადმი ჩემი სიძულვილი ვრცელდება მხოლოდ
პოლიტიკასა და ფეხბურთის მოედანზე. თქვენი მთავრობა ფულს მპარავს, ამასწინათ კი თქვენმა ფეხბურთის გუნდმა დაგვცინა.
სოფიმ მშვიდად გაუღიმა.
თიბინგმა მას ერთი წუთით შეხედა და შემდეგ ლენგდონზე გადაიტანა მზერა.
– მოხდა რამე? ორივენი აღელვებულნი ჩანხართ. ლენგდონმ თავი დაუქნია.
– საინტერესო ღამე გვქონდა, ლი.
– ეჭვი არ მეპარება, შუაღამისას წინასწარი შეტყობინების გარეშე ჩემს კართან გამოცხადდით და ბარძიმზე ლაპარაკობთ. მითხარი, ეს მართლა ბარძიმს ეხება, თუ უბრალოდ იცოდი, რომ ეს ერთადერთი თემაა, რომლის გამოც ამ დროს ავდგებოდი ლოგინიდან?
ერთიცა და მეორეც. გაიფიქრა სოფიმ და დივანის ქვეშ დამალული კრიპტექსი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაახსენდა.
ლი, უთხრა ლენგდონმა, ჩვენ შენთან ლიონის საძმოზე გვინდოდა ლაპარაკი.
თიბინგს ხშირი წარბებიმოერკალა ინტრიგის მოლოდინში.
ისინი, ვინც ინახავს. ესე იგი, საქმე მართლაც ბარძიმს ეხება. შენ თქვი, რომ ინფორმაციით მოხვედი? რამე ახალია, რობერტ?
ალბათ. არა ვართ სრულიად დარწმუნებულნი. უკეთ მივხვდებით, თუ ჯერ შენგან მივიღებთ გარკვეულ ინფორმაციას.
თიბინგმა თითი დაუქნია.
ყოველთვის ეშმაკი ამერიკელი იყავი. უანგაროდ არაფერს აკეთებ. ძალიან კარგი. თქვენს განკარგულებაში ვარ. რა შემიძლია გითხრათ?
ლენგდონმა ამოიოხრა.
ვფიქრობ, იმდენად კეთილი ხარ, რომ მის ნევეს აუხსნი, რა არის სინამდვილეში წმინდა ბარძიმი.
ამან თიბინგი გააოგნა.
რა, ეს არ იცის?
ლენგდონმა თავი დაუქნია.
თიბინგის სახეზე ასახული ღიმილი თითქმის საწყენი იყო.
რობერტ, შენ ჩემთან ქალწული მოგიყვანია.
ლენგდონი შეიჭმუხნა და სოფის გახედა.
“ქალწულს” ბარძიმის ენთუზიასტები იმათ ეძახიან, ვისაც ბარძიმის ისტორია არასოდეს არ გაუგია.
თიბინგი ენთუზიაზმით მიუბრუნდა სოფის.
რამდენი იცით, ძირფასო?
სოფიმ სწრაფად შეაჯამა, რაც ლენგდონმა ადრე უამბო – სიონის საძმო, რაინდი ტამპლიერები, სანგრილის დოკუმენტები და წმინდა ბარძიმი, რომელზეც ბევრი ამტკიცებდა, რომ ჭურჭელი კი არა არამედ რაღაც სხვა, გაცილებით უფრო დიდი იყო.
სულ ეს არის? თიბინგმა ლენგდონს საყვედურით შეხედა, რობერტ, მეგონა, ჯენტლმენი იყავი. შენ კი მას კულმინაცია დააკელი.
ვიცი. ვიფიქრე, მე და თქვენ შევძლებდით, ლენგდონმა გადაწყვიტა, რომ უხილავი მეტაფორა საკმაოდ შორს წავიდა.
თიბინგმა უკვე მოაქცია სოფი თავის მოციმციმე მზერაში.
თქვენ ბარძიმის ქალწული ბრძანდებით, ძვირფასო და მერწმუნეთ, პირველი შთაბეჭდილება არასოდეს არ დაგავიწყდებათ.
თავი 55
დივანზე ლენგდონის გვერდით, სოფი ჩაის სვამდა და ხორბლის ნამცხვარს შეექცეოდა.
იგი უკვე გრძნობდა კოფეინისა და საჭმლის დადებით შედეგს. სერ ლი თიბინგი ბუხრის წინ
ბოლთას სცემდა, ქვის იატაკს ყავარჯენს უკაკუნებდა და სახე ღიმილით ჰქონდა გაცისკროვნებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წმინდა ბარძიმი, წარმოთქვა თიბინგმა, თითქოს ქადაგებსო, უმეტესობა მხოლოდ იმას მეკითხება, სად არის ის. სამწუხაროდ, ამ შეკითხვაზე ვერასდროს ვერ შევძლებ პასუხის გაცემას. – იგი მობრუნდა და სოფის თვალებში შეაცქერდა, უფრო სწორი კითხვაა: რა არის წმინდა ბარძიმი?

სოფიმ იგრძნო, რომ ორივე მამაკაცი მეცნიერული ინტერესით აენთო.

იმისთვის, რომ სწორედ გავიგოთ, რა არის ბარძიმი, განაგრძო თიბინგმა, ჩვენ თავდაპირველად ბიბლიის ტექსტში უნდა გავერკვეთ. რამდენად კარგად იცნობთ ახალ აღთქმას?

სოფიმ მხრები აიჩეჩა.

მართალი გითხრათ, სულაც არ ვიცნობ. მე გამზარდა ადამიანმა, რომელიც ლეონარდო და ვინჩის ეთაყვანებოდა.

თიბინგი უაღრესად განცვიფრდა და, ამავე დროს, ნასიამოვნები ჩანდა.

განათლებული სული, ბრწყინვალეა! მაშინ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ლეონარდო წმინდა ბარძიმის საიდუმლოს ერთერთი მცველი იყო და თავის შემოქმედებაში ამ საიდუმლოსთან დაკავშირებული მინიშნებები დამალა.

დიახ, რობერტმა მიამბო.

ახალი აღთქმის შესახებ და ვინჩის შეხედულებებზეც გელაპარაკათ?

წარმოდგენა არა მაქვს.

თიბინგმა მხიარული მზერით მიუთითა ლენგდონს ოთახის მეორე მხარეს მდგარ წიგნების თაროზე.

რობერტ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? ქვედა თაროზე. La Storia di Leonardo. ლენდგონმა ოთახი გადაჭრა. თაროდან ვეებერთელა წიგნი ჩამოიღო და შუაში,

მაგიდაზე დადო. თიბინგმა წიგნი სოფისკენ მიატრიალა, მძიმე ყდა გადაშალა და სუპერის

შიდა მხარეს დაბეჭდილ ციტატებზე მიუთითა.

ესენი ამოღებულია « და ვინჩის რვეულიდან პოლემიკისა და ჰიპოთეზების შესახებ », თქვა თიბინგმა, ვფიქრობ, ნახავთ, რომ ეს ჩვენს მსჯელობას შეესაბამება.

სოფიმ წაიკითხა შემდეგი სიტყვები:

ბევრმა მცდარი აზრებითა და ცრუ სასწაულებით ივაჭრა

ბრიყვი უმრავლესობის მოსატყუებლად.

ლეონარდო და ვინჩი

აი, მეორეც, უთხრა თიბინგმა და ამჯერად მეორე ციტატაზე მიუთითა.

ბრმა უმეცრება ჭეშმარიტი გზიდან გვაცდენს!

უბადრუკო მოკვდავნო, გაახილეთ თვალები!

ლეონარდო და ვინჩი

სოფიმ ოდნავი სიცივე იგრძნო.

და ვინჩი ბიბლიას გულისხმობს?

თიბინგმა თავი დაუქნია.

ლეონარდოს დამოკიდებულება ბიბლიასთან უშუალოდ წმინდა ბარძიმს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკავშირდება. სინამდვილეში და ვინჩიმ დახატა ჭეშმარიტი ბარძიმი, რომელსაც სულ მალე
გიჩვენებთ, მაგრამ ჯერ ბიბლიაზე ვილაპარაკოთ, თიბინგმა გაიღიმა. – და ყველაფერი, რაც უნდა იცოდე ბარძიმის შესახებ, შეიძლება დოქტორ მარტინ ფერსის კანონით შევაჯამოთ.
თიბინგმა ჩაახველა და განაცხადა:
ბიბლია ფაქსით არავის გამოუგზავნია ზეციდან.
უკაცრავად?
ბიბლია ადამიანის შექმნილია, ჩემო კარგო, ღმერთის კი არა. ბიბლია ჯადოქრობით კი არ ჩამოვარდნილა ღრუბლებიდან. იგი ადამიანმა შექმნა, როგორც მღელვარე დროთა ისტორიული მატიანე და უთვალავი თარგმანის, დამატების და გადაკეთების შედეგად განვითარდა. ისტორიას არასოდეს არ ჰქონია ამ წიგნის სრული ვარიანტი.
გასაგებია.
იესო ქრისტე გასაოცარი ზეგავლენის მქონე ისტორიული ფიგურა იყო, მსოფლიო მასშტაბით ალბათ ყველაზე საიდუმლოებით მოცული და შთამაგონებელი ლიდერი. როგორც წინასწარმეტყველმა მესიამ, იესომ ჩამოაგდო მეფეები, შთააგონა მილიონობით ადამიანი და დააარსა ახალი ფილოსოფიები. როგორც სოლომონ მეფისა და დავითის ჩამომავალს, იესოს სრული უფლება ჰქონდა, ებრაელთა მეფის ტახტი დაეკავებინა. გასაგებია, რომ მის ცხოვრებას დედამიწაზე მცხოვრები მისი ათასობით მიმდევარი იწერდა, თიბინგი შეჩერდა, ჩაი მოსვა და შემდეგ ფინჯანი ისევ ბუხრის თაროზე დადგა. –
ოთხმოცზე მეტი სახარება განიხილეს ახალი აღთქმის კანონში შესატანად და მხოლოდ რამდენიმე შეარჩიეს – მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებები.
ვინ გადაწყვიტა, რომელი სახარება უნდა ჩაერთოთ? – იკითხა სოფიმ.
აჰა! – თიბინგს ენთუზიაზმი შეეტყო. – ეს ქრისტიანობის ძირითადი პარადოქსია! ბიბლია, როგორც დღეს ვიცით, წარმართმა რომაელმა იმპერატორმა, კონსტანტინე დიდმა შეაჯერა.
მე მეგონა, კონსტანტინე ქრისტიანი იყო, თქვა სოფიმ.
ძნელი სათქმელია, ჩაიცინა თიბინგმა, იგი მთელი სიცოცხლე წარმართი იყო და მხოლოდ სიკვდილის წინ მოინათლა. ამ დროს ის იმდენად დასუსტებული იყო, რომ წინააღმდეგობის გაწევის უნარიც კი აღარ ჰქონდა. კონსტანტინეს დროს რომის ოფიციალური რელიგია იყო მზის თაყვანისცემა Sol Invictus, ანუ უძლეველი მზის კულტი.
ხოლო კონსტანტინე ამ კულტის მთავარი ქურუმი იყო. მისდა საუბედუროდ, რომი მზარდმა
რელიგიურმა არეულობამ მოიცვა. ქრისტეს ჯვარცმიდან სამი საუკუნის მერე ქრისტეს მიმდევართა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ქრისტიანებსა და წარმართებს შორის ომი დაიწყო და კონფლიქტმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ რომის ორ ნაწილად გახლეჩის საშიშროება შეიქმნა. კონსტანტინე მიხვდა, რომ რამეუნდა ეღონა, ასე რომ, ჩვენს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წელთაღიცხვამდე 325 წელს მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ რომი ერთი რელიგიის ქვეშ გაეერთიანებინა. ეს რელიგია იყო ქრისტიანობა.
სოფიმ გაიკვირვა.
 რატომ უნდა აერჩია წარმართ იმპერატორს ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად?
თიბინგმა ჩაიხითხითა.
 კონსტანტინე ძალიან კარგი პოლიტიკოსი იყო. მან შეძლო დაენახა, რომ ქრისტიანობა ძალას იკრებდა და მანაც დროს ფეხი აუწყო. ისტორიკოსები ჯერაც გაოცებულნი არიან, როგორ ბრწყინვალედ შეძლო კონსტანტინემ მზის თაყვანისმცემელი წარმართების ქრისტიანობაზე მოქცევა. მან შეაჯერა წარმართული სიმბოლოები, თარიღები და რიტუალები მზარდ ქრისტიანულ ტრადიციებთან და შექმნა ერთგვარი რელიგიაჰიბრიდი, რომელიც ორივე მხარისთვის იყო მისაღები.
 უცნაური გარდაქმნაა, თქვა ლენგდონმა, წარმართული რელიგიის კვალი ქრისტიანულ სიმბოლიკაში უდავოა. ეგვიპტური მზის დისკოები კათოლიკე წმინდანთა შარავანდედი გახდა. პიქტოგრამები, სადაც ისიდა ძუძუს აწოვებს თავის სასწაულებრ ჩასახულ ვაჟიშვილს, ჰორასს, ზუსტად გადმოიტანეს ჩვენთვის ნაცნობ ნახატებში, სადაც ქალწულ მარიამს ჩვილი იესო უჭირავს. ქრისტიანული რიტუალების პრაქტიკულად ყველა
ელემენტი – მიტრა, საკურთხეველი, ღვთის სადიდებელი მოკლე ჰიმნი და ეკლესიის ერთიანობის ცნება, ზიარების რიტუალი – პირდაპირ აიღეს წარმართული რელიგიებიდან.
თიბინგმა დაიკვნესა.
 არ დააწყებინოთ სიმბოლიკის სპეციალისტს ქრისტიანულ ხატებზე ლაპარაკი. ქრისტიანობაში არაფერი ორიგინალური არ არის. წინაქრისტიანული ღმერთი, მითრა – რომელსაც ღვთის ძესა და სამყაროს ნათელს ეძახდნენ – 25 დეკემბერს დაიბადა, გარდაიცვალა, დაიკრძალა კლდის სამარხში და შემდეგ სამ დღეში აღდგა, სხვათა შორის, 25 დეკემბერი არის ოსირისის, ადონისისა და დიონისეს დაბადების დღეც.
ახალშობილ კრიშნას საჩუქრად მიართვეს ოქრო, გუნდრუკი და მური. ქრისტიანობის ყოველკვირეული წმინდა დღეც წარმართობიდანაა აღებული.
 რას გულისხმობთ?
 თავდაპირველად, თქვა ლენგდონმა, ქრისტიანები ცნობდნენ ებრაულ წმინდა დღეს – შაბათს, მაგრამ კონსტანტინემ ეს დღე გადაიტანა და დაამთხვია წარმართთა მზის თაყვანისცემის დღეს. – იგი შეჩერდა და ჩაიცინა. – იქიდან მოყოლებული დღემდე მრევლი
წირვალოცვაზე კვირა დილით დადის და აზრადაც არ მოსდის, რომ ამას წარმართთა მზის
ღმერთის ყოველკვირეული თაყვანისცემის უძველესი ტრადიცია უძევს საფუძვლად.
სოფის თავბრუ დაეხვა.
 და ყველაფერი ეს ბარძიმთან არის დაკავშირებული?
 რა თქმა უნდა, თქვა თიბინგმა, მომისმინეთ, რელიგიათა ამ შერწყმის დროს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კონსტანტინეს დასჭირდა ახალი ქრისტიანული ტრადიციის განმტკიცება. მან მოაწყო ქრისტიანთა მსოფლიო თავშეყრა, რომელიც ნიკეის საეკლესიო კრების სახელით არის ცნობილი.
სოფის ამის შესახებ მხოლოდ ის ჰქონდა გაგონილი, რომ აქ ჩაეყარა საფუძველი ნიკეის მრწამსს.
ამ შეკრებაზე – თქვა თიბინგმა, ქრისტიანობის მრავალ საკითხზე იყო კამათი და კენჭისყრით დადგინდა აღდგომის თარიღი, ეპისკოპოსთა როლი, წმინდანად შერაცხვის წესი და, რა თქმა უნდა, იესოს მიენიჭა ღვთაებრივი სტატუსი.
ვერ გავიგე. თქვენ თქვით, ღვთაებრივი სტატუსიო?
ჩემო ძვირფასო, განაცხადა თიბინგმა, ისტორიის იმ მომენტზე იესო მისი მიმდევრებისთვის იყო მოკვდავი წინასწარმეტყველი, დიდი და ძლევამოსილი ადამიანი, მაგრამ მაინც ადამიანი. მოკვდავი.
და არა ძე ღვთისა?
სწორია, თქვა თიბინგმა, იესოს ღვთის ძედ შერაცხვის საკითხი ნიკეის საბჭოზე ოფიციალურად დაისვა და იქვე უყარეს კენჭი.
მოითმინეთ. თქვენ ამბობთ, რომ იესოს ღვთაებრიობა კენჭისყრის უმრავლესობის გადაწყვეტილების შედეგია?
თანაც ხმათა სულ მცირე უპირატესობით გადაწყდა, უპასუხა თიბინგმა და დაუმატა: ქრისტეს ღვთაებრიობის დამკვიდრება საჭირო იყო რომის იმპერიის შემდგომი გაერთიანებისა და კათოლიკე ეკლესიის ახალი ხელისუფლებისათვის. იესოს ღვთის ძედ ოფიციალური წარმოჩენით, კონსტანტინემ იგი ადამიანთა სამყაროს მიღმა არსებულ ღვთაებად აქცია. ეს იყო არსება, ვისი ძალაუფლებაც უეჭველი, უდავო იყო. ამან მარტო წარმართთა შემდგომი პრეტენზიები არ აღკვეთა ქრისტიანობის მიმართ. ქრისტეს მიმდევრებს ახლა შეეძლოთ აღედგინათ თავიანთი სახელი მხოლოდ კანონიერი წმინდა შუამავლის – რომაული კათოლიკური ეკლესიის მეშვეობით.
სოფიმ ლენგდონს გადახედა, მან, თავის მხრივ, ოდნავ დაუქნია თავი. მისი შეხედულებები თიბინგისას ემთხვეოდა.
საქმე ძალაუფლებაში იყო, განაგრძო თიბინგმა, ქრისტე, როგორც მესია, ძალზე საჭირო იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ბიუროკრატიისათვის. ბევრი მეცნიერი აცხადებს,
რომ ადრეულმა ეკლესიამ პირდაპირ მოჰპარა იესო თავის თავდაპირველ მიმდევრებს, მოაცილა მას კაცობრივი ბუნება, ღვთაებრიობის მიუწვდომელ სუდარაში გაახვია და თავისი საკუთარი ძალაუფლების განსადიდებლად გამოიყენა. მე ამ თემაზე რამდენიმე წიგნი მაქვს დაწერილი.
და ალბათ ღვთისმოსავი ქრისტიანები სიძულვილით აღსავსე წერილებს გიგზავნიან ყოველდღე, არა?
არა, რატომ? – შეედავა თიბინგი, განათლებულ ქრისტიანთა დიდმა უმრავლესობამ იცის რწმენის ისტორია, იესო მართლაც დიდი და ძლიერი ადამიანი იყო. კონსტანტინეს საიდუმლო პოლიტიკური მანევრები არ ამცირებს ქრისტეს ცხოვრების სიდიადეს. არავინ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამბობს, რომ ქრისტეთაღლითი იყო, არც იმას უარყოფს ვინმე, რომ იგი ამქვეყნად ცხოვრობდა და შთააგონებდა ადამიანებს, რომ მათ უკეთესი ცხოვრების სურვილი ჰქონოდათ. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ კონსტანტინემ ქრისტეს დიდი ზეგავლენა და მნიშვნელობა თავის მიზნებისთვის გამოიყენა. ამით მან ქრისტიანობას ისეთი სახე მისცა, როგორსაც დღეს ვიცნობთ.

სოფიმ გადაშლილ წიგნს დახედა. ძალიან უნდოდა წინ წასულიყვნენ და ლეონარდო და ვინჩის დახატული ბარძიმი ენახათ.

ეს ხერხი იყო, თქვა თიბინგმა ახლა იგი უფრო სწრაფად ლაპარაკობდა, კონსტანტინემ აამაღლა ესოს სტატუსი მისი სიკვდილიდან თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ. იმხანად უკვე არსებობდა ათასობით დოკუმენტი, რომლებშიც მოკვდავი ადამიანის, იესოს ცხოვრება იყო აღწერილი. საჭირო იყო ამ ისტორიული წიგნების გადაწერა ახალი გარემოების შესაბამისად. კონსტანტინემ იცოდა, რომ ამისთვის გაბედული ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო. და აი, ამ დროს წარმოიშვა ქრისტიანობის ისტორიაში ყველაზე მთავარი მომენტი, თიბინგი შეჩერდა. იგი სოფის უყურებდა, კონსტანტინეს დავალებით და დაფინანსებით შეიქმნა ბიბლიის ახალი კანონიკური შედგენილობა. მასში გამოტოვეს ის სახარებები,სადაც ქრისტეს ადამიანურ თვისებებზე იყო ლაპარაკი, ხოლო ის ევანგელეები, რომლებიც მის ღვთაებრივ სახეს წარმოაჩენდნენ, სხვადასხვა გამოგონილი ამბით შეივსო. ადრინდელი სახარებები კანონგარეშედ გამოცხადდა. მათ ერთად მოუყარეს თავი და დაწვეს.

ერთი საინტერესო შენიშვნა, დაუმატა ლენგდონმა, ნებისმიერს, ვინც აკრძალულ ევანგელეებს აირჩევდა, თუ ის კონსტანტინეს ვერსიისგან იყო განსხვავებული, ერეტიკოსად შერაცხავდნენ. სიტყვა ერეტიკოსი სწორედ ისტორიის ამ მონაკვეთში წარმოიშვა. ლათინური სიტყვა haereticus ნიშნავს “არჩევანს”. ისინი, ვინც ქრისტეს თავდაპირველი ისტორია აირჩია, მსოფლიოში პირველი ერეტიკოსები იყვნენ.

ისტორიკოსების საბედნიეროდ, თქვა თიბინგმა, ზოგი სახარება განადგურებას გადაურჩა. 1950იან წლებში გამოქვაბულში დამალული მკვდარი ზღვის პაპირუსები აღმოჩნდა იუდეის უდაბნოში ყუმრანის მახლობლად. და, რა თქმა უნდა, კოპტური პაპირუსები, რომლებიც იპოვეს 1945 წელს ნაგჰამადიში. გარდა იმისა, რომ ეს დოკუმენტები ბარძიმის ჭეშმარიტ ისტორიას მოგვითხრობს, მათში ქრისტეს ამქვეყნიური

მსახურების უაღრესად ადამიანურ ხასიათზეცაა ლაპარაკი. რასაკვირველია, ვატიკანი კვლავაც ცრუ ტრადიციას მისდევდა და ძალიან შეეცადა, ხელი შეეშალა ამ პაპირუსების გამოქვეყნებისათვის. რატომაც არ გააკეთებდნენ ამას? პაპირუსები ხომ წინ წამოსწევდნენ თვალშისაცემ შეუსაბამობებს და შეთითხნილ ისტორიებს, აშკარად დაამტკიცებდნენ, რომ

თანამედროვე ბიბლია შედგენილი და რედაქტირებული იყო იმათ მიერ, ვისაც გარკვეული

პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. მათი მიზანი იყო, წინ წამოეწიათ იესო ქრისტეს ღვთაებრიობა და მისი ზეგავლენა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოეყენებინათ.
 და მაინც, შეედავა ლენგდონი, საჭიროა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე ეკლესიის დიდი სურვილი, დააკნინოს ეს დოკუმენტები, იქიდან მოდის, რომ მათ გულწრფელად სწამთ თავისივე დაწესებული აზრი ქრისტეს შესახებ. ვატიკანში ღრმად მორწმუნე ადამიანები არიან. მათ მართლაც სჯერათ, რომ ეს დოკუმენტები შეიძლება მხოლოდ მცდარი დებულების მტკიცება იყოს.
თიბინგმა ჩაიხითხითა და სოფის პირდაპირ სკამზე მოეწყო.
 როგორც ხედავთ, ჩვენს პროფესორს რომის მიმართ უფრო მოწყალე გული აქვს, ვიდრე მე. თუმცა ვაღიარებ, რომ მართალს ამბობს. თანამედროვე სამღვდელოებას მართლაც სჯერა, რომ ეს დოკუმენტები შეთითხნილია. ეს გასაგებიცაა. კონსტანტინეს ბიბლია მათთვის წლების მანძილზე ჭეშმარიტების წყარო იყო. არავინ იცნობს თეორიას ისე კარგად, როგორც თეორეტიკოსი.
 ის გულისხმობს, რომ ჩვენ წინაპართა ღმერთებს ვეთაყვანებით.
 მე ვგულისხმობ, შეუსწორა თიბინგმა, რომ ყველაფერი რასაც წინაპრები ქრისტეს შესახებ გვასწავლიდნენ, მცდარია. ისევე, როგორც ისტორიები წმინდა ბარძიმის შესახებ.
სოფიმ კიდევ ერთხელ შეხედა და ვინჩის ციტატას. ბრმა უმეცრება ჭეშმარიტი გზიდან გვაცდენს! უბადრუკო მოკვდავნო, გაახილეთ თვალები!
თიბინგი დასწვდა წიგნს და შუაში გადაშალა.
 და ბოლოს, სანამ წმინდა ბარძიმის და ვინჩისეულ ნახატს გაჩვენებთ, მინდა გთხოვოთ უცებ შეხედოთ ამას.
მან წიგნი ფერად ნახატზე გადაშალა, რომელიც ერთ განშლას – ორ სრულ გვერდს მოიცავდა. – ეს ფრესკა იცანით ალბათ.
ხუმრობს, არა? სოფი მიშტერებოდა ყველა დროის ყველაზე ცნობილ ფრესკას. ეს იყო საიდუმლო სერობა, და ვინჩის ლეგენდარული ნახატი სანტა მარის დელა გრაციას ეკლესიის სატრაპეზოს კედელზე მილანში. ძველი ფრესკა ასახავდა იესოს და მის მოწაფეებს იმ მომენტში, როდესაც მაცხოვარი აცხადებს, რომ ერთერთი მათგანი მას უღალატებს.
 დიახ, ვიცი ეს ფრესკა.
 მაშინ, ალბათ უარს არ მეტყვით ამ პატარა თამაშზე? თუ შეიძლება. თვალები დახუჭეთ.
სოფი შეყოყმანდა, მაგრამ თვალები მაინც დახუჭა.
 სად ზის იესო? – ჰკითხა თიბინგმა.
 ცენტრში.
 კარგი. რა საჭმელს ტეხავენ და ჭამენ ის და მისი მოწაფეები?
 პურს. აშკარად.
 ბრწყინვალეა. და რას სვამენ.
 ღვინოს. ისინიღვინოს სვამენ.
 შესანიშნავია. და ბოლო შეკითხვა, რამდენი ღვინის ჭიქაა მაგიდაზე?
სოფი შეცბა, მიხვდა რომ ეს ჩამჭრელი კითხვა იყო. და სადილის შემდეგ იესომ აიღო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭიქა ღვინით და გაინაწილა იგი თავის მოწაფეებთან ერთად. – ჭიქა ერთია. – თქვა სოფიმ. – ბარძიმი – ქრისტეს თასი. წმინდა ბარძიმი. – იესომ ჩამოატარა ერთი ბარძიმი ღვინით, ისევე, როგორც ამას თანამედროვე ქრისტიანები აკეთებენ თავშეყრის დროს.
თიბინგმა ამოიოხრა: გაახილეთ თვალები.
სოფი დაემორჩილა ბრძანებას. თიბინგი ეშნაკურად იღიმებოდა. სოფიმ ნახატს დახედა, და თავისდა გასაოცრად, დაინახა, რომ ყველას, ვინც მაგიდის ირგვლივ იჯდა, ქრისტეს ჩათვლით, ედგა ღვინით სავსე ჭიქა,იქ ცამეტი ჭიქა იყო. უფრო მეტიც, პატარა უფეხო შუშის ჭიქები იყო, ნახატზე არ იყო ბარძიმი. არავითარი წმინდა ბარძიმი არ იყო.
თიბინგს თვალები აუციმციმდა. – ცოტათი უცნაურია, არა? ალბათ ფიქრობთ, ბიბლია და ჩვენთვის ნაცნობი ბარძიმის ლეგენდა ამ მომენტს წარმოაჩენს, როგორც წმინდა გრაალის უდავო დაბადებას – უცნაურია, რომ და ვინჩის თითქოს დაავიწყდა ქრისტეს ბარძიმის დახატვა.
უდავოდ. ეს უნდა აღენიშნათ ხელოვნების მკვლევარებს.
გაოგნდებით, როცა გაიგებთ, თუ როგორი უცნაური დეტალები ჩართო ამ სურათში და ვინჩიმ. მკვლევართა უმრავლესობა მათ ან ვერ ხედავს, ან ამჯობინებს არ შეამჩნიოს. ეს ფრესკა სინამდვილეში წმინდა ბარძიმის საიდუმლოს სრულყოფილი გასაღებია. და ვინჩი ამას არ ფარავს საიდუმო სერობაში.
სოფიმ ინტერესით დაათვალიერა ნახატი.
ეს ფრესკა გვეუბნება, რა არის სინამდვილეში ბარძიმი?
რა არის კი არა, ჩაიჩურჩულა თიბინგმა, არამედ ვინ არის. წმინდა ბარძიმი საგანი არ არის. ის სინამდვილეში ადამიანია.
თავი 56
სოფი კარგა ხანს უყურებდა თიბინგს და შემდეგ ლენგდონისკენ მიტრიალდა, წმინდა ბარძიმი ადამიანია?
ლენგდონმა თავი დაუქნია.
სინამდვილეში, ეს – ქალია.
ლენგდონმა სოფის სახეზე არაფრისმთქმელი გამომეტყველება შეატყო და მიხვდა, რომ ის ძალიან დაიბნა. გაახსენდა, რომ თვითონაც ასეთივე რეაქცია ჰქონდა, როდესაც ეს გაიგო. ძალიან გაუკვირდა ამის დაკავშირება ქალთან, სანამ არ გაიაზრა, რომ ბარძიმს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.
თიბინგიც ალბათ იმავეს ფიქრობდა.
რობერტ, ალბათ ის მომენტი დადგა, როდესაც სიმბოლიკის მკვლევარებმა უნდა მოგვცენ განმარტება. – იგი მივიდა მაგიდის მახლობელ კიდესთან, მოძებნა ქაღალდის ნაგლეჯი და ლენგდონს წინ დაუდო. ლენგდონმა ჯიბიდან კალმისტარი ამოიღო, სოფი, მდედრობითი და მამრობითი
სქესის აღმნიშვნელ სიმბოლოებს ხომ იცნობ?
მან დახატა ჯერ მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ცნობილი სიმბოლო და შემდეგ მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიმბოლო.
რა თქმა უნდა, უპასუხა სოფიმ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ესენი, განაგრძო მშვიდი ხმით ლენგდონმა, არ არის მდედრისა და მამრის აღმნიშვნელი ნამდვილი სიმბოლოები. თავდაპირველად მდედრობითი და მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიმბოლოები სხვანაირი იყო. ბევრი არასწორად ვარაუდობს, რომ მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიმბოლო წარმოიშვა ფარისა და შუბისაგან, ხოლო მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიმბოლო წარმოადგენს სარკეს, რომელშიც მშვნეიერებაარეკლება. სინამდვილეში, ეს უძველესი ასტრონომიური სიმბოლოებია, რომლებიც აღნიშნავდა პლანეტაღმერთს მარსსა და პლანეტაქალღმერთს ვენერას. ამ ორი სქესის აღსანიშნავად გამოყენებული თავდაპირველი სიმბოლოები ბევრად უფრო მარტივია.

ლენგდონმა ფურცელზე სხვა ნიშანი დახატა.

ეს არის მამრობითი სქესის აღსანიშნავი თავდაპირველი სიმბოლო, უთხრა მან სოფის, ფალოსის სქემატური გამოსახულება.

საკმაოდ დიდი მსგავსებაა, თქვა სოფიმ.

ასევე თვლიდნენ ძველად, დასძინა თიბინგმა. ლენგდონმა განაგრძო:

ეს სიმბოლო, თავისი ფორმის გამო, ოფიციალურად ცნობილი იყო, როგორც ხმალი და გამოხატავს აგრესიასა და მამაკაცობას. ფაქტობრივად, დღესაც გამოიყენება ეს ფალოსის ნიშანი თანამედროვე სამხედრო ფორმებზე წოდების აღსანიშნავად.

მართალია, გაიღიმა თიბინგმა რაც უფრო მეტი პენისი გახატია ფორმაზე, მით უფრო მაღალია შენი სამხედრო წოდება. სიჭაბუკეს დრო სჭირდება დაღვინებისთვის. ლენგდონი შეიჭმუხნა.

ვაგრძელებთ. მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიმბოლო, ალბათ მიხვდებით, არის სწორედ საპირისპირო, მან კიდევ ერთი სიმბოლო დახატა ფურცელზე. ამას კი ჰქვია ცჰალიცე.

სოფიმ გაკვირვებით ამოხედა ლენგდონს.

ლენგდონი ხედავდა, რომ სოფიმ კავშირი დაინახა. ბარძიმი, გააგრძელა ლენგდონმა, ჰგავს ჭიქას ან თასს და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მას ქალის საშვილოსნოს ფორმა აქვს. ეს სიმბოლო ასახავს მდედრობითობას, ქალურობას და ნაყოფიერებას. ლენგდონი ახლა სოფის პირდაპირ უყურებდა. სოფი, ლეგენდა გვეუბნება, რომ წმინდა ბარძიმი არის თასი ჭიქა. მაგრამ ბარძიმის აღწერა, როგორც თასისა, ალეგორიაა, რათა ბარძიმის ჭეშმარიტი არსი დაიფაროს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ლეგენდა იყენებს თასს, როგორც მეტაფორას რაღაც უფრო მნიშვნელოვანის დასაფარავად.

ქალი, თქვა დაფიქრებულმა სოფიმ.

სწორია, გაიღიმა ლენგდონმა, ბარძიმი, ფაქტობრივად, არის ქალურობის უძველესი სიმბოლო. წმინდა ბარძიმი გამოხატავს წმინდა ქალსა და ქალღმერთს, რომელიც ახლა, რა თქმა უნდა, დაკარგულია, სრულიად განადგურებულია ეკლესიის მიერ. ქალის ძალა და

მისი უნარი წარმოშვას სიცოცხლე, ოდესღაც ძალიან ძვირფასი იყო, მაგრამ იგი საფრთხეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უქმნიდა უპირატესად მამრობითი ორიენტაციის ეკლესიის აღმავლობას, ამგვარად, წმინდა
ქალი ეშმაკეულად იქნა მიჩნეული და უწმინდურად გამოაცხადეს. "პირველადი ცოდვის" ცნება ადამიანმა შექმნა და არა ღმერთმა. ამ ცნების თანახმად, ევამ გასინჯა ვაშლი და ამით კაცობრიობის დაცემა გამოიწვია. ქალი, ოდესღაც წმინდა სიცოცხლის მომნიჭებელი, ახლა მტერი გახდა.

უნდა დავძინო, განაცხადა თიბინგმა, ქალის, როგორც სიცოცხლის მომტანის ცნება, ანტიკური რელიგიის საფუძველი იყო. ბავშვის დაბადების პროცესი მისტიკური და მძლავრი მოვლენა იყო. სამწუხაროდ, ქრისტიანულმა ფილოსოფიამ გადაწყვიტა ქალისთვის წაერთმია შემოქმედებითი ძალა ბიოლოგიური ჭეშმარიტების იგნორირებით და მამაკაცი წარმოაჩინა, როგორც შემქმნელი. შესაქმის წიგნი გვეუბნება, რომ ევა შეიქმნა ადამის ნეკნისაგან. ქალი გახდა მამაკაცის გამონაზარდი. შესაქმე იყო ქალღმერთის დასასრულის დასაწყისი.

გრაალი, თქვა ლენგდონმა, არის დაკარგული ქალღმერთის სიმბოლო, ქრისტიანობის მოსვლასთან ერთად წარმართული რელიგიები ადვილად არ კვდებოდა. ლეგენდები რაინდების მიერ დაკარგული ბარძიმის ძიებათა შესახებ სინამდვილეში იყო ისტორიები დაკარგული წმინდა ქალის მოსაძებნად მოწყობილი აკრძალული ექსპედიციების შესახებ. რაინდები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ "თასს ეძებენ", კოდირებული ენით მეტყველებდნენ. ისინი თავს იცავდნენ ეკლესიისგან, რომელმაც დააკნინა ქალი, აკრძალა ქალღმერთი, დაწვა ურწმუნონი და წმინდა ქალის წარმართული თაყვანისცემა უკანონოდ გამოაცხადა.

სოფიმ თავი გაიქნია.

უკაცრავად, როდესაც თქვენ თქვით,წმინდა ბარძიმი ადამიანი იყოო, მე ვიფიქრე, რომ რეალური პიროვნება იყო.

ასეც არის, თქვა ლენგდონმა.

ეს არ არის ნებისმიერი ადამიანი, წამოიძახა თიბინგმა და აღელვებული ფეხზე წამოდგა, ეს არის ქალი, რომელიც ატარებდა ისეთ დიდ საიდუმლოს, რომლის გამომჟღავნებაც გაანადგურებდა ქრისტიანობის საფუძველს!

სოფი გაოგნებული იყო.

ეს ქალი ისტორიაში ცნობილია?

საკმაოდ, თიბინგმა აკრიფა თავისი ყავარჯნები და გაემართა დარბაზის ქვევით. და თუ კაბინეტში გადავინაცვლებთ, მეგობრებო, ჩემთვის პატივი იქნება, გიჩვენოთ და ვინჩის
მიერ დახატული მისი სურათი.

ორი ოთახის იქით, სამზარეულოში, მსახური რემი ლეგალუდეკი ჩუმად იდგა ტელევიზორის წინ. ახალი ამბების არხი აჩვენებდა მამაკაცისა და ქალის ფოტოებს... ეს იყო ორი ადამიანი, რომლებსაც რემიმ სულ ახლახანს მიართვა ჩაი.

თავი 57

ციურიხის სადეპოზიტო ბანკთან, იქ სადაც გზა იყო გადაკეტილი, ლეიტენანტი კოლე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იდგა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ დასჭირდა ფაშს ამდენი ხანი ჩხრეკის ორდერის მოსატანად. ბანკირები აშკარად რაღაცას მალავდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ლენგდონი და ნევე იყვნენ ამ ბანკში, მაგრამ ისინი უკან გააბრუნეს, რადგან ანგარიშის ნომერი არ ჰქონდათ.

მაშინ რატომ არ გვიშვებენ შიგ?

ბოლოს და ბოლოს, კოლეს მობილურმა ტელეფონმა დარეკა. რეკავდნენ ლუვრის სამეთაურო პოსტიდან. უკვე გვაქვს ჩხრეკის ორდერი? ჰკითხა კოლემ.

თავი დაანებეთ ბანკს, ლეიტენანტო, უთხრა აგენტმა. ეს წუთია ინფორმაცია მივიღეთ. ზუსტად ვიცით, სად იმალებიან ლენგდონი და ნევე.

კოლე მძიმედ დაეშვა თავის მანქანის კაპოტზე.

ხუმრობთ?

მე მაქვს მისამართი. ეს გარეუბანშია, სადღაც ვერსალთან ახლოს.

კაპიტანმა ფაშმა იცის?

ჯერ არა. იგი ახლა მნიშვნელოვანი სატელეფონო საუბრით არის დაკავებული.

მივდივარ. დაუკავშირდით, როგორც კი განთავისუფლდება. კოლემ მისამართი ჩაიწერა და თავის მანქანაში ჩახტა. როდესაც ბანკს გასცილდა, მიხვდა, რომ დაავიწყდა ეკითხა, ვინ შეატყობინა პოლიციას ლენგდონის ადგილმდებარეობა. ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. კოლეს ხომ ბედნიერი შესაძლებლობა მიეცა თავისი სკეპტიციზმის დასაძლევად და ადრე დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. იგი სადაცაა თავისი კარიერის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვან დამნაშავეს დააკავებდა. ის რადიოთი თავის თანმხლებ ხუთ მანქანას დაუკავშირდა.

სირენები არ ჩართოთ, ბიჭებო, ლენგდონმა არ უნდა იცოდეს, რომ მივდივართ.

40 კილომეტრის მოშორებით კი შავმა "აუდიმ" სოფლის შარაგზიდან გადაუხვია და მინდვრის ნაპირას ჩრდილში გაჩერდა. სილასი მანქანიდან გადმოვიდა და ღობის ნაჭედ რიკულებს შორის გაიჭყიტა. ეს ღობე შემოვლებული ჰქონდა მის წინ გადაშლილ უზარმაზარ ტერიტორიას. მან ახედა მთვარით განათებულ დამრეც ფერდობს, რომელიც მოშორებით მდგარი ციხედარბაზისკენ ეშვებოდა.

ქვედა სართული გაჩახჩახებული იყო. ასეთ დროს? უცნაურია, გაიფიქრა სილასმა და გაიღიმა. ინფორმაცია, რომელიც მოძღვარმა მიაწოდა, ნამდვილად სწორი იყო. ამ სახლიდან უქვაკუთხედოდ არ წავალ, დაიფიცა მან. მე ეპისკოპოსსა და მოძღვარს არ ვუღალატებ.

სილასმა შეამოწმა თავისი იარაღის ცამეტვაზნიანი მჭიდი, გააძვრინა რიკულებს შორის და ხელი გაუშვა, რომ ის შემოღობილი ტერიტორიის შიგნით ხავსიან მიწაზე დავარდნილიყო. შემდეგ ღობის წვერს მოეჭიდა, ზევით აიწია, გადაძვრა და მეორე მხარეს ჩახტა. მას ყურადღება არ მიუქცევია უეცარი მძაფრი ტკივილისთვის. ბარძაყზე შემოჭერილი ძაძის ქამარი დანასავით ჩაესო ხორცში. სილასმა იარაღი აიღო და დაადგა გრძელ გზას, რომელიც ალბათ ბალახით დაფარულ ფერდობს მიუყვებოდა ზევით.

თავი 58

თიბინგის კაბინეტის მსგავსი სოფის ჯერ არსად ენახა. ექვსჯერ თუ შვიდჯერ უფრო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განიერი იყო, ვიდრე ნებისმიერი ყველაზე მდიდრული ოფისი. რაინდის cabinet de travail
სამეცნიერო ლაბორატორიის, არქივის სამკითხველო დარბაზისა და მეძველმანის დახლის
ულაზათო ჰიბრიდს ჰგავდა. ოთახი განათებული იყო ჭერზე ჩამოკიდებული სამი ჭაღით,
ფილებით დაფარული თითქოს უკიდეგანო იატაკი მოფენილი იყო შეჯგუფებული საწერი
მაგიდების კუნძულებით. ეს მაგიდები ჩამარხული იყო წიგნების, ხელოვნების ნიმუშებისა
და გასაოცარი რაოდენობის ელექტრონული მოწყობილობების ქვეშ. აქ იყო
კომპიუტერები, პროექტორები, მიკროსკოპები, ასლის გადასაღები მანქანები და
ჰორიზონტალური სკანერები.
სამეჯლისო დარბაზი გადავაკეთე, თქვა თიბინგმა დარცხვენით და ოთახში
შეჩლახუნდა, ცეკვა ხშირად არ მიწევს.
სოფის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მთელი ღამე ერთგვარ "მწუხრის ზონად"
იქცა, სადაც მხოლოდ მოულოდნელი ამბები ხდება. ეს ყველაფერი სამუშაოდ
გჭირდებათ?
ჭეშმარიტების ძიება ჩემი ცხოვრების ერთადერთი გატაცებაა, უთხრა თიბინგმა.
წმინდა ბარძიმი კი ჩემი საყვარელი ქალბატონია.
წმინდა ბარძიმი ქალია, გაიფიქრა სოფიმ, მის ტვინში უერთიერთდაკავშირებული
იდეების კოლაჟი წარმოქმნილიყო, თუმცა სრულყოფილ სურათს ჯერ ვერ ხედავდა.
თქვენ მითხარით, რომ იმ ქალის სურათი გაქვთ, ვინც, თქვენი თქმით, არის წმინდა
ბარძიმი.
დიახ, ოღონდ, ის რომ ბარძიმია, მე არ განმიცხადებია. ეს თვით ქრისტეს
განცხადებაა.
რომელი პორტრეტია ეს? იკითხა სოფიმ და თან კედლებს ათვალიერებდა.
მმმ... თიბინგმა გაითამაშა, თითქოს აღარ ახსოვდა, წმინდა გრაალი. სანგრილი.
ბარძიმი. იგი უეცრად შემოტრიალდა და შორეულ კედელზე მიუთითა. კედელზე რვა
ფუტის სიგრძის ცნობილი ნახატი საიდუმლო სერობა ეკიდა. ზუსტად მას უყურებდა
სოფი.
აი, ეს ქალბატონიც!
სოფი დარწმუნებული იყო, რომ რაღაც გამორჩა.
ეს ხომ იგივე სურათია, რაც წეღან მაჩვენეთ.
თიბინგმა ღიმილით თვალი ჩაუკრა.
ვიცი, მაგრამ გადიდებული უფრო ამაღელვებელი არ არის?
სოფი ლენგდონს მიუბრუნდა დახმარებისთვის.
დავიბენი.
ლენგდონმა გაიღიმა.
აღმოჩნდა, რომ წმინდა ბარძიმი მართლაც გამოჩნდა საიდუმლო სერობაში.
ლეონარდომ მას სურათზე კარგა დიდი ადგილი მიუჩინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოითმინეთ, თქვა სოფიმ. თქვენ მითხარით, რომ წმინდა ბარძიმი ქალია.
საიდუმლო სერობაზე კი ცამეტი მამაკაცია გამოსახული.
მართლა? თიბინგმა წარბები ასწია, აბა, უფრო ახლოდან შეხედეთ.
სოფი გაუბედავად მიუახლოვდა ნახატს, ყურადღებით დააკვირდა ცამეტ ფიგურას შუაში იესო ქრისტე იყო, მარცხნივ და მარჯვნივ მისი ექვსექვსი მოციქული.
ყველანი მამაკაცები არიან, თქვა მტკიცედ.
მართლა? თქვა თიბინგმა. იმაზე რას იტყვით, საპატიო ადგილზე რომ ზის, მაცხოვრის გვერდით?
სოფიმ დიდი ყურადღებით დაათვალიერა იესოს მარჯვნივ მჯდომი ფიგურა. და როცა კარგად დააკვირდა ამ ადამიანის სახესა და სხეულს, გაოცების ტალღამ მოიცვა. მას ჰქონდა გაშლილი წითური თმა, ნაზი, გულმკერდზე დაწყობილი ხელები და მკერდის მინიშნება. ეს უდაოდ იყო ... ქალი.
ეს ქალია! წამოიძახა სოფიმ.
თიბინგი იცინოდა.
ესეც სიურპრიზი. დამიჯერეთ აქ შეცომა არ არის. ლეონარდო შესანიშნავად განასხვავებდა ქალსა და მამაკაცს თავის ნახატებში.
სოფი თვალს ვერ აცილებდა ქრისტეს გვერდით მყოფ ქალს. ნახატზე საიდუმლო სერობა 13 მამაკაცი უნდა ეხატოს. ეს ქალი ვინღაა? მართალია სოფის ბევრჯერ ჰქონდა ნანახი ეს კლასიკური ფრესკა, მაგრამ ეს თვალში საცემი შეუსაბამობა ერთხელაც არ შეუნიშნავს.
ამას ვერავინ ამჩნევს, თქვა თიბინგმა. ამ სცენის შესახებ განწყობა იმდენად ძლიერია, რომ ჩვენი გონება შეუსაბამობას ვეღარ აღიქვამს და თვალიც ვერაფერს ამჩნევს.
ესა მოვლენა ფსიქოლოგიაში ცნობილია, როგორც scotoma, დაუმატა ლენგდონმა ტვინი ამას ძლიერი სიმბოლოების მიმართ აკეთებს ხოლმე.
კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება ეს ქალი ვერ დაგენახათ, თქვა თიბინგმა, ის არის, რომ ბევრი ფოტო სამხატვრო ალბომებში გადაღებული იყო 1954 წლამდე. იმ დროს დეტალები ჯერ კიდევ დაფარული იყო ჭუჭყისგან და XVIII საუკუნეში ამ საღებავის
ზევიდან უხეშად, არაპროფესიულად დადებული ფენების ქვეშ. ახლა, როგორც იქნა, ფრესკა გაწმენდილია და ვინჩის საწყის საღებავთა ფენამდე. მან ფოტოზე მიუთითა. Et voila.
სოფი უფრო ახლოს მივიდა. იესოს მარჯვნივ მყოფი ქალი ახალგაზრდა იყო, მოწიწებული, მორცხვი გამომეტყველებით, მშვენიერი წითური თმითა და გულმკერდზე მშვიდად დაწყობილი ხელებით. ამ ქალს შეეძლო მარტოს გაენადგურებინა ეკლესია?
ვინ არის?
ეს, ჩემო ძვირფასო, უპასუხა თიბინგმა, არის მარიამ მაგდალინელი.
სოფი მისკენ მიტრიალდა.
მეძავი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თიბინგმა მოკლედ ამოისუნთქა, თითქოსამ სიტყვამ მას პირადი ტკივილი მიაყენა.
მაგდალინელი მეძავი არ ყოფილა. ეს მცდარი აზრი ადრექრისტიანული ეკლესიის ცილისმწამებლური კამპანიის შედეგად მიღებული მემკვიდრეობაა. ეკლესიას სჭირდებოდა
მარიამ მაგდალინელისათვის სახელის გატეხა, რომ მისის საშიში საიდუმლო დაეფარა. ეს იყო მისი, როგორც წმინდა ბარძიმის, როლი.
მისი როლი?
როგორც აღვნიშნე, განმარტა თიბინგმა, ადრეულ ეკლესიას სჭირდებოდა მსოფლიოს დარწმუნება იმაში, რომ მოკვდავი წინასწარმეტყველი იესო ღვთაებრივი არსება იყო. ამიტომ ყოველი სახარება, სადაც აღწერილი იყო იესოს ცხოვრების მიწიერი მხარეები, ბიბლიიდან უნდა ამოეღოთ. ადრეული რედაქტორებისთვის ყველაზე პრობლემური, ფაქტიურად, მიწიერი თემა იყო ის, რაც ხშირად მეორდებოდა სახარებებში. ეს არის მარიამ მაგდალინელი, აქ წამით ჩაფიქრდა. უფრო ზუსტად კი, მისი და იესო ქრისტეს ქორწინება.
რაო? სოფიმ ახლა ლენგდონს შეხედა, მერე კი ისევ თიბინგს.
ეს ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, თქვა თიბინგმა, და ვინჩიმ კი ნამდვილად იცოდა ამ ფაქტის შესახებ. საიდუმლო სერობა სწორედ რომ ყვირის, რომ იესო და მარიამ მაგდალინელი ცოლქმარი იყვნენ.
სოფიმ ისევ ფრესკას გახედა.
მიაქციეთ ყურადღება, რომ იესოსა და მაგდალინელს ერთმანეთის მიმართ თითქოს სარკისებრად არეკლილი სამოსი აცვიათ, თიბინგმა მიუთითა ორ ფიგურაზე ფრესკის ცენტრში.
სოფი ჰიპნოზის მდგომარეობაში იყო. მათი ტანსაცმელი აშკარად შებრუნებული ფერებისა იყო: იესოს ეცვა წითელი ტუნიკა და ლურჯი მოსასხამი, მარიამ მაგდალინელს ლურჯი ტუნიკა და წითელი მოსასხამი. ინი და იანი.
ახლა კიდევ, უფრო საოცარ ნაწეილზე გადავიდეთ, თქვა თიბინგმა, მინდა, მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ იესო და მისი მეუღლე თითქოს შეერთებულნი არიან ბარძაყთან და ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით იხრებიან, თითქოს ერთმანეთს შორის აშკარად მოხაზული უარყოფითი სივრცე უნდა შექმნან.
სანამ თიბინგი კონტურს მოუხაზავდა, სოფიმ ის უკვე დაინახა ეს უდავოდ ნახატის ყველაზე მთავარ ადგილას მიღებული ვ ფორმა იყო. ეს ბარძიმის, ქალის საშვილოსნოს იგივე სიმბოლო იყო, რომელიც ლენგდონმა მანამდე დაუხატა.
დაბოლოს, თქვა თიბინგმა, თუ იესოს და მაგდალინელს, როგორც ადამიანებს კი არა, როგორც კომპოზიციის ელემენტებს აღვიქვამთ, კიდევ ერთ აშკარა ფორმას დაინახავთ, აქ ოდნავ შეყოვნდა ეფექტისთვის. ეს ანბანის ერთერთი ასოა.
სოფიმ ეს ასო მაშინვე დაინახა. ძალიან თვალში საცემი იყო, საოცარია, რატომ მაშინვე ვერ შეამჩნია. ნახატის ცენტრში აშკარად ჩანდა უზარმაზარი, უნაკლოდ მოხაზული
ასო M.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალბათ ფიქრობთ, მეტისმეტად იდეალურია, იმისთვის რომ დამთხვევა იყოს, არა?
ჰკითხა თიბინგმა.
სოფი გაოცებული იყო.
რატომ არის ეს აქ?
თიბინგმა მხრები აიჩეჩა.
კონსპირაციის თეორიტიკოსები გეტყვიან, რომ ამ ასოთი აღინიშნება სიტყვა Matrimonio ან მარიამ მაგდალინელი. გულახდილად რომ გითხრათ, დანამდვილებით
არავინ იცის. მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ დამალული M აქ ნამდვილად არის. ეს
არ არის შეცდომა. ბარძიმთან დაკავშირებული უთვალავი ქვმნილება შეიცავს დამალულ
ასო Mს ჭვირნიშნებში, ან ნახატების ქვედა ფენებში, ან კომპოზიციურ ალუზიებში.
ყველაზე აშკარა M, რა თქმა უნდა, ამოტვიფრულია ლონდონური პარიზის ღვთისმშობლის
ტაძრის საკურთხეველზე ეს ეკლესია აგებულია ჟან კოქტოს მიერ, რომელიც სიონის
საძმოს დიდი მაგისტრი იყო.
სოფიმ გაიაზრა მიღებული ინფორმაცია.
ვაღიარებ, დაფარული Mები საინტერესო ნიუანსია, თუმცა, ვფიქრობ, არავინ
აცხადებს, თითქოს ეს ფაქტი ამტკიცებდეს, რომ იესო მაგდალინელზე მართლაც იყო
დაქორწინებული.
არა, არა, თქვა თიბინგმა და მივიდა მახლობელ მაგიდასთან, რომელზედაც წიგნები
იყო დახვევებული, ადრე ვთქვი, იესოს და მარიამ მაგდალინელის ქორწილი
ისტორიულად დოკუმენტირებული ფაქტიამეთქი, მან წიგნების გროვაში ქექვა დაიწყო,
უფრო მეტიც, იესო, როგორც დაქორწინებული მამაკაცი, ბოლოს და ბოლოს, უფრო
გამართლებულია, ვიდრე ჩვენი სტანდარტული ბიბლიური წარმოდგენა იესოზე, როგორხც
უცოლო კაცზე.
რატომ? ჰკითხა სოფიმ.
იმიტომ, რომ იესო ებრაელი იყო. გააგრძელა ლენგდონმა აზრი. სანამ თიბინგი
წიგნს ეძებდა, იმ დროს ებრაელისთვის სოციალურად მიუღებელი იყო
დაუქორწინებლობა. ებრაული ადათის მიხედვით, დაუქორწინებლობის აღთქმა იგმობოდა
და ებრაელი მამა ვალდებული იყო, ვაჟიშვილისათვის შესაფერისი ცოლი მოეძებნა. იესო
უცოლო რომ ყოფილიყო, ეს აუცილებლად იქნებოდა აღნიშნული ერთ სახარებაში მაინც
და მოცემული იქნებოდა ამ არაბუნებრივი მდგომარეობის რაიმე ახსნა.
თიბინგმა იპოვა უზარმაზარი წიგნი და თავისკენ გამოსწია. ტყავგადაკრული გამოცემა
აფიშისოდენა იყო და უზარმაზარ გეოგრაფიულ ატლასს ჰგავდა. ყდაზე ეწერა: გნოსტიკური
სახარებები. თიბინგმა ძლივს გადაშალა უზარმაზარი წიგნი. ლენგდონი და სოფი
მიუახლოვდნენ. სოფიმ დაინახა, რომ წიგნში უძველესი დოკუმენტებიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამოღებულინაწყვეტების ფოტოები იყო გაცრეცილი პაპირუსები ხელნაწერი ტექსტით. მან
ვერ იცნო უძველესი ენა, მაგრამ მის წინ მდებარე გვერდებს თან ახლდა თარგმანები.
ეს არის ნაგ ჰამადის და მკვდარი ზღვის გრაგნილების ჩემ მიერ ადრე ხსენებული ფოტოასლები, თქვა თიბინგმა. ეს უძველესი ქრისტიანული ჩანაწერებია. სამწუხაროდ, ისინი არ ემთხვევა ბიბლიაში შემავალ სახარებებს. წიგნის შუამდე რომ გადაფურცლა, თიბინგმა მიუთითა ერთ მონაკვეთზე. ფილიპეს სახარება ყოველთვის კარგი დასაწყისია.
სოფიმ წაიკითხა მონაკვეთი:
და მაცხოვრის თანამგზავრი (companion) არის მარიამ მაგდალინელი. ქრისტეს იგი ყველა მოციქულზე მეტად უყვარდა და ხშირად ბაგეებზე ეამბორებოდა ხოლმე. დანარჩენ მოციქულთ ეს სწყინდათ და ამას ჰკიცხავდნენ. მათ უთხრეს: "რატომ გიყვარს იგი ჩვენზე მეტად?"
ამ სიტყვებმა სოფი გააკვირვა. და მაინც არ იყო ეს ბოლომდე დამაჯერებელი. აქ არაფერია ნათქვამი ქორწინებაზე.
Au contraire, გაიღიმა თიბინგმა და მიუთითა პირველ პწკარზე. არამეული ენის ნებისმიერი მცოდნე გეტყვით, რომ იმ დროს სიტყვა companionის ზუსტი მნიშვნელობა იყო
მეუღლე.
ლენგდონმა თავის დაქნევით დაადასტურა თიბინგის სიტყვები.
სოფიმ კიდევ ერთხელ წაიკითხა პირველი ხაზი. და მაცხოვრის მეუღლე არის მარია მაგდალინელი.
თიბინგმა კიდევ გადაფურცლა წიგნი და მიუთითა რამდენიმე სხვა ნაწყვეტზე, რომლებიც, სოფის გასაოცრად, გარკვევით მიგვანიშნებდა, რომ იესოსა და მაგდალინელს რომანტიკული ურთიერთობები ჰქონდათ. როდესაც ნაწყვეტები წაიკითხა, სოფის რაღაც გაახსენდა. იმ დროს ის სკოლის მოსწავლე იყო. ერთ დღეს ბაბუას კარზე გაბრაზებულმა მღვდელმა დააბრახუნა.
ეს ჟაკ სონიერის სახლია? იკითხა მან და ბრაზიანი მზერა ესროლა პატარა სოფის, რომელმაც კარი გაუღო. უნდა დაველაპარაკო მისი სარედაქციო სვეტის შესახებ.
მღვდელმა გაზეთი ასწია სოფის დასანახად.
სოფიმ ბაბუა გამოიყვანა. ორი მამაკაცი კაბინეტში შევიდა და მათ უკან კარი მიიხურა.
ბაბუამ გაზეთში გამოაქვეყნა რაღაც? სოფი მაშინვე გაიქცა სამზარეულოში და დაიწყო იმ დილის გაზეთების დათვალიერება. მან ბაბუას სახელი იპოვნა მეორე გვერდზე დაბეჭდილი
სტატიის ქვეში და სასწრაფოდ წაიკითხა, სოფიმ მთლიანად ვერ გაიგო, რა ეწერა სტატიაში, მაგრამ ის კი გაიგო, რომ საფრანგეთის მთავრობამ სამღვდელოების ზეწოლის შედეგად აკრძალა ამერიკული ფილმი ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება. ფილმი იყო იმაზე,
რომ იესოს ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა მარიამ მაგდალინელთან. ბაბუას სტატიაში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნათქვამი იყო, რომ ეკლესია ქედმაღლურად მოიქცა და შეცდომა დაუშვა, როდესაც ეს ფილმი აკრძალა.
რა გასაკვირია, რომ მღვდელი აღშფოთებული ყოფილიყო, გაიფიქრა სოფიმ.
ეს პორნოგრაფიაა! ეს მკრეხელობაა! დაიყვირა მღვდელმა, გამოვარდა კაბინეტიდან და ქარიშხალივით გაიჭრა შემოსასვლელი კარისკენ. როგორ შეგიძლიათ ამას ხელი შეუწყოთ! ეს ამერიკელი მარტინ სკორსეზე ღვთის მგმობია, ეკლესია მას საშუალებას არ მისცემს, საფრანგეთში იქადაგოს! მღვდელი გარეთ გავარდა და კარი მოიჯახუნა.
როდესაც ბაბუა სამზარეულოში შემოვიდა და სოფი გაზეთით ხელში დაინახა, მოიღუშა.
რა სწრაფი ხარ!
შენ ფიქრობ, რომ იესო ქრისტეს შეყვარებული ჰყავდა? ჰკითხა სოფიმ.
არა, ძვირფასო, მე ვთქვი, რომ ეკლესიას არა აქვს უფლება მიგვითითოს, რის გაკეთება შეგვიძლია და რისი არამეთქი.
იესოს ჰყავდა შეყვარებული?
ბაბუა ცოტა ხანს დუმდა.
ცუდი იქნებოდა, ასეც რომ ყოფილიყო?
სოფი დაფიქრდა და მხრები აიჩეჩა.
მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.
ამასობაში კი სერ ლი თიბინგი ისევ ლაპარაკობდა.
თავს არ შეგაწყენთ იესოსა და მაგდალინელის კავშირზე უთვალავი მინიშნებების შეხსენებით. თანამედროვე ისტორიკოსებს ეს ზედმიწევნით აქვთ გამოკვლეული. თუმცა ერთი რამ მაინც მინდა გამოვყო, მან მეორე ნაწყვეტზე მიუთითა, ეს მარიამ მაგდალინელის სახარებიდანაა.
სოფიმ არ იცოდა, თუ მაგდალინელის მიერ მოთხრობილი სახარებაც არსებობდა. მან წაიკითხა ტექსტი:
და თქვა პეტრემ: მართლაც დაელაპარაკა მაცხოვარი ქალს, ჩვენ რომ
არ ვიცოდით ისე? და ჩვენ ამას უნდა ვუსმინოთ? ის გვამჯობინა?
და ლევიმ მიუგო: პეტრე, შენ ყოველთვის ფიცხი იყავი. ახლა შენ ედავები ქალს, თითქოს იგი შენი მეტოქე იყოს. თუ მაცხოვარმა ის თავის ღირსად ჩათვალა, ვინ ხარ შენ, რომ უარყო? დარწმუნებული ვარ, მაცხოვარი მას ძალიან კარგად იცნობს, ამიტომაც შეიყვარა იგი ჩვენზე მეტად.
ქალი, რომელზეც ისინი ლაპარაკობენ, ახსნა თიბინგმა, არის მარიამ მაგდალინელი. პეტრე მასზე საუბრობს.
იმიტომ, რომ იესომ მარიამი აირჩია?
მარტო მაგიტომ არა. ინტერესი უფრო ღრმა იყო, ვიდრე უბრალოდ სიყვარულის გრძნობა. ამ დროისთვის იესოს უკვე ეჭვი აქვს, რომ მას მალე შეიპყრობენ დ ჯვარს აცვამენ. ამიტომ იგიმარიამ მაგდალინელს აძლევს მითითებებს, როგორ უნდა გააგრძელოს მისი დაწყებული საქმე, როცა თვითონ აღარ იქნება. ამის გამოა პეტრე უკმაყოფილო. მას არ სურს, ქალს დაემორჩილოს. შემიძლია ვთქვა, რომ პეტრე ერთგვარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სექსისტი იყო.
სოფი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა.
ეს იყო წმინდა პეტრე. ის კლდე, რომელზეც იესომ თავისი ეკლესია ააგო.
მართალს ბრძანებთ, ერთი პატარა ნიუანსის გარდა. ამ გადაუკეთებელი სახარებების მიხედვით, ის, ვისაც ქრისტემ მისცა მითითებები ეკლესიის შესაქმნელად, პეტრე არ იყო. ეს
იყო მარიამ მაგდალინელი.
სოფიმ თიბინგს შეხედა.
თქვენ ამბობთ, რომ ქრისტიანული ეკლესიის საქმიანობა ქალს უნდა გაეგრძელებინა?
ეს იყო გეგმა. იესო პირველი ფემინისტი იყო. მას უნდოდა, რომ თავისი ეკლესიის მომავალი მარიამ მაგდალინელის ხელში ყოფილიყო.
პეტრეს ეს არ მოსწონდა, თქვა ლენგდონმა და საიდუმლო სერობაზე მიუთითა. ეს პეტრეა, აი იქ. ხედავ? და ვინჩიმ კარგად იცოდა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა პეტრეს მარიამ მაგდალინელის მიმართ.
სოფიმ ისევ დაკარგა ლაპარაკის უნარი. ნახატზე პეტრე მუქარით იხრებოდა მარიამ მაგდალინელისკენ და თითქოს თავისი ხმლისმაგვარი ხელით ქალს თავს აჭრიდა. იგივე შემაძრწუნებელი მოძრაობა, როგორიც იყო სურათში მადონა მღვიმეში!
აქაც შეხედე, თქვა ლენგდონმა და მიუთითა მოციქულების ჯგუფებზე პეტრეს ახლოს.
– ცოტათი ავისმომასწავებელია, არა?
სოფიმ თვალები მოჭუტა და დაინახა მოციქულთა ჯგუფიდან როგორ გამოჩნდა ხელი.
ამ, ხელს ხანჯალი უჭირავს?
დიახ. კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ, თუ მკლავებს დაითვლი, დაინახავ, რომ ეს ხელი ეკუთვნის... არავის. იგი უსხეულოა. ანონიმურია.
სოფი თანდათან უფრო უმწეოდ გრძნობდა თავს.
მაპატიეთ, მაგრამ ისევ ვერ გავიგე, ყოველივე ეს რატომ გვაძლევს საშუალებას მარია მაგდალინელს "წმინდა ბარძიმი" ვუწოდოთ.
აჰა! – წამოიძახა ისევ თიბინგმა. – სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული! – იგი კიდევ ერთხელ მიბრუნდა მაგიდისკენ და ამოაძვრინა დიდი ცხრილი და სოფის წინ გაშალა. ეს არის დეტალური გენეალოგია. – ცოტამ თუ იცის, რომ მარიამ მაგდალინელი, გარდა იმისა, რომ ქრისტეს მარჯვენა ხელი იყო, თავისთავად იყო ძლიერი ქალი.
სოფიმ ახლა დაინახა გენეალოგიური ხის სათაური:
ბენიამინის ტომი
მარიამ მაგდალინელი აქ არის, თქვა თიბინგმა და მიუთითა გენეალოგიის წვერთან ახლოს.
სოფი გაკვირვებული იყო.
იგი ბენიამინის ტომიდან იყო?
სწორედ ასეა, თქვა თიბინგმა, მარიამ მაგდალინელი სამეფო გვარის შთამომავალი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე კი მეგონა, რომ მაგდალინელი ღარიბი იყო.
თიბინგმა თავი გააქნია.
მაგდალინელს როლი შეუცვალეს და მეძავედ გარდასახეს, რათა ძლევამოსილ ოჯახთან მისი კავშირის კვალი წაეშალათ.
სოფიმ ისევ ლენგდონს გახედა, რომელმაც თავის ქნევით დაადასტურა გაგონილი.
სოფი ახლა ისევ თიბინგს მიუბუნდა.
კი მაგრამ, რა ენაღვლებოდა ადრეულ ეკლესიას, მაგდალინელი სამეფო სისხლისა იყო თუ არა?
ბრიტანელმა გაიღიმა.
ჩემო ძვირფასო ბავშვო, ეკლესიას მარიამ მაგდალინელის სამეფო სისხლი კი არ აწუხებდა ასე ძალიან, არამედ მისი კავშირი ქრისტესთან, რომელიც ასევე სამეფო სისხლისა იყო. როგორც იცი, მათეს სახარება მოგვითხრობს, რომ იესო დავითის ჩამომავალი იყო. იგი სოლომონის – ებრაელთა მეფის – შთამომავალია. ბენიამინის ძლიერ საგვარეულისთან დანათესავებით იესომ შეურია ორი სამეფო სისხლი. ამით მან მძლავრი პოლიტიკური კავშირი შექმნა. ეს ის კავშირია, რომელსაც პოტენციურად შეიძლებოდა ტახტზე კანონიერი პრეტენზია ჰქონოდა და აღედგინა მეფეთა გენეალოგიური ხაზი, როგორც ეს სოლომონის დროს იყო.
სოფი მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს მთავართან მივიდნენ. თიბინგი ახლა აღელვებული ჩანდა.
წმინდა ბარძიმის ლეგენდა არის ლეგენდა სამეფო დინასტიის შესახებ. როდესაც ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იყო "თასი, რომელშიც ესხა ქრისტეს სისხლი"... სინამდვილეში გულისხმობს მარიამ მაგდალინელს – ქალის საშოს, რომელიც ატარებდა იესოს სამეფო სისხლის შთამომავალს, მისი გვარის გამგრძელებელს.
ეს სიტყვები ექოსავით გაისმა სამეჯლისო დარბაზში და უკან დაბრუნებული სრულიად ჩაიბეჭდა სოფის ტვინში. მარიამ მაგდალინელი ატარებდა სამეფო სისხლის გამგრძელებელს? – კი მაგრამ, როგორ შეიძლებოდა ქრისტეს გვარი გაგრძელებულიყო, თუ... – სოფი შეჩერდა და ლენგდონს შეხედა.
ლენგდონმა მშვიდად გაიღიმა.
თუ მათ ჰყავდათ შვილი.
სოფი გაოგნებული იდგა.
ჩასწვდით, განაცხადა თიბინგმა, თქვენ წინაშეა კაციობრიობის ისტორიაში ყველაზე დდიდებული დაფარული ფაქტი. იესო ქრისტე მარტო დაქორწინებული კი არ იყო, იგი თურმე მამაც კი ყოფილა. ჩემო ძვირფასო, მარიამ მაგდალინელი იყო წმინდა ჭურჭელი. იგი იყო თასი, რომელშიც ესხა იესო ქრისტეს სამეფო სისხლი. იგი იყო საშო, რომელიც ატარებდა გვარის გამგრძელებელს, და ისვაზი, საიდანაც საიდუმლო ნაყოფი გაიზარდა!
სოფიმ იგრძნო, როგორ აებურძგლა მკლავებზე ბეწვი. – კი მაგრამ, როგორ გახდა შესაძლებელი ასეთი დიდი საიდუმლოს ასე მშვიდად შენახვა ამდენი წლის მანძილზე?
ღმერთო მიშველე! – წამოიძახა თიბინგმა, მშვიდის გარდა ყველაფერი იყო! იესო ქრისტეს სამეფო დინასტიის ამბავი იყო საფუძველი ყველა დროის ყველაზე გამძლე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლეგენდისა წმინდა ბარძიმის შესახებ. მაგდალინელის ამბავს გაჰყვიროდნენ საუკუნეების მანძილზე ყველა სახურავიდან, ყველა სახის მეტაფორის გამოყენებით და ყველა შესაძლებელ ენაზე. მისი ისტორია ყველგან არის, როგორც კი თვალს გაახელ.
 სანგრილის დოკუმენტები? – იკითხა სოფიმ. – ისინი შეიცავენ მტკიცებას, რომ იესოს სამეფო გვარის გამგრძელებელი ჰყავდა?
 სწორედ ასეა.
 ამრიგად, მთელი ლეგენდა წმინდა ბარძიმის შესახებ მხოლოდ სამეფო სისხლის შესახებ მოთხრობილი ამბავია?
 პირდაპირი მნიშვნელობით, თქვა თიბინგმა, სიტყვა Sangreal წარმოიშვა სიტყვებიდან San Greal – ანუ წმინდა გრაალი. მაგრამ თავისი უძველესი ფორმით სიტყვა Sangreal გაყოფილი იყო სხვა ადგილას. – თიბინგმა რაღაც დაწერა ქაღალდის ნაგლეჯზე და სოფის მიაწოდა.
სოფიმ წაიკითხა ის, რაც ქაღალდზე ეწერა.
Sang Real
სოფიმ მაშინვე შეძლო ეთარგმნა. სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობა იყო სამეფო სისხლი.
თავი 59
ნიუიორკში ლექსინგტონ ავენიუზე მდებარე ოპუს დეის შტაბბინის მისაღებში მორიგე მამაკაცი გაოცდა, როცა ტელეფონში ეპისკოპოს არინგაროსას ხმა გაიგონა.
 საღამო მშვიდობისა, სერ.
 რაიმე შეტყობინება ხომ არ მოსულა ჩემთვის? – ჰკითხა ეპისკოპოსმა. მას უჩვეულოდ აღელვებული ხმა ჰქონდა.
 დიახ, სერ. ძალზე მოხარული ვარ, რომ დარეკეთ. მე ვერ დაგიკავშირდით თქვენს აპარტამენტებში. თქვენთვის სასწრაფო სატელეფონო შეტყობინება იყო დაახლოებით ნახევარი საათის წინ.
 მართლა? – მან თითქოს შვება იგრძნო ამ ახალი ამბის გაგონებაზე. – სახელი ხომ არ უთქვამს, ვინც რეკავდა?
 არა, სერ, მხოლოდ ნომერი დატოვა. – ოპერატორმა გადასცა ნომერი.
 კოდი 33? ეს საფრანგეთია, არა?
 დიახ, სერ. ვინც დაგირეკათ, თქვა, რომ აუცილებელია მას სასწრაფოდ დაუკავშირდეთ.
 გმადლობთ. ამ ზარს ველოდი. – არინგაროსამ სწრაფად გათიშა ტელეფონი.
მორიგემ დადო ყურმილი და გაოცებული დაფიქრდა, ნეტა რატომ იყო ასეთი ცუდი სმენადობა? ეპისკოპოსის ყოველდღიური განრიგის მიხედვით ამ შაბათკვირას იგი ნიუ იორკში უნდა იყოს. თუმცა მისი ხმა ცხრა მთას იქიდან ისმოდა. მორიგემ თავიდან ამოიგდო ეს აკვიატებული აზრი. ეპისკოპოსი არინგაროსა ბოლო რამდენიმე თვე იყო, ძალიან უცნაურად იქცეოდა.
ჩემი მობილური ეტყობა არ იღებს ზარს. გაიფიქრა არინგაროსამ, როდესაც ფიატმა რომის ჩამპინოს ჩარტერული აეროპორტის გამოსასვლელს მიაღწია. მოძღვარი ჩემთან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაკავშირებას ცდილობდა. მართალია, არინგაროსა წუხდა, რომ ზარს ვერ უპასუხა, მაგრამ ერთი მომენტი მაინც ამხნევებდა. მოძღვარი იმდენად თავდაჯერებული იყო, რომ ოპუს დეის შტაბბინაში დარეკა.
პარიზში საქმე კარგად უნდა იყოს.
არინგაროსა ნომერს კრეფდა და თან ღელავდა იმის გაფიქრებაზე, რომ მალე პარიზში იქნებოდა. განთიადამდე მიწაზე ვიქნები. აეროპორტში არინგაროსას დაქირავებული სპეციალური პროპელერიანი თვითმფრინავი ელოდა საფრანგეთისკენ გასაფრენად. ამ დროს, როცა კეისის შემცველობა მეტად თავისებური იყო, კომერციული გადამზიდის არჩევა მიზანშეწონილი არ უნდა ყოფილიყო.
ხაზზე ზუმერი გავიდა.
ქალის ხმამ უპასუხა.
Direction Centrale Police Judiciaire.
არინგაროსა შეყოყმანდა. ამას იგი არ ელოდა. – ალო, დიახ... მე მთხოვეს ამ ნომერზე დამერეკა.
Qui etesvous? – თქვა ქალმა. – თქვენი სახელი?
არინგაროსა დარწმუნებული არ იყო, უნდა ეთქვა თუ არა თავისი სახელი.
საფრანგეთის სასამართლო პოლიცია?
თქვენი სახელი, ბატონო? – დაჟინებით მოითხოვა ქალმა.
ეპისკოპოსი მანუელ არინგაროსა.
Un moment. – ხაზზე ტკაცუნი გაისმა.
დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, სხვისი ხმა გაისმა. ეს ხმა ჩახლეჩილი და შეწუხებული იყო.
ეპისკოპოსო, მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს დაგიკავშირდით. მე და თქვენ ძალიან ბევრი გვაქვს ერთად განსახილველი.
თავი 60
Sangreal... Sang Real... San Greal... სამეფო სისხლი... წმინდა ბარძიმი.
ეს ყველაფერი ურთიერთგადახლართული იყო.
წმინდა ბარძიმი მარიამ მაგდალინელია... იესო ქრისტეს სამეფო გვარის შთამომავლის დედა. სოფიმ თავბრუსხვევის ახალი შემოტევა იგრძნო. იგი ჩუმად იდგა სამეჯლისო დარბაზში და რობერტ ლენგდონს მიშტერებოდა. ამ ღამით თავსატეხის რაც უფრო მეტ ნაწილს აწყობდნენ მაგიდაზე ლენგდონი და თიბინგი, მით უფრო გაუგებარი ხდებოდა მთლიანი სურათი.
როგორც ხედავთ, ჩემო ძირფასო, თქვა თიბინგმა და თავით მიუთითა თაროებისკენ, ლეონარდო ერთადერთი არ ყოფილა, ვინც ცდილობდა წმინდა ბარძიმის შესახებ სიმართლის თქმას. იესო ქრისტეს სამეფო გვარის გამგრძელებელი ზედმიწევნით არის დადასტურებული ბევრი ისტორიკოსის მიერ.
სოფიმ კისერი წაიგრძელა და თვალი გადაავლო სათაურების სიას:
ტამპლიერთა აღმოჩენა
ქრისტეს ჭეშმარიტი ვინაობის საიდუმლო მცველები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალი ალებასტრის დოქით
მარიამ მაგდალინელი და წმინდა ბარძიმი
ქალღმერთი სახარებებში
წმინდა ქალის პრივილეგიების აღდგენა
ყველაზე ცნობილი ალბათ, აი ეს არის, თქვა თიბინგმა, გროვიდან გაცვეთილი, მაგარყდიანი წიგნი გამოაძრო და სოფის მიაწოდა.
წმინდა სისხლი, წმინდა გრაალი
დიდად მოწონებული საერთაშორისო ბესტსელერი
სოფიმ ამოიხედა. – საერთაშორისო ბესტსელერი? არასდროს არ გამიგია ამ წიგნის შესახებ.
თქვენ ძალიან პატარა იყავით მაშინ. ამან დიდი არეულობა გამოიწვია ოთხმოციან წლებში. ჩემი აზრით, ავტორებმა ანალიზის დროს რამდენჯერმე გაუგებრად შეიცვალეს აზრი, მაგრამ მათი მთავარი წანამძღვარი სწორია და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, მათ ქრისტეს გვარის გამგრძელებლის იდეა ძირითად ხაზს დაამთხვიეს.
ეკლესიის რეაქცია როგორი იყო ამ წიგნზე?
რა თქმა უნდა, ეკლესია განრისხდა. მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს იყო საიდუმლო, რომლის დაფარვასაც ეკლესია შეეცადა მეოთხე საუკუნეში. ეს იმის ნაწილია, რის გამოც მოხდა ჯვაროსნული ლაშქრობები. ინფორმაციას აგროვებდნენ და შემდეგ ანადგურებდნენ. საშიშროება, რომელსაც მარიამ მაგდალინელი უქმნიდა ადრეული ეკლესიის მამებს, პოტენციურად გამანადგურებელი იყო. ის მარტო ქალი კი არ იყო, ვისაც იესომ ეკლესიის დაარსება დაავალა, არამედ მას ჰქონდა ნივთიერი მტკიცება იმისა, რომ ეკლესიის მიერ ახლად გამოცხადებულმა ღვთაებამ მოკვდავი შთამომავლობა წარმოშვა. მაგდალინელის ძალაუფლებისგან თავის დასაცავად, ეკლესიამ სამარადისო მეძავად გამოაცხადა იგი და ქრისტესთან მისი ქორწინების მტკიცება საგულდაგულოდ დამალა. ამით შეუძლებელი გახადა ნებისმიერი მტკიცება, რომ ქრისტეს ჰყავდა სისხლით მასთან დაკავშირებული შთამომავალი და თვითონ იყო მოკვდავი წინასწარმეტყველი.
სოფიმ ლენგდონს გადახედა, მან კი თავის მხრივ დაუდასტურა გაგონილი.
სოფი, ყოველივე ამას უამრავი ისტორიული მტკიცება აქვს.
მე ვაღიარებ, თქვა თიბინგმა, ყოველივე ამის მტკიცება საშინელებაა, მაგრამ უნდა გავიგოთ, რამდენად ძლიერი მოტივაცია ჰქონდა ეკლესიას საიდუმლოს დასაფარად. ცნობილი რომ გამხდარიყო შთამომავლის არსებობა, ეკლესია ვერ გადარჩებოდა. იესოს ხორციელი შთამომავალი ძირს გამოუთხრიდა ქრისტეს ღვთაებრიობის ისედაც საკამათო ცნებას და შესაბამისად, ქრისტიანულ ეკლესიასაც. ეკლესია ხომ აცხადებს, რომ იგი თავად
იყო ის ერთადერთი საშუალება, რითაც ადამიანი ღვთაებასთან დაკავშირებას და ზეციურ სასუფეველში შესვლის უფლებას მოიპოვებდა.
ხუთფურცლიანი ვარდი, თქვა უცებ სოფიმ, და თიბინგის ერთერთი წიგნის ყუაზე მიუთითა. ზუსტად იგივე ნახატია, რომელიც ვარდის ხის ყუთზეა ამოტვიფრული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თიბინგმა ლენგდონს გადახედა და ჩაიცინა.
კარგი თვალი აქვს, ის ისევ სოფის მიუბრუნდა, ამ სიმბოლოთი საძმო გრაალს, ანუ მარიამ მაგდალინელს აღნიშნავს. რადგან მისი ხსენება ეკლესიის მიერ აკრძალული იყო, იგი მრავალი საიდუმლო ფსევდონიმით გახდა ცნობილი, ესენია: თასი, წმინდა ბარძიმი და
ვარდი. – სახელი "ვარდი" უკავშირდება ვენერას ხუთქიმიან მაგიურ ფიგურას და ვარდის კომპასს. სხვათა შორის, სიტყვა "ვარდი" – Rose ერთნაირად იწერება (იდენტურია) ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და მრავალ სხვა ენაში.
Rose, დაუმატა ლენგდონმა, არის ანაგრამა სიტყვისა Eros. ეს ხორციელი სიყვარულის ბერძნული ღმერთის სახელია.
სოფიმ გაკვირვებით შეხედა. თიბინგი განაგრძნობდა.
ვარდი ყოველთვის იყო ქალური სექსუალურობის მთავარი სიმბოლო. ქალღმერთის პრიმიტიულ კულტებში ხუთი ფურცელი აღნიშნავდა ქალის ცხოვრების ხუთ სტადიას – დაბადებას, მენსტრუაციას, დედობას, მენოპაუზასა და სიკვდილს. დღეს გაშლილი ფარდის
სიმბოლოს კავშირი ქალობასთან უფრო ვიზუალურია. მან ლენგდონს გადახედა. – ალბათ სიმბოლიკის ექსპერტს შეუძლია ეს აგვიხსნას.
რობერტი ყოყმანობდა. წამი ძალიან გრძელი აღმოჩნდა.
ღმერთო ჩემო! – თიბინგი გაღიზიანდა, თქვენ, ამერიკელები, საშინელი პირფერები ხართ, მან ისევ სოფის შეხედა, რობერტი ვერ ახერხებს იმის თქმას, რომ... გაშლილი ვარდი ჰგავს ქალის სასქესო ორგანოებს. ეს ის კვირტია, საიდანაც კაცობრიობა შემოდის ამ სამყაროში და თუ ოდესმე გინახავთ ჯორჯია ოკიიფის რომელიმე ნახატი, მიხვდებით რასაც ვგულისხმობ.
მთავარი ის არის, თქვა ლენგდონმა და წიგნებისკენ მიუთითა, რომ ყველა ეს წიგნი ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტს ადასტურებს, რომ იესო იყო მამა. სოფის მაინც არ სჯეროდა.
დიახ, თქვა თიბინგმა, და ის, რომ მარიამ მაგდალინელი იყო ის საშო, რომელმაც ატარა მისი მეფური სისხლის გამგრძელებელი. სიონის საძმო დღემდე თაყვანს სცემს მარიამ მაგდალინელს, როგორც ქალღმერთს, წმინდა ბარძიმს, ვარდს და ღვთაებრივ დედას.
სოფის ისევ გაახსენდა სარდაფში ნანახი რიტუალი.
საძმოს მიხედვით, განაგრძო თიბინგმა, მარიამ მაგდალინელი ჯვარცმის დროს ფეხმძიმედ იყო. ქრისტეს ჯერ არდაბადებული შვილის უსაფრთხოების მიზნით იგი გაიქცა
წმინდა მიწიდან. მას დაეხმარა იესოს ერთგული ბიძა იოსებ არიმათიელი. მარიამი ჩავიდა
საფრანგეთში, რომელიც იმ დროისთვის ცნობილი იყო, როგორც გალია. იქ მან უსაფრთხო თავშესაფარი პოვა ებრაულ თემში. აქ, საფრანგეთში, მას შეეძინა ქალიშვილი, სახელად სარა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფიმ ახედა, ბავშვის სახელიც ზუსტად არის ცნობილი?
უფრო მეტიც. მარიამისა და სარას ცხოვრება ზედმიწევნით იყო აღწერილი მათი ებრაელი მფარველების მიერ. არ დაგავიწყდეთ, რომ მაგდალინელის შვილი ეკუთვნოდა ებრაელი მეფეების, დავითისა და სოლომონის, საგვარეულოს. ამის გამო, ებრაელები საფრანგეთში მაგდალინელს წმინდა სამეფო ოჯახის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ და პატივს სცემდნენ მას, როგორც მეფეთა დიდებული მემკვიდრეობის ფუძემდებელს. იმ დროის ბევრმა მეცნიერმა ქრონოლოგიურად აღწერა მარიამ მაგდალინელის საფრანგეთში გატარებული დღეები, სარას დაბადების ჩათვლით და შემდეგ ოჯახის გენეალოგია.
სოფი გაოცებული იყო.
იესო ქრისტეს გენეალოგიური ხეც არსებობს?
რა თქმა უნდა. ის მიჩნეულია სანგრილის დოკუმენტების ერთერთ მთავარ ნაწილად. ეს არის ქრისტეს ადრეული შთამომავლობის სრული გენეალოგია.
კი მაგრამ, რისთვის არის საჭირო ქრისტეს გვარის დასაბუთებული გენეალოგია? იკითხა სოფიმ, ეს ხომ მტკიცება არ არის. ისტორიკოსები ალბათ ვერ დაამტკიცებენ მის უტყუარობას.
თიბინგმა ჩაიხითხითა.
ისევე, როგორც არ შეუძლიათ ბიბლიის უტყუარობის დამტკიცება.
რას გულისხმობთ?
იმას, რომ ისტორიას ყოველთვის გამარჯვებულები წერენ. როდესაც ორი კულტურა ეჯახება ერთმანეთს, დამარცხებული ნადგურდება, ხოლო გამარჯვებული წერს ისტორიულ
წიგნებს წიგნებს, რომლებშიც ადიდებს საკუთარ ქმედებებს და უგულებელყოფს დამორჩილებულ მტერს. ნაპოლეონმა თქვა: "რა არის ისტორია, თუ არა ზღაპარი, რომელიც უერთიერთშეთანხმებით ირწმუნეს?" თიბინგმა გაიცინა. თავისი არსით, ისტორია ყოველთვის ცალხმრივი მონათხრობია.
სოფის ისტორიაზე ასე არასდროს უფიქრია.
სანგრილის დოკუმენტები მხოლოდ ქრისტეს ისტორიის მეორე მხარეს მოგვითხრობს. ამ ისტორიის რომელ მხარეს დაიჯერებ, ბოლოს და ბოლოს, დამოკიდებულია შენს რწმენასა და საკუთარ კვლევაზე. აქ მთავარი ის არის, რომ ინფორმაცია გადარჩენილია. სანგრილის დოკუმენტები ინფორმაციის ათიათასობით გვერდს მოიცავს. ამ განძის თვითმხილველები აღნიშნავენ, რომ სანგრილის დოკუმენტები ოთხი უზარმაზარი სკივრით
გადაჰქონდათ. მიჩნეულია, რომ ამ სკივრებში არის ზუსტი დოკუმენტები ათასობით გვერდი ხელუხლებელი, შეუცვლელი კონსტანსტინემდელი დოკუმენტებისა, რომლებიც დაიწერა იესოს ადრეული მიმდევრების მიერ. ისინი მას თაყვანს სცემდნენ, როგორც სრულიად ადამიანურ მოძღვარსა და წინასწარმეტყველს. არსებობს ჭორი, რომ განძის ნაწილს წარმოადგენს ლეგენდარული Q დოკუმენტი. ამ საბუთის არსებობას ვატიკანიც კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აღიარებს. მტკიცების თანახმად, ეს არის იესოს მოძღვრებათა წიგნი, რომელიც შესაძლოა მისი საკუთარი ხელით იყოს დაწერილი.
 თავად ქრისტეს ხელნაწერი?
 რა თქმა უნდა, თქვა თიბინგმა. რატომ არ უნდა დაეწერა იესოს საკუთარი მმართველობის ქრონიკა? მაშინ უმრავლესობა სწორედ ამას აკეთებდა. სჯერათ, რომ განძის დოკუმენტებს შორის არის კიდევ ერთი სენსაციური დოკუმენტი. ეს არის ჩანაწერი,
რომელსაც მაგდალინელის დღიურები ეწოდება. ეს არის მარიამ მაგდალინელის პირადი მონათხრობი მისი ქრისტესთან ურთიერთობის, იესოს ჯვარცმისა და საფრანგეთში მისი ყოფნის შესახებ.
სოფი დიდხანს იყო ჩუმად.
 და დოკუმენტების ოთხი სკივრი ის განძია, რომელიც რაინდმა ტამპლიერებმა იპოვეს სოლომონის ტაძრის ქვეშ?
 სწორია. ეს ის დოკუმენტებია, რომლებმაც რაინდებს ასეთი ძალმოსილება მიანიჭა. სწორედ ეს დოკუმენტები იყო ბარძიმის საძებნელად მოწყობილი უთვალავი ლაშქრობის მიზანი.
 მაგრამ თქვენ თქვით, რომ წმინდა ბარძიმი მარიამ მაგდალინელია. თუ ადამიანები დოკუმენტებს ეძებენ, რატომ უწოდებთ ამას წმინდა გრაალის ძიებას?
თიბინგმა მას ყურადღებით შეხედა, მზერა შედარებით შერბილებული ჰქონდა.
 იმიტომ, რომ წმინდა ბარძიმის სამალავ ადგილში შედის სარკოფაგიც. გარეთ ხეებში ქარმა დაიყმუვლა. თიბინგი ახლა უფრო ჩუმად ლაპარაკობდა, წმინდა ბარძიმისთვის მოწყობილი ლაშქრობა პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს ლაშქრობას მარიამ მაგდალინელის წმინდა ნაწილების წინაშე მუხლის მოსაყრელად. ეს იყო მოგზაურობა იმისათვის, რომ გარიყული დაკარგული წმინდა ქალის ფერხთით ელოცათ.
სოფიმ უეცრად მოულოდნელი დაინტერესება გამოიჩინა.
 წმინდა ბარძიმის სამალავი სინამდვილეში... სამარხია?
თიბინგს თაფლისფერი თვალები დაენისლა.
 სწორია. ეს არის სამარხი, სადაც ინახება მარიამ მაგდალინელის ნეშტი და მისი ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები. წმინდა ბარძიმის მოსაპოვებლად ჩატარებული ლაშქრობების ძირითადი არსი ყოველთვის იყო ძიება მაგდალინელისა დაკნინებული დედოფლისა, რომელიც დაკრძალულია მისი ოჯახის ძალაუფლების დამამტკიცებელი საბუთებითურთ.
სოფიმ ცოტა ხანს შეიცადა, სანამ თიბინგი აზრებს თავს მოუყრიდა. ბაბუასთან დაკავშირებული ბევრი რამ ჯერ კიდევ გაუგებარი რჩებოდა.
 საძმოს წევრები, თქვა მან ბოლოს, მთელი ამ ხნის განმავლობაში სანგრილის დოკუმენტებს და მარიამ მაგდალინელის სამარხს იცავდნენ?
 დიახ, მაგრამ საძმოს ჰქონდა კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობა დაეცვა თვით სისხლით შთამომავლები. ქრისტეს შთამომავლობა მუდმივი საფრთხის წინაშე იყო. ადრეულ ეკლესიას ეშინოდა, რომ, თუ შთამომავლობა გაიზრდებოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საიდუმლო ქრისტესა და მაგდალინელის შესახებ ბოლოს და ბოლოს ამოტივტივდებოდა
და დაემუქრებოდა კათოლიციზმის ძირეულ დოქტრინას ღვთაებრივი მესიის შესახებ,
რომელსაც არ ჰქონდა ურთიერთობა ქალებთან და არავისთან არ იყო სექსუალურად
დაკავშირებული, თიბინგმა წაიბორძიკა, მიუხედავად ამისა, ქრისტეს შთამომავლობა
ფარულად გაიზარდა საფრანგეთში, ვიდრე მეხუთე საუკუნეში არ გადადგეს გაბედული
ნაბიჯი. ამ დროს ისინი ქორწინების გზით დაუკავშირდნენ საფრანგეთის სამეფო გვარს
და
ჩამოაყალიბეს გენეალოგია, მეროვინგების დინასტიის სახით.
ამან სოფი გააკვირვა. მეროვინგების სახელი ნებისმიერმა მოსწავლემ იცოდა,
მეროვინგებმა დააარსეს პარიზი.
დიახ. ეს ერთერთი მიზეზია იმისა, რომ თუ რატომაა ასე გავრცელებული ლეგენდა
ბარძიმის შესახებ საფრანგეთში. ვატიკანის მიერ ორგანიზებული ბევრი ლაშქრობა
ბარძიმის მოსაძიებლად სინამდვილეში იყო საიდუმლო მისია, გაენადგურებინა სამეფო
გვარის შთამომავლები. გსმენიათ მეფე დაგობერის შესახებ?
სოფიმ ბუნდოვნად გაიხსენა ეს სახელი, რომელის მას ისტორიის გაკვეთილზე გაეგო,
როგორც საშინელი ამბავი, დაგობერი მეროვინგების საგვარეულოდან იყო, არა? მას
ძილის დროს დანა ჩასცეს თვალში.
მართალია. იგი მოკლეს პიპინ დერისტალის შეთქმულების შედეგად, რომელსაც
მხარს ვატიკანი უჭერდა. დაგობერის სიკვდილით მეროვინგების დინასტია თითქმის
მთლიანად ამოწყდა. საბედნიეროდ, დაგობერის ვაჟიშვილი, სიგიბერი, ფარულად
გაეპარა
თავდამსხმელებს და გვარი გააგრძელა . მისი შთამომავალი იყო გოდფრუა დე ბუიონი,
რომელმაც დააარსა სიონის საძმო.
ეს ის ადამიანია, თქვა ლენგდონმა, რომელმაც უბრძანა რაინდ ტამპლიერებს,
მოეძებნათ და გადაერჩინათ სავარაუდოდ სოლომონის ტაძარში დაცული სანგრილის
დოკუმენტები. ამით მეროვინგებმა მოიპოვეს იმის მტკიცება, რომ იესო ქრისტეს
ჩამომავლები იყვნენ.
თიბინგმა თავი დაუქნია და მძიმედ ამოისუნთქა.
სიონის პრიორატს უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია. მას აქვს სამმაგი
ვალდებულება: უნდა დაიცვან სანგრილის დოკუმენტები, მარიამ მაგდალინელის
სამარხი
და, რა თქმა უნდა, უნდა აღზარდონ მეროვინგების სამეფო დინასტიის დღემდე
გადარჩენილი შთამომავლები და ხელი შეუწყონ მათ განვითარებას.
ეს სიტყვები უზარმაზარ სივრცეში დაეკიდა. სოფიმ იგრძნო უცნაური ვიბრაცია, თითქოს
მისი სხეული რაღაც ახალ სიმართლეს ისრუტავდა. ქრისტეს შთამომავლები, ვინც
დღემდე
გადარჩა. მან ისევ გაიგონა ბაბუას ჩურჩული, პრინცესა, სიმართლე უნდა გითხრა შენი
ოჯახის შესახებ.
სოფის გააჟრჟოლა. სამეფო სისხლი. დაუჯერებელი იყო. პრინცესა სოფი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სერ ლი! მსახურის ხმა ტკაცუნით გაისმა კედელზე დაკიდებული რადიოდან. სოფი მოულოდნელობისგან შეხტა, შეგიძლიათ, ცოტა ხნით ჩამობრძანდეთ ჩემთან სამზარეულოში?
თიბინგი მოიღუშა. ეს უდროო შემოჭრა იყო. იგი მივიდა რადიოსთან და ღილაკს დააჭირა თითი.
რემი, როგორც მოგეხსენება, ახლა სტუმრებთან ვარ დაკავებული. თუ კიდევ რამე დაგვჭირდება სამზარეულოდან, ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ. გმადლობთ და ღამე მშვიდობისა.
რაღაც საქმე მაქვს თქვენთან, სანამ წავალ, თუ შეიძლება.
თიბინგმა რაღაც ჩაიბურდღუნა და ისევ დააჭირა თითი ღილაკს. სწრაფად მითხარი, რემი.
ეს ჩვენი შინაური საქმეა, სერ, სტუმრებისთვის ზედმეტი ტვირთი იქნება.
ვითომ დილამდე გადადება არ შეიძლება? გაოცდა თიბინგი.
არა, სერ, სულ ერთი წუთით დაგაკავებთ.
თიბინგმა თვალები დააბრიალა და თავის სტუმრებს შეხედა.
ხანდახან მიჭირს გაგება, ვინ ვის ემსახურება, მან ისევ დააჭირა თითი ღილაკს, მოვდივარ, რემი. რამე ხომ არ მოგართვა?
მხოლოდ ტვირთისგან გამათავისუფლეთ, სერ.
რემი, ალბათ ხვდები, შენი ბიფშტექსი au poivre რომ არა, ჩემთან დიდი ხანია აღარ იმსახურებდი.
ვიცი, სერ, ისედაც ვიცი.
თავი 61
პრინცესა სოფი.
სოფი უემოციოდ უსმენდა თიბინგის ყავარჯნის კაკუნს დერეფანში. ასევე უემოციოდ მიტრიალდა და თვალებით სამეჯლისო დარბაზში მდგარ ლენგდონს დაუწყო ძებნა. მან უარის ნიშნად თავი გააქნია, თითქოს მისი აზრების წაკითხვა შეძლო.
არა, სოფი, ჩაიჩურჩულა ლენგდონმა, მეც მაგ აზრმა გამიელვა თავში, როდესაც გავიგე, რომ ბაბუაშენი საძმოს წევრი ყოფილა და უნდოდა შენი ოჯახის შესახებ რაღაც საიდუმლო ეთქვა შენთვის. მაგრამ ეს შეუძლებელია, ლენგდონი შეჩერდა, სონიერი არ არის მეროვინგების დინასტიის გვარი.
სოფიმ არ იცოდა, რა უნდა ეგრძნო, შვება თუ იმედგაცრუება. ადრე ლენგდონმა მას უცნაური შეკითხვა დაუსვა დედის ქალისშვილობის გვარის შესახებ. შოველი. ამ კითხვას ახლა უკვე აზრი მიეცა.
შოველიც, არა? ჰკითხა მან აღელვებით.
ლენგდონმა ისევ გააქნია თავი. ვწუხვარ. ვიცი, ამით ზოგ შეკითხვაზე პასუხს მიიღებდი. დარჩენილია მხოლოდ მეროვინგების ორი ხაზი. ეს არის გვარები პლანტარი და სენკლერი. ორივე ოჯახი იმალება. სავარაუდოდ, მათ საძმო მფარველობს.
სოფიმ გონებაში ეს ორივე გვარი გაიმეორა და შემდეგ თავი გააქნია. მის ოჯახში არავინ იყო ამ გვარისა. გული დასწყდა. მიხვდა, რომ ლუვრის შემდეგ ოდნავადაც ვერ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიუახლოვდა იმას, თუ რისი თქმა უნდოდა მისთვის ბაბუას. ნეტა იმ დღეს ბაბუას საერთოდ
არ ეხსენებინა მისი ოჯახი. მან ძალით გაუხსნა ძველი ჭრილობები და ეს ძველებურად
მტკივნეული აღმოჩნდა. ისინი დაიღუპნენ, სოფი. ისინი არ დაბრუნდებიან. მას გაახსენდა
დედა, რომელიც დაძინებისას უმღეროდა, მამა, რომელიც მხარზე შემოისვამდა ხოლმე და
ისე დაასეირნებდა, გაახსენდა ბებია და უმცროსი ძმა, რომლებიც მოსიყვარულე მწვანე
თვალებით უღიმოდნენ. ყოველივე ეს წაართვეს. ერთადერთი, ვინც დარჩა ბაბუა იყო.
და ახლა ისიც აღარ არის. მარტო ვარ.
სოფი მიუბრუნდა საიდუმლო სერობას და მარიამ მაგდალინელის გრძელ წითელ
თმასა და მშვიდ თვალებს ყურადღებით დააცქერდა. იყო რაღაც ამ ქალის
გამომეტყველებაში ისეთი, რაც მას საყვარელი ადამიანის დაკარგვას ახსენებდა. სოფი
ამასაც გრძნობდა.
– რობერტ? – თქვა მან რბილად.
ლენგდონი ახლოს მივიდა მასთან.
– ვიცი, ლიმ თქვა, გრაალის ისტორია ჩვენ ირგვლივ ყველგან არისო, მაგრამ
ყოველივე ეს მე მხოლოდ ამ ღამით გავიგე. ლენგდონს თითქოს მისი დამშვიდება
უნდოდა, მხარეზე ხელი დადო, მაგრამ, თავი
შეიკავა.
– შენ ადრეც გაგიგია ბარძიმის შესახებ, სოფი. ყველას გაუგია. უბრალოდ, ჩვენ ვერ
ვხვდებით.
– ვერ ვხვდები.
– ბარძიმის ისტორია ყველგან არის, ოღონდ დაფარულია, როდესაც ეკლესიამ
სახელგატეხილი მარიამ მაგდალინელის ხსენება აკრძალა, ამბავი მის შესახებ და მისი
მნიშვნელობის შესახებ თაობებს უნდა გადასცემოდათ სხვა, უფრო საიდუმლო
საშუალებების გამოყენებით... იმ საშუალებებით, რომლებიც დაცული იყო მეტაფორებითა
და სიმბოლოებით.
– რა თქმა უნდა. ეს იყო ხელოვნება.
ლენგდონმა მიუთითა საიდუმლო სერობაზე.
– ეს საუკეთესო მაგალითია. ლიტერატურისა და მუსიკის საუკეთესო ნიმუშებიც
საიდუმლოდ გვიამბობენ მარიამ მაგდალინელისა და იესოს ისტორიას.
ლენგდონი სწრაფად მოუყვა სოფის და ვინჩის, ბოტიჩელის, პუსენის, ბერნინის,
მოცარტის და ვიქტორ ჰიუგოს ქმნილებების შესახებ. ყოველი მათგანი ჩურჩულით
გვიამბობს იმ მცდელობების შესახებ, რაც დაგმობილი წმინდა ქალის სახელის
აღსადგენად გაკეთებულა აქამდე. უკვდავი ლეგენდები, სერ გავაინისა და მწვანე რაინდის,
მეფე არტურის, მძინარე მზეთუნახავის შესახებ ბარძიმის ალეგორიებია. ვიქტორ ჰიუგოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი და მოცარტის ჯადოსნური ფლეიტა სავსეა მასონური სიმბოლოებით და ბარძიმთან დაკავშირებული იდუმალი მინიშნებებით.

როგორც კი თვალი აგეხილება, თქვა ლენგდონმა, წმინდა გრაალს ყველგან დაინახავ. ნახატებში, მუსიკაში, წიგნებში, მულტფილმებში, გასართობ პარკებში და პოპულარულ ფილმებშიც კი. ლენგდონმა სახელო აიკაპიწა, მიკი მაუსიან მაჯის საათზე მიუთითა სოფის და უამბო,

რომ უოლტ დისნეიმ თავისი მშვიდი ცხოვრების მიზნად დაისახა მომავალი თაობებისთვის

გადაეცა ბარძიმის ისტორია. მთელი სიცოცხლის მანძილზე, დისნეის "თანამედროვეობის ლეონარდო და ვინჩად" აღიარებდნენ. ორივე მათგანი თავის დროს უსწრებდა წინ. ორივეს უნიკალური ნიჭი ჰქონდა, ორივე საიდუმლო საზოგადოების წევრი იყო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ორივე დაუოკებელი გამომგონებელი იყო. ლეონარდოს მსგავსად, უოლტ დისნეის უყვარდა თავის შემოქმედებაში დაფარული აზრისა და სიმბოლოების ჩართვა. ყოველ მეტნაკლებად გამოცდილ სემიოლოგს, დისნეის ადრეული ფილმების ყურებისას შეუძლია ალუზიებისა და მეტაფორების ნამდვილი ზვავი აღმოაჩინოს.

დისნეის დაფარული აზრების უდიდესი ნაწილი ეხება რელიგიას, წარმართულ მითებსა და ისტორიებს დაკნინებული ქალღმერთის შესახებ. შემთხვევითი არ არის, რომ დისნეი ხელახლა მოგვიყვა კონკიას, მძინარე მზეთუნახავის და ფიფქიას ზღაპრებს. ყველა ეს ზღაპარი ეხება წმინდა ქალის დატყვევებას. სულაც არ არის საჭირო სიმბოლიზმში სპეციალური განათლება, რომ მიხვდე, ფიფქია პრონცესაა, რომელმაც დედინაცვლის რისხვადაიმსახურა და მოწამლული ვაშლი გასინჯა. ეს იყო აშკარა ალუზია ევას დაცემისა

ედემის ბაღში. ანდა, პრინცესა ავრორა ავიღოთ მძინარე მზეთუნახავიდან, რომელსაც საიდუმლო სახელი "Rose" დაარქვეს და ბოროტი ჯადოქრისგან დასაცავად უღრან ტყეში დამალეს ეს იყო ბავშვებისათვის დაწერილი ისტორიები ბარძიმის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ კინო კორპორაციული ხელოვნებაა, დისნეიმ შეძლო თავისი ნიჭიერი თანამშრომლებისა და მხატვრების ჩართვა თამაშში, მათ დღესაც შეაქვთ დისნეის

პროდუქციაში დაფარული სიმბოლოები. ლენგდონს არასროს დაავიწყდება, როგორ მოიტანა ერთმა მისმა სტუდენტმა მეფე ლომის ვიდეოასლი. ჩვენების დროს მან ფილმი შეაჩერა, რომ ყველასთვის ეჩვენებინა, როგორ აშკარად იკითხებოდა გაყინულ კადრში სიმბას თავზე მტვრის ნაწილაკებისგან დაწერილი სიტყვა SEX. მართალია, ლენგდონი ფიქრობდა, რომ ეს უფრო ანიმატორის მხიარული ცელქობა იყო, ვიდრე წარმართთა ღვთაებრივ სექსუალობაზე რაიმე მინიშნება. მაგრამ ერთი რამ უდავო იყო: დისნეის შემოქმედებაში სიმბოლოების მნიშვნელობა სრულიად აშკარა იყო. მისი სირინოზი სულიერი სიმბოლოების გასაოცარი გობელენი იყო. ყველაფერი ისე აშკარად მიუთითებდა

ქალღმერთზე, რომ შეუძლებელია, ეს მხოლოდ დამთხვევა ყოფილიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც ლენგდონმა პირველად ნახა პატარა სირინოზი, ხმამაღალი წამოძახილი ვერ შეიკავა, რადგან შეამჩნია, რომ არიელის წყალქვეშა სახლში მეჩვიდმეტე საუკუნის მხატვრის, ჟორჟ დე ლა ტურის სურათი მონანიე მადგალინელი ეკიდა. ეს სურათი ცნობილია, როგორც თაყვანისცემის გამოვლინება დაგმობილი მარიამ მაგდალინელისადმი. ეს შესაფერისი დეკორაციაა ფილმისთვის, რომელიც ისიდას, ევას, თევზთა ქალღმერთსა და ისევ და ისევ, მარიამ მაგდალინელზე მიმანიშნებელი აშკარა სიმბოლოების 90წუთიანი კოლაჟი აღმოჩნდა. პატარა ქალთევზას სახელი, არიელი, პირდაპირ არის დაკავშირებული წმინდა ქალთან და ისიდას წიგნში გამოიყენება "ალყაშემორტყმული წმინდა ქალაქის" სინონიმად, რა თქმა უნდა, პატარა ქალთევზას გაშლილი წითელი თმაც აშკარად არ იყო შემთხვევითი.

დერეფანში თიბინგის ყაბარჯნის კაკუნი გაისმა. უჩვეულოდ სწრაფად მოდიოდა.

როდესაც მათი მასპინძელი კაბინეტში შემოვიდა, სახეზე მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა.

უმჯობესია, ყველაფერი ამიხსნა, რობერტ, თქვა მან ცივად. შენ გულახდილი არ იყავი ჩემთან.

თავი 62

რაღაცას მაბრალებენ, ლი, თქვა ლენგდონმა, თან სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა. შენ ხომ მიცნობ, მე ვერავის მოვკლავდი.

ამას თიბინგის ტონი არ შეურბილებია.

რობერტ, თუ ღმერთი გწამს, შენზე ტელევიზორში ლაპარაკობენ. იცი, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები გეძებენ?

ვიცი.

მაშინ შენ ჩემი ნდობით ბოროტად ისარგებლე. გაოგნებული ვარ, რომ ასეთ საფრთხეში ჩამაგდე და მთხოვე, ბარძიმზე მელაყბა. ამასობაში კი ჩემს სახლს თავი შემოაფარე.

მე არავინ მომიკლავს.

ჟაკ სონიერი მკვდარია და პოლიცია ამბობს, რომ ეს შენი გაკეთებულია, თიბინგი გულდაწყვეტილი ჩანდა, მას ხომ უზარმაზარი წვლილი მიუძღვის ხელოვნების...

სერ! ეს მსახური იყო, რომელიც თიბინგის უკან იდგა კარის ზღურბლზე, გავაძევო აქედან?

მე თვითონ, თიბინგმა კოჭლობით გადაკვეთა კაბინეტი, გახსნა განიერი შუშის კარი და ფართოდ გააღო. გვერდითი გაზონი გამოჩნდა. მოძებნეთ თქვენი მანქანა, თუ შეიძლება, და წადით.

სოფი არ განძრეულა.

ჩვენ გვაქვს ინფორმაცია საძმოს ქვაკუთხედის შესახებ.

თიბინგი მას მიაშტერდა რამდენიმე წამით და სიძულვილით ჩაიძინა.

სასოწარკვეთილი ნაბიჯია. რობერტმა იცის, როგორ ვეძებ მას.

მართალს ამბობს, უთხრა ლენგდონმა, ამიტომ მოვედით ამ ღამით შენთან. გვინდოდა შენთან ქვაკუთხედზე გველაპარაკა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა კი მსახური ჩაერია.
 წადით, თორემ პოლიციას დავურეკავ.
 ლი, ჩაიჩურჩულა ლენგდონმა, ჩვენ ვიცით, ის სად არის.
თიბინგმა თითქოს ოდნავ დაკარგა წონასწორობა.
რემიმ მტკიცედ გადაკვეთა ოთახი.
 ახლავე წადით! თუ არა და ძალით...
 რემი! თიბინგი შემოტრიალდა და გაბრაზებით მიმართა თავის მსახურს. ცოტა ხნით დაგვტოვე.
მსახურს ყბა ჩამოუვარდა მოულოდნელობისგან.
 სერ? პროტესტს ვაცხადებ. ეს ადამიანები...
 ამათ მე თვითონ მოვუვლი, თიბინგმა დერეფნისკენ ანიშნა.
მსახური ერთხანს თავზარდაცემული იდგა და შემდეგ ნაცემი ძაღლივით გაიძურწა ოთახიდან.
ღია კარიდან ღამის გრილი ნიავი შემოდიოდა. თიბინგი სოფის და ლენგდონს მიუბრუნდა. ის ჯერ ისევ ეჭვის თვალით უყურებდა მათ. გიჯობთ, რასაც მეტყვით, მართლაც ღირებული იყოს. რა იცით ქვაკუთხედის შესახებ?
თიბინგის კაბინეტის გარეთ, დაბურულ ბუჩქნარში ჩამალულმა სილასმა ხელში ჩაბღუჯა იარაღი და შუშის კარში შეიხედა. სულ რამდენიმე წუთის წინ შემოუარა სახლს და დაინახა
ფართო კაბინეტში მოსაუბრე ლენგდონი და ქალი. სანამ სახლთან მიირბენდა შენიშნა, როგორ შევიდა ოთახში ყავარჯნიანი მამაკაცი, დაუყვირა ლენგდონს, კარი ფართოდ გააღო და სტუმრებს სახლის დატოვება მოსთხოვა. შემდეგ ქალმა ახსენა ქვაკუთხედი და ყველაფერი შეიცვალა. ყვირილი ჩურჩულად იქცა. ოთახში მყოფნი უფრო რბილად ექცეოდნენ ერთმანეთს. და შუშის კარიც სწრაფად დაიხურა.
ახლა სილასი ბუჩქების ჩრდილში იმალებოდა და თვალებმოჭუტული ცდილობდა ოთახში შეჭყეტას. ქვაკუთხედი სადღაც სახლში იყო. სილასმა ეს იგრძნო.
ჩრდილში დარჩენილი ოდნავ მიუახლოვდა შუშის კარს. ძალიან უნდოდა გაეგონა, რას ამბობდნენ. თუ ვერ გაარკვევდა, სად დამალეს ქვაკუთხედი, მოუწევდა სახლში შესვლა და
ყველაფრის ძალის გამოყენებით ამოქაჩვა.
ლენგდონმა იგრძნო, რომ მათი მასპინძელი დაბნეული იყო.
 დიდი მაგისტრი? თიბინგი თავგზააბნეული უყურებდა სოფის, ჟაკ სონიერი?
სოფიმ თავი დაუქნია, იგი ხედავდა თიბინგის გაოგნებას.
 მაგრამ თქვენ ეს ხომ არ უნდა იცოდეთ!
 ჟაკ სონიერი ჩემი ბაბუა იყო.
თიბინგმა ყავარჯნებზე ბორძიკით უკან დაიხია, თან მზერა ესროლა ლენგდონს, რომელმაც თავის დაქნევით დაუდასტურა. თიბინგი ისევ სოფის მიუბრუნდა.
 მის ნევე, ლაპარაკის უნარი დავკარგე. თუ ეს მართალია, მაშინ გულწრფელად ვწუხვარ თქვენი დანაკარგის გამო. უნდა ვაღიარო, ჩემი კვლევისათვის შევადგინე სია იმ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პარიზელებისა, ვინც შეიძლება საძმოს საქმიანობაში მონაწილეობის შესაბამისი ყოფილიყო. ჟაკ სონიერიც ჩავრთე ამ სიაში ბევრ სხვასთან ერთად. მაგრამ, თქვენ ამბობთ, დიდი მაგისტრი იყოო. ძნელი დასაჯერებელია. თიბინგი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ თავი გააქნია. მაგრამ აზრს მაინც ვერ ვხვდები. თქვენი ბაბუა რომ საძმოს დიდი მაგისტრი ყოფილიყო კიდეც, თავადვე შეექმნა ქვაკუთხედი, არასდროს არ გეტყოდათ, თუ როგორ უნდა მოგეძებნათ იგი. ქვაკუთხედი საძმოს საბოლოო განძთან მისასვლელ გზას აჩვენებს. თქვენ შვილიშვილი ხართ თუ არა, ეს არ გაძლევთ უფლებას, ფლობდეთ ამგვარ ცოდნას.

ბატონი სონიერი კვდებოდა, როდესაც მან ეს ინფორმაცია სოფის გადასცა, თქვა ლენგდონმა, მას დიდი არჩევანი არ ჰქონდა.

მას არც სჭირდებოდა ამორჩევა, შეეკამათა თიბინგი, არსებობს სამი სენეშალი, ვინც ასევე იცის საიდუმლო. სწორედ ეს არის მათი სისტემის მშვენება. ერთი დაწინაურდება და

დიდი მაგისტრი გახდება, ისინი კი ახალ სენეშალს აირჩევენ და გაანდობენ ქვაკუთხედისსაიდუმლოს.

როგორც ჩანს, თქვენ ახალი ამბების პროგრამა სრულად არ მოგისმენიათ, თქვა სოფიმ. ბაბუას გარდა, კიდევ სამი ცნობილი პარიზელი მოკლეს დღეს. ყველა ერთნაირად. ყველა მოკლული ისე გამოიყურებოდა, თითქოს დაჰკითხესო. თიბინგს ყბა ჩამოუვარდა.

და თქვენ ფიქრობთ ისინი იყვნენ...

სენეშალები, თქვა ლენგდონმა.

კი მაგრამ როგორ? მკვლელი ვერ შეძლებდა სიონის საძმოს ოთხივე უმაღლესი რანგის წევრის ვინაობის გაგებას! მე ათწლეულების განმავლობაში ვიკვლევ მათ და საძმოს ერთ წევრსაც კი ვერ დაგისახელებთ. დაუჯერებელია, რომ სამივე სენეშალი და დიდი მაგისტრი ერთ დღეს აღმოაჩინეს და დახოცეს.

ეჭვი მაქვს, რომ ეს ინფორმაცია ერთ დღეში იქნა მოპოვებული, თქვა სოფიმ. ეს კარგად დაგეგმილ ოპერაციას ჰგავს, ე.წ. decapiterს. ეს ის ტექნიკაა, რომელსაც ჩვენ კრიმინალური სინდიკატების დასამარცხებლად ვიყენებთ. თუ საფრანგეთის სასამართლო

პოლიციას რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე გასვლა სურს, ისინი ჩუმად თვალყურს ადევნებენ მას თვეების მანძილზე, დაადგენენ ყველა მთავარი პირის ვინაობას, შემდეგ კი თავს დაესხმებიან და ყველას ერთდროულად დააკავებენ. ამას დეკაპიტაცია "თავის მოკვეთა" ჰქვია. ლიდერების გარეშე ჯგუფი პანიკაში ვარდება და დანარჩენ ინფორმაციასაც ამჟღავნებს. შესაძლებელია, ვიღაც მოთმინებით ადევნებდა თავლყურს საძმოს და შემდეგ მოაწყო თავდასხმა, იმ იმედით, რომ საძმოს მთავარი ფიგურები ქვაკუთხედის საიდუმლოს გაამჟღავნებდნენ.

თიბინგი ამან თითქოს არ დააჯერა.

მაგრამ ძმები ხომ არასდროს იტყოდნენ რამეს. მათ საიდუმლოს დაცვის ფიცი აქვთ დადებული, სიკვდილის წინაშეც კი.

მართალია, თქვა ლენგდონმა. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ სიმართლეს არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაამჟღავნებდნენ და ისე დაიხოცებოდნენ...
თიბინგმა გაოცებისგან პირი დააღო.
 მაშინ ქვაკუთხედის ადგილმდებარეობა სამუდამოდ დაიკარგა!
 და მასთან ერთად, თქვა ლენგდონმა, წმინდა გრაალიც.
თიბინგის სხეული თითქოს ქანაობდა ლენგდონის სიტყვების სიმძიმის ქვეშ. შემდეგ, თითქოს დაღლილობისგან ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, სკამზე დაენარცხა და ფანჯარას მიაშტერდა. სოფი მიუახლოდა და თბილი ხმით უთხრა:
 თუ გავითვალისწინებთ ბაბუას გამოუვალ მდგომარეობას, შესაძლებელია, უკიდურეს სასოწარკვეთილებაში მან სცადა ეს საიდუმლო გადაეცა ვინმესთვის საძმოს გარეთ. ვინმესთვის, ვისი ნდობაც შეეძლო. ვინმესთვის თავისი ოჯახიდან.
თიბინგი გაფითრებული იყო.
 მაგრამ ვინც ასეთი თავდასხმის მოწყობა შეძლო... ამდენი გაიგო საძმოს შესახებ...
იგი შეჩერდა, ახალ საფრთხეზე ფიქრობდა. ეს შეიძლება მხოლოდ ერთი ძალა იყოს. ასეთი სახის გაჟონვა შესაძლებელია მხოლოდ საძმოს უძველესი მტრისგან მოდიოდეს.
ლენგდონმა თავი ასწია.
 ეკლესიისაგან. აბა ვისგან? რომი გრაალს საუკუნეების განმავლობაში ეძებს.
სოფის ეჭვი ეპარებოდა.
 თქვენ ფიქრობთ, ეკლესიამ მოკლა ბაბუა?
 ეს ისტორიაში პირველი შემთხვევა არ არის, უპასუხა თიბინგმა, როდესაც ეკლესია თავის დასაცავად ვიღაცას კლავს. დოკუმენტები, რომლებიც წმინდა ბარძიმს ახლავს, საშიშია და ეკლესიას, დიდი ხანია, მათი მოსპობა სურს.
ლენგდონს უჭირდა თიბინგის აზრის გაზიარება იმის შესახებ, რომ ეკლესიას შეუძლია პირდაპირ დახოცოს ხალხი დოკუმენტების ხელში ჩასაგდებად. იგი შეხვედროდა ახალ პაპს და ბევრ კარდინალს, მათ მიიჩნევდა ღრმად სულიერ ადამიანებად, რომლებიც არასდროს დაუშვებენ მუხანათურ მკვლელობას. მიუხედავად იმისა, რა მიზეზითაა ის ჩადენილი.
სოფისაც თითქოს იგივე აზრები ჰქონდა.
 ხომ შეიძლება, რომ ის საძმოს წევრი დახოცა ვიღაცამ ეკლესიის გარეთ? ვიღაცამ, ვისაც არ ესმის რა არის ბარძიმი? ქრისტეს თასი, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ მაცდუნებელი განძია. განძის მაძიებელი, რასაკვირველია, ამაზე უფრო ნაკლებისთვისაც მოკლავს.
 ჩემი გამოცდილებით, თქვა თიბინგმა, ადამიანები უფრო შორიდან უვლიან იმას, რისაც ეშინიათ, ვიდრე იმას, რაც ძალიან სურთ. საძმოზე მოწყობილ ამ თავდასხმაში მე სასოწარკვეთილებას უფრო ვხედავ.
 ლი, უთხრა ლენგდონმა, ეს არგუმენტი პარადოქსულია. რატომ დახოცავენ კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენლები საძმოს წევრებს იმისათვის, რომ მოძებნონ და გაანადგურონ ის დოკუმენტები, რაც თვითონ ისედაც მცდარად მიაჩნიათ.
თიბინგმა ჩაიხითხითა.
 ჰარვარდის სპილოსძვლის კოშკებმა გულჩვილი გაგხადა, რობერტ. დიახ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამღვდელოება რომში ძლიერი რწმენით გამოირჩევა, და ამიტომაც მათი შეხედულებები ნებისმიერ ქარიშხალს გაუძლებს, იმ დოკუმენტების ჩათვლით, რომლებიც უპირისპირდება
ყველაფერს, რაც მათთვის ძვირფასია. მაგრამ რას მეტყვით მსოფლიოს დანარჩენ ნაწილზე? მათზე, ვისთვისაც ღმერთს აბსოლუტური რწმენა არ მიუმადლებია? მათზე, ვინც
უყურებს დედამიწაზე გამეფებულ ბოროტებას და ამბობს: სად არის დღეს ღმერთი? ვინც საეკლესიო სკანდალებს უყურებს და სვამს შეკითხვას: ვინ არიან ეს ადამიანები? ისინი ამტკიცებენ, რომ ქრისტეს სიმართლეს ქადაგებენ და მაინც იტყუებიან, რომ მათი მღვდლების მიერ ბავშვებზე სექსუალური ძაადობის ფაქტები დამალონ? თიბინგი წამითშეჩერდა. რა დაემართა იმ ხალხს, რობერტ, როდესაც გაიგებს, რომ იმის მეცნიერულად დასაბუთებული სარწმუნო მტკიცება გამოჩნდა, რომ ქრისტეს ისტორიის საელესიო ვერსია ჭეშმარიტებისაგან შორს დგას, სინამდვილეში კი კაცობრიობის უდიდესი
ისტორია დღეს, უბრალოდ, სარფიანად იყიდება?
ლენგდონმა არ უპასუხა.
მე გეტყვით, რა მოხდება, თუ ეს დოკუმენტები გამოჩნდა, თქვა თიბინგმა, ვატიკანი აღმოჩნდება რწმენის უპრეცედენტო კრიზისის წინაშე თავისი არსებობის ორი ათასწლეულის განმავლობაში.
ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, სოფიმ თქვა:
მაგრამ თუ ეს ეკლესიაა, ვინ არის თავდასხმაზე პასუხისმგებელი, რატომ ამოქმედდნენ ახლა? ამდენი წლის მერე? საძმოს სანგრილის დოკუმენტები დამალული აქვს. ისინი არავითარ უშუალო საშიშროებას არ უქმნის ეკლესიას.
თიბინგმა მრავალმნიშვნელოვნად ამოიოხრა და ლენგდონს გადახედა.
რობერტ, მგონი, შენ იცნობ საძმოს ბოლო განცხადებას.
ამის გაფიქრებაზე ლენგდონს სუნთქვა შეეკრა.
ვიცნობ.
მის ნევე, თქვა თიბინგმა, ეკლესიისა და საძმოს წლების მანძილზე ურთიერთგაგების ტაქტიკა ჰქონდათ. ეს იმას გულისხმობს, რომ, თუ ეკლესია არ შეუტევდა
საძმოს, თავის მხრივ, არც საძმო გამოაჩენდა სანგრილის დოკუმენტებს, ის წამით ჩაფიქრდა, თუმცა, საძმოს ნაწილი ყოველთვის აპირებდა ამ საიდუმლოს გამხელას. როცა გარკვეული თარიღი დადგება, საძმო გეგმავს, რომ დუმილის აღთქმა დაარღვიოს და თავის საბოლოო ტრიუმფს მიაღწიოს აჩვენოს მსოფლიოს სანგრილის დოკუმენტები და მთის მწვერვალებიდან ხმამაღლა ამცნოს იესო ქრისტეს ჭეშმარიტი ისტორია.
სოფი ჩუმად მიშტერებოდა თიბინგს. ბოლოს ისიც დაჯდა.
და თქვენ თვლით, რომ ეს თარიღი ახლოვდებოდა და ეს ეკლესიამ იცის?
ეს ვარაუდია, თქვა თიბინგმა, მაგრამ ეს უკვე საკმარისი მიზეზია ეკლესიისათვის, რომ ყოვლის მომცველი შეტევა მოაწყოს დოკუმენტების მოსაძებნად, ვიდრე გვიან არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არის.
თიბინგი მართალი იყო და ლენგდონმა ამის გამო უხერხულად იგრძნო თავი.
ფიქრობ, რომ ეკლესიას შეუძლია იპოვოს მტკიცე საბუთი საძმოს მიერ დაწესებული თარიღის შესახებ?
რატომაც არა, თუ დავუშვებთ, რომ ეკლესიამ შეძლო საძმოს წევრთა ვინაობის დადგენა, აშკარაა, ისინი მათ გეგმებსაც გაიგებდნენ. და ეს ზუსტი თარიღი რომ არ ჰქონდეთ კიდეც, ამაში მათ ცრურწმენა დაეხმარება.
ცრურწმენა? რას გულისხმობთ? იკითხა სოფიმ.
წინასწარმეტყველებას ვგულისხმობ, თქვა თიბინგმა, ჩვენ ახლა უზარმაზარი ცვლილებების ეპოქაში ვართ. საუკუნე ახლახანს მიილია, და მასთან ერთად დასრულდა თევზების ორიათასწლიანი ასტროლოგიური ეპოქა თევზი ამავე დროს იესოს ნიშანიცაა. ასტროლოგიის ნებისმიერი მკვლევარი გეტყვით, რომ თევზებს სწამთ, რომ ადამიანს უფრო მაღალმა ძალებმა უნდა უთხრან, რა გააკეთოს, რადგან ადამიანს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი არ გააჩნია. ამდენად, ეს იყო გულწრფელი რელიგიის პერიოდი. ახლა, რადგანაც ჩვენ შევდივართ მერწყულის ეპოქაში, ამ ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით ადამიანი
შეიცნობს ჭეშმარიტებას და თავად შეუძლია აზროვნება. ეს არის უზარმაზარი იდეოლოგიური გადანაცვლება და ეს სწორედ ახლა ხდება.
ლენგდონს გააჟრჟოლა. ასტროლოგიური წინასწარმეტყველება მისთვის არასდროს ყოფილა საინტერესო და სარწმუნო, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ეკლესიაში იყვნენ ისეთებიც, ვინც ამას ზედმიწევნით იზიარებდა. ეკლესია ამ ტრადიციულ პერიოდს ”ეპოქის
დასასრულს” უწოდებს.
სოფის ეჭვი ეტყობოდა.
სამყაროს დასასრულივით? აპოკალიფსი?
არა. მიუგო ლენგდონმა, ეს გავრცელებული მცდარი აზრია. ბევრი რელიგია ლაპარაკობს ქვეყნიერების დასასრულზე. ეს სამყაროს დასასრული კი არა, არამედ ჩვენი მიმდინარე ეპოქის დასასრულია. თევზების ეპოქას ვგულისხმობ, რომელიც დაიწყო ქრისტეს დაბადებისას, ორი ათას წელს გაგრძელდა და XX საუკუნის დამთავრებასთან ერთად დასრულდა. ახლა, როდესაც მერწყულის საუკუნეში გადავედით, დადგა ეპოქის დასასრული.
გრაალის ბევრი ისტორიკოსი, დაუმატა თიბინგმა, დარწმუნებულია, რომ, თუ საძმოს გეგმაში აქვს საიდუმლოს გამჟღავნება, ეს მომენტი ისტორიაში იქნება სიმბოლურად შესაფერისი დრო. საძმოს მეცნიერთა უმრავლესობა, ჩემი ჩათვლით, ელოდა, რომ საძმო სააშკარაოზე გამოიტანდა სიმართლეს ზუსტად ახალი ათასწლეულის დადგომისთანავე. აშკარაა, რომ ეს არ მოხდა. სავარაუდოა, რომ რომაული კალენდარი არ ემთხვეოდეს ასტროლოგიურ ნიშნებს. ამიტომ ვარაუდობენ, რომ ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გარკვეული ყველაფერი. არ ვიცი, ეკლესიას შიგნიდან გამოტანილი ინფორმაცია აქვს ზუსტი თარიღის მოახლოებული საშიშროების შესახებ, თუ ისინი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უბრალოდ ასტროლოგიური წინასწარმეტყველების გამო ღელავენ. ამას მნიშვნელობა არა აქვს. ნებისმიერი სცენარის შემთხვევაში გასაგებია, როგორ უნდა იყოს ეკლესია მონდომებული, წამოიწყოს გამანადგურებელი შეტევა საძმოს წინააღმდეგ, თიბინგი მოიღუშა, და მერწმუნეთ, თუ ეკლესია იპოვის წმინდა გრაალს, აუცილებლად გაანადგურებს მას როგორც დოკუმენტს, ასევე ნეტარი მარიამ მაგდალინელის რელიკვიებსაც, მის თვალებში ახლა მწუხარებამ დაისადგურა, ამის შემდეგ, ჩემო ძვირფასო, სანგრილის დოკუმენტების განადგურებასთანერთად ყოველი დამამტკიცებელი
საბუთი გაქრება. ეკლესია კი იზეიმებს თავის გამარჯვებას ისტორიის ხელახალი გადაწერის ათასწლოვან ომში. წარსული სამუდამოდ წაიშლება.
სოფიმ ნელნელა ამოაძვრინა ჯვრის ფორმის გასაღები თავისი სვიტრის ჯიბიდან დ თიბინგს გაუწოდა.
თიბინგმა ჩამოართვა გასაღები და შეისწავლა. ღმერთო ჩემო, საძმოს ბეჭედი სად იპოვეთ?
ბაბუამ გადმომცა წუხელ, სანამ მოკვდებოდა.
თიბინგმა თითებით მოსინჯა ჯვარი.
ეს ეკლესიის გასაღებია?
სოფიმ ღრმად ამოისუნთქა.
ამ გასაღებს ქვაკუთხედთან მივყავართ.
თიბინგმა სწრაფად ასწია თავი, მას სახეზე უკიდურესი ეჭვი გამოესახა.
შეუძლებელია! რომელი ეკლესია გამომრჩა? მე საფრანგეთის ყოველი ეკლესია შევამოწმე!
ის ეკლესიაში არ არის, თქვა სოფიმ, ის შვეიცარიულ სადეპოზიტო ბანკშია.
თიბინგის აღელვებული მზერა გაქრა.
ქვაკუთხედი ბანკშია?
სეიფი, მიაწოდა ლენგდონმა აზრი.
ბანკის სეიფი? თიბინგმა ძალით გააქნია თავი. შეუძლებელია. ქვაკუთხედი ვარდის ნიშნის ქვეშ უნდა იყოს დამალული.
ასეც არის, თქვა ლენგდონმა. იგი შენახულია ვარდის ხისგან გამოთლილ ყუთში, რომელიც მორთულია ხუთფურცლიანი ვარდით.
თიბინგს თითქოს მეხი დაეცა.
თქვენ ნახეთ ქვაკუთხედი?
სოფიმ თავი დაუქნია.
ჩვენ ვიყავით ბანკში.
თიბინგი მათ მიუახოვდა, განრისხებული თვალები ველურად უელვარებდა.
მეგობრებო, რამე უნდა ვიღონოთ. ქვაკუთხედი საფრთხეშია! მისი დაცვა ჩვენი მოვალეობაა. იქნებ კიდევ სხვა გასაღებიც არსებობს, მაშინ რა მოხდება? ვთქვათ, მოიპარეს დახოცილი სენეშალებისაგან. თუ ეკლესიამ შეძლო ბანკში შეღწევა, ისევე, როგორც თქვენ გააკეთეთ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშინ მათ უკვე დააგვიანეს, თქვა სოფიმ, ჩვენ უკვე წამოვიღეთ.
ეს რა მომესმა! თქვენ წამოიღეთ ქვაკუთხედი სამალავიდან?
ნუ ღელავ, თქვა ლენგდონმა, ქვაკუთხედი საიმედოდ არის დამალული.
ვიმედოვნებ, ძალზე საიმედოდ!
კაცმა რომ თქვას, თქვა ლენგდონმა, თან ღიმილს ვერ მალავდა, ეგ იმაზეა დამოკიდებული, ხშირად წმენდ თუ არა მტვერს შენი ტახტის ქვეშ.
შატ ოვილეს გარეთ ქარი გაძლიერდა და სილასს ანაფორა აუფრიალდა, როდესაც ის ფანჯრის ახლოს ჩაცუცქდა. მართალია, ლაპარაკის დიდი ნაწილი არ ესმოდა, მაგრამ სიტყვა ქვაკუთხედი რამდენჯერმე მოესმა.
შიგნით არის.
მოძღვრის სიტყვები ისევ გონებაში ჰქონდა ჩაბეჭდილი. შედი შატო ვილეში. აიღე ქვაკუთხედი. არავის ავნო.
ახლა ლენგდონი და დანარჩენები სხვა ოთახში გადავიდნენ, კაბინეტში კი სინათლე ჩააქრეს. სილასი შუშის კართან მიიპარა. თავს მსხვერპლს ჩასაფრებულ პანტერად გრძნობდა. კარი არ იყო ჩაკეტილი. სილასი შიგნით შეიპარა და ჩუმად მოიხურა კარი. მას მოგუდული ხმები ესმოდა მეორე ოთახიდან. სილასმა ჯიბიდან იარაღი ამოიღო, დაცვის სიგნალიზაცია გამორთო და დერეფანს გაუყვა.
თავი 63
ლეიტენანტი კოლე მარტო იდა ლი თიბინგის შენობასთან მისასვლელი სამანქანო გზის დასაწყისში და უზარმაზარ სახლს შესცქეროდა. განმარტოებული. ჩაბნელებული. კარგი სამალავია. კოლე თვალს ადევნებდა თავის ექვს აგენტს, რომლებიც უხმაუროდ განლაგდნენ ღობის გასწვრივ. მათ შეეძლოთ ღობეზე გადამძვრალიყვნენ და თვალის დახამხამებაში სახლისთვის ალყა შემოერტყათ. ლენდგონი ამაზე უკეთეს ადგილს ვერ შეარჩევდა. კოლეს ბიჭებს აქ იდეალურად შეეძლოთ მოულოდნელი თავდასხმის განხორციელება.
კოლემ ისის იყო ფაშთან დაკავშირება დააპირა, როდესაც მისმა ტელეფონმა თვითონ დარეკა.
ფაში მოვლენათა განვითარებით მაინც და მაინც ნასიამოვნები არ ჩანდა, როგორც ეს კოლეს წარმოედგინა.
რატომ არავინ მითხრა, რომ ლენგდონის კვალი ავიღეთ.
თქვენ ტელეფონით საუბრობდით და ...
ლეიტენანტო კოლე, მითხარით ზუსტად, სად ხართ?
კოლემ მისამართი მისცა.
მამული ეკუთვნის ბრიტანეთის მოქალაქეს, გვარად თიბინგს. ლენგდონმა დიდი გზა გამოიარა აქ მოსასვლელად, და მანქანა, რომლითაც მოვიდა, დაცულ ეზოში დგას. იძულებითი შეღწევის არანაირი ნიშანი არ ჩანს, ამიტომ სავარაუდოა, რომ ლენგდონი იცნობს სახლის პატრონს.
გამოვდივარ, უთხრა ფაშმა, არაფერი მოიმოქმედო. მე პირადად ვუხელმძღვანელებ სიტუაციას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოლეს ყბა ჩამოუვარდა.
 მაგრამ, კაპიტანო, თქვენ ოცი წუთი მაინც დაგჭირდებათ აქ მოსასვლელად! უმჯობესია, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ. გამოჭერილი მყავს. ჩემთან ერთად რვა კაცია. ოთხს საველე თოფები აქვთ, სხვებს პისტოლეტები.
 მე დამელოდეთ.
 კაპიტანო, ლენგდონს შიგნით მძევალი რომ ჰყავდეს? ხომ შეიძლება გვხედავდეს და ფეხით გადაწყვიტოს გაქცევა? საჭიროა სასწრაფოდ ვიმოქმედოთ! ჩემს ბიჭებს ადგილები დაკავებული აქვთ და ბრძანებას ელოდებიან.
 ლეიტენანტო კოლე, თქვენ დამელოდებით და არაფერს არ მოიმოქმედებთ! ეს ბრძანებაა, ფაშმა ტელეფონი გათიშა.
გაოგნებულმა კოლემ ტელეფონი გამორთო. რატომ მიბრძანებს ფაში მოცდას? კოლემ იცოდა მიზეზი. ფაში, მართალია, ცნობილი იყო თავისი ალღოთი, მაგრამ ცუდი სახელი ჰქონდა ქედმაღლობის გამო. ფაშს უნდა, რომ ქულები ჩაეწეროს ამ დაპატიმრებით. მას შემდეგ, რაც ფაშის ძალისხმევით ამერიკელის სახე ტელევიზიის ყველა არხზე გამოჩნდა, ფაშს უნდოდა მისი პიროვნებაც არანაკლები ყურადღების ცენტრში აღმოჩენილიყო. კოლეს მოვალეობა იყო პოზიციის შენარჩუნება, სანამ ბოსი მობრძანდებოდა და საქმეს დაასრულებდა.
ამავე დროს კოლეს უცებ თავში მოუვიდა ფაშის ასეთი ქცევის მეორე შესაძლებელი ახსნაც. ზარალის კონტროლი. კანონმდებლობის მიხედვით, გაქცეულის დაპატიმრებისას მხოლოდ მაშინ ყოყმანობენ, როდესაც ეჭვმიტანილის დანაშაულში ეჭვის საბაბი უჩნდებათ.
ნუთუ ფაში ბოლომდე არ არის დარწმუნებული ლენგდონის დანაშაულში? ეს აზრი შემაშფოთებელი იყო. კაპიტანი ფაში ამ ღამით ყირაზე დადგა, ლენგდონი რომ დაეკავებინა ფარული თვალთვალი, ინტერპოლი, და ახლა კიდევ ტელევიზია. დიდი ბეზუ
ფაშიც კი ვერ გადაურჩება პოლიტიკურ ზეწოლას. შეიძლება შეცდომით გამოაჭენა ცნობილი ამერიკელი საფრანგეთის ტელევიზიაში მკვლელობის ბრალდებით და მერე მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. მაშინ სრულიად ლოგიკურია კოლესთვის მიცემული ბრძანება, ჩემს მოსვლამდე არაფერი მოიმოქმედოთო. ახლა ფაშს ყველაზე ნაკლებად სჭირდებოდა, რომ კოლე შეჭრილიყო უდანაშაულო ბრიტანელის კერძო საკუთრებაში და ლენგდონი მიზანში ამოეღო.
უფრო მეტიც, კოლე მიხვდა, რომ, თუ ლენგდონი უდანაშაულოა, ეს ხსნის ამ საქმის ყველაზე უცნაურ პარადოქსს: რატომ დაეხმარა სოფი ნევე, მსხვერპლის შვილიშვილი, ეჭვმიტანილ მკვლელს გაქცევაში? გამოდის, სოფიმ იცოდა, რომ ლენგდონი უდანაშაულო იყო. ამ ღამით ფაშმა ყველანაირი ვარიანტი განიხილა სოფის ამ უცნაური საქციელის ასახსნელად. ისიც კი ითქვა, თითქოს სოფიმ, როგორც სონიერის ერთადერთმა მემკვიდრემ, დაიყოლია თავისი საიდუმლო საყვარელი რობერტ ლენგდონი, მოეკლა ჟაკ სონიერი, რათა მისი ფული მიეღო მემკვიდრეობით. თუ სონიერმა ეს იეჭვა, თავისუფლად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეეძლო პოლიციისთვის დაეტოვებინა შეტყობინება: პ.შ. მოძებნეთ რობერტ ლენგდონი.
კოლე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აქ რაღაც სხვა ამბავი იყო. სოფი ნევე სხვა კატეგორიის ადამიანია. იგი იმდენად სოლიდური პიროვნებაა, რომ ასეთ ბინძურ საქმეებში არ იქნება გარეული.
ლეიტენანტო? მოირბინა მასთან ერთერთმა საველე აგენტმა. მანქანა ვიპოვეთ.
კოლე გაჰყვა აგენტს, რომელმაც სამანქანო გზიდან დაახლოებით 50 იარდის მოშორებულ ადგილას მიიყვანა. აგენტმა გზის მოპირდაპირე, ფართო მხარეზე მიუთითა. იქ, ბუჩქებში თითქმის შეუმჩნევლად იდგა შავი "აუდი". მას დაქირავებული მანქანის ნომრები ჰქონდა. კოლემ ძრავა შეამოწმა. ჯერ კიდევ თბილი, ცხელიც კი იყო.
ესე იგი, ლენგდონი ასე მოვიდა აქ, თქვა კოლემ, დაურეკე გამქირავებელ კომპანიას. გაარკვიე, მოპარულია თუ არა.
დიახ, სერ.
ახლა მეორე აგენტმა მოიხმო იგი უკან ღობისკენ.
ლეიტენანტო, ამას შეხედეთ. მან კოლეს ღამის ხედვის ბინოკლი მიაწოდა.
გაიხედეთ სამანქანო გზის ბოლოს, ხეებს შორის.
კოლემ ბინოკლით გორაკის წვერს ახედადა ლინზები ვალზე მოირგო. თანდათანობით მომწვანო ფორმები ფოკუსში მოექცა. მან სამანქანო გზის მოსახვევი დააფიქსირა, ნელ ნელა ააყოლა მზერა ზევით და ხეების ჯგუფს მიაღწია. მას მხოლოდ ყურება შეეძლო. იქ, მწვანეში დამალული, იდგა ჯავშნიანი სატვირთო მანქანა. ეს ზუსტად იმ მანქანის მსგავსი
იყო, ამ ღამით, უფრო ადრე კოლემ რომ გაატარა და ციურიხის სადეპოზიტო ბანკის დატოვების საშუალება მისცა. იგი ლოცულობდა, რომ ეს საოცარი დამთხვევა ყოფილიყო, მაგრამ ამავე დროს იცოდა, რომ ეს არ შეიძლება მომხდარიყო.
აშკარაა, თქვა აგენტმა, სწორედ ის სატვირთო მანქანაა, რომლითაც ლენგდონი და ნევე ბანკიდან გაიქცნენ.
კოლეს მეტყველების უნარი დაეკარგა. მას გაახსენდა ჯავშნიანი მანქანა და მისი მძღოლი, რომელიც იქ გააჩერა, სადაც პოლიციას გზა ჰქონდა გადაკეტილი. როლექსი. როგორ ეჩქარებოდა მძღოლს წასვლა. მე ხომ არ შემიმოწმებია იმ მანქანის სატვირთო განყოფილება.
დაუჯერებელი იყო, რომ ვიღაცამ ჯერ ბანკიდან გააპარა ლენგდონი და ნევე, მერე კი გაქცევაში დაეხმარა. კი მაგრამ ვინ იყო და რატომ გააკეთა ეს? კოლემ ისიც ივარაუდა, რომ სწორედ ამ მიზეზით უბრძანა ფაშმა მოცდა. შეიძლევა მიხვდა, რომ ამ საქმეში უფრო მეტი ხალხია ჩარეული, ვიდრე მხოლოდ ლენგდონი და სოფი. კიდევ ერთი უცნობი. თუ ლენგდონი და სოფი ჯავშნიანი მანქანით მოვიდნენ, მაშინ "აუდის" ვინღა მართავს?
თავი 64
თიბინგი დივანზე იჯდა, მუხლებზე ხის ყუთი ედო და აღფრთოვანებით დაჰყურებდა სახურავზე ამოტვიფრულ ვარდს. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე უცნაური და ჯადოსნური ღამეა.
ახადეთ თავსახური, ჩაიჩურჩულა სოფიმ, რომელიც ლენგდონის გვერდით იდგა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თიბინგს ზევიდან დაჰყურებდა.
თიბინგს გაეღიმა. ნუ მაჩქარებ. მან ათ წელზე მეტი მოინდომა ქვაკუთხედის ძებნას, ამიტომ უნდოდა დამტკბარიყო ამ მონაპოვარის ფლობის ყოველი წამით. მან ხელისგული გადაუსვა ხის თავსახურს, რომ კარგად შეეგრძნო ამოტვიფრული ყვავილის ფორმები.
ვარდი, ჩაიჩურჩულა თიბინგმა. ვარდი წმინდა გრაალის ისტორიის მიხედვით მაგდალინელია. ვარდი არის ის კომპასი, რომელიც გზას გიჩვენებს. თიბინგი სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. წლების მანძილზე საფრანგეთის ყოველი მონასტერი და ეკლესია მოიარა, ფულს იხდიდა შესვლის სპეციალური უფლების მისაღებად, შეამოწმა ასობით კამაროვანი გასასვლელი ვარდის ფორმის ფანჯრებქვეშ იქ მოთავსებული კოდირებული ქვაკუთხედის ძებნაში. La clef de voute ქვის გასაღები ვარდის ნიშნის ქვეშ.
თიბინგმა ნელა გახსნა საკეტი და სახურავი ასწია.
როდესაც დაინახა, რა იდო შიგ, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქმე ქვაკუთხედთან ჰქონდა. ის მიშტერებოდა ქვის ცილინდრს, რომელიც დამზადებული იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ასოებიანი დისკოებით. ეს მოწყობილობა მისთვის უაღრესად ნაცნობი იყო.
გაკეთებულია და ვინჩის დღიურების ჩანაწერების მიხედვით, თქვა სოფიმ, ბაბუა მათ თავისუფალ დროს აკეთებდა ხოლმე.
რასაკვირველია, მიხვდა თიბინგი. მას ენახა ნახაზები და ჩანაწერები, წმინდა გრაალის საპოვნი გასაღები ამ ქვის შიგნით დევს. თიბინგმა მძიმე კრიპტექსი ყუთიდან ამოიღოო და
ფრთხილად დაიჭირა. მიუხედავად იმის, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა გაეხსნა ცილინდრი, მიხვდა, რომ მისი ბედი შიგ იყო მოთავსებული. მთელი ამ ხნის მანძილზე, მარცხის მომენტებში იგი თავის თავს კითხვას უსვამდა ხოლმე, ნეტა ოდესმე თუ
მივიღებ მრავალწლიანი ძიებისათვის ჯილდოსო. ახლა ეს ეჭვები სამუდამოდ გაუქრა. მას
მოესმა ძალიან დიდი ხნის წინ წარმოთქმული სიტყვები. ბარძიმის შესახებ ლეგენდის საფუძველი.
Vous ne truovez pas le SaintGraal, c„est le SaintGraal qui vous trouve.
შენ ვერ იპოვი ბარძიმს, ბარძიმი თავად გიპოვის შენ.
და დღეს ღამით, გასაოცარია, მაგრამ ასე მოხდა. წმინდა ბარძიმის მოსაძებნი გასაღები, თავად შემოვიდა მის სახლში.
სანამ სოფი და თიბინგი ისხდნენ კრიპტექსით ხელში და საუბრობდნენ ძმარზე, დისკოებსა და შესაძლებელ პაროლზე, ლენგდონმა წაიღო ვარდის ხის ყუთი ოთახის მეორე მხარეს კარგად განათებულ მაგიდასთან, რომ უკეთ დაეთვალიერებინა. ის, რაც ახლახანს თქვა თიბინგმა, თავში უტრიალებდა და მოსვენებას არ აძლევდა.
ბარძიმის გასაღები ვარდის ნიშნის ქვეშ იმალება.
ლენგდონმა ხის ყუთი სინათლესთან ახლოს მიიტანა და ყურადღებით დააკვირდა მასზე ამოტვიფრულ ვარდის სიმბოლოს. იგი საკმაოდ გამოცდილი იყო ხელოვნებაში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ მისი ცოდნა არ მოიცავდა ხის სამუშაოს და მოჩუქურთმებულ ავეჯს. მან ახლა გაიხსენა ფილებით მოპირკეთებული ცნობილი ჭერი მადრიდის გარეუბანში მდგარ ესპანურ ეკლესიაში, სადაც მისი რეკონსტრუქციიდან სამი საუკუნის შემდეგ ჭერიდან ფილებმა დაიწყო ცვენა და გამოჩნდა საიდუმლო ტექსტები, რომლებიც ბერებს დაეწერათ ფილების უკან თაბაშირზე.

ლენდგონმა ისევ შეხედა ვარდს.

ვარდის ქვეშ.

Sub Rosa.

საიდუმლო.

ბრახუნის ხმამ, რომელიც დერეფანში გაისმა, ლენგდონი აიძულა მოტრიალებულიყო.

მან ჩრდილების გარდა ვერაფერი დაინახა. ალბათ თიბინგის მსახურმა გაიარა. ლენგდონი

ისევ ყუთს მიუბრუნდა. თითი გადაუსვა ვარდს, მისი გლუვი კიდეები მოსინჯა. ფიქრობდა,

იქნებ შეიძლება ვარდის ამოძრობაო, მაგრამ მის წინ ჩინებული ნამუშევარი იყო.

სამართებლის პირიც კი ვერ შევიდოდა ვარდის ფიგურასა და ფაქიზად ამოჭრილ ვარდის მოსათავსებელ ბუდეს შორის.

მან ყუთი გახსნა და სახურავის შიდა ნაწილი დაათვალიერა. ის გლუვი იყო. თუმცა, სახურავის აწევისას სინათლე დაეცა ზუსტად ცენტრში მოთავსებულ პაწაწინა ნახვრეტს სახურავის შიდა მხარეს. ლენგდონმა დახურა თავსახური და ზევიდან დაათვალიერა ინკრუსტირებული სიმბოლო. ნახვრეტი არ იყო.

ამრიგად, ეს ნახვრეტი არ არის გამჭოლი.

ყუთი მაგიდაზე დადგა, ოთახში მიმოიხედა და შეამჩნია ქაღალდების გროვა მათზე დამაგრებული სარჭებით. აიღო ერთი სარჭი, ყუთთან დაბრუნდა, გახსნა და ისევ დააკვირდა ნახვრეტს. ახლა ფრთხილად გაშალა სარჭი და ერთი ბოლო შეარჭო ნახვრეტში და სარჭს ფრთხილად მიაწვა. ძალა სულაც არ იყო საჭირო. მან გაიგონა, რომ რაღაც წყნარად დავარდა მაგიდაზე. ლენგდონმა სახურავი დახურა, რომ დაენახა რა იყო.

ეს იყო ხის პატარა ნაჭერი, ხის ვარდი, რომელიც ნახვრეტიდან ამომხტარიყო და მაგიდაზე

დაცემულიყო.

ლენგდონი გაოგნებული მიშტერებოდა სახურავზე გაჩენილ შიშველ წერტილს, სადაც ადრე ვარდი იყო. ამ ადგილას ხეზე ამოჭრილი იყო უნაკლო ხელწერით დაწერილი ოთხი პწკარი ისეთ ენაზე, რომელიც მას არასოდეს არ გაეგო.

ნიშნებითითქოს სემიტურს უნდა ჰგავდეს, თავისთვის გაიფიქრა ლენგდონმა, და მაინც ვერ ვცნობ ენას!

ამ დროს მისი ყურადღება მიიპყრო უეცარმა მოძრაობამ მის უკან. თითქოს არსაიდან ლენგდონს თავში ძლიერად ჩაარტყეს და იგი მუხლებზე დავარდა.

დაცემისას მოელანდა, თითქოს ერთი წამით დაინახა ფერმკრთალი მოჩვენება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც თავზე დასტრიალებდა. მოჩვენებას ხელში იარაღი ჰქონდა ჩაბღუჯული. შემდეგ
ყველაფერი გაშავდა.
თავი 65
თუმცა საკანონმდებლო სფეროში კი მუშაობდა, მაგრამ სოფი ნევესთვის დღემდე
არასოდეს მიუშვერიათ იარაღი. თითქმის დაუჯერებელი იყო, პისტოლეტი, რომლის
ლულასაც ახლა იგი თვალს ვერ აცილებდა, ჩაბღუჯული ჰქონდა ფერმკრთალ ხელს. ხელი
უზარმაზარ აყლაყუდა ალბინოსს ეკუთვნოდა. იგი სოფის წითელი თვალებით შესცქეროდა
საშინელი უსხეულო არსების თვალებით. მას შალის ბერის კაბა ეცვა, წელზე კი ქამრის
ნაცვლად თოკი ჰქონდა შემოჭერილი. შუასაუკუნეობრივი იერი ჰქონდა. სოფის ვერ
წარმოედგინა, ვინ შეიძლება ყოფილიყო ეს კაცი. მოულოდნელად თიბინგის მიმართ
განსაკუთრებული პატივისცემით განიმსჭვალა თიბინგი ხომ მაშინვე მიხვდა, რომ
გრაალის საქმეებში ეკლესია იქნებოდა ჩარეული.
თქვენ იცით, რისთვისაც ვარ მოსული, თქვა ბერმა ცარიელი ხმით.
სოფი და თიბინგი დივანზე ისხდნენ, ხელები მაღლა ჰქონდათ აწეული, როგორც ეს
თავდამსხმელმა უბრძანა. ლენგდონი იატაკზე იწვა და კვნესოდა. ბერმა მაშინვე შეამჩნია
ქვაკუთხედი თიბინგის მუხლებზე.
თიბინგს თავხედური ტონი ჰქონდა.
შენ ამას ვერ გახსნი.
ჩემი მოძღვარი ბრძენი ადამიანია, მიუგო ბერმა და ცოტა ახლოს მოიწია. იგი
იარაღს ხან სოფის უშვერდა და ხან თიბინგს.
სოფის უკვირდა, სად დაიკარგა თიბინგის მსახური. ნუთუ ვერ გაიგო, რობერტი რომ
წაიქცა?
ვინ არის შენი მოძღვარი? ჰკითხა ბერს თიბინგმა, იქნებ ეს საკითხი ფინანსურად
მოვაგვაროთ.
ბარძიმს ფასი არა აქვს, ბერი კიდევ უფრო ახლოს მოვიდა.
შენ სისლი გდის, აღნიშნა მშვიდად თიბინგმა და ბერს მარჯვენა წვივზე მიუთითა. მას
ფეხზე სისხლის წვრილი ზოლი ეტყობოდა, და კოჭლობ.
შენც კოჭლობ, უპასუხა ბერმა და თიბინგის იქვე აყუდებულ ლითონის ყავარჯენზე
მიუთითა. ახლა კი მომეცი ქვაკუთხედი.
იცი რამ ქვაკუთხედის შესახებ? ჰკითხა თიბინგმა და მის ხმაში გაკვირვება გისმა.
ვიცი თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს. ნელა ადექი და ეგ მომეცი.
მე მიჭირს ადგომა.
ვიცი, მაგრამ ორივენი ეცადეთ, მკვეთრი მოძრაობა არ გააკეთოთ.
თიბინგმა ხელი გააცურა თავისი ყავარჯნებისკენ, მეორე ხელი კი ქვაკუთხედს მოჰკიდა,
ნელა წამოიმართა, წელში გასწორდა, მარცხენა ხელისგულზე კარგად მოირგო მძიმე
ცილინდრი და გაჭირვებით დაეყრდნო ყავარჯენს მარჯვენა ხელით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბერი რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, პისტოლეტს ზუსტად თავში უმიზნებდა თიბინგს.
სოფი ამას შორიდან უყურებდა და როდესაც ბერმა ხელი გაიწოდა ცილინდრის ასაღებად, საშინელი უმწეობა იგრძნო.
შენ ვერ მოერევი ამას, უთხრა თიბინგმა, ამ ქვის გახსნა მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია.
მხოლოდ ღმერთმა იცის, ვინ არის ღირსი, გაიფიქრა სილასმა.
საკმაოდ მძიმეა, თქვა ყავარჯნიანმა კაცმა, მკლავი უცახცახებდა. თუ დროზე არ გამომართმევ, დამივარდება! მან სახიფათო მოძრაობა გააკეთა. თითქოს მძიმე ქვა ხელიდან უვარდებოდა.
სილასი სასწრაფოდ წინ წაიწია ქვის ასაღებად და ამ დროს ყავარჯნიანმა კაცმა წონასწორობა დაკარგა, ყავარჯენი გაუცურდა და მარჯვნივ გადაიხარა. არა! სილასი წინ გაიჭრა ქვის გადასარჩენად და იარაღი დაუშვა. მაგრამ ქვაკუთხედი ახლა მის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდა. როცა თიბინგი მარჯვენა მხარეს წაიქცა, მისი
მარცხენა ხელი უკან გადაქანდა და ცილინდრი დივანზე დაეცა. სწორედ ამ დროს, ლითონის ყავარჯენი, რომელიც თითქოს კაცს უცურდებოდა, აჩქარდა და ფართო წრე მოხაზა ჰაერში სილასის ფეხის მიმართულებით.
ტკივილის ნაპერწკლებმა სილასს სხეული ნაწილებად დაუგლიჯა. როდესაც ყავარჯენი ზუსტად მოხვდა მის ძაძას, რკინის კაუნჭები ჯერ კიდევ მოუშუშებელ ხორცში ჩაერჭო. სილასი ტკივილისგან მოიკეცა, მუხლებზე დაეცა და ამით ქამარი კიდევ უფრო ღრმად ჩაერჭო. პისტოლეტი გამაყრუებელი ხმით გავარდა. ტყვია იატაკს ისე ჩაერჭო, რომ არავინ
დაუშავებია. სილასი წაიქცა და სანამ ადგომასა და გასროლას ისევ შეძლებდა, ყბაში ქალის ფეხი მოხვდა.
გარეთ მყოფმა კოლემ გასროლის ხმა გაიგონა. მოგუდული ტკაცუნის გამო ის პანიკამ მოიცვა. ფაში გზაში იყო და კოლემ ყოველგვარი იმედი დაკარგა, რომ ლენგდონის პოვნით რაიმე ქულას ჩაიწერდა. მაგრამ კოლეს არ უნდა დაეშვა, რომ ფაშის ქედმაღლობის გამო პროცედურული დარღვევისთვის სამინოსტროს საანგარიშო საბჭოს წინაშე წარმდგარიყო.
იარაღი გაისროლეს საკუთარ სახლში! თქვენ კი იდექით და იცდიდით გზის ბოლოს? კოლემ იცოდა, რომ ჩუმად მიპარვის შესაძლებლობა კარგა ხანია აღარ იყო. მან ისიც იცოდა, რომ კიდევ ერთი წამიც, და უმოქმედოდ გაჩერება მის კარიერას ისტორიის საკუთრებად აქცევდა გათენებამდე. კოლემ რკინის ალაყაფის კარს შეხედა და გადაწყვეტილება მიიღო.
გამოაბით რამე და ჩამოაგდეთ.
დასუსტებულ რობერტ ლენგდონს შორიდან მოესმა გასროლის ხმა. მან ტკივილისგან გამოწვეული კივილიც გაიგონა. ნეტა თვითონ კიოდა? კეფას თითქოს პნევმატური ბურღით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უხვრეტდნენ. სადღაც ახლოს ვიღაც ლაპარაკობდა.
 სად ჯანდაბაში იყავი? ყვიროდა თიბინგი.
მსახური შემოვარდა.
 რა ხდება? ღმერთო ჩემო! ეს ვინ არის? პოლიციას დავურეკავ!
 სულელო! არ გამოიძახო პოლიცია. საქმე გააკეთე და რამე მოგვიტანე, რომ ეს ურჩხული დავაკავოთ.
 და ცოტა ყინულიც! დაადევნა სოფიმ.
ლენგდონი ისევ გაითიშა. ისევ ხმები. მოძრაობა. ახლა ის დივანზე იჯდა. სოფის ყინულიანი პარკი დაედო მისთვის თავზე. კეფა საშინლად სტკიოდა. როდესაც მხედველობა თანდათან დაეწმინდა, იგი მიაშტერდა იატაკზე დაგდებულ სხეულს. მეჩვენება? ალბინოსი ბერის მასიური სხეული, წებოვანი ლენტით გაკოჭილი და პირაკრული, იატაკზე იდო. ნიკაპი გახლეჩოდა და სამოსი მარჯვენა ბარძაყთან სისხლით ჰქონდა გაჟღენთილი. ისიც ახლა მოდიოდა გონს. ლენგდონი სოფის მიუბრუნდა.
 ეს ვინ არის? რა... მოხდა?
თიბინგი კოჭლობით მოვიდა მასთან.
 შენ გადაგარჩინა რაინდმა "აკმე ორთოპედიკის" მიერ დამზადებული ექსკალიბურის მოქნევით.
ძალიან სასაცილოა! ლენგდონი წამოჯდომას შეეცადა.
სოფი აკანკალებული ხელით ნაზად შეეხო.
 რობერტ, ცოტა ხანს მოისვენე.
 ვწუხვარ, თქვა თიბინგმა. მგონი, რომ სწორედ ახლა ვუჩვენე შენს მეგობარ ქალბატონს ჩემი მდგომარეობის სამწუხარო უპირატესობა. როგორც ჩანს, არავინ აფასებს შენს შესაძლებლობებს სათანადოდ.
დივანზე მჯდომმა ლენგდონმა ბერს დახედა და მომხდარის წარმოდგენა სცადა.
 მას ძაძა ეცვა, აუხსნა თიბინგმა.
 რა?
თიბინგმა მიუთითა იატაკზე დადგებულ გასისხლიანებულ რკინისწვეტებიან ტყავის ნაჭერზე. ეს საკანონო ქამარია. იგი ამას ბარძაყებზე ატარებს. მე უბრალოდ კარგად დავუმიზნე.
ლენგდონმა თავი მოიქექა. მასაც სმენოდა საკანონო ქამრების შესახებ.
 კი, მაგრამ... შენ საიდანღა იცოდი?
თიბინგმა გაიღიმა.
 ქრისტიანობა ჩემი კვლევის სფეროა, რობერტ. არის ისეთი სექტები, რომელთა ამოცნობა ძალიან ადვილია, მათი გარეგნული სახის მიხედვით. მან ყავარჯნით ბერის სამოსიდან მჟოვან სისხლზე მიუთითა. როგორც ამ შემთხვევაში.
 ოპუს დეი, ჩაიჩურჩულა ლენგდონმა და გაახსენდა ცოტა ხნის წინ პრესაში გამოქვეყნებული ცნობა რამდენიმე ცნობილი ბოსტონელი ბიზნესმენის შესახებ. ისინი ოპუს
დეის წევრები იყვნენ. შეშფოთებული თანამშრომლები ფარულად თუ აშკარად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადანაშაულებდნენ მათ ე.წ. ძაძის ტარებაში სრული ოფიციალური ჩაცმულობის ქვეშ.
სინამდვილეში იმ სამს არაფერი მსგავსი არ გაუკეთებია. ოპუს დეის ბევრი წევრის
მსგავსად, ისინი "დამატებითი მდგომარეობის" სტადიაში იყვნენ და სულ არ ევალებოდათ
ხორცის მოკვდინების რიტუალის შესრულება. ისინი იყვნენ მორწმუნე კათოლიკეები,
ოჯახის მზრუნველი მამები და საზოგადოების ღრმად ერთგული წევრები. არ არის
გასაკვირი, რომ პრესამ მათი სულიერი ერთგულება მხოლოდ ნაწილობრივ გააშუქა და არ
შეეხო გამაოგნებელ ფაქტებს ისეთი თავგამოდებული ძირითადი წევრების შესახებ,
რომელთა მსგავსიც ახლა ლენგდონის წინ იწვა იატაკზე.
თიბინგი ყურადღებით ათვალიერებდა სისხლიან ქამარს.
კი მაგრამ, რატომ უნდა ეძებდეს ოპუს დეი წმინდა ბარძიმს? ლენგდონი ძალიან სუსტად
გრძნობდა თავს, ამაზე რომ ეფიქრა.
რობერტ, თქვა სოფიმ, რომელიც ხის ყუთთან მისულიყო, ეს რა არის?
მას ხელში ეჭირა პატარა ვარდი, რომელიც ლენგდონმა ყუთის თავსახურიდან
ამოიღო.
ეს ყუთზე ამოჭრილ წარწერას ფარავდა. ვფიქრობ, ამ ტექსტმა უნდა აგვიხსნას,
როგორ გავხსნათ ქვაკუხედი.
სანამ სოფი და თიბინგი პასუხის გაცემას შეძლებდნენ, პოლიციის ლურჯი სინათლეების
და სირენების ზღვა ამოიჭრა გორაკის ბოლოდან და ნახევარი მილის სიგრძის შენობასთან
მისასვლელ გზას დაადგა.
თიბინგი მოიღუშა.
მეგობრებო, ჩანს, გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, და რაც შეიძლება სწრაფად.
თავი 66
კოლე და მისი აგენტები, იარაღმომარჯვებულნი შეცვივდნენ სერ ლი თიბინგის
სასახლის წინა კარში, დაიქსაქსნენ და პირველ სართულზე ყველა ოთახის ჩხრეკა
დაიწყეს.
მათ იპოვეს ნატყვიარი სასადილო ოთახის იატაკში, ბრძოლის კვალი, ცოტაოდენი
სისხლი, უცნაური მავთულიანი ქამარი და სანახევროდ დახარჯული წებოვანი ლენტის
ხვეული. ამ სართულზე არავინ იყო.
სწორედ იმ დროს, როდესაც კოლე თავისი ბიჭების გაყოფას აპირებდა, რომ ნაწილს
სარდაფი დაეთვალიერებინა, ხოლო დანარჩენებს ტერიტორია სახლის უკან, ზემოდან
რაღაც ხმები მოესმა.
მეორე სართულზე არიან!
პოლიციელები ფართო კიბეზე აცვივდნენ, უშველებელი სახლის ყველა დარბაზი
დაიარეს, შეამოწმეს ჩაბნელებული საწოლი ოთახები და დერეფნები, და თანდათანობით
მიუახლოვდნენ იმ ადგილს, საიდანაც ხმები ისმოდა. ხმა თითქოს საწოლი ოთახიდან
მოდიოდა, ყველაზე გრძელი დერეფნის ბოლოს. აგენტებმა გაიარეს დერეფანი და თან
ყველა შესაძლო გასასვლელი ჩაკეტეს.
როდესაც ბოლო ოთაახს მიუახლოვდნენ, კოლედ დაინახა, რომ ოთახის კარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფართოდ იყო გაღებული. ხმები უცებ შეწყდა და უცნაური ხრიგინით შეიცვალა. ძრავას ხმას
ჰგავდა.
იარაღით ხელში, კოლემ აგენტებს ანიშნა. ისინი ჩუმად მიუახლოვდნენ კარს.
ჩამრთველი მოძებნა და შუქი აანთო. ყველანი ოთახში შეცვივდნენ, კოლემ დიყვირა და
იარაღი სიცარიელეს დაუმიზნა.
ოთახში არავინ იყო. უნაკლო სისუფთავე და წესრიგი სუფევდა.
მანქანის ძრავის გრუხუნა ხმა საწოლის გვერდით, კედელზე დამაგრებული შავი
ელექტრონული დაფიდან მოდიოდა. კოლემ ასეთები სხვაგანაც შეამჩნია სახლში. ეს
რაღაც სატელეფონო კავშირისმაგვარი იყო, იგი მიიჭრა დაფასთან. აქ თორმეტიოდე
ღილაკი იყო:
კაბინეტი... სამზარეული... სამრეცხაო... საკუჭნაო...
მანქანის ხმა საიდანღა ისმის?
ბატონის საწოლი ოთახი... სოლარიუმი...
ფარდული... ბიბლიოთეკა...
ფარდული! კოლე წამში ქვედა სართულზე აღმოჩნდა, გაიქცა უკანა კარისკენ და თან
ერთი აგენტი გაიყოლა. მათ გადაკვეთეს გვერდითი გაზონი და ქოშინით მიადგნენ რუხ,
გახუნებულ ფარდულს. ჯერ არც კი იყვნენ შესულები, როდესაც კოლემ გაიგონა მანქანის
ძრავას ხმა, რომელიც მათ თანდათან შორდებოდა. იარაღი მოიმარჯვა, ფარდულში
შევარდა და სინათლე აანთო.
ფარდულის მარჯვენა მხარეს მოწყობილი იყო მარტივი სახელოსნო – ბალახის
საკრეჭი მანქანა, ავტომატური სამუშაო იარაღი და მებაღეობისთვის საჭირო სხვა ნივთები.
კედელზე დამაგრებული იყო უკვე ნაცნობი დაფა. ერთერთი ღულაკი ჩამოწეული იყო, რაც
იმას ნიშნავდა, რომ აქედან ხდებოდა გადაცემა.
სასტუმრო ოთახი II
კოლე ადგილზე შემოტრიალდა. სიბრაზისაგან ლამის გამსკდარიყო. ზევით აგვიტყუეს
ინტერკომის საშუალებით! ფარდულის მეორე მხარე დაათვალიერა, აქ თავლები
ჩაერიგებინათ. არც ერთი ცხენი არ იყო ადგილზე. როგორც ეტყობა, პატრონმა სულ სხვა
სახის ცხენისძალა აირჩია. საჯინიბო გადაკეთებული იყო შთამბეჭდავ ავტომობილების
სადგომად. გასაოცარი იყო იქ მდგარი მანქანების სახეობები შავი ფერარი, ცინცხალი
როლსროისი, ძველებური ასტონ მარტინის სპორტული კუპე, პორშე 356ის საკოლექციო
მოდელი.
ბოლო ნიშა ცარიელი იყო.
კოლემ ყურადღებით დაათვალიერა და იატაკზე ზეთის ლაქები დაინახა. კორდონიდან
ვერ გავლენ! სახლთან მისასვლელი გზა და ალაყაფის კარი ჩახერგილი იყო ორი
საპატრულო მანქანით.
 სერ? აგენტმა საჯინიბოს ბოლოსკენ მიუთითა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფარდულის გვერდითი კარი ფართოდ იყო გაღებული და უკან სიბნელეში მოჩანდა ტალახიანი ფერდობი და უსწორმასწორო მინდორი. კოლე კარს მივარდა. ცდილობდა სიბნელეში რამე დაენახა, მაგრამ მხოლოდ შორეული ტყის მკრთალი ჩრდილის შემჩნევა შეძლო. ფარების სინათლე არსად ჩანდა. ეს ტყიანი დაბლობი ალბათ აბლაბუდასავით იქნებოდა დაქსერილი საცალფეხო და სანადირო ბილიკებით. მაგრამ კოლე დარწმუნებული იყო, რომ მისი მსხვერპლი ტყისკენ არ წავიდოდა.

ხალხი გავუშვათ ამ ადგილების გასაჩხრეკად. სადმე ახლომახლო იქნებიან გაჭედილები. ეს ლამაზი სპორტული მანქანები ასეთ გრუნტს ვერ უმკლავდებიან.

სერ, აბა შეხედეთ. აგენტმა მიუთითა კედელზე იქვე მიმაგრებულ საკიდზე. ზედ გასაღებები ეკიდა. გასაღებებს ზემოდან ნაცნობი სახელები ეწერა.

”დაიმლერი”... ”როლსიროისი”... ”ასტონ მარტინი”...

”პორშე”

ბოლო საკიდი ცარიელი იყო.

როდესაც ბოლო საკიდის წარწერა წაიკითხა, კოლე მიხვდა, რომ სერიოზული პრობლემა შეექმნა.

თავი 67

რეინჯ როვერი ”იავა შავი მარგალიტი” იყო, აღჭურვილი ორი ხიდით, სტანდარტული გადამცემი სისტემებით, ძლიერი პოლიპროპილენის ნათურებით, უკანა სინათლეების ჯგუფითა და საჭით მარჯვენა მხარეს.

ლენგდონი კმაყოფილი იყო, რომ თვითონ არ უწევდა მართვა.

თიბინგის მსახური რემი, თავისი ბატონის მითითებებით, შთამბეჭდავად ახერხებდა მანევრირებას მთვარით განათებულ მინდვრებში შატო ვილეს უკან. მან ჩამქრალი ფარებით დაბალი გორაკი გადაკვეთა და ახლა გრძელი ფერდობით ჩამოდიოდა, თანდათანობით შორდებოდა სასახლეს. თითქოს მოშორებით ტყიანი მასივის უსწორმასწორო სილუეტისკენ მიემართებოდა.

ლენგდონს ქვაკუთხედი ჩაეხუტებინა. იგი მოტრიალდა და შეხედა უკან მსხოდმ სოფისა და თიბინგს.

თავი როგორა გაქვს, რობერტ? ჰკითხა სოფიმ შეწუხებული ხმით. ლენგდონმა ძალდატანებით გაიღიმა.

უკეთესად, გმადლობთ, თავი ძალიან სტკიოდა.

სოფის გვერდით მჯდომმა თიბინგმა უკან გაკოჭილ და პირაკრულ ბერს გახედა, რომელიც საზურგის უკან, საბარგულში იწვა. თიბინგს ბერის იარაღი მუხლებზე ედო და ბრიტანელ ლომებზე მონადირეს ჰგავდა ძველებური ფოტოსურათიდან.

ძალიან მიხარია, რომ ამ საღამოს შემომიარე, რობერტ, უთხრა თიბინგმა. ისე იღიმებოდა, თითქოს დიდი ხნის განმავლობაში პირველად შეიქცია თავი ასე კარგად.

მაპატიე, რომ მთელ ამ დავიდარაბაში გაგხვიე, ლი.

რას ამბობ? მთელი სიცოცხლე ველოდი, რომ ამაში ვიქნებოდი ჩარეული, თიბინგმა ლენგდონის მიღმა მანქანის ფანჯრიდან გრძელი ცოცხალი ღობის ჩრდილებს გახედა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსუბუქად შეახო ხელი რემის მხარზე, გახსოვდეს, სამუხრუჭე სინათლეები არ აანთო. თუ
დაგჭირდება, საავარიო მუხრუჭი გამოიყენე. ჯერ ცოტათი შევიდეთ ტყეში. არ მინდა, რომ
სახლიდან დაგვინახონ.
რემიმ სიჩქარე მკვეთრად დააგდო და მანქანა ცოცხალ ღობეებს შორის შეიყვანა.
როგორც კი დაბურულ ბილიკზე გავიდნენ, თითქმის იმ წუთშივე მათ თავზე ხეებმა მთვარის
შუქი დამალეს.
ვერაფერს ვხედავ, გაიფიქრა ლენგდონმა და მხედველობა დაძაბა, რომ წინ
ჩრდილები გაერჩია. უკუნეთი სიბნელე იყო. ტოტები ეხახუნებოდა მანქანის მარცხენა
მხარეს და რემიმ საჭე მარჯვნივ მიაბრუნა. დაახლოებით 30 იარდით წინ წაიწია.
შესანიშნავად ართმევ თავს, რემი, უთხრა თიბინგმა, უკვე კარგა შორს უნდა ვიყოთ.
რობერტ, თუ შეიძლება, თითი დააჭირე იმ პატარა ლურჯ ღილაკს სავენტილაციო ხვრელის
ქვეშ, ხედავ?
ლენგდონმა ღილაკი იპოვა და თითი დააჭირა.
სუსტმა ყვითელმა სინათლემ მათ წინ ბილიკი გაანათა და ბილიკის ორივე მხარეს
ჩარიგებული ბუჩქების ძირები გამოაჩინა. ნისლის განათებაა, მიხვდა ლენგდონი. ეს
სინათლე საკმარისი იყო, რომ ბილიკს არ ასცდენოდნენ. თანაც კარგა ღრმად იყვნენ
ტყეში შესულები, რომ სინათლეს ვინმეს ყურადღება მიეპყრო.
კარგია, რემი, განაცხადა კმაყოფილმა თიბინგმა, სინათლე გვაქვს. ახლა შენს
ხელში ვართ.
სად მივდივართ? იკითხა სოფიმ.
ეს ბილიკი ასე, სამ კილომეტრზე მიდის ტყეში, თქვა თიბინგმა, გადაკვეთს მამულს
და შემდეგ ჩრდილოეთით უხვევს. თუ დატბორილ წყალს ან წაქცეულ ხეს არ წავაწყდებით,
მეხუთე გზატკეცილზე უხიფათოდ გავალთ.
უხიფათოდ. ლენგდონს საშინლად სტკიოდა თავი. მან კალთაზე ხის ზარდახშაში
ჩასვენებულ ქვაკუთხედს დახედა. ინკრუსტირებული ვარდი თავის ადგილას, ყუთის
სახურავზე დააბრუნეს და აზრები კი ერეოდა, მაგრამ ძალიან უნდოდა, ისევ ამოეღო
ვარდი და უფრო ყურადღებით დაეთვალიერებინა წარწერები. მან ყუთი გახსნა და ვარდის
ამოღება სცადა. ამ დროს მხარზე თიბინგის ხელის შეხება იგრძნო.
მოითმინე, რობერტ, უთხრა თიბინგმა, აქ ოღროჩოღრო გზაა, მანქანა ჯაყჯაყებს
და თანაც ბნელა. ღმერთმა ნუ ქნას, რამე გაგვიტყდეს. გაღწევას ვეცადოთ, კარგი? ძალიან
მალე დრო ბევრი გვექნება.
თიბინგი მართალი იყო. ლენგდონმა თავი დაუქნია და ისევ ჩაკეტა ყუთი.
შაოსანი ბერი აკვნესდა და თავის გათავისუფლებას შეეცადა. უეცრად გამხეცებულმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფეხების ქნევა დაიწყო.
თიბინგი მიტრიალდა მისკენ და პისტოლეტი დაუმიზნა.
 არ მესმის, რაზე უნდა ჩიოდეთ, სერ. სახლში შემომეჭერით და ჩემს მეგობარს თავი გაუტეხეთ. კანონს არც კი დავარღვევ, ახლავე რომ მოგკლათ და აქ, ტყეში დაგაგდოთ. ბერი ჩაჩუმდა.
 დარწმუნებული ხარ, რომ თან უნდა წამოგვეყვანა? ჰკითხა ლენგდონმა.
შმაკმა წაიღოს, სრულიად! წამოიძახა თიბინგმა. შენ გეძებენ მკვლელობისათვის. ეს ნაძირალა შენი საშვია თავისუფლების მოსაპოვებლად. როგორც ჩანს, პოლიცია სერიოზულად დაგეძებს, რადგან ჩემს სახლამდე მოგდია.
 ჩემი ბრალია, თქვა სოფიმ, ჯავშნიან მანქანას, ეტყობა, გადამცემი ჰქონდა.
 ამას არა აქვს მნიშვნელობა, თქვა თიბინგმა, არ მიკვირს, რომ პოლიციამ გიპოვათ, მაგრამ მე ის მიკვირს, რომ ამ ოპუს დეის წარმომადგენელმა მოგაგნოთ. იქიდან გამომდინარე, რაც მომიყევით, ვერაფრით მიმხვდარვარ, ამ კაცმა როგორ აიღო თქვენი კვალი. მარტოის შემიძლია ვივარაუდო, რომ შეიძლება ნაცნობი ჰყავდეს პოლიციაში ან ციურიხის სადეპოზიტო ბანკში.
ლენგდონი დაფიქრდა. ბეზუ ფაში აშკარად ძალიან იყო მოწადინებული ამ ღამით მომხდარ მკვლელობაში დასადანაშაულებლად განტევების ვაცი ეპოვა, ვერნემ კი მოულოდნელად შეიცვალა მათდამი დამოკიდებულება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ლენგდონს ოთხი კაცის მკვლელობას აბრალებდნენ, ბანკირის განწყობის შეცვლა გასაგები იყო.
 ეს ბერი მარტო არ მუშაობს, უთხრა თიბინგმა, და სანამ არ გაიგებ, ვინ დგას მის უკან, მანამდე ორივე საფრთხეში იქნებით. კარგი ამბავი კი, მეგობრებო, ის არის, რომ ახლა ძალა შენს მხარეზეა. ეს ურჩხული, ჩემ უკან, ფლობს ამ ინფორმაციას, და ვინც არ უნდა მართავდეს მას, ახლა ძალიან შეშინებული უნდა იყოს.
რემი სიჩქარეს უმატებდა, მან კარგად აითვისა ბილიკი. მანქანამ წყალში გაიარა, პატარა აღმართზე ავიდა და ისევ თავდაღმა დაეშვა.
 რობერტ, თუ შეიძლება, ეგ ტელეფონი მომაწოდე, მიუთითა თიბინგმა მანქანის პანელზე დამაგრებულ ტელეფონზე. ლენგდონმა ტელეფონი უკან გადააწოდა და თიბინგმა
ნომერი აკრიფა. იგი კარგა ხანს ელოდა, ვიდრე ვინმე უპასუხებდა. რიჩარდ? გაგაღვიძე? რა თქმა უნდა., პატარა პრობლემა მაქვს. ცოტა ცუდად ვგრძნობ თავს. მკურნალობა მჭირდება... მე და რემი უნდა მოვხვდეთ კუნძულებზე... იცი, სასწრაფოდ მჭირდება გამგზავრება. მაპატიე, ბოლო წუთში რომ შეგატყობინე. შეგიძლია "ელიზაბეთი" დაახლოებით ოც წუთში მოამზადო? ვიცი, ეცადე, როგორც შეგიძლია. მალე გნახავ. მან ტელეფონი გათიშა.
 "ელიზაბეთი"?
 ჩემი თვითმფრინავია. იგი იმდენი დამიჯდა, თითქოს დედოფალი მეყიდოს.
ლენგდონი მთელი ტანით მოტრიალდა და თიბინგს შეხედა.
 რა მოხდა? ჰკითხა თიბინგმა, ხომ არ გგონიათ, შეგიძლიათ საფრანგეთში დარჩეთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც მთელი საფრანგეთის პოლიცია დაგეძებთ. ლონდონი უფრო უსაფრთხო ადგილი
იქნება.
სოფიც თიბინგისკენ იყო მობრუნებული.
თქვენი აზრით, ქვეყანა უნდა დავტოვოთ?
მეგობრებო, მე უფრო მეტი გავლენა ცივილიზებულ სამყაროში მაქვს, ვიდრე აქ, საფრანგეთში. უფრო მეტიც, გრაალი, როგორც ცნობილია, დიდ ბრიტანეთშია. თუ ჩვენ გავხსნით ქვაკუთხედს, დაწრმუნებული ვარ, ვიპოვით რუკას, რომელიც მიგვანიშნებს, რომელი მიმართულება ავირჩიოთ.
თქვენთვის ძალიან დიდი რისკია ჩვენი დახმარება, თქვა სოფიმ, ამით საფრანგეთის პოლიციას გადაიმტერებთ.
თიბინგმა სიძულვილით გაიქნია ხელი.
საფრანგეთში მე მოვრჩი საქმეს. აქ იმისთვის გადმოვედი, რომ ქვაკუთხედი მეპოვა. ეს საქმე ახლა გაკეთებულია. არ ვნანობ, თუ შატო ვილეს არასოდეს აღარ ვნახავ.
სოფი დაეჭვებული ჩანდა.
აეროპორტის საბაჟოს როგორ დავაღწევთ თავს?
თიბინგმა ჩაიხითხითა.
მე ლე ბურჟედან მივფრინავ . ეს სპეციალური ასაფრენი მინდორი აქედან არც ისე შორს არის. ფრანგი ექიმები მანერვიულებენ, ამიტომ ყოველ ორ კვირაში ერთხელ ინგლისში დავფრინავ სამკურნალოდ. მე ორივე მხარეს გვარიანად ვუხდი, რომ განსაკუთრებული პრივილეგიებით ვისარგებლო. როდესაც ჰაერში ვიქნებით, შეგიძლიათ
გადაწყვიტოთ, გინდათ თუ არა, რომ ამერიკის საელჩოსთან ვინმე დაგვხვდეს.
უცებ ლენგდონმა იგრძნო, რომ საელჩოსთან არავითარი შეხება არ უნდოდა. მას მხოლოდ ქვაკუთხედზე, წარწერაზე და წმინდა გრაალთან შეხვედრაზე შეეძლო ფიქრი.
ახლა ისღა ადარდებდა, იყო თუ არა სწორი თიბინგის აზრი ბრიტანეთის შესახებ.
მართალია, თანამედროვე ლეგენდების უმრავლესობა გრაალს გაერთიანებულ სამეფოში უჩენს ადგილს. ახლა მიაჩნიათ, რომ მეფე არტურის იდუმალი, გრაალთან მჭიდროდ დაკავშირებული ავალონის კუნძული სხვა არა არის რა, თუ არა ინგლისის გლასტონბერის
საგრაფო. სადაც არ უნდა ყოფილიყო დამალული ბარძიმი, ლენგდონი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მის ძებნას შეუდგებოდა. სანგრილის დოკუმენტები. იესო ქრისტეს ჭეშმარიტი ისტორია. მარიამ მაგდალინელის სამარხი. უცებ იგრძნო, თითქოს ამ ღამის განმავლობაში რაღაცნაირ გარსში იყო... რაღაც ბუშტში, რომელშიც რეალური სამყარო ვერ აღწევდა და მას პირადად ვერ სწვდებოდა.
სერ! თქვა რემიმ, მართლა ფიქრობთ ინგლისში სამუდამოდ დაბრუნებას?
რემი, შენ არ იღელვო, დაარწმუნა თიბინგმა, მარტო ის, რომ დედოფლის მფარველობის ქვეშ გადავდივარ, არ ნიშნავს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ქატოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეჭამანდით დავკმაყოფილდები. იმედი მაქვს, სამუდამოდ შემომიერთდები. დევონშირში
შესანიშნავი ვილის ყიდვას ვაპირებ და შენს ყველა ნივთს სასწრაფოდ გადმოვზიდავთ.
თავგადასავალი, რემი. ეს იქნება თავგადასავალი.
ლენგდონმა ნაძალადევად გაიღიმა. როდესაც თიბინგი გატაცებით აწყობდა
ბრიტანეთში თავისი ტრიუმფალური დაბრუნების გეგმებს, ლენგდონს თითქოს ამ კაცის
ენთუზიაზმი გადაედო.
იგი უაზროდ გაჰყურებდა ფანჯრიდან ტყეებს, რომლებსაც მოჩვენებასავით ყვითელი
ფერი დაჰკრავდა სანისლე ფარების გამო. უკანა სარკე შიგნით იყო გადმოხრილი. ტოტები
ეხლებოდა და ლენგდონს შეეძლო სოფის ანარეკლი დაენახა. ის კი ამ დროს წყნარად
იჯდა უკან. ლენგდონი დიდხანს უყურებდა სოფის დამზარდი კმაყოფილება დაეუფლა.
მიუხედავად გადატანილი უსიამოვნებებისა, ლენგდონი ბედნიერი იყო, რომ მასთან ერთად
აღმოჩნდა.
რამდენიმე წუთის შემდეგ, თითქოს ლენგდონის მზერა იგრძნო, სოფი წინ გადმოიხარა
და მხრებზე ხელი დაადო.
კარგადა ხარ?
ჰო, მიუგო ლენგდონმა, მეტნაკლებად.
სოფი ისევ მიეყრდნო საზურგეს და ლენგდონმა შეამჩნია, როგორ გადაურბინა მას
ტუჩებზე წყნარმა ღიმილმა და მიხვდა, რომ თვითონაც იღიმებოდა.
"რეინჯ როვერის" საბარგულში ჩატენილი სილასი ძლივს სუნთქავდა. მას ხელები
ზურგს უკან ჰქონდა გადაგრეხილი და სამზარეულოს თოკითა და წებოვანი ლენტით
შეკრული. გზაზე ყოველი ორმო საშინელ ტკივილს ჰგვრიდა. კიდევ კარგი, ძაძა მაინც
მოხსნეს. პირზე აკრული ლენტის გამო, მას მხოლოდ ცხვირით თუ შეეძლო სუნთქვა.
მაგრამ ახლა ნესტოები თანდათანობით ეხშობოდა სატვირთო ნაწილში დაგროვილი
მტვრით. ხველება აუვარდა.
მგონი, იხრჩობა, თქვა შეწუხებულმა ფრანგმა მძღოლმა.
ბრიტანელი, რომელმაც სილასს ყავარჯენი ჩაარტყა, ახლა მისკენ მიბრუნდა, შეხედა
ყურადღებით და ცივად დაიბღვირა.
შენდა საბედნიეროდ, ჩვენ, ბრიტანელები, ვაფასებთ ადამიანის ცივილურობას არა
იმით, თუ როგორ თანაუგრძნობს იგი თავის მეგობრებს, არამედ იმით, რამდენად
მოწყალეა იგი მტრების მიმართ, ბრიტანელი გადაიწია, სილასს პირზე დაკრულ ლენტზე
დასწვდა და ერთი სწრაფი მოძრაობით ააძრო.
სილასს ტუჩებზე თითქოს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ ფილტვებში ჩაღვრილმა ჰაერმა
დიდი ბედნიერება მოუტანა. ეს ღვთის საჩუქარი იყო.
ვის ემსახურები? მოსთხოვა პასუხი ბრიტანელმა.
მე ღვთის საქმეს ვასრულებ, თქვა მან და ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა, რადგან
ყბა სტკიოდა. ქალმა ამ ადგილას მიარტყა.
შენ ოპუს დეის ეკუთვნი, უთხრა კაცმა. ეს შეკითხვა არ იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შენ არ იცი, მე ვინა ვარ.
რაში სჭირდება ოპუს დეის ქვაკუთხედი?
სილასს არ ჰქონდა პასუხის გაცემის სურვილი. ქვაკუთხედი კავშირი იყო წმინდა გრაალთან, ხოლო წმინდა გრაალი, თავის მხრივ, იყო რწმენის დასაცავი გასაღები.
მე ღვთის საქმეს ვაკეთებ. სამეუფო გზა უდიდესი საშიშროების წინაშე დგას.
ახლა, "რეინჯ როვერში" ჩაგდებული სილასი თოკებისგან თავის დახსნას ცდილობდა. ის წუხდა, რომ მოძღვარსა და ეპისკოპოსს სამუდამოდ გადაუწურა იმედი. საშუალება არ ჰქონდა, რომ მათ დაჰკავშირებოდა და მოეხსენებინა, რა საშინლად განვითარდა მოვლენები. ჩემს დამჭერებსა აქვთ ქვაკუთხედი! ბარძიმთან ისინი მიგვასწრებენ. უკუნეთ სიბნელეში სილასი ლოცულობდა. ღვთისადმი ვედრებას მისი ტკივილი ასაზრდოებდა. სასწაული, უფალო. სასწაული მჭირდება. სილასმა არ იცოდა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ ვედრება აუხდებოდა.
რობერტ! სოფი ისევ მას უყურებდა, ღიმილმა გადაგირბინა სახეზე.
ლენგდონმა უკან გამოხედა სოფის, და გააცნობიერა, რომ ყბა გაშეშებოდა და გული სწრაფად უცემდა. სრულიად წარმოუდგენელმა აზრმა გაუელვა თავში. შეიძლება, რომ ასეთი მარტივი ახსნა არსებობდეს?
სოფი, შენი მობილური მჭირდება.
ახლა?
მგონი რაღაცას მივხვდი.
რას?
ძალიან მალე გეტყვი. შენი ტელეფონი მჭირდება.
სოფი შეწუხებული ჩანდა.
არა მგონია, ფაში მობილურს აკონტროლებდეს, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, წუთს არ გადააცილო, სოფიმ ტელეფონი მიაწოდა.
როგორ დავრეკო შტატებში?
ვისაც ურეკავ, იმან უნდა გადაიხადოს ლაპარაკის ღირებულება. ჩემს ტელეფონს ტრანსატლანტიკური სერვისი არა აქვს.
ლენგდონმა ნოლი აკრიფა. მან იცოდა, რომ მომდევნო სამოც წამში მას შეიძლება მიეღო პასუხი კითხვაზე, რომელიც მთელი ღამე აწვალებდა.
თავი 68
ნიუორკელი გამომცემელი ჯონას ფოკმენი ისის იყო ლოგინში შეძვრა დასაძინებლად, რომ ტელეფონმა დარეკა. ცოტა არ იყოს, გვიანია დარეკვისთვის, ჩაიბუზღუნა მან და ყურმილი აიღო.
ოპერატორის ხმა გაისმა:
გადაიხდით რობერტ ლენგდონისგან მიღებული ზარის საფასურს?
გაოცებულმა ჯონასმა სინათლე აანთო.
აა... რასაკვირველია, გადავიხდი.
ტკაცუნის ხმა მოისმა.
ჯონას!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობერტ, მაღვიძებ და თან ამაში ფულსაც მახდევინებ?
ჯონას, მაპატიე, ვიცი, დაგპირდი, რომ ამ კვირაში რედაქტირებულ ვარიანტს გამოგიგზავნიდი, მაგრამ იმდენი საქმე მაქვს, ვიხრჩობი. გპირდები, შემდეგ ორშაბათს იქნება მზად.
არა, ამჯერად ეგ არ მაწუხებს. მარტო ერთი მინდა ვიცოდე. ხომ არ გაგიგზავნია ვინმესთვის რომელიმე ასლი მოკლე ანოტაციებისთვის ისე, რომ ჩემთვის არ გითქვამს?
ფოკმენი ყოყმანობდა. ლენგდონის უახლესი ხელნაწერი ქალღმერთის თაყვანისცემის ისტორიის გამოკვლევა შეიცავდა რამდენიმე ნაწილს მარიამ მაგდალინელის შესახებ, რომელიც ბევრს გააკვირვებდა. მართალია, მასალა კარგად იყო დასაბუთებული და სხვების მიერაც იყო განხილული, მაგრამ ფოკმენი არ აპირებდა ლენგდონის წიგნების სერიაში ახალი მასალის დაბეჭდვას რამდენიმე მხარდამჭერი გამოხმაურების გარეშე. საჭირო იყო სერიოზული ისტორიკოსებისა და გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნეების აზრი. ჯონასმა ხელოვნების სამყაროში ცნობილი ათი სახელი აარჩია და თითოეულ მათგანს გაუგზავნა ხელნაწერის ნაწილები ზრდილობიანი წერილითურთ, სადაც მოკლე მხარდამჭერი ტესტის დაწერას სთხოვდა წიგნის სუპერზე დასაბეჭდად. ფოკმენის გამოცდილებით, ბევრი სიამოვნებით იყენებდა ასეთ შესაძლებლობას, რომ თავისი სახელი წიგნის გარეკანზე ეხილა.
ჯონას! ჩააცივდა ლენგდონი, შენ ჩემი ხელნაწერი დააგზავნე, არა?
ფოკმენი მოიღუშა, მიხვდა, რომ ლენდგონი უკმაყოფილო იყო ამით.
ხელნაწერი წესრიგში იყო და მიდნოდა გამეკვირვებინე ერთორი შესანიშნავი მხარდამჭერის გამოხმაურებით.
პაუზა იყო.
ერთი ასლი პარიზში ლუვრის კურატორს გაუგზავნე?
მაშ როგორ? შენს ხელნაწერში რამდენჯერმეა მოხსენიებული მისი ლუვრის კოლექცია, მისი წიგნები ბიბლიოგრაფიაში გაქვს გამოყენებული და ამას გარკვეული გავლენა ექნება წიგნის საზღვარგარეთ გაყიდვაზე. სონიერი ჩვენი კოზირი იყო.
მეორე მხარეს სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა.
როდის გაგზავნე?
დაახლობით ერთი თვის წინ. ისიც კი ვახსენე, რომ მალე პარიზში იქნებოდი და აზრი მივაწოდე, რომ შეგეძლოთ ერთმანეთს შეხვედროდით და გესაუბრათ, დაგირეკა? ფოკმენი
შეყოვნდა, თვალები მოიფშვნიტა. მოიცა, შენ ამ კვირაში პარიზში არ უნდა ყოფილიყავი?
პარიზში ვარ.
ფოკმენი წამოჯდა.
შენ რა, პარიზიდან დარეკვის საფასურს მახდევინებ?
ჰონორარიდან გამომიქვითე, ჯონას. სონიერმა მას მერე დაგირეკა? მოეწონა ხელნაწერი?
არ ვიცი. ჯერ მისგან არაფერი მიმიღია.
კარგი, ნუ დაფრთხი. უნდა გავიქცე, თუმცა ეს ბევრ რამეს ნათელს ჰფენს. გმადლობ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობერტ...
მაგრამ ლენგდონმა ტელეფონი გათიშა.
ფოკმენმა ყურმილი დადო, თავი გააქნია საყვედურის ნიშნად. ავტორები, გაიფიქრა, ჯანმრთელებიც კი აფრენენ.
"რეინჯ როვერში" ლი თიბინგმა გადაიხარხარა.
რობერტ, შენ ამბობ, რომ შრომა დაწერე, რომელშიც ღრმად შეისწავლე საიდუმლო საზოგადოება და შენმა რედაქტორმა გაუგზავნა ასლი ამ საიდუმლო საზოგადოებას?
როგორც ჩანს, უპასუხა ლენგდონმა.
გარემოებათა ბოროტი დამთხვევაა, მეგობარო.
სულაც არაა დამთხვევა. ლენგდონმა ეს იცოდა. ჟაკ სონიერისთვის იმის თხოვნა, რომ ქალღმერთის თაყვანისცემის კულტისადმი მიძღვნილი ხელნაწერი განეხილა, ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც ტაიგერ ვუდებისთვის იმის თხოვნა, რომ რეკლამა გაეწიათ წიგნისთვის გოლფის შესახებ.
აი მილიონდოლარიანი შეკითხვა, თქვა ხითხითით თიბინგმა, შენი პოზიცია საძმოს მიმართ დადებითი იყო თუ უარყოფითი?
ლენგდონი მიხვდა, რას გულისხმობდა თიბინგი. ბევრ ისტორიკოსს აინტერესებს, რატომ არის ამ ხნის მანძილზე სანგრილის დოკუმენტები ჯერ კიდევ დამალული. ზოგი თვლის რომ ეს ინფორმაცია დიდი ხნის წინ უნდა გამხდარიყო ყველასათვის ცნობილი.
მე არავითარი პოზიცია არ გამომიხატავს საძმოს საქმიანობის მიმართ.
რა, მართლა არავითარი პოზიცია არა გაქვს?
ლენგდონმა მხრები აიჩეჩა. თიბინგი აშკარად იმის მომხრე იყო, რომ ეს დოკუმკენტები ყველასათვის მისაწვდომი გამხდარიყო.
მე მხოლოდ საძმოს ისტორია გადმოვეცი და დავახასიათე ისინი, როგორც ქალღმერთის მფლობელები და უძველესი დოკუმენტების მცველები.
სოფიმ მას შეხედა.
შენ ქვაკუთხედიც ახსენე?
ლენგდონი შეცბა. მან ახსენა ქვაკუთხედი, თანაც ბევრჯერ.
სავარაუდო ქვაკუთხედი იმის მაგალითად გამოვიყენე, რა შორს შეიძლება წავიდეს საძმო, რომ სანგრილის დოკუმენტები დაიცვას.
სოფი გაკვირვებული ჩანდა.
მე მგონი, ეს ხსნის ფრაზას P.S. მოძებნე რობერტ ლენგდონი.
ლენგდონი გრძნობდა, რომ სინამდვილეში მის ხელნაწერში იყო კიდევ რაღაც, რამაც სონიერს ინტერესი აღუძვრა, მაგრამ ეს ისეთი თემა იყო, რომელზეც ის და სოფი მხოლოდ მაშინ ისაუბრებდნენ, როცა მარტო დარჩებოდნენ.
ამრიგად, თქვა სოფიმ, შენ ტყუილი უთხარი კაპიტანფაშს.
რატომ? ჩაეკითხა ლენგდონი.
შენ ხომ უთხარი, რომ ბაბუასთვის არასდროს არ მიგიწერია.
მე არა! ჩემმა გამომცემელმა გაუგზავნა მას ხელნაწერი.
დაფიქრდი, რობერტ. თუ კაპიტანი ბეზუ ფაში ვერ იპოვის კონვერტს, რომლითაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შენმა გამომცემელმა გამოგზავნა ხელნაწერი, იგი იძულებული იქნებდა დაასკვნას, რომ შენ გაუგზავნე ხელნაწერი, სოფი შეჩერდა, და კიდევ უფრო უარესი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება. შენ თავად მიიტანე ხელნაწერი და ტყუილი თქვი.
როდესაც "რეინჯ როვერმა" ლე ბურჟეს აეროდრომამდე მიაღწია, რემიმ მანქანა პატარა ანგართან მიიყვანა, მინდვრის შორეულ ბოლოში. მათკენ სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა დაჭმუჭნულ ხაკისფერკომბინიზონიანი კაცი, ჩამოსულებს ხელი დაუქნია და ფართოდ გაუღო უზარმაზარი დაგრეხილი ლითონის კარი. გამოჩნდა გაწკრიალებული ლაპლაპა თეთრი თვითმფრინავი.
ლენგდონი მბზინავ მანქანას მიაშტერდა.
ეს არის "ელიზაბეთი"?
თიბინგმა გაიცინა.
დაწყევლილ სრუტეს ამარცხებს.
ხაკისფერსამოსიანი კაცი მათკენ წამოვიდა სწრაფი ნაბიჯით. იგი თვალებს ჭუტავდა ფარების სინათლეზე.
თითქმის მზად არის, სერ. დაიძახა მან ბრიტანული აქცენტით, ბოდიშს გიხდით, რომ გალოდინეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ გამაოგნეთ და... მან ფრაზა შუაზე გაწყვიტა, როდესაც დაინახა, თუ ვინ გადმოვიდა მანქანიდან. მან რიგრიგობით შეხედა ჯერ
სოფის, შემდეგ ლენგდონს და ბოლოს თიბინგს.
მე და ჩემს მეგობრებს სასწრაფო საქმე გვაქვს ლონდონში, უთხრა თიბინგმა, სალაპარაკოდ არ გვცალია. მოემზადე, რომ სასწრაფოდ გავემგზავროთ. თიბინგმა პისტოლეტი გადმოიღო მანქანიდან და ლენგდონს გადასცა.
იარაღის დანახვაზე მფრინავს გაოცებისგან თვალები გადმოუცვივდა. იგი მივიდა თიბინგთან და ჩასჩურჩულა:
დიდი ბოდიში, სერ, მაგრამ ჩემი დიპლომატიური ნებართვა მხოლოდ თქვენზე და თქვენს მსახურზე ვრცელდება. მე არა მაქვს თქვენი სტუმრების წაყვანის უფლება.
რიჩარდ, უთხრა თიბინგმა, თან თბილად გაუღიმა, ორი ათასი გირვანქა სტერლინგი და ეს დატენილი იარაღი ამბობს, რომ შენ შეგიძლია ჩემი სტუმრების წაყვანა, მან თავის მანქანაზე მიუთითა, და კიდევ იმ უბედურისა, მანქანაში უკან რომ წევს.
თავი 69
"გარეტ" TFE731 ტურბორეატიულმა ძრავებმა დაიგრუხუნა და საშინელი ძალით მოსწყვიტა მიწას "ჰოუკერ 731" მოდელის თვითმფრინავი. ფანჯრის მიღმა ლე ბურჟეს ასაფრენი მინდორი ელვის სისწრაფით შორდებოდა მათ.
ამ ქვეყნიდან გავრბივარ, გაიფიქრა სოფიმ. სხეულით სკამს იყო მიჯაჭვული. ამ წუთიდან სჯეროდა, რომ ფაშსა და მას შორის გამართული კატათაგვობანას თამაში გამართლებული იყო. ვცდილობდი უდანაშაულო ადამიანი დამეცვა. მომაკვდავი ბაბუას უკანასკნელი სურვილის ასრულებას ვცდილობდი. სოფიმ იცოდა, რომ ეს შესაძლებლობა ეს წუთია გაქრა. იგი ქვეყანას ტოვებდა საბუთების გარეშე, თან ახლდა ადამიანს, რომელსაც პოლიცია ეძებდა და თან მიჰყავდათ გაკოჭილი მძევალი. თუკი ქვეყნად სადმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

”საღი აზრი” არსებობდა, სწორედ ახლა გადაუსვა ხაზი. ზებგერითი სიჩქარით. სოფი ლენგდონთან და თიბინგთან ერთად იჯდა, მფრინავის კაბინაში შესასვლელთან ახლო. Fan Jet Executive Elite Design, იუწყებოდა კარზე დამაგრებული ოქროს მედალიონი. ხავერდგადაკრული სავარძლები მიმაგრებული იყო იატაკზე გაყვანილ საგანგებო რელსებზე, ისე, რომ შეიძლებოდა მათი ადგილის შეცვლა და ხის მართკუთხა მაგიდის ირგვლივ დამაგრება, რითაც პატარა საკონფერენციო დარბაზი მიიღებოდა. თუმცა ეს ღირსეული გარემო ვერ ფარავდა შეუფერებელ ვითარებას უკანა ნაკვეთურში, სადაც განცალკევებულ დასაჯდომ ადგილას საპირფარეშოს კართან, თიბინგის შეიარაღებული მსახური რემი იჯდა და პედანტურად ასრულებდა თიბინგის ბრძანებას: უდარაჯებდა ბერს, რომელიც ბარგივით ეგდო მის ფეხებთან.

სანამ ქვაკუთხედს დავუბრუნდებოდეთ, თქვა თიბინგმა, თუ ნებას მომცემთ, ორიოდე სიტყვას ვიტყვი, მას დამრიგებლური ტონი ჰქონდა, როგორც შვილებთან მოსაუბრე მამას, მეგობრებო, როგორც ჩანს, ამ მოგზაურობაში მე მხოლოდ სტუმრის როლი მაქვს და ეს ჩემთვის დიდი პატივია, და მაინც, როგორც ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე გრაალის ძიებაში გაატარა, ვფიქრობ, ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ, რომ თქვენ სადაცაა შეუდგებით იმ ბილიკს, საიდანაც უკან დაბრუნება შეუძლებელია, მიუხედავად მოსალოდნელი საფრთხისა, იგი სოფის მიუბრუნდა, მის ნევე, თქვენ ბაბუამ მოგცათ კრიპტექსი იმ იმედით, რომ წმინდა გრაალის საიდუმლოს მცველი იქნებოდით.

დიახ.

გასაგებია, რომ თავს ვალდებულად თვლით მიჰყვეთ ამ კვალს, სადაც არ უნდა წაგიყვანოთ მან.

სოფიმ თავი დაუქნია, თუმცა მას მეორე სურვილიც წვავდა. სიმართლე ჩემი ოჯახის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ლენგდონი არწმუნებდა, ქვაკუთხედს არაფერი აქვს საერთო შენს წარსულთანო, სოფი მაინც გრძნობდა, რომ ამ საიდუმლოსთან რაღაც პირადულიც იყო დაკავშირებული. ბაბუას ხელით დამზადებული კრიპტექსი მასთან თითქოს დალაპარაკებას ცდილობდა, რომ იმ სიცარიელის გრძნობიდან გამოეყვანა, თან რომ სდევდა ბოლო წლების განმავლობაში.

ამ ღამით ბაბუათქვენი და კიდევ სამი ადამიანი მოკვდა, განაგრძო თიბინგმა, მათ სიცოცხლე გაწირეს, რომ ქვაკუთხედი ეკლესიას არ ჩავარდნოდა ხელში. ოპუს დეი ძალიან

ახლოს იყო მასთან. იმედი მაქვს, ხვდებით, რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას განიჭებთ ეს ვითარება. თქვენ ჩირაღდანი გადმოგცეს. ორიათასწლიანი ცეცხლი, რომლის ჩაქრობა არ შეიძლება. ამ ჩირაღდანს ბოროტი ხელი არ უნდა დაეპატრონოს. თიბინგი შეჩერდა და ვარდის ხის ყუთს შეხედა, ვხვდები, რომ თქვენ არ დაგიტოვეს არჩევანის უფლება, მის ნევე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ რისკთან არის ეს დაკავშირებული, ეს პასუხისმგებლობა თქვენ ან მთლიანად უნდა იტვირთოთ, ან ვინმე სხვას უნდა გადასცეთ.

ბაბუამ კრიპტექსი მე მომცა. დარწმუნებული ვარ, ფიქრობდა, რომ მე ამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პასუხისმგელობას გავუმკლავდებოდი.
თიბინგი გამხნევდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ სჯეროდა.
კეთილი. ძლიერი ნებისყოფა ამ საქმეში აუცილებელია. და მაინც, მაინტერესებს, თუ ხვდებით იმასაც, რომ კრიპტექსის წარმატებით გახსნას უფრო დიდი გამოცდა მოჰყვება.
ეს როგორ?
ჩემო ძვირფასო, წარმოვიდგინოთ, რომ უცებ თქვენს ხელში აღმოჩნდეს რუკა, რომელიც წმინდა ბარძიმის ადგილმდებარეობას აჩვენებს. იმ მომენტში, თქვენ დაეპატრონებით იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ისტორიის სამუდამოდ შემობრუნება ძალუძს. თქვენ გახდებით იმ სიმართლის მფლობელი, რომელსაც კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე ეძებს. თქვენც დადგებით ამ სიმართლის მსოფლიოსათვის გაცნობის პასუხისმგებლობის წინაშე. მას, ვინც ამას გააკეთებს, მრავალნი აღიარებენ, მაგრამ, ამავე დროს მას ბევრიც შეიძულებს. ისმის კითხვა, შეგწევთ კი თქვენ იმდენი ძალა,
რომ ამ დავალებას მოერიოთ?
სოფი შეყოვნდა.
არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ჩემი გადასაწყვეტია.
თიბინგმა აზიდა წარბები.
არა? მაშ ვინ უნდა გადაწყვიტოს ეს, თუ არა ქვაკუთხედის მფლობელმა?
საძმომ, რომელიც წარმატებით იცავდა ამ საიდუმლოს ამდენი ხნის მანძილზე.
საძმომ? თიბინგი სკეპტიკურად გამოიყურებოდა, კი მაგრამ, როგორ? სიონის პრიორატმა ძლიერი დარტყმა მიიღო ამ ღამით. მას თავი მოჰკვეთეს, როგორც თქვენ სამართლიანად აღნიშნეთ. შესაძლოა, მის რიგებში გაჩნდა ჯაშუში ან გამცემი. ჩვენ ამას ვერასდროს ვერ გავიგებთ. მაგრამ ფაქტიფაქტად რჩება, ვიღაცამ გამოავლინა მისი ოთხი ყველაზე მაღალი რანგის წევრის ვინაობა. თქვენს ადგილას მე არ ვენდობოდი იმას, ვინც ამ ეტაპზე საძმოს სახელით გამოჩნდებოდა.
თქვენ რას გვთავაზობთ? ჰკითხა ლენგდონმა.
რობერტ, შენც იცი, რომ საძმო ამ ჭეშმარიტებას იმისთვის არ იცავდა, რომ ის უსასრულოდ ყოფილიყო დამალული. ისინი ისტორიის შესაფერის მომენტს ელოდნენ, რომ სიმართლე გამოეაშკარავებინათ^იმ დროს, როდესაც მსოფლიო მზად იქნებოდა ამ სიმართლის მოსასმენად.
შენ ფიქრობ, რომ ეს დრო დადგა? ჰკითხა ლენგდონმა.
სრულიად დარწმუნებული ვარ. ყველა საჭირო ისტორიული ნიშანი ხილულია. და თუ საძმო მალე არ აპირებს ამ სიმართლის გამოცხადებას, რატომ დაესხა მას ეკლესია სწორედ ახლა?
სოფი შეეკამათა.
ბერს ჩვენთვის ჯერ არ უთქვამს, რისთვის უნდოდა ქვაკუთხედი.
ამ ბერის მიზანი იგივეა, რაც ეკლესიის მიზანი, უპასუხა თიბინგმა. ეს არის დიდი სიცრუის გამომააშკარავებელი დოკუმენტების განადგურება. ამ ღამით ეკლესია ისე ახლო მივიდა თავის მიზანთან, როგორც არასდროს. საძმომ კი თქვენ აგირჩიათ თავის ნდობით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აღჭურვილ პირად, მის ნევე, წმინდა გრაალის გადარჩენის საქმე ითვალისწინებს საძმოს ბოლო სურვილის ასრულებასა და სიმართლის გამჟღავნებას მთელი მსოფლიოსათვის.
ლი, სოფისათვის ამ გადაწყვეტილების მიღება უზარმაზარი ტვირთია. მან ხომ სულ რაღაც ერთი საათის წინ გაიგო ამ დოკუმენტების არსებობა, ჩაერია ლენგდონი. თიბინგმა ამოიოხრა.
მაპატიეთ, თუ ძალას გატანთ, მის ნევე. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს დოკუმენტები სახალხოდ უნდა გამოქვეყნდეს, მაგრამ, უეჭველია, საბოლოო გადაწყვეტილება თქვენი მისაღებია. მე მგონი, რომ თქვენ უკვე უნდა დაიწყოთ იმაზე ფიქრი, თუ რა მოხდება, თუ ჩვენ ქვაკუთხედს გავხსნით.
ბატონებო, თქვა სოფიმ მტკიცე ხმით, თქვენივე სიტყვები რომ გავიმეორო, "ბარძიმს შსენ არ იპოვი, ბარძიმი თავად გიპოვის შენ". მე მგონი, ვიწყებ იმის დაჯერებას, რომ გრაალმა თავად მე მიპოვა გარკვეული მიზნით და დრო რომ მოვა, მეცოდინება, რა უნდა ვქნა.
ორივე მამაკაცი გააოცა ამ პასუხმა.
ამიტომ, თქვა მან და ვარდის ხის ზარდახშაზე მიუთითა, საქმეს შევუდგეთ.
თავი 70
შატო ვილეს სასტუმრო ოთახში მდგარი ლეიტენანტი კოლე გულგატეხილი და დადარდიანებული უყურებდა, როგორ ქრებოდა ბუხარში ცეცხლი. კაპიტანი ფაში რამდენიმე წამის წინ მოვიდა და ახლა გვერდით ოთახში ტელეფონში ღრიალებდა. იგი დაკარგული "რეინჯ როვერის" ძიების კოორდინირებას ცდილობდა.
ამ დროისათვის, სადაც გინდა, იქ შეიძლება იყოს, ფიქრობდა კოლე.
იგი არ დაემორჩილა ფაშის ბრძანებას და მეორედ დაკარგა ლენგდონი. მას ერთადერთი რამ ამართლებდა: პოლიციამ იატაკზე აღმოაჩინა ტყვიის ნაკვალევი. ეს ადასტურებდა კოლეს განცხადებას, რომ ნამდვილად გაისროლეს. ფაში მაინც საშინელ ხასიათზე იყო და კოლე გრძნობდა, რომ უახლოეს მომავალში ამას საზარელი შედეგი მოჰყვებოდა.
სამწუხაროდ, ყველა აქ ნაპოვნი სამხილი არაფერს ამბობდა იმაზე, თუ რა მოხდა, ან ვინ იყო ჩარეული. გარეთ მდგარი შავი "აუდი" ნაქირავები იყო ყალბი სახელით, ყალბი საკრედიტო ბარათის ნომრებით, მანქანაზე დატოვებული თითის ანაბეჭდები კი არავისას არ ემთხვეოდა ინტერპოლის კარტოთეკაში.
სასტუმრო ოთახში აგენტი შემოვიდა. თვალებში ეტყობოდა, რომ რაღაც სასწრაფო ინფორმაცია ჰქონდა, ფაში სად არის?
კოლემ ძლივს მოსწყვიტა თვალი მოგუზგუზე ნაკვერჩხალს.
ტელეფონით ლაპარაკობს.
მოვრჩი ტელეფონით ლაპარაკს, მოკლედ მოჭრა ფაშმა და ოთახში შემოაბიჯა, რა გაქვს?
სერ, ცენტრალურმა ზარი მიიღო ანდრე ვერნერისგან, ციურიხის სადეპოზიტო ბანკიდან. მას პირადად თქვენთან უნდა ლაპარაკი. იგი ცვლის ჩვენებას, მოახსენა აგენტმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართლა? თქვა ფაშმა.
ახლა კოლემ ამოიხედა.
ვერნე ამტკიცებს, რომ ლენგდონი და სოფი ამ ღამით მის ბანკში იყვნენ რაღაც დროის განმავლობაში.
ამას ჩვენც მივხვდით, თქვა ფაშმა. რატომ იცრუა ვერნემ?
მან თქვა, რომ მხოლოდ თქვენ დაგელაპარაკებათ, მაგრამ დაგვთანხმდა, რომ ყველაფერში დაგვეხმაროს.
სანაცვლოდ რას ითხოვს?
რომ ახალ ამბებში მისი ბანკის სახელი არ მოხვდეს და გვთხოვს, რაღაც მოპარული საკუთრების დაბრუნებაში დავეხმაროთ. თითქოს ლენგდონმა და ნევემ სონიერის ანგარიშიდან რაღაც მოიპარეს.
რაო? იკითხა კოლემ, როგორ?
ფაშს მისკენ არც გაუხედავს, იგი მეორე აგენტს მიშტერებოდა.
რა მოიპარეს?
ვერნეს არ დაუკონკრეტებია, მაგრამ, ეტყობა რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა, რომ უკან დააბრუნოს.
კოლე მომხდარის წარმოდგენას შეეცადა, იქნებ ლენგდონმა და ნევემ ბანკის თანამშრომელი იარაღით დააშინეს? ალბათ მათ აიძულეს ვერნე, სონიერის ანგარიში გაეხსნა და ჯავშნიანი სატვირთო მანქანით გაქცევაში დახმარებოდა. ეს ჭკუასთან ახლო იყო, მაგრამ კოლეს უჭირდა იმის დაჯერება, რომ სოფი ნევე შეიძლება მსგავს რამეში ყოფილიყო გარეული.
სამზარეულოდან მეორე აგენტმა დაუყვირა ფაშს:
კაპიტანო! ბატონი თიბინგის ნომრებს ვათვალიერებდი და ლე ბურჟეს აეროდრომს დავუკავშირდი. ცუდი ამბები გავიგე.
ოცდაათ წამში ფაში უკვე ალაგებდა ნივთებს და შატო ვილედან წასასვლელად ემზადებოდა. მან გაიგო, რომ თიბინგს საკუთარი თვითმფრინავი ჰყოლია ლე ბურჟეს აეროდრომთან ახლოს და დაახლოებით ნახევარი საათის წინ ეს თვითმფრინავი აფრინდა. ლე ბურჟეს წარმომადგენელი ირწმუნებოდა, რომ არ იცოდა, ვინ იყო თვითმფრინავში
და საით გაფრინდა. აფრენა განრიგის გარეშე იყო, ამიტომ არავითარი გეგმა არ ყოფილა წარმოდგენილი. ეს პატარა აეროდრომისთვისაც დაუშვებელი იყო. ფაში ფიქრობდა, რომ სათანადო ზეწოლით იგი თავისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხს ნამდვილად მიიღებდა.
ლეიტენანტო კოლე, დაუყეფა კარისკენ მიმავალმა ფაშმა, სხვა გამოსავალი არა მაქვს და აქ უნდა დაგტოვოთ მიმდინარე გამოძიების სახელმძღვანელოდ. ეცადეთ, ერთხელ მაინც გააკეთოთ თქვენი საქმე სწორად.
თავი 71
როდესაც ჰოუკერი ჰაერში გასწორდა და კურსი ინგლისისკენ აიღო, ლენგდონმა ფრთხილად ასწია თავის კალთაში დასვენებული ვარდის ხის ზარდახშა. როგორც კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზარდახშა მაგიდაზე დადგა, იგრძნო, როგორ გადმოიხარნენ წინ მოლოდინით სოფი და თიბინგი.
ლენგდონმა ურდული გასწია და ზარდახშას სახურავი ახადა, მისი ყურადღება კრიპტექსის ასოებიანმა დისკოებმა კი არ მიიპყრო, არამედ პაწაწინა ნახვრეტმა თავსახურის შიდა მხარეს. მან კალმისტრის წვერით თავსახურიდან ფრთხილად ამოიღო ინკრუსტირებული ვარდი და მის ქვეშ დაწერილი ტექსტი გამოაჩინა. ვარდის ქვეშ, ლენგდონი ღრმად ჩაფიქრდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ტექსტის ხელახლა დანახვა რაიმე სიცხადეს მოუტანდა. ლენგდონმა მთელი ძალღონე მოირკიბა და ყურადღებით დააკვირდა ნაწერს.
რამდენიმე წამის შემდეგ იგრძნო, რომ თავდაპირველი სასოწარკვეთილების გრძნობა დაუბრუნდა.
ლი, უბრალოდ ვერაფერს ვერ ვამსგავსებ.
სოფი მაგიდის მეორე მხარეს იჯდა. მისი ადგილიდან ტექსტი ჯერ არ ჩანდა. იგი გაოცებული იყო, რომ ლენგდონმა მაშინვე ვერ შეძლო ენის ამოცნობა. ბაბუა ისეთ ენას ფლობდა, რომელიც თვით სიმბოლიკის ექსპერტმაც კი ვერ ამოიცნო? თუმცა მაშინვე მიხვდა, რომ არაფერი არ უნდა გაჰკვირვებოდა. ეს არ იყო საიდუმლო, რომელსაც ბაბუა მალავდა.
სოფის პირდაპირ მჯდარი თიბინგი სადაცაა მოუთმენლობისგან გასკდებოდა. მას ისე უნდოდა ტექსტის ნახვა, რომ აღგზნებისაგან ცახცახებდა. იგი წინ გადმოიხარა, რომ როგორმე ლენგდონის გვერდიდან მოეკრა თვალი რამისთვის. ლენგდონი ჯერ ისევ ზარდახშას დასტრიალებდა.
არ ვიცი, ჩაიჩურჩულა გულახდილად, თავიდან ვიფიქრე, რომ სემიტური ენამეთქი, მაგრამ ახლა დარწმუნებული აღარა ვარ. ადრეული სემიტური ენები ნიკუდიმს იყენებდნენ.
ამას ეს არა აქვს.
ალბათ უფრო ძველია.
ნიკუდიმს? იკითხა სოფიმ
თიბინგს თვალი არ მოუშორებია ყუთისთვის, ისე უპასუხა.
ყველაზე თანამედროვე სემიტურ ანბანებსაც არა აქვს ხმოვნები და ე.წ. ნიკუდიმს იყენებენ პაწაწინა წერტილებსა და ტირეებს, რომლებიც თანხმოვნების ზევით ან მათ შორის იწერება იმის მისანიშნებლად, თუ რომელი ხმოვანი მოსდევს თანხმოვანს. ნიკუდიმი შედარებით გვიანდელი დამატებაა ენაში.
ლენგდონი ჯერ კიდევ დახრილი იყო ნაწერზე.
იქნებ სეფარდული ტრანსლიტერაციაა...
თიბინგმა ვეღარ მოითმინა:
თუ ნებას დამრთავ... იგი მისწვდა ყუთს, მოაშორა ლენგდონი და თავისკენ მოსწია. ეჭვს გარეშეა, ლენგდონი ღრმად იყო განსწავლული სტანდარტულ ანტიკურ ენებში ბერძნულში, ლათინურში, რომანულ ენებში თუმცა, გაკვრით რაც დაინახა, იქიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამომდინარე, ეს ენა მისი აზრით უფრო სპეციალურს ჰგავდა, ალბათ რაშის ნუსხურია ანუ
გვირგვინებიანი დამწერლობა.
თიბინგმა ღრმად ჩაისუნთქა და ხარბად დააცქერდა ნაწერს. კარგა ხანს ჩუმად იყო.
ყოველ წამს თანდათან ეკარგებოდა რწმენა.
გაოგნებული ვარ, თქვა მან, ამ ენის მსგავსი არაფერი მინახავს!
ლენგდონმა მოიწყინა.
იქნებ მეც შევხედო? ითხოვა სოფიმ.
თიბინგმა წაუყრუა.
რობერტ, შენ თქვი, ამის მსგავსი რაღაც ადრეც მინახავსო.
ლენგდონი უკმაყოფილი და გაბრაზებული ჩანდა.
ასე მეგონა. დარწმუნებული არა ვარ. რაღაც კი მეცნობა ამ ნაწერში.
ლი! გაიმეორა სოფიმ, მას არ მოსწონდა, რომ განაპირებული დარჩა, შეიძლება
შევხედო ყუთს, რომელიც ჩემმა ბაბუამ გააკეთა?
რა თქმა უნდა, ძვირფასო, უთხრა თიბინგმა და ყუთი მიუწია. მას არ უნდოდა, ტონი
დამამცირებელი ჰქონოდა, მაგრამ თვლიდა, რომ სოფი ნევე მათთან ახლოსაც ვერ
მოვიდოდა. თუ ბრიტანეთის სამეფო კარის ისტორიკოსმა და ჰარვარდის სიმბოლოლოგმა
ვერ შეძლეს ენის ამოცნობა...
რა თქმა უნდა, თქვა სოფიმ რამდენიმე წუთის შემდეგ, რაც ყუთი დაათვალიერა,
უნდა მივმხვდარიყავი.
თიბინგი და ლენგდონი ერთდროულად მოტრიალდნენ და სოფის მიაშტერდნენ.
რას უნდა მიმხვდარიყავი? ჩაეკითხა თიბინგი.
სოფიმ მხრები აიჩეჩა.
იმას, რომ ბაბუ სწორედ ამ ენას გამოიყენებდა.
შენ ამბობ, რომ ამ ტექსტის წაკითხვა შეგიძლია? წამოიძახა თიბინგმა.
ძალიან მარტივად, განაცხადა სოფიმ. მას აშკარად ართობდა შექმნილი სიტუაცია.
ბაბუამ ეს ენა შემასწავლა, როდესაც ჯერ კიდევ ექვსი წლის ვიყავი. თავისუფლად
ვმეტყველებ. იგი მაგიდას დაეყრდნო და თიბინგს საყვედურებით სავსე მზერა მიაპყრო,
გულახდილად რომ ვთქვა, სერ, თუ გავითვალისწინებთ თქვენს ერთგულებას და
დამოკიდებულებას სამეფო გვირგვინისადმი, ცოტათი მიკვირს, როგორ ვერ იცანით.
უცებ ლენგდონი ყველაფერს მიხვდა.
რა თქმა უნდა, რა გასაკვირია, რომ ასეთი ნაცნობი მეჩვენებოდა ნაწერი!
რამდენიმე წლის წინ ლენგდონი ერთ ღონისძიებას დაესწრო ჰარვარდის ფოგის
მუზეუმში. ჰარვარდიდან გარიცხული ბილ გეიტსი თავის ალმა მატერს დაბრუნებოდა, რომ
მუზეუმისთვის თავისი ერთერთი უძვირფასესი შენაძენი ეთხოვებინა. ეს იყო
თვრამეტგვერდიანი ხელნაწერი არმან ჰამერის სასახლიდან, რომელიც მას
ახლახანსეყიდა აუქციონზე.
30.8 მილიონი დოლარი გადაიხადა. ამ თხზულების ავტორი ლეონარდო და ვინჩი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს თვრამეტი ფურცელი რომელიც ამჟამად ცნობილია როგორც ლეონარდოს ლესტერის კოდექსი, თავისი გამოჩენილი მფლობელის, ლესტერის გრაფის სახელის მიხედვით ერთადერთი რამაა, რაც ლეონარდოს ყველაზე საინტერესო რვეულიდან შემორჩა. ამ რვეულში თავმოყრილ ესეებსა და ნახაზებში აღწერილი იყო და ვინჩის იმ დროისთვის ძალზე პროგრესული ასტრონომიური, გეოლოგიური, არქეოლოგიური და ჰიდროლოგიური თეორიები.

ლენგდონს არასდროს დაავიწყდება, როგორ იდგა რიგში და როგორც იქნა, იხილა ფასდაუდებელი პერგამენტი. სრული იმედგაცრუება დაეუფლა. გვერდების წაკითხვა შეუძლებელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები იდეალურ მდგომარეობაში

იყო შემონახული და უნაკლო სუფთა ხელწერით იყო დაწერილი ალისფერი მელნით ღია ყვითელ ქაღალდზე ეს ძველი ხელნაწერი უაზრო ნაჯღაბნს ჰგავდა. პირველად ლენგდონმა იფიქრა, ვერ ვკითხულობო, ვინაიდან და ვინჩი არქაული ლათინურით წერდა.

მაგრამ ნაწერის უფრო ყურადღებით დათვალიერების შედეგად მიხვდა, ვერც ერთ იტალიურ სიტყვას ვერ ცნობდა. ერთი ასოც კი არ იყო ნაცნობი.

აბა ასე სცადეთ, სერ, ჩასჩურჩულა გიდმა ქალმა, რომელიც სადემონსტრაციო ყუთთან იდგა. მან ყუთში ჯაჭვით მიმაგრებული ხელის სარკეზე მიუთითა. ლენგდონმა აიღო

სარკე და დაათვალიერა ტექსტი სარკის ზედაპირზე.

უცებ ყველაფერი ნათელი გახდა.

ლენგდონს ისე უნდოდა მოაზროვნის იდეების წაკითხვა, რომ დაავიწყდა, ამ ადამიანის ურიცხვ უნიკალურ ტალანტს შორის ერთი ძალზე საინტერესო. მას შეეძლო დაეწერა სარკეში არეკლილი ტექსტი, რაც, მის გარდა, პრაქტიკულად ყველასთვის გაუგებარი იყო. ისტორიკოსები დღესაც კამათობენ, რა იყო ამის მიზეზი, და ვინჩი უბრალოდ ერთობოდა ამით, თუ თავს იზღვევდა, რომ სხვებს მისი აზრები არ მოეპარათ, ორივე შესაძლებელია. ფაქტი კი ის არის, რომ და ვინჩი იმას აკეთებდა, რაც სიამოვნებდა.

სოფის გულში გაეღიმა. იგი მიხვდა, რომ ლენგდონმა უკვე გამოიცნო, რასაც ის გულისხმობდა, მე შემიძლია წავიკითხო პირველი რამდენიმე სიტყვა, თქვა მან, აქ ინგლისურად წერია.

თიბინგი ჯერ კიდევ დაბნეული იყო.

ამიხსენით, რა ხდება.

შებრუნებული ტექსტია, თქვა ლენგდონმა, სარკე გვჭირდება.

არა, სულაც არა, თქვა სოფიმ, სანაძლეოს ვდებ, ეს ზედაპირი თხელი ხისგან არის დამზადებული, მან ვარდის ხის ყუთი კედელზე დამაგრებული ნათურისკენ გასწია და დაიწყო შიდა მხარის დათვალიერება. ბაბუას სინამდვილეში არ შეეძლო შებრუნებულად წერა. ამიტომ იგი ყოველთვის იტყუებოდა. დაწერდა ჩვეულებრივად, შემდეგ გადაატრიალებდა ფურცელს და მეორე მხარეს გამოჩენილ კვალს შემოავლებდა ხოლმე კალამს. სოფის აზრით, ბაბუამ ხის ნაჭერზე ჩვეულებრივი ტექსტი ამოწვა, მერე კი იქამდე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამუშავებდა ფიცარს ზუმფარით, ვიდრე ისე არ გათხელდა, რომ ამომწვარი ტექსტი მეორე მხარეს გამოჩნდა, ამის შემდეგ კი ხის ფირფიტა უბრალოდ გადააბრუნა და ზარდახშის სახურავში მოათავსა.
როგორც კი სოფიმ თავსახური სინათლესთან ახლოს მიიტანა, დარწმუნდა რომ მართალი იყო. კაშკაშა სინათლის სხივმა ხის თხელი ფენა გაანათა და სახურავის შიდა მხარეს გადმოტრიალებული ტექსტი გამოჩნდა.
სრულიად გასაგები.
ინგლისურია, დაიჩივლა თიბინგმა და შერცხვენილმა თავი დახარა, ჩემი მშობლიური ენა.
თვითმფრინავის უკანა ნაწილში, რემი ლეგალედუკი დაძაბული ცდილობდა გაეგონა, რას ლაპარაკობდნენ წინა ნაწილში, მაგრამ არაფერი ესმოდა. რემის არ მოსწონდა, როგორ ვითარდებოდა მოვლენები. ძალიან არ მოსწონდა. მან გაკოჭილ ბერს დახედა. კაცი ახლა უმოძრაოდ იწვა, თითქოს მდგომარეობას შეეგუა და ახლა ტრანსში იყო, ან შეიძლება ჩუმად ლოცულობდა და ღმერთს შველას სთხოვდა.
თავი 72
თხუთმეტი ათასი იარდის სიმაღლეზე ლენგდონმა იგრძნო, რომ ფიზიკური სამყარო გაქრა და მისმა ყველა აზრმა თავი მოიყარა სონიერის სარკისებრ ლექსზე, რომელიც ახლა განათებული ჩანდა ყუთის თავსახურში.
სოფიმ სწრაფად მოძებნა ქაღალდი და ტექსტი სრულად გადმოწერა. როდესაც დაამთავრა, სამივემ სათითაოდ წაიკითხა. რაღაც არქეოლოგიურ კროსვორდს ჰგავდა... თავისებურ გამოცანას, რომელიც პირობას იძლეოდა, რომ კრიპტექსის საიდუმლოს გახსნიდა. ლენგდონმა ნელა წაიკითხა ლექსი:
გრაგნილი ესე ძველი სიბრძნის სიტყვით იხსნება,
რითაც ოჯახი დაფანტული კვლავ შეიკვრება.
ტამპლიერების საძვალეში არს გასაღები.
ატბაშის შუქი გაგანათლებს, მას თუ გაჰყვები.
სანამ იმაზე დაფიქრებას შეძლებდა, თუ რომელი უძველესი პაროლი იგულისხმებოდა ლექსში, ლენგდონმა იგრძნო, მასში რაღაც უფრო მნიშვნელოვანი აჟღერდა ეს იყო ლექსთწყობა. იამბური პენტამეტრი ხუთტერფიანი იამბი.
წლების მანძილზე ევროპის საიდუმლო საზოგადოებების კვლევის პროცესში ლენგდონს ხშირად შეხვედრია ლექსთწყობის ეს ფორმა. ბოლოს მას შარშან წააწყდა ვატიკანის საიდუმლო არქივებში. საუკუნეების მანძილზე იამბურ პენტამენტრს უპირატესობას ანიჭებდნენ მსოფლიოს პოეტები, დაწყებული ბერძენი არქილოქედან, დამთავრებული შექსპირით, მილტონით, ჩოსერითა და ვოლტერით. ბევრი თვლიდა, რომ ლექსის ამ ფორმას მისტიკური თვისებები აქვს. იამბური პენტამეტრის ფესვები ანტიკური
წარმართობის სიღრმეებში იკარგება.
იამბიკო. ორი მარცვალი საპირისპირო ემფაზით. უმახვილო და მახვილიანი. ინი და იანი. გაწონასწორებული წყვილი. ხუთ რიგად დაწყობილი. პენტამეტრი. ხუთი ვენერას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგიერ ფიგურას და საკრალურ ქალურობას აღნიშნავს.
ეს პენტამეტრია! წამოიძახა თიბინგმა და ლენგდონს მიუბრუნდა. და ლექსიც ინგლისურად არის! La lingua pura!
ლენგდონმა თავი დაუქნია. საძმო, ისევე როგორც ევროპის ბევრი საიდუმლო საზოგადოება, რომელსაც უთანხმოება ჰქონდა ეკლესიასთან, საუკუნეების მანძილზე ინგლისურს ევროპაში ერთადერთ განწმენდილ ენად მიიჩნევდა. ფრანგულს, ესპანურსა და
იტალიურს ფესვები ლათინურ ენაში ჰქონდა და ამიტომ ვატიკანის ენად ითვლებოდა. ინგლისური კი ლინგვისტურად იყო დაშორებული რომის პროპაგანდისტულ მანქანას და ამიტომ იქცა წმინდა, საიდუმლო ენად იმ საძმოებისათვის, სადაც განათლებულ ადამიანებს
ამ ენის შესწავლა შეეძლოთ.
ეს ლექსი, აღმოთქვა თიბინგმა, მოიხსენიებს არა მარტო ბარძიმს, არამედ რაინდ ტამპლიერებს და მარიამ მაგდალინელის დაფანტულ ოჯახს! მეტი რაღა უნდა მოვთხოვოთ?
პაროლი, თქვა სოფიმ, და ისევ ლექსს დახედა, ამ ლექსის მიხედვით ჩვენ რაღაც უძველესი ბრძნული სიტყვა გვჭირდება, არა?
აბრაკადაბრა? ივარაუდა თიბინგმა მოციმციმე თვალებით.
ხუთასოიანი სიტყვა, გაიფიქრა ლენგდონმა. იგი იმ წარმოუდგენელი რაოდენობის უძველეს სიტყვებზე დაფიქრდა, რომლებიც შეიძლება ბრძნულ გამონათქვამებად მივიჩნიოთ. ეს შეიძლება იყოს სიტყვები ამოკრებილი მისტიკური სიმღერებიდან. ასტროლოგიური წინასწარმეტყველებებიდან, საიდუმლო საზოგადოებებში კანონიზების სპეციალური სარიტუალო ტექსტებიდან. უიტაკას ლოცვებიდან, ეგვიპტური საკრალური ტექსტებიდან, წარმართული სარიტუალო სიტყვებიდან. ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ
შეიძლება.
პაროლი, თქვა სოფიმ თითქოს რაღაცით ტამპლიერებთან უნდა იყოს დაკავშირებული. მან ხელახლა წაიკითხა ტექსტი ხმამაღლა, გასაღები საფლავის ქვაა, რომელსაც ტამპლიერები სცემდნენ თაყვანს.
ლი, თქვა ლენგდონმა, ტამპლიერების სპეციალისტი შენ ხარ. რას ფიქრობ?
თიბინგი ცოტა ხანს ჩუმად იყო, შემდეგ კი ამოიოხრა. საფლავის ქვა მართლაც რაღაც სამარხზე მიგვანიშნებს. ეს ლექსი შეიძლება მიგვითითებდეს ტამპლიერების სათაყვანებელ
მარიამ მაგდალინელის სამარხის საფლავის ქვაზე. მაგრამ დიდად არ გამოგვადგება, რადგან არ ვიცით, სად არის მისი სამარხი.
ბოლო სტრიქონში, თქვა სოფიმ, წერია, რომ ატბაში გამოავლენს სიმართლეს.
იცით, მე გამიგია ეს სიტყვა. ატბაში.
არ მიკვირს, უპასუხა ლენგდონმა, კრიპტოლოგიის სახელმძღვანელოში შეგხვდებოდა. ატბაშის შიფრი კაცობიორბისათვის ცნობილი უძველესი კოდია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა თქმა უნდა! გაიფიქრა სოფიმ. ებრაული კოდირების ცნობილი სისტემა.
ატბაშის შიფრი ადრე სოფის კრიპტოლოგიური წრთვნის ნაწილი იყო. ეს შიფრი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წელს შეიქმნა და ახლა იხმარება, როგორც როტაციული მონაცვლეობის სქემის სტანდარტული მაგალითი. ეს ებრაული კრიპტოგრამის ჩვეულებრივი ფორმაა და მარტივი მონაცვლებადი კოდია, რომელიც დაფუძნებულია ოცდაორასოიან ებრაულ ანბანზე. ატბაშის მიხედვით პირველი ასო იცვლება ბოლო ასოთი, მეორე ბოლოდან მეორით და ასე შემდეგ.
ატბაში სწორედ შესაფერისია. თქვა თიბინგმა. ატბაშით კოდირებული ტექსტი აღმოჩენილია მკვდარი ზღვის გრაგნილებში და თვით ძველ აღთქმაშიც. ებრაელი მეცნიერები და მისტიკოსები ატბაშის გამოყენებით ჯერ კიდევ პოულობენ დაფარულ მნიშვნელობებს. საძმოს უეჭველად ექნებოდა პროგრამაში შეტანილი ატბაშის კოდის შესწავლა.
ერთადერთი პრობლემაა, თქვა თიბინგმა, რომ ჩვენ არა გვაქვს ის, რაზეც ამ კოდს მოვარგებდით.
თიბინგმა ამოიოხრა.
საფლავის ქვაზე უნდა ეწეროს რაღაც სიტყვა. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ეს ტამპლიერების სათაყვანებელი საფლავის ქვა.
ლენგდონის სახის გამომეტყველებით სოფი მიხვდა, რომ ტამპლიერების საფლავის ქვის პოვნაადვილი საქმე არ იქნებოდა.
ატბაში გასაღებია, გაიფიქრა ლენგდონმა. მაგრამ კარი არა გვაქვს.
დაახლოებით სამი წუთის შემდეგ თიბინგმა სასოწარკვეთილებით ამოიოხრა და თავი გააქნია.
მეგობრებო, მე ვეღარ ვაზროვნებ. ნება მომეცით ცოტა დავფიქრდე, მანამდე კი რამე საჭმელს მოვიტან და თან რემისა და ჩვენს სტუმარს დავხედავ, იგი ადგა და თვითმფრინავის ბოლოსკენ წავიდა.
სოფიმ მას დაღლილი მზერა გააყოლა.
ფანჯრის იქით სრული სიბნელე იყო, როგორც განთიადის წინ იცის ხოლმე. სოფის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც უგზოუკვლოდ მიაქროლებდა სივრცეში. იგი ბაბუას გამოცანების ამოხსნაში გაიზარდა და ახლა უცნაური შეგრძნება დაეუფლა. ეს ლექსი შეიცავდა ისეთ ინფორმაციას, რომელიც მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ნაპოვნი.
აქ გაცილებით მეტია, უთხრა თავის თავს. ძალიან კარგად დამალული... მაგრამ ის აქ ნამდვილად არის.
მის საფიქრალს ისიც ამძიმებდა, რომ ის, რასაც ისინი ბოლოს და ბოლოს იპოვიდნენ კრიპტექსში, არ იქნებოდა მარტივი. ნამდვილად უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე უბრალოდ გრაალის მოსაძებნი რუკა. თიბინგს და ლენგდონს სჯეროდათ, რომ სიმართლე
შუშის ცილინდრში იყო დამალული, მაგრამ სოფის ბაბუას შედგენილი განძის მოსაძებნი იმდენი გამოცანა ჰქონდა ამოხსნილი, რომ დარწმუნებული იყო, ჟაკ სონიერი საიდუმლოს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასე ადვილად არავის ამოახსნევინებდა.
თავი 73
ბურჟეს აეროდრომის ღამის მორიგე რადარის ცარიელი ეკრანის წინ თვლემდა, როდესაც სასამართლო პოლიციის კაპიტანმა ბრახუნით ლამის ჩამოიღო კარი. თიბინგის თვითმფრინავი, დაიღიალა ბეზუ ფაშმა და სამეთვალყურეო კოშკში შეაბიჯა, საით გაფრინდა!
მორიგე თავდაპირველად შეეცადა, რომ ბრიტანელი კლიენტის საიდუმლო დაეფარა, მაგრამ ვერ მოახერხა.
კეთილი, თქვა ფაშმა, მე თქვენ გაპატიმრებთ, რადგან ნება დართეთ საკუთარ თვითმფრინავს ისე აფრენილიყო, რომ მისი საფრენი გეგმა არ დაგიფიქსირებიათ, ფაშმა მეორე ოფიცერს ანიშნა. აგენტი მორიგეს ხელბორკილებით მიუახლოვდა. მორიგე ძალიან შეშინდა. გაახსენდა გაზეთებში ატეხილი პოლემიკა იმის შესახებ, პოლიციის კაპიტანი ეროვნული გმირი იყო, თუ ქვეყნისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. ყველაფერი ახლა გაცხადდა.
მოითმინეთ! მოესმა მორიგეს საკუთარი სასოწარკვეთილი ხმა, მე მარტო იმის თქმა შემიძლია, რომ სერ ლი თიბინგი ხშირად დაფრინავს ხოლმე ლონდონში სამკურნალოდ. მას აქვს ანგარი კენტში, ბიგინ ჰილის სპეციალურ აეროპორტში, ლონდონის გარეუბანში.
ფაშმა ხელბორკილიანი პოლიციელი შეაჩერა.
ამ ღამით ბიგინ ჰილისკენ გაფრინდა?
არ ვიცი, გულახდილად თქვა კონტროლიორმა, თვითმფრინავი თავისი ჩვეული მარშრუტით გაფრინდა და ბოლოს, მგონი, გაერთიანებული სამეფოდან დაგვიკავშირდა. ყველაზე სავარაუდოა, რომ სწორედ ბიგინ ჰილში გაფრენილიყო.
ვინმე ჰყავდა თვითმფრინავში?
ვფიცავ, სერ, მე ეს არ უნდა ვიცოდე. ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ მანქანით მიადგნენ თავიანთ ანგარს და, როგორც უნდათ, ისე დატვირთონ თვითმფრინავი. ვინ არის თვითმფრინავში, მხოლოდ მიმღები აეროპორტის საბაჟო სამსახურის ოფიცერს ეხება.
ფაშმა ჯერ მაჯის საათზე დაიხედა, შემდეგ კი ტერმინალის წინ გაფანტულ თვითმფრინავებს გახედა, თუ ბიგინ ჰილისკენ მიფრინავენ, რამდენ ხანში დასხდებიან?
კონტროლიორმა თავისი ჩანაწერები შეამოწმა. მოკლე რეისია. თვითმფრინავი შეიძლება დაჯდეს დაახლოებით შვიდის ნახევარზე, თხუთმეტი წუთის შემდეგ.
ფაშმა წარბები შეკრა და ერთერთ თანამშემწეს მიუბრუნდა.
ტრანსპორტი აქ მომიყვანე. ლონდონში მივდივარ. დამაკავშირე კენტის ადგილობრივ პოლიციასთან. არა, ბრიტანეთის საიდუმლო პოლიცია არ მჭირდება. არ მინდა ამის გახმაურება. კენტის ადგილობრივი პოლიცია. იმათ უთხარი, რომ მინდა თიბინგის თვითმფრინავი შეუფერხებლად დაჯდეს. შემდეგ ალყა შემოარტყან ასაფრენ ბილიკზე. არავინ არ უნდა ჩამოვიდეს თვითმფრინავიდან, სანამ მე არ მივალ.
თავი 74
რა დაგემართა? ჰკითხა ლენგდონმა და სოფის გახედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უბრალოდ დავიღალე, უპასუხა სოფიმ, ლექსზე ფვიქრობ. რაღაცას ვერ ვხვდები. ლენგდონიც ამას გრძნობდა. ძრავები წყნარად ზუზუნებდა და თვითმფრინავი ოდნავ ქანაობდა. ეს ყოველივე ჰიპნოზივით მოქმედებდა მათზე. ლენგდონს დროდადრო თავს ისევ შეახსენებდა ხოლმე ტკივილი იმ ადგილას, სადაც ბერმა ჩაარტყა. თიბინგი თვითმფრინავის უკანა ნაწილში იყო. ლენგდონმა გადაწყვიტა მომენტით ესარგებლა, სანამ სოფისთან მარტო იყო დარჩენილი და ეთქვა მისთვის ის, რაზეც დიდი ხანია ფიქრობდა. მგონი, ნაწილობრივ ვიცი, რატომ მოაწყო ბაბუაშენმა ისე, რომ მე და შენ ერთმანეთს შევხვედროდით. არის რაღაც, რაც მას უნდოდა, რომ შენთვის ამეხსნა.

წმინდა გრაალისა და მარიამ მაგდალინელის ისტორია საკმარისი არ არის? ლენგდონმა არ იცოდა, როგორ დაეწყო.

მე თქვენს შორის განხეთქილებას, მიზეზს ვგულისხმობ, რის გამოც ათი წელი უბრად იყავით. ალბათ იმედი ჰქონდა, რომ მე შევძლებდი როგორღაც სწორად ამეხსნა შენთვის ის, რამაც დაგაშორათ.

სოფი უხერხულობისგან აწრიალდა.

მე არ მითქვამს, რამ დაგვაშორა.

ლენგდონმა მას თვალი გაუსწორა.

შენ სექსუალურ რიტუალს შეესწარი. ასე არ არის?

საიდან იცი? შეხტა სოფი.

სოფი, შენ მითხარი, რომ შეესწარი რაღაცას, რამაც დაგარწმუნა, რომ შენი ბაბუა საიდუმლო საზოგადოების წევრი იყო. და იმან, რაც შენ ნახე, ისე შეგაძრწუნა, რომ მას მერე ბაბუას აღარ დალაპარაკებიხარ. მე საკმაოდ ბევრი ვიცი საიდუმლო საზოგადოებების შესახებ. იმის მისახვედრად, იქ რას შეესწარი, ლეონარდო და ვინჩის ტვინი სულ არ არის საჭირო.

სოფი მას მიაშტერდა.

ეს გაზაფხულზე მოხდა? ჰკითხა ლენგდონმა, სადღაც გაზაფხულის ბუნიობის დროს? მარტის შუა რიცხვები იყო?

სოფიმ ფანჯარაში გაიხედა.

უნივერსიტეტიდან საგაზაფხულო არდადეგებზე დამითხოვეს. რამდენიმე დღით ადრე ჩამოვედი.

გინდა მიამბო?

არა, იგი უცებ მობრუნდა ლენგდონისკენ თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, არ ვიცი, რა დავინახე.

იქ ქალებიც იყვნენ და მამაკაცებიც?

სოფიმ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თავი დაუქნია.

თეთრი და შავი სამოსი ეცვათ?

მან თვალები შეიმშრალა და შემდეგ თავი დაუქნია. თითქოს ცოტათი გაიხსნა, ქალებს სიფრიფანა თეთრი თავისუფალი კაბები ეცვათ, ფეხზე კი ოქროსფერი ფეხსაცმელი. ხელში ოქროსფერი სფეროები ეჭირათ. მამაკაცებს შავი ტუნიკები ეცვათ, ფეხზე შავი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფეხსაცმელი.
ლენგდონი წელში გასწორდა, რომ ემოცია დაეფარა. და მაინც, ძნელი დასაჯერებელი იყო, რასაც ისმენდა. სოფი ნევე თავისდა უნებურად ორიათასი წლის ისტორიის მქონე საიდუმლო რიტუალს შეესწრო.
ნიღბები? ჰკითხა ლენგდონმა და შეეცადა მშვიდი ხმა შეენარჩუნებინა. მათ ანდროგინიული ნიღბები ეკეთათ?
დიახ. ყველას. ნიღბები ერთნაირი იყო. ქალებს თეთრი ნიღბები ეკეთათ, მამაკაცებს შავი.
ლენგდონს წაკითხული ჰქონდა ამ მისტიკური რიტუალის აღწერა და იცოდა, საიდან წარმოიშვა იგი.
ამას ჰქვია Hieros Gamos, თქვა მან ფრთხილად, მას ორიათასი წლის ისტორია აქვს. ეგვიპტელი მამაკაცი და ქალი ქურუმები ამას რეგულარულად ატარებდნენ და საზეიმოდ ეთაყვანებოდნენ ქალის რეპროდუქციის უნარს. იგი შეჩერდა და სოფისკენ გადაიხარა, და თუ შენ შეესწარი Hieros Gamosს წინასწარი მომზადების, მისი მნიშვნელობის ცოდნის გარეშე, წარმომიდგენია, რა თავზარდამცემი იქნებოდა შენთვის ის,
რაც ნახე.
სოფიმ არაფერი უპასუხა.
Hieros Gamos ბერძნული სიტყვაა, გააგრძელა ლენგდონმა, და ნიშნავს საკრალურ ქორწინებას.
რიტუალი, რომელიც მე ვნახე, არ იყო ქორწილი.
ქორწილი, გაერთიანების მნიშვნელობით, სოფი.
იმას გულისხმობ, რაც სექსის დროს ხდება?
არა.
არა? ჩაეკითხა სოფი. ის ზეთისხილისფერი თვალებით გამომცდელად უყურებდა ლენგდონს.
ლენგდონმა უკან დაიხია.
კეთილი, შეიძლება ასეც დავარქვათ, მაგრამ არა ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. მან ახსნა გააგრძელა. ის, რაც სოფიმ ნახა, ალბათ ჰგავდა სექსუალურ რიტუალს, თუმცა Hieros Gamosს ეროტიკასთან არაფერი აქვს საერთო. ეს სულიერი აქტია. ისტორიულად, სექსუალური კავშირი ის მოქმედება იყო, რომლის შემდეგადაც მამაკაცი და ქალი ღმერთს პირადად უახლოვდებოდნენ. უძველეს ადამიანებს სწამდათ, რომ მამაკაცი სულიერად არ იყო სრულყოფილი ქმნილება, სანამ საკრალური ქალურობის საშუალებით სექსუალურ ცოდნას არ მიიღებდა. ქალთან ფიზიკური შეერთება იყო ერთადერთი საშუალება, რის შემდეგადაც მამაკაცი სულიერად სრულყოფილი ხდებოდა და საბოლოოდ აღწევდა გნოსისს ღვთაებრივ ცოდნას. ისიდას დროიდან მოყოლებული, რომელიც მიწიერ მამაკაცს ზეცასთან აკავშირებდა.
ქალთან ურთიერთობის საშუალებით, თქვა ლენგდონმა, მამაკაცი აღწევდა კრიტიკულ წამს, როდესაც მას აღარაფერი ახსოვს და შეუძლია ღმერთის ხილვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფი სკეპტიკურად გამოიყურებოდა.
ორგაზმი ლოცვასთანარის გაიგივებული?
ლენგდონმა მხრები აიჩეჩა, იგი არ ეთანხმებოდა სოფის. თუმცა სოფი მართალი იყო.
ფიზიოლოგიას თუ მოვიშველიებთ, როცა მამაკაცი ორგაზმს მიაღწევს, რაღაც წამის მანძილზე მისი გონება სრულიად იცლება აზრებისგან. ეს ხანმოკლე გონებრივი ვაკუუმია.
ჭეშმარიტების მომენტი, როდესაც ღმერთის დანახვა შეიძლება. მედიტაციისას გურუ აღწევს
ამგვარი ვაკუუმის მდგომარეობას სექსის გარეშე და ნირვანასაც ხშირად ახასიათებენ, როგორც უსასრულო სულიერ ორგაზმს.
სოფი, თქვა მშვიდად ლენგდონმა, უნდა გვახსოვდეს, რომ უძველესი ადამიანები სექსს ჩვენგან სრულიად განსხვავებულად აღიქვამდნენ. სექსი წარმოშობს ახალ სიცოცხლეს. ეს ხომ პირველსაწყისი, ძირითადი საოცრებაა. ხოლო საოცრება მხოლოდ ღმერთს ხელეწიფება. ქალს აქვს ბუნებრივი უნარი, შვას ახალი სიცოცხლე თავისი საშოდან. სწორედ ამან აქცია იგი წმინდანად, ღმერთად. ფიზიკური კავშირი ადამიანური სულის ორი, მამაკაცური და ქალური ნახევრის თაყვანის საცემი გაერთიანება იყო. ამ კავშირის შედეგად მამაკაცი აღწევდა სულიერ მთლიანობას და ღმერთს ეზიარებოდა. ის, რაც შენ ნახე, სექსს არ ნიშნავდა, ეს ნიშნავდა სულიერებას. რიტუალი hieros gamos არ არის გარყვნილობა. ეს არის უაღრესად წმინდა ცერემონია.
მისმა სიტყვებმა, როგორც ჩანს, სოფიზე იმოქმედა. მთელი ღამის განმავლობაში იგი ძალიან გაწონასწორებული იყო. მაგრამ ახლა ლენგდონმა პირველად შეამჩნია, როგორ შეირყა სოფის თავშეკავებულობა, როგორ მოიწმინდა სახელოთი თვალებიდან ცრემლები. ლენგდონმა ცოტა ხანს აცალა. ჩვეულებრივ, ადამიანებს უჭირთ სექსის, როგორც ღმერთთან მისასვლელი გზის მნიშვნელობის გაცნობიერება. ლენგდონის ებრაელი სტუდენტები ყოველთვის თავზარდაცემულნი რჩებოდნენ, როდესაც პირველად გაიგებდნენ, რომ ადრეული ებრაული ტრადიცია რიტუალურ სექსს გულისხმობდა. და თანაც ეს ხდებოდა ტაძარში. ძველ ებრაელებს სწამდათ, რომ სოლომონის წმინდათაწმინდა ტაძარში ცხოვრობდა არა მარტო ღმერთი, არამედ სიძლიერით მისი თანაბარი ქალური საწყისი, შეკინაჰ. მამაკაცები, რომლებიც სულიერ გამთლიანებას ეძიებდნენ, მოდიოდნენ ამ ტაძარში მცხოვრებ ღვთისმსახურ ქალემთან ანუ ჰიეროდულებთან მათთან სქესობრივ კავშირს ამყარებდნენ და ღვთაებრივ საწყისს ფიზიკური კავშირით ეზიარებოდნენ. ებრაული ტეტრაგრამატონი, ანუ ღვთის იდუმალი სახელი "იეღოვა", უფრო ზუსტად, "იაჰვე" მამრობით იაჰსა და მდედრობით ჰავაჰს ძველებრაულად ევას შორის ფიზიკურ კავშირს აღნიშნავს.
ადრინდელ ქრისტიანობას, მშვიდი ხმით განაგრძო ლენგდონმა, კაცობრიობის მიერ სექსის გამოყენება ღმერთთან პირდაპირი კავშირის საშუალებად, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. იგი ეკლესიას თამაშგარე მდგომარეობაში აყენებდა. ამ აშკარა მიზეზების გამო, ქრისტიანები ძალიან ცდილობდნენ სექსი დაემცირებინათ და გადაექციათ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იგი უკეთურ და ცოდვიან ქმედებად. სხვა ძირითადმა რელიგიებმა იგივე გააკეთეს.
სოფი დუმდა, მაგრამ ლენგდონი მიხვდა, რომ მან ახლა უკეთ გაუგო თავის ბაბუას.
თითქოს ბედის ირონია იყო, ლენგდონმა ეს აზრი ერთხელ უკვე გამოთქვა ერთერთ ლექციაზე:
განა უცნაური არ არის, რომ ჩვენ ორგვარი, ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულება გვაქვს სექსის მიმართ? დაუსვა კითხვა სტუდენტებს, ჩვენი უძველესი მემკვიდრეობა და ჩვენი საკუთარი ფიზიოლოგია გვეუბნება, რომ სექსი ბუნებრივია. ეს არის ფარული გზა სულიერი სრულყოფილებისაკენ. თანამედროვე რელიგია კი გმობს მას,
როგორც სამარცხვინოს, და გვასწავლის, რომ ჩვენი სექსუალური სურვილისა უნდა გვეშინოდეს რადგან ეს ეშმაკის მანქანებია.
ლენგდონმა გადაწყვიტა შოკში არ ჩაეგდო სტუდენტები და არ ეთქვა მათთვის, რომ საკმაოდ ბევრი საიდუმლო საზოგადოება, მათ შორის საკმაოდ გავლენიანიც, დღესაც ატარებს სექსუალურ რიტუალებს და ინარჩუნებს უძველეს ტრადიციებს. ტომ კრუზის გმირი
ფილმში ფართოდ დახუჭული თვალები ამას აღმოაჩენს, როდესაც მრვალი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ მანჰეტენის უმაღლესი ელიტის სიდუმლო შეკრებაზე
შეიპარება. იგი შეესწრება hieros gamosს. სამწუხაროდ, ფილმის ავტორებმა არასწორად ახსნეს რიტუალის შინაარსი, მაგრამ მთავარი აზრი გადმოცემულია. ეს არის საიდუმლო საზოგადოების შეკრება სექსუალური გაერთიანების ღვთაებრივი შინაარსის აღსანიშნავად.
პროფესორო ლენგდონ! ასწია ხელი სტუდენტმა ვაჟმა უკანა რიგებიდან. მის ხმაში იმედი იგრძნობოდა. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეკლესიაში სიარულის ნაცვლად, უკეთესი იქნება, რომ მეტი დრო სექსს დავუთმოთ?
ლენგდონმა ჩაიხითხითა. იგი არ აპირებდა ანკესზე წამოგებას. მას ბევრი ჰქონდა გაგონილი ჰარვარდელთა წვეულებების შესახებ. აშკარა იყო, მათ სექსი მანდვილად არ აკლდათ.
ბატონებო, თქვა მან, თუმცა იცოდა, რომ საკმაოდ საშიშ თემას შეეხო, შეიძლება, ერთი წინადადებით მოგმართოთ ყველას? მე არც იმდენად ბრიყვი ვარ, რომ ქორწინებამდელი სექსუალური კავშირების მავნებლობა ვამტკიცო, და არც იმდენად გულუბრყვილო, რომ ყველანი ურყვნელი ანგელოზები მეგონოთ. მინდა ერთი რჩევა მოგცეთ თქვენი სექსუალური ცხოვრების თაობაზე.
აუდიტორიაში ყველა მამაკაცი წინ გადმოიხარა. მათ სმენა დაძაბეს.
ამის შემდეგ ქალთან ყოფნისას საკუთარ გულში ჩაიხედეთ და შეამოწმეთ, არის თუ არა თქვენთვის სექსი საიდუმლო, სულიერი აქტი. ეცადეთ იპოვოთ თქვენში ღვთაებრიობის
ის ნაპერწკალი, რომლის მიღწევაც მამაკაცსმხოლოდ სარკალურ ქალურობასთან გაერთიანებით შეუძლია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალებმა გაგებით გაიღიმეს და თავი დააქნიეს.
მამაკაცებმა ხითხითით გადახედეს და უკბილო ხუმრობა დაუწყეს ერთმანეთს.
ლენგდონმა ამოიოხრა. კოლეჯის მამაკაცები ჯერ მხოლოდ ბიჭები იყვნენ.
სოფიმ თვითმფრინაცის ცივ ილუმინატორს შუბლი მიაბჯინა და უაზროდ მიაშტერდა
სიცარიელეს. იმის გააზრებას ცდილობდა, რაც ლენგდონისგან მოისმინა. იგრძნო, როგორ
ევსებოდა გული შემოწოლილი სინანულით. ათი წელი. თვალწინ წარმოუდგა ბაბუას
გამოგზავნილი გაუხსნელი წერილების დასტა. რობერტს ყველაფერი უნდა ვუთხრა. სოფიმ
ლაპარაკი ისე დაიწყო, რომ სარკმლისათვის თვალი არ მოუცილებია. იგი წყნარად,
დაბალი ხმით ლაპარაკობდა. ეტყობოდა, რომ შეშინებული იყო.
როგორც კი დაიწყო იმის მოყოლა, რაც მოხდა, იგრძნო, რომ უკან წარსულში
გადაინაცვლა. აი, იგი მანქანიდან გადმოდის ტყეში, ბაბუას ნორმანდიული სტილის
სასახლის მახლობლად დაბნეული ეძებს ადამიანებს. დაცარიელებულ სახლში ესმის
სადღაც ქვევიდან ამოსული ხმები და შემდეგ საიდუმლო კარს პოულობს. იგი ქვევით
ეშვება ქვის კიბით, თითოთითო საფეხურით ჩადის სარდაფის გამოქვაბულში. გრძნობს
ჰაერში მიწის სუნს. ჰაერი გრილი და მსუბუქია. მარტის თვეა. თავისი სამალავის ჩრდილში
მდგარი უყურებს, როგორ ირწევიან და მღერიან ნარინჯისფერი სანთლების შუქზე უცნობი
ადამიანები.
მესიზმრება, გაიფიქრა სოფიმ, სიზმარია. აბა რა უნდა იყოს?
ქალები და მამაკაცები ჭადრაკულად იყვნენ განლაგებულნი შავი თეთრი, შავი,
თეთრი. ქალების მშვენიერი სიფრიფანა სამოსი აფრიალდა, როდესაც მათ მარჯვენა
ხელით მაღლა ასწიეს ოქროსფერი სფეროები და ერთხმად წამოიძახეს, მე შენთან ვიყავი
დასაწყისში, ყოველივე ამის დასაბამი წმინდაა, მე შენ გშობე საშოდან, სანამ დღე
გათენდებოდა.
ქალებმა სფეროები დაუშვეს და ყველამ წინ და უკან რწევა დაიწყო, თითქოს ტრანსში
იყვნენ. ისინი თაყვანს სცემდნენ რაღაცას, რაც წრის ცენტრში იყო მოთავსებული.
რას უყურებენ?
ხმა გაძლიერდა. უფრო ხმამაღალი გახდა, უფრო აჩქარდა.
 ქალი, რომლის მოვალეც შენ ხარ, სიყვარულია! წამოიძახეს ქალებმა და ისევ
ასწიეს სფეროები.
მამაკაცებმა ამაზე უპასუხეს: იგი ცხოვრობს მარადისობაში!
სიმღერა ისევ გაგრძელდა. უფრო აჩქარდა. ახლა უკვე ქუხდა. კიდევ უფრო სწრაფად.
მონაწილეებმა წინ გადადგეს ნაბიჯი და ჩაიმუხლეს.
და სწორედ ამ დროს დაინახა სოფიმ ის, თუ რას უყურებდნენ ისინი.
წრის ცენტრში დაბალ, მოჩუქურთმებულ საკურთხეველზე იწვა მამაკაცი. იგი შიშველი
იყო, ზურგზე იწვა და სახეზე შავი ნიღაბი ეკეთა. სოფიმ მაშინვე იცნო მისი სხეული და ხალი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის მხარზე. მან კინაღამ წამოიყვირა. Grandpere! მხოლოდ ამის დანახვაც კი უკვე საკმარისი იყო, რომ სოფის შოკისგან გონება დაეკარგა. მაგრამ მას კიდევ უფრო მეტი უნდა ენახა.
ბაბუას ზევიდან აწვა ფეხებგადაშლილი შიშველი ქალი თეთრი ნიღაბით და ჩამოშლილი მდიდრული ვერცხლისფერი თმით. მას მსუქანი სხეული ჰქონდა, არცთუ იდეალური. ის სიმღერის რიტმში წრიულად ირხეოდა. ქალი სოფის ბაბუასთან სექსუალურ
კავშირში იყო.
სოფის გაქცევა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. გამოქვაბულის კედლებმა თითქოს დაატყვევა. ამ დროს კი სიმღერამ აღტყინების უმაღლეს წერტილს მიაღწია. მონაწილეთა წრეში ახლა ყველა მღეროდა, საშინელი ხმაური იდგა. რაღაც სიგიჟე იყო, უეცარმა ღრიალმა თითქოს ააფეთქა ოთახი. სოფი ვეღარ სუნთქავდა. უცებ მიხვდა, რომ ჩუმად სლუკუნებდა. შემობრუნდა, უსიტყვოდ ალასლასდა კიბეზე, სახლიდან გამოვიდა და აკანკალებული, პარიზისკენ გაემართა.
თავი 75
ჩარტერული ტურბოხრახნიანი თვითმფრინავი მონაკოს მოციმციმე სინათლეების თავზე მიფრინავდა, როდესაც არინგაროსამ ფაშთან მეორე სატელეფონო საუბარი დაამთავრა. ხელი ჩანთისკენ გაიწოდა, სადაც გულისრევის საწინააღმდეგო კამფეტები ეგულებოდა, მაგრამ იმდენად იყო გამოფიტული, რომ ცუდად გახდომის თავიც კი არ ჰქონდა.
ნეტა დამთავრდებოდეს ყველაფერი!
ფაშის უახლესი ინფორმაცია დაუჯერებელი იყო, თუმცა ამ ღამეს დასაჯერებელი არც არაფერი მომხდარა. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ყველაფერი თანდათანობით გამოდიოდა კონტროლიდან. რაში გავრიე სილასი? მე თვითონ რაში გავეხვიე!
არინგაროსა აკანკალებული მივიდა მფრინავის კაბინასთან.
 დანიშნულების ადგილის შეცვლა მჭირდება.
მფრინავმა მხრის ზევიდან გადმოხედა და გაიცინა.
 ხუმრობთ, არა?
 არა მე სასწრაფოდ უნდა მოვხვდე ლონდონში.
 მეუფეო, ეს ჩარტერული რეისია და არა ტაქსი.
 მე რა თქმა უნდა, დამატებით გადავიხდი, რამდენი გინდათ? ლონდონში მისასვლელად სულ რაღაც ერთი საათით გაიგრძლებთ გზას, და თითქმის არ დაგჭირდებათ მიმართულების შეცვა, ასე რომ...
 მეუფეო, ეს მხოლოდ ფულზე არ არის დამოკიდებული, აქ სხვა საკითხებიც არის გასათვალისწინებელი.
ათი ათასი ევრო, ახლავე.
მფრინავი მოტრიალდა ფართოდ გახელილი თვალებით.
 რამდენი?
 რომელი მღვდელი ატარებს თან ასეთ ფულს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არინგაროსა უკან გაბრუნდა, შავი კეისი გახსნა და ამოიღო ერთი უსახელო ობლიგაცია. ობლიგაცია მფრინავს გადასცა.
ეს რა არის? იკითხა მფრინავმა. ათი ათასი ევროს ღირებულების უსახელო ობლიგაცია, რომელსაც ვატიკანის ბანკი გაანაღდებს.
მფრინავი დაბნეული ჩანდა.
ეს იგივეა, რაც ნაღდი ფული.
მხოლოდ ნაღდი ფულია ნაღდი, თქვა მფრინავმა და ობლიგაცია დაუბრუნა.
არინგაროსამ იგრძნო, როგორ გამოეცალა ძალა. მაინც შეიკავა თავი და კარს მიეყუდა.
ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა, უნდა დამეხმაროთ. მე მჭირდება ლონდონში მოხვედრა.
მფრინავს ეპისკოპოსის ბრილიანტის ბეჭედი მოხვდა თვალში.
ბრილიანტები ნამდვილია?
არინგაროსამ ბეჭედს დახედა.
ამას ვერ მოგცემ.
მფრინავმა მხრები აიჩეჩა, მიტრიალდა და თვითმფრინავის შუშას დააცქერდა.
არინგაროსას უზომო სევდა მოაწვა. მან ბეჭედს დახედა. ყველაფერი, რასაც ეს ბეჭედი აღნიშნავდა, მაინც სადაცაა სამუდამოდ დაეკარგებოდა. თითქმის მთელი წუთი იფიქრა, ბოლოს ბეჭედი თითიდან წამოიძრო და ფრთხილად დადო სამართავ პულტზე.
არინგაროსა გამოიძურწა კაბინიდან და თავის ადგილს დაუბრუნდა. თხუთმეტი წამის შემდეგ იგრძნო, როგორ შებრუნდა თვითმფრინავი ჩრდილოეთისკენ სულ რამდენიმე გრადუსით.
არინგაროსა თავს აღარ გრძნობდა გამარჯვებულად.
ყველაფერი წმინდა საბაბით დაიწყო. ეს ბრწყინვალედ შედგენილი სქემა იყო. ახლა კი კარტის სახლივით იშლებოდა... ამ გზის ბოლო არსად ჩანდა.
თავი 76
ლენგდონი ხედავდა, რომ სოფის ჯერ კიდევ ტანჯავდა ნანახის მოგონება. თავის მხრივ, ლენგდონიც უაღრესად აღელვებული იყო მოსმენილით. სოფი არა მარტო შეესწრო
რიტუალს, არამედ მის ცენტრში ბაბუაც იხილა... სიონის ტრი ო რა ტის დიდი მაგისტრი. ყველა ერთად კი მართლაც ბრწყინვალე საზოგადო ე ბა იყო: და ვინჩი, ბოტიჩელი, ისააკ ნიუტონი, ვიქტორ ჰიუგო, ჟან კოქტო... ჟაკ სონიერი.
არ ვიცი, მეტი რა გითხრა, უთხრა ლენგდონმა რბილად.
სოფის მუქი მწვანე თვალები ახლა ცრემლებით ჰქონდა სავსე.
შვილივით გამზარდა.
ლენგდონი ახლაღა მიხვდა, რა გრძნობა ეუფლებოდა სოფის. ეს სინანული იყო. შორეული, მაგრამ ღრმა. დიდი ხანია, სოფი ნევეს ბაბუასთან ყოველგვარი ურთიერთობა ჰქონდა გაწყვეტილი, მაგრამ ახლა სულ სხვა თვალით დაინახა იგი.
გარეთ სწრაფად თენდებოდა და ვარსკვლავიან ცას თანდათანობით ალისფერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ედებოდა. მაგრამ დედამიწის ზედაპირი ჯერ კიდევ შავი იყო.
ხომ არ მოგშივდათ, ჩემო ძვირფასებო? შეუერთდა მათ თიბინგი და საზეიმოდ მოართვა რამდენიმე ქილა კოკაკოლა და კოლოფი ძველ კრეკერებით. თანაც დიდი ბოდიში მოიხადა მწირი საუზმისთვის. ჩვენი მეგობარი ბერი ჯერაც დუმს, ჩაიბუზღუნა მან, მაგრამ დრო მივცეთ, თიბინგმა კრეკერი მოკვნიტა და ფურცელზე დაწერილ ლექსს დააშტერდა, აბა, ჩემო საყვარლებო, რაიმე პროგრესი გვაქვს? მან სოფის შეხედა, ამით რას გვეუბნება ბაბუათქვენი? სად ჯანდაბაშია ეს საფლავის ქვა? ტამპლიერების საძვალე... სოფიმ თავი გააქნია და ხმა არ ამოუღია.
თიბინგი ისევ ლექსს ჩაუღრმავდა, ლენგდონმა კი კოკაკოლა გახსნა და ფანჯრისკენ მიბრუნდა. ტვინი მოცული ჰქონდა საიდუმლო რიტუალებითა და გაუხსნელი კოდებით. ტამპლიერების საძვალეში არს გასაღები. მან სასმელი მოწრუპა. ტამპლიერების საძვალეში არს გასაღები. კოლა თბილი იყო.
ღამის გათხელებული საფარი სწრაფად ქრებოდა. ლენგდონი ამას თვალს ადევნებდა და ახლა უკვე გარკვევით ხედავდა მათ ქვევით გადაჭიმულ მოციმციმე ოკეანეს. ლა მანშის
სრუტე. მალე ჩავფრინდებით.
ლენგდონს სურდა, რომ დღის სინათლეს სიცხადე შეეტანა ამ დახლართულ ვითარებაში, მაგრამ რაც უფრო ნათდებოდა ზეცა, მით უფრო შორდებოდა ამოცანის პასუხი. მან მიაყურადა ხუთტერფიანი იამბის რიტმსა და გალობას, ჰიეროს გამოს და საიდუმლო რიტუალები კვლავაც ესმოდა თვითმფრინავის გუგუნთან ერთად. ტამპლიერების საძვალეში არს გასაღები.
თვითმფრინავი ისევ ხმელეთის თავზე მიფრინავდა, როდესაც ლენგდონს უეცრად გაუნათდა გონება. ხმაურით დადგა კოკაკოლას ცარიელი ქილა.
არ დაიჯერებთ, თქვა მან და დანარჩენებს მიუბრუნდა, ტამპლიერების საძვალე. გამოვიცანი რაც არის.
თიბინგმა თვალები დააჭყიტა გაოცებისაგან.
შენ იცი, სად არის საფლავის ქვა?
ლენგდონს გაეღიმა.
სად არის კი არა, რა არის.
სოფი წინ გადმოიხარა, რომ უკეთ გაეგონა.
ვფიქრობ, საფლავის ქვა (headstone) აღნიშნავს ნამდვილ ქვის თავს. ხსნიდა ლენგდონი და სიამოვნებას იღებდა იმ ამაღელვებელი შეგრძნებისაგან, რომელიც თან ახლავს ხოლმე ყოველ აღმოჩენას, ეს საფლავს არ ნიშნავს.
ქვის თავი? ჩაეკითხა თიბინგი.
სოფიც ასევე დაბნეული ჩანდა.
ლი, თქვა ლენგდონმა და თიბინგისკენ მიტრიალდა, ინკვიზიციის დროს ეკლესია რაინდ ტამპლიერებს ბრალს სდებდა ყველანაირ არაქრისტიანულ საქციელში, ასე არ იყო?
მართალია. მათ ყველანაირი დანაშაული მიაწერეს: ჰომოსექსუალიზმი, ჯვარზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შარდვა, ეშმაკის თაყვანისცემა და ასე შემდეგ. საკმაოდ შთამბეჭდავი სია იყო.
ამავე სიაში იყო ცრუ კერპების თაყვანისცემაც, არა? უფრო ზუსტად, ეკლესია ტამპლიერებს აბრალებდა იმას, რომ ისინი ასრულებდნენ საიდუმლო რიტუალებს, რომლის დროსაც ისინი ლოცულობდნენ ქვისგან გამოკვეთილი თავების წინაშე... წარმართული ღმერთი...
ბაფომეტი! უცებ აღმოხდა თიბინგს. ღმერთო ჩემო, რობერტ, შენ მართალი ხარ! ტამპლიერების მიერ ხოტბაშესხმული ქვის თავი!
ლენგდონმა სწრაფად აუხსნა სოფის, რომ ბაფომეტი იყო წარმართთა ნაყოფიერების ღმერთი და ასოცირებული იყო ნაყოფიერების შემოქმედებით ძალებთან. ბაფომეტი ვერძის ან თხის თავის ქანდაკება გამრავლებისა და სიუხვის ჩვეულებრივი სიმბოლო იყო.
ტამპლიერები თაყვანს სცემდნენ ბაფომეტს სპეციალური რიტუალით: ისინი წრეს შემოარტყამდნენ მის ქვის ქანდაკებას და წამღერებით ლოცულობდნენ.
ბაფომეტი, ჩაიხითხითა თიბინგმა, ეს რიტუალი ტარდებოდა სექსუალური კავშირის ღვთაებრივი მნიშვნელობის პატივსაცემად. მაგრამ პაპმა კლიმენტიმ ყველა დაარწმუნა, რომ ბაფომეტის თავი სინამდვილეში ეშმაკის თავი იყო. პაპმა ბაფომეტის თავი ტამპლიერების წინააღმდეგ ბრძოლაში სამხილად გამოიყენა.
ლენგდონი დაეთანხმა.
დღეს ეშმაკი, რომელსაც სატანის სახელით ვიცნობთ, წარმოგვიდგენია რქებით. ამ წარმოდგენას შეიძლება ბაფომეტი ედოს საფუძვლად. ეკლესია ეცადა, რქებიანი ნაყოფიერების ღმერთის სახე ბოროტების სიმბოლოდ გადაეკეთებინა და აშკარა წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ სრულად არა. ტრადიციულ ამერიკულ მადლიერების დღის სადღესასწაულო მაგიდას დღესაც ამშვენებს რქიანი ნაყოფიერებისსიმბოლოები ნატვრისთვალი ან "სიუხვის ქვა", ბაფომეტი ნაყოფიერებას ასახავს და მომდინარეობს მითიდან ზევსის შესახებ, რომლის მიხედვითაც ახალშობილი ზევსი გამოკვება თხამ, რომელსაც რქა მოსტყდა და ეს რქა რაღაც ჯადოს წყალობით ათასნაირი ხილით აივსო.
ბაფომეტი შეგიძლიათ დაინახოთ ჯგუფურ ფოტოებში, როდესაც ვიღაც ხუმარა ორ თითს 3
ს ფორმით მიადებს უკნიდან მეგობარს თავზე, ვითომ რქებია. რა თქმა უნდა, ამ ხუმარათაგან ცოტა თუ ხვდება, რომ ამით სახალხოდ უწევს რეკლამას თავისი მსხვერპლის
დიდ სექსუალურ შესაძლებლობებს.
დიახ, დიახ, კვერს უკრავდა აღელვებული თიბინგი. ბაფომეტი უნდა იყოს ის, რაზეც ლექსი მიგვანიშნებს. ტამპლიერების მიერ ხოტბაშესხმული ქვის თავი.
კეთილი, თქვა სოფიმ, მაგრამ, თუ ბაფომეტი ტამპლიერების მიერ ხოტბაშესხმული ქვის თავია, მაშინ ჩვენ ახალი დილემა გვიჩნდება. მან კრიპტექსის ციფრების ასაკრეფ დისკოებზე მიუთითა. "ბაფომეტი" რვა ასოსგან შედგება. ჩნვენ კი მხოლოდ ხუთი ასოსთვის გვაქვს ადგილი.
თიბინგმა ბედნიერად გაიღიმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემო ძვირფასო, აი აქ შემოდის სცენაზე ატბაშის კოდი.

თავი 77

ლენგდონზე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თიბინგმა ესესაა ზეპირად დაწერა მთელი 22ასოიანი ებრაული ალფაბეტი. მართალია, მან ებრაული ასოების ნაცვლად ლათინური ტრანსკრიფცია გამოიყენა, მაგრამ დაწერილს თიბინგი უნაკლო გამოთქმით კითხულობდა.

A B G D H V Z Ch T Y K L M N O S P Tz Q R Sh Th

Alef, Beit, Gimel, Dalet, Hei, Vav, Zayin, Chet, Tet, Yud, Kaf, Lamed, Mem, Nun, Samech, Ayin, Pei, Tzadik, Kuf, Reish, Shin და Tav. თიბინგმა დრამატული ჟესტით გადაისვა ხელი წარბზე და განაგრძო. ოფიციალურ ებრაულ დამწერლობაში ხმოვანი ბგერები არ იწერება. ამდენად, როდესაც სიტყვა Baphometს ვწერთ, ებრაული ანბანის გამოყენებით, თარგმანში ვკარგავთ სამ ხმოვანს, დაგვრჩება...

ხუთი ასო, თქვა სწრაფად სოფიმ.

თიბინგმა თავი დაუქნია და ისევ დაიწყო წერა.

კარგი, ეს არის სწორედ დაწერილი სიტყვა Baphomet ებრაული ასოებით. მე სიცხადისათვის გამოტოვებულ ხმოვნებს აღვნიშნავ.

B a PV o M e Th

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, დასძინა მან, რომ ებრაული ენის მართლწერის წესების მიხედვით, სიტყვები იწერება საწინააღმდეგო მიმართულებით, მაგრამ ჩვენ ასევე მარტივად შეგვიძლია ამისთვის გამოვიყენოთ ატბაში. ახლა, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეკვივალენტური სქემა. ამას მივიღებთ, თუ მთელ საწყის ანბანს გადავწერთ უკუმიმართულებით.

უფრო მარტივი გზაც არსებობს, თქვა სოფიმ და თიბინგს კალმისტარი გამოართვა, რასაც ახლა გავაკეთებ, მუშაობს ყველა არეკვლადი ეკვივალენტური შიფრის შემთხვევაში, ატბაშის ჩათვლით. ეს პატარა ფოკუსია, რომელიც როიალ ჰოლოუეში ვისწავლე, სოფიმ დაწერა ანბანის პირველი ნახევარი მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო შემდეგ, ქვევით, მეორე ნახევარი მიუწერა, ამჯერად, მარჯვნიდან მარცხნივ. კრიპტოლოგი ანალიტიკოსები ამას "გადაკეცვას" უწოდებენ. ორჯერ უფრო ადვილია, და ამდენადვე უფრო ზუსტი.

თიბინგმა დახედა მის ნამუშევარს და ჩაიხითხითა.

მართალი ხართ. მიხარია, რომ ბიჭები ჰოლოუეიში თავიანთ საქმეს აკეთებენ.

სოფის ექვივალენტურ მატრიცას რომ დახედა, ლენგდონი ისეთმა კანკალმა აიტანა, რომელიც მხოლოდ ადრეულ მეცნიერთა კანკალს თუ შეედრებოდა, როდესაც ატბაშის კოდის გამოყენებით გაშიფრეს ახლა საყოველთაოდ ცნობილი შეშაჩის საიდუმლო.

წლების მანძილზე რელიგიის მკვლევარები საგონებელში იყვნენ: ბიბლიაში ნახსენები იყო ქალაქი შეშაჩი. ეს ქალაქი არ იყო აღნიშნული არც ერთ რუკაზე და არც ერთ დოკუმენტში არ იყო მოხსენიებული. ბიბლიაში კი, კერძოდ, იერემიას წიგნში ეს სახელი სისტემატურად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორდებოდა შეშაჩის მეფე, ქალაქი შეშაჩი, შეშაჩის მცხოვრებლები. ბოლოს და ბოლოს, რომელიღაც მეცნიერმა ატბაშის კოდის გამოყენებით გაშიფრა ეს სიტყვა. მან გამაოგნებელი შედეგი მიიღო. კოდმა გამოავლინა, რომ "შეშაჩი" სინამდვილეში იყო დაშიფრული სიტყვა, მეორე ძალიან ცნობილი ქალაქის სახელის დასაფარავად. გაშიფვრის პროცესი მარტივი იყო.
Sheshach, ებრაულ ენაზე იწერებოდა ასე: ShShK.
ShShK, მოთავსებული ეკვივალენტურ მატრიცაზე, ხდება BBL.
BBL, ებრაულად გამოითქმის, როგორც Babel, ანუ ბაბილონი.
საიდუმლო ქალაქი, სახელად შეშაჩი, აღმოჩნდა ქალაქი ბაბილონი. ამას მოჰყვა ბიბლიური კვლევის ბუმი. რამდენიმე კვირის მანძილზე კიდევ რამდენიმე ატბაშით კოდირებული სიტყვა გაიხსნა ძველ აღთქმაში. ნათელი მოეფინა უამრავ დაფარულ მნიშვნელობას. ეს ის ინფორმაცია იყო, რისი არსებობაც მეცნიერებს ვერც კი წარმოედგინათ.
ვუახლოვდებით, ჩაიჩურჩულა ლენგდონმა. მას ძალიან უჭირდა აღელვების დაფარვა.
ძალიან ცოტა დაგვრჩა, რობერტ, თქვა თიბინგმა. მან სოფის გადახედა და გაიღიმა.
თქვენც მზად ხართ?
სოფიმ თავი დაუქნია.
კარგი, Baphomet ებრაულად ხმოვნების გარეშე იკითხება, როგორც BPVMTh.
ახლა ამას თქვენი ეკვივალენტური მატრიცა მივუსადაგოთ და ეს ასოები ჩვენს ხუთასოიან
პაროლად გარდავქმნათ.
ლენგდონს გული ძლიერ უცემდა. BPVMTh... ახლა უკვე მზე იღვრებოდა თვითმფრინავის სარკმელში. მან შეხედა სოფის ეკვივალენტურ მატრიცას და ნელნელა დაიწყო ასოების შეცვლა. B არის Sh... P არის V...
თიბინგი ისე იღიმებოდა, როგორც სკოლის მოსწავლე შობა დღეს.
ატბაშის შუქი გაგანათლებს... მას უცებ სიტყვა გაუწყდა. – ღმერთო, დიდებულო! იგი გაფითრდა.
ლენგდონმა თავი ასწია.
რა მოხდა? იკითხა სოფიმ?
არ დაიჯერებთ. თიბინგმა სოფის შეხედა. თქვენ განსაკუთრებით.
რას გულისხმობთ? თქვა მან.
ეს... ჭკვიანურია, ჩაიჩურჩულა მან, გენიალურია! თიბინგმა ქაღალდზე ისევ რაღაც დაწერა. დაჰკარით დაფდაფებს, თუ შეიძლება. ესეც თქვენი პაროლი. მან აჩვენა ის რაც ქაღალდზე დაწერა.
ShVPYA
სოფიმ გაბრაზებით იკითხა.
ეს რა არის? ლენგდონიც ვერ მიხვდა რა ეწერა. თიბინგს ხმა გაებზარა შიშნარევი მოწიწებისაგან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს, მეგობარო, სწორედ ეს არის "უძველესი სიბრძნე".
ლენგდონმა ისევ გადაიკითხაასოები. გრაგნილი ესე ძველი სიბრძნის სიტყვით იხსნება. მას ერთი წამი დასჭირდა, რომ მიმხვდარიყო.
უძველესი სიბრძნე!
თიბინგი იცინოდა.
ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით!
სოფიმ სიტყვას შეხედა და შემდეგ ასაკრეფ დისკს. მაშინვე მიხვდა, რომ თიბინგმა და ლენგდონმა ვერ შეამჩნიეს ერთი სერიოზული პრობლემა.
მოითმინეთ! ეს არ შეიძლება იყოს პაროლი, შეედავა იგი მამაკაცებს, კრიპტექსის დისკოზე არა აქვს Sh. ზედ ტრადიციული ლათინური ასოებია.
წაიკითხე სიტყვა, არწმუნებდა მას ლენგდონი. ორი რამ დაიმახსოვრე. ებრაულ ენაში Sh ბგერის აღმნიშვნელი სიმბოლო შეიძლება აგრეთვე წარმოვთქვათ, როგორც S, სხვადასხვა დიალექტის შემთხვევაში. ასევე ასო P შეიძლება გამოვთქვათ, როგორც F.
SVFYA? გაიფიქრა საგონებელში ჩავარდნილმა სოფიმ.
გენიოსი! დაუმატა თიბინგმა. ასო Vav ხშირად ხმოვანი Oს ადგილას იწერება ხოლმე!
სოფიმ ისევ შეხედა ასოებს და სცადა წარმოეთქვა სიტყვა.
S... o... f... y... a.
მან თავისი ხმა გაიგონა, და ვერ დაიჯერა რაც ახლა წარმოთქვა.
დიახ! Sophia ბერძნულად ნიშნავს სიბრძნეს. თქვენი სახელის ძირი, სოფი, ზუსტად ნიშნავს "სიბრძნეს".
უცებ სოფის ძალიან მოენატრა ბაბუა. საძმოს ქვაკუთხედი ჩემი სახელით დაშიფრა. ყელში რაღაც გაეჩხირა. ეს ყოველივე ისეთი სრულყოფილი იყო. მაგრამ, როგორც კი დახედა ხუთასოიან დისკოს კრიპტექსზე, მიხვდა, რომ ამოცანა არ იყო ამოხსნილი.
მოიცადეთ... სიტყვა Sophia ექვს ასოს შეიცავს.
ლექსს შეხედე. ბაბუაშენს უწერია "ძველი სიბრძნის სიტყვა".
მერე?
თიბინგმა თვალი ჩაუკრა.
ძველ ბერძნულში სიბრძნე იწერებოდა ასე: SOFIA.
თავი 78
სოფი საშინლად აღელდა, როცა კრიპტექსი კალთაში ჩაიდო და დისკოებზე ასოების დაყენებას შეუდგა. გრაგნილი ესე ძველი სიბრძნის სიტყვით იხსნება. ლენგდონმა და თიბინგმა თითქოს სუნთქვა შეწყვიტეს. ისინი სულგანაბულნი უყურებდნენ, რა მოხდებოდა
შემდეგ.
S... O... F...
ფრთხილად, გააფრთხილა თიბინგმა. განსაკუთრებით ფრთხილად იყავი.
... I... A.
სოფიმ ბოლო დისკო გაასწორა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კარგია, ჩაიჩურჩულა მან და დანარჩენებს ახედა, ახლა ვაპირებ გადავხსნა.
არ დაგავიწყდეს, იქ ძმარია. უჩურჩულა ლენგდონმა შიშნარევი აღელვებით, ფრთხილად იყავი.
სოფიმ იცოდა, ეს კრიპტექსი ისეთივე რომ ყოფილიყო, როგორებიც მას ბავშვობაში გაუხსნია, ახლა ისღა რჩებოდა, კარგად დაეჭირა ცილინდრის ორივე ბოლო. ზუსტად დისკოების ქვევით და ნელნელა, თანაბარი ძალით გაეწია ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. თუ შეყვანილი ასოები პაროლს დაემთხვევა, ცილინდრის ერთი ბოლო ადვილად მოსცილდება მეორეს, ლინზის თავის მსგავსად. ამის შემდეგ იგი შეძლებს დახვეულ პაპირუსზე დაწერილი დოკუმენტების კრიპტექსიდან ამოღებას. დოკუმენტები ძმრიანი შუშის ჭურჭელში იქნება დახვეული. მაგრამ, თუ პაროლი, რომელიც მათ შეიყვანეს, არასწორია, სოფის მიერ გარედან ცილინდრის ბოლოებზე დატანებული ძალა შიგნით ბერკეტს გადაეცემა, გადაატრიალებს მას ქვევით სიცარიელისკენ, დააწვება შუშის ჭურჭელს და თუ უფრო მეტი ძალით გასწევს ცილინდრის ბოლოებს, ჭურჭელი, ბოლოს და
ბოლოს, გატყდება.
ფრთხილად გასწიე, უთხრა თავის თავს.
თიბინგი და ლენგდონი უფრო მეტად გადმოიხარენ წინ, როდესაც სოფიმ ცილინდრის ბოლოები ხელისგულებში მოიქცია. კოდირებული სიტყვის გაშიფვრის აღელვებამ თითქმის
დაავიწყა სოფის, რისი პოვნის იმედი ჰქონდათ ცილინდრში. ეს საძმოს ქვაკუთხედია.
თიბინგის აზრით, მასში მოთავსებული უნდა ყოფილიყო წმინდა ბარძიმთან მისასვლელი
რუკა, რის მიხედვითაც მარიამ მაგდალინელის სამარხისა და სანგრილის განძის ადგილმდებარეობას გაიგებდნენ... წმინდა ჭეშმარიტების ძიების საბოლოო მიზანს.
სოფის ახლა ქვის მილი ეჭირა. კიდევ ერთხელ შეამოწმა, ყველა ასო უსწორდებოდა თუ არა ინდიკატორს. შემდეგ ნელა გასწია. არაფერი მოხდა. ცოტა მეტი ძალა დაატანა.
უცებ ქვა კარგად აწყობილი ტელესკოპივით გადაიხსნა. მძიმე ნაწილი სოფის შერჩა ხელში.
ლენგდონი და თიბინგი კინაღამ შეხტნენ. სოფის აჩქარებით უძგერდა გული. მან მძიმე ბოლო მაგიდაზე დადო და ცილინდრი დახარა, რომ შიგ ჩაეხედა.
გრაგნილი!
სოფიმ გრაგნილში ჩაიჭყიტა და დაინახა, რომ ის ცილინდრულ საგანზე იყო შემოხვეული. ძმრიანი შუშის ჭურჭელია, დაასკვნა მან, უცნაური ის იყო, რომ ქაღალდი ძმრის ირგვლივ ნაცნობი სიფრიფანა პაპირუსი კი არ იყო, არამედ პერგამენტი. უცნაურია, გაიფიქრა სოფიმ, ძმარი ვერ დაშლის ბატკნის ტყავის პერგამენტს. მან კიდევ ერთხელ ჩაიხედა გრაგნილის ნახვრეტში, და მიხვდა, რომ შიგ მოთავსებული საგანი სულაც არ იყო
ძმრიანი შუშის ჭურჭელი. ეს სულ სხვა რამ იყო.
რაშია საქმე? იკითხა თიბინგმა, ამოიღე გრაგნილი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარბშეკრულმა სოფიმ კონტეინერიდან ამოიღო დახვეული პერგამენტი და ის საგანის, რის ირგვლივაც ის იყო შემოხვეული.

ეს პაპირუსი არ არის, თქვა თიბინგმა, ძალიან მძიმეა.

ვიცი. ეს სარჩულია.

რისი? ძმრიანი შუშის ჭურჭელის?

არა, სოფიმ გახსნა გრაგნილი და გამოაჩინა ის, რაც შიგ იყო შენახული.

აი, ამის. ლენგდონს გული დასწყდა, როდესაც პერგამენტის ფურცლის შიგნით მოთავსებული საგანი დაინახა.

ღმერთო, შენ გვიშველე, თქვა თიბინგმა და მძიმედ დაეშვა სკამზე, ბაბუაშენი შეუბრალებელი გამომგონებელი იყო. ლენგდონი გაოცებით მიშტერებოდა ამ საგანს. როგორც ვხედავ, სონიერი სულაც არ აპირებს ჩვენთვის საქმის გაადვილებას.

მაგიდაზე ახალი კრიპტექსი იდო, უფრო პატარა, შავი ონიქსისგან დამზადებული. იგი ჩადებული ყოფილა უფრო დიდში. სონიერს ძალიან უყვარდა ყველაფერში დუალიზმი. ორი კრიპტექსი. ყველაფერი წყვილად, შავი შეყუჟული იყო თეთრში. ლენგდონმა იგრძნო რომ სიმბოლოების ქსელი ფართოდ გაიშალა. თეთრი ბადებს შავს.

ყოველი მამაკაცი წარმოიშვა ქალისგან.

თეთრი ქალი.

შავი მამაკაცი.

მან ხელი გაიწოდა და აიღო კრიპტექსი. ის პირველის იდენტური იყო ყველაფრით, გარდა იმისა, რომ ორჯერ უფრო პატარა და შავი იყო. ნაცნობი ბუყბუყიც გაისმა. სინამდვილეში, ძმრიანი შუშის ჭურჭლის ხმა პატარა კრიპტექსიდან მოდიოდა.

კარგი, რობერტ, უთხრა თიბინგმა და პერგამენტის ფურცელი გადააწოდა, ერთი რამით მაინც გაგახარებ. სხვა თუ არაფერი, სწორი მიმართულებით მაინც მივფრინავთ.

ლენგდონმა ყურადღებით დაათვალიერა სქელი ცხვრის ტყავის პერგამენტი. კაზმული კალიგრაფიით დაწერილი იყო კიდევ ერთი ოთხტაეპიანი ლექსი. ისევ ხუთტერფიანი იამბი. ლექსი იდუმალი იყო, თუმცა ლენგდონისთვის მხოლოდ პირველი ხაზის წაკითხვაც კი საკმარისი გამოდგა, რომ მიმხვდარიყო თიბინგის გეგმა ბრიტანეთში წამოსვლის შესახებ გამართლებული იყო. ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს.

ლექსის დანარჩენი სტრიქონები იმას მოწმობდა, რომ კრიპტექსისპაროლს მხოლოდ რაინდის საფლავის მიგნებით თუ იპოვიდნენ.

ლენგდონი აღელვებული მიუბრუნდა თიბინგს.

ხვდები, რომელ რაინდზეა ლაპარაკი ამ ლექსში?

თიბინგმა ფართოდ გაიღიმა და კბილები გამოაჩინა.

ოდნავი წარმოდგენაც კი არა მაქვს.

სწორედ ამ დროს, 15 მილის მოშორებით, წვიმით გაჟღენთილ გზაზე კენტის პოლიციის ექვსი მანქანა მიქროდა ბიგინ პილის სამთავრობო აეროპორტისკენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 79

ლეიტენანტმა კოლემ თიბინგის მაცივრიდან გამოღებული პერიე დაისხა, ფართო ნაბიჯით გადაკვეთა სასადილო ოთახი და გარეთ გამოვიდა. იმის მაგივრად, რომ ფაშს წაჰყოლოდა ლონდონში, სადაც მოქმედება ვითარდებოდა, მას ძიძის როლი უნდა შეესრულებინა და მოევლო პოლიციის საგამოძიებო ჯგუფისთვის, რომელიც მთელ შატო ვილეს იყო მოდებული.

აქამდე მოძიებული არც ერთი სამხილი არ იყო მნიშვნელოვანი: იატაკში ჩარჭობილი ერთადერთი ტყვია; ქაღალდის ნაგლეჯი ზედ დაჯღაბნილი რაღაც სიმბოლოებითა და სიტყვებით blade (ხმალი) და chalice (თასი); სისხლით მოსვრილი წვეტებიანი ქამარი, რომელიც, როგორც კოლეს პოლიციის საგამოძიებო ჯგუფმა მოახსენა, დაკავშირებული იყო კონსერვატიულ კათოლიკურ ჯგუფთან, სახელად "ოპუს დეი". ამ ჯგუფს ეხებოდა ცოტა

ხნის წინ წარმოქმნილი მღელვარება საზოგადოებაში. ახალი ამბებიდან ცნობილი გახდა, რომ ახალი წევრების ორგანიზაციაში აყვანა პარიზში უაღრესად აგრესიული მეთოდებით ხდებოდა.

კოლემ ამოიოხრა. მხოლოდ იღბალი თუ მიანიჭებს აზრს ამ წარმოუდგენელ ქაოსს.

კოლემ გაიარა მდიდრული დერეფანი და შევიდა კაბინეტიდან გადაკეთებულ უკიდეგანო სამეჯლისო დარბაზში. აქ პოლიციის მთავარი ექსპერტი დაკავებული იყო თითის ანაბეჭდების ძიებით. ეს იყო ზორბა კაცი აჭიმებით.

– არის რამე? – ჰკითხა კოლემ შესვლისთანავე.

ექსპერტმა თავი გააქნია.

– არაფერი ახალი. ბევრი თითის ანაბეჭდია და ისინი მთელ სახლში მოძიებულ ანაბეჭდებს ემთხვევა.

– ამ ქამარზე არსებულ ანაბეჭდებზე რას იტყვით?

– ინტერპოლი ჯერ კიდევ მუშაობს ამაზე, მე შევიყვანე მთელი ინფორმაცია იმის შესახებ, რაც ვიპოვნეთ.

კოლემ სამხილის ორი დალუქული პარკისკენ მიუთითა, მაგიდაზე რომ იდო.

– ესეც?

კაცმა მხრები აიჩეჩა.

– ჩვევაა. მე ნებისმიერ გამორჩეულ ნივთს ვაგდებ ხოლმე ჩანთაში.

კოლე მიუახლოვდა მაგიდას. გამორჩეული?

– ეს ბრიტანელი დიდი უცნაური ვინმეა, – თქვა ექსპერტმა, – აბა ერთი ამას შეხედეთ.

მან სამხილების პარკები მოქექა, ერთი ამოარჩია და კოლეს გაუწოდა.

ფოტოზე ასახული იყო გოთიკური ტაძრის შესასვლელი – ტრადიციული, შეწეული კამაროვანი შესასვლელი, რომელიც თანდათან ვიწროვდებოდა მრავალი, გამოშვერილი ფენით და მის სიღრმეში პატარა კარი.

კოლემ ყურადღებით შეისწავლა ფოტო და ექსპერტს მიუბრუნდა.

– ეს არის გამორჩეული?

– გადააუბრინეთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფოტოს უკანა მხარეს კოლემ დაინახა ინგლისურ ენაზე გაკეთებული შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, ტაძრის მოგრძო პორტალი სიმბოლურად ქალის საშოს აღნიშნავს. ეს უცნაური იყო, თუმცა, შენიშვნა, რომელიც ტაძრის კარს აღწერდა, იყო სწორედ ის, რამაც კოლე შეაშინა.
მოითმინეთ! ტაძრის შესასვლელი წარმოადგენს ქალის...
ექსპერტმა თავი დაუქნია.
იგი დასრულებულია ბაგეებისმაგვარი კიდეებით და პატარა მშვენიერი ხუთფურცელა კლიტორით კარის ზევით. მან ამოიოხრა ისე აღწერს, კაცს ეკლესიაში შესვლა მოგინდება.
კოლემ სამხილის მეორე პარკი აიღო. მან ცელოფანშიც შეძლო დაენახა ძველი დოკუმენტის დიდი პრიალა ფოტო. ფოტოს ზედა ნაწილს ჰქონდა სათაური:
Les Dossiers Secrets # 40 lm1249
ეს რა არის? ჰკითხა კოლემ.
წარმოდგენა არა მაქვს. ამის ასლები ყველგან არის მიმოფანტული. ამიტომ შევაგროვე და პარკში ჩავდე.
კოლემ დოკუმენტი ყურადღებით დაათვალიერა.
PRIEURE DE SION LES NAUTONIERS/ დიდი მაგისტრები
Prieure de Sion? დაინტერესდა კოლე.
ლეიტენანტო! თავი შემოყო მეორე აგენტმა. ოპერატორს მნიშვნელოვანი ზარი აქვს გადასაცემი ფაშისთვის, მაგრამ ვერ უკავშირდება თქვენ უპასუხებთ?
კოლე სამზარეულოში დაბრუნდა და ყურმილი აიღო. ეს იყო ანდრე ვერნე.
ბანკირის დახვეწილი აქცენტი ძლივს ფარავდა დაძაბულობას მის ხმაში.
კაპიტანმა ფაშმა მითხრა, დაგირეკავო, მაგრამ ჯერ არ გამოჩენილა.
კაპიტანი ძალიან დაკავებულია, უპასუხა კოლემ, მე ვერ დაგეხმარებით?
მე დამარწმუნეს, რომ ამ ღამით თქვენი გამოძიების განვითარებას არ გამომაპარებდით.
ერთი წამით კოლემ გაიფიქრა, რომ მამაკაცს ნაცნობი ხმის ტემბრი ჰქონდა, მაგრამ ფერაფერს დაუკავშირა.
მესიე ვერნე, ახლა მე ვაგებ პასუხს პარიზში მიმდინარე გამოძიებაზე. მე ლეიტენანტი კოლე მქვია.
ხაზზე ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა.
ლეიტენანტო, მეორე ზარს უნდა ვუპასუხო. თუ შეიძლება, მაპატიეთ. მოგვიანებით დაგირეკავთ, ვერნემ ტელეფონი გათიშა.
რამდენიმე წამის განმავლობაში კოლეს ყუმილი ხელში ეჭირა. უეცრად გონება გაუნათდა. ვიცოდი, რომ ნაცნობი ხმა იყო! აღმოჩენამ სუნთქვა შეუკრა.
ჯავშნიანი მანქანის მძღოლი. ყალბი როლექსი.
კოლე ახლაღა მიხვდა, რატომ გათიშა მამაკაცმა ტელეფონი ასე სწრაფად. ვერნეს გაახსენდა სახელი ლეიტენანტი კოლე ის ოფიცერი, რომელსაც ამ ღამით მტკნარი ტყუილი უთხრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოლემ აწონდაწონა სიტუაციის ამგვარი უცნაური განვითარების მნიშვნელობა. ვერნე გარეულია ამ საქმეში. ინსტინქტი უკარნახებდა, რომ ფაშისთვის უნდა დაერეკა, ემოციურად კი გრძნობდა, რომ ეს ის იღბლიანი შემთხვევა იყო, როდესაც თავის გამოჩენას შეძლებდა.

სასწრაფოდ დარეკა ინტერპოლშიდა მოითხოვა ყველაფერი, რაც კი ციურიხის სადეპოზიტო ბანკზე და მის პრეზიდენტ ანდრე ვერნეზე მოეპოვებოდათ.

თავი 80

უსაფრთხოების ქამრები შეიკარით, თუ შეიძლება, გამოაცხადა თიბინგის მფრინავმა, როდესაც ჰოუკერ 731მა დაშვება დაიწყო. პირქუში დილა იყო, ჟინჟლავდა, ხუთ წუთში დავსხდებით.

თიბინგმა სახლში დაბრუნების სიხარული იგრძნო, როდესაც თვითმფრინავის ქვეშ კენტის ნისლიანი მთები გადაიშალა. პარიზიდან ინგლისამდე ფრენას ერთ საათზე ნაკლები სჭირდება, მაგრამ აქ სულ სხვა სამყარო იყო. ამ დილით სველი, გაზაფხულის სიმწვანით დაფარული მშობლიური მიწაწყალი განსაკუთრებით სასურველი იყო. ჩემი ფრანგული ეპოპეა დასრულდა. ინგლისში გამარჯვებული ვბრუნდები. ქვაკუთხედი ნაპოვნია. მთავარი კითხვა, თუ სად მიგვიყვანს ბოლოს ქვაკუთხედი, ჯერ უპასუხოდ რჩება.

სადმე გაერთიანებულ სამეფოში. თიბინგს წარმოდგენა არ ჰქონდა ზუსტად სად, მაგრამ უკვე გრძნობდა ტრიუმფის გემოს.

სოფი და ლენგდონი მას თვალს ადევნებდნენ. თიბინგი ადგა და სალონის მოშორებული მხარისკენ წავიდა, კედლის პანელი გვერდზე გასწია და გამოაჩინა კედელში

საგულდაგულოდ დამალული სეიფი. შიფრი აკრიფა, სეიფის კარი გააღო და იქიდან ორი პასპორტი ამოაძვრინა.

ეს ჩემი და რემის საბუთებია, ამას გირვანქა სტერლინგების სქელი შეკვრა მოჰყვა, სულ ორმოცდაათიანი ბანკნოტები, ეს კი თქვენი საბუთები.

სოფიმ ეჭვით შეხედა.

ქრთამია?

შემოქმედებითი დიპლომატია. სამთავრობო აეროდრომებს თავიანთი აკვიატებები ახასიათებთ. ბრიტანეთის საბაჟოს ოფიციალური წარმომადგენელი ჩემს ანგართან დაგვხვდება და გვთხოვს, თვითმფრინავიდან არ ჩამოვიდეთ. იმის ნაცვლად, რომ თვითმფრინავზე ამოსვლის ნება მივცე, ვეტყვი, რომ სახელგანთქმულ ფრანგ ქალბატონთან ერთად ვმოგზაურობ. მას ურჩევნია, რომ არავინ გაიგოს მისი ინგლისში ყოფნა. პრესის ამბავი ხომ იცით. მე კი ამ ოფიციალურ პირს გულუხვ გასამრჯელოს შევთავაზებ. ეს იქნება მადლობის გამოხატვა მისი ასეთი კეთილგონიერებისთვის.

ლენგდონი გაოცებული ჩანდა.

და ეს ოფიციალური პირი ამ ფულს მიიღებს?

ყველასგან არა. მაგრამ მე მიცნობენ. ღვთის მადლით, იარაღით არ ვვაჭრობ. მე რაინდობა მაქვს მონიჭებული, თიბინგს გაეღიმა, ამას თავისი უპირატესობები აქვს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა რემი გამოჩნდა გასასვლელში, მას ისევ იარაღი ეჭირა ხელში.
სერ, მე რაღას ვაკეთებ?
თიბინგმა სწრაფად შეხედა თავის მსახურს.
მე მინდა, რომ ჩვენს სტუმართან ერთად დარჩე თვითმფრინავში. სანამ დავბრუნდებოდეთ. თან ხომ ვერ ვათრევთ მთელ ლონდონში.
სოფი დაძაბული იყო.
ლი, მე არ ვხუმრობ, როდესაც ვთქვი, რომ საფრანგეთის პოლიცია შენს თითმფრინავს ჩვენს დაბრუნებამდე, იპოვისმეთქი.
თიბინგმა გაიცინა.
დიახ, წარმომიდგენია, როგორ გაუკვირდებათ, როდესაც თვითმფრინაში ამოვლენ და რემის იპოვიან.
სოფი გააკვირვა მისმა არხეინობამ.
ლი, თქვენ საერთაშორისო საზღვარზე გაკოჭილი მძევალი გადაიყვანეთ. ეს სერიოზული დანაშაულია.
ჩემი ადვოკატებიც სერიოზული ხალხია, მან ბრაზიანი მზერა ესროლა თვითმფრინავის უკან მყოფ ბერს, ეს მხეცი შემოიჭრა ჩემს სახლში და კინაღამ მომკლა. ეს ფაქტია. და ამას რემი დაადასტურებს.
მაგრამ შენ ის გაკოჭე და ლონდონში გადმოაფრინე! თქვა ლენგდონმა.
თიბინგმა მაღლა მარჯვენა ხელი ასწია და გაითამაშა, ვითომ სასამართლოს დარბაზში ტრადიციულ ფიცს დებდა.
პატივცემულო მოსამართლევ, აპატიეთ ექსცენტრიულ ბებერ რაინდს, რომელიც იმდენად სულელია, რომ ჯერაც აკვიატებით სწამს ბრიტანული მართლმსაჯულებისა, ახლაღა ვხვდები, რომ საფრანგეთის ხელისუფლებისათვის მიმემართა, მაგრამ სნობი ვარ და არ მჯერა, რომ ჩაურევლობის პოლიტიკის მიმდევარ ფრანგებს შეუძლიათ ნორმალურად წარმართონ მართლმსაჯულება. ამ ადამიანმა კინაღამ მომკლა. დიახ, მე დაუფიქრებელი გადაწყვეტილება მივიღე და ჩემი მსახურის დახმარებით იგი ინგლისში ჩამოვიყვანე, მაგრამ მე ხომ საშინელი სტრესის ქვეშ ვიყავი, Mea culpa. Mea culpa.
ლენგდონი მას სკეპტიკურად უყურებდა.
დავიჯერო, რომ ასე იოლად გაგივა?
სერ! დაიძახა მფრინავმა, ამ წუთას კოშკურამ რადიოშეტყობინება გადმომცა, მათ რაღაც ტექნიკური პრობლემა აქვთ თქვენი ანგარის მახლობლად და მთხოვენ, რომ თვითმფრინავი პირდაპირ ტერმინალთან მივიყვანო.
თიბინგი უკვე ათ წელზე მეტი იყო ბიგინ ჰილში ჩადიოდა და ასეთი რამ პირველად მოხდა.
თქვეს რა პრობლემაა?
ოპერატორი ზუსტად ვერაფერს ამბობს. რაღაც გაზის გაჟონვისმაგვარია დასატუმბ სადგურზე. მათ მითხრეს, რომ მანქანა ტერმინალის წინ უნდა გავაჩერო და არავინ დატოვოს თვითმფრინავი შემდგომი შეტყობინების მიღებამდე. ეს უსაფრთხოების ზომებია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩვენ არ უნდა დავტოვოთ თვითმფრინავი, სანამ აეროპორტის ადმინისტრაცია არ შეგვატყობინებს: ”გზა თავისუფალია!”
თიბინგს ეჭვი შეეპარა. შეიძლება მართლაც რაღაც ჯანდაბა გაზის გაჟონვაა. მაგრამ დასატუმბი სადგური კარგა ნახევარი მილითაა დაშორებული მის ანგარს.
რემიც დაეჭვებული ჩანდა.
სერ, რაღაც ძალიან უცნაური ამბავია.
თიბინგი სოფის და ლენგდონს მიუბრუნდა.
უსიამოვნო ეჭვი მიჩნდება, რომ, როგორც ჩანს, მიმღები კომიტეტი დაგვხვდება.
ლენგდონმა სევდიანად ამოიოხრა.
როგორც ვხვდები, ფაში ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ მე დამნაშავე ვარ.
ანდა უკვეისე ღრმად შეტოპა, რომ უჭირს თავისი შეცდომის აღიარება, თქვა სოფიმ.
თიბინგი მათ არ უსმენდა. იმის მიუხედავად, თუ რას ფიქრობდა ფაში, სასწრაფოდ რამე უნდა ეღონათ. საბოლოო მიზანი სულ მუდამ თავლწინ უნდა გქონდეს. ეს მიზანი კი ბარძიმია. ჩვენ ასე ახლოს ვართ მასთან. ქვევით ყრუ ხმით დაეშვა ტრაპი.
ლი, თქვა ლენგდონმა, მის ხმაში ღრმა სინანული იგრძნობოდა, ჯობს ჩავბარდე და ეს საქმე კანონიერი გზით მოვაგვარო. თქვენ ამ საქმეში არ უნდა იყოთ გარეული.
თუ ღმერთი გწამს, რობერტ! უარყო თიბინგმა ეს წინადადება, შენ მართლა ფიქრობ, რომ ისინი დანარჩენების გაშვებას აპირებენ? მე ესესაა არალეგალურად ჩამოგიყვანე. მის ნევე დაგეხმარა ლუვრიდან გაქცევაში, და ჩვენ თვითმფრინავის ბოლოში
გვყავს გაკოჭილი კაცი. რეალურად, ჩვენ ყველანი ვართ ამაში გარეულნი.
სხვა აეროპორტის შესაძლებლობა ხომ არ არის?
თიბინგმა თავი გააქნია.
ჩვენ ახლა რომ ავფრინდეთ, იმ დროისათვის როდესაც მივიღებთ დაშვების უფლებას ნებისმიერ უახლოეს წერტილში, ჩვენს მიმღებ კომიტეტში ტანკებს შეიყვანენ.
სოფი მძიმედ დაეშვა სავარძელში.
თიბინგმა იგრძნო, რომ მათ ახლა დროის მოგება და ბრიტანეთის ხელისუფლებასთან დაპირისპირების გაჭიანურება სჭირდებოდათ. მათ ბარძიმი უნდა ეპოვნათ. საჭირო იყო გაბედული ნაბიჯის გადადგმა.
ერთი წუთი მომეცით, თქვა მან და კოჭლობით გაემართა მფრინავის კაბინისკენ.
რას აკეთებ? ჰკითხა ლენგდონმა.
უნდა ვივაჭრო. თქვა თიბინგმა, ახლა ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა დაუჯდებოდა მფრინავის დარწმუნება, რომ მას ერთი უაღრესად უჩვეულო მანევრი ჩაეტარებინა.
თავი 81
ჰოუკერი დასაჯდომად ემზადებოდა. საიმონ ედვარდსი სამთავრობო მომსახურების ოფიცერი ბიგინ ჰილის აეროპორტში სწრაფი ნაბიჯით მიეშურებოდა საკონტროლო კოშკურისკენ და თვალებმოჭუტული ნერვიულად მისჩერებოდა წვიმით გაჟღენთილ ასაფრენ ბილიკს. მას არ მოსწონდა, როდესაც შაბათს დილაადრიან აღვიძებდნენ, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამჯერად უფრო უარესი იყო, რადგან აეროპორტის ყველაზე მდიდარი კლიენტის
დასაპატიმრებლად დაიბარეს. სერ ლი თიბინგი ბიგინ ჰილს მარტო საკუთარი ანგარის
ქირას კი არ უხდიდა, არამედ "ყოველი ჩამოფრენის გადასახადსაც". ის კი ხშირად
ჩამოდიოდა და მიფრინავდა აქედან. ჩვეულებრივ, აეროპორტი წინასწარ იღებდა ხოლმე
გაფრთხილებას მისი განრიგის შესახებ და, ამდენად, შესაძლებელი იყო მის
ჩამოფრენასთან დაკავშირებით მკაცრი წესების დაცვა. თიბინგს უყვარდა, როცა
ყველაფერი წესრიგში იყო: ანგარში აუცილებლად უნდა დახვედროდა საგანგებო
შეკვეთით დამზადებული გაპრიალებული "იაგუარი": პირთამდე სავსე საწვავის ავზითა და
"ლონდონ ტაიმსის" ახალი ნომრით უკანა დასაჯდომზე. საბაჟოს ოფიცერი თვითმფრინავს
ანგართან უნდა დახვედროდა, რომ დროის დაუკარგავად შეემოწმებინა სავალდებულო
საბუთები და ბარგი. ხანდახან საბაჟოს აგენტები მისგან დიდ თანხას იღებდნენ, რათა
თვალი დაეხუჭათ უსაფრთხო ტვირთზე ეს იყო განსაკუთრებით ძვირფასი საჭმელი
ფრანგული ლოკოკინები, სპეციალურად დაძველებული, დაუმუშავებელი როკფორი,
ეგზოტიკური ხილი. ბევრი საბაჟო წესი მართლაც აბსურდული იყო და, თუ ბიგინ ჰილი
თავის კლიენტებს ხელსაყრელ გარემოს არ შეუქმნიდა, ამას მათი კონკურენტი
აეროპორტები იზამდნენ. თიბინგს მისთვის სასურველ პირობებს აქ, ბიგინ ჰილში
უქმნიდნენ, და აეროპორტის თანამშრომლებისთვისაც ეს უაღრესად ხელსაყრელი იყო.
ედვარდსი ძალიან აღელვებული და დაძაბული ჩანდა. ის თვალს არ აშორებდა
დასაშვებად გამზადებულ თვითმფრინავს. იმაზე ფიქრობდა, რა ჩაიდინა თიბინგმა ისეთი,
რომ საფრენგეთის ხელისუფლება ასე ესწრაფოდა მის გაკონტროლებას. ნუთუ ქონებრივმა
საქმეებმა შეუქმნა პრობლემები? ედვარდსისთვის არავის უთქვამს, რაში
ადანაშაულებდნენ თიბინგს, მაგრამ აშკარად რაღაც სერიოზული კი იყო. საფრანგეთის
ხელისუფლების მოთხოვნით კენტის პოლიციამ უბრძანა ბიგინ ჰილის საჰაერო
ტრანსპორტის კონტროლიორს, რომ თვითმფრინავი კლიენტის ანგართან კი არა, მთავარ
ტერმინალთან დაესვა. მფრინავი დათანხმდა, რადგან ალბათ დაიჯერა გამოგონილი
ამბავი საწვავის გაჟონვის შესახებ.
ჩვეულებრივ, ბრიტანეთ|ის პოლიცია იარაღს არ ატარებს ხოლმე, მაგრამ სიტუაციის
სერიოზულობის გამო შეიარაღებული ჯგუფი გამოიყვანეს, და ახლა ტერმინალის შენობაში
რვა შეიარაღებული პოლიციელი იდგა. ისინი ელოდნენ წუთს, როდესაც თვითმფრინავის
ძრავა გაჩერდებოდა. როგორც კი ეს მოხდებოდა, ასაფრენი ბილიკის ზედამხედველს
თვითმფრინავის ბორბლების ქვეშ დამცავი ხუნდები უნდა დაეყენებინა, რომ
თვითმფრინავი ვეღარ განძრეულიყო. ამის შემდეგ პოლიცია გამოჩნდებოდა და
თვითმფრინავის მგზავრებს დააკავებდა საფრანგეთის პოლიციის მოსვლამდე.
„ჰოუკერი" უკვე დაბლა მოფრინავდა. მან მარჯვნივ გადაუფრინა ხეებს. საიმონ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ედვარდსი ქვევით ჩავიდა, რომ ასაფრენი ბილიკიდან ედევნებინა თვალი დაშვების პროცესისათვის. კენტის პოლიცია საფრიდან ჯერ არ იყო გამოსული, ხოლო ტექნიკური ზედამხედველი ხუნდებით ხელში თავის დროს ელოდა. "ჰოუკერმა" ოდნავ ასწია ცხვირი და ორთქლის ღრუბელში გახვეული ბორბლები დასაფრენ ბილიკს შეახო. თვითმფრინავი ახლა მიწაზე იყო, სიჩქარის დაგდებას აპირებდა და ტერმინალის წინ მარჯვნიდან მარცხნივ სწრაფად მოძრაობდა. მისი თეთრი კორპუსი სველ ამინდში ბზინავდა. მაგრამ თვითმფრინავმა ჩამქრალი ძრავით მშვიდად ჩაუარა ტერმინალის მისადგომ ბილიკს და გზა თიბინგის ანგარისკენ განაგრძო.

ყველა იქ მდგარი პოლიციელი მოტრიალდა და ედვარდს მიაშტერდა.

მგონი, თქვენ თქვით, რომ მფრინავი ტერმინალთან მისვლაზე დაგთანხმდათ!

ედვარდსი დაბნეული და გაოგნებული იყო.

დიახ, დათანხმდა!

რამდენიმე წამის შემდეგ ედვარდსი ჩაჭეჭყეს პოლიციის მანქანაში, რომელიც დიდი სიჩქარით მიქროდა მოშორებით მდგომი ანგარისკენ. პოლიციის კორტეჟი ჯერ კიდევ 500 იარდით იყო დაშორებული, როდესაც თიბინგის „ჰოუკერი" მშვიდად შევიდა საკუთარ ანგარში და გაუჩინაარდა. როდესაც მანქანებმა ანგარს ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს და მოწყვეტით გაჩერდნენ ყურთამდე ღია კარის წინ, პოლიციელები მანქანებიდან გადმოცვივდნენ და იარაღი მოიმარჯვეს.

ედვარდსიც გადმოხტა მანქანიდან.

ირგვლივ გამაყრუებელი ხმაური იდგა.

ჰოუკერის ძრავები ჯერ კიდევ ღრიალებდა. ჰოუკერი ამთავრებდა თავის ჩვეულ მოხვევას, რომ ანგარში ცხვირით გარეთ დამდგარიყო. როდესაც 180გრადუსიანი ბრუნი დაასრულა და ანგარის წინა ნაწილში გამოგორდა, ედვარდსმა მფრინავის სახე დაინახა. ადვილი გასაგები იყო მასზე გამოხატული განცვიფრება და შიში პოლიციის მანქანების ბარიკადების დანახვისას.

მფრინავმა საბოლოოდ გააჩერა თვითმფრინავი და ძრავები ჩააქრო. პოლიციელები შეცვივდნენ და თვითმფრინავის ირგვლივ პოზიცია დაიკავეს. ედვარდსი შეუერთდა კენტის

პოლიციის მთავარ ინსპექტორს, რომელიც ფრთხილად გაემართა თვითმფრინავის გამოსასვლელი კარისკენ. რამდენიმე წამის შემდეგ თვითმფრინავის კარი გაიღო. ლი თიბინგი გამოჩნდა და ავტომატური კიბეც ნელნელა დაეშვა. როდესაც მან თვალი მოავლო მისთვის დამიზნებულ აუარებელ იარაღს, ყავარჯენი გაისწორა და თავი მოიქექა.

საიმონ, სანამ აქ არ ვიყავი, ნუთუ პოლიციელების ლატარია მოვიგე? იგი უფრო გაკვირვებული ჩანდა, ვიდრე შეშფოთებული.

საიმონ ედვარდსმა წინგადმოდგა ნაბიჯი და ძლივს გადაყლაპა ნერწყვი, რომ ხმა ამოეღო.

დილა მშვიდობისა, სერ. ბოდიშს გიხდით, რომ დაგაბნიეთ. ჩვენთან საწვავის გაჟონვა იყო და თქვენი მფრინავი დაგვთანხმდა, რომ ტერმინალთან გაჩერებულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიახ, ვიცი. მე ვუთხარი, რომ აქ მოსულიყო. შეხვედრაზე მაგვიანდება. ემ ამ ანგარის ფულს ვიხდი. სიმართლე გითხრათ, ეს სისულელე საწვავის გაჟონვის თავის არიდების შესახებ ზედმეტ სიფრთხილედ მეჩვენა.
ვწუხვარ, თქვენი ჩამოსვლა ცოტათი მოულოდნელი იყო ჩვენთვის, სერ.
ვიცი. მე მართლაც ამოვვარდი გრაფიკიდან. ჩვენს შორის დარჩეს და, ახალი წამლები შარდმდენი აღმოჩნდა. ვიფიქრე, რომ ცოტა აწყობა მჭირდება.
პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს. ედვარდსი შეკრთა.
ძალიან კარგი, სერ.
სერ, წარმოთქვა კენტის მთავარმა ინსპექტორმა და ნაბიჯი წინ გადმოდგა. უნდა გთხოვოთ, რომ თვითმფრინავში დარჩეთ ნახევარი საათით ან ცოტა მეტით.
თიბინგს ეს აშკარად არ მოეწონა. მან კოჭლობით დაიწყო კიბეზე ჩამოსვლა.
სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ექიმთან მაქვს დანიშნული შეხვედრა, იგი ასფალტზე ჩამოვიდა, ამ შეხვედრას ვერ გავაცდენ.
მთავარმა ინსპექტორმა ადგილი შეიცვალა და თიბინგს გზა გადაუღობა, რომ თვითმფრინავს არ მოშორებოდა.
მე აქ ვარ საფრანგეთის პოლიციის ბრძანებით. ისინი ამტკიცებენ, რომ თქვენს თვითმფრინავში იმყოფებიან პირები, რომლებიც კანონს გამოექცნენ.
თიბინგმა ხანგრძლივი მზერა მიაპყრო მთავარ ინსპექტორს და შემდეგ გადაიხარხარა.
გადაცემა "ფარული კამერაა"? შესანიშნავია!
მთავარი ინსპექტორი არც კი განძრეულა.
მე სერიოზულად ვამბობ, სერ. საფრანგეთის პოლიცია იმასაც ამტკიცებს, რომ თქვენ შეიძლება მძევალიც გყავთ თვითმფრინავში.
კიბის თავზე თიბინგის მსახური რემი გამოჩნდა.
სერ ლის სამსახურში მე მართლაც მძევლად ვგრძნობ თავს, მაგრამ მარწმუნებს, რომ თავისუფალი ვარ და სადაც მინდა, იქ წავალ. რემიმ საათზე დაიხედა, ბატონო, ჩვენ ნამდვილად დაგვიგვიანდა, მან თავით მიანიშნა ანგარის შორეულ კუთხეში მდგარი "იაგუარისკენ", უზარმაზარი ავტომობილი შავი ფერისა იყო, ტონირებული შუშებით, მე მანქანას გამოვიყვან, რემიმ კიბეზე ჩამოსვლა დაიწყო.
ვწუხვარ, ვერ მოგცემთ აქედან წასვლის ნებას, უთხრა მთავარმა ინსპექტორმა, თუ შეიძლება, თვითმფრინავში დაბრუნდით. ეს ორივეს გეხებათ საფრანგეთის პოლიციის წარმომადგენლები საცაა ჩამოფრინდებიან.
თიბინგმა ახლა საიმონ ედვარდსისკენ გაიხედა.
საიმონ, ღმერთმანი, ეს უკვე სასაცილოა! ჩვენ მეტი არავინ გვყავს თვითმფრინავში. როგორც ყოველთვის რემი, ჩვენი მფრინავი და მე თვითონ. იქნებ შუაკაცის როლი შეასრულოთ და ახვიდეთ, დაათვალიეროთ თვითმფრინავი და დაადასტუროთ, რომ ის ცარიელია.
ედვარდსმა იცოდა, რომ მახეში გაება. დიახ, სერ, მე შემიძლია დავათვალიერო თვითმფრინავი.
არ გაბედო! განაცხადა კენტის პოლიციის მთავარმა ინსპექტორმა. ის კარგად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იცნობდა სამთავრობო აეროდრომების ყოფას და ეჭვი ეპარებოდა საიმონ ედვარდსის პატიოსნებაში. მას შეეძლო ტყუილი ეთქვა თვითმფრინავის მგზავრების შესახებ, რათა ბიგინ ჰილისათვის კლიენტი შეენარჩუნებინა, მე თვითონ ვნახავ.
თიბინგმა უარის ნიშნად თავი გააქნია.
თქვენ ამას ვერ გააკეთებთ, ინსპექტორო. ეს კერძო საკუთრებაა და სპეციალური ჩხრეკის ორდერის გარეშე ჩემს თვითმფრინავს ვერ მიეკარებით. მე ხელსაყრელ ვარიანტს გთავაზობთ. ბატონ ედვარდსს შეუძლია შეამოწმოს თვითმფრინავი.
ასე ვერ მოვრიგდებით.
თიბინგი ახლა ოფიციალური და ცივი გახდა.
ინსპექტორო, ვწუხვარ, დრო არ მაქვს, რომ თქვენს თამაშში მივიღო მონაწილეობა.
მე დამაგვიანდა და მივდივარ. თუ თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია ჩემი გაჩერება, ისღა დაგრჩენიათ, რომ მესროლოთ. ამის შემდეგ თიბინგმა და რემიმ გვერდი აუარეს მთავარ ინსპექტორს , ანგარი გადაკვეთეს და იქ გაჩერებული ლიმუზინისკენ გაემართნენ.
კენტის პოლიციის მთავარმა ინსპექტორმა უეცარი სიძულვილი იგრძნო თიბინგის მიმართ, როდესაც ამ კაცმა კოჭლობით გამომწვევად აუქცია გვერდი. ეს ბობოლები ყოველთვის ფიქრობენ, რომ კანონზე მაღლა დგანან.
მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. მთავარი ინსპექტორი მიტრიალდა და თიბინგს ზურგზე დაუმიზნა.
შეჩერდით, თორემ გესვრით!
აბა, თქვენ იცით, თქვა თიბინგმა ისე, რომ არც ნაბიჯი შეუნელებია და არც უკან მოუხედავს, ჩემი ადვოკატები თქვენი კვერცხებისგან ფრიკასეს მოამზადებენ საუზმისათვის. და თუ ჩემს თვითმფრინავში ასვლას გაბედავთ ორდერის გარეშე, თქვენს ღვიძლსაც თან მიაყოლებენ.
მთავარი ინსპექტორისთვის უცხო არ იყო ძალაუფლების მქონე ადამიანებთან ურთიერთობა, ამიტომ ამ ნათქვამს მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.
ტექნიკურად თიბინგი მართალი იყო და პოლიციას ნამდვილად სჭირდებოდა ორდერი მის
თვითმფრინავში ასასვლელად, მაგრამ, რადგან რეისი საფრანგეთიდან იყო, და რადგან ყოვლისშემძლე ბეზუ ფაში იყო დაინტერესებული ამ კაცით, მთავარი ინსპექტორი დარწმუნებული იყო, რომ მისი კარიერა უფრო დაცული იქნებოდა, თუ იმის პოვნას შეეცდებოდა, რასაც თიბინგი თვითმფრინავში ასეგულმოდგინედ მალავდა.
გააჩერეთ ეგენი, ბრძანა ინსპექტორმა. მე თვითმფრინავს ვათვალიერებ.
პოლიციელებმა სწრაფად გადაუღობეს თიბინგსა და მის მსახურს ლიმუზინთან მისასვლელი გზა და იარაღი დაუმიზნეს.
ახლა თიბინგი შემოტრიალდა.
ინსპექტორო, უკანასკნელად გაფრთხილებთ. არც იფიქროთ თვითმფრინავში ასვლა. იცოდეთ, ინანებთ.
მთავარმა ინსპექტორმა არაფრად ჩააგდო გაფრთხილება და კიბეზე ასვლა დაიწყო.
შესასვლელთან მისულმა შიგნით შეიჭვრიტა. ერთ წამში სალონში შეაბიჯა. რა ჯანდაბაა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაბინაში შეყუჟული შეშინებული მფრინავის გარდა არც ერთი სულიერი არ იყო
თვითმფრინავში. მთავარმა ინსპექტორმა სწრაფად შეამოწმა საპირფარეშო, სავარძლები
და ბარგის განყოფილება. ბევრი კი არა, ერთი კაციც ვერ იპოვა.
რა ჯანდაბაზე ფიქრობდა ბეზუ ფაში? ჩანს ლი თიბინგი მართალს ამბობდა.
კენტის პოლიციის ინსპექტორი მარტო იდგა ცარიელ თვითმფრინავში და მომხდარის
დაჯერება უჭირდა. ამის ღმერთიც არ იყოს. სახეზე ალი ედებოდა. უკან კიბეზე გამოვიდა,
გახედა ანგარში ლიმუზინთან მიზანში ამოღებულ თიბინგს და მის მსახურს.
გაუშვით! ბრძანა ინსპექტორმა, მცდარი ინფორმაცია მიგვიღია.
თიბინგი განრისხებული უყურებდა ინსპექტორს.
ჩემი ადვოკატებისგან ზარს ელოდეთ. მომავლისათვის კი იცოდეთ, საფრანგეთის
პოლიციის ნდობა არ შეიძლება.
თიბინგმა ეს რომ თქვა, მსახურმა ლიმუზინის უკანა კარი გაუღო და რის ვაივაგლახით
ჩასვა მანქანაში თავისი ხეიბარი ბატონი. შემდეგ მსახურმა ავტომობილს შემოუარა,
საჭესთან დაჯდა და ძრავა ჩართო. პოლიციელები გაიფანტნენ, როდესაც ”იაგუარი”
ანგარიდან გასრიალდა.
კარგად შეასრულე როლი, მეგობარო, განაცხადა თიბინგმა, როდესაც ლიმუზინმა
სიჩქარეს უმატა და აეროპორტიდან გამოვიდა. მან ახლა მანქანის სუსტად განათებულ წინა
ნაწილს გახედა. ყველანი მოხერხებულად ხართ? ლენგდონმა ძლივს დაუქნია თავი. ის
და სოფი ჯერ ისევ მანქანის იატაკზე
მოკუნტულიყვნენ გაკოჭილი და პირაკრული ალბინოსის გვერდით.
ცოტა ხნით ადრე ”ჰოუკერი” შევიდა ცარიელ ანგარში და რემიმ გამოსასვლელი კარი
გააღო, როდესაც თვითმფრინავი გასაჩერებლად ტრიალდებოდა. სანამ პოლიცია
მოუახლოვდებოდა, ლენგდონმა და სოფიმ სწრაფად ჩაათრიეს ბერი კიბეზე და ლიმუზინში
დამალეს. შემდეგ თვითმფრინავის ძრავები ისევ აღრიალდა, თვითმფრინავი მოტრიალდა
და წრე მაშინ დაასრულა, როდესაც პოლიციის მანქანები ანგარის წინ გაჩერდნენ.
ახლა, როდესაც ლიმუზინი სწრაფად გაემართა კენტისკენ, ლენგდონი და სოფი
ავტომობილის უკანა ნაწილში გადმოძვრნენ. გაკოჭილი ბერი იატაკზე დარჩა. ისინი
თიბინგის პირდაპირ გრძელ სკამზე მოკალათდნენ. ბრიტანელმა ეშმაკურად გაუღიმა და
ლიმუზინის ბარი გახსნა.
სასმელი ხომ არ შემოგთავაზოთ? რამეს ხომ არ მიირთმევდით? ბურბუშელას?
თხილს? მინერალურ წყალს?
ორივემ უარის ნიშნად თავი გააქნია.
თიბინგმა ჩაიცინა და ბარი დახურა.
ამრიგად, რაც შეეხება რაინდის სამარხს...
თავი 82

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფლიტ სტრიტი? იკითხა ლენგდონმა და თიბინგს გახედა ლიმუზინის უკან. ფლიტ სტრიტზეა საძვალე? აქამდე თიბინგი ხუმრობითა და მიკიბულმოკიბულად პასუხობდა იმის
შესახებ, თუ სად შეიძლება ეპოვათ "რაინდის საფლავი", რომელსაც, ლექსის მიხედვით, მათთვის პაროლი უნდა მიეცა პატარა კრიპტექსის გასახსნელად.
თიბინგმა ჩაიცინა და სოფის მიუბრუნდა.
მის ნევე, ერთხელ კიდევ აჩვენეთ ლექსი ამ ჰარვარდელ ბიჭს.
სოფიმ ხელი ჩაიყო ჯიბეში და ამოაძვრინა შავი კრიპტექსი, რომელიც პერგამენტში
იყო გახვეული. საერთო გადაწყვეტილებით, ვარდის ხის ყუთი და უფრო დიდი კრიპტექსი
თვითმფრინავის სეიფში დატოვეს. თან წამოიღეს მხოლოდ ის, რაც სჭირდებოდათ უფრო
ადვილად სატარებელი და მოსახერხებელი ზომის შავი კრიპტექსი. სოფიმ მოხსნა
პერგამენტი და ლენგდონს გაუწოდა.
მართალია, ლენგდონს თვითმფრინავში ეს ლექსი უკვე ბევრჯერ ჰქონდა წაკითხული,
მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოეხერხებინა რომელიმე კონკრეტული ადგილის დადგენა.
ახლა კიდევ ერთხელ გადახედა სიტყვებს, ნელა და ყურადღებით გაიაზრა ისინი, იმ
იმედით, რომ ხუთტერფიანი ლექსთწყობა ახლა მაინც უფრო აშკარად დაანახებდა
დაფარულ აზრს. ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს.
თავზე დაატყდა პონტიფიკის რისხვა ძლიერი.
თუ საფლავიდან მოხსნილ სფეროს შენ მიაკვლიე,
ვარდი და საშო გაიხსნება ნაყოფიერი.
ენა საკმაოდ მარტივი იყო. სადღაც ლონდონში დაკრძალული იყო რაინდი, რომლის
საქმეებმაც განარისხა ეკლესია. რაინდის საფლავზე უკვე აღარ არის სფერო, რომელიც
ზედ უნდა იყოს. ლექსის ბოლო მინიშნება ვარდი და საშო გაიხსნება ნაყოფიერი აშკარა
ალუზია იყო მარიამ მაგდალინელზე. ეს ის ვარდია, რომელიც იესოს ნაყოფს ატარებდა.
მიუხედავად ლექსის აშკარა პირდაპირობისა, ლენგდონს მაინც არ ჰქონდა
წარმოდგენა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს რაინდი, ან სად იყო დაკრძალული. უფრო მეტიც,
როგორც კი საფლავის ადგილმდებარეობას მიხვდებოდნენ, მაშინვე უნდა დაეწყოთ ახალი
ძიება სფეროსი, რომელიც იქ აღარ იყო. სფერო, რომელიც მის საფლავზე უნდა იყოს?
გაქვთ რამე აზრი? დაიკრიახა იმედგაცრუებულმა თიბინგმა, თუმცა ლენგდონმა
იგრძნო, რომ სამეფო ისტორიკოსს ძალიან სიამოვნებდა საკუთარ აქტივში ჩაწერილი
ქულა, მის ნევე?
სოფიმ თავი გააქნია.
რა გეშველებოდათ ორივეს ჩემს გარეშე? თქვა თიბინგმა ძალიან კარგი. ახლა მე
აგიხსნით ყველაფერს. სინამდვილეში ძალიან მარტივია. გასაღები არის პირველი ხაზი.
ხომ არ წაიკითხავთ?
ლენგდონმა ხმამაღლა წაიკითხა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს.
ზუსტად ასეა. რაინდი, რომელიც პაპმა დამარხა. მან ლენგდონს შეხედა. როგორ გესმით ეს ყოველივე?
ლენგდონმა მხრები აიჩეჩა.
რაინდი, რომელიც პაპმა დამარხა? რაინდი, რომლის დაკრძალვასაც პაპი ხელმძღვანელობდა?
თიბინგმა ხმამაღლა გადაიხარხარა.
ო, ეს სასაცილოა. რობერტ, როგორც ყოველთვის, ოპტიმისტი ხარ. მეორე ხაზს შეხედე. ამ რაინდმა აშკარად რაღაც ისეთი ჩაიდინა, რამაც ეკლესიის წმინდა რისხვა გამოიწვია. კარგად დაფიქრდი. გაიხსენე კონფლიქტის განვითარება ეკლესიასა და ტაძრის რაინდთა, ანუ ტამპლიერთა შორის. რაინდი, რომელიც პაპმა დამარხა?
რაინდი, რომელიც პაპმა მოკლა? იკითხა სოფიმ.
თიბინგმა გაიღიმა და შექების ნიშნად მუხლზე ხელი მოუთათუნა.
ყოჩაღ, ჩემო ძვირფასო. რაინდი, რომელიც პაპმა დამარხა, ანუ მოკლა.
ლენგდონმა გაიხსენა ყბადაღებული 1307 წელი. ტამპლიერების განადგურების დღე უბედური პარასკევი, ცამეტი რიცხვი როდესაც პაპმა კლიმენტიმ დახოცა და დამარხა ასობით ტამპლიერი რაინდი. მაშინ "პაპის მიერ მოკლული რაინდების" უსასრულო რაოდენობის საფლავი უნდა იყოს.
არა, არც ეგრეა საქმე! თქვა თიბინგმა, ბევრი კოცონზე დაწვეს და ფერფლი გულგრილად გადაყარეს მდინარე ტიბრში. მაგრამ ამ ლექსში სამარხია ნახსენები, სამარხი ლონდონში. ლონდონში ცოტა რაინდია დაკრძალული, თიბინგი ერთხანს გაჩუმდა, თითქოს ელოდა, რომ ლენგდონი თვითონ მიხვდებოდა. ბოლოს გაღიზიანებული
ტონით თქვა:
რობერტ, ღვთის გულისათვის! ეკლესია, რომელიც ლონდონში საძმოს სამხედრო შენაერთის მიერაა აშენებული რაინდ ტამპლიერთა მიერ!
ტემპლის ეკლესია? შეშინებულმა ლენგდონმა თითქოს სული მოითქვა, იქ არის საძვალე?
იქ არის ათი ასეთი საზარელი საფლავი, რომელთა მსგავსსაც ვერასდროს ნახავ. სინამდვილეში ლენგდონი არასდროს არ ყოფილა ტემპლის ეკლესიაში, თუმცა საძმოს შესახებ მასალის კვლევისას არაერთხელ შეხვედრია ეს სახელი. რადგან ტამპლიერთა და საძმოს საქმიანობათა ეპიცენტრი იყო გაერთიანებული სამეფო, ტემპლის ეკლესიას ეს სახელი დაერქვა სოლომონის ტაძრის პატივსაცემად. ეს ის ტაძარია, საიდანაც ტამპლიერებმა თავიანთი სახელი და სანგრილის დოკუმენტები მოიპოვეს. ამ დოკუმენტებმა მიანიჭა მათ მთელი ძალაუფლება. ბევრი ლეგენდა არსებობს იმის შესახებ,
რომ რაინდები უცნაურ, საიდუმლო რიტუალებს ასრულებდნენ ტემპლის ეკლესიის თავშესაფარში. ტემპლის ეკლესია ფლიტ სტრიტზეა?
სინამდვილეში ის ფლიტ სტრიტის იქითარის, ტემპლის შიდა გზაზე. თიბინგს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეშმაკური გამომეტყველება ჰქონდა, მინდოდა ცოტა გამეწვალებინე, სანამ გეტყოდი.
გმადლობთ.
იქ არც ერთი არ ყოფილხართ?
სოფიმ და ლენგდონმა თავი გააქნიეს უარის ნიშნად.
არ მიკვირს, თქვა თიბინგმა, ამჟამად ეკლესია გაცილებით უფრო დიდი შენობების უკან არის მოთავსებული. ცოტამ თუ იცის, რომ ის იქ არის. იდუმალი ძველი ადგილია. არქიტექტურა სულ ერთიანად წარმართულია.
წარმართული? გაიკვირვა სოფიმ.
პანთეონისმაგვარია! წამოიძახა თიბინგმა, ეკლესია მრგვალია. ტამპლიერები არ ცნობდნენ ტრადიციულ ქრისტიანული ჯვრის ფორმის სტრუქტურას და მზის პატივსაცემად
იდეალური წრის ფორმის ეკლესია ააგეს, მან ეშმაკური გამომეტყველება მიიღო, ეს ჩვენს კათოლიკე ძმებს არც თუ ისე ეპიტნავებათ. მათ ასეთივე წარმატებით შეეძლოთ სტოუნჰენჯი გადმოეტანათ ლონდონის ცენტრში.
ლექსის დანარჩენ სტრიქონებზე რას იტყვით? სოფიმ თიბინგს შეხედა.
ისტორიკოსს ხალისიანი განწყობა გაუქრა.
დარწმუნებული არა ვარ. დამაფიქრებელია. ჩვენ ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ ათივე საფლავი. თუ გაგვიმართლებს, ერთერთს აშკარად სფერო უნდა აკლდეს.
ლენგდონი მიხვდა, რა ახლოს იყვნენ. თუ დაკარგული სფერო პაროლს გამოავლენდა, ისინი შეძლებდნენ მეორე კრიპტექსის გახსნას. ის უკვე კარგა ხანია ცდილობდა წარმოედგინა, თუ რას იპოვიდნენ შიგ.
ლენგდონმა ისევ დახედა ლექსს. ის პრიმიტიულ კროსვორდს ჰგავდა. საჭიროა ხუთასოიანი სიტყვა, რომელიც ბარძიმზე მეტყველებს. თვითმფრინავში მათ უკვე სცადეს ყველანაირი აშკარა პაროლი GRAIL, GRAAL, GREAL, VENUS, MARIA, JESUS, SARAH მაგრამ ცილინდრი არც კი განძრეულა. ეს ყველაფერი მეტისმეტად აშკარა იყო. როგორც ჩანს, არსებობდა სხვა ხუთასოიანი მინიშნება ვარდის ნაყოფიერ საშვილოსნოზე. ის, რომ სიტყვა ხელიდან უსხლტებოდა ლი თიბინგის რანგის სპეციალისტს, ლენგდონის აზრით, იმას ნიშნავდა, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი ბარძიმის მინიშნება.
სერ ლი? გადმოსძახა რემიმ. იგი სარკიდან მათ თვალს ადევნებდა, თქვენ თქვით ფლიტ სტრიტი დომინიკელ ბერთა ხიდთან ახლოს არისო?
დიახ, ვიქტორიას სანაპიროთი წადი.
მაპატიეთ, სერ, დარწმუნებული არ ვარ, სად არის. ჩვენ ხომ მხოლოდ საავადმყოფოში დავდივართ ხოლმე.
თიბინგმა სოფის და ლენგდონს გადახედა და დაიბუზღუნა.
ვფიცავ, ხანდახან მგონია, ბავშვს ვუვლი. ერთი წუთით მაპატიეთ, თუ შეიძლება. მიირთვით სასმელი და ცხარე სენდვიჩები. მან ისინი დატოვა და მოუხერხებლად გადაძვრა მანქანის წინა განყოფილებაში რემისთან დასალაპარაკებლად.
სოფი ლენგდონს მიუბრუნდა და მშვიდი ხმით უთხრა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რობერტ, არავინ არ იცის, რომ მე და შენ ინგლისში ვართ.
ლენგდონი მიხვდა, რომ სოფი მართალი იყო. კენტის პოლიცია ეტყვის ფაშს, რომ თვითმფრინავი ცარიელი იყო, და ფაში იძულებული გახდება იფიქროს, რომ ისინი ისევ საფრანგეთში არიან. ჩვენ უხილავები ვართ. ლის პატარა ტრიუკმა მათ აუარებელი დრო მოაგებინა.
ფაში ადვილად არ შეურიგდება ბედს, თქვა სოფიმ, მისთვის ახლა უკვე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ამ დაპატიმრებაზე.
ლენგდონი ცდილობდა, ფაშზე არ ეფიქრა. სოფი ადრე დაჰპირდა, რომ ყველაფერს იღონებდა ლენგდონის გასამართლებლად, როდესაც ეს ამბავი დასრულდებოდა. მაგრამ ლენგდონს უკვე ეშინოდა, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ადვილი შესაძლებელია, ფაში ამ სიუჟეტის ნაწილი იყოს. თუმცა ლენგდონს უჭირდა, რომ წარმოედგინა წმინდა ბარძიმის ისტორიაში გახვეული სასამართლო პოლიცია, მაგრამ ამ ღამით ძალიან ბევრი რამ დაემთხვა ერთმანეთს და ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ფაში თანამონაწილე იყო. ფაში რელიგიურია და უნდა, რომ ეს მკვლელობები მე ამკიდოს. კიდევ ერთიც, სოფი ამტკიცებს, რომ ფაში შეიძლება გადამეტებული პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება თავის მოვალეობას და ამიტომ უნდა ლენგდონის დაპატიმრება.
მართლაც, უნდა ითქვას, რომ ლენგდონის წინააღმდეგ საკმარისზე მეტი სამხილია. გარდა
იმისა, რომ ლენგდონის სახელი ლუვრის იატაკზე და სონიერის დღიურში წერია, ახლა ისიც დაემატა, რომ ლენგდონმა ტყუილი თქვა თავისი ხელნაწერის შესახებ, შემდეგ კი გაიქცა. სოფის წინადადებით.
რობერტ, ვწუხვარ, რომ ასე ღრმად ხარ ჩათრეული ამ საქმეში, უთხრა სოფიმ და ლენგდონს მუხლზე ხელი დაადო, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან მიხარია, რომ აქა ხარ.
ეს შენიშვნა უფრო პრაგმატულად ჟღერდა, ვიდრე რომანტიკულად, და მაინც, ლენგდონმა უცებ იგრძნო, რომ მათ შორის მიზიდულობის ნაპერწკალმა გაიელვა. მან სოფის დაღლილი ღიმილით გადახედა.
ჩემთან ურთიერთობა უფრო სახალისოა, როდესაც გამოძინებული ვარ.
სოფი რამდენიმე წამს ჩუმად იყო, ბაბუამ მითხრა, რომ შენ უნდა გენდო. მიხარია, რომ ერთხელ მაინც დავუჯერე.
ბაბუაშენი მე არც კი მიცნობდა.
და მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ შენ ყველაფერი გააკეთე,რაც მას უნდოდა. შენ ქვაკუთხედი მაპოვნინე, ამიხსენი, რას ნიშნავს სანგრილი, მომიყევი სარდაფის რიტუალის
შესახებ, აქ წამით გაჩუმდა, ახლა მე უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობ ბაბუასთან, ვიდრე წლების მანძილზე. ვიცი, რომ გაეხარდებოდა.
მოშორებით, ჰორიზონტზე, განთიადის ბურუსში თანდათანობით ჩნდებოდა ლონდონი. ადრე ამ სურათზე ბიგ ბენი და ტაუერის ხიდი ჩანდა ხოლმე, ახლა კი ჰორიზონტი დაკავებული ჰქონდა "მილენიუმის თვალს" ეს იყო კოლოსალური, ულტრათანამედროვე ატრაქციონი, "ეშმაკის ბორბალი", რომელიც 500 ფუტის სიმაღლეზე აგიყვანდათ და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალაქის თვალწარმტაც ხედებს გადაგიშლიდათ თვალწინ. ლენგდონმა ერთხელ სცადა ზედ ასვლა, მაგრამ "მიმოხილვის კაფსულებმა" დალუქული სარკოფაგები მოაგონა. ამიტომ აირჩია, მყარად მდგარიყო მიწაზე და ქალაქის ხედით ტემზის გაშლილი ნაპირებიდან დამტკბარიყო.

ლენგდონმა მუხლზე ხელის მოჭერა იგრძნო და რეალობას დაუბრუნდა. სოფი თავისი მწვანე თვალებით უყურებდა. ახლა მიხვდა, რომ სოფი მას ელაპარაკებოდა.

როგორ ფიქრობ, რა უნდა ვუყოთ სანგრილის დოკუმენტებს, თუკი ოდესმე ვიპოვით? ჩაიჩურჩულა სოფიმ.

ჩემი შეხედულება ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არ არის. თქვა ლენგდონმა. კრიპტექსი ბაბუამ შენ მოგცა და ისე უნდა მოიქცე, როგორც, შენი აზრით, თვით სონიერი მოიქცეოდა.

მე შენი აზრი მაინტერესებს. შენ აშკარად რაღაც ისეთი დაწერე წიგნში, რის გამოც ბაბუა შენს მოსაზრებებს ენდო. მან დაგეგმა შენთან პირადი შეხვედრა. ეს კი იშვიათად ხდებოდა. იქნებ იმის თქმა უნდოდა, რომ ყველაფერი, რაც მიწერია, მცდარიაო? რატომ დამავალებდა, შენ მომეძებნე, თუ შენი აზრები არ მოსწონდა? შენს წიგნში სანგრილის დოკუმენტების გამოაშკარავებას უჭერდი მხარს თუ დამალვას?

არც ერთს. მე თვალსაზრისი არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ გამომითქვამს. ნაშრომი ეხება წმინდა ქალის სიმბოლიკას მისი იკონოგრაფიის ისტორიულ კვალს მიჰყვება. მე, რა თქმა უნდა, არ მივარაუდია, სად უნდა იყოს დამალული ბარძიმი, ან, საერთოდ, საჭიროა თუ არა მისი გამოაშკარავება ოდესმე.

და მაინც, შენ წერ ამის შესახებ. ესე იგი, შენ აშკარად მიგაჩნია, რომ ეს ინფორმაცია ყველასთვის უნდა გახდეს ცნობილი.

ძალიან დიდი განსხვავებაა ჰიპოთეზის დონეზე იმსჯელო ქრისტეს ალტერნატიული ისტორიის შესახებ და... იგი შეჩერდა.

და რა?

და წარუგდინო მთელს მსოფლიოს ათასობით უძველესი დოკუმენტი, როგორც სამეცნიერო მტკიცება იმისა, რომ ახალი აღთქმა გამონაგონია.

მაგრამ შენ ხომ მითხარი, რომ ახალი აღთქმა ფაბრიკაციაზეა დაფუძნებული?

სოფი, გაიღიმა ლენგდონმა, მსოფლიოში ნებისმიერი რწმენა ფაბრიკაციაზეა დაფუძნებული. აი, სიტყვა რწმენის განმარტება იმის მიღება, რაც ჩვენ ჭეშმარიტად მიგვაჩნია, მაგრამ ვერასოდეს დავამტკიცებთ. ყველა რელიგია ღმერთს აღწერს მეტაფორის, ალეგორიისა და ჰიპერბოლის სტილისტური საშუალებების გამოყენებით. ასე

ხდებოდა ძველი ეგვიპტელებიდან მოყოლებული და თანამედროვე საკვირაო სკოლების ჩათვლით. მეტაფორები ეხმარება ჩვენს გონებას, გავიაზროთ ის, რისი გააზრებაც შეუძლებელია. პრობლემები მაშინ იწყება, როდესაც ჩვენს მეტაფორებს ჩვენ თვითონ ვიჯერებთ.

ამრიგად, შენ მომხრე ხარ, რომ სანგრილის დოკუმენტები სამუდამოდ დამარხული დარჩეს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე ისტორიკოსი ვარ. მე დოკუმენტების განადგურებას ვეწინააღმდეგები და მირჩევნია, რომ რელიგიის მკვლევარ მეცნიერებს საშუალება ჰქონდეთ, მეტი იფნრომაცია მიიღონ და იფიქრონ იესო ქრისტეს პირად ცხოვრებაზე.

შენი პასუხი წინააღმდეგობრივია.

მართლა? ბიბლია ჩვენს პლანეტაზე მილიონობით ადამიანისთვის ძირითადი ცხოვრების მასწავლებელია, ისევე როგორც ყურანი, თორა და პალის კანონები აძლევს სხვა რელიგიების მიმდევართ მიმართულებას. ჩვენ საიდანმე რომ ამოგვეთხარა დოკუმენტები, რომლებიც დაუპირისპირდებოდა წმინდა ამბებს ისლამურ, იუდაისტურ, ბუდისტურ, წარმართულ რელიგიებში, უნდა გამოგვემჟღავნებინა ისინი? უნდა ავაფრიალოთ დროშა და ვუთხრათ ბუდისტებს, რომ გვაქვს მტკიცება იმისა, რომ ბუდა ლოტოსის კვირტიდან არ მოევლინა ქვეყანას? ან, რომ იესო არ დაიბადა პირდაპირი გაგებით უმანკო ჩასახვით? ისინი, ვისაც ესმის, რა არის მათი რწმენა, იციან რომ ეს ამბები მეტაფორულია.

სოფის არ სჯეროდა.

ჩემს ჭეშმარიტ ქრისტიან მეგობრებს მართლაც სჯერათ, რომ ქრისტემ პირდაპირი გაგებით წყალზე გაიარა, პირდაპირი გაგებით აქცია წყალი ღვინოდ, და პირდაპირი გაგებით უმანკო ჩასახვით დაიბადა.

ჩემი შემდეგი არგუმენტი ის არის, თქვა ლენგდონმა, რომ რელიგიური ალეგორია რეალობის სტრუქტურულ ნაწილად იქცა. ამ სახის რეალობაში ცხოვრება ეხმარება მილიონობით ადამიანს, დაძლიოს სირთულეები და ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ იაროს.

მაგრამ გამოდის, რომ მათი რეალობა მოგონილია.

ლენგდონმა ჩაიცინა.

იმაზე მეტად არა, ვიდრე მეთემატიკაზე გაგიჟებული იმ მშიფრავის რეალობა, რომელსაც წარმოსახვითი რიცხვისა მხოლოდ იმიტომ სჯერა, რომ სხვადასხვა კოდის გახსნაში ეხმარება.

ეს უსამართლობაა, წარბები შეკრა სოფიმ.

გავიდა რამდენიმე წამი.

ჰო, გამახსენე, რას მეკითხებოდი, უთხრა ლენგდონმა.

არ მახსოვს.

ეს ყოველთვის ჭრის ხოლმე, გაიცინა ლენგდონმა.

თავი 83 ლენგდონის მიკი მაუსიანი მაჯის საათი ექვს საათსა და ოცდაათ წუთს აჩვენებდა,

როდესაც ის სოფისთან და თიბინგთან ერთად ლიმუზინიდან გადმოვიდა ინერტემპლ ლეინზე. სამეულმა შენობათა ლაბირინთში დაიწყო გზის გაკვალვა პატარა ეზოსკენ ტემპლის ეკლესიის წინ. უხეშად გამოთლილი ქვის კედლები წვიმაში ბზინავდა და შენობის

ზედა სართულზე მტრედები ღუღუნებდნენ.

ლონდონის ტემპლის უძველესი ეკლესია მთლიანად ქვისგან იყო აგებული. წრის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფორმის ნაგებობა პირქუში ფასადით, ცენტრალური კოშკითა და ცალ მხარეს გამოშვერილი ნავით სამხედრო ციტადელს უფრო ჰგავდა, ვიდრე სალოცავ ადგილს. ტემპლის ეკლესია, რომელიც 1185 წლის 10 თებერვალს იერუსალიმის პატრიარქმა ჰერაკლიოსმა აკურთხა, რვა საუკუნის პოლიტიკურ ქარტეხილებს, ლონდონის დიდ ხანძარსა და პირველ მსოფლიო ომს გადაურჩა. მაგრამ 1940 წელს იგი ძლიერ დააზიანა ლუფტვაფეს ცეცხლგამჩენმა ყუმბარებმა. ომის შემდეგ ეკლესია თავისი პირვანდელი გრანდიოზული სახით აღადგინეს.

წრის სიმარტივე, გაიფიქრა ლენგდონმა. იგი პირველად ტკბებოდა ამ შენობის ხილვით. არქიტექტურა ტლანქი და მარტივი იყო და რომის უხეშ კასტელ სანტანჯელოს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე დახვეწილ პართენონს. მარჯვენა მხარეს გამოშვერილი ყუთისმაგვარი ფლიგელი საშინლად ამახინჯებდა შენობას. თუმცა ეს სულაც ვერ ფარავდა

ეკლესიის ძირითადი სტრუქტურის თავდაპირველ წარმართულ ხასიათს.

შაბათია და თანაც ადრიანი დილაა, თქვა თიბინგმა და კოჭლობით გაემართა შესასვლელისკენ, ასე რომ, ვვარაუდობ, რომ წირვას არ შევესწრებით.

ეკლესიის შესასვლელი შიგნით შეწეულ ქვის ნიშას წარმოადგენდა, რომლის შიგნითაც იყო ფართო ხის კარი. კარის მარცხნივ დაფა ეკიდა, რომელიც დაფარული იყო განცხადებებით კონცერტებისა და წირვალოცვის შესახებ.

თიბინგი მოიღუშა, როდესაც დაფაზე მოცემული ინფორმაცია წაიკითხა, კიდევ ერთ ორ საათს არ გაიღება დამთვალიერებლებისთვის, იგი კართან მიიწია და მოსინჯა. კარი არც კი გაინძრა. თიბინგმა ყური მიადო ხის კარს და მოუსმინა. ერთი წუთის შემდეგ უკან დაიხია, სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა თითქოს გეგმას აწყობდა. მან განცხადებების დაფაზე მიუთითა.

რობერტ, აბა ერთი ნახე განრიგი. ვინ წირავს ამ კვირაში?

ეკლესიაში საკურთხევლის მომვლელი ბიჭი უკვე ამთავრებდა მტვერსასრუტით სააღსარებლო ბალიშების გაწმენდას, როდესაც თავშესაფრის კარზე კაკუნი გაიგონა. მან ყურადღება არ მიაქცია. ჯერ ერთი, მოძღვარ ჰარვეი ნოულესს თავისი გასაღები ჰქონდა და კიდევ ერთიორი საათის განმავლობაში არ უნდა მოსულიყო. ალბათ ვიღაც ცნობისმოყვარე ტურისტი ან მათხოვარი აკაკუნებდა. ბიჭმა გააგრძელა თავისი საქმე. მაგრამ კაკუნი არ შეწყვეტილა. კითხვა არ იცით? კარზე წარწერაა, რომ ეკლესია შაბათობით ათის ნახევრამდე არ იღება. ბიჭმა თავისი საქმე განაგრძო.

უცებ კაკუნი ღონიერ ბრაგუნში გადაიზარდა, თითქოს ვიღაც კარს ლითონის ჯოხს ურტყამდა. ახალგაზრდა ბიჭმა მტვერსასრუტი გამორთო და გაბრაზებით გაემართა კარისკენ. საკეტი შიგნიდან გახსნა და კარი ფართოდ გააღო. შემოსასვლელში სამნი იდგნენ. ტურისტები არიან, უკმაყოფილოდ გაიფიქრა მან.

ჩვენ ათის ნახევარზე ვაღებთ.

ყველაზე უფრო ჩაფსკვნილმა კაცმა, რომელიც, სავარაუდოდ, მათი წინამძღოლი იყო, ნაბიჯი წინ გადმოდგა. იგი ლითონის ყავარჯენს ეყრდნობოდა.

მე გახლავართ სერ ლი თიბინგი, თქვა მან ქედმაღლური ბრიტანული აკადემიური

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოთქმით, დარწმუნებული ვარ, გეცოდინებათ, რომ მე თან ვახლავარ ბატონ და ქალბატონ კრისტოფერ რენ მეოთხეს. იგი გვერდზე გაიწია და ხელი დემონსტრაციულად გაიშვირა სასიამოვნო გარეგნობის წყვილისაკენ. ისინი მის უკან იდგნენ. ქალს მშვენიერი რბილი ნაკვთები და მდიდრული მუქი წითელი თმა ჰქონდა. მამაკაცი მაღალი იყო, მუქი ფერის თმით. მას თითქოს ნაცნობი სახე ჰქონდა.
საკურთხევლის მომვლელ ბიჭს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეპასუხა. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში გარდაცვლილი სერ კრისტოფერ რენი ტემპლის ეკლესიის ყველაზე ცნობილი კეთილისმყოფელი იყო. მისი წყალობით შესაძლებელი გახდა დიდი ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის გამოსასწორებლად აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.
 ეე, ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან შეხვედრა.
ყავარჯნიანმა კაცმა წარბი შეკრა.
 კარგია, რომ რამის გაყიდვა არ გევალება, ახალგაზრდავ, ნამდვილად გაკლია დამაჯერებლობა. სად არის მოძღვარი ნოულსი?
 დღეს შაბათია. ის მოგვიანებით უნდა მოვიდეს.
ხეიბარი უფრო მოიღუშა.
 მადლიერებაც ამას ჰქვია. მან პირობა მოგვცა, რომ აქ დაგვხვდებოდა. გამოდის, ჩვენ თავად უნდა გავაკეთოთ ყველაფერი. მალე მოვრჩებით.
ბიჭი გზას უღობავდა.
 მაპატიეთ, რას მორჩებით მალე?
მოსულმა გამჭოლი მზედა ესროლა მას. იგი წინ გადაიხარა და ისე დაუწყო ჩურჩული, თითქოს არ სურდა, სტუმრები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ.
 ახალგაზრდავ, შენ აშკარად ახალი ხარ. ყოველ წელს სერ კრისტოფერ რენის შთამომავლებს მოაქვთ მისი ცოტაოდენი ფერფლი, რათა ტამპლის ტაძარში გააბნიონ. ეს მისი ანდერძის ერთერთი მოთხოვნაა, მაინცდამაინც არავისუხარია ყოველწლიურად ამ გზის გავლა, მაგრამ რას ვიზამთ?
ბიჭი ერთიორი წელია აქ მუშაობდა, მაგრამ ამ ჩვეულების შესახებ აქამდე არაფერი სმენოდა.
 უმჯობესი იქნებოდა, თუ ათის ნახევარს დაელოდებოდით. ეკლესია ჯერ დაკეტილია და მეც დალაგება ჯერ არ დამიმთავრებია.
ყავარჯნიანმა კაცმა მას ბრაზიანი მზერა ესროლა.
 ახალგაზრდავ, ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ რაღაც არის გადარჩენილი ამ შენობიდან და შენ კიდევ რამე გაქვს აქ დასალაგებელი, იმ ჯენტლმენის წყალობითაა, რომელიც განისვენებს ამ ქალბატონის ჯიბეში.
 მაპატიეთ?
 ქალბატონო რენ, მიმართა ყავარჯნიანმა კაცმა, თუ არ შეწუხდებით, აჩვენეთ ამ თავხედ ახალგაზრდას ფერფლიანი ურნა!
ქალი ერთ წამს შეყოყმანდა და შემდეგ, თითქოს ტრანსიდან გამოფხიზლდაო, სვიტრის ჯიბეში ხელი ჩაიყო და პატარა დამცავ ნაჭერში გახვეული ცილინდრი ამოაძვრინა.
 ხედავ? მოკლედ და ბრაზიანად წამოიძახა ყავარჯნიანმა, ან ახლა შეასრულებ მის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკანასკნელ სურვილს და ნებაც მოგვცემ, მოვაბნიოთ მისი ფერფლი თავშესაფარში, ან მე ვეტყვი მოძღვარ ნოულსს, როგორ მოგვექეცი.
ბიჭი ყოყმანობდა. მან იცოდა, მოძღვარი ნოულსის, ზედმიწევნით იცავდა საეკლესიო ტრადიციებს და, უფრო მეტიც, ძალიან ბრაზობდა, როცა ამ წლების მანძილზე საპატივცემულო სამარხს ცუდ კონტექსტში ახსენებდნენ. იქნებ მოძღვარ ნოულსს უბრალოდ დაავიწყდა, რომ ამ ოჯახის წევრები უნდა მოსულიყვნენ. თუ ასეა, მათი უკან გაბრუნება უფრო სარისკო იყო, ვიდრე შემოშვება. ბოლოს და ბოლოს, მათ თქვეს, რომ ერთი წუთის საქმეაო. რა შეიძლება ამით გაფუჭდეს?
როდესაც ბიჭმა გზა დაუთმო ამ სამ ადამიანს, მას შეეძლო დაეფიცა, რომ ბატონი და ქალბატონი რენიც ისევე უხერხულად გრძნობდნენ თავს, როგორც თვითონ. მაგრამ დარწმუნებული არ იყო თავის შეგრძნებებში და დაწყებული საქმე გააგრძელა, თან შემოსულებს ცალ თვალს არ აშორებდა.
ლენგდონმა ცალყბად გაიცინა, როდესაც სამეული ეკლესიის სიღრმეში შევიდა.
ლი, ჩაიჩურჩულა მან, რა ბრწყინვალედ იტყუები.
თიბინგს თვალები აუციმციმდა.
ოქსფორდის დრამატული კლუბი. ისინი ჯერ კიდევ იხსენებენ ჩემს იულიუს კეისარს. დარწმუნებული ვარ, არავის ისეთი თავდადებით არ შეუსრულებია მესამე მოქმედების პირველი სურათი.
ლენგდონმა უკან მოიხედა.
მე მეგონა, კეისარი მაგ სურათში მკვდარია.
თიბინგმა ჩაიცინა.
დიახ, მაგრამ, როდესაც დავეცი, ტოგა გამეხსნა და გაშიშვლებულს მომიწია ნახევარი საათი სცენაზე წოლა. მიუხედავად ამისა, კუნთიც კი არ შემტოკებია. მინდა გითხრათ, რომ
ბრწყინვალედ შევასრულე.
ლენგდონმა თამაში აიტაცა და თიბინგის წინაშე ქედი მოიხარა. ვწუხვარ, რომ ეს სანახაობა გამოვტოვე.
ჯგუფი სწორკუთხა ფლიგელის თაღისკენ დაადგა გზას, რომელიც მთავარ ეკლესიაში გადიოდა. ლენგდონი გააოცა ამ ადგილის პირქუშმა სიცარიელემ. საკურთხევლის ადგილი
სწორკუთხა ეკვდერს ჰგავდა, ავეჯი ქვასავით მაგარი და ცივი იყო, ყოველგვარი ჩუქურთმების გარეშე.
რა მოსაწყენია, ჩაიჩურჩულა მან.
თიბინგმა ჩაიხითხითა.
ეს ინგლისური ეკლესიაა. ანგლიკანები კი საკუთარ ტანჯვას არაფერმა არ უნდა მოსწყვიტოს.
სოფიმ ეკლესიის წრიული ნაწილის ფართო შესასვლელისკენ მიუთითა.
ეს ყველაფერი ციხესიმაგრეს ჰგავს, ჩაიჩურჩულა სოფიმ.
ლენგდონი დაეთანხმა. კედლები აქედანაც კი უჩვეულოდ მაგარი ჩანდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტამპლიერები მეომრები იყვნენ, შეახსენა თიბინგმა. მისი ალუმინის ყავარჯენი ქვის დახშულ სივრცეში ექოს გამოსცემდა, რელიგიურსამხედრო საზოგადოება იყო. ეს ეკლესიები მათთვის ციხესიმაგრეც იყო და ბანკიც.

ბანკი? იკითხა სოფიმ და თიბინგს გადახედა.

ო, ღმერთო, რა თქმა უნდა. თანამედროვე საბანკო საქმე ტამპლიერებმა გამოიგონეს. ევროპული დიდგვაროვნებისთვის მოგზაურობისას ოქროს თან ტარება ძალიან საშიში იყო. ამიტომ ტამპლიერები საშუალებას აძლევდნენ დიდგვაროვნებს, შეეტანათ ოქრო მათთან, ტემპლის უახლოეს ეკლესიაში, ხოლო შემდეგ გამოეტანათ ტემპლის ნებისმიერი ეკლესიიდან ევროპის ფარგლებში. ამისთვის მათ მხოლოდ აუცილებელი საბუთები სჭირდებოდათ, მან თვალი ჩაუკრა სოფის, და მცირედი საკომისიო გადასახადიც. ეს იყო პირველი ბანკომატები. თიბინგმა მიუთითა ვიტრაჟზე, რომელშიც ამომავალი მზის სხივები

ტყდებოდა. აქ ვარდისფერ ცხენზე ამხედრებული თეთრსამოსიანი რაინდი იყო გამოსახული. ალანუს მარსელიუსი, თქვა თიბინგმა, ეკლესიის მაგისტრი მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში. ის და მისი შთამომავლები პარლამენტში ფაქტობრივად ინგლისის ბარონის სკამს ფლობდნენ.

ლენგდონი ამან გააკვირვა.

სამეფოს პირველი ბარონი?

როგორც ზოგიერთი ამტკიცებს, ტემპლის მაგისტრს უფრო მეტი ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე თვით მეფეს.

როდესაც წრიული დარბაზიდან გამოვიდნენ, თიბინგმა მხარს ზემოდან გახედა საკურთხევლის მომვლელ ბიჭს. ის მოშორებით ჯერ კიდევ ამოძრავებდა მტვერსასრუტს. იცით, ჩაუჩურჩულა თიბინგმა სოფის, ამბობენ, წმინდა ბარძიმი ერთ ღამეს აქ ინახებოდა,

როდესაც ტამპლიერებს ის ერთი სამალავიდან მეორეში გადაჰქონდათ. წარმოგიდგენიათ, სანგრილის დოკუმენტების ოთხი ყუთი იდგა აქ მარიამ მაგდალინელის სარკოფაგთან ერთად?კანი მებურძგლება, რომ წარმოვიდგენ.

ლენგდონიც იმავეს გრძნობდა, როდესაც მათ წრიულ დარბაზში შეაბიჯეს. მან შეამჩნია დარბაზის ქვის პერიმეტრზე ერთგვარი სიმრუდე, დაინახა ქვაში ამოჭრილი გარგულიები,

დემონები, ურჩხულები და ტკივილით დატანჯულ ადამიანთა სახეები. ყველა მათგანი შიგნით იყურებოდა. სახეების ქვეშ მთელ პერიმეტრზე ერთიანი ქვის სკამი იყო შემოვლებული.

წრიული თეატრი, ჩაიჩურჩულა ლენგდონმა.

თიბინგმა ასწია ყავარჯენი და მიუთითა ჯერ შორეულ მარცხენა, მერე კი მარჯვენა კუთხეზე. ლენგდონს ისინი უკვე ნანახი ჰქონდა.

ათი ქვის რაინდი.

ხუთი მარცხნივ. ხუთი მარჯვნივ.

იატაკზე მარადიული განსვენების პოზაში იწვნენ ქვაში გამოთლილი ადამიანის ზომის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიგურები. ფარებითა და ხმლებით შეიარაღებული რაინდები სრული აღჭურვილობით იყვნენ გამოსახულნი. ამ სამარხების დანახვაზე ლენგდონს ისეთი უხერხული შეგრძნება დაეუფლა, თითქოს აქ ვიღაც შემოიპარა და ძილში თაბაშირი გადაასხა რაინდებს. ყველა ფიგურა გვარიანად იყო გაცვეთილი, მაგრამ მაინც ყოველი მათგანი აშკარად უნიკალური იყო თითოეულ მათგანს სხვადასხვანაირი იარაღი ჰქონდა, ფეხებისა და მკლავების განსხვავებულად ეწყოთ და მათ ფარებზე სხვადასხვა რამ იყო გამოსახული.
ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს.
ლენგდონმა თავბრუსხვევა იგრძნო, როდესაც უფრო ღრმად შევიდა ოთახში.
ეს სწორედ ის ადგილი უნდა ყოფილიყო.
თავი 84
ნაგვით მოფენილ ვიწრო ქუჩაზე ტემპლის ეკლესიასთან ძალიან ახლოს, რემი ლეგალუდეკმა იაგუარი სამრეწველი ნაგვის ყუთების უკან გააჩერა, ძარა ჩააქრო და მიდამო შეამოწმა. ქუჩა უკაცრიელი იყო. იგი გადმოვიდა მანქანიდან, წავიდა მისი უკანა მხრისკენ და ისევ შეძვრა ლიმუზინის მთავარ სალონში, იქ, სადაც ბერი იწვა.
ბერმა იგრძნო რემის იქ ყოფნა, ლოცვისმაგვარი ტრანსიდან გამოფხიზლდა და მის თვალებში უფრო ცნობისმოყვარეობა აისახა, ვიდრე შიში. მთელი ამ ხნის მანძილზე რემიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გაკოჭილი კაცის სიმშვიდემ. რეინჯ როვერში რომ მოხვდა, ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ბედს დაემორჩილა და უზენაეს ძალას მიენდო.
რემიმ ჰალსტუხი შეიხსნა, გაიხსნა მაღალი, გახამებული, ფრთებისმაგვარბოლოებიანი საყელო და იგრძნო, რომ წლების მანძილზე პირველად ამოისუნთქა თავისუფლად. მან ლიმუზინის სასმელების ბარი გამოაღო და ერთი ჭიქა სმირნოვის არაყი დაისხა. ერთ ყლუპად გადაჰკრა სასმელი და პირველს მეორეც მიაყოლა.
სულ მალე თავისუფალი ადამიანი ვიქნები.
ბარის დათვალიერებისას რემიმ ბოთლის გასახსნელი იპოვა და ტკაცუნით გამოათავისუფლა მისი ბასრი დანა. ამ დანას ჩვეულებრივ საუკეთესო ღვინის ბოთლის საცობზე ტყვიის ფოლგის მოსახსნელად იყენებდნენ. მაგრამ ახლა მას გაცილებით უფრო დრამატული ფუნქცია უნდა შეესრულებინა. რემი მიტრიალდა და სილასს შეხედა. ხელში მბზინავი დანა ეჭირა.
ამჯერად წითელ თვალებში შიშმა გაიელვა.
რემიმ გაიღიმა და სილასისკენ გადაიწია. ბერმა ერთბაშად უკან დაიხია და თან თავის გათავისუფლებას შეეცადა.
არ გაინძრე, ჩაიჩურჩულა რემიმ და დანა ასწია.
სილასს არ სჯეროდა, რომ ღმერთმა მიატოვა. გაჯოჭილ მდგომარეობაში განცდილი ტკივილიც კი სილასმა სულიერ ვარჯიშად გადააქცია. იგი თავის სისხლისგან დაცლილ კუნთებს შესთხოვდა, ქრისტეს მიერ განცდილი ტკივილი შეეხსენებინათ მისთვის. მთელი
ღამე თავისუფლებისთვის ვლოცულობდი.
ახლა კი, როდესაც დანა მისკენ დაეშვა, სილასმა მაგრად დახუჭა თვალები. ტკივილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითქოს მხრები გადაუსერა. სილასმა დაიყვირა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ყოვლად
უმწეო მდგომარეობაში კვდებოდა აქ, ლიმუზინის ბოლოში. თავის დასაცავად ხელის
განძრევაც კი არ შეეძლო. მე ღვთის საქმეს ვაკეთებდი. მოძღვარმა მითხრა, რომ
დამიცავდა.
სილასმა იგრძნო როგორ ვრცელდებოდა მკბენავი სითბო მის ზურგსა და მხრებში. მან
წარმოიდგინა რომ საკუთარი სისხლი ეღვრებოდა სხეულზე. ახლა გამჭოლმა ტკივილმა
თითქოს ბარძაყი გადაუჭრა და სილასი დაიკრუნჩხა სხეული ტკივილისაგან იცავდა
თავს.
ახლა მკბენარა სიცხემ თითქოს ყველა კუნთი შუაზე გაუგლიჯა. სილასმა თვალები
უფრო მაგრად დახუჭა. არ უნდოდა, სიცოცხლის ბოლო სურათი მისი მკვლელისა
ყოფილიყო. ამის მაგივრად მან წარმოიდგინა ესპანეთში პატარა ეკლესიის წინ მდგარი
ახალგაზრდა ეპისკოპოსი არინგაროსა... ეს ის ეკლესია იყო, რომელიც მათ თავიანთი
ხელით ააშენეს. ეს ჩემი ცხოვრების დასაწყისია.
სილასს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მთელ სხეულზე ცეცხლი ეკიდა.
 დალიე, უჩურჩულა სმოკინგში ჩაცმულმა კაცმა ფრანგული აქცენტით, სისხლის
მიმოქცევას შეუწყობს ხელს.
სილასმა გაოცებისგან უცებ გაახილა თვალები. გაურკვეველი ფიგურა მის თავზე იყო
გადმოხრილი და ჭიქით რაღაც სითხეს სთავაზობდა. იატაკზე იდო დაკუწული წებოვანი
ლენტის გროვა, უსისხლო დანის გვერდით.
 დალიე, გაიმეორა კაცმა. იმიტომ გტკივა, რომ სისხლი სწრაფად ავსებს კუნთებს.
სილასმა იგრძნო, რომ მწველი პულსაცია ახლა ჩხვლეტია კბენამ შეცვალა. არაყს
საშინელი გემო ჰქონდა, მაგრამ მადლიერების გრძნობით სავსე სილასმა ეს სასმელი
დალია. ბედმა ამ ღამით სილასს ძალიან დიდი გამოცდა მოუწყო, მაგრამ ღმერთმა
სასწაულით გადაარჩინა.
ღმერთს არ მივუტოვებივარ.
სილასმა იცოდა, რას უწოდებდა ამას ეპისკოპოსი არინგაროსა.
ღვთაებრივ ჩარევას.
 უფრო ადრეც მინდოდა შენი გათავისუფლება, ბოდიშის ტონით უთხრა მსახურმა,
მაგრამ შეუძლებელი იყო. პოლიცია იყო შატო ვილეშიც და ბიგინ ჰილშიც, ამიტომ ახლა
დადგა პირველი შესაძლებელი მომენტი. გამიგე, სილას?
სილასმა მკვეთრად გაიწია უკან და დაიძაბა.
 ჩემი სახელი იცი?
მსახურმა გაიღიმა, სილასი წამოჯდა და თან გაშეშებულ კუნთებს იზელდა. ის
ემოციების უზარმაზარმა ნაკადმა მოიცვა, ცდილობდა გაერკვია, რისი დაჯერება
შეიძლებოდა, შეეფასებინა ყოველივე, რაც მოხდა და დაბნეულობისთვის თავი დაეღწია.
თქვენ... მოძღვარი ხართ.
რემიმ თავი გააქნია უარის ნიშნად და ამის წარმოდგენაზე გადაიხარხარა, ნეტა
მქონდეს იმდენი ძალაუფლება. არა, მე არ ვარ მოძღვარი. მეც შენსავით მას ვემსახურები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოძღვარი შენ გაფასებს. მე რემი მქვია.
სილასი გაოგნებული იყო.
ვერ გავიგე. შენ თუ მოძღვარს ემსახურები, მაშინ ლენგდონმა ქვაკუთხედი შენს სახლში რაღად მოიტანა?
ის ჩემი სახლი არ არის. ის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბარძიმის შემსწავლელი ისტორიკოსის, სერ ლი თიბინგის სახლია.
მაგრამ შენ ხომ იქ ცხოვრობ. უფრო სარწმუნოა...
რემიმგაიღიმა, თითქოს ვერავითარ საშიშროებას ვერ ხედავდა იმ აშკარა დამთხვევაში, რომ ლენგდონმა სწორედ ასეთი თავშესაფარი აირჩია.
ამის წინასწარ გათვლა ძალიან ადვილი იყო. რობერტ ლენგდონს ჰქონდა ქვაკუთხედი და დახმარება სჭირდებოდა. ლი თიბინგის სახლში მოსვლაზე უფრო ლოგიკური რა უნდა ყოფილიყო? თიბინგის სახლში რომ ვცხოვრობ, ამიტომაც მომმართა მოძღვარმა, წამით შეყოვნდა, როგორ ფიქრობ, საიდან იცის მოძღვარმა ამდენი ბარძიმის შესახებ?
ახლა კი მიხვდა სილასი და გაოგნებული დარჩა. მოძღვარმა დაიქირავა მსახური, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა სერ ლი თიბინგის გამოკვლევებზე. ეს შესანიშნავი იყო.
ბევრი რამ უნდა გითხრა, თქვა რემიმ და სილასს ჰეკლერისა და კოხის დატენილი პისტოლეტი მიაწოდა. შემდეგ გადაიხარა წინ და პატარა, ხელისგულის ზომის რევოლვერი
ამოიღო ხელთათმანების ყუთიდან. მაგრამ ჯერ მე და შენ ერთი საქმე გვაქვს გასაკეთებელი.
კაპიტანი ფაში ჩამოვიდა თავისი თვითმფრინავიდან ბიგინ ჰილში და უნდობლად მოისმინა კენტის მთავარი ინსპექტორის ანგარიში თიბინგის ანგარში მომხდარის შესახებ.
მე თავად გავჩხრიკე თვითმფრინავი, დაიჟინა ინსპექტორმა, და იქ არავინ იყო, თქვა მან ამპარტავანი ტონით, და უნდა დავძინო, რომ, თუ სერ ლი თიბინგი საქმეს აღძრავს ჩემს წინააღმდეგ, მე...
მფრინავი დაჰკითხეთ?
რა თქმა უნდა, არა. იგი ფრანგია, ჩვენი კანონმდებლობა კი ითხოვს...
წამიყვანეთ თვითმფრინავთან.
ანგართან რომ მივიდნენ, ფაშს ერთი წუთი დასჭირდა, რომ სისხლის უცნაური ლაქა დაენახა ტროტუარზე, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ლიმუზინი იყო გაჩერებული. ფაში
თვითმფრინავთან მივიდა და ხმამაღლა დააკაკუნა კორპუსზე.
საფრანგეთის სასამართლო პოლიციის კაპიტანი ვარ. კარი გააღეთ!
შეშინებულმა მფრინავმა კარი გააღო და კიბე დაუშვა.
ფაში ავიდა. სამი წუთის შემდეგ იარაღის დახმარებით მან მიიღო სრული აღიარება, რომელიც გაკოჭილი ალბინოსი ბერის აღწერასაც შეიცავდა. ამასთან ერთად ისიც გაიგო, რომ ლენგდონმა და სოფიმ რაღაც დატოვეს თიბინგის სეიფში, რაღაც ხის ყუთი. თუმცა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მფრინავი ამბობდა, რომ არ იცოდა, რა იყო ყუთში, ამტკიცებდა რომ სწორედ ეს ყუთი იყო ლენგდონის ყურადღების ობიექტი ლონდონამდე მთელი მგზავრობის განმავლობაში.

გახსენით სეიფი, მოითხოვა ფაშმა.

მფრინავი შეძრწუნებული იყო.

მე არ ვიცი კომბინაცია!

ეს ძალიან ცუდია. ვაპირებდი მფრინავის ლიცენზიის შენარჩუნება შემომეთავაზებინა.

მფრინავი ხელებს იმტვრევდა.

მე ზოგს ვიცნობ აქაური ტექნიკური პერსონალიდან. იქნებ მათ შეძლონ გამოთვლა?

ნახევარი საათი გაქვს.

მფრინავი თავის რადიოს ეცა. ფაში წავიდა თვითმფრინავის უკანა ნაწილში და ჭიქა სასმელით გაივსო. ჯერ ადრე იყო, მაგრამ მას ჯერ არც კი დაეძინა. ამიტომ ეს არ ითვლებოდა შუადღემდე დალევად. იგი ხავერდის ასაკეც პატარა სკამზე დაჯდა, თვალები

დახუჭა და სცადა გაერკვია, რა ხდებოდა. კენტის პოლიციის შეცდომაში შეყვანა შეიძლება

ძვირად დასჯდომოდა. ახლა ყველა შავ "იაგუარს: ეძებდა.

ფაშის ტელეფონმა დარეკა. მას კი სურდა ერთი წამი არავის შეეწუხებინა. ალლო?

ლონდონის გზაზე ვარ ეს ეპისკოპოსი არინგაროსა იყო, ერთ საათში ჩამოვალ.

ფაში წამოჯდა.

მე მეგონა, თქვენ პარიზში მიდიოდით.

ძალიან შეშფოთებული ვარ, გეგმები შევცვალე.

არ იყო საჭირო.

სილასი თქვენთან არის?

არა. მისი დამტყვევებლები კენტის პოლიციას მანამდე გაუსხლტნენ ხელიდან, ვიდრე ჩამოვიდოდი.

არინგაროსას ხმას აშკარა სიბრაზე შეეტყო.

თქვენ დამარწმუნეთ, რომ თვითმფრინავს გააჩერებდით.

ეპისკოპოსო, ხმას დაუწია ფაშმა, თქვენი მდგომარეობის გათვალისწინებით, გირჩევთ, ჩემს მოთმინებას ნუ გამოცდით დღეს. მე ვიპოვი სილასს და დანარჩენებს, რაც შეიძლება მალე. სად ჩამოდიხართ?

ერთი წუთით, არინგაროსამ დააფარა ხელი ყურმილს და შემდეგ ისევ გაისმა მისი ხმა, მფრინავი ცდილობს ჰიტროუში დაჯდომის ნებართვა მიიღოს. მე მისი ერთადერთი მგზავრი ვარ, მაგრამ ჩვენი მიმართულების შეცვლა ჰიტროუს განრიგში არ არის აღნიშნული.

უთხარით, კენტში დაჯდეს, ბიგინ ჰილის სამთავრობო აეროპორტში. აქ მე დავეხმარები დაჯდომის ნებართვის მიღებაში. თუ აქ არ დაგხვდით, თქვენთვის მანქანა იქნება მომზადებული.

გმადლობთ.

როგორც გითხარით, ჩვენი პირველი საუბრის დროს, ეპისკოპოსო, კარგი იქნება, თუ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაიმახსოვრებთ, რომ თქვენ არ ხართ ერთადერთი, ვინც შეიძლება ყველაფერი დაკარგოს.

თავი 85

თუ საფლავიდან მოხსნილ სფეროს შენ მიაკვლიე...

ტემპლის ეკლესიაში ქვაში ამოკვეთილი ყოველი რაინდი ზურგზე იწვა და თავი სწორკუთხა ქვის ბალიშზე ედო. სოფიმ სიცივე იგრძნო. ლექსში ნახსენებმა "სფერომ" ბაბუას სარდაფში ნანახი გაახსენა.

hieros gamos. სფეროები.

სოფის აინტერესებდა, იმართებოდა თუ არა ეს რიტუალი სწორედ ამ ტაძარში. ეს წრიული ოთახი თითქოს სპეციალურად იყო გაკეთებული ამგვარი წარმართული ჩვეულების აღსასრულებლად. ქვის სკამი გარს ერტყმოდა ცარიელ სივრცეს იატაკის შუაში.

წრიული თეატრი, როგორც რობერტმა უწოდა. სოფიმ წარმოიდგინა ეს დარბაზი ღამით, ნიღბიანი ადამიანებით სავსე. ისინი ჩირაღდნის შუქზე გალობენ და თვალს ადევნებენ ოთახის ცენტრში მიმდინარე "წმინდა შერწყმას".

სოფიმ თავიდან ამოიგდო ეს სურათი და წამოეწია ლენგდონსა და თიბინგს, რომლებიც ახლა რაინდთა პირველი ჯგუფისკენ მიემართებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ

თიბინგი მოითხოვდა ადგილის ძალიან გულმოდგინე დათვალიერებას, სოფიმ ვერ მოითმინა, გადაუსწრო მათ და ზერელედ ჩამოუარა მარცხნივ მყოფ ხუთ რაინდს.

ამ სამარხების დათვალიერებისას სოფიმ შეამჩნია მათ შორის მსგავსება განსხვავებანი. ყოველი რაინდი ზურგზე იწვა, მაგრამ სამს ფეხები სწორად ეწყო, ორს კი გადაჯვარედინებულად. ამ თავისებურებას ალბათ არაფერი ჰქონდა საერთო დაკარგულ სფეროსთან. მათი ტანსაცმლის დათვალიერებისას სოფიმ აღმოაჩინა, რომ ორ რაინდს ჯავშნის ზევიდან ტუნიკები ეცვა, მაშინ, როდესაც სამი დანარჩენი მუხლამდე სამოსში იყო

გამოწყობილი. ესეც სრულიად უსარგებლო დეტალი იყო. ახლა სოფიმ ყურადღება მიაპყრო კიდევ ერთ ძალიან აშკარა განსხვავებას როგორ ეჭირათ მათ ხელები. ორ რაინდს ხმალი ჰქონდა ჩაბღუჯული, ორი კი ლოცულობდა, ხოლო ერთს ხელები უბრალოდ ჩამოწეული ჰქონდა. სოფი დიდნხას მიშტერებოდა ამ ხელებს, მერე მხრები აიჩეჩა, აქ არსად ჩანდა, რომ სფეროს ადგილი ყოფილიყო ცარიელი.

სოფიმ სვიტრის ჯიბეში კრიპტექსის სიმძიმე იგრძნო და უკან გახედა ლენგდონსა და თიბინგს. მამაკაცები ნელა მოძრაობდნენ, ჯერ მხოლოდ მესამე რაინდთან იყვნენ. აშკარაა, არც ერთს არ ჰქონდა სასურველი შედეგი. სოფი სულაც არ იყო მათი ლოდინის ხასიათზე. ამიტომ მათ ზურგი შეაქცია და რაინდთა მეორე ჯგუფისკენ მიტრიალდა. ის მიდიოდა და თან თავისთვის წარმოთქვა ლექსი, რომელიც იმდენჯერ წაიკითხა, რომ ზეპირად ახსოვდა.

ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს.

თავზე დაატყდა პონტიფიკის რისხვა ძლიერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუ საფლავიდან მოხსნილ სფეროს შენ მიაკვლიე,
ვარდი და საშო გაიხსნება ნაყოფიერი.
სოფი მივიდა რაინდთა მეორე ჯგუფთან. აქ დაინახა, რომ ეს ჯგუფიც პირველს ჰგავდა. ყოველი მათგანი განსხვავებულ პოზაში იწვა, ჯავშანში გამოწყობილი და ხმლით ხელში. ასე იყო ყველა, მეათეს გარდა. ეს ბოლო სამარხი იყო.
სოფი სწრაფად მივიდა ამ სამარხთან და ყურადღებით დააცქერდა.
აქ ბალიში არ არის. აქ ჯავშანი არ არის. აქ ტუნიკა არ არის. აქ ხმალი არ არის.
 რობერტ! ლი! დაიძახა მან, მისი ხმა ექოსავით გაისმა დარბაზში. აქ რაღაც აკლია.
ორივე მამაკაცმა გამოიხედა და მაშინვე მისკენ გამოემართა.
 სფერო? დაიძახა თიბინგმა აღელვებული ხმით, მან სწრაფად გადაკვეთა ოთახი.
ისმოდა მისი ყავარჯნის სწრაფი წყვეტილი კაკუნი, სფერო გვაკლია?
 ზუსტად არ ვიცი, თქვა სოფიმ. იგი წარბებშეკრული დასცქეროდა მეათე სამარხს. აქ რაინდი არ არის.
მასთან მისული ორივე მამაკაცი დაბნეული დააცქერდა მეათე სამარხს. ეს სამარხი დაბეჭდილ ქვის კუბოს წარმოადგენდა. მას ტრაპეციის ფორმა ჰქონდა, ფეხებთან ვიწრო იყო და თანდათან ფართოვდებოდა თავისკენ. თავსახური წვეტიანი კონუსისმაგვარი იყო.
 რატომ არ ჩანს აქ რაინდი? იკითხა ლენგდონმა.
 შესანიშნავია, თქვა თიბინგმა და ნიკაპი მოიქექა, ეს უცნაური ფაქტი გამომრჩენია.
აქ დიდი ხანია არ ვყოფილვარ.
 ეს კუბო, თქვა სოფიმ, თითქოს იმავე დროს და იმავე მოქანდაკის მიერაა გამოთლილი, რომელმაც სხვა დანარჩენი ცხრა სამარხი გააკეთა. მაშინ რაღად ასვენია ეს რაინდი კუბოში, როდესაც სხვები ჩანან?
თიბინგმა თავი გააქნია.
 ეს ამ ეკლესიის ერთერთი საიდუმლოა. რამდენადაც ვიცი, ამის ახსნა ჯერ არავის უპოვნია.
 ბოდიში, მაგრამ თქვა საკურთხევლის მომვლელმა ბიჭმა, სახეზე შეწუხებული გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი, უზრდელობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ თქვენ თქვით, რომ ფერფლის დაყრას აპირებდით. თქვენ კი აქაურობას ათვალიერებთ.
თიბინგმა ბიჭს დაუბღვირა და ლენგდონს მიმართა.
 ბატონო რენ, ადრე თქვენი ოჯახის ფილანტროპია დროში შეუზღუდავობის გარანტია იყო, ახლა, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ასე აღარ არის. ამრიგად, მგონი ჯობს ამოვიღოთ ფერფლი და აქედან მოვშორდეთ. თიბინგი სოფის მიუბრუნდა. ქალბატონო რე!
სოფი თამაშში აჰყვა თიბინგს და ჯიბიდან პერგამენტში შეხვეული კრიპტექსი ამოაძვრინა.
 ახლა იქნებ, მკაცრად მიმართა ბიჭსთიბინგმა, ცოტა ხნით მარტო დაგვტოვო?
ბიჭი არ განძრეულა. იგი ახლა უფრო ახლოდან ათვალიერებდა ლენგდონს, თქვენ მეცნობით.
თიბინგმა სწრაფად დაუბრუნა დარტყმა.
 ალბათ იმიტომ, რომ ბატონი რენი აქ ყოველ წელს ჩამოდის! ან ალბათ იმიტომ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა კი შეშინდა სოფი, რომ გასულ წელს მან ლენგდონი ტელევიზორში ნახა ვატიკანში.
მე არასდროს შევხვედრივარ ბატონ რენს, განაცხადა ბიჭმა.
ცდები, თქვა ზრდილობიანად ლენგდონმა, დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევხვედრივართ გასულ წელს. მოძღვარ ნოულსს დაავიწყდა რომ ოფიციალურად წარვედგინეთ ერთმანეთისთვის. როგორც კი შემოვედით, მაშინვე მეცნო შენი სახე. ახლა კი ვიცი, რომ ეს ერთგვარი შემოჭრაა, მაგრამ ნება მომეცი, კიდევ ერთორ წუთს დავრჩეთ.
მე უზარმაზარი მანძილი გამოვიარე, რომ ფერფლი გამეფანტა ამ სამარხებს შორის, ლენგდონმა ეს სიტყვები თიბინგივით დამაჯერებლად წარმოთქვა.
ბიჭს ახლა უფრო სკეპტიკური გამომეტყველება გაუხდა.
ეს სამარხები არ არის.
მაპატიეთ? თქვა ლენგდონმა.
რა თქმა უნდა, სამარხებია. განაცხადა თიბინგმა, რას ამბობ?
ბიჭმა თავი გააქნია.
საფლავში გვამი უნდა იყოს. ესენი კი მხოლოდ ქანდაკებებია. ქვისაგან დამზადებული ძეგლები რეალურად არსებულ პირთა პატივსაცემად შექმნილი. ამ ფიგურების ქვეშ ნეშტები არ არის.
ეს ხომ საძვალეა! თქვა თიბინგმა.
მხოლოდ მოძველებული ისტორიის წიგნებისთვის. ადრე ეგონათ, რომ ეს საძვალე იყო, მაგრამ 1950 წელს ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების დროს აღმოჩნდა, რომ არაფერი ამის მაგვარი არ იყო, იგი ლენგდონს მიუბრუნდა. და მე მგონია, ბატონ რენს ეს უნდა სცოდნოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ეს სწორედ მისმა ოჯახმა
აღმოაჩინა.
უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.
ეს სიჩუმე დაარღვია ფლიგელში კარის მიჯახუნების ხმამ.
მოძღვარი ნოულსი უნდა იყოს, თქვა თიბინგმა, ალბათ ჯობია წახვიდე და ნახო.
ბიჭი დაეჭვებული ჩანდა, მაგრამ მაინც გაემართა ფლიგელისკენ და დატოვა ლენგდონი, სოფი და თიბინგი. ისინი ერთმანეთს პირქუშად უყურებდნენ.
ლი, ჩაიჩურჩულა სოფიმ, აქ ნეშტები არ არის? რას ამბობს ეს ბიჭი?
თიბინგი შემცბარი ჩანდა.
არ ვიცი. მე ყოველთვის ვფიქრობდი... ეს სწორედ ის ადგილი უნდა იყოს. ვგონებ, არც კი იცის, რას ამბობს. უაზრობაა!
შეიძლება ლექსი კიდევ ერთხელ ვნახო? იკითხა ლენგდონმა.
სოფიმ კრიპტექსი ამოაძვრინა ჯიბიდან და ფრთხილად გადასცა ლენგდონს. ლენგდონმა გახსნა პერგამენტი, კრიპტექსი კი ხელში ეჭირა, სანამ ლექსს ყურადღებით კითხულობდა.
ლექსი ნამდვილად ახსენებს საფლავებს და არა ქანდაკებებს.
შეიძლება ლექსში შეცდომა იყოს? იკითხა თიბინგმა, შეიძლება, რომ ჟაკ სონიერს იგივე შეცდომა დაეშვა, რაც მე ამ წუთას მომივიდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონი დაფიქრდა და უარის ნიშნად თავი გააქნია.
ლი, შენ თვითონ თქვი, რომ ეს ეკლესია ტამპლიერების, ანუ საძმოს განშტოების მიერაა აშენებული. რაღაც მიკარნახებს, რომ საძმოს დიდ მაგისტრს შესანიშნავად უნდა სცოდნოდა, იყვნენ თუ არა აქ რაინდები დაკრძალული.
თიბინგი გაოგნებული ჩანდა.
მაგრამ ეს იდეალური ადგილია, იგი ისევ რაინდებისკენ მიტრიალდა, ჩვენ ნამდვილად რაღაც გვაკლია.
ფლიგელში შესვლისას საკურთხევლის მომვლელი ბიჭი გაოცდა, რადგან იქ ვერავინ დაინახა.
მამაო ნოულს?
ნამდვილად გავიგონე კარის ხმა, გაიფიქრა მან და კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რომ შემოსასვლელში კაცი დაენახა.
კართან ახლოს ფრაკში გამოწყობილი კაცი იდგა, თავს იქექავდა და დაბნეული ჩანდა.
ბიჭმა გაღიზიანებით დაიფრუტუნა, რადგან დაუპატიჟებელი სტუმრების შემოშვებისას კარის ხელახლა ჩაკეტვა დავიწყნოდა. და აი, შედეგიც, ვიღაც პედერასტი შემოეხეტა ქუჩიდან. მისი გარეგნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გზა აებნა და ახლა დახმარება სჭირდება, რომ იმ ადგილს მიაგნოს, სადაც მიდიოდა.
უკაცრავად, დაიძახა ბიჭმა და ფართო სვეტს ჩაუარა, აქ დაკეტილია.
ქსოვილმა სწრაფად გაიშრიალა მის უკან და სანამ ბიჭი მობრუნებას მოასწრებდა, ვიღაცამ თავი უკან გადაუწია, ღონიერი ხელი პირზე დააფარა და მისი კივილი ჩაახშო.
ბიჭის პირზე დაფარებული ხელი თოვლივით თეთრი იყო და ალკოჰოლის სუნი ასდიოდა.
ფრაკიანმა კაცმა მშვიდად ამოიღო ძალიან პატარა რევოლვერი და ბიჭს პირდაპირ შუბლში დაუმიზნა.
ყურადღებით მომისმინე, ჩაიჩურჩულა ფრაკიანმა კაცმა, შენ ჩუმად გახვალ ამ ეკლესიიდან და გაიქცევი. გაუჩერებლად გაიქცევი. გასაგებია?
პირზე ხელაფარებულმა ბიჭმა, როგორც შეეძლო, ისე ბეჯითად დაუქნია თავი.
პოლიციას თუ დაურეკავ... ფრაკიანმა კაცმა ცხვირზე მიაჭირა იარაღი, იცოდე გიპოვი.
ამის მერე ბიჭს მარტო ის ახსოვდა, რომ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა გარბოდა და იქამდეაპირებდა სირბილს, ვიდრე ფეხები არ წაერთმეოდა.
თავი 86
სილასი აჩრდილივით მიეპარა უკნიდან მსხვერპლს. სოფი ნევემ გვიან იგრძნო მისი მიახლოება. სანამ მოტრიალებას მოახერხებდა, სილასმა იარაღის ლულა მიაბჯინა ხერხემალზე, ღონიერი მკლავი შემოხვია გულმკერდზე და ზურგით მიიზიდა თავისი მასიური ტანისკენ. სოფიმ გაოცებისგან იყვირა. თიბინგი და ლენგდონი ერთდროულად მოტრიალდნენ, ორივე გაოგნებული და შეშინებული ჩანდა.
რა... ? თიბინგი კინაღამ დაიხრჩო. რა უქენი რემის?
ახლა თქვენ მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ აქედან ქვაკუთხედით წავიდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველ ეტაპზე რემიმ აშკარა და მარტივი ამოცანა დაუსვა: შეხვალ ეკლესიაში. აიღებ ქვაკუთხედს და უკან გამოხვალ; არავითარი მკვლელობა, არავითარი ძალადობა.
სილასს სოფი ღონიერად ეჭირა. ამავე დროს მისი ხელი ნელა ჩავიდა სოფის წელამდე, ჩაუძვრა სვიტრის ღრმა ჯიბეებში და იქ რაღაცის ძებნა დაიწყო. სილასმა თავისი
ალკოჰოლით გაჯერებული სუნთქვით სოფის თმის ნაზი სურნელი შეიგრძნო.
სად არის? ჩასჩურჩულა სოფის. მას ახსოვდა, რომ ქვაკუთხედი სოფის ჯიბეში იყო.
მაშ ახლა სად არის?
აქ არის, გაისმა ლენგდონის დაბალი ხმა ოთახის მეორე მხრიდან.
სილასი მიბრუნდა და დაინახა ლენგდონი, რომელსაც ხელში შავი კრიპტექსი ეჭირა
და აქეთიქით იქნევდა მატადორივით, რომელიც სულელი ცხოველის შეცდენას ცდილობს.
ძირს დადე, მოთხოვა სილასმა.
სოფი და ლი გაუშვი ეკლესიიდან, უპასუხა ლენგდონმა, მე და შენ მოვაგვაროთ.
სილასმა ხელი ჰკრა სოფის და თავიდან მოიშორა. მან ახლა ლენგდონს დაუმიზნა
იარაღი და მისკენ გაემართა.
არც ერთი ნაბიჯი არ გადმოდგა, უთხრა ლენგდონმა, სანამ ეგენი შენობას არ
დატოვებენ.
შენს მდგომარეობაში არაფრის მოთხოვნა არ შეგიძლია.
არ გეთანხმები, ლენგდონმა კრიპტექსი მაღლა, თავს ზემოთ ასწია, წუთითაც არ
დავფიქრდები, ისე დავანარცხებ ამას იატაკს და გავტეხავ შუშის ჭურჭელს.
თუმცა სილასმა თავი მოაჩვენა, რომ მუქარაზე მხოლოდ ჩაეცინა, მაგრამ უეცარი შიში
მაინც იგრძნო, ამას არ ელოდა. მან ლენგდონს თავში დაუმიზნა და ეცადა, ხმა არ
შესტოკებოდა.
ქვაკუთხედს შენ არასოდეს არ გატეხავ, შენც ისევე გინდა ბარძიმის პოვნა, როგორც
მე.
ცდები. შენ უფრო მეტად გინდა. შენ დაამტკიცე, რომ ამისთვის კაცსაც მოკლავ.
ორმოცი ფუტის მოშორებით, რემი ლეგალუდეკი, რომელიც ფლიგელის კამაროვან
გასასვლელთან მდგარი საეკლესიო სკამების რიგიდან უთვალთვალებდა ამ სცენას,
აღელდა. გეგმას ჩაშლა ემუქრებოდა. რემი თავისი სამალავიდანაც კი ხედავდა, რომ
სილასმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. რემიმ მას მოძღვრის ბრძანება გადასცა,
რომლის მიხედვითაც სილასს იარაღი არ უნდა ეხმარა.
გაუშვი ეგენი, ისევ მოსთხოვა ლენგდონმა. მას კრიპტექსი თავს ზევით ჰქონდა
აწეული და სილასის იარაღს მიშტერებოდა.
ბერს თვალები სიბრაზითა და სასოწარკვეთილებით აევსო. რემი გაქვავდა იმის
გაფიქრებაზე, რომ სილასს მართლა შეეძლო გაესროლა, როდესაც ლენგდონს კრიპტექსი
ხელში ეჭირა. კრიპტექსი არ უნდა დავარდეს!
კრიპტექსი რემის საშვი უნდა ყოფილიყო თავისუფლებისა და სიმდიდრის მისაღებად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წელიწადზე ცოტა მეტის წინ იგი უბრალო ორმოცდათხუთმეტი წლის მსახური იყო. შატო
ვილეს კედლებში ცხოვრობდა. აუტანელ ხეიბარ სერ ლი თიბინგს საჭმლით ამარაგებდა და
მისი კაპრიზების შესრულებას ცდილობდა. შემდეგ მას უჩვეულო წინადადებით მიმართეს.
რემის კავშირს სერ ლი თიბინგთან, ბარძიმის ყველაზე გამოჩენილ ისტორიკოსთან
დედამიწის ზურგზე, მისთვის ყველაფერი უნდა მოეტანა, რაზეც კი ოდესმე უოცნებია. ამის
მერე შატო ვილეში ყოველი წუთი მას ამ მიზანთან აახლოებდა.
მე ახლა ისე ახლოს ვარ, უთხრა რემიმ თავის თავს. იგი ტემპლის ეკლესიის
სამლოცველოს და ლენგდონის ხელით აღმართულ კრიპტექსს მიშტერებოდა. ლენგდონმა
რომ ქვაკუთხედი მიწაზე დააგდოს, ყველაფერი დაიკარგება.
შეიძლება აშკარად გამოჩენა? ეს მოძღვარმა მას სასტიკად აუკძრალა. რემი
ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც იცოდა, ვინ იყო მოძღვარი.
დარწმუნებული ხართ, რომ ეს საქმე სწორედ სილასმა უნდა გააკეთოს? ჰკითხა
რემიმ მოძღვარს, ნახევარი საათით ადრე, მაშინ, როდესაც კრიპტექსის მოპარვის
ბრძანება მიიღო, ამას მეც ხომ შევძლებ.
მოძღვარი დარწმუნებული იყო.
სილასი კარგად გვემსახურება ოთხი სენეშალის საქმეში. ის დააბრუნებს ქვაკუთხედს.
შენ უხილავი უნდა დარჩე. დანარჩენებმა რომ დაგინახონ, ისინიც უნდა განადგურდნენ,
ვფიქრობ, უკვე კმარა მკვლელობა. სახე არ გამოაჩინო.
ჩემი სახე შეიცვლება, გაიფიქრა რემიმ. რის გადახდასაც შენ შემპირდი. საშუალებას
მომცემს სრულიად სხვა ადამიანად ვიქცე. ქირურგიული ოპერაცია თითის ანაბეჭდებსაც კი
შეცვლისო, უთხრა მოძღვარმა, მალე ის თავისუფალი იქნება, კიდევ ერთი მშვენიერი სახე
გაჩნდება პლაჟზე მზის ქვეშ.
გავიგე, თქვა რემიმ, მე ჩრდილიდან დავეხმარები სილასს.
რომ იცოდე,რემი, უთხრა მოძღვარმა, სამარხი ტემპლის ეკლესიაში არ არის. ასე
რომ, ნუ შეგეშინდება. ისინი არასწორ ადგილას ეძებენ.
რემი გაოგნებული იყო.
თქვენ იცით, სად არის საფლავი?
რა თქმა უნდა, ვიცი. მოგვიანებით გეტყვი. სწრაფად უნდა იმოქმედო. თუ დანარჩენები
მიხვდებიან სამარხის ნამდვილ ადგილმდებარეობას და ეკლესიიდან იქამდე გავლენ,
ვიდრე შენ კრიპტექსს მოიპოვებ, ბარძიმი შეიძლება სამუდამოდ დავკარგოთ.
რემის ბარძიმი სულ არ ენაღვლებოდა. მაგრამ მოძღვარი დაჰპირდა, რომ მხოლოდ
მაშინ გადაუხდიდა, როდესაც მას მოიპოვებდა. რემის ყოველთვის თავბრუ ეხვეოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც წარმოიდგენდა, რამდენი ფული ექნებოდა ძალიან მალე. ერთი მილიონი ევროს მესამედი. საკმარისია იმისათვის, რომ სამუდამოდ გაუჩინარდე. რემიმ წარმოიდგინა ზღვისპირა ქალაქები საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე, სადაც გეგმავდა დარჩენილი სიცოცხლის გატარებას მცხუნვარე მზის ქვეშ. იმ ახალ ცხოვრებაში უკვე თვითონ ეყოლებოდა მსახურები.

მაგრამ ახლა, ტემპლის ეკლესიაში ლენგდონი იმუქრებოდა, კრიპტექსს გავტეხავთ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რემის მომავალს საფრთხე ემუქრებოდა. მისთვის წარმოუდგენელი იყო იმის გაფიქრება, რომ ასე ახლოს მოსულს ყველაფერი უნდა დაეკარგა. რემიმ ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო. მას ხელში ადვილად დასამალი, მცირე კალიბრის "მედუზა" ეჭირა, რომელიც ახლო მანძილიდან გასროლის შემთხვევაში სასიკვდილო იქნებოდა.

რემი ჩრდილიდან გამოვიდა, წრის ფორმის დარბაზში შეაბიჯა და იარაღი თიბინგს თავში დაუმიზნა.

ბებერო, ამ მომენტს დიდი ხანია ველოდი.

სერ ლი თიბინგს გული თითქმის გაუჩერდა, როდესაც დაინახა, როგორ უმიზნებდა მას თავში რემი. რას აკეთებს? თიბინგმა რემის ხელში თავისი პატარა რევოლვერი შეამჩნია. ამ იარაღს ხელთათმანების ყუთში ინახავდა საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად.

რემი! წამოიძახა თავზარდაცემულმა თიბინგმა, რა ხდება?

ლენგდონი და სოფიც გაფითრებულები მიშტერებოდნენ მას. რემიმ თიბინგს შემოუარა და ზურგში, ცოტა ზევით, ზუსტად იქ, სადაც გული იყო, პისტოლეტის ლულა მიაჭირა. თიბინგმა იგრძნო შიშისგან როგორ შეეკუმშა კუნთები.

რემი, მე არ...

მე გავამარტივებ სიტუაციას, გამოცრა კბილებში რემიმ. იგი ლენგდონს უყურებდა თიბინგის მხარს ზემოდან.

დადე ძირს ქვაკუთხედი, თორემ ჩახმახს გამოვკრავ.

ლენგდონმა იგრძნო, რომ წამიერად გაშეშდა, ქვაკუთხედი შენ არ გამოგადგება, თქვა მან ენის ბორძიკით, ვერ გახსნი.

ქედმაღალო სულელებო, ჩაისისინა რემიმ, ვერ შეამჩნიეთ, რომ მე გისმენდით მთელი ღამის მანძილზე, როდესაც თქვენ ამ ლექსებზე მსჯელობდით? ყველაფერი, რავ გავიგე, სხვებს გავუზიარე. სხვებს, ვინც თქვენზე მეტი იცის. თქვენ ადგილიც კი არასწორად

აარჩიეთ მოსაძებნად. ის სამარხი, თქვენ რომ ეძებთ, სულ სხვაგანაა!

თიბინგმა იგრძნო, როგორ შეიპყრო პანიკამ. რას ლაპარაკობს?

რად გინდა ბარძიმი? ჰკითხა ლენგდონმა, რომ გაანადგურო, სანამ განკითხვის დღე დადგება?

რემიმ ბერს დაუძახა.

სილას, გამოართვი ქვაკუთხედი ბატონ ლენგდონს.

როგორც კი ბერმა ნაბიჯი წინ გადმოდგა, ლენგდონმა უკან დაიხია და ქვაკუთხედი მაღლა ასწია. იგი მზად იყო ეს ნივთი იატაკზე დაენარცხებინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მირჩევნია გავტეხო, თქვა ლენგდონმა, ვიდრე შეუფერებელ ხელში ვიხილო.
თიბინგი ახლა კი სერიოზულად შეშინდა. ცოტაც და, საკუთარი თვალით ნახავდა, როგორ აორთქლდებოდა მთელი მისი ცხოვრების ნაღვაწი. მისი ოცნებები სადაცაა დაიმსხვრეოდა.
რობერტ, ეს არ ჩაიდინო! წამოიძახა თიბინგმა, დაფიქრდი. შენ ხელში გრაალის თასი გიჭირავს! რემი მე არასოდეს მესვრის. ჩვენ ერთმანეთს ათი...
რემიმ ჭერს დაუმიზნა და "მედუზა" გაისროლა. ხმაური წარმოუდგენლად გამაყრუებელი აღმოჩნდა ასეთი პატარა იარაღისთვის. გასროლა ჭექაქუხილივით გაისმა ქვის დარბაზში.
ყველა გაშეშდა.
არ ვხუმრობ, თქვა რემიმ, შემდეგ ტყვიას ვიღაც ზურგში მიიღებს. გადაეცით ქვაკუთხედი სილასს.
ლენგდონმა უხალისოდ გაუწოდა კრიპტექსი ბერს. სილასმა წინ გადმოდგა ნაბიჯი და გამოართვა. თვალები უბრწყინავდა, თავისი თავით ძლიერ კმაყოფილი იყო, რადგან შური
იძია. სილასმა კრიპტექსი სამოსის ჯიბეში ჩაიცურა და უკან დაიხია.
ლენგდონი და სოფი მას ჯერ კიდევ მიზანში ჰყავდა ამოღებული.
თიბინგმა იგრძნო, როგორ შემოეხვია რემის მკლავი კისერზე და მსახურმა უკანუკან დაიწყო დახევა შენობიდან გასასვლელად. იგი თიბინგს თან მიათრევდა. იარაღი ისევ მის ზურგზე ჰქონდა მიბჯენილი.
გაუშვი, მოსთხოვა ლენგდონმა.
ჩვენ ბატონი თიბინგი მანქანით უნდა გავასეირნოთ, უთხრა რემიმ და თან უკანუკან იხევდა, თუ პოლიციას გამოიძახებთ, მოკვდება. თუ როგორმე ჩაერევით, მოკვდება. გასაგებია?
მე წამიყვანეთ, მოითხოვა ლენგდონმა, აღელვებისგან ხმაც კი გაებზარა. ლი გაუშვით.
არა მგონია, გაიცინა რემიმ. მე და მას იმდენი რამ გვაკავშირებს... გარდა ამისა, ის შეიძლება გამოგვადგეს.
სილასიც ნელნელა იხევდა უკანდა თან ლენგდონსა და სოფის იარაღის ლულას არ აშორებდა. რემის კი თიბინგი გასასვლელისკენ მიჰყავდა. ყავარჯენი მას უკან მისთრევდა. ამ დროს სოფის ხმა მტკიცედ გაისმა.
შენ ვისთვის მუშაობ?
მიმავალ რემის სახეზე ამ შეკითხვისაგან თვითკმაყოფილი ღიმილი გამოესახა.
გაგიკვირდებათ, რომ გაიგოთ, ქალბატონო ნევე.
თავი 87
ბუხარი შატო ვილეს სასტუმრო ოთახში უკვე გაციებულიყო, მაგრამ კოლე მაინც მის წინ მიდიმოდიოდა და თან ინტერპოლიდან მიღებულ ფაქსებს კითხულობდა. მოლოდინი უცრუვდებოდა.
ოფიციალური ჩანაწერების მიხედვით, ანდრე ვერნე სამაგალითო მოქალაქე იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არასდროს ჰქონია პოლიციასთან შეხება, მანქანის უადგილო გაჩერებისთვისაც არ მიუღია ჯარიმა. დაწყებითი სკოლიდან სორბონის უნივერსიტეტის ჩათვლით ფრიადოსანი გამოდიოდა. ჰქონდა ცუმ laude ხარისხი საერთაშორისო ფინანსებში. ინტერპოლის ცნობით, ვერნეს სახელი დროდადრო ჩნდებოდა გაზეთებში, მაგრამ ყოველთვის დადებით
კონტექსტში. როგორც ჩანს, ამ ადამიანმა მონაწილეობა მიიღო დაცვის სისტემის პარამეტრების განვითარებაში, რითაც ციურიხის სადეპოზიტო ბანკის ულტრათანამედროვე
ელექტრონული დაცვის სამყაროში ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა. ვერნეს საკრედიტო ბარათის ჩანაწერები ამტკიცებდა მის ინტერესს ხელოვნების შესახებ წიგნების, ძვირფასი ღვინოებისა და კლასიკური მუსიკის, განსაკუთრებით ბრამსისადმი. მუსიკის მოსასმენად ვერნეს რამდენიმე წლის წინ ნაყიდი განსაკუთრებით ძვირფასი სტერეოსისტემა ჰქონდა. ზერო, ამოიოხრა კოლემ.
ერთადერთი დამაფიქრებელი ინფორმაცია ინტერპოლის ანგარიშში იყო თითის ანაბეჭდები, რომლებიც, როგორც ჩანს, თიბინგის მსახურს ეკუთვნოდა. უფროსი ექსპერტი
ანგარიშს კითხულობდა. იგი კომფორტულ სკამზე იჯდა ოთახის მეორე მხარეს.
– არის რამე? – გახედა მას კოლემ.
ექსპერტმა მხრები აიჩეჩა.
– ანაბეჭდები ეკუთვნის ვინმე რემი ლეგალუდეკს. იგი მცირე დანაშაულისთვის იძებნება. არაფერი სერიოზული. თითქოს უნივერსიტეტიდან გააგდეს იმიტომ, რომ ტელეფონის სადენებით ჩალიჩობდა უფასო მომსახურების მისაღებად. მოგვიანებით რაღაც უმნიშვნელო ქურდობა ჩაიდინა. გატეხა და შევიდა. ერთხელ თავი აარიდა საავადმყოფოს გადასახადის გადახდას სასწრაფო ტრაქეოტომიის შემდეგ, – მან თვალი მოაცილა ტექსტს და ხითხითით შეხედა კოლეს, – ალერგია აქვს არაქისზე.
კოლემ თავი დაუქნია. გაიხსენა, როგორ გამოიძახეს ოდესღაც პოლიცია ერთ რესტორანში. ისე მოხდა, რომ რესტორნის ხელმძღვანელობამ მენიუში არ მიუთითა, რომ ჩილის რეცეპტში არაქისის ზეთი შედიოდა. ამის გამო ერთერთი მუდმივი კლიენტი პირველივე ლუკმის შემდეგ ანაფილაქსიური შოკით დაიღუპა.
– ლეგალუდეკი ალბათ აქვე ცხოვრობდა. და ასეთნაირად არიდებდა თავს პოლიციას, ექსპერტს ეს ართობდა, – ეს მისი იღბლიანი ღამეა.
– ჯობია ეს ინფორმაცია ფაშს გადავუგზავნოთ, – ამოიოხრა კოლემ.
ექსპერტმა გასვლა დააპირა. ამ დროს მეორე აგენტი შემოვარდა სასსტუმრო ოთახში.
– ლეიტენანტო, ჩვენ რაღაც ვიპოვეთ ფარდულში.
აგენტის აღელვებული სახის მიხედვით კოლეს ერთადერთი აზრი მოუვიდა თავში.
– გვამი?
– არა, სერ. რაღაც უფრო... – იგი შეჩერდა. – მოულოდნელი.
კოლე თვალების ფშვნეტით გაჰყვა აგენტს ფარდულისკენ. ობმოკიდებულ, გამოქვაბულის მსგავს სივრცეში შესვლისთანავე აგენტმა ხელი გაიშვირა ოთახის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცენტრისკენ, სადაც ხის კიბე იყო მიყუდებული. მაღლა, ხის მორებით შეკრულ სართულზე
თივა ეყარა.
ადრე იქ კიბე არ იყო, თქვა კოლემ.
არა, სერ. ეგ მე დავდგი აქ. ანაბეჭდებს ვეძებდით როლს როისთან ახლო, როდესაც იატაკზე დაგდებული კიბე დავინახე. არც ვიფიქრებდი ამაზე, მაგრამ შევამჩნიე, რომ საფეხურები გაცვეთილი და ტალახიანი იყო. როგორც ჩანს, კიბეს ხშირად ხმარობდნენ. თივის საყრელის სიმაღლე კიბისას ემთხვეოდა. კიბე მივადგი და ზედ ავედი, რომ ზევით დამეთვალიერებინა.
კოლემ თვალი ააყოლა კიბეს თივის საყრელისკენ. ვიღაც სისტემატურად ადის ზევით? ქვევიდან თივის საყრელი ცარიელს ჰგავდა და, სავარაუდოა, რომ მისი დიდი ნაწილი არ ჩანდა.
კიბის თავზე პოლიციის უფროსი აგენტი გამოჩნდა. იგი ქვევით იყურებოდა.
თქვენ ეს ნამდვილად უნდა ნახოთ, ლეიტენანტო, უთხრა მან და კოლეს ლატექსის ხელთათმანიანი ხელი დაუქნია.
კოლემ დაღლით დაუქნია თავი და ძველ კიბესთან მივიდა. ხელი ქვედა საფეხურს ჩასჭიდა. ძველებური კიბე იყო და ზევითკენ თანდათან ვიწროვდებოდა. კოლემ კიბეზე ასვლა დაიწყო, როდესაც კიბის ბოლოს მიუახლოვდა, ფეხი ძლივს დადგა წვრილ საფეხურზე. მას თვალები აუჭრელდა. კოლემ ახლა უფრო ფრთხილად განაგრძო გზა და, როგორც იქნა, კიბის თავს მიაღწია. ზევით მდგომმა აგენტმა მაჯა გაუწოდა. კოლემ მისი მაჯა ჩაბღუჯა და მოუხერხებლად აძვრა ზევით.
ის იქ არის, თქვა აგენტმა და მიუთითა ძალზე სუფთა თივის საყრელის სიღრმეში, იქ მხოლოდ ერთი სახის ანაბეჭდებია. ჩვენ მალე გვექნება მათ შესახებ ინფორმაცია.
კოლემ თვალები მოჭუტა და ისე გახედა მკრთალი სინათლით განათებულ შორეულ კედელს. ეს რა ჯანდაბაა? ამ კედელთან შეყუჟული იყო რთული ბრტყელეკრანიანი მონიტორი აუდიოსპიკერებით, ხისტი დისკების რიგი და მრავალარხიანი აუდიოპანელი ფილტრიანი დენის წყაროთი.
ნეტა რატომ უნდა მოუნდეს ვინმეს აქ სამუშაოდ მოსვლა? კოლე სისტემას მიუახლოვდა. შეამოწმეთ?
ეს მოსასმენი პოსტია.
სათვალთვალო?! წამოიძახა კოლემ.
აგენტმა თავი დაუქნია.
ძალიან თანამედროვე სისტემაა, გრძელ საპროექტო მაგიდაზე მიუთითა, სადაც გაბნეული იყო ელექტრონული ნაწილები, სახელმძღვანელოები, ხელსაწყოები, მავთულები, სარჩილავი და სხვანივთები, ვიღაცამ შესანიშნავად იცის, რასაც აკეთებს. ამ დანადგარების უმრავლესობა ისეთივე რთულია, როგორც ჩვენი. მინიატურული მიკროფონები, ფოტოელექტრონული დამტენი, დიდი მოცულობის RAM ჩიპები. მას ზოგიერთი ახალი ნანოსისტემაც კი აქვს.
ამან კოლეზე შთაბეჭდილება მოახდინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქ სრული კოლექციაა, თქვა აგენტმა. მან კოლეს გაუწოდა რაღაც ხელსაწყო, ჯიბის კალკულატორზე ცოტა დიდი. ამ უცნაური ხელსაწყოდან ჩამოკიდებული იყო ფუთის სიგრძის მავთული შემსხვილებული ბოლოთი, რომელზედაც თხელი ფოლგა იყო შემოხვეული. ეს არის მაღალი გამტარიანობის კომპიუტერის აუდიოჩამწერი სისტემა გადასატანი ელემენტებით. ეს ფოლგის ნაწილი მავთულის ბოლოს მიკროფონისა და ფოტოელექტრონული კვების ბლოკის კომბინაციაა.

კოლე კარგად იცნობდა ამ საგანს. ამგვარი მიკროფონები რამდენიმე წლის წინ მაღალტექნოლოგიურ სფეროში ნამდვილი წინსვლის შედეგი იყო. სისტემის ჩამონტაჟება შესაძლებელი იყო, მაგალითად, მაგიდის ლამპაში. თუ მიკროფონი ისე მოთავსდებოდა, რომ მზის სინათლე დღეში რამდენიმე საათით მაინც მიიღოს, ფოტოუჯრედები სისტემას დატენის. ასეთი სახის მოსასმენი ხელსაწყოთი შეიძლება განუსაზღვრელი დროით ვუსმინოთ ნებისმიერ ობიექტს.

მიღება როგორ ხდება? იკითხა კოლემ.

აგენტმა მიუთითა საიზოლაციო მავთულზე, რომელიც კომპიუტერის უკნიდან გამოდიოდა, აუყვებოდა კედელს და ფარდულის სახურავში გაკეთებული ხვრელით გადიოდა გარეთ.

მარტივი რაიოდალღა. სახურავზე პატარა ანტენაა.

კოლემ იცოდა, რომ ჩვეულებრივ ოფისებში დაყენებული ეს ჩამწერი მოწყობილობები ხმაზე იყო აქტივირებული, დისკის მოცულობის დასაზოგად. ამ გზით იწერებოდა საუბრის ნაწყვეტები დღის განმავლობაში, გადაიცემოდა შემჭიდროვებული აუდიოფაილების სახით ღამის განმავლობაში, რომ ვინმეს არ მიეგნო. გადაცემის შემდეგ დისკი თვითონვე შლიდა ინფორმაციას და მზად იყო იგივე ჩაეტარებინა მეორე დღეს.

კოლეს მზერამ ახლა თაროზე გადაინაცვლა. აქ რამდენიმე ათასი აუდიოკასეტა ინახებოდა. ყოველ მათგანზე თარიღი და ნომერი ეწერა. აქ ვიღაც ძალიან ბევრს მუშაობდა. იგი აგენტს მიუბრუნდა.

გაქვთ რაიმე წარმოდგენა, ვის უსმენდნენ?

იცით, ლეიტენანტო, თქვა აგენტმა, კომპიუტერთან მივიდა და პროგრამა ჩართო, ეს ყველაზე უცნაური რამაა.

თავი 88

ლენგდონი საშინელ დაღლილობას გრძნობდა, როდესაც მან და სოფიმ გადალახეს ტურნიკეტი ტემპლის მეტროს სადგურში და სწრაფად ჩაეშვნენ გვირაბებსა და ბაქნების ჭუჭყიან ლაბირინთში. მას დანაშაულის გრძნობა კლავდა.

მე ლი ჩავითრიე და ახლა ის უზარმაზარი საშიშროების წინაშე დგას.

რემის ჩარევა ამ საქმეში შოკის მომგვრელი, თუმცა ლოგიკური იყო. იმან, ვინც ბარძიმს ეძებდა, დაიქირავა ვიღაც შიგნიდან. ისინი იმავე მიზნით მივიდნენ თიბინგთან, რითაც მე. ისტორიულად ყოველთვის ასე იყო: ვინც ბარძიმის შესახებ ფლობდა ინფორმაციას, მაგნიტივით ერთნაირად იზიდავდა ქურდებსაც და მეცნიერებსაც. ის, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თიბინგზე უკვე დიდი ხანია ნადირობდნენ, მას მსულაც არ ანუგეშებდა. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ლი და დავეხმაროთ. ეს სასწრაფოდ უნდა გავაკეთოთ. ლენგდონი დასავლეთისკენ გაჰყვა სოფის, რომელიც წრიული ხაზის ბაქანზე მდგომი
ტელეფონისკენ მიიჩქაროდა, რომ, რემის გაფრთხილების მიუხედავად, პოლიციაში
დაერეკა. სინანულით აღსავსე ლენგდონი იქვე დანგრეულ სკამზე ჩამოჯდა.
ყველაზე კარგი გზა ლის დასახმარებლად, იმეორებდა სოფი და თან ნომერს
კრეფდა, ის იქნება, თუ ჩვენ სასწრაფოდ ჩავრევთ ლონდონის ხელისუფლებას. დამიჯერე.
თავიდან ლენგდონი არ დაეთანხმა ამ აზრს, მაგრამ, როგორც კი გეგმა ჩამოაყალიბეს,
სოფის მსჯელობის ლოგიკა უკვე აზრიანი გახდა. ამ წუთას თიბინგი უსაფრთხოდ იყო, მაშინ
კი, თუ რემიმ და იმ სხვებმა იციან, სად მდებარეობს იმ რაინდის სამარხი, მათ თიბინგი
მაინც დასჭირდებათ, რომ გაიშიფროს, რას მიანიშნებს სფერო. ლენგდონს ის აწუხებდა, თუ
რა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც ბარძიმის რუკას იპოვიდნენ. ლი უზარმაზარ ტვირთად
გადაიქცეოდა.
იმისათვის, რომ ლის დახმარებოდა, ან ქვაკუთხედი მოეძებნა, ლენგდონს პირველს
უნდა ეპოვა სამარხი. სამწუხაროდ, რემი ძალიან უსწრებს მას.
სოფის ამოცანა რემის შეფერხება იყო.
ნამდვილი სამარხი კი ლენგდონს უნდა მოეძებნა.
სოფი რემის და სილასს ლონდონის პოლიციისგან გაქცეულებად გადააქცევდა. ამიტომ
მათ დამალვა დასჭირდებოდათ, ან კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, თუ პოლიცია მათ
დააკავებდა. ლენგდონის გეგმა უფრო რთული იყო მეტროთი მისულიყო უახლოეს კინგს
კოლეჯში, სადაც თეოლოგიური მონაცემების ელექტრონული ბაზა იქნებოდა. ეს კვლევის
საუკეთესო საშუალებაა. ლენგდონს გაგონილი ჰქონდა, რომ ეს სისტემა სასწრაფო პასუხს
იძლევა ნებისმიერ შეკითხვაზე რელიგიის ისტორიაში. მას აინტერესებდა, რას ეტყოდა ეს
მონაცემთა ბაზა "პაპის მიერ დამარხულ რაინდზე".
ლენგდონი ადგა და სწრაფი ნაბიჯებით გაუდგა გზას. ის ნატრობდა, რომ მატარებელი
სწრაფად მოსულიყო.
როგორც იქნა, ფასიანი ტელეფონით სოფი ლონდონის პოლიციასთან დააკავშირეს.
სნოუ ჰილის განყოფილება, უპასუხა დისპეტჩერმა, რის შესახებ რეკავთ?
მე მინდა განვაცხადო, ადამიანის გატაცების შემთხვევაზე, სოფიმ იცოდა, რომ
მოკლედ უნდა ეთქვა სათქმელი.
თუ შეიძლება, სახელი მითხარით.
სოფი შეყოვნდა, აგენტი სოფი ნევე, საფრანგეთის სასამართლო პოლიცია.
ტიტულმა სასურველი შედეგი გამოიღო.
ახლავე, ქალბატონო, დეტექტივს დაგაკავშირებთ.
სანამ ელოდა, სოფი ფიქრობდა, ნეტა თუ დამიჯერებს პოლიცია, როდესაც თიბინგის
გამტაცებლებს აღვწერო. მამაკაცი ფრაკში. ამაზე ადვილი ამოსაცნობი ეჭვმიტანილი ვერც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი შეიძლება წარმოიდგინო. რემის კიდეც რომ, გამოეცვალა ტანსაცმელი, მას თან ახლდა ალბინოსი ბერი, შეუძლებელია, ასეთი რამ არ შეამჩნიო. გარდა ამისა, მათ ჰყავთ მძევალი და ისინი საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ ისარგებლებენ. საინტერესოა, რამდენი "იაგუარი სტრეჩ ლიმუზინი" დადის ლონდონში.

დეტექტივთან სოფის დაკავშირებას თითქმის საუკუნე დასჭირდა. მიდი რა! მას ესმოდა, როგორ ტკაცუნობდა და ზუზუნებდა ხაზი, თითქოს მისი ზარის გადატანა შორ მანძილზე

ხდებოდა.

თხუთმეტი წამი გავიდა.

ბოლო და ბოლოს კაცის ხმამ უპასუხა.

აგენტი ნევე ხართ?

გაოგნებულმა სოფიმ მაშინვე იცნო უხეში ხმა.

აგენტო ნევე, პასუხი მოითხოვა ბეზუ ფაშმა, სად ჯანდაბაში ხართ?

სოფის ენა ჩაუვარდა, კაპიტან ფაშს აშკარად გაფრთხილებული ჰყავდა ლონდონის პოლიციის დისპეტჩერი, რომ თუ სოფი დარეკავდა, მაშინვე შეეტყობინებინათ მისთვის.

მომისმინეთ, უთხრა ფაშმა. იგი სოფის მოკლე ფრაზებით ფრანგულად ელაპარაკებოდა. მე ამ ღამით საშინელი შეცდომა დავუშვი. რობერტ ლენგდონი უდანაშაულოა. მის მიმართ აღძრული ყველა ბრალდება გაუქმებულია. და მაინც, თქვენ ორივე საფრთხეში ხართ. თქვენთვის ჯობია მოხვიდეთ.

სოფის ყბა ჩამოუვარდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეპასუხა. ფაში ის ადამიანი არ იყო, ვინც ტყუილად იხდის ბოდიშს.

თქვენ ჩემთვის არ გითქვამთ, განაგრძნო ფაშმა, რომ ჟაკ სონიერი თქვენი ბაბუა იყო. მე ვაპირებ, არ მივაქციო ყურადღება თქვენს წუხანდელ დაუმორჩილებლობას, იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ ემოციური სტრესის ქვეშ იყავით. ახლა კი თქვენ და რობერტ ლენგდონი უნდა მიხვიდეთ ლონდონის პოლიციის უახლოეს უბანში თავის შესაფარებლად

მან იცის, რომ ლონდონში ვარ? კიდევრა იცის ფაშმა? სოფიმ თავის უკან თითქოს ბურღის ხმა გაიგონა. ამას ტელეფონში უცნაური ტკაცუნი მოჰყვა.

კაპიტანო, თქვენ ცდილობთ დაადგინოთ, საიდან ვრეკავ?

ფაშის ხმა ახლა მტკიცე გაუხდა.

აგენტო ნევე, ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ. ჩვენ შეიძლება ძალიან ბევრი დავკარგოთ ამ საქმეში. ჩვენი ზარალი გულდასმით უნდა დავითვალოთ. მე წუხელ შეცდომა დავუშვი დასკვნების გაკეთებისას. თუ ეს შეცდომები ამერიკელი პროფესორისა და საფრანგეთის პოლიციის კრიპტოლოგიის სიკვდილს გამოიწვევს, ჩემი კარიერა დასრულდება. ბოლო რამდენიმე საათია ვცდილობ, საფრთხე აგარიდოთ.

თბილი ჰაერის ნაკადი უბერავდა სადგურში, რადგან მატარებელი ახლოვდებოდა. სოფის ძალიან სურდა ამ მატარებელზე მოხვედრა. ლენგდონსაც აშკარად იგივე მიზანი ჰქონდა; იგი მობილიზებული იყო და მისკენ მიდიოდა.

ადამიანი, ვინც თქვენ გჭირდებათ, არის რემი ლეგალუდეკი, თქვა სოფიმ. ის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თიბინგის მსახურია. მან ესესაა მოიტაცა თიბინგი ტემპლის ეკლესიაში და...
აგენტო ნევე! დაიღიალა ფაშმა, როდესაც მატარებელი შემოგრიალდა სადგურში.
ეს ტელეფონით სალაპარაკო არ არის. თქვენ და ლენგდონი ახლავე მოხვალთ. თქვენივე
კეთილდღეობისასთვის! ეს პირდაპირი ბრძანებაა!
სოფიმ ყურმილი დაკიდა და ლენგდონთან ერთად შევარდა მატარებელში.
თავი 89
თიბინგის "ჰოუკერის" ოდესრაც გაპრიალებული კაბინა ახლა ლითონის ნამჩეცებით
იყო მოფენილი და მასში დახშული ჰაერისა და პროპანის სუნი იდგა. ფაშს ყველანი გაეშვა
და მარტო იჯდა სასმელით და თიბინგის სეიფში ნაპოვნი მძიმე ხის ყუთით ხელში.
მან თითი გადაუსვა ამოტვიფრულ ვარდს და ასწია მოხატული სახურავი. შიგნით ქვის
ცილინდრი იპოვა ასოებიანი დისკოებით. ხუთი დისკო ისე იყო დალაგებული, რომ
იკითხებოდა სიტყვა SOFIA. ფაში დიდხანს მიაშტერდა სიტყვას, მერე ცილინდრი ასწია და
ყურადღებით დაათვალიერა მისი ყოველი დეტალი. ამის შემდეგ გასწია მისი ორივე მხარე
და ერთერთი სახურავი მოხსნა. ცილინდრი ცარიელი იყო.
ფაშმა კი კვლავ ყუთში ჩააბრუნა და უაზროდ გაიხედა თვითმფრინავის
ილუმინატორიდან ანგარისკენ. იგი სოფისთან თავის საუბარზე და იმ ინფორმაციაზე
ფიქრობდა, რომელიც შატო ვილეში დატოვებული საგამოძიებო ჯგუფისგან მიიღო.
ტელეფონის ზარმა იგი ოცნებისგან გამოაფხიზლა.
ეს პოლიციის კომუტატორი იყო. დისპეტჩერი ბოდიშს იხდიდა. ციურიხის სადეპოზიტო
ბანკის პრეზიდენტმა რამდენჯერმე დარეკა. თუმცა, ყოველთვის პასუხობდნენ, რომ
კაპიტანი საქმეზეა ლონდონში წასულიო, ის მაინც რეკავდა. ფაშმა ბუზღუნით სთხოვა,
დამაკავშირეთო.
მესიე ვერნე, უთხრა ფაშმა, სანამ კაცი თავად დაილაპარაკებდა, მაპატიეთ, რომ
აქამდე არ დაგირეკეთ. დაკავებული ვიყავი. როგორც შეგპირდით, თქვენი ბანკი პრესაში
არ მოიხსენიება. მაშ, რაღა გაწუხებთ?
ვერნემ აღელვებული ხმით უამბო ფაშს, თუ როგორ მოიპოვეს ლენგდონმა და სოფიმ
ბანკიდან პატარა ხის ყუთი, ხოლო შემდეგ დაარწმუნეს ვერნე, მათთვის დახმარება
აღმოეჩინა, მოგვიანებით, როდესაც რადიოში გავიგონე, რომ თურმე ისინი დამნაშავეები
ყოფილან, თქვა ვერნემ, გზის პირას გავაჩერე და მოვთხოვე ყუთის უკან დაბრუნება,
მაგრამ მათ შემომიტიეს და მოიტაცეს სატვირთო მანქანა.
თქვენ ხის ზარდახშის ბედიღბალი გაწუხებთ, თქვა ფაშმა, თავსახურზე
ამოტვიფრულ ვარდს დახედა და ისევ ფრთხილად ასწია სახურავი. თეთრი ცილინდრი
გამოჩნდა. – ხომ ვერ მეტყვით, რა იდო ყუთში?
ყუთის შიგთავსს მნიშვნელობა არა აქვს, სწრაფად უპასუხა ვერნემ, მე ჩემი ბანკის
რეპუტაცია მაწუხებს. ჩვენთან ქურდობა არასდროს ყოფილა. არასდროს. მე თუ ვერ
დავაბრუნებ ამ კერძო საკუთრებას, კლიენტის ინტერესების დასაცავად, ეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაგვანადგურებს.
 თქვენ თქვით, რომ აგენტ ნევეს და რობერტ ლენგდონს ჰქონდათ პაროლი და გასაღები. რა გათქმევინებთ იმას, რომ მათ ყუთი მოიპარეს?
 ამ ღამით მათ ადამიანები დახოცეს. მათ შორის სოფი ნევეს ბაბუაც იყო. აშკარაა, პაროლი და გასაღები ბოროტი გზით არის მოპოვებული.
 ბატონო ვერნე, ჩემმა აგენტებმა შეამოწმეს თქვენი წარსული და ანგარიშები. აშკარაა, რომ თქვენ უაღრესად კულტურული და დახვეწილი ადამიანი ბრძანდებით. მე შემიძლია წარმოვიდგინო, რომ თქვენ აგრეთვე პატიოსანი ადამიანიც ბრძანდებით, ისეთივე, როგორც მე. ამდენად, როგორც სასამართლო პოლიციის მეთაური, სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენი ყუთი, როგორც თქვენი ბანკის რეპუტაცია, ყველაზე უფრო საიმედო ხელშია.
თავი 90
შატო ვილეს თივის საყრელზე ასული კოლე გაოგნებით მიშტერებოდა კომპიუტერის მონიტორს. ეს სისტემა ფარულად უგდებდა ყურს ყველა ამ ადგილს?
 დიახ, თქვა აგენტმა, როგორც ჩანს, მონაცემთა შეგროვება უკვე წელიწადზე მეტია, რაც მიმდინარეობს.
კოლემ კიდევ ერთხელ უსიტყვოდ წაიკითხა სია.
კოლბერ სოსტაკი კონსტიტუციური საბჭოს თავმჯდომარე.
ჟან შაფე ჟო დე პომის მუზეუმის კურატორი.
ედუარდ დესროშე უფროსი არქივარიუსი, მიტერანის ბიბლიოთეკა.
ჟაკ სონიერი ლუვრის მუზეუმის კურატორი.
მიშელ ბრეტონის DASის ხელმძღვანელი (საფრანგეთის დაზვერვა).
აგენტმა ეკრანზე მიუთითა. მეოთხე ნომერი აშკარად საყურადღებოა.
შემცბარმა კოლემ თავი დაუქნია. მან ეს მაშინვე შეამჩნია. ჟაკ სონიერი მოსასმენ აპარატთან ყოფილა მიერთებული. ხელახლა შეხედა სიას, როგორ უნდა მოეხერხებინა ვიღაცას ასეთი მნიშვნელოვანი პირობების მოსასმენ აპარატთან მიერთება? უკვე მოისმინე რომელიმე აუდიოფაილი?
 რამდენიმე. აი ეს ყველაზე ბოლოა. აგენტმა რამდენიმე კლავიშს დააჭირა ხელი. მიკროფონმა დაიტკაცუნა და გაცოცხლდა. Capitaine, un agent du Department de Cryptographie est arrive.
კოლე ყურებს არ უჯერებდა.
 ეს მე ვარ! ჩემი ხმაა! მას გაახსენდა, როგორ იჯდა სონიერის კაბინეტში და დიდ გალერეაში მყოფ ფაშს რადიოთი გადასცა გამაფრთხილებელი ინფორმაცია სოფი ნევეს მოსვლის შესახებ.
აგენტმა თავი დაუქნია.
 ლუვრში წუხელ მიმდინარე გამოძიების დიდი ნაწილი შეიძლება ადვილი მოსასმენი გამხდარიყო, თუკი ვინმე მოინდომებდა.
 გაგზავნეთ ვინმე ფარული მირკოფონის მოსაძებნად?
 საჭირო არ არის. ვიცი, სადაც არის. აგენტი მივიდა ძველი ჩანაწერების და ნახაზების გროვასთან, ამოარჩია ერთი გვერდი და კოლეს მიაწოდა. გეცნობათ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოლე გაოცდა. მას ხელში ეჭირა ფოტოასლი ძველებური ნახაზისა, ერომელზეც
მარტივი მანქანა იყო გამოსახული. კოლემ ვერ წაიკითხა იტალიურად ხელით მიწერილი
სახელები, მაგრამ მაინც იცოდა, რა ედო წინ. ეს იყო შუა საუკუნეების დროინდელი ფრანგი
რაინდის მოძრავი მოდელი.
რაინდი, რომელიც სონიერის საწერ მაგიდაზე ზის.
კოლეს მზერამ კიდეებზე გადაინაცვლა. აქ ფოტოასლზე წითელი ფლომასტერით
ვიღაცას შენიშვნები მიეწერა ფრანგულად. ეს იყო მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ
შეიძლებოდა მოსასმენი ხელსაწყოს უკეთესად მოთავსება რაინდის შიგნით.
თავი 91
სილასი იჯდა მგზავრის ადგილას ტემპლის ეკლესიასთან ახლოს გაჩერებულ ლიმუზინ
იაგუარში. მას ქვაკუთხედი ეჭირა და გრძნობდა, როგორ გაუოფლიანდა ხელები. სილასი
ელოდა რემის, რომელმაც საბარგულში თოკით გაკოჭა თიბინგი და პირი აუკრა.
ბოლოს და ბოლოს, რემი ამოძვრა ლიმუზინის უკანა მხარიდან, მანქანას შემოუარა,
შემოსრიალდა სალონში და მძღოლის ადგილი დაიკავა სილასის გვერდზე.
საიმედოდ არის? თქვა სილასმა.
რემიმ ჩაიხითხითა, ჩამოიბერტყა ტანსაცმლიდან წვიმის წვეთები და მხარს ზემოდან
გახედა ღია გამყოფის იქეთ ლი თიბინგის მოკუნტულ ფიგურას. იგი უკანა მხარეს სიბნელის
გამო თითქმის არ ჩანდა.
არსად წასვლას არ აპირებს.
სილასს ესმოდა თიბინგის მოგუდული ყვირილი და მიხვდა, რომ რემიმ ნაცნობი
წებოვანი ლენტით აუკრა პირი.
Ferme ta guele! დაუღიალა რემიმ თიბინგს. იგი საკონტროლო პანელზე ღილაკს
დასწვდა და თითი დააჭირა. მათ უკან გაუმჭვირვალე გამყოფი ამოიწია და მანქანის უკანა
მხარე გადაიტიხრა.
უკვე დიდი ხანია ვისმენ მაგის საცოდავ წუწუნს.
რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც სტრეჩ ლიმუზინიაგუარმა ღონივრად აკრიფა
სიჩქარე და ქუჩებში გაქროლდა, სილასის მობილური აწკრიალდა. ეს ხომ მოძღვარია. მან
აღელვებით უპასუხა.
დიახ!
სილას, უთხრა ნაცნობი ფრანგული აქცენტით მოძღვარმა, რადგან შენი ხმა
გავიგონე, გულზე მომეშვა. ესე იგი, უსაფრთხოდა ხარ.
სილასიც დაამშვიდა მოძღვრის ხმის გაგონებამ. საათების წინ ოპერაციამ დაგეგმილი
კურსიდან ძლიერად გადაუხვია. ქვაკუთხედი მე მაქვს.
ეს ბრწყინვალე ახალი ამბავია. უთხრა მას მოძღვარმა, რემი შენთან ერთად არის?
სილასს გაუკვირდა, რომ მოძღვარმა რემის სახელი ახსენა.
დიახ, რემიმ გამათავისუფლა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისე, როგორც მე ვუბრძანე. მე მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, რომ ამდენი ხანი მოგიხდა ტყვეობაში ყოფნა.
ფიზიკური დისკომფორტი არაფერია. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქვაკუთხედი ჩვენია.
დიახ. მე ის სასწრაფოდ უნდა მივიღო. დროს ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს.
სილასს ძალიან უნდოდა, ბოლოს და ბოლოს, პირისპირ შეხვედროდა მოძღვარს.
დიახ, სერ. ეს ჩემთვის პატივი იქნებოდა.
სილას, მე მირჩევნია, რომ ის რემიმ მომიტანოს.
რემიმ? სილასს ნირი წაუხდა. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან მოძღვრისთვის გააკეთა, მას სჯეროდა, რომ იგი თვითონ გადასცემდა მოპოვებულ ჯილდოს. მოძღვარი რემის აძლევს უპირატესობას.
მესმის, რომ იმედი გაგიცრუე, უთხრა მოძღვარმა, ჩანს, შენ ვერ გამიგე, იგი ჩურჩულზე გადავიდა, უნდა დამიჯერო, რომ, რასაკვირველია, მერჩივნა ქვაკუთხედი მიმეღო შენგან ღვთის მსახურისგან და არა დამნაშავისაგან მაგრამ რემისთვის ანგარიში მაქვს გასასწორებელი. იგი ჩემს ბრძანებას არ დაემორჩილა და საშინელი შეცდომა დაუშვა. ამით მან მთელი მისია ჩააგდო საფრთხეში.
სილასს გააჟრჟოლა და რემის გახედა. თიბინგის მოტაცება გეგმაში არ შედიოდა. ახლა ახალი პრობლემა შეიქმნა. რა ვუყოთ თიბინგს?
მე და შენ ღვთის მსახურები ვართ, ჩურჩულებდა მოძღვარი, მიზანს ვერ გადავუხვევთ, ხაზზე შიშისმომგვრელი დუმილი ჩამოვარდა მხოლოდ ამიტომ, რემის ვეტყვი, რომ ქვაკუთხედი მომიტანოს, გამიგე?
სილასმა მოძღვრის ხმაში რისხვა იგრძნო და გაოცდა, რატომ არ ესმოდა მისი ამ ადამიანს. მას გამოჩენა მოუწევს, გაიფიქრა სილასმა. რემიმ ის გააკეთა, რაც უბრძანეს. მან ქვაკუთხედი გადაარჩინა.
გავიგე, მოახერხა სილასმა პასუხის გაცემა.
კარგი. შენივე უსაფრთხოებისთვის უნდა დაიმალო და ქუჩებს მოშორდე. მალე პოლიცია ლიმუზინის ძებნას დაიწყებს. არ მინდა, რომ დაგიჭირონ. ოპუს დეის ლონდონში
აქვს რეზიდენცია, არა?
რა თქმა უნდა.
და იქ მიგიღებენ?
როგორც ერთერთ ძმას.
მაშინ იქ წადი და გაუჩინარდი. მე დაგირეკავ, როგორც კი ქვაკუთხედს ხელში ჩავიგდებ და ჩემს მიმდინარე პრობლემებს მოვუვლი.
თქვენ ლონდონში ხართ?
გააკეთე, რასაც გეუბნები და ყველაფერი კარგად იქნება.
დიახ, სერ.
მოძღვარმა მძიმედ ამოიოხრა, თითქოს რაც ახლა უნდა გაეკეთებინა, უაღრესად დასანანი იყო. ახლა დროა, რემის დაველაპარაკო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სილასმა რემის გადასცა ტელეფონი და იგრძნო, რომ ალბათ ეს რემი ლეგალუდეკის უკანასკნელი სატელეფონო საუბარი იყო.
როდესაც რემიმ ტელეფონი აიღო, მან იცოდა, რომ ამ საწყალ მოტყუებულ ბერს აზრადაც არ მოსდიოდა, რა ბედი ელოდა ახლა, როდესაც მან თავისი მისია შეასრულა.
მოძღვარმა შენ გამოგიყენა, სილას. და შენი ეპისკოპოსიც გამოიყენეს.
რემის მაინც აღაფრთოვანებდა მოძღვრის უნარი, დაერწმუნებინა ადამიანი.
ეპისკოპოსმა არინგაროსამ ყველაფერი დაიჯერა. იგი საკუთარმა სასოწარკვეთილებამ დააბრმავა. არინგაროსას ძალიან უნდოდა დაეჯერებინა. მართალია, რემის დიდად არ მოსწონდა მოძღვარი, მაგრამ მას ემაყებოდა, რომ ასე დაეხმარა მას და მისი ნდობა მოიპოვა. მე ჩემიხელფასი დავიმსახურე.
ყურადღებით მომისმინე, უთხრა მოძღვარმა, სილასი წაიყვანე ოპუს დეის
რეზიდენციაში და რამდენიმე ქუჩით ადრე ჩამოსვი. შემდეგ წადი სენტ ჯეიმსის პარკისკენ,
ის პარლამენტსა და ბიგ ბენს ესაზღვრება. ლიმუზინი შეგიძლია ჰორსგარდპარადზე დააყენო. იქ ვილაპარაკებთ.
ამის თქმაზე კავშირი გაწყდა.
თავი 92
1829 წელს მეფე გეორგ IVის მიერ დაარსებული კინგსკოლეჯის თეოლოგიისა და
რელიგიურ მეცნიერებათა განყოფილება მდებარეობს პარლამენტის მეზობლად, მიწაზე,
რომელიც კოლეჯს დედოფალმა აჩუქა, კინგსკოლეჯის რელიგიის განყოფილება მარტო
სწავლებისა და კვლევის 150წლიანი გამოცდილებით კი არ ამაყობს, არამედ 1982 წელს
დაარსებული სისტემური თეოლოგიის კვლევითი ინსტიტუტით, რომელსაც მსოფლიოში
ერთერთი ყველაზე სრულყოფილი და ელექტრონული სიახლეების მქონე რელიგიური
კვლევის ლაბორატორია აქვს.
ლენგდონს ჯერ კიდევ თავბრუ ეხვეოდა, როდესაც ის და სოფი წვიმიდან პირდაპირ
ბიბლიოთეკაში შევიდნენ. პირველი კვლევითი დარბაზი ისეთივე იყო, როგორც თიბინგმა
აღწერა ეფექტური რვაკუთხა ოთახი, რომლის დიდი ნაწილიც უზარმაზარ მრგვალ
მაგიდას ეკავა. იფიქრებდით, რომ ამ მაგიდის ირგვლივ შესანიშნავად იგრძნობდნენ თავს
მეფე არტური და მისი რაინდები, თორმეტი ბრტყელეკრანიანი კომპიუტერული სისტემა
რომ არ ყოფილიყო დადგმული. ოთახის მოშორებულ კიდეზე ბიბლიოთეკარი სწორედ
ახლა ასხამდა ჩაიდანში წყალს და ეწყობოდა მთელი დღის სამუშაოსთვის.
მშვენიერი დილაა, უთხრა მან ხალისიანი ბრიტანული გამოთქმით, დატოვა თავისი
ჩაი და მათი მიმართულებით წავიდა, რით შემიძლია დაგეხმაროთ?
დიახ, გმადლობთ, უპასუხა ლენგდონმა, მე მქვია...
რობერტ ლენგდონი, მან სისიამოვნოდ გაუღიმა, მე ვიცი, ვინცა ხართ.
უცებ ლენგდონს შეეშინდა, ფაშმა ინგლისის ტელევიზიაშიც ხომ არ გამომაჭენაო,
მაგრამ ბიბლიოთეკარის ღიმილი სხვაზე მეტყველებდა. ლენგდონი ჯერ ვერ მიჩვეულიყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასეთ მოულოდნელ პოპულარობას, და თანაც, თუკი ამქვეყნად ვინმე სახეზე სცნობდა, ეს სწორედ რელიგიის კვლევის საინფორმაციო განყოფილების ბიბლიოთეკარი უნდა ყოფილიყო.

მე პამელა გეტამი ვარ, უთხრა ბიბლიოთეკარმა და ხელი გაუწოდა. მას კეთილი, მრავალმხრივ განათლებული ადამიანის სახე და სასიამოვნო მშვიდი ხმა ჰქონდა. რქისჩარჩოიანი სქელლინზებიანი სათვალე კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული.

სასიამოვნოა, უთხრა ლენგდონმა, ეს ჩემი მეგობარია, სოფი ნევე.

ქალები ერთმანეთს მიესალმნენ და გეტამი მაშინვე ლენგდონს მიუბრუნდა.

არ ვიცოდი, თუ ჩამოდიოდით.

არც ჩვენ ვიცოდით. თუ ძალიან არ შეგაწუხებთ, ჩვენ გამოვიყენებთ თქვენს დახმარებას რაღაც ინფორმაციის მოსაძებნად.

გეტამი უცებ შეიცვალა და სახეზე დაბნეულობა დაეტყო.

საერთოდ, ჩვენთან დახმარებას მხოლოდ შუამდგომლობით და წინასწარი შეთანხმებით იღებენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თქვენ ვინმე კოლეჯელის სტუმარი ხართ.

ლენგდონმა თავი გააქნია.

სამწუხაროდ, ჩვენ გაუფრთხილებლად მოვედით. ჩემი მეგობარი თქვენზე ბევრ კარგ რამეს ამბობს. სერ ლი თიბინგს იცნობთ? ლენგდონმა ამ სახელის ხსენებაზე ღრმა სინანული იგრძნო, ბრიტანეთის სამეფო ისტორიკოსს.

ახლა გეტამს გაუბრწყინდა სახე და სიცილით თქვა:

ღმერთო ჩემო, დიახ. რა ადამიანია! ფანატიკოსი! ყოველთვის, როცა აქ მოდის, ერთსა და იმავეს ეძებს. ბარძიმი, ბარძიმი. ბარძიმი. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ სიკვდილი თუ შეაჩერებს და უარს ათქმევინებს ამ ძიებაზე, მან თვალი ჩაუკრა სტუმრებს,

როდესაც ფული და დრო გაქვს, შეგიძლია თავს ამგვარი ფუფუნებით სიამოვნების ნება მისცე, არა? ის ჩვეულებრივი დონ კიხოტია.

იქნებ როგორმე მაინც დაგვეხმაროთ? ჰკითხა სოფიმ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

გეტამმა თვალი მოავლო ცარიელ ბიბლიოთეკას და შემდეგ ორივეს თვალი ჩაუკრა.

ვერ ვიტყოდი, რომ ახლა ძალიან დაკავებული ვარ, არა? თუ რეგისტრაციას გაივლით, არა მგონია, ვინმეს ეს ეწყინოს. რა გაინტერესებთ?

ჩვენ ვცდილობთ ვიპოვოთ ერთი სამარხი ლონდონში.

გეტამი დაბნეული ჩანდა.

ჩვენ დაახლოებით ოცი ათასი სამარხი გვაქვს. ცოტას ხომ ვერ დააზუსტებდით?

ეს არის რაინდის სამარხი. სახელი არ ვიცით.

რაინდი. ეს საგრძნობლად ავიწროებს ქსელს. ბევრად უფრო იშვიათია.

ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით იმ რაინდის შესახებ, რომელსაც ვეძებთ, უთხრა სოფიმ, მაგრამ აი ესა გვაქვს. მან მიაწოდა ქაღალდი, რომელზეც ლექსის მხოლოდ პირველი ორი ტაეპი ეწერა. ლენგდონმა და სოფიმ თავი შეიკავეს იმისგან, რომ ლექსი მთლიანად ეჩვენებინათ სრულიად უცხო ადამიანისთვის. შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ პირველ ორ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტაეპს აჩვენებდნენ, ეს ის პწკარები იყო, სადაც რაინდი იყო დახასიათებული. სოფიმ ამას ნაკვეთური კრიპტოგრაფია დაარქვა. როდესაც სადაზვერვო სააგენტო ხელში ჩაიგდებდა ხოლმე კოდს საიდუმლო მონაცემებით, ყოველი კრიპტოგრაფი ცალკეულ განყენებულ ნაწილზე მუშაობდა. ამიტომ, როდესაც ისინი კოდს ხსნიდნენ არც ერთ მშიფრავს სრული ინფორმაცია არ ჰქონდა.

ამ შემთხვევაში ეს სიფრთხილე ალბათ ზედმეტი იყო; ბიბლიოთეკარს რომ ენახა კიდეც მთელი ლექსი, გამოეცნო რაინდის სამარხი და სცოდნოდა, რომელი სფერო იყო დაკარგული, მთელი ეს ინფორმაცია კრიპტექსის გარეშე სრულიად უსარგებლო იყო.

გეტამმა ამ განთქმული ამერიკელი მეცნიერის თვალებში დაინახა რამდენად სასწრაფო და საჭირო იყო მისთვის ეს ინფორმაცია. ამ სამარხისსწრაფად მოძებნას კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი თანხმლები მწვანეთვალება ქალიც აღელვებული

ჩანდა.

საგონებელში ჩავარდნილმა გეტამმა სათვალე გაიკეთა და ყურადღებით დაათვალიერა ფურცელი, რომელიც გადასცეს.

ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს.

თავზე დაატყდა პონტიფიკის რისხვა ძლიერი.

მან შეხედა სტუმრებს.

ეს რა არის? რაღაც ჰარვარდული ნაგვის ქექვაა?

ჰო, რაღაც ამის მაგვარი. ნაძალადევად გაიცინა ლენგდონმა.

გეტამი შეყოვნდა. მან იგრძნო, რომ ამბის მხოლოდ ნაწილს ეუბნებოდნენ. მიუხედავად ამისა, დაინტერესდა და დაიწყო ამ ლექსზე სერიოზულად ფიქრი.

ლექსის მიხედვით რაინდმა გააკეთა ისეთი რაღაც, რითაც ღმერთის რისხვა გამოიწვია, მაგრამ პაპი იმდენად კეთილი იყო, რომ ის რაინდი ლონდონში დაკრძალა.

ლენგდონმა თავი დაუქნია.

რამეს გაგონებთ?

გეტამი ერთერთ კომპიუტერს მიუახლოვდა.

პირდაპირ არაფერს. მაგრამ მოდით, ვნახოთ, რა შეიძლება მოგვცეს საინფორმაციო ბაზამ.

გასული ორი ათასწლეულის მანძილზე კინგკოლეჯის სისტემური თეოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი იყენებდა ასოთა ამომცნობ ოპტიკურ პროგრამას და პარალელურად

ლინგვისტურ სათარგმნ დანადგარებს, რომლებსაც ციფრულ ფორმაში გადაჰყავდათ და კატალოგში შეჰქონდათ ტექსტების უზარმაზარი კოლექცია რელიგიის ენციკლოპედიები,

რელიგიური მოღვაწეების ბიოგრაფიები, საიდუმლო ხელნაწერები მრავალ ენაზე, ისტორიები, ვატიკანის წერილები, სამღვდელო პირთა დღიურები, ნებისმიერი ის დოკუმენტი, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ თხზულება ადამიანის სულიერების შესახებ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელექტრონულად ჩაწერილი მეგაბაიტები ხომ გაცილებით უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე
ქაღალდზე ან ეტრატზე ჩაწერილი ინფორმაცია.
გეტამი შევიდა ერთერთ კომპიუტერში, შეხედა ქაღალდის ნაგლეჯს და ბეჭდვა
დაიწყო.
დასაწყისისთვის ჩვენ შევალთ საძიებელ სისტემაში და იქ რამდენიმე საკვანძო
სიტყვას შევიყვანთ.
გმადლობთ.
გეტამმა ჩაბეჭდა რამდენიმე სიტყვა:
ლონდონი, რაინდი, პაპი
მან "ძებნის" ღილაკს დააჭირა თითი. გაისმა მასიური კომპიუტერის ჩუმი ზუზუნი,
რომელიც ქვედა სართულზე მონაცემთა ბაზაში წამში 500 მეგაბაიტის სიჩქარით ეძებდა
საჭირო ინფორმაციას.
მე ვთხოვე სისტემას, გვიჩვენოს ყველა ის დოკუმენტი, რომლის სრული ტექსტიც
შეიცავს სამივე სიტყვას. ძალიან დიდ ინფორმაციას მივიღებთ, მაგრამ ეს მხოლოდ
დასაწყისია.
პაპის პორტრეტები. სერ ჯოშუა რეინოლდსის კოლექცია,
ლონდონის საუნივერსიტეტო გამომცემლობა.
ეს აშკარად არ არის ის, რასაც თქვენ ეძებთ. გეტამმა შემდეგ სათაურზე
გადაინაცვლა.
ალექსანდრ პოუპის ლონდონური შემოქმედება,
უილსონ ნაიტი.
მან ისევ გააქნია თავი.
როდესაც სისტემა სრულად ჩაიტვირთა, სათაურები უფრო სწრაფად წამოვიდა.
უამრავი ტექსტი გამოჩნდა, ბევრი მათგანი მიანიშნებდა მე18 საუკუნის ბრიტანელ მწერალ
ალექსანდრ პოუპზე. მისი ანტირელიგიური, დამცინავი ეპიკური პოეზია აშკარად შეიცავდა
უამრავ მინიშნებას რაინდებსა და ლონდონზე.
გეტამმა სწრაფად შეხედა ციფრებს ეკრანის ბოლოში. კომპიუტერი ინფორმაციის
მოცემისას, დარჩენილის მიახლოებით პროცენტულ წილსაც აჩვენებდა, რომ
მომხმარებელს წარმოდგენა შექმნოდა ინფრომაციის საერთო ოდენობაზე. ის, რასაც
ამჯერად ეძებდნენ, სავარაუდოდ, მონაცემთა პრაქტიკულად უსაზღვრო ველს
წარმოადგენდა.
სათაურების საერთო რაოდენობა 2, 692.
საჭიროა პარამეტრების დაზუსტება, თქვა გეტამმა და ძებნა შეაჩერა. ეს არის
სრული ინფორმაცია სამარხის შესახემ? არ არის რამე დამატებით, რომ დაგვეხმაროს?
ლენგდონმა სოფის გადახედა,ა რ იყო დარწმუნებული.
ეს არ არის ნაგვის ქექვა, იგრძნო გეტამმა. მას გაგონილი ჰქონდა რობერტ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონის გამოცდილების შესახებ რომში გასულ წელს. ამ ამერიკელს ნება დართეს, შესულიყო ამქვეყნად ყველაზე დაცულ ბიბლიოთეკაში ვატიკანის საიდუმლო არქივში. მას
აინტერესებდა, რისი გაგება შეეძლო იქ ლენგდონს და ახლანდელი სასოწარკვეთილი ძებნა იდუმალი ლონდონური სამარხისა იყო თუ არა დაკავშირებული მის მიერ ვატიკანში
მოპოვებულ ინფორმაციასთან. გეტამი უკვე დიდი ხანია ბიბლიოთეკარად მუშაობდა და მშვენივრად იცოდა, რომ უმრავლესობა ლონდონში ჩამოდის და რაინდებს ეძებს ერთი კონკრეტული მიზნით. ეს არის გრაალის თასი.
გეტამმა გაიღიმა და სათვალე გაისწორა.
თქვენ ლი თიბინგის მეგობრები ხართ, თქვენ ინგლისში ხართ, და თქვენ ეძებთ რაინდს, მან ხელები გულზე დაიკრიფა, მე მხოლოდ ერთი რამე შემიძლია დავასკვნა, თქვენ ბარძიმს ეძებთ.
ლენგდონმა და სოფიმ შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს. გეტამმა გაიცინა.
მეგობრებო, ეს ბიბლიოთეკა მთავარი პუნქტია ბარძიმის მაძიებლებისათვის. მათ შორის არის ლი თიბინგიც. ნეტა, თითო შილინგი ამეღო ყოველთვის, როდესაც მთხოვდნენ
მომეძებნა ვარდი, მარიამ მაგდალინელი, სანგრილი, მეროვინგები, სიონის საძმო, და ა.შ. და ა.შ. ყველას კონსპირაცია უყვარს.
მან მოიხსნა სათვალე და მათ გადახედა
მეტი ინფორმაცია მჭირდება.
სიჩუმეში გეტამი მიხვდა, რომ მისი სტუმრების სურვილი, სწრაფად მიეღოთ შედეგი, სიფრთხილის გრძნობაზე ბევრად უფრო ძლიერი იყო.
აი, ინებეთ, წარმოთქვა სოფიმ, სულ ეს არის, რაც ვიცით, მან ლენგდონს კალმისტარი გამოართვა, და დაწერა დარჩენილი ორი სტრიქონი. შემდეგ კი გეტამს მიაწოდა.
თუ საფლავიდან მოხსნილ სფეროს შენ მიაკვლიე,
ვარდიდა საშო გაისხნება ნაყოფიერი.
იგი ვარდისფერ ხორცსა და ნაყოფიერ საშვილოსნოზე ლაპარაკობს, გეტამს გულში გაეცინა. ეს მართლაც ბარძიმია, გაიფიქრა მან, როცა შეამჩნია მინიშნება ვარდსა და მის ნაყოფიერ საშვილოსნოზე. მე შემიძლია დაგეხმაროთ, თქვა მან, და ამოხედა მათ, შეიძლება გკითხოთ, საიდან მოვიდა ეს ლექსი? და რატომ ეძებთ სფეროს?
შეგიძლიათ გვკითხოთ, თქვა ლენგდონმა მეგობრული ღიმილით, მაგრამ ეს გრძელი ამბავია, ჩვენ კი დრო ძალიან ცოტა გვაქვს.
ეს ზრდილობიანი ფორმაა იმის სათქმელად, რომ ჩემი საქმე არ არის.
ჩვენ მუდმივად თქვენი მოვალეები ვიქნებით, პამელა, თქვა ლენგდონმა, თუ შეძლებთ იმის გაგებას, ვინ არის ეს რაინდი და სად არის დაკრძალული.
ძალიან კარგი, თქვა გეტამმა და ისევ დაიწყო ბეჭდვა. მოდით, ისევ ვითამაშებ. თუ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ბარძიმთან არის დაკავშირებული, შეგვიძლია ჯვარედინი მინიშნებებით ვიმოქმედოთ. მე
დავუმატებ უფრო ზუსტ პარამეტრებს და სათაურსაც მოვაშორებ. ამით ჩვენს სიაში
მხოლოდ ის ტექსტი გამოჩნდება, რომელიც ახლო არის ბარძიმთან დაკავშირებულ
სიტყვასთან.
მოძებნე:
რაინდი, ლონდონი, პაპი, სამარხი
100 სიტყვაში მოძებნე:
ბარძიმი, ვარდი, სანგრილი, თასი
 რამდენი დრო დასჭირდება ამას? იკითხა სოფიმ.
 რამდენიმე ასეული ტერაბაიტი მრავალი ჯვარედინი მინიშნებით? გეტამს თვალები
უბრწყინავდა, როდესაც მან ძებნის ღილაკს დააჭირა თითი. ლენგდონს და სოფის
არაფერი უთქვამთ, მაგრამ გეტამი მიხვდა, რომ ეს მათთვის
უსასრულობა იყო.
 ჩაის ხომ არ ინებებთ? იკითხა გეტამმა. იგი ადგა და ჩაიდანთან მივიდა. ჩაი მას
მანამდე ჰქონდა დაყენებული, ლის ყოველთვის უყვარდა ჩემი მომზადებული ჩაი.
თავი 93
ოპუს დეის ლონდონური ცენტრი აგურის მოკრძალებული შენობაა ორმ კორტის 5
ნომერში. ის კენსინგტონის ბაღებს ჩრდილოეთის ხეივანს გადაჰყურებს. სილასი აქ
არასოდეს ყოფილა, მაგრამ შენობასთან მიახლოებისას თანდათან სიმშვიდისა და
უსაფრთხოების შეგრძნება ეუფლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა, რემიმ
იგიმოშორებით ჩამოსვა, რომ ლიმუზინი მთავარ ქუჩებზე არ ეტარებინა. სილასი სულაც არ
იყო ფეხით სიარულის წინააღმდეგი. წვიმა ცოდვებს ჩამოურეცხდა.
რემის რჩევით, სილასმა იარაღი გაწმინდა და შემდეგ კანალიზაციის კოლექტორში
ჩააგდო. იგი კმაყოფილი იყო, რომ თავიდან მოიშორა ეს ტვირთი. ახლა თავს უფრო
მსუბუქად გრძნობდა. ფეხები ჯერ კიდევ სტკიოდა, იმდენ ხანს რომ იყო გაკოჭილი, მაგრამ
სილასისათვის ხომ უფრო დიდი ტკივილიც არ იყო უცხო. ამ დროს გაახსენდა თიბინგი,
რომელიც რემიმ ლიმუზინის საბარგულში მიატოვა. ამ დროისათვის ბრიტანელი უკვე უნდა
გრძნობდეს ტკივილს.
 იმას რას უზამ? ჰკითხა სილასმა რემის, სანამ მანქანიდან ჩამოვიდოდა.
რემიმ მხრები აიჩეჩა.
 მოძღვარი გადაწყვეტს, მის ტონში განაჩენი იგრძნობოდა.
სილასი ოპუს დეის შენობას მიუახლოვდა. წვიმა უკვე გაძლიერებულიყო, მძიმე სამოსს
უსველებდა და წინა დღეს მიღებულ ჭრილობებზე ჰკბენდა. სილასი მზად არის ბოლო
ოცდაოთხი საათის მანძილზე ჩადენილი ცოდვების მოსანანიებლად და სულის
განსაწმენდად. სამუშაო შესრულებული იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სილასმა გადაკვეთა პატარა შიდა ეზო და არ გაჰკვირვებია, როდესაც კარი ღია დახვდა. სილასმა პაწაწინა ჰოლში შეაბიჯა. ზედა სართულზე ელექტროზარის ყრუ ხმა გაისმა, როგორც კი სილასმა ხალიჩაზე დადგა ფეხი. ამ შენობებში ზარი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან მობინადრეები დღის უმეტეს ნაწილს ლოცვაში ატარებდნენ. სილასმა გაიგონა ვიღაცის ფეხის ხმა ჭრიალა ხის იატაკზე.
ზედა სართულიდან მოსასხამიანი მამაკაცი ჩამოდიოდა.
 რით შემიძლია დაგეხმაროთ? მას კეთილი თვალები ჰქონდა და თითქოს ვერც კი შეამჩნია სილასის გასაოცარი გარეგნობა.
 გმადლობთ. მე სილასი მქვია. ოპუს დეის რიგითი წევრი ვარ.
 ამერიკელი ხართ?
სილასმა თავი დაუქნია.
 მე მხოლოდ ერთი დღე ვიქნები ქალაქში. შეიძლება აქ შევისვენო?
 კითხვაც არ არის საჭირო. მესამე სართულზე ორი თავისუფალი ოთახია. მოგიტანოთ ჩაი და პური?
 გმადლობთ, მართლაც მშიერი ვარ.
სილასი მოკრძალებულ ფანჯრიან ოთახში ავიდა, სადაც სველი სამოსი გაიხადა და საცვლების ამარამ სალოცავად დაიჩოქა. ცოტა ხანში გაიგონა, როგორ მოვიდა მასპინძელი კიბეზე და კარის წინ დადო ლანგარი. სილასმა ილოცა, ივახშმა და დასაძინებლად დაწვა.
სამი სართულით ქვევით ტელეფონი რეკავდა. ოპუს დეის წევრმა, რომელიც სილასს დახვდა, ყურმილი აიღო.
 ლონდონის პოლიცია, გაისმა ყურმილში. ვეძებთ ალბინოს ბერს. მივიღეთ ინფორმაცია, რომ ის შეიძლება თქვენთან იყოს. ხომ არ გინახავთ?
ბერი შეშინდა.
 დიახ, აქ არის. მოხდა რამე?
 ის ახლა მანდ არის?
 დიახ, ზედა სართულზეა და ლოცულობს. რა ხდება?
 იყოს იქ, სადაც არის, უბრძანა პოლიციელმა, არავისთან სიტყვა არ წამოგცდეთ. მე ახლავე ვგზავნი თქვენთან პოლიციელებს.
თავი 94
სენტ ჯეიმსის პარკი ლონდონის ცენტრში გაშლილი სიმწვანის ზღვაა. იგი ვესტმინსტერის, ბაკინგემის და სენტ ჯეიმსის სასახლეებს ესაზღვრება. ოდესღაც ეს ადგილი მეფე ჰენრი მერვემ შემოღობა და აქ სანადიროდ ირმებს აშენებდნენ. ახლა სენტ ჯეიმსის პარკი ყველასათვის ღიაა. მზიან ამინდში, შუადღისას, ლონდონელები აქ საუზმობენ ტირიფების ქვეშ და ტბაში მცხოვრებ ვარხვებს კვებავენ, რომელთა წინაპრებიც
რუსეთის ელჩმა მიართვა საჩუქრად ჩარლზ მეორეს.
მოძღვარს დღეს ვარხვები არ უნახავს. წვიმიანმა ამინდმა მათ მაგივრად ოკეანიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თოლიები მოიყვანა. ისინი გაზონებს იყვნენ შეფენილნი ასობით თეთრი ფრინველი ერთი
მიმართულებით იყურებოდა და მოთმინებით ელოდა ნესტიანი ქარის ჩადგომას. დილის ნისლის მიუხედავად, პარკიდან პარლამენტისა და ბიგ ბენის შესანიშნავი ხედი იშლებოდა.
მოძღვარი დაქანებულ გაზონებს მიღმა, იხვების ტბის და მტირალა ტირიფების ნაზი სილუეტების იქით გასცქეროდა და ხედავდა იმ შენობის წვეტიან კოშკურებს, სადაც რაინდის სამარხი იყო. სწორედ ამიტომ მოიყვანა რემი ამ ადგილას.
როგორც კი მოძღვარი გაჩერებული ლიმუზინის წინა სარკმელს მიუახლოვდა, რემი წინ გადმოიხარა და კარი გაუღო. მოძღვარი ერთხანს შეყოვნდა და მათარიდან კონიაკი მოსვა. შემდეგ ტუჩები მოიწმინდა, შესრიალდა რემის გვერდით მანქანაში და კარი მიიხურა.
რემიმ ქვაკუთხედი ნადავლივით ასწია.
 კინაღამ დავკარგეთ.
 შენ კარგად გააკეთე ყველაფერი, თქვა მოძღვარმა.
 ჩვენ კარგად გავაკეთეთ ყველაფერი, უპასუხა რემიმ, და ქვაკუთხედი მოძღვარს მოწადინებულ ხელებში ჩაუდო.
მოძღვარი კარგა ხანს სიყვარულით უყურებდა ნივთს და იღიმებოდა.
 იარაღი? გაასუფთავე და შეინახე?
 უკანვე ჩავდე ხელთათმანის ყუთში, სადაც ვიპოვე.
 შესანიშნავია, მოძღვარმა ისევ მოსვა კონიაკი და მათარა რემის გადასცა.
 მოდი ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო დავლიოთ. დასასრული ახლოს არის.
რემიმ მადლიერებით ჩამოართვა მათარა. კონიაკს მარილის გემო დაჰკრავდა, მაგრამ რემისთვის ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ის და მოძღვარი ახლა ნამდვილი პარტნიორები იყვნენ. რემი გრძნობდა, რომ ამის გამო ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდა. მსახური აღარასოდეს აღარ ვიქნები. რემი უყურებდა სანაპიროს ქვევით იხვებიან ტბას. შატო ვილე ცხრა მთას იქით იყო დარჩენილი.
რემიმ კიდევ ერთხელ მოსვა მათარიდან და იგრძნო, როგორ გაუთბო კონიაკმა სისხლი. თუმცა ეს სითბო ყელში სწრაფად გარდაიქმნა უსიამოვნო მხურვალებად. რემიმ შეიმსუბუქა ჰალსტუხიპეპელა, პირში ქვიშის საზიზღარი გემო იგრძნო და მათარა მოძღვარს უკან გაუწოდა. მგონი, საკმარისია, სუსტად ამოღერღა მან.
მოძღვარმა მათარა ჩამოართვა და თქვა:
 რემი, შენ იცი, რომ ერთადერთი ხარ, ვინც სახით მიცნობს. ეს უზარმაზარი ნდობაა.
 დიახ, თქვა რემიმ, მას აციებდა, ჰალსტუხი კიდევ უფრო შეიხსნა. ეს საიდუმლო ჩემთან ერთად ჩავა სამარეში.
მოძრვარი დიდხანს იყო ჩუმად.
 მე მჯერა შენი, მან მათარა და ქვაკუთხედი ჯიბეში ჩაიდო, გახსნა ხელთათმანების ყუთი და იქიდან პაწაწინა რევოლვერი ამოაძვრინა. ერთი წამით რემის შეეშინდა, მაგრამ მოძღვარმა რევოლვერი უბრალოდ შარვლის ჯიბეში ჩაიცურა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რას შვება? უეცრად რემიმ იგრძნო, რომ ოფლმა დაასხა.
ვიცი, თავისუფლებას შეგპირდი, თქვა მოძრვარმა, მას ხმაში სინანული ეტყობოდა, მაგრამ, თუ შენს მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ეს არის საუკეთესო, რაც შენთვის შემიძლია გავაკეთო.
რემის ყელში რაღაც გაუსივდა და ფეთქვა დაიწყო. ის საჭისკენ გადაქანდა, ყელში ხელი წაივლო და შევიწროებულ ტრაქეაში ნარწყევის გემო იგრძნო. დახშული ყიყინისმაგვარი ხმით სცადა დაყვირება, მაგრამ ეს ყვირილი ისე ჩუმი გამოდგა, რომ გარეთ ვერავინ გაიგონებდა. ახლა კი გასაგები იყო, რატომ ჰქონდა კონიაკს მარილის გემო.
მკლავენ! ძნელი იყო დაჯერება. რემი მოძღვრისკენ მიბრუნდა და დაინახა, რომ იგი მშვიდად ეჯდა გვერდით და პირდაპირ იყურებოდა, საქარე მინის მიღმა. რემის მხედველობა დაებინდა, ამოსუნთქვას ცდილობდა, მე მას ყველაფერი შევაძლებინე! ამას როგორ უნდა მიკეთებდეს! ვერაფრით გაეგო, მოძღვარს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა მისი მოკვლა, თუ ტემპლის ეკლესიაში დაკარგა მისდამი ნდობა. ახლა მხოლოდ შიში და სიბრაზე ავსებდა. რემიმ სცადა მისწვომოდა მოძღვარს, მაგრამ ვერც კი გაანძრია გაქვავებული სხეული. მე შენ ყველაფერში გენდე!
რემიმ შეკრული მუშტების აწევა და კლაქსონის ახმიანება სცადა, მაგრამ ამის ნაცვლად გვერდზე ჩაცურდა, დატრიალდა და სკამზე გაწვა მოძღვრის გვერდით, თან საკუთარ ყელს
ჩაებღაუჭა. ახლა უფრო ძლიერად წვიმდა. რემის ამის დანახვა აღარ შეეძლო, მაგრამ გრძნობდა, როგორ დაეძაბა ჟანგბადისგან დაცლილი ტვინი, რომ საღი აზრის უკანასკნელ ნაგლეჯს მოსჭიდებოდა. როდესაც მისი სამყარო ნელნელა გაშავდა, რემი ლეგალუდეკს შეეძლო დაეფიცა, რომ რივიერის ზვირთცემის ნაზი ბგერა ესმოდა.
მოძღვარმა ლიმუზინიდან გადმოაბიჯა. კმაყოფილი იყო, რომ მისკენ არავინ იყურებოდა. სხვა არჩევანი არ მქონდა, ირწმუნებდათავს. უკვირდა, რა ცოტათი გრძნობდა
სინანულს. რემიმ ჯვარი დაუსვა თავის ბედს. მთელი ამ დროის მანძილზე მოძღვარი შიშით
ვარაუდობდა, რომ ოპერაციის დასრულების შემდეგ რემის თავიდან მოცილება დასჭირდებოდა, მაგრამ ტემპლის ეკლესიაში მისმა უტიფარმა თავის გამოჩენამ ამის საჭიროება ძალიან დააჩქარა. შატო ვილეში რობერტ ლენგდონის მოულოდნელმა ვიზიტმა მოძღვარს მოულოდნელი ბედნიერებაც მოუტანა და, ამავე დროს, დილემის წინაშეც დააყენა. ლენგდონმა ქვაკუთხედი ოპერაციის ეპიცენტრში მიიტანა, ეს სასიამოვნო
სიურპრიზი იყო. და ამავე დროს მას კუდში პოლიცია მოჰყვა. რემის ანაბეჭდები შატო ვილეში ყველგან იყო, ასევე ფარდულის სათვალთვალო პუნქტზეც, სადაც რემი მორიგეობდა ხოლმე. მოძღვარი კმაყოფილი იყო, რომ მისი დიდი ძალისხმევით არავითარი კავშირი არ არსებობდა რემის საქმიანობასა და მის მოქმედებებს შორის. ვერავინ ვერაფერს დაასკვნიდა, რემი თუ არ იტყოდა. ეს კი უკვე აღარ იყო პრობლემა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიდევ ერთი კუდია გასასკვნელი, გაიფიქრა მოძღვარმა. ეს ახლა ლიზუმინის უკანა კარისკენ მიდიოდა. პოლიცია აზრზე ვერ მოვა, რა მოხდა... და ცოცხალი მოწმეც აღარ დარჩება, რომ რამე უთხრას. მან მიმოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ არავინ უთვალთვალებდა. ამის შემდეგ კარი გამოაღო და მანქანის ფართო უკანა განყოფილებაში შეძვრა.

რამდენიმე წამის შემდეგ მოძღვარი სენტ ჯეიმსის პარკს კვეთდა. ახლა მხოლოდ ორიღა დარჩა. ლენგდონი და სოფი. მათთან უფრო რთულად იყო საქმე. მაგრამ ამასაც მოევლებოდა. ამჯერად კრიპტექსისთვის უნდა მიეხედა.

იგი გამარჯვებული მზერით გადასცქეროდა პარკს. იგი თავის მიზანს ხედავდა. ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს. როგორც კი მოძღვარმა ეს ლექსი გაიგონა, პასუხი მაშინვე იცოდა. სხვებმა რომ ვერ გამოიცნეს პასუხი, სულაც არ იყო გასაკვირი. მე უპირატესობა მაქვს, თუმცა კი მთლად პატიოსნად არ მომიპოვებია. იგი ხომ თვეების მანძილზე აყურადებდა სონიერის საუბრებს. მოძღვარმა გაიგონა, როგორი პატივისცემით მოიხსენია დიდმა მაგისტრმა ეს ცნობილი რაინდი. ისეთით, როგორითაც იგი ლეონარდო და ვინჩის ახსენებდა ხოლმე. ლექსის მინიშნება რაინდზე ძალზე ადვილი მისახვედრი იყო,

თუმცა, უნდა ეღიარებინა, რომ სონიერი მართლაც ძალიან გამჭრიახი გონების პატრონი იყო. და მაინც, როგორ უნდა გამოევლინებინა ამ სამარხს პაროლი, საიდუმლოდ რჩებოდა.

თუ საფლავიდან მოხსნილ სფეროს შენ მიაკვლიე

მოძღვარს ბუნდოვნად ახსოვდა ცნობილი სამარხის ფოტოები, კერძოდ, მისი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი. დიდებული სფერო. უზარმაზარი სფერო იყო აღმართული სამარხის თავზე, თითქოს ისეთივე ფართო, როგორც თვითონ სამარხი. ის, რომ სფერო იყო ამ სამარხზე, მოძღვარს კიდეც ამხნევებდა და კიდეც აშფოთებდა. ერთი მხრივ, ის თითქოს გზის მაჩვენებელი ნიშანი იყო, და ამავე, დროს, ლექსის მიხედვით, გამოცანის უცნობი ნაწილიც... მას იმედი ჰქონდა, რომ სამარხის უფრო ახლოს დათვალიერებით გამოავლენდა პასუხს.

წვიმა კიდევ უფრო გაძლიერდა. მან კრიპტექსი ღრმად ჩაიდო მარჯვენა ჯიბეში, რომ სისველისგან დაეცვა. რევოლვერი მარცხენა ჯიბეში ჰქონდა. იგი არ ჩანდა. სულ რამდენიმე წამში იგი უკვე შედიოდა ლონდონის ყველაზე დიდებულ ცხრაასწლიან შენობაში.

სწორედ იმ დროს, როდესაც მოძღვარი წვიმიდან შენობაში შედიოდა, ეპისკოპოსი არინგაროსა წვიმაში გამოდიოდა. სველ ასფალტზე ბიგინ ჰილის სამთავრობო აეროპორტში არინგაროსა პატარა თვითმფრინავიდან გადმოდიოდა და სიცივისგან თავის დასაცავად უფრო ღრმად მოიბუზა თავის მოსასხამში. იმედი ჰქონდა, რომ კაპიტანი ფაში დახვდებოდა. ფაშის ნაცვლად ახალგაზრდა ბრიტანელი პოლიციის თანამშრომელი მიუახლოვდა ქოლგით ხელში.

ეპისკოპოსი არინგაროსა ბრძანდებით? კაპიტანი ფაში იძულებული გახდა წასულიყო, მთხოვა, თქვენთვის მომეხედა. სკოტლენდ იარდში უნდა გაგიძღვეთ. კაპიტანმა ჩათვალა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილი იქნება.
ყველაზე უსაფრთხო? არინგაროსამ დახედა მძიმე კეისს, რომელიც ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული. ეს სულ გადაავიწყდა.
 დიახ, გმადლობთ.
არინგაროსა შეძვრა პოლიციის მანქანაში, თან ფიქრობდა, სად შეიძლება ყოფილიყო სილასი. რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციის რადიომ დაიტკაცუნა პასუხად.
ორმ კორტი, ნომერი 5
არინგაროსამ მაშინვე იცნო მისამართი.
ოპუს დეის ცენტრი ლონდონში.
იგი მძღოლს მიუტრიალდა.
 სასწრაფოდ იქ წამიყვანეთ!
თავი 95
ლენგდონს კომპიუტერის ეკრანისთვის თვალი არ მოუცილებია მას მერე, რაც ძებნა დაიწყეს.
ხუთი წუთი გავიდა. მხოლოდ ორი სათაური. ორივე სხვა სფეროდან იყო. იგი უკვე ღელავდა.
პამელა გეტამი მეზობელ ოთახში იყო და ცხელ სასმელს ამზადებდა. ლენგდონმა და სოფიმ წინდაუხედავად იკითხეს, შემოთავაზებულ ჩაისთან ერთად ყავის მოდუღება ხომ არ
შეიძლებაო. და ახლა, მიკროტალღოვანი ღუმელის სიგნალებით შეატყვეს, რომ, მათი თხოვნა, როგორც ჩანს, ხსნადი ნესკაფეთი დაკმაყოფილდებოდა.
ბოლოს და ბოლოს, კომპიუტერმა ბედნიერად დაიზუზუნა.
 ხმის მიხედვით, კიდევ ერთი მასალა მოვიდა, დაიძახა გეტამმა მეორე ოთახიდან, რა არის სათაური?
ლენგდონმა ეკრანს შეხედა.
ბარძიმის ალეგორიები შუა საუკუნეების ლიტერატურაში:
ტრაქტატი სერ გავაინისა და მწვანე რაინდის შესახებ.
 მწვანე რაინდის ალეგორია, უპასუხა ლენგდონმა.
 არ ვარგა, თქვა გეტამმა, ლონდონში ბევრი მითოლოგიური მწვანე რაინდი არ არის დაკრძალული.
ლენგდონი და სოფი მოთმინებით ისხდნენ ეკრანის წინ. მათ კიდევ ორი ბუნდოვანი პასუხი მიიღეს. კომპიუტერმა კიდევ ერთხელ დაიზუზუნა, მაგრამ ის, რაც ეკრანზე გამოჩნდა მოულოდნელი იყო.
Die Opern von Richard Wagner
(რიხარდ ვაგნერის ოპერები)
 ვაგნერის ოპერები? იკითხა სოფიმ.
გეტამმა თავი შემოყო, ხელში ხსნადი ყავის პაკეტი ეჭირა, ეს უცნაური დაკავშირებაა. იყო ვაგნერი რაინდი?
 არა, უპასუხა ლენგდონმა და უცებ იგრძნო, რომ დაინტერესდა, მაგრამ იგი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცნობილი ფრანკმასონი იყო. ისევე, როგორც მოცარტი, ბეთჰოვენი, შექსპირი, გერშვინი, ჰუდინი და დისნეი. უამრავი ტომია დაწერილი მასონებსა და რაინდ ტამპლიერებს, სიონის
საძმოს, წმინდა ბარძიმს შორის არსებული კავშირების შესახებ. ამის ნახვა მინდა. როგორ ვნახო სრული ტექსტი?
თქვენ სრული ტექსტი არ გჭირდებათ გამოსძახა გეტამმა, ჰიპერტექსტის სათაურზე დააწკაპუნეთ, კომპიუტერი თქვენს საკვანძო სიტყვებს მინიშნებების წინ მდებარე ერთი და
მომდევნო სამი სიტყვის კონტექსტში წარმოგიდგენთ.
ლენგდონს წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ამბობდა ბიბლიოთეკარი, მაგრამ მაინც გააკეთა, რაც უთხრეს.
ახალი ფანჯარა გაიხსნა.
... მითოლოგიური რაინდი, სახელად პარციფალი, რომელიც...
...მეტაფორული ბარძიმის ძიება რომელიც საკამათოა...
...ცნობილი ლონდონის ფილარმონია 1855 წელს...
...რებეკა პაპის ოპერა ანთოლოგია შეიცავს "დივას...
...ვაგნერის საფლავი ბაიროიტში, გერმანია...
ის პაპი არ არის, ჩვენ რომ გვჭირდება, თქვა იმედგაცრუებულმა ლენგდონმა, თუმცა იგი გაოცებული იყო სისტემის გამოყენების სიმარტივით. საკვანძო სიტყვების კონტექსტი საკმარისი აღმოჩნდა იმის გასახსნელად, რომ ვაგნერის ოპერა პარციფალი მარიამ მაგდალინელისა და იესო ქრისტეს შთამომავლობის პატივსაცემად შექმნილი ნაწარმოებია. მასში ჭეშმარიტების მაძიებელი ახალგაზრდა რაინდის ამბავია მოთხრობილი.
მოთმინება იქონიეთ, ურჩია გეტამმა, ეს ციფრების თამაშია, აცალეთ მანქანას მუშაობა.
შემდეგი რამდენიმე წუთის მანძილზე კომპიუტერმა წარმოადგინა გრაალის კონტექსტთან დაკავშირებული რამდენიმე მიმართულება, მათ შორის იყო ტექსტი ტრუბადურების შესახებ. ესენი იყვნენ საფრანგეთის ცნობილი მოხეტიალე მენესტრელები.
ლენგდონმა იცოდა, რომ სიტყვებს minstrel და minister საერთო ეტიმოლოგიური ძირი აქვთ. ტრუბადურები იყვნენ მარიამ მაგდალინელის ეკლესიის მოხეტიალე მსახურები, ანუ
"ministers". ისინი მუსიკის საშუალებით ავრცელებდნენ ხალხში საკრალური ქალურობის ისტორიას, ტრუბადურები დღემდე მღერიან სიმღერებს, რომლებშიც ხოტბას ასხამენ "ჩვენი ქალბატონის" იდუმალი და მშვენიერი არსების ღირსებებს, ვისაც მათ სამუდამო სამსახური შეჰფიცეს.
მან ინტერესით შეამოწმა ჰიპერტექსტი, მაგრამ იქ არაფერი იყო.
კომპიუტერმა ისევ დაიზუზუნა.
რაინდები, ვალეტები, პაპები, და მაგიური ფიგურები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წმინდა ბარძიმის ისტორია ტაროს კარტის მიხედვით
 არაა გასაკვირი, უთხრა ლენგდონმა სოფის, ზოგიერთი ჩვენი საკვანძო სიტყვა იგივეა, რაც ცალკეული კარტის სახელი, მან ხელი გაიწოდა თაგვისკენ, რომ ჰიპერკავშირზე დაეწკაპუნებინა. სოფი, ეს ალბათ ბაბუას არასდროს უხსენებია, როდესაც ტაროს გეთამაშებოდა. სინამდვილეში ეს თამაში არის "ფლეშკარტის კატეხიზმო" დაკარგული პატარძლის ისტორია და ეკლესიის მიერ მისი დათრგუნვა.
სოფიმ უნდობლად შეხედა.
 წარმოდგენა არ მქონდა.
 საქმეც ესაა. მეტაფორული თამაშის სწავლებით გრალის მიმდევრები თავიანთ ცოდნას ეკლესიის ფხიზელ თვალს უმალავდნენ. ლენგდონი ხშირად ფიქრობდა, ბანქოს რამდენი მოთამაშე იმის აინუნშიც არ იყო, რომ ქაღალდის ოთხი რიგი ყვავი, გული, აგური და ჯვარი გრაალთანაა დაკავშირებული. ეს სიმბოლოები პირდაპირ კავშირშია ტაროს ოთხ რიგთან, რომელთაც ხმალი, თასი, კვერთხი და ხუთქიმიანი ვარსკვლავი შეადგენს.
ყვავი ხმალია ბასრი პირი. მამრი.
გული თასი მდედრი.
ჯვარი კვერთხი, ანუ სამეფო გენეალოგია. აყვავებული კვერთხი (ძალაუფლების სიმბოლო).
აგური ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ქალღმერთი. საკრალური ქალურობა.
ოთხი წუთის შემდეგ, როცა ლენგდონს უკვე შეეშინდა, რომ იმას ვერ იპოვიდნენ, რისთვისაც მოვიდნენ კომპიუტერმა კიდევ ერთი სათაური ამოაგდო:
გენიოსის მიზიდულობა:
თანამედროვერაინდის ბიოგრაფია.
 გენიოსის მიზიდულობა? გასძახა ლენგდონმა გეტამს. თანამედროვე რაინდის ბიოგრაფია?
გეტამმა თავი გამოყო კუთხიდან:
 რამდენად თანამედროვე? არ მითხრათ, გეთაყვა, რომ ეს თქვენი სერ რუდი ჯულიანია. მე პირადად მიმაჩნია, რომ რაინდობამდე მას ბევრი უკლია. ლენგდონს კი თავისი მოსაზრებები ჰქონდა სერ მიკ ჯაგერის რაინდის ხარისხში
აყვანასთან დაკავშირებით, მაგრამ თანამედროვე ბრიტანული რაინდობის მინიჭების პოლიტიკის შესახებ კამათის დრო არ იყო.
 მოდი ვნახოთ, ლენგდონმა გამოიძახა ჰიპერტექსტის საკვანძო სიტყვები.
...პატივცემული რაინდი, სერ ისააკ ნიუტონი...
...ქალაქ ლონდონში 1727 წელს და ...
...მისი საფლავი ვესტმინსტერის სააბატოში...
...ალექსანდერ პოუპი, მეგობარი და კოლეგა...
 ვფიქრობ სიტყვა "თანამედროვე" პირობითია, დაუძახა სოფიმ გეტამს, ეს ძველი წიგნია ისააკ ნიუტონის შესახებ.
კარში მდგარმა გეტამმა თავი გააქნია. არ ვარგა. ნიუტონი ვესტმისტერის სააბატოში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინგლისური პროტესტანტიზმის ცენტრშია დაკრძალული. წარმოუდგენელია, რომ იქ კათოლიკე პაპი ყოფილიყო. ნაღებს და შაქარს ინებებთ?
სოფიმ თავი დაუქნია.
გეტამი იცდიდა.
 რობერტ?
ლენგდონს გული მთელი ძალით უცემდა. მან ეკრანს თვალები მოაცილა და ადგა.
 სერ ისააკ ნიუტონია ჩვენი რაინდი.
სოფი გაოცდა.
 რას ამბობ?
 ნიუტონი დაკრძალულია ლონდონში. თქვა ლენგდონმა. მისმა შრომებმა წარმოქმნა მეცნიერების ახალი დარგები, რომლებმაც ეკლესიის რისხვა გამოიწვია. იგი იყო სიონის პრიორატის დიდი მაგისტრი. ამაზე მეტი რაღა უნდა გვინდოდეს?
 კიდევ რა? სოფიმ ლექსზე მიუთითა. იმ პაპზე რაღას იტყვი, რომელმაც რაინდი დამარხა? გაიგონე, რა თქვა ქალბატონმა გეტამმა? ნიუტონი კათოლიკე პაპს არ დაუკძრალავს.
ლენგდონი თაგვს დასწვდა.
 მერე ვინა თქვა რამე კათოლიკე პაპის შესახებ? მან დააწკაპუნა სიტყვა ”პოპე”ის ჰიპერკავშირზე და სრული წინადადება გამოიძახა.
სერ ისააკ ნიუტონის დაკრძალვას ესწრებოდნენ მეფეები
და დიდგვაროვნები. ცერემონიალს ხელმძღვანელობდა
მისი მეგობარი და კოლეგა ალექსანდრ პოუპი, რომელმაც
ამაღელვებელი სიტყვა წარმოთვა და
შემდეგ მის კუბოს მიწა დააყარა.
ლენგდონმა სოფის გადახედა.
 მეორე სათაურში ჩვენ სწორი ”პაპი” გვყავდა. ეს ალექსანდრე კი პოუპია.
ლონდონში პოპმა გაუთხარა საფლავი რაინდს.
სოფი ადგა. იგი გაოგნებული იყო. ჟაკ სონიერმა, ორაზროვანი მნიშვნელობების ოსტატმა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საშინლად ჭკვიანი კაცი იყო.
თავი 96
სილასმა შიშისაგან გაიღვიძა.
ვერ გაეგო, რამ გააღვიძა, ან რამდენ ხანს ეძინა. სიზმარს ვხედავდი? თავის ჩალით
 გატენილ ლეიბზე წამოჯდა და ყური მიუგდო ოპუს დეის საცხოვრებელი დარბაზის მშვიდ
სუნთქვას. სიჩუმეს მხოლოდ წყნარი ჩურჩული არღვევდა. ვიღაც ხმამაღლა ლოცულობდა ქვევითა სენაკში. ეს ნაცნობი ხმები იყო და შეიძლება ამანაც გამოაღვიძა.
და მაინც, სილასი უეცარმა და მოულოდნელმა სიფრთხილის გრძნობამ შეიპყრო.
ადგა, საცვლების ამარა მივიდა ფანჯარასთან. მითვალთვალებდნენ? შიდა ეზო, რომელიც ფანჯრიდან ჩანდა, ცარიელი იყო ზუსტად ისევე, როგორც მისი აქ მოსვლისას.
ყური დაუგდო. სიჩუმე იყო. მაშ, რატომ ვარ აფორიაქებული? დიდი ხნის წინ სილასმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისწავლა, რომ ინტუიციისთვის ყური უნდა ეგდო. ინტუიციის წყალობით იგი ცოცხალი გადარჩა ბავშვობაში მარსელის ქუჩებში, ციხეში მოხვედრამდე დიდი ხნით ადრე, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეპოსკოპოს ანრინგაროსას წყალობით ხელმეორედ დაიბადებოდა. კვლავ ფანჯრიდან გაიხედა და ახლა კი დაინახა მანქანის ბუნდოვანი სილუეტი ცოცხალ ღობეში. მანქანის სახურავზე პოლიციის სირენა იყო დამაგრებული. დერეფანში იატაკმა დაიჭრიალა. კარის საკეტი შეინძრა.

სილასმა ინსტინქტურად სწრაფად გადაკვეთა ოთახი და კარს უკან სწორედ იმ დროს მოასწრო დამალვა, როდესაც კარი შემოამტვრიეს. პირველი პოლიციელი შემოიჭრა, იგი ცარიელ ოთახში აქეთიქით იშვერდა იარაღს. სანამ ის სილასის ადგილსამყოფელს მიხვდებოდა, სილასი კარში გავარდა და ოთახში შემომავალი მეორე პოლიციელი წააქცია. როდესაც პირველი პოლიციელი სასროლად მოტრიალდა, სილასი დაიხარა და ფეხებში სწვდა. იარაღი გავარდა, ტყვიამ სილასს თავს ზევით სწორედ მაშინ გადაუფრინა როცა ის პოლიციელს ბარძაყში ჩაეჭიდა, საყრდენი გამოაცალა, წააქცია და თავით იატაკს დაანარცხა. მეორე პოლიციელი ბარბაცით წამოდგა. სილასმა მას მუხლი ამოარტყა საზარდულში და შემდეგ დერეფანში მის დაკრუნჩხულ ტანს გადააფოფხდა.

ფერმკრთალი, თითქმის შიშველი სილასი თავქვე დაეშვა კიბეზე. მიხვდა, რომ უღალატეს, მაგრამ ვინ? როდესაც ფოიეს მიაღწია, დაინახა, რომ სხვა პოლიციელებიც შემორბოდნენ. სილასი უკან მიტრიალდა და სწრაფად გაქანდა შენობის სიღრმეში, ქალების შემოსასვლელისკენ. ოპუს დეის ყველა შენობას აქვს მეორე შემოსასვლელი. იგი გაიქცა ვიწრო დერეფანში, შევარდა სამზარეულოში, გაურბინა იქ მომუშავე შეძრწუნებულ

ადამიანებს, რომლებიც სწრაფად გაეცალენ შიშველ ალბინოსს, დაეჯახა და ძირს ჩამოყარა ჯამები და ვერცხლის დანაჩანგალი, გავარდა ბნელ დერეფანში ბოილერის ოთახისკენ და დაინახა კარი, რომელსაც ეძებდა. დერეფნის ბოლოში კარზე გასასვლელისკენ ნიშანი ანათებდა.

სილასი მთელი სიჩქარით გავარდა გარეთ, წვიმაში, გადახტა დაბალი კიბის უჯრედიდან და ვერ დაინახა, რომ სხვა მხრიდან პოლიციელი უახლოვდებოდა. უკვე გვიან

იყო. მამაკაცები ერთმანეთს შეეჯახენ. სილასის ფართო, შიშველი მხარი დამანგრეველი ძალით ეტაკა პოლიციელს მკერდში. პოლიციელის იარაღი რაკუნით გადავარდა გვერდზე.

სილასს ესმოდა, როგორ მისდევდნენ ყვირილით მდევრები დერეფანში. იგი დაგორდა და ხელი ჩაავლო უპატრონოდ დაგდებულ იარაღს, სწორედ მაშინ, როდესაც პოლიციელები გამოჩნდნენ კარში. კიბიდან გასროლის ხმა გაისმა და სილასმა იგრძნო მწველი ტკივილი ნეკნებს ქვევით. გამწარებულმა ცეცხლი გაუსხნა სამივე პოლიციელს და მათი სისხლი აქეთიქით მიმოესხა.

მუქი აჩრდილი გამოჩნდა უკნიდან. იგი თითქოს არსაიდან მოევლინა. ბრაზიანმა ხელებმა მისი შიშველი მხარი ჩაბღუჯეს, თითქოს მათ თვით ეშმაკმა მიანიჭა ძალა. კაცმა ყურში ჩაჰყვირა: სილას, არა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბერი მოტრიალდა და გაისროლა. ბერისა და მისი მსხვერპლის თვალები ერთმანეთს შეხვდა. ეპისკოპოსი არინგაროსა წაიქცა. სილასმა სასოწარკვეთით დაიღიალა.

თავი 97

სამი ათასზე მეტი ადამიანია დაკრძალული ვესტმინსტერის სააბატოში. კოლოსალური ქვის ინტერიერი სავსეა მეფეთა, სახელმწიფო მოღვაწეთა, მეცნიერთა, პოეტთა და მუსიკოსთა აკლდამებით. ყოველ ნიშანსა და ეკვდერში ჩასმული მათი საფლავები სიდიადით ვერ შეედრება სამეფო მავზოლეუმებს, რომელთაგან უპირველესია ელისაბედ პირველის საფლავი, რომლის ჩარდახშიანი სარკოფაგი ცალკე სამლოცველოში მდებარეობს. აქვეა გაცილებით მოკრძალებული, იატაკში ჩატანებული ფილები, რომელთა

წარწერებიც საუკუნეთა განმავლობაში წაიშალა ტაძარში შემოსული ხალხის ფეხქვეშ. ამიენის, შარტრისა და კენტერბერის ტაძრების სტილით აგებული ვესტმინსტერის სააბატო არ ითვლება არც საკათედრო ტაძრად და არც უბრალო სამრევლო ეკლესიად. მას განსაკუთრებული სამეფო ეკლესიის სტატუსი აქვს და მხოლოდ მის უდიდებულესობას

ემორჩილება. მას მერე, რაც აქ 1066 წლის შობა დღეს უილიამ დამპყრობელის მეფედ კურთხევა ჩატარდა, ბრწყინვალე მონასტერში რეგულარულად იმართებოდა სამეფო კარის ცერემონიები და სახელმწიფო ღონისძიებები: ედუარდ აღმსარებლის წმინდანად კურთხევა, პრინც ენდრიუსა და სარა ფერგიუსონის ქორწილი, ჰენრი მეხუთის, დედოფალ

ელისაბედ პირველისა და ლედი დიანას დაკრძალვა.

მაგრამ რობერტ ლენგდონს ამჯერად არ აინტერესებდა სააბატოს უძველესი ისტორიის არც ერთი მომენტი, გარდა ერთისა. ეს იყო ბრიტანელი რაინდის, სერ ისააკ ნიუტონის დაკრძალვა.

ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს.

ლენგდონმა და სოფიმ ჩქარი ნაბიჯით გაიარეს დიდებული პორტიკი ჩრდილოეთის ტრანსეპტზე. აქ მათ დახვდნენ მცველები, რომლებმა ისინი ზრდილობიანად მიაცილეს ლითონის დეტექტორთან, რომელიც ახლა ლონდონის თითქმის ყველა ისტორიულ შენობაშია დაყენებული. ლენგდონმა და სოფიმ უპრობლემოდ გაიარეს დეტექტორი და სააბატოს შესასვლელისკენ გააგრძელეს გზა.

როგორც კი ვესტმინსტერის სააბატოს ზღურბლს გადააბიჯეს, ლენგდონმა იგრძნო, როგორ აორთქლდა გარე სამყარო და უეცარმა სიჩუმემ დაისადგურა. აღარ ისმოდა ტრანსპორტის გუგუნი, არც წვიმის შხაპუნი. მხოლოდ გამაყრუებელი სიჩუმე იდგა ირგვლივ, რომელიც მხოლოდ ნელა ვიბრირებდა, თითქოს შენობა თავისთვის ჩურჩულებსო.

ლენგდონმა და სოფიმ, ისევე როგორც თითქმის ყოველმა აქ შემომსვლელმა, იმწამსვე მაღლა აიხედეს, სადაც მათ თავზე სააბატოს დიდებული გუმბათი თითქოს აფეთქდა. ნაცრისფერი ქვის სვეტები კალიფორნიის გიგანტური სეკვოიების მსგავსად აზიდულიყო, გრაციოზულ თაღებს ქმნიდა თავბრუდამხვევ სივრცეში და შემდეგ კვლავ ქვის იატაკზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეცემოდა. წინ ფართო ხეივანივით გადაშლილიყო ჩრდილოეთის ტრანსეპტი, როგორც
ღრმა კანიონი, რომელსაც გვერდებზე კლდეების ნაცვლად ვიტრაჟები მიუყვებოდა. მზიან
დღეებში სააბატოს იატაკზე სინათლის მთელი სპექტრი ირეკლება ხოლმე. დღეს წვიმა და
სიბნელე ამ მასიურ სიცარიელეს მოჩვენების აურას აძლევდა, რის გამოც ის უფრო
ემგვანებოდა აკლდამას, ანუ თავის ჭეშმარიტ სახეს იღებდა.
ეს ადგილი სრულიად ცარიელია, ჩაიჩურჩულა სოფიმ.
ლენგდონი იმედგაცრუებული იყო. მას იმდი ჰქონდა რომ უფრო მეტ ხალხს ნახავდა.
უფრო ხალხმრავალი ადგილი დახვდებოდა. არ უნდოდა, ტემპლის ცარიელი ეკლესიის
მწარე გამოცდილება განმეორებულიყო. იგი უფრო მეტ უსაფრთხოებას ელოდა
ხალხმრავალ ტურისტულ ადგილებში. მას ახსოვდა ხალხის ხმაურიანი ჯგრო კარგად
განათებულ სააბატოში ზაფხულის ტურისტული სეზონის დროს. დღეს აპრილის წვიმიანი
დილა იყო. ხალხის ბრბოსა და მოციმციმე ვიტრაჟების ნაცვლად, ლენგდონს მხოლოდ
მოწყენილი იატაკების უზარმაზარი სივრცე და ჩრდილებიანი, ცარიელი ეკვდერები
დახვდა.
ჩვენ ლითონის დეტექტორში გავიარეთ, შეახსენა სოფიმ, ალბათ იგრძნო
ლენგდონის შიში, აქ თუ ვინმეა, შეიარაღებული ვერ იქნება.
ლენგდონმა თავი დაუქნია, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ სიფრთხილე უნდა
გამოეჩინათ. მას ლონდონის პოლიციის მოყვანა უნდოდა, მაგრამ სოფის შიშმა, რომ ამ
საქმეში ფაში იყო ჩარეული, დააცხრო მისი სურვილი. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ კრიპტექსი,
დაიჟინა სოფიმ. ის ყველაფრის გასაღებია.
იგი მართალი იყო.
კრიპტექსი იყო ლის დასაბრუნებელი გასაღები.
წმინდა გრაალის მოსაძებნი გასაღები.
იმ საიდუმლოს გასაღები, თუ ვინ იდგა ყოველივე ამის უკან.
სამწუხაროდ, კრიპტექსის დასაბრუნებლად ერთადერთი შანსი თითქოს აქ და ახლა
იყო, ისააკ ნიუტონის საფლავთან. ვისაც არ უნდა ჰქონოდა ახლა კრიპტექსი, ბოლო
მინიშნების ასახსნელად აქ უნდა მოსულიყო და მხოლოდ აქ უნდა შეხვედროდნენ მას ლენგდონი და სოფი.
ისინი მარცხენა კედლის გასწვრივ მიაბიჯებდნენ, რათა ღია სივრცეს მორიდებოდნენ.
ისინი შევიდნენ ბნელ გვერდით გასასვლელში სვეტების რიგს უკან. ლენგდონს ვერ
ამოეგდო მეხსიერებიდან ლი თიბინგი, დატყვევებული და ალბათ ჯერაც გაკოჭილი და
თავისივე ლიმუზინის საბარგულში ჩატენილი. ის, ვინც პრიორატის უმაღლესი წევრების
დახოცვა ბრძანა, არ შედრკება და სხვებსაც გაანადგურებდა, თუკი გზას გადაუღობავდნენ.
ბოროტი ირონია იყო იმაში, რომ თიბინგი თანამედროვეობის ბრიტანელი რაინდი
მძევლად აიყვანეს თავისივე ქვეყნის წარმომადგენლის, სერ ისააკ ნიუტონის ძებნაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელ მხარესაა? იკითხა სოფიმ და ირგვლივ მიმოიხედა.
საფლავი. ლენგდონს წარმოდგენა არ ჰქონდა.
გიდი უნდა ვიპოვოთ და ვკითხოთ.
ლენგდონი თვლიდა, რომ აქ უგზოუკვლო ხეტიალს ეს აჯობებდა.ვესტმინსტერის სააბატო იყო მავზოლეუმების, პერიმეტრზე განლაგებული სამლოცველოებისა და შესასვლელიანი სამარხი ნიშნების აბლანდული ლაბირინთი. ლუვრის დიდი გალერეის მსგავსად, მას კიდევ ჰქონდა ერთი ცალკე შესასვლელი კარი, რომელშიც ისინი ახლახანს შემოვიდნენ შიგ შესვლა ადვილია, მაგრამ იქიდან გამოსვლა ძალიან ძნელია.
ტურისტების ნამდვილი მახე უწოდა ლენგდონის ერთმა კოლეგამ ამ ადგილს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. არქიტექტურული ტრადიციის მიხედვით, სააბატოს უზარმაზარი ჯვრის ფორმა ჰქონდა. თუმცა, სხვა ბევრი ეკლესიისაგან განსხვავებით, მას შესასვლელი გვერდიდან ჰქონდა. უფრო მეტიც, სააბატოს ჰქონდა უამრავი გაშლილი გადახურული კამაროვანი გასასვლელი. ერთი მცდარი ნაბიჯი არასწორ კამაროვან გასასვლელში საკმარისი იყო, რომ აქ მოსული დაკარგულიყო ლაბირინთში, რომელიც მაღალი კედლებით იყო შემოსაზღვრული. გიდებს მეწამული ფერის სამოსი აცვიათ, თქვა
ლენგდონმა, როცა ეკლესიის ცენტრს მიუახლოვდნენ. ლენგდონმა გახედა აზიდულ საკურთხეველს სამხრეთ ტრანსეპტის შორეული ბოლოსკენ და დაინახა რამდენიმე პირქვე
დამხობილი ადამიანი. ეს ძალაგამოცლილი, ძირს დამხობილი პილიგრიმები ჩვეულებრივი მოვლენა იყო პოეტების კუთხეში, თუმცა საქმე ღვთისმოსაობაში სულაც არ
იყო. ტურისტები საფლავებს ხეხავენ.
ვერავითარ გიდს ვერ ვხედავ, თქვა სოფიმ. იქნებ ჩვენ თვითონ ვიპოვოთ
საფლავი?
ლენგდონს სიტყვაც არ დაუძრავს. სოფი რამდენიმე ნაბიჯით წინ, სააბატოს ცენტრისკენ წაიყვანა და მარჯვნივ გაახედა.
სოფიმ სააბატოს ნავის მთელ სიგრძეს გახედა და გაოცებისგან სუნთქვა შეეკრა, შენობის მთელი სიდიადე ახლა აშკარად ჩანდა.
აჰ, თქვა მან, მოდი, ვიპოვოთ გიდი.
ამ დროს ასიოდე იარდის იქით, გუნდის თეჯირს მიღმა, სერ ისააკ ნიუტონის საფლავს მარტოსული სტუმარი მიუახლოვდა. უკვე ათი წუთი იყო, რაც მოძღვარი ყურადღებით ათვალიერებდა მონუმენტს.
შავი მარმარილოს სარკოფაგზე ნახევრად წამოწოლილიყო კლასიკურ კოსტიუმში გამოწყობილი სერ ისააკ ნიუტონის ქანდაკება და ამაყად ეყრდნობოდა თავისი თხზულებების დასტას "ღვთისმეტყველებას", "ქრონოლოგიას", "ოპტიკას", "ნატურფილოსოფიის მათემატიკურ საწყისებს" და სხვებს. ნიუტონის ფერხთით იდგა ორი
ფრთოსანი ბიჭი გრაგნილით ხელში. წამოწოლილი ნიუტონის უკან აღმართული იყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მკაცრი პირამიდა. თუმცა თავად პირამიდა შეუსაბამო იყო ამ კონტექსტში, მოძღვარს უზარმაზარი გეომეტრიული სხეული უფრო აინტერესებდა, რომელიც აღმართული იყო პირამიდის ზედა ნაწილში.
ეს იყო სფერო.
მოძღვარი სონიერის თავსატეხზე ფიქრობდა, თუ საფლავიდან მოხსნილ სფეროს შენ მიაკვლიე. პირამიდის წინა ნაწილიდან გამოშვერილ მასიურ სფეროზე ბარელიეფების სახით ასახული იყო ყველანაირი ციური სხეული თანავარსკვლავედები, ზოდიაქოს ნიშნები, კომეტები, ვარსკვლავები და პლანეტები. მათ ზევით ვარსკვლავთა გუნდით გარშემორტყმული ატრონომიის ქალღმერთის სახე იყო გამოხატული.
აქ უთვალავი სფეროა.
მოძღვარი აქამდე დარწმუნებული იყო, რომ საფლავის პოვნისთანავე დაკარგული სფეროს ამოცნობა ადვილი იქნებოდა. ახლა კი უკვე აღარ იყო დარწმუნებული. იგი უყურებდა ციურ სხეულთა რუკას. რომელიმე პლანეტა ხომ არ აკლია? იქნებ რომელიმე ასტრონომიური სფეროა გამორჩენილი თანავარსკვლავედებიდან? მას წარმოდგენა არ ჰქონდა. და მაინც, მოძღვარი ვარაუდობდა, რომ პასუხი საოცრად მარტივი და პირდაპირი
იქნებოდა "ლონდონში პაპმა გაუთხარა საფლავი რაინდს". რა სფეროს ვეძებ? აშკარაა, ასტრონომიის ღრმა ცოდნა არ იყო წმინდა გრაალის მოსაძებნად საჭირო წინაპირობა. ვარდი და საშო გაიხსნება ნაყოფიერი.
მოძღვრის განმარტოება ტურისტთა მოახლოებულმა ჯგუფმა დაარღვია. მან ისევ ჯიბეში ჩაიცურა კრიპტექსი და ეჭვით მოჰყვა თვალთვალს, როგორ ჩაუარეს ტურისტებმა მომცრო მაგიდას და შესაწირავი დატოვეს ჭიქაში, მერე კი ახალი ნახშირის ფანქრებითა და დიდი მძიმე ფურცლებით შეიარაღებულნი, სააბატოს წინა ნაწილისკენ გაემართნენ, ალბათ ცნობილ პოეტთა კუთხისკენ, რათა პატივი მიეგოთ ჩოსერის, ტენისონისა და დიკენსისათვის, მათი საფლავების თავგამოდებული წმენდით.
მარტო დარჩენილი მოძღვარი ისევ მიუახლოვდა საფლავს და ყურადღებით დაათვალიერა. ჯერ სარკოფაგის ბრჭყალებიანი ფეხებით დაიწყო, მერე ზევით ავიდა, ნიუტონის ფიგურა და მისი მეცნიერული თხზულებების ქანდაკებები გამოიკვლია, მათემატიკურგრაგნილებიან ფრთოსან ანგელოზებს გასცდა, მიაღწია პირამიდის წინა მხარეს მოთავსებულ უშველებელ თანავარსკვლავედებიან სფეროს და ბოლოს მიადგა ამ ნიშის ვარსკვლავებით მოჭედილ ჩარდახს.
რა სფერო უნდა იყოს აქ... და რა არის? ჯიბეში კრიპტექსს შეეხო, თითქოს პასუხს როგორღაც სონიერის მიერ დამზადებული მარმარილოს საშუალებით გამოიცნობდა. მხოლოდ ხუთი ასო მაშორებს გრაალს.
სწრაფად გაიარა გუნდის თეჯირის კუთხე, ღრმად ჩაისუნთქა და მთავარი საკურთხევლისკენ შორს გახედა ტაძრის გრძელ ნავს. მოოქროვილი საკურთხევლის ფონზე მკვეთრ ლაქად გამოიყოფოდა სააბატოს გიდის მეწამული მოსასხამი. სწორედ მას მოუხმო ორმა ძალიან ნაცნობმა ადამიანმა.
ლენგდონი და ნევე!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოძღვარმა მშვიდად გადაინაცვლა ორი ნაბიჯით გუნდის თეჯირს უკან. სწრაფად მოსულან. იგი ელოდა, რომ ლენგდონი და სოფი ბოლოს და ბოლოს ლექსის მნიშვნელობას გაშიფრავდნენ და ნიუტონის საფლავთან მოვიდოდნენ, მაგრამ მათ ეს უფრო სწრაფად მოახერხეს, ვიდრე თვითონ ელოდა. მოძღვარმა ღრმად ჩაისუნთქა და დარჩენილ ვარიანტებს დაუფიქრდა. დიდი ხანია შეეჩვიასიურპრიზებთან გამკლავებას. მე ხელში კრიპტექსი მიჭირავს.

ხელი ჩაიყო ჯიბეში და შეეხო მეორე ნივთს, რომელმაც მას თავდაჯერებულობა შესძინა: ეს იყო რევოლვერი "მედუზა", როგორც მოსალოდნელი იყო, სააბატოს ლითონის დეტექტორმა განგაშის სიგნალი გამოსცა, როგორც კი მოძღვარმა შიგ გაიარა დამალული იარაღით. როგორც მოსალოდნელი იყო, მცველებმა მაშინვე უკან დაიხიეს, როცა მოძღვარმა მათ მრისხანე, აღშფოთებული მზერა ესროლა და ცხვირწინ თავისი პირადობის მოწმობა აუფრიალა. ოფიციალური წოდება ყოველთვის სათანადო პატივისცემას იწვევს.

მოძღვარს თავიდან იმედი ჰქონდა, რომ კრიპტექსს მარტო გახსნიდა და თავს აარიდებდა ნებისმიერ გართულებას, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ ლენგდონისა და ნევეს მოსვლა სინამდვილეში მოვლენათა სასურველი განვითარება იყო. თუ გავითვალისწინებთ

წარუმატებლობას "სფეროსთან" დაკავშირებით, ალბათ შეძლებდა მათი ერუდიციის გამოყენებას. ბოლოს და ბოლოს, თუ ლენგდონმა შეძლო ლექსის გაშიფვრა და საფლავის მიგნება, საკმაოდ ლოგიკურია, რომ მან შეიძლება რამე იცოდეს სფეროს შესახებაც. და თუ ლენგდონი პაროლს გაიგებს, ამის მერე კრიპტექსის გახსნას აღარაფერი დააბრკოლებს.

რა თქმა უნდა, აქ არა.

სადმე, უფრო მყუდრო ადგილას.

მოძღვარმა გაიხსენა ერთი პატარა განცხადება, რომელიც სააბატოში შემოსვლისას დაინახა. იმ წუთას მან უკვე იცოდა საუკეთესო ადგილი მათ შესატყუებლად. ერთადერთი, რაც ჯერ არ იცოდა, ის იყო... რით შეეტყუებინა.

თავი 98

ლენგდონი და სოფი ნელა მიდიოდნენ ჩრდილოეთის ეკვდერით, ცდილობდნენ, ტაძრის ნავს ჩაყოლებული ფართო სვეტების ჩრდილში დარჩენილიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ნახევარზე მეტი გზა გაიარეს, ჯერ მაინც გარკვევით ვერ ხედავდნენ ნიუტონის საფლავს. სარკოფაგი შეწეული იყო ნიშაში და ირიბი კუთხიდან არ ჩანდა.

– მადლობა ღმერთს, არავინაა, – დაიჩურჩულა სოფიმ.

ლენგდონმა თავი დაუქნია, შვება იგრძნო. ნიუტონის საფლავის ირგვლივ მთელი სივრცე ცარიელი იყო.

– მე წინ წავალ, – დაიჩურჩულა ლენგდონმა. – შენ დამალული იყავი, უბრალოდ, თავის დაზღვევის მიზნით. ვინმე, რომ...

ამ დროს სოფი უკვე გამოსულიყო ჩრდილიდან და დარბაზის ღია ადგილს კვეთდა.

– ... გვითვალთვალებდეს, – ამოიოხრა ლენგდონმა და აჩქარდა, რომ წინ წასულ სოფის დასწეოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონმა და სოფიმ ხმის ამოუღებლად ირიბად გადაკვეთეს სააბატოს გიგანტური ნავი.
მათ თვალწინ თანდათანობით გამოიკვეთა დიადი სამარხი... შავი მარმარილოს სარკოფაგი... ნიუტონის დახრილი ქანდაკება... ორი ფრთოსანი ბიჭი... უზარმაზარი პირამიდა... და... უშველებელი სფერო.
შენ იცოდი ამის შესახებ? თქვა გაოგნებულმა სოფიმ.
ლენგდონმა თავი გაიქნია, ისიც გაკვირვებული იყო.
ამოტვიფრულ თანავარსკვლავედებს ჰგავს, თქვა სოფიმ.
ნიშასთან მიახლოებული ლენგდონი ნანახმა განაცვიფრა. ნიუტონის საფლავი დაფარული იყო სფეროებით ვარსკვლავებით, კომეტებით, პლანეტებით. თუ საფლავიდან
მოხსნილ სფეროს შენ მიაკვლიე. ეს შეიძლება თივის ზვინში ნემსის ძებნას დაემსგავსოს.
ეს ციური სხეულებია, თქვა დაფიქრებულმა სოფიმ, თანაც ძალიან ბევრი.
ლენგდონმა წარბები შეკრა. ერთადერთი კავშირი პლანეტებსა და ბარძიმს შორის იყო ვენერას აღმნიშვნელი ხუთქიმიანი ფიგურა. მას კი უკვე ნაცადი ჰქონდა პაროლად სიტყვა Venus გზად ტემპლის ეკლესიისკენ.
სოფი პირდაპირ სარკოფაგთან მივიდა, ლენგდონი რამდენიმე ფუტით ჩამორჩა, თან ირგვლივ სივრცეს ათვალიერებდა.
Divinity, თქვა სოფიმ, თავი ზევით ასწია და წაიკითხა იმ წიგნების სათაურები, რომელთაც ნიუტონი ეყრდნობოდა. Chronology. Opticks. Philosophiae Naturalis Principia Mathematica? იგი ლენგდონისკენ მიბრუნდა. რამეს გახსენებს?
ლენგდონი უფრო ახლოს მივიდა და დაათვალიერა სათაურები. Principia Mathematica, როგორც მახსოვს, რაღაცას ამბობს პლანეტების გრავიტაციული მიზიდულობის ძალაზე... რომლებიც, უნდა ითქვას, რომ სფერული ფორმისაა, მაგრამ ეს ყოველივე ძალიან სათუოა.
ზოდიაქოს ნიშნებზე რას იტყვი? ჰკითხა სოფიმ, თან სფეროზე გამოსახულ თანავარსკვლავედებზე მიუთითა. შენ ადრე თევზებსა და მერწყულზე ლაპარაკობდი, არა?
ცხოვრების დასასრული, გაიფიქრა ლენგდონმა, თევზების პერიოდის დასასრული და მერწყულის დასაწყისი აღიარებული იყო, როგორც ისტორიული ნიშნული, როდესაც პრიორატი გეგმავდა სანგრილის დოკუმენტების საჯაროდ გამოტანას. ათასწლეული ხომ დამთავრდა, ახალი დაიწყო ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე. ისტორიკოსები დაბნეულები იყვნენ. არავინ იცის, როდის გაირკვევა ჭეშმარიტება.
შეიძლება, თქვა სოფიმ, პრიორატის გეგმები ჭეშმარიტების საჯაროდ გამოტანის შესახებ დაკავშირებული იყოს ლექსის ბოლო სტრიქონთან.
ვარდისფერ ხორცზე და ნაყოფიერ საშოზეა ლაპარაკი. ლენგდონს გააჟრჯოლა. ეს ადვილი შესაძლებელი იყო. მას ამ სტრიქონზე არ უფიქრია.
შენ ადრე მითხარი, განაგრძო სოფიმ, პრიორატის გეგმები "ვარდისა" და მისი ნაყოფიერი საშვილოსნოს შესახებ სიმართლის გამჟღავნების შესახებ პირდაპირ არის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაკავშირებული პლანეტების მდებარეობასთანო. ეს ხომ სფეროებია. ორბიტები.
ლენგდონმა თავი დაუქნია. მან იგრძნო, რომ ეს შესაძლებელი იყო, და მაინც, ინტუიცია უკარნახებდა, რომ ასტრონომია არ იყო ამ შემთხვევაში გასაღები. დიდი მაგისტრის წინა გამოცანების ყოველი პასუხი მჭერმეტყველური და სიმბოლური მნიშვნელობისა იყო მონა ლიზა, მადონა მღვიმეში, SOFIA. ამგვარი მჭერმეტყველება აშკარად აკლდა პლანეტათა
სფეროებისა და ზოდიაქოს ცნებას. აქამდე ჟაკ სონიერმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ფრთხილი კოდების შემქმნელი იყო და ლენგდონს უნდა დაეჯერებინა, რომ მისი ბოლო პაროლი – ის ხუთი ასო, რომელსაც უნდა გაეხსნა პრიორატის საბოლოო საიდუმლო – მარტო სიმბოლურად კი არ იქნებოდა შესაფერისი, არამედ კრისტალურად გამჭვირვალეც.
ეს პასუხი თუ წინა პასუხების მსგავსია, მაშინ ის სრულიად აშკარა უუნდა იყოს.
შეხედე! – წამოიძახა სოფიმ და მხარზე ხელის წავლებით ფიქრებიდან გამოიყვანა.
სოფიმ ისე შეშინებულმა წაავლო ხელი, რომ ლენგდონს ეგონა, ვიღაც გვიახლოვდებაო.
სოფი შეძრწუნებული მიშტერებოდა შავი მარმარილოს სარკოფაგის წვერს. – აქ ვიღაც ყოფილა, ჩაიჩურჩულა მან, და მიუთითა სარკოფაგის ერთ წერტილზე, ნიუტონის წინ გამოწეულ მარჯვენა ფეხთან ახლოს.
ლენგდონი ვერ მიხვდა, რამ დააეჭვა ასე სოფი. ალბათ რომელიღაც დაუდევარმა ტურისტმა დატოვა სარკოფაგის თავზე ნიუტონის ფეხთან ახლოს ნახშირის ფანქარი. ეს საშიში არ არის. ლენგდონმა ხელი გაიწოდა, რომ ის ნივთი აეღო, მაგრამ როგორც კი სარკოფაგისკენ გადაიხარა, შავი მარმარილოს გაპრიალებულ ფილას სინათლემ გადაუარა და ლენგდონი გაშეშდა. უცებდაინახა, თუ რამ შეაშინა სოფი.
ნიუტონის ფეხთან სარკოფაგის სახურავზე ნახშირის ფანქრით დაჩხაპნილი იყო ძლივს შესამჩნევი წარწერა:
თიბინგი მე მყავს.
ჩეპტერ ჰაუსის გავლით გადით სამხრეთის გასასვლელიდან
სახალხო ბაღში.
ლენგდონმა ტექსტი ორჯერ წაიკითხა. გული გიჟივით უცემდა.
სოფი მიტრიალდა და თვალი მოავლო ნავს.
ტექსტის დანახვამ, მართალია, ლენგდონი ძალიან შეაშინა, მაგრამ თავი იმით დაიმშვიდა, რომ ეს კარგი ამბავი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ლი ჯერ კიდევ ცოცხალია.
ამას მეორე მნიშვნელობაც ჰქონდა.
იმათაც არ იციან ჯერ პაროლი, ჩაიჩურჩულა მან.
სოფიმ თავი დაუქნია. ასე რომ არ იყოს, რატომ გაამჟღავნებდნენ თავს?
მათ შეიძლება უნდათ, ლი პაროლში გაგვიცვალონ. ანდა მახეა.
ლენგდონი არ დაეთანხმა.
არა მგონია. ბაღი სააბატოს კედლებს მიღმაა. ძალიან ხალხმრავალი ადგილია, ლენგდონი ერთხელ ნამყოფი იყო სააბატოს ცნობილ კოლეჯის ბაღში ეს არის ხეხილისა და სამკურნალო ბალახების პატარა ბაღი. იგი იმ დროიდან არსებობს, როდესაც ბერებს აქ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამკურნალო მცენარეები მოჰყავდათ. ამ ბაღის სიამაყე ბრიტანეთში უძველესი, ჯერ კიდევ
მსხმოიარე ხეხილი იყო, რაც საოცრად ზრდიდა ბაღის პოპულარობას ტურისტთა შორის, მით უმეტეს, რომ იქ სააბატოში შესვლის გარეშეც შეიძლებოდა მოხვედრა.
მე მგონია, რომ ჩვენი გარეთ გაშვებით ისინი გვიჩვენებენ, რომ გვენდობიან, რათა თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ.
სოფის არ სჯეროდა.
შენ გინდა თქვა შენობის გარეთ, იქ, სადაც ლითონის დეტექტორები არ არის? ლენგდონმა უკან დაიხია. სოფი მართალი იყო.
მან უკან გახედა სფეროებით სავსე საფლავს, და ინატრა, რაიმე აზრი მოსვლოდა თავში კრიპტექსის პაროლთან დაკავშირებით... რაღაც, რით შევაჭრებასაც შეძლებდა. ლი ამ საქმეში მე გავრიე და ამიტომ ყველაფერს ვიღონებ მის დასახმარებლად.
წარწერა ამბობს, რომ ჩეპტერ ჰაუსის გავლით უნდა მივიდეთ სამხრეთის გასასვლელთან, თქვა სოფიმ, იქნებ გასასვლელიდან დავინახოთ, რა ხდება ბაღში? ამგვარად ჩვენ გარეთ გაუსვლელად და უსაფრთხოდ შევძლებთ ვითარების შეფასებას.
ეს კარგი აზრი იყო. ლენგდონმა ბუნდოვნად გაიხსენა, რომ ჩეპტერ ჰაუსი იყო უშველებელი რვაკუთხა დარბაზი, სადაც თავდაპირველად, თანამედროვე პარლამენტის შენობის არსებობამდე, პირველი ბრიტანული პარლამენტი იკრიბებოდა. იქ ძალიან დიდი ხნის წინ იყო ნამყოფი, მაგრამ ახსოვდა, რომ იქამდე მისასველად თაღები უნდა გაევლოთ. ლენგდონმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია საფლავიდან და მოჭუტული თვალებით გუნდის თეჯირს მიღმა, მარჯვნივ, ნავის მოპირდაპირე მხარეს გაიხედა.
პირდაღებული გამოქვაბულისმაგვარი გასასვლელი დაინახა. გასასვლელზე იყო შემდეგი წარწერა:
ეს გზა მიდის
თაღედებთან
მონასტრის წინამძღვრის სახლთან
კოლეჯის დარბაზთან
მუზეუმთან
შემოწირულობათა პალატასთან
სენტ ფეითის სამლოცველოსთან
ჩეპტერ ჰაუსთან
ლენგდონმა და სოფიმ ამ აბრის ქვეშ აჩქარებული ნაბიჯით გაიარეს ისე სწრაფად, რომ ვერც კი შეამჩნიეს პატარა განცხადება. ადმინისტრაცია ბოდიშს იხდიდა, რომ ზოგი ადგილი დაკეტილი იყო იქ მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების გამო.
ისინი მაშინვე აღმოჩნდნენ მაღალი კედლებით გარშემორტყმულ უსახურავო შიდა ეზოში. აქ წვიმდა. მათ ზევით ხმადაბლა ზუზუნებდა ქარი, თითქოს ვიღაც ბოთლის ყელში
უბერავდა. ისინი შიდა ეზოს პერიმეტრს გაყოლებულ გადახურულ ბილიკზე ავიდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახურავი იმდენად დაბალი იყო, რომ ლენგდონმა მაშინვე იგრძნო ნაცნობი მოუსვენრობა,
რომელიც მას ყოველთვის ეუფლებოდა დახშულ სივრცეში. ამ ტიპის შიდა ეზოებს
კლოსტერებს უწოდებდნენ და ეს სახელი მიანიშნებდა კავშირს ლენგდონის ავადმყოფობა
კლაუსტროფობიასთან.
ლენგდონმა დაიწყო ფიქრი გვირაბის ბოლოზე და ჩეპტერ ჰაუსისკენ მიმართულ
ნიშნებს მიჰყვა. წვრილად ცრიდა. თაღედი ცივი და ნესტიანი იყო, რადგან მის სვეტებიან
კედელში, საიდანაც დღის სინათლე შემოდიოდა, პერიოდულად ცივი ქარი უბერავდა. მათ
მეორე წყვილმა ჩაურბინა, რომლებიც ცდილობდნენ თავი დაეღწიათ გაუარესებული
ამინდისათვის.
თაღედი ახლა დაცარიელდა, რადგან ეს აშკარად სააბატოს ყველაზე ნაკლებად
მიმზიდველი ადგილი იყო ქარისა და წვიმის დროს.
ორმოცი იარდით ქვევით აღმოსავლეთის კლოსტერში, გამოჩნდა თაღოვანი
გასასვლელი და ახალი დერეფანი იწყებოდა. თუმცა ეს იყო სწორედ ის შესასვლელი
რომელსაც ეძებდნენ, გასასვლელი გადაღობილი აღმოჩნდა და მის ზევით ოფიციალური
განცხადება ეკიდა.
დაკეტილია აღდგენითი სამუშაოებისთვის
შემოწირულობათა პალატა
სამლოცველო
ჩეპტერ ჰაუსი
ღობის იქით გაშლილი გრძელი ცარიელი დერეფანი მოფენილი იყო სამშენებლო
ნაგვითა და გადაყრილი ჩვრებით. ზუსტად ღობის უკან მარჯვნივ და მარცხნივ ლენგდონმა
დაინახა შემოწირულობათა პალატისა და სენტ ფეითის სამლოცველოს შესასვლელები.
ჩეპტერ ჰაუსში შესასვლელი უფრო ქვევით იყო, გრძელი დერეფნის ბოლოში. ლენგდონი
აქედანაც კი ხედავდა, რომ მისი მძიმე ხის კარი ფართოდ იყო ღია და დარბაზის ვრცელი
რვაკუთხა ინტერიერი გახვეული იყო მონაცრისფრო ბუნებრივ სინათლეში, რომელიც
კოლეჯის ბაღში გამავალი უზარმაზარი ფანჯრებიდან შემოდიოდა. ჩეპტერ ჰაუსის გავლით
გადით სამხრეთისგასასვლელიდან სახალხო ბაღში.
ჩვენ ესესაა გამოვიარეთ აღმოსავლეთის თაღედი, თქვა ლენგდონმა, ასე რომ,
ბაღში სამხრეთის გასასვლელი იქით არის, მარჯვნივ.
სოფი უკვე გადადიოდა დაბალ ღობეზე და წინ მიიწევდა.
ბნელ დერეფანს რომ დაუყვნენ, ღია თაღებიდან შემოსული ქარისა და წვიმის ხმა
გაქრა. ჩეპტერ ჰაუსი ერთგვარი დამოუკიდებელი მინაშენი იყო, სადაც ოდესღაც
პარლამენტის სხდომები იმართებოდა.
ლენგდონს დავიწყებოდა, თუ რა დიდი იყო ეს დარბაზი. სუნთქვაც კი შეეკრა, როცა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარეთა შესასვლელიდან დაინახა იატაკის უსაზღვრო სივრცე, რვაკუთხედის შორეული ბოლოდან ხუთი სართულის სიმაღლეზე გუბმათოვანი ჭერისკენ აზიდული უშველებელი
ფანჯრები. ბუნებრივია, აქედან ბაღიც კარგად გამოჩნდება.
ზღურბლს რომ გადააბიჯეს, ორივემ, ლენგდონმაც და სოფიმაც, თვალები მოჭუტეს.
ბნელი თაღედის შემდეგ ჩეპტერ ჰაუსი სოლარიუმს ჰგავდა. სამხრეთის კედლის ძებნაში ისინი ათი ფუტით შევიდნენ დარბაზში, მაგრამ მიხვდნენ, რომ არავითარი დაპირებული კარი სინამდვილეში არ არსებობდა.
ისინი უზარმაზარ ჩიხში იდგნენ.
ხრინწიანმა ჭრიალმა მოტრიალება აიძულა. სწორედ ამ დროს კარი ბრახუნით დაიკეტა და საკეტმაც გაიჩხაკუნა. კარს უკან მარტოდმარტო იდგა მამაკაცი. იგი მშვიდი ჩანდა რადგან ხელში რევოლვერი ეჭირა და მათ უმიზნებდა. მძიმე და მსუქანი, ყავარჯნებს
დაყრდნობოდა.
ერთ წუთს ლენგდონს ყველაფერი სიზმარი ეგონა.
ეს იყო ლი თიბინგი
თავი 99
სერ ლი თიბინგი ნაღვლიანად უყურებდა რობერტ ლენგდონსა და სოფი ნევეს რევოლვერის ლულის ზემოდან.
მეგობრებო, თქვა მან, იმ წუთიდან, რაც ჩემს სახლში შემოაბიჯეთ. ყველაფერი ვიღონე, რომ თქვენთვის ხიფათი ამერიდებინა. მაგრამ თქვენმა სიჯიუტემ ახლა რთულ მდგომარეობაში ჩამაყენა.
იგი ხედავდა, როგორ აისახა სოფისა და ლენგდონის სახეებზე გაოგნება და ღალატით მიყენებული ტკივილი, მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო, რომ სულ მალე ისინი მიხვდებოდნენ, როგორ მიიყვანა სამივე მოვლენათა ჯაჭვმა ამ წარმოუდგენელ გზაჯვარედინამდე.
იმდენი რამ უნდა გითხრათ ორივეს... იმდენი რამ არის, რაც ჯერ არ გესმით.
გთხოვთ დამიჯერეთ, თქვა თიბინგმა, არასდროს მქონია მიზნად დასახული თქვენი ამ საქმეში ჩარევა. ჩემს სახლში თქვენ მოხვედით. თქვენ თვითონ მეძებდით მე.
ლი! ბოლოს და ბოლოს ამოღერღა ლენგდონმა. რა ჯანდაბას აკეთებ? ჩვენ გვეგონა გასაჭირში იყავი. აქ შენს დასახმარებლად მოვედით!
ამაში დარწმუნებული ვარ, თქვა მან, ჩვენ ბევრი გვაქვს სალაპარაკო.
ლენგდონი და სოფი გაოცებულ მზერას ვერ აცილებდნენ მათთვის დამიზნებულ რევოლვერს.
ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ყურადღებით მომისმინოთ, თქვა თიბინგმა.
თქვენთვის რამის დაშავება რომ მდომოდა, უკვე დიდი ხანია მკვდრები იქნებოდით. წუხელ
ჩემს სახლში რომ შემოაბიჯეთ, გავრისკე და გადაგარჩინეთ. მე კეთილშობილი ადამიანი ვარ და ფიცი მაქვს დადებული, რომ მხოლოდ ისინი გავწირო, ვინც სანგრილს უღალატა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაზე ლაპარაკობ? თქვა ლენგდონმა. რას ნიშნავს, სანგრილს უღალატა?
მე საშინელი ჭეშმარიტება აღმოვაჩინე, თქვა თიბინგმა და ამოიოხრა. მე გავიგე, რატომ არ გააცნეს მსოფლიოს სანგრილის დოკუმენტები. გავიგე, რომ პრიორატმა გადაწყვიტა, საერთოდ არ ეჩვენებინა ხალხისთვის ჭეშმარიტება. ამიტომ ათასწლეული გამოცხადების გარეშე დამთავრდა, გავიგე, რატომ არ მოხდა არაფერი, როდესაც ცხოვრების დასასრული დაიწყო.
ლენგდონმა სული მოითქვა და შეპასუხება დააპირა.
პრიორატს, განაგრძნო თიბინგმა, ჰქონდა საიდუმლო დავალება, მსოფლიოსთვის გაეზიარებინა სიმართლე, საჯაროდ გამოეტანა სანგრილის დოკუმენტები, როდესაც ცხოვრების დასასრული დადგებოდა. საუკუნეების განმავლობაში ლეონდარდო და ვინჩის,
ბოტიჩელის, ნიუტონის მსგავსი ადამიანები, ყველაფერს წირავდნენ ამ დოკუმენტების დასაცავად და მათი შთამომავლობისათვის გადასაცემად. და ახლა, ჭეშმარიტების გამოაშკარავების საბოლოო მომენტში, ჟაკ სონიერმა გადაიფიქრა. ადამიანმა, რომელსაც ქრისტიანობის ისტორიაში უზარმაზარი პასუხისმგებლობა ანდეს, თავი აარიდა თავისი მოვალეობის შესრულებას. მან გადაწყვიტა, რომ შესაფერისი დრო არ იყო, თიბინგი სოფის მიუტრიალდა, მან გრაალს უღალატა. მან პრიორატს უღალატა. და მან უღალატა იმ თაობათა ხსოვნას, ვისაც აქამდე უმუშავია იმაზე, რომ ეს მომენტი შესაძლებელი გამხდარიყო.
თქვენ! განაცხადა სოფიმ. ახლა იგი პირდაპირ უყურებდა თიბინგს და მწვანე თვალებით რისხვით ბურღავდა მას, თქვენ ხართ ის, ვინც პასუხი უნდა აგოს ბაბუაჩემის მკვლელობაზე?
თიბინგმა დამცინავად უპასუხა.
ბაბუათქვენი და მისი სენეშალები გრაალის მოღალატეები იყვნენ.
სოფი გრძნობდა როგორ ემატებოდა რისხვა. ტყუის!
თიბინგმა დაუნდობელი ხმით განაგრძო.
ბაბუათქვენი მოურიგდა ეკლესიას. რა თქმა უნდა, ეკლესიამ გასაჩუმებლად მასზე ზეწოლა მოახდინა.
სოფიმ თავი გააქნია.
ეკლესიას ბაბუაზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა.
თიბინგმა ცივად ჩაიცინა.
ჩემო ძვირფასო, ეკლესიას ორი ათასი წლის გამოცდილება აქვს, როგორ დააშინოს ისინი, ვინც ტყუილის გამოაშკარავებას შეეცდება. კონსტანტინეს დროიდან მოყოლებული,
ეკლესია წარმატებით მალავდა სიმართლეს მარიამ მაგდალინელისა და იესოს შესახებ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახლა მათ კიდევ ერთხელ იპოვეს საშუალება, რომ მსოფლიო ბნელეთში დატოვონ. ეკლესიას აღარ შეუძლია დაასაქმოს ჯვაროსნები და ურწმუნოთა ამოხოცვა დაავალოს, მაგრამ მისი გავლენა ნაკლებად დამაჯერებელი არ გახდარა.
არანაკლებ მზაკვრული, იგი შეჩერდა, თითქოს უნდოდა მეტად გამოეკვეთა თავისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგი აზრი, მის ნევე, ცოტა ხნის წინ ბაბუათქვენს უნდოდა თქვენთვის სიმართლე ეთქვა თქვენი ოჯახის შესახებ.
სოფის თითქოს მეხი დაეცა.
 საიდან იცით?
 ჩემს მეთოდებს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ის არის, რაც ახლა უნდა გაიაზროთ, მან ღრმად ჩაისუნთქა, თქვენი დედის, მამის, ბებიის და ძმის სიკვდილი უბედური შემთხვევის შედეგი არ იყო.
ამ სიტყვებმა სოფის გრძნობები აუშალა. მან პირი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ვერ შეძლო.\ლენგდონმა უარის ნიშნად თავი გააქნია.
 რას ამბობ?
 რობერტ, ნახე. ეს ყველაფერს ხნის. ყველა ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს. ისტორია მეორდება. ეკლესიას მკვლელობის საბაბი მიეცა, როდესაც საქმე სანგრილის შესახებ დუმილის დაცვას შეეხო. მოსალოდნელი ცხოვრების დასასრული, დიდი მაგისტრის უსაყვარლესი ადამიანების მკვლელობა აშკარა გაფრთხილება იყო: ჩუმად იყავი, თორემ შენ და სოფიც იმათმიჰყვებითო.
 ეს საავტომობილო ავარია იყო, ენის ბორძიკით თქვა სოფიმ და ისევ მწვავედ იგრძნო ბავშვობის დროინდელი ტკივილი, ეს უბედური შემთხვევა იყო!
 ძილისპირული ზღაპარია, რომ თქვენი უშფოთველობა დაეცვათ, თქვა თიბინგმა, აბა დაფიქრდით, ოჯახის მხოლოდ ორი წევრი დარჩა ხელშეუხებელი პრიორატის დიდი მაგისტრი და მისი ერთადერთი შვილიშვილი შესანიშნავი წყვილი, რომლის საშუალებითაც ეკლესია შეძლებდა საძმოს გაკონტროლებას. წარმომიდგენია, როგორ ტერორში ჰყავდა ეკლესიას თქვენი ბაბუა ბოლო წლების განმავლობაში. ემუქრებოდნენ, რომ თქვენ მოგკლავდნენ, თუ სანგრილის დოკუმენტების გამომზეურებას გაბედავდა. ემუქრებოდნენ, რომ დაასრულებდნენ უკვე დაწყებულ საქმეს, თუ სონიერი პრიორატზე ზემოქმედებას არ მოახდენდა და აიძულებდა უძველესი ფიცი შეეცვალათ.
 ლი, შეეკამათა ლენგდონი, ის ახლა უკვე აშკარად იყო გაბრაზებული, დარწმუნებული ვარ, რომ არავითარი მტკიცება არ გაქვს, რომ ეკლესიას ბრალი მიუძღვის ამ მკვლელობებში, ან, რომ სწორედ ამან აიძულა პრიორატს დუმილის დაცვა.
 მტკიცება? ბრაზიანად ესროლა თიბინგმა, შენ მტკიცება გჭირდება იმის დასაჯერებლად, რომ პრიორატზე ზემოქმედება მოახდინეს? ახალი ათასწლეული დაიწყო
და მსოფლიო ისევ სიბნელეში რჩება! ნუთუ ეს აი არის საკმარისი მტკიცება?
სოფის თიბინგის სიტყვების ექოდ სხვა ხმა შემოესმა. სოფი, სიმართლე უნდა გითხრა შენს ოჯახზე. იგი მიხვდა, რომ კანკალებდა. ნუთუ ეს ის სიმართლე იყო, ბაბუას მისთვის რომ უნდა ეთქვა? ის, რომ მისი ოჯახი ამოწყვიტეს? მართლაც, თვითონ რაღა იცოდა იმ ავარიის შესახებ, მისი ოჯახი რომ იმსხვერპლა? მხოლოდ ცალკეული დეტალები. გაზეთების სტატიებიც ბუნდოვანი იყო. უბედური შემთხვევა? ძილისპირული ზღაპრები? სოფის უცებ გაახსენდა ბაბუას გადამეტებული მზრუნველობა მასზე, როგორ არ უყვარდა მისი მარტო დატოვება, პატარა რომ იყო. მაშინაც კი, როცა გაიზარდა და უნივერსიტეტში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწავლობდა, სულ გრძნობდა, რომ ბაბუა თვალყურს ადევნებდა. ნეტა ეს პრიორატის წევრები ხომ არ უთვალთვალებდნენ მთელი ცხოვრების მანძილზე.

თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ ის იმართებოდა? თქვა ლენგდონმა და უნდობლად გახედა თიბინგს. შენ ამიტომ მოკალი იგი?

ჩახმახისთვის მე არ გამომიკრავს თითი, თქვა თიბინგმა, სონიერი წლების წინ მოკვდა, მაშინ, როდესაც ეკლესიამ ოჯახი მოსტაცა. იგი კომპრომეტირებული იყო. ახლა კი ამ ტკივილისგან თავისუფალია, თავისუფალია სირცხვილის გრძნობისგან იმის გამო, რომ თავისი უზენაესი მოვალეობა ვერ შეასრულა. აბა წარმოიდგინეთ ალტერნატივა. რაღაც უნდა მომხდარიყო. შეიძლება სამყარო სამუდამოდ სიბნელეში დარჩეს? ნუთუ ეკლესიას უნდა მივცეთ ნება სამუდამოდ განამტკიცოს თავისი სიცრუე ისტორიის წიგნებში?

ნუთუ მუდამ უნდა მოახდინოს ზეგავლენა, ვისზეც უნდა, მკვლელობის და გამოძალვის გზით? არა, რაღაც უნდა გაკეთდეს! და აი, ახლა ჩვენ უნდა შევასრულოთ სონიერის მოვალეობა და გამოვასწოროთ ეს საშინელი მდგომარეობა. იგი შეჩერდა. ჩვენ სამმა, ერთად.

სოფიმ მხოლოდ გაოცება იგრძნო.

როგორ შეგეძლოთ საერთოდ დაგეშვათ, რომ ჩვენ დაგეხმარებოდით?

იმიტომ, ჩემო ძვირფასო, რომ თქვენ ხართ მიზეზი იმისა, რომ პრიორატმა დოკუმენტები არ გამოაჩინა. ბაბუას თქვენდამი სიყვარულმა შეუშალა ხელი ეკლესიასთან

ბრძოლაში. მას ეშინოდა, რომ მისი ოჯახის ერთადერთი გადარჩენილი წარმომადგენელი რეპრესირებული იქნებოდა. ამან იგი დააჩიავა. მას საშუალება არ მიეცა, თქვენთვის სიმართლე აეხსნა. იმით, რომ თქვენ იგი უარყავით, მას ხელები შეუბორკეთ, მოცდა აიძულეთ. ახლა თქვენ ვალი გაქვთ მსოფლიოს წინაშე. ეს არის სიმართლე. ეს მოვალეობა თქვენ ბაბუას ხსოვნის წინაშე გაქვთ.

რობერტ ლენგდონს მეტის ატანა აღარ შეეძლო. მიუხედავად შეკითხვათა ნიაღვარისა, რომლებმაც გონება დაუბინდა, მან იცოდა, ახლა მხოლოდ ერთი რამ იყო მნიშვნელოვანი სოფი აქედან ცოცხალი უნდა გაეყვანა. დანაშაულის გრძნობამ, აქამდე თიბინგთან დაკავშირებით რომ აწვალებდა, ახლა სოფიზე გადაინაცვლა.

მე მივიყვანე შატო ვილეში. მე ვარ პასუხისმგებელი.

ლენგდონი ვერ მიმხვდარიყო, შეძლებდა თუ არა თიბინგი ასე უემოციოდ აქ ჩეპტერ ჰაუსში მათ დახოცვას. ახლა ესმოდა, რომ თიბინგი თავისი გზასაცდენილი ძიების დროს მკვლელობებში გაერია. ლენგდონს უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა, რომ ამ განმარტოებულ, სქელკედლებიან დარბაზში რევოლვერის გასროლის ხმას გარეთ ვერავინ გაიგებდა. განსაკუთრებით, წვიმის დროს. ლიმ ხომ სწორედ ახლა დანაშაული აღიარა. ლენგდონმა სოფის გადახედა. სოფი თავზარდაცემული იყო. ეკლესიამ დახოცა მისი ოჯახის წევრები პრიორატის გასაჩუმებლად? ლენგდონი დარწმუნებული იყო, რომ თანამედროვე ეკლესია არავის კლავს. აქ რაღაც სხვა ამბავი იყო.

სოფი გაუშვი, განაცხადა ლენგდონმა, თან ლის თვალს არ აშორებდა, ეს მე და შენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა გავარჩიოთ.
თიბინგმა არაბუნებრივად გაიცინა.
სამწუხაროდ, ეს ერთადერთი რამაა, რის გაკეთებაც არ შემიძლია. მაგრამ აი, რა შემიძლია შემოგთავაზოთ, იგი ყავარჯენზე გასწორდა. იარაღიისევ სოფისთვის ჰქონდა დამიზნებული. ჯიბიდან ქვაკუთხედი ამოიღო. იგი ცოტა დაბარბაცდა, როდესაც ქვაკუთხედი ლენგდონს გაუწოდა. ეს ნდობის დამამტკიცებელი ნიშანია, რობერტ. რობერტმა იგრძნო, რომ აქ სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და არ გაინძრა. ლი ქვაკუთხედს გვიბრუნებს?
აიღე, თქვა თიბინგმა და უხერხულად გაიშვირა ქვაკუთხედი ლენგდონისკენ. ლენგდონს მხოლოდ ერთი მიზეზი ეგულებოდა, რის გამოც თიბინგი ქვაკუთხედს დააბრუნებდა.
შენ ეგ უკვე გახსენი. შენ რუკა ამოიღე.
თიბინგი თავს იქნევდა უარის ნიშნად.
რობერტ, ქვაკუთხედის გამოცანა რომ ამომეხსნა, გავქრებოდი, თვითონვე ვიპოვიდი გრაალს და თქვენ არც კი ჩაგრევდით. არა, მე პასუხი არ ვიცი. და ამას თავისუფლად ვაღიარებ. ჭეშმარიტი რაინდი გრაალთან შეხვედრისას სათნოებას სწავლობს. იგი სწავლობს იმას, თუ როგორ უნდა დაემორჩილოს მისთვის გამოგზავნილ ნიშნებს. როდესაც სააბატოში შემოსული დაგინახეთ, მე ამას მივხვდი. თქვენს აქ ყოფნას თავისი მიზეზი აქვს. მე უნდა დამეხმაროთ. მე წარმატებას მარტო ჩემთვის არ ვეძებ. მე უფრო დიდ
ბატონს ვემსახურები, ვიდრე ჩემი პატივმოყვარეობაა. კაცობრიობამ დაიმსახურა, რომ იცოდეს სიმართლე. ბარძიმმა ჩვენ გვიპოვა და ახლა იგი გვევედრება, რომ იგი ყველასთვის მისაწვდომი გავხადოთ. ჩვენ ერთად უნდა ვიმოქმედოთ.
თიბინგს, მიუხედავად ღაღადისა თანამშრომლობისა და ნდობის შესახებ, იარაღი სოფისთვის ჰქონდა დამიზნებული. ლენგდონმა წინ გადადგა ნაგიჯი და თიბინგს ცივი მარმარილოს ცილინდრი ჩამოართვა. როდესაც ლენგდონმა ცილინდრი მოიხელთა და ნაბიჯი უკან გადადგა, ძმარმა დაიბუყბუყა. დისკოები ისე არეული იყო, კრიპტექსი კი ჩაკეტილი.
ლენგდონმა თიბინგს შეხედა.
საიდან იცი, რომ ამას ახლავე არ დავამსხვრევ?
თიბინგის სიცილი ავისმომასწავებელ უცნაურ ფხუკუნს უფრო ჰგავდა.
ჯერ კიდევ ტემპლის ეკლესიაში უნდა მივმხვდარიყავი, რომ შენი მუქარა ამის დამსხვრევის შესახებ ფუჭი ხრიკი იყო და მეტი არაფერი. რობერტ ლენგდონი არასდროს გატეხავს ქვაკუთხედს. შენ ისტორიკოსი ხარ, რობერტ. შენ ხელში გიჭირავს ორი ათასი წლის ისტორია სანგრილის დაკარგული გასაღები. შენ იგრძნობ ყველა იმ რაინდის სულს, რომელიც ამ საიდუმლოს დაცვის სამსახურში დაწვეს. ნუთუ დაუშვებ, რომ მათი სიკვდილი ამაო აღმოჩნდეს? არა, შენ მათ დაიცავ. შენ იმ დიადი ადამიანების რიგს შეუერთდები, ვისაც ყოველთვის ეთაყვანებოდი ლეონარდო და ვინჩის, ბოტიჩელის, ნიუტონს ყოველი მათგანი დიდ პატივად ჩათვლიდა ახლა შენს მდგომარეობაში ყოფნას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქვაკუთხედის შიგთავსი იქიდან შემოგვღაღადებს. დიდი ხანია სურს განთავისუფლება. ეს
დრო მოვიდა. ბედმა ჩვენ ამ მომენტთან მოგვიყვანა.
ვერ დაგეხმარები, ლი. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა ამის გახსნა. მე
მხოლოდ ერთი წუთით შევხედე ნიუტონის საფლავს. და რომ ვიცოდე კიდეც პაროლი...
ლენგდონი შეჩერდა, მიხვდა რომ ზედმეტი თქვა.
არ მეტყოდი, არა? ამოიოხრა თიბინგმა, იმედი გამიცრუე და გამაკვირვე, რობერტ.
შენ ვერ დააფასე ის, თუ რამდენად ხარ ჩემგან დავალებული. ჩემი საქმე უფრო იოლად
წარიმართებოდა, მე და რემის თქვენ ორივე რომ მოგვესპეთ, როდესაც შატო ვილეში
შემოაბიჯეთ. ამის ნაცვლად მე ყველაფრი საფრთხის ქვეშ დავაყენე, რომ
კეთილშობილური გზა ამერჩია.
ეგ არის კეთილშობილური გზა? იკითხა ლენგდონმა და იარაღზე მიუთითა.
ეს სონიერის ბრალია, თქვა თიბინგმა, მან და მისმა სენეშალებმა სილასი
მოატყუეს. ეგ რომ არ ექნა, ქვაკუთხედს ყოველგვარი გართულების გარეშე ჩავიგდებდი
ხელში. როგორ ვიფიქრებდი, რომ დიდი მაგისტრი ასეთ უკიდურეს გზას აირჩევდა ჩემს
მოსატყუებლად და ქვაკუთხედს თავის ცალკე მცხოვრებ შვილიშვილს გადასცემდა?
თიბინგმა სოფის ზიზღით შეხედა, ვიღაც იმდენად გამოუცდელს ანდობდა ამ საიდუმლოს,
ვისაც სიმბოლიკის სპეციალისტი დასჭირდებოდა ძიძად, თიბინგმა ისევ ლენგდონს
შეხედა, საბედნიეროდ, რობერტ, შენი ჩარევა ჩემთვის გადარჩენის ტოლფასი იყო. იმის
ნაცვლად, რომ ქვაკუთხედი ჩაკეტილი ყოფილიყო სადეპოზიტო ბანკში, შენ ის სახლში
მომიტანე.
სხვაგან სად უნდა გავქცეულიყავი? გაიფიქრა ლენგდონმა, ბარძიმის ისტორიკოსთა
ჯგუფი მცირერიცხოვანია და მე და თიბინგს ერთად გვიმუშავია.
ახლა თიბინგი კმაყოფილი იყო.
როდესაც გავიგე, რომ სონიერმა სიკვდილის წინ წერილი დაგიტოვათ, ძალიან
კარგად ვიცოდი, რომ თქვენ პრიორატის ძვირფას ინფორმაციას ფლობდით. არ ვიყავი
დარწმუნებული, ქვაკუთხედი იყო ეს თუ მხოლოდ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად უნდა
გეპოვათ იგი. მაგრამ იმან, რომ პოლიცია მოგდევდათ, იმედი მომცა, რომ ბოლოს მე
მომადგებოდით კარზე.
ლენგდონმა ბრაზიანად შეხედა თიბინგს, რომ არ მოვსულიყავით?
მე გეგმას ვაწყობდი, რომ თქვენთვის დახმარების ხელი გამომეწოდებინა, ასე თუ ისე,
ქვაკუთხედი ბოლოს შატო ვილეში მოვიდოდა. ის, რომ თქვენ ის პირდაპირ ხელში
მომართვით, იმას ამტკიცებს, რომ მე მართალი ვარ.
რასამბობ?! წამოიძახა შეძრწუნებულმა ლენგდონმა.
სილასი ჩემს სახლში უნდა შემოჭრილიყო და თქვენთვის ქვაკუთხედი მოეტაცა ამით
თქვენ განტოლებიდან უპრობლემოდ ამოიშლებოდით. და მეც მომეხსნებოდა ნებისმიერი
ბრალდება თანამონაწილეობაში, მაგრამ, როდესაც ვნახე სონიერის კოდების სირთულე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადავწყვიტე, ორივე ჩემთან ცოტა მეტი ხნით დამეტოვებინეთ. სილასი მერეც შეძლებდა ქვაკუთხედის წართმევას, როდესაც მე იმდენი მეცოდინებოდა, რომ მარტოც შევძლებდი ამ
საქმის გაგრძელებას.
ტემპლის ეკლესია, თქვა სოფიმ, მის ხმაში ღალატით მიყენებული სიმწარე იგრძნობოდა.
სინათლე გამოჩნდა, გაიფიქრა თიბინგმა. ტემპლის ეკლესია შესანიშნავი ადგილი იყო ქვაკუთხედის წასართმევად, და ამ ეკლესიის აშკარა მსგავსება ლექსის მინიშნებებთან მას დამაჯერებელ მახედ აქცევდა. რემის გასაგები ბრძანება ჰქონდა მიღებული არ გამოჩნდე, სანამ სილასი ქვაკუთხედს დაიბრუნებდეს. სამწუხაროდ, ლენგდონის მუქარამ, ქვაკუთხედს
ეკლესიის იატაკზე დავამსხვრევო, რემი პანიკაში ჩააგდო. ნეტა ის იდიოტი რემი არ გამომხტარიყო, სინანულით ფიქრობდა თიბინგი. მან გაიხსენა საკუთარი გატაცების გათამაშება. რემი ერთადერთი კავშირი იყო ჩემთან და მან თავი გამოააშკარავა!
საბედნიეროდ, სილასმა მაინც ვერ გაიგო, ვინ იყო სინამდვილეში თიბინგი. მისი მოტყუება ადვილი აღმოჩნდა ჯერ ეკლესიიდან წამოაყვანინეს თიბინგი და შემდეგ გულუბრყვილოდ უყურებდა, როგორ გაკოჭა რემიმ მათი მძევალი და ლიმუზინის საბარგულში ჩატენა. ხმაგაუმტარი გამყოფის აწევის შემდეგ თიბინგმა შეძლო დაერეკა სილასისთვის, რომელიც მანქანაში წინ იჯდა, მოძღვრის ყალბი ფრანგული აქცენტით ელაპარაკა და იგი პირდაპირ ოპუს დეიში გაეგზავნა. შემდეგ უბრალო ზარი პოლიციაში საკმარისი იყო, რომ სილასი გზიდან ჩამოეშორებინა.
ამით კვანძის ერთი ბოლო შეიკრა. მეორე ბოლო უფრო რთული იყო. ეს იყო რემი. თიბინგი დიდხანს ებრძოდა თავს ამ გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ ბოლოს რემიმ თავად გაუადვილა საქმე. გრაალის ყოველი ძიება მსხვერპლს მოითხოვს. ყველაზე ”სუფთა” გადაწყვეტილება თიბინგს თვალში ეცა, როდესაც ლიმუზინის ბარი გახსნა მათარა, ცოტა კონიაკი და მიწისთხილიანი თუნუქის ქილა. ქილის ძირში დარჩენილი ფხვნილი საკმარისზე მეტი იყო რემის საბედისწერო ალერგიის გამოსაწვევად. როდესაც რემიმ ლიმუზინი ჰორსგარდპარადზე გააჩერა, თიბინგი მანქანის უკანა ნაწილიდან გადმოვიდა, მივიდა მგზავრის წინა კართან და რემის გვერდით მიუჯდა. რამდენიმე წამის
შემდეგ თიბინგი მანქანიდან ისევ გადმოვიდა, ისევ მანქანის საბარგულში შეძვრა, იქაურობა დაასუფთავა და ბოლოს გადმოვიდა იქიდან, რათა თავისი მისიის ბოლო ფაზა დაესრულებინა.
ვესტმინსტერის სააბატო ახლოს იყო და ლითონის რგოლებმა თიბინგის ფეხებზე, ყავარჯენმა და იარაღმა დეტექტორი ააჭყიპინა. პოლიციელებმა არ იცოდნენ რა ეღონათ. ნუთუ უნდა ვთხოვოთ, რგოლები მოიხსნას და ისე გაიაროს? ხომ არ დავცინებთ ამ ინვალიდს? თიბინგმა აღელვებულ დაცვას უფრო მარტივად გადაუწყვიტა საქმე მორთულმოკაზმული ბარათი აუფრიალა, რომელიც ამტკიცებდა, რომ იგი სამეფო რაინდი იყო, საცოდავი ბიჭები ერთმანეთს ასწრებდნენ, რომ მისთვის პატივი ეცათ და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შიგნით შეეყვანათ.
ახლა, როცა გაოგნებულ ლენგდონსა და ნევეს უყურებდა, თიბინგი ძლივს მოერია თავს, რომ არ ეთქვა, როგორ შესანიშნავად ჩართო ოპუს დეი ეკლესიის დამამხობელ სცენარში. ეს მოიცდიდა. ახლა აქ სხვა საქმე იყო გასაკეთებელი.
Mes amis, განაცხადა თიბინგმა უნაკლო ფრანგულით, vous ne trouvez pas le SaintGraal, c„est le SaintGraal qui vous trouve. მან გაიღიმა. ჩვენი გზები სრულიად ნათელია. ბარძიმმა ჩვენ თავად გვიპოვა.
პასუხად სიჩუმე იყო. ახლა თიბინგი თითქმის ჩურჩულებდა.
ყური დაუგდეთ. გესმით? თვით გრაალი გველაპარაკება წარსულიდან. ეს ქალწული გვევედრება, გადავარჩინოთ პრიორატის სისულელისგან. გემუდარებით ორივეს, გაიაზრეთ ეს შესაძლებლობა. არასდროს არ იქნება ამაზე უფრო შესაფერისი სამი ადამიანი ერთად, რომ გამოიცნოს ეს ბოლო კოდი და კრიპტექსი გახსნას, თიბინგი შეჩერდა. თვალები უელავდა, ჩვენ ერთმანეთს უნდა შევფიცოთ. რაინდის ერთგულების ფიცი უნდა დავდოთ, რომ ჭეშმარიტებას გავარკვევთ და სხვებსაც გავაგებინებთ.
სოფი დიდხანს უყურებდა თიბინგს თვალებში და შემდეგ ცივი ხმით განაცხადა:
მე არასდროს დავდებ ფიცს ბაბუას მკვლელთან. გარდა იმ ფიცისა, რომ ციხეში გიხილავთ.
თიბინგს გული დასწყდა. შემდეგ დარწმუნებით თქვა.
ვწუხვარ, რომ ასე ფიქრობთ, მადემუაზელ, იგი ახლა ლენგდონისკენ მიტრიალდა და იარაღი დაუმიზნა. შენ, რობერტ, ჩემსკენა ხარ, თუ ჩემს წინააღმდეგ?

ეპისკოპოს მანუელ არინგაროსას მრავალგვარი ტკივილი გადაუტანია. და მაინც, მკერდში ტყვიით მიყენებული ჭრილობა განსაკუთრებით უცხო იყო მისთვის. ეს ტკივილი
გაცილებით ღრმა და ძლიერი იყო. ხორცი კი არა, შეურაცხყოფილი სული ეწვოდა. თვალები გაახილა, ცდილობდა რამე დაენახა, მაგრამ წვიმა სახეში სცემდა და ამის საშუალებას არ აძლევდა. სადა ვარ? გრძნობდა, როგორ ეჭირა ვიღაცის ღონიერმკლავებს, სადღაც მიჰქონდა მისი მოდუნებული სხეული ნაჭრის თოჯინასავით. შავი მოსასხამი ძირს დასთრევდა.
ეპისკოპოსმა დასუსტებული მკლავი ასწია. თვალები შეიმშრალა და დაინახა მამაკაცი, რომელსაც იგი ეჭირა. ეს სილასი იყო. ზორბა ალბინოსი გზას მიიკვლევდა ტალახიან ტროტუარზე და ყვირილით ითხოვდა შველას. მისი ხმა გულის სიღრმიდან ამოსულ აგონიას ჰგავდა. წითელი თვალებით წინ იყურებოდა, თეთრ, სისხლით მოსვრილ სახეზე ცრემლები ღვარად მოედინებოდა.
შვილო ჩემო, ჩურჩულებდა არინგაროსა, შენ დაჭრილი ხარ.
სილასმა მას დახედა და სახე ტანჯვისაგან დაემანჭა.
ძალიან, ძალიან ვწუხვარ, მამაო. მას ტკივილისგან ლაპარაკიც კი უჭირდა.
არა, სილას, უპასუხა არინგაროსამ. ეს მე ვწუხვარ. ჩემი ბრალია. მოძღვარი შემპირდა, რომ მკვლელობები არ იქნებოდა, და მეც გითხარი, რომ მას სრულიად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მინდობოდი. მე ძალიან მოწადინებული ვიყავი. მე ძალიან დაშინებული ვიყავი. მე და შენ
მოგვატყუეს, მოძღვარი არ აპირებს ჩვენთვის წმინდა გრაალის დაბრუნებას.
ეპისკოპოსი ატატებული მიჰყავდა მის მიერ წლების წინ შეკედლებულ ადამიანს.
არინგაროსას წარსული გაახსენდა. ესპანეთი. მოკრძალებული დასაწყისი, სილასთან
ერთად პატარა კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა ოვიედოში. შემდეგ ნიუიორკი, სადაც
მან ღვთის თაყვანისცემის ნიშნად ლექსინგტონ ავენიუზე ოპუს დეის ცენტრი აღმართა.
ხუთი თვის წინ არინგაროსამ გამანადგურებელი ამბავი გაიგო. მთელი მისი ცხოვრების
ნაღვაწს საფრთხე ემუქრებოდა. მან თვალნათლივ გაიხსენა კასტელ განდოლფოში
გამართული შეხვედრის ყოველი დეტალი. ამ შეხვედრამ მისი ცხოვრება შეცვალა. ახალ
ამბავს მოჰყვა მთელი ეს უბედურება.
არინგაროსა კასტელ გონდოფოს ასტრონომიურ ბიბლიოთეკაში თავაწეული შევიდა.
იგი ელოდა, რომ იქ თბილად დახვდებოდნენ თავისი კეთილმოსურნეები, შეაქებდნენ
წარმატებული ღვაწლისათვის. მან ხომ ამერიკაში გზა გაუკვალა კათოლიციზმს.
კრებას მხოლოდ სამი კაცი ესწრებოდა.
ვატიკანის სახელმწიფო მდივანი, მსუქანი და პირქუში. ორი მაღალი რანგის
იტალიელი კარდინალი. ფარისეველები.თვითკმაყოფილები.
ვატიკანის სახელმწიფო მდივანი? გაიკვირვა საგონებელში ჩავარდნილმა
არინგაროსამ.
კანონიერების ჩამრგვალებულმა ზედამხედველმა არინგაროსას ხელი ჩამოართვა და
თავის წინ მდგარ სკამზე მიუთითა.
დაბრძანდით, გეთაყვა.
არინგაროსა დაჯდა. გრძნობდა, რომ რაღაც ხდებოდა.
მე მიკიბულმოკიბული ლაპარაკი არ მეხერხება, ეპისკოპოსო. თქვა სახელმწიფო
მდივანმა, ამიტომ, ნება მიბოძეთ, პირდაპირ გადავიდე თქვენი აქ ჩამოყვანის მიზეზზე.
თუ შეიძლება, არაფერი დამიმალოთ. თქვა არინგაროსამ და ორ კარდინალს
გადახედა, რომლებიც მას თითქოს თავიანთი საზომით აფასებდნენ.
კარგად მოგეხსენებათ, დაიწყო სახელმწიფო მდივანმა, რომ მისი უწმინდესობა და
დანარჩენნი რომში შეწუხებულნი არიან იმ პოლიტიკური გამოძახილით, რაც ოპუს დეის
ძალიან წინააღმდეგობრივ საქმიანობას ახლავს.
არინგაროსა მაშინვე დაიძაბა. მას ამაზე უკვე ბევრჯერ ჰქონდა საუბარი ახლად
არჩეულ პაპთან, რომელიც, არინგაროსას საუბედუროდ, ეკლესიაში ლიბერალური
ცვლილებების ჩატარების თავგამოდებული დამცველი აღმოჩნდა.
მინდა დაგარწმუნოთ, სწრაფად დაუმატა სახელმწიფო მდივანმა, რომ მისი
უწმინდესობა არ აპირებს, რაიმე ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ უძღვებით
თქვენს საქმეს.
იმედი უნდა ვიქონიო, რომ ეს ასეა! მაშინ აქ რაღად ვარ?
უზარმაზარმა კაცმა ამის გაგონებაზე ამოიოხრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეპისკოპოსო, არც კი ვიცი, როგორ გითხრათ ეს დელიკატურად, ამიტომ პირდაპირ გეტყვით. ორი დღის წინ, სამდივნო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ოპუს დეი აღარ იქნეს მიჩნეული ვატიკანის პრელატურად. თქვენ იქნებით დამოუკიდებლად არსებული კონგრეგაცია. ვატიკანი თქვენ გაგეთიშებათ. მისი უწმინდესობა თანახმაა და ჩვენ უკვე ვამზადებთ შესაბამის დოკუმენტებს.

კი მაგრამ, ეს ხომ შეუძლებელია!

პირიქით, ეს შესაძლებელია. და საჭიროც არის. მისი უწმინდესობა შეშფოთებლია თქვენს მიერ გამოყენებული აგრესიული მეთოდებით ახალი წევრების მოზიდვის დროს და

თქვენთან არსებული სხეულის მოკვდინების პრაქტიკით, იგი შეჩერდა, აგრეთვე თქვენი პოლიტიკით ქალების მიმართ. გულახდილად რომ გითხრათ, მძიმე და სამარცხვინო ტვირთია.

ეპისკოპოსი არინგაროსა გაშტერდა.

სამარცხვინო?

რა თქმა უნდა. არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ საქმე აქამდე მივიდა.

ოპუს დეი ერთადერთი კათოლიკური ორგანიზაციაა, რომლის წევრების რიცხვიც იზრდება! ახლა ჩვენს რიგებში უკვე ათას ასი მღვდელია!

მართალია. ეს საკმაოდ შემაშფოთებელი ფაქტია ყოველი ჩვენთაგანისათვის.

არინგაროსა წამოხტა.

აბა, ჰკითხეთ მის უწმინდესობას, იყო თუ არა ოპუს დეი სამარცხვინო 1982 წელს, როდესაც ჩვენ ვატიკანის ბანკს დავეხმარეთ!

ვატიკანი ამისთვისყოველთვის თქვენი მადლობელი იქნება, თქვა სახელმწიფო მდივანმა დამაწყნარებელი ტონით, და მაინც ბევრი დარწმუნებლია, თქვენი ფინანსური გულუხვობა 1982 წელს ერთადერთი მიზეზი იყო, რის გამოც თქვენ პრელატურის სტატუსი

მოგენიჭათ.

ეს არ არის მართალი! სახელმწიფო მდივნის ნათქვამმა ძალიან შეურაცხყო არინგაროსა.

როგორც არ უნდა იყოს, ჩვენ გვინდა, ყველაფერი სამართლიანად მოვაგვაროთ. ჩვენ ვადგენთ გამოსვლის პირობების შემცველ დოკუმენტებს, რომელშიც ჩართული იქნება თქვენთვის იმ ფულის კომპენსირება. ფული ხუთ ნაწილად დაგიბრუნდებათ.

თქვენ ცდილობთ სასყიდლით დაიხსნათ თავი? იკითხა არინგაროსამ, ფულს გადამიხდით, რომ მე ჩუმად წავიდე, მაშინ, როდესაც ოპუს დეი საღი აზრის ერთადერთი მღაღადებელია!

ერთერთმა კარდინალმა თავი ასწია.

უკაცრავად, თქვენ ბრძანეთ, საღი აზრისო?

არინგაროსა გადაიხარა მაგიდაზე, და შეეცადა, ტონი უკიდურესად მწარე ჰქონოდა.

მართლა გაინტერესებთ, რატომ ტოვებენ კათოლიკეები ეკლესიას? მიმოიხედეთ, კარდინალო. ხალხმა ღვთის პატივისცემა დაკარგა, რწმენამ კი სიმკაცრე. საეკლესიო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კანონები დახლს დაემსგავსა. თავშეკავება, აღსარება, ზიარება, ნათლობა ამოირჩიეთ, როგორი კომბინაციაც გესიამოვნებათ. დანარჩენი შეგიძლიათ არ შეიმჩნიოთ. რა სულიერ წინამძღოლობას გვთავაზობს ეკლესია?

მესამე საუკუნეში მიღებული კანონების მორჩილება, თქვა მეორე კარდინალმა, არ შეიძლება თანამედროვე ქრისტეს მიმდევართ მოვთხოვოთ. ის წესები აღარ ჭრის დღევანდელ საზოგადოებაში.

ოპუს დეისთვის კი, როგორც ეტყობა, ჭრის!

ეპისკოპოსო არინგაროსა, თქვა სახელმწიფო მდივანმა შესაჯამებლად, მხოლოდ თქვენი ორგანიზაციის წინა პაპთან ურთიერთობის პატივისცემით, მისი უწმინდესობა ოპუს

დეის აძლევს ექვს თვეს, რომ თავისი ნებით გამოეყოს ვატიკანს. მე გთავაზობთ, ჩამოაყალიბოთ თქვენი ვატიკანისგან განსხვავებული შეხედულებები და დამკვიდრდეთ როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

მე უარს ვამბობ! განაცხადა არინგაროსამ, და მე ამას პირადად ვეტყვი მის უწმინდესობას!

ვწუხვარ, მაგრამ მის უწმინდესობას თქვენთან შეხვედრა აღარ სურს.

არინგაროსა ადგა.

ის ვერ გაბედავს გააუქმოს პრელატურა, რომელიც მისმა წინამორბედმა პაპმა დააარსა!

ვწუხვარ, თვალის დაუხამხამებლად წარმოთქვა სახელმწიფო მდივანმა, ღვთის ბოძებულს კვლავ ღმერთი წაიღებს.

გაოგნებული და პანიკით მოცული არინგაროსა ბარბაცით წამოვიდა შეხვედრიდან. ნიუიორკში რომ ბრუნდებოდა, იგი იმედდაკარგული გაჰყურებდა ჰორიზონტს. მას სინანულით ავსებდა ის, რაც ქრისტიანობას მომავალში ელოდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ტელეფონმა დარეკა. ამ ზარმა ყველაფერი შეცვალა. ყურმილიდან ვიღაც ფრანგული აქცენტით ალაპარაკდა და გაეცნო მას როგორც მოძღვარი. ეს წოდება ჩვეულებრივი იყო პრელატურაში. მან უთხრა, რომ იცოდა ვატიკანის გეგმები.

საიდან უნდა სცოდნოდა? აინტერესებდა არინგაროსას. იმედი ჰქონდა, რომ ვატიკანის მმართველ წრეებში მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა, რომ ოპუს დეის გაუქმება ემუქრებოდა. აშკარაა, ინფორმაციამ გაჟონა. როდესაც ჭორის შეკავება იყო საჭირო, მსოფლიოს არც ერთი კედელი არ იყო ისეთი ფოროვანი, როგორც ვატიკანისა.

მე ყველგან მყავს სანდო ხალხი, ეპისკოპოსო, ჩაიჩურჩულა მოძღვარმა, და ამის წყალობით გარკვეული ცნობები მოვიპოვე. თქვენი დახმარებით, მე გამოვავლენ წმინდა რელიკვიის სამალავ ადგილს, ეს კი თქვენ უზარმაზარ ძალაუფლებას მოგანიჭებთ. იმდენ ძალაუფლებას, რომ ვატიკანი იძულებული გახდება დაგიჩოქოთ. ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ რწმენა გადაარჩინოთ, იგი შეჩერდა, არა მხოლოდ ოპუს დეისთვის. ყველა ჩვენთაგანისათვის.

ღმერთი წაიღებს და ღმერთი დაგიბრუნებს. არინგაროსამ იმედის სხივი დაინახა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მითხარით, რა გეგმა გაქვთ.
ეპისკოპოსი არინგაროსა უგონოდ იყო, როდესაც წმინდა მარიამის საავადმყოფოს კარი სისინით გაიღო. დაღლილობისგან თვალდაბინდულმა სილასმა ბარბაცით შეაბიჯა კიბის ბაქანზე. ფილებიან იატაკზე წაიჩოქა და ყვირილით ითხოვდა დახმარებას. მისაღებში ყველა დაბნეული მიაშტერდა ნახევრად შიშველ ალბინოსს, რომელსაც მკლავებზე სისხლისგან დაცლილი მღვდელი ესვენა.
ბოლოს, როგორც იქნა, რომელიღაც ექიმი დაეხმარა და მღვდელი საკაცეზე დააწვინეს. ექიმმა მაჯა გაუსინჯა.
ბევრი სისხლი დაკარგა. იმედი არა მაქვს.
არინგაროსამ თვალები დაახამხამა, ცოტა ხნით გონს მოვიდა. მან სილასს შეხედა.
შვილო ჩემო...
სილასი სინანულისა და სიბრაზისაგან იტანჯებოდა.
მამაო, მთელი სიცოცხლე რომ შევწირო, ვიპოვი და მოვკლავ იმას, ვინც ჩვენ მოგვატყუა.
არინგაროსამ თავი გააქნია. პალატაში შეყვანის წინ მისმა სახემ ნაღვლიანი გამომეტყველება მიიღო.
სილას, თუ ჩემგან აქამდე არაფერი გისწავლია, გეთაყვა, ეს მაინც ისწავლე, მან სილასის ხელი აიღო და მოუჭირა, შემწყნარებლობა ყველაზე დიდი ღვთაებრივი ნიჭია.
კი მაგრამ, მამაო...
არინგაროსამ თვალები დახუჭა.
სილას, შენ უნდა ილოცო.
თავი 101
რობერტ ლენგდონი ცარიელი ჩეპტერ ჰაუსის მძიმე გუმბათის ქვეშ იდა და ლი თიბინგის იარაღის ლულას მიშტერებოდა.
რობერტ, შენ ჩემსკენა ხარ, თუ ჩემს წინააღმდეგ? ექოსავით მოესმა სამეფო ისტორიკოსის სიტყვები.
ლენგდონმა იცოდა, აზრიანი პასუხი ამ შემთხვევაში არ არსებობდა. დადებითი პასუხი სოფის ღალატს ნიშნავდა. უარყოფითი პასუხი ორივეს სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. განათლების სისტემაში მუშაობამ ლენგდონს ვერ შესძინა იმის გამოცდილება, თუ როგორ უნდა ემოქმედა იარაღის პირისპირ, მაგრამ იმავე სისტემამ ის კი ნამდვილად ასწავლა, როგორ უნდა ეპასუხა პარადოქსული შეკითხვებისთვის. როდესაც შეკითხვას სწორი პასუხი არა აქვს, მაშინ მხოლოდ ერთი გულახდილი პასუხი არსებობს. უბრალოდ პასუხის არგაცემა, რაც დადებითისა და უარყოფით პასუხს შორისაა. დუმილი.
ლენგდონი დააშტერდა ხელში ჩაბღუჭულ კრიპტექსს და უბრალოდ გვერდზე გადგა. თვალები არც კი აუწევია, ისე გადადგა ნაბიჯი და ოთახის უზარმაზარ ცარიელ სივრცეში უკან დაიხია. ნეიტრალური ტერიტორია. მას იმედი ჰქონდა, რომ მისი კონცენტრაცია კრიპტექსზე თიბინგს მიანიშნებდა, რომ შეიძლება თანამშრომლობა შესაძლო ალტერნატივა ყოფილიყო, იგივე სიჩუმე კი სოფის ანიშნებდა, რომ მას იგი არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიუტოვებია.
ეს დრო კი მას ფიქრისთვის სჭირდებოდა.
ლენგდონის ვარაუდით, სწორედ ფიქრი იყო ის, რასაც თიბინგი მისგან მოითხოვდა.
ამიტომ გადმომცა კრიპტექსი. იმისთვის, რომ კარგად ვიგრძნო ჩემი გადაწყვეტილების
მნიშვნელობა. ბრიტანელ ისტორიკოსს იმედი ჰქონდა, რომ დიდი მაგისტრის კრიპტექსთან
შეხება შეაძლებინებდა ლენგდონს, სრულად გაეაზრებინა მისი შიგთავსის სიდიადე, მისი
მეცნიერული ცნობისმოყვარეობა გადაწონიდა ყველაფერს, აიძულებდა მიმხვდარიყო,
რომ ქვაკუთხედს თუ ვერ გახსნიდნენ, თვით ისტორია დაიკარგებოდა.
თიბინგს სოფი მიზანში ჰყავდა ამოღებული და ლენგდონს იმედი ჰქონდა, რომ
კრიპტექსის მოუხელთებელი პაროლის აღმოჩენა მისთვის ერთადერთი შესაძლებლობა
იქნებოდა, რომ სოფის თავისუფლება გამოესყიდა. მე თუ რუკას გავათავისუფლებ, თიბინგი
ვაჭრობას დამიწყებს. მან გონება დაძაბა ამ კრიტიკული სამუშაოს შესასრულებლად,
ლენგდონი ნელა გაემართა მოშორებით მყოფი ფანჯრისკენ. მისი ტვინი ნიუტონის
საფლავზე გამოსახული მრავალრიცხოვანი ასტრონომიული სურათებით აივსო.
თუ საფლავიდან მოხსნილ სფეროს შენ მიაკვლიე,
ვარდი და საშო გაიხსნება ნაყოფიერი.
მან დანარჩენებს ზურგი შეაქცია, მივიდა მაღლა აზიდულ ფანჯრებთან, ცდილობდა,
რაიმე შთაგონება ეპოვა ვიტრაჟის მოზაიკიდან. ვერაფერს მოეჭიდა აზრით.
წარმოიდგინე სონიერის აზრები, თავი გაიმხნევა მან. ახლა უკვე კოლეჯის ბაღს
უყურებდა. რა სფერო იქნება ის, ნიუტონის საფლავზე რომ უნდა ყოფილიყო?
ვარსკვლავები, კომეტები, და პლანეტები აციმციმდნენ წვიმაში, მაგრამ ლენგდონს
მათთვის ყურადღება არ მიუქცევია. სონიერი ბუნებისმეტყველი არ ყოფილა. იგი ჰუმანისტი
იყო, ხელოვანი, ისტორიკოსი. საკრალური ქალურობა, თასი, ვარდი, განდევნილი მარიამ
მაგდალინელი... ქალღმერთის დაცემა, წმინდა გრაალი.
ლენგდონი გრაალს ყოველთვის აღიქვამდა, როგორც სასტიკ საყვარელ არსებას,
ჩრდილში მოშორებით მოცეკვავეს, ყურში რომ ჩაგჩურჩულებს, ერთი ნაბიჯით რომ
მიგიტყუებს და შემდეგ ნისლში გაუჩინარდება.
ლენგდონი უყურებდა კოლეჯის ბაღში მოშრიალე ხეებს, გრძნობდა, რომ ამოხსნა
სადღაც ახლოს იყო, ეკეკლუცებოდა მას. ამის ნიშნები ყველგან იყო, თითქოს მისი
დამცინავი სილუეტი ჩნდებოდა ნისლში. ბრიტანეთის უძველესი ვაშლის ხის ტოტები
დახუნძლული იყო ხუთფურცლიანი კვირტებით, რომლებიც ვენერასავით ციმციმებდნენ.
ქალღმერთი ახლა ბაღში იყო. იგი წვიმაში ცეკვავდა, საუკუნოვან სიმღერებს მღეროდა,
იჭყიტებოდა კვირტებით დახუნძლული ტოტებიდან, თითქოს ლენგდონს ახსენებდა, რომ
ცოდნის ნაყოფი მისგან ძალიან ახლოს იზრდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოთახის მეორე მხარეს, სერ ლი თიბინგი თავს ადევნებდა, როგორ იყურებოდა თითქოს მონუსხული ლენგდონი ფანჯრიდან.
ზუსტად ისე მოხდა, როგორც ვიმედოვნებდი, ფიქრობდა თიბინგი. იგი მიხვდება.
ცოტა ხნით ადრე თიბინგი ფიქრობდა, რომ ლენგდონს შეიძლება ჰქონოდა გრაალის გასაღები. შემთხვევითი არ იყო, რომ თიბინგმა თავისი გეგმის განხორციელება სწორედ იმ
ღამით დაიწყო, როდესაც ლენგდონს ჟაკ სონიერთან ჰქონდა შეხვედრა დანიშნული.
სონიერის კაბინეტის სისტემატური მოსმენის შედეგად, თიბინგი დარწმუნებული იყო, რომ
კურატორის დიდი სურვილი, პირადად შეხვედროდა ლენგდონს, მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა. ლენგდონის საიდუმლოებით მოცული ხელნაწერი რაღაცით ძალიან ახლოს იყო
პრიორატის საქმიანობასთან. ლენგდონი შემთხვევით წააწყდა ჭეშმარიტებას და სონიერს შეეშინდა, რომ ეს საიდუმლო არ გამჟღავნებულიყო. თიბინგი დარწმუნებლი იყო, დიდი მაგისტრი ლენგდონს გაჩუმებას სთხოვდა.
სიმართლე დიდი ხანია უკვე იმალება!
თიბინგმა იცოდა, რომ სწრაფად უნდა ემოქმედა. სილასის თავდასხმა ორ მიზანს ემსახურებოდა, სონიერი ვერ შეძლებდა ლენგდონის გაჩუმებას, თიბინგი ხელში ჩაიგდებდა ქვაკუთხედს და თუ დასჭირდებოდა, ამისთვის პარიზში მყოფ ლენგდონს გამოიყენებდა.
სონიერსა და სილასს შორის საბედისწერო შეხვედრის მოწყობა ძალიან ადვილი იყო.
მე მაქვს სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისი ეშინია ყველაზე მეტად სონიერს.
გუშინ შუადღისას სილასმა კურატორს დაურეკა და გაეცნო როგორც თავგზააბნეული მღვდელი.
ბატონო სონიერ, მაპატიეთ, სასწრაფოდ უნდა დაგელაპარაკოთ. ვიცი, არ უნდა დავარღვიო აღსარების საიდუმლო, მაგრამამ შემთხვევაში ვგრძნობ, რომ ამის გაკეთება მომიწევს. ახლახანს მივიღე აღსარება ადამიანისგან, ვინც აღიარა, რომ თქვენი ოჯახის წევრები დახოცა.
სონიერის პასუხი შეშფოთებული, მაგრამ ფრთხილი იყო.
ჩემი ოჯახი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. პოლიციის დასკვნა ამას ამტკიცებს.
დიახ, საავტომობილო ავარია იყო, უთხრა სილასმა და ანკესი გადაუგდო, კაცმა, რომელსაც მე ველაპარაკე, თქვა, რომ მან გადააგდო მათი მანქანა გზიდან მდინარეში.
სონიერი ჩუმად იყო.
ბატონო სონიერ, მე არასოდეს დაგირეკავდით პირადად თქვენ, მაგრამ ამ კაცმა ახსენა რაღაც, რაც თქვენს უსაფრთხოებას ემუქრება, იგი შეჩერდა, კაცმა აგრეთვე ახსენა თქვენი შვილიშვილი სოფი.
სოფის სახელის ხსენებამ კატალიზატორივით იმოქმედა. კურატორი მაშინვე საქმეზე გადავიდა. მან უბრძანა სილასს, მასთან მისულიყო, მისი აზრით, ყველაზე უსაფრთხო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადგილას, ლუვრის ოფისში. შემდეგ დაურეკა სოფის, რომ გაეფრთხილებინა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. რობერტ ლენგდონთან შეხვედრა მაშინვე დავიწყებულ იქნა.
ახლა, როცა ლენგდონი სოფის მოშორდა და ოთახის სხვა მხარეს განმარტოვდა, თიბინგმა იგრძნო, რომ წარმატებით განაცალკევდა ეს ორი მეგობარი. სოფი ნევე მაინც არ დაემორჩილა, რობერტ ლენგდონმა კი შეძლო უფრო შორსმჭვრეტელი პოზიციის არჩევა. იგი პაროლის გამოცნობას ცდილობდა. მას ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია გრაალის პოვნა და მისი მონობიდან დახსნა.
იგი მას არ გაგიხსნის, უთხრა ცივად სოფიმ, კიდეც რომ შეძლოს.
თიბინგი ლენგდონს უთვალთვალებდა და თან იარაღი სოფისთვის ჰქონდა დამიზნებული. იგი დარწმუნებული იყო, რომ იარაღს ამჯერად გამოიყენებდა. ეს აზრი აწუხებდა. მე მას ყოველგვარი საშუალება მივეცი, სწორად მოქცეულიყო. გრაალი ყოველ ჩვენგანზე უფრო მნიშვნელოვანია.
ამ დროს ლენგდონი მოტრიალდა.
საფლავი, მის თვალებში მკრთალი იმედის ნაპერწკალი გაჩნდა. ვიცი, რა უნდა ვნახო ნიუტონის საფლავზე, ვფიქრობ, შევძლებ პაროლის პოვნას!
თიბინგს გული ძლიერად აუძგერდა.
სად რობერტ? მითხარი!
სოფიმ შეძრწუნებული ხმით დაიყვირა:
რობერტ, არა! შენ მის დახმარებას არ აპირებ, ასე არ არის? ლენგდონი მათ მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა, კრიპტექსი წინ გაშვერილი ეჭირა. არა,
თქვა მან და ლის მკაცრი მზერა ესროლა, არა, ვიდრე შენ არ გაგიშვებს.
თიბინგს ოპტიმიზმი ჩაუქრა.
რობერტ, ჩვენ ხომ ისე ახლოსა ვართ. არ გაბედო ჩემთან თამაში!
არავითარი თამაში, უთხრა ლენგდონმა, სოფი გაუშვი, შემდეგ წავიდეთ ნიუტონის საფლავთან. ჩვენ კრიპტექსს ერთად გავხსნით.
მე არსადაც არ მივდივარ, განაცხადა სოფიმ, მას სიბრაზისგან თვალები დაუვიწროვდა. ეს კრიპტექსი ბაბუამ მე დამიტოვა. ის თქვენი არ არის, თქვენ მას ვერ გახსნით.
ლენგდონი მისკენ შეტრიალდა შეშინებული.
სოფი, გთხოვ! შენ საფრთხეში ხარ, მე ვცდილობ დაგეხმარო!
როგორ? იმ საიდუმლოს გამოაშკარავებით, რომლის დასაცავადაც ბაბუამ სიცოცხლე გაწირა? ის შენ გენდო, რობერტ. მეც შენ მოგენდე!
ლენგდონს ცისფერი თვალები ახლა პანიკური შიშით ჰქონდა სავსე და თიბინგმა თავი ვერ შეიკავა. მას იმაზე გაეღიმა, რომ ეს ორი ადამიანი ერთმანეთის წინააღმდეგ მუშაობდა. ლენგდონის ცდა, გალანტური ყოფილიყო, განსაკუთრებით პათეტიკური იყო. ყველაზე დიდი საიდუმლოს გამოვლენის ზღვარზე დგას და ვიღაც ქალზე დარდობს, რომელიც ამ ძიების ღირსიც არ არის.
სოფი, შეევედრა ლენგდონი, ძალიან გთხოვ, შენ უნდა წახვიდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფიმ თავი გააქნია.
მე წავალ მაშინ, როდესაც ან კრიპტექსს მე გადმომცემთ, ან იატაკზე დაანარცხებთ.
რას ამბობ? სუნთქვა შეეკრა ლენგდონს.
რობერტ, ბაბუა ამ საიდუმლოს სამუდამოდ დაკარგვა ერჩივნა მკვლელის ხელში მის ჩაგდებას. სოფის თვალებიდან თითქოს ცრემლებს უნდა ეწვიმა, მაგრამ იგი არ ატირდა. პირდაპირ თიბინგს უყურებდა. მესროლე, თუ სხვანაირად არ შეგიძლია. მე ბაბუას მემკვიდრეობას შენს ხელში არ დავტოვებ.
ძალიან კარგი. თიბინგმა დაუმიზნა.
არა! დაიყვირა ლენგდონმა, ხელი ზევით ასწია ისე, რომ კრიპტექსი იატაკს დაუმიზნა, ლი, არც გაიფიქრო, მაშინვე ძირს დავაგდებ.
თიბინგმა გაიცინა.
ამ ტყუილმა რემიზე იმოქმედა, ჩემზე არა. მე შენ მასზე უკეთესად გიცნობ?
მართლა, ლი?
დიახ. შენს აუღელვებელ სახეს სამუშაო სჭირდება, მეგობარო, ცოტა დრო დამჭირდა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ტყუი. შენ წარმოდგენა არა გაქვს, სად არის ნიუტონის საფლავზე პასუხი.
სიმართლე მითხარი, რობერტ? იცი საფლავზე სად უნდა ეძებო პასუხი.
ვიცი. ლენგდონის თვალებში მერყეობამ გაიელვა, მაგრამ თიბინგმა მოასწრო ამის შენიშვნა.
ის ტყუოდა. სასწარკვეთილი, პათეტიკური გეგმა სოფის გადასარჩენად. თიბინგმა ღრმა იმედგაცრუება იგრძნო ლენგდონის მიმართ.
მე მარტოსული რაინდი ვარ, გარშემორტყმული უღირსი ადამიანებით. მეთვითონ უნდა ამოვხსნა ქვაკუთხედის გამოცანა.
ლენგდონი და ნევე ახლა უკვე მხოლოდ საშიშროებას წარმოადგენდნენ თიბინგისა და ბარძიმისთვის. როგორი მტკივნეულიც არ უნდა ყოფილიყო ეს გადაწყვეტილება, მას ეს სუფთა სინდისით უნდა გაეკეთებინა. ერთადერთი სირთულე იყო ლენგდონის დარწმუნება,
ძირს დაედო ქვაკუთხედი მშვიდობიანად, რომ თიბინგს ამ შარადის ბოლომდე გახსნა შესძლებოდა.
ნდობის გამოვლინება, თქვა თიბინგმა, იარაღი სოფის მოაშორა და ძირს დაუშვა, დადე ძირს კრიპტექსი და ვილაპარაკოთ.
ლენგდონმა იცოდა, რომ მისი ტყუილი არ დაიჯერეს.
თიბინგს სახეზე ეტყობოდა, რომ ახლა უნდა ემოქმედა. ამას ძირს დავდებ თუ არა, ორივეს დაგვხოცავს. სოფისთვის არც კი შეუხედავს, მაგრამ გრძნობდა სოფის ჩუმ სასოწარკვეთილ ვედრებას, რობერტ, ეს ადამიანი არ არის გრაალის ღირსი. გთხოვ, ხელში არ ჩაუგდო, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.
ლენგდონმა გადაწყვეტილება უკვე რამდენიმე წუთის წინ მიიღო, მაშინ, როდესაც მარტო იდგა ფანჯარასთან და კოლეჯის ბაღს გაჰყრებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა დავიცვა სოფი. უნდა დავიცვა ბარძიმი. ლენგდონი მზად იყო სასოწარკვეთილებისაგან ეყვირა. მაგრამ ვერ ვხედავ, როგორ!
სრული გულგატეხილობის მომენტებმა ადრე არნახული სიცხადე მოუტანა მას.
ჭეშმარიტება ზუსტად შენ თვალწინაა, რობერტ. მან არ იცოდა, საიდან მოევლინა გონების გაბრწყინება. ბარძიმი შენ არ დაგცინის, ის ღირსეულ პიროვნებას უხმობს.
თიბინგისგან რამდენიმე იარდის მანძილზე მდგომი ლენგდონი დაბლა დაიხარა, თითქოს მორჩილების ნიშნად და კრიპტექსი ქვის იატაკთან ძალიან ახლოს მიიტანა.
სწორია, რობერტ, ჩურჩულით უთხრა თიბინგმა და თან იარაღს უმიზნებდა, დადე ძირს. ლენგდონმა ზევით აიხედა, ჩეპტერჰაუსის გუმბათის პირდაღებული სიცარიელისკენ.
კიდევ უფრო დაიხარა, თვალი გაუსწორა მისთვის დამიზნებულ თიბინგის იარაღს.
ვწუხვარ, ლი.
ერთი სწრაფი მოძრაობით ლენგდონი წამოხტა, ხელი ზევით აიქნია და კრიპტექსი ზევით აისროლა, პირდაპირ გუმბათისკენ. ლი თიბინგმა ვერ იგრძნო, როგორ გამოჰკრა თითი ჩახმახს, მაგრამ "მედუზა"
გრუხუნით დაიცალა. ლენგდონის მოხრილი სხეული ახლა ვერტიკალურად გასწორდა, თითქოს მიწას მოსწყდა და ტყვია იატაკზე აფეთქდა იქ, სადაც მანამდე ლენგდონის ფეხი იყო. თიბინგის გონების ნაწილმა სცადა ხელახლა დაემიზნებინა იარაღი და განრისხებულმა მეორედ გაისროლა, მაგრამ მეორე, უფრო ძლიერმა ნაწილმა თვალები ზევით გუმბათისკენ ააწევინა.
ქვაკუთხედი იქ იყო!
დრო თითქოს გაიყინა, თითქმის სიზმარს ხედავდა შენელებული მოძრაობებით, თიბინგის მთელი სამყარო ზევით ასროლილ ქვაკუთხედში მოექცა. იგი უყურებდა, თუ როგორ მიაღწია ცილინდრმა თავისი ტრაექტორიის მწვერვალს... წამიერად შეჩერდა სიცარიელეში... და შემდეგ ქვევით წამოვიდა, პირდაპირ ქვის იატაკისკენ.
თიბინგის იმედები და ოცნებები მიწისკენ მოექანებოდა. მიწაზე არ უნდა დაეცეს! მე მას მივწვდები! თიბინგის სხეულის რეაქცია ინსტინქტური იყო. მან იარაღი ხელიდან გაადო და
წინ გაიწია, წინ გაიწვდინა რბილი, მოვლილი, მანიკურიანი ხელები, ყავარჯენიც დაუვარდა. გამოწვდილი მკლავებით და თითებით, მან ქვაკუთხედი ჰაერში დაიჭირა.
წინ გადავარდა და ხელში გმირულად ეჭირა ქვაკუთხედი. იცოდა, რომ ძალიან სწრაფად ვარდებოდა. მის ვარდნას წინ არაფერი ეღობებოდა და ამიტომ ჯერ წინ გაშვერილი ხელებით დაენარცხა ძირს. კრიპტექსი მთელი ძალით დაასკდა იატაკს.
ცილინდრში შუშის საზიზღარი ხრაშუნის ხმა გაისმა.
ერთი წამით თიბინგს ეგონა, რომ მოკვდა. გაჭიმული იწვა იატაკზე, მიშტერებოდა მკლავების სიგრძეზე დაშორებულ მარმარილოს ცილინდრს თავის ხელისგულებზე. იგი ევედრებოდა ცილინდრში მყოფ შუშის ჭურჭელს, არ გამოეშვა შიგ ჩასხმული სითხე. შემდეგ
ძმრის მძაფრი სუნი დადგა ჰაერში და თიბინგმა იგრძნო, რომ დისკოების ნახვრეტებიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელისგულებზე გრილი სითხე გადმოეღვარა.
თიბინგი მიხვდა, რომ ქვითინებდა. ბარძიმი დაიკარგა. ყველაფერი განადგურდა. ლენგდონის საქციელი დაუჯერებელი იყო. აცახცახებულმა სცადა, ძალით გაეხსნა ცილინდრი, უნდოდა, თვალი მაინც შეევლო ისტორიისთვის, ვიდრე იგი სამუდამოდ გაქრებოდა. თავისდა გასაოცრად, გვერდების გაწევისთანავე ცილინდრი ორ ნაწილად გაიყო.
მან პირი დააღო გაოცებისგან. შიგ ჩაიხედა. ის ცარიელი იყო. შიგ მხოლოდ დამსხვრეული შუშის სველი ნამსხვრევები ეყარა. იქ არავითარი დამდნარი პაპირუსი არ იდო. თიბინგი გადმობრუნდა და ლენგდონს შეხედა. სოფი ახლა ლენგდონის გვერდით იდგა და თიბინგს იარაღს უმიზნებდა.
თავგზააბნეულმა თიბინგმა ისევ ქვაკუთხედს შეხედა და დაინახა. დისკოები ახლა შემთხვევით ასოებზე აღარ იყო გაჩერებული. აქ ხუთასოიანი სიტყვა იკითხებოდა. ეს იყო ვაშლი.
ეს ის სფეროა, რომელიც ევამ ჩაკბიჩა, თქვა ცივად ლენგდონმა, ამით ღმერთის წმინდა რისხვა დაიმსახურა. პირველყოფილი ცოდვა. ეს არის წმინდა ქალის დაცემის სიმბოლო.
თიბინგს ეს ჭეშმარიტება გამანადგურებელი სიმკაცრით დაატყდა თავს. სფერო, რომელიც იქ უნდა იყოს. სფერო, რომელიც ნიუტონის საფლავზე უნდა ყოფილიყო მაგრამ
იქ არ იყო, ვარდისფერი ვაშლია, რომელიც ზეციდან ჩამოვარდა, ნიუტონს თავზე დაეცა და
მთელი მისი შემოქმედება შთააგონა. მისი შრომის ნაყოფი! ვარდისფერი ხორცი ნაყოფიერისაშოთი!
რობერტ, ბორძიკით წარმოთქვა გაოგნებულმა თიბინგმა, შენ ის გახსენი. სად... არის რუკა?
თვალის დახამხამებაში ლენგდონმა თავისი ტვიდის პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიყო ხელი და იქიდან ფრთხილად ამოაძვრინა სიფრიფანა დახვეული პაპირუსი. თიბინგისგან რამდენიმე იარდის დაშორებით, ლენგდონმა გახსნა პაპირუსი და დახედა. ხანგრძლივი წუთის შემდეგ, სახე მრავალმნიშვნელოვანმა ღიმილმა გადაუსერა.
მან იცის! თიბინგის გულით სწადდა თვითონ ჰქონოდა ეს ცოდნა. მისი ცხოვრების მიზანი მის წინ იყო. მითხარი! შეევედრა თიბინგი. გთხოვ! ო, ღმერთო, გემუდარები! ჯერ კიდევ არ არის გვიან!
ამ დროს მძიმე ნაბიჯის ხმა ქუხილივით გაისმა დერეფანში, ჩეპტერ ჰაუსისკენ ვიღაც მოდიოდა. ლენგდონმა მშვიდად დაახვია პაპირუსი და ისევ ჯიბეში ჩაიცურა.
არა! დაიყვირა თიბინგმა და ამაოდ შეეცადა წამოდგომას.
კარი ბრახუნით გაიღო და ბეზუ ფაში ისე შემოვარდა დარბაზში, როგორც ხარი არენაზე, მისმა ველურმა მზერამ სწრაფად მოათვალიერა გარემო თავისი მოსვლის მიზნის
ძიებაში. ეს იყო ლი თიბინგი. იგი საცოდავად ეგდო იატაკზე. ფაშმა შვებით ამოისუნთქა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პისტოლეტი დაინახა და სოფის მიუბრუნდა, აგენტო ნევე, ბოლოს და ბოლოს თქვენ და ბატონი ლენგდონი უსაფრთხოდ ხართ. ჩემთან უნდა მოსულიყავით, როდესაც გთხოვეთ. ბრიტანეთის პოლიცია ფაშს ფეხდაფეხ მოჰყვა. თიბინგი შეიპყრეს და ხელბორკილი დაადეს.

ფაშის დანახვაზე სოფი გაოგნდა.

როგორ გვიპოვეთ?

ფაშმა თიბინგზე მიუთითა.

შეცდომა დაუშვა, როდესაც სააბატოში შემოსვლისას თავისი პირადობის მოწმობა უჩვენა დაცვას. მათ გაიგონეს რადიოთი, რომ ჩვენ მას ვეძებთ.

ის ლენგდონს ჯიბეში აქვს! გიჟივით ყვიროდა თიბინგი, წმინდა ბარძიმის მოსაძებნი რუკა!

როდესაც თიბინგი ასწიეს და გარეთ გაჰყავდათ, მან თავი უკან მოაბრუნა და დაიყმუვლა.

რობერტ! მითხარი სად არის დამალული!

როდესაც თიბინგი მის გვერდზე გაატარეს, ლენგდონმა მას თვალებში ჩახედა.

მხოლოდ ღირსეული იპოვის ბარძიმს, ლი. ეს შენ მასწავლე.

თავი 102

კენსინგტონის ბაღებს ნისლი ფარავდა, როდესაც სილასი კოჭლობით შევიდა წყნარ ცარიელ ადგილას, გამვლელებისგან მოშორებით და სველ ბალახზე ჩაიმუხლა. გრძნობდა, როგორ მოედინებოდა თბილი სისხლის ნაკადი ნეკნებს ქვევით ნატყვიარიდან, მაინც პირდაპირ იყურებოდა.

ნისლი ზეცას ამგვანებდა იქაურობას.

სილასმა სისხლიანი ხელები სალოცავად აღაპყრო. ხედავდა, როგორ ეფერებოდა თითებზე წვიმის წვეთები და ათეთრებდა მათ. წვიმა უფრო გახშირდა. ახლა წვეთები მას ზურგსა და მხრებზეც ეცემოდა, იგი ხედავდა, როგორ ქრებოდა ნისლში ნაწილნაწილ მისი

სხეული.

მე მოჩვენება ვარ.

ნიავმა გადაუქროლა და თან მოიტანა ახალი ცხოვრების ნესტიანი, მიწიერი სურნელი. თავისი დანგრეული სხეულის ყოველი ცოცხალი უჯრედით ლოცულობდა სილასი. ლოცულობდა შემწყნარებლობისთვის, ლოცულობდა პატიებისათვის. და ყველაზე მეტად იგი ლოცულობდა თავისი მენტორისათვის ... ეს იყო ეპისკოპოსი არინგაროსა... ლოცულობდა, რომ ღმერთს იგი დროზე ადრე არ წაეყვანა. მას იმდენი საქმე დარჩა აქ გასაკეთებელი.

ნისლი ტრიალებდა მის ირგვლივ და სილასი ისე მსუბუქად გრძნობდა თავს, რომ დარწმუნებული იყო, ორთქლსაც კი შეეძლო მისი ატაცება. თვალები დახუჭა და საბოლოო ლოცვა წარმოთქვა.

სადღაც ნისლიდან მანუელ არინგაროსას ხმამ ჩასჩურჩლა...

ჩვენი ღმერთი კეთილი და მიმტევებელია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სილასის ტკივილმა ბოლოს და ბოლოს დაიწყო გაქრობა და მან იცოდა, რომ ეპისკოპოსი მართალი იყო.

თავი 103

უკვე ნაშუადღევი იყო, როდესაც ლონდონის მზემ გამოანათა და ქალაქმა გაშრობა დაიწყო. ბეზუ ფაში დაღლილი იყო. იგი დასაკითხი ოთახიდან გამოვიდა და ტაქსი გააჩერა. სერ ლი თიბინგმა ხმაურით განაცხადა, რომ უდანაშაულო იყო. და მაინც, მისი გაუგებარი მაღალფარდოვანი განცხადებებიდან წმინდა გრაალის, საიდუმლო დოკუმენტებისა და იდუმალი საძმოების შესახებ, ფაშს ეჭვი ჰქონდა, რომ ეს ეშმაკი ისტორიკოსი ნიადაგს უმზადებდა თავის ადვოკატს, რომ მას თიბინგის დაცვის არგუმენტად

მისი ფსიქიკური აშლილობა გამოეყენებია.

რასაკვირველია. ფიქრობდა ფაში. არანორმალურია. თიბინგმა უბადლო სიზუსტე გამოამჟღავნა. მან ისეთი გეგმა შეიმუშავა, რომელიც მისი ყოველი ნაბიჯის უდანაშაულობის გარანტიას იძლეოდა. მან გამოიყენა ვატიკანი და ოპუს დეი. ეს ორი ჯგუფი სრულიად უდანაშაულო აღმოჩნდა. თიბინგის ბინძური საქმე ფანატიკოსმა ბერმა და

სასოწარკვეთილმა ეპისკოპოსმა გააკეთეს. კიდევ უფრო ჭკვიანური ნაბიჯი ის იყო, რომ თიბინგმა ელექტრონული მოსასმენი პოსტი დააყენა იქ, სადაც პოლიომიელიტით დაავადებული ადამიანი ვერ შეძლებდა ასვლას. ფაქტობრივად, თვალთვალი მისი მსახურის, რემის მიერ ხორციელდებოდა. ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც იცოდა, ვინ იყო სინამდვილეში თიბინგი და რომელიც ახლა მკვდარი იყო ალერგიული შოკის შედეგად.

ამას ისეთი ადამიანი ვერ ჩაიდენდა, ვისაც შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები აქვს, ფიქრობდა ფაში.

კოლეს მიერ შატო ვილედან მოწოდებული ინფორმაცია ამტკიცებდა, რომ თიბინგი იმდენად ცბიერი იყო, რომ ფაშსაც კი შეეძლო მისგან ბევრი რამის სწავლა. პარიზის ერთ გავლენიან დაწესებულებაში მოსასმენი მიკროფონების დასამალად ამ ეშმაკმა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ძველი ბერძნების გამოცდილებას მიმართა. ტროას ცხენი. თიბინგის მომავალ მსხვერპლთაგან ზოგიერთმა ხელოვნების ნიმუში მიიღო საჩუქრად, ზოგმა აუქციონზე მოიგო თიბინგის მიერ იქ გამოტანილი განსაკუთრებული ნივთი.

სონიერის შემთხვევაში, კურატორმა შატო ვილედან მიიღო მიპატიჟება სადილზე, რომლის

დროსაც უნდა განეხილათ თიბინგის მიერ ლუვრის ახალი, ლეონარდო და ვინჩის ფრთის დაფინანსება. სონიერის მოსაწვევ ბარათს უვნებელი პოსტკრიპტუმი ჰქონდა. წერილის ავტორი თავის აღფრთოვანებას ვერ ფარავდა იმ რაინდის ფიგურით, რომელიც, ჭორებს თუ დავუჯერებთ, სონიერის გაკეთებული იყო. სადილზე თან მოიტანეთ, სთავაზობდა თიბინგი. სონიერი ასეც მოიქცა და თავისი რაინდი უყურადღებოდ იმდენ ხანს დატოვა, რამდენიც საკმარისი იყო, რომ რემი ლეგალუდეკს შიგ ერთი შეუმჩნეველი დამატება შეეტანა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა უკვე ტაქსიში მჯდომმა ფაშმა თვალები დახუჭა. კიდევ ერთი საქმე მაქვს მისახედი, სანამ პარიზში დავრუნდები.
წმინდა მარიამის საავადმყოფოს რეანიმაციის ოთახი მზიანი იყო.
ყველანი გაგვაოცეთ, უთხრა ექთანმა, რომელიც ღიმილით დაჰყურებდა, ასე სწრაფი და გასაოცარი არაფერი მინახავს.
ეპისკოპოსმა არინგაროსამ სუსტად გაიღიმა.
ყოველთვის თან მდევდა ღვთის კურთხევა.
ექთანმა ჭრილობის შეხვევა დაამთავრა და ეპისკოპოსი მარტო დატოვა. მზის სინათლე თბილად ესალბუნებოდა მის სახეს. წუხანდელი ღამე მის ცხოვრებაში ყველაზე ბნელი იყო.
დარდით გაიხსენა სილასი, რომლის გვამიც პარკში იპოვეს.
გემუდარები, მაპატიე, შვილო ჩემო.
არინგაროსას ძალიან უნდოდა, რომ სილასი მისი დიდებული გეგმის ნაწილი ყოფილიყო. მაგრამ წუხელ მას ბეზუ ფაშმა დაურეკა და კითხვები დაუსვა სენსიულპისში მოკლული მონაზვნის შესახებ. აინტერესებდა, რა კავშირი იყო მათ შორის. არინგაროსა მიხვდა, რომ ღამის მოვლენები შემზარავად განვითარდა. ცნობამ კიდევ ოთხი მკვლელობის შესახებ მისი შიში სასოწარკვეთილებად აქცია. სილას, რა ჩაიდინე! იგი მოძღვართან დაკავშირებას ვერ ახერხებდა და მიხვდა, გამომიყენეს და გადამაგდეს.
ერთადერთი გზა მისი დახმარებით ამოქმედებულ ამ საშინელ მოვლენათა ჯაჭვის შესაჩერებლად ფაშთან მისვლა და ყველაფრის აღიარება იყო. ამის მერე არინგაროსა და ფაში თავგამოდებით ცდილობდნენ სილასის შეჩერებას, სანამ მოძღვარი მას ახალ მკვლელობას ჩაადენინებდა.
დაღლილობისაგან არინგაროსამ თვალები დახუჭა. ტელევიზორში აშუქებდნენ ცნობილი ბრიტანელი რაინდის სერ ლი თიბინგის დაპატიმრებას. მოძღვარი ახლა ყველას წინ იყო გაშიშვლებული. თიბინგს ყური ჰქონდა მოკრული ვატიკანის გეგმებისათვის, რომ
აპირებდნენ ოპუს დეის გამოჰყოფოდნენ. მან აირჩია არინგაროსა, როგორც თავისი გეგმის საუკეთესო პაიკი. ბოლოს და ბოლოს, რეალურად ვინ გადაეშვება ბრმად წმინდა გრაალის ძიების მორევში, თუ არა ადამიანი, რომელიც ჩემსავით ყველაფერს კარგავს?
გრაალი უსაზღვრო ძალაუფლებას მოუტანს ნემისმიერს, ვინც კი მას დაეუფლება. ლი თიბინგი ეშმაკურად ფარავდა თავის ნამდვილ ვინაობას ყალბი ფრანგული
აქცენტით ლაპარაკობდა, უაღრესად ღვთისმოშიში გულის პატრონს განასახიერებდა და ითხოვდა ყველაფერში იმას, რაც საერთოდ არ სჭირდებოდა ფულს. არინგაროსა
უკიდურესად მოწადინებული იყო, თავისი მიზნისთვის მიეღწია და ამიტომ ეჭვიც არაფერში
შეჰპარვია. ფასი ოცი მილიონი ევრო უმნიშვნელო იყო, თუ იმას შევადარებთ, რასაც ბარძიმის ფლობა ნიშნავს. ვატიკანის გამოსასყიდი თანხის გათვალისწინებით კი ძალიან კარგი ფინანსური ოპერაცია გამოდიოდა. ბრმა ხედავს იმას, რისი დასახვაც უნდა.
თიბინგის საბოლოო მოთხოვნა, რომ გადაეხადათ ვატიკანის ობლიგაციებით, რა თქმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა, იმასნიშნავდა, რომ გამოძიების შემთხვევაში პოლიციას ეს რომთან მიიყვანდა.
მიხარია, რომ კარგად ხართ, ჩემო მეუფეო.
არინგაროსამ იცნო უხეში ხმა, კარიდან რომ მოესმა, მაგრამ სახე მოულოდნელი აღმოჩნდა მკაცრი, ღონიერი ნაკვთები, უკან გადასლეკილი თმა და მუქი პიჯაკიდან წამოწეული ფართო კისერი.
კაპიტანი ფაში ბრძანდებით? ჰკითხა არინგაროსამ. თანაგრძნობამ და ზრუნვამ, რომელიც კაპიტანმა არინგაროსას მიმართ გასულ ღამეს გამოამჟღავნა, მის წარმოდგენაში უფრო რბილი გარეგნობა დახატა.
კაპიტანი მიუახლოვდა მის საწოლს და ნაცნობი მძიმე შავი პორთფელი დადო სკამზე.
ვფიქრობ, ეს თქვენ გეკუთვნით.
არინგაროსამ შეხედა დიპლომატს, რომელიც სავსე იყო ობლიგაციებით და მაშინვე განზე გაიხედა. იგი მხოლოდ სირცხვილს გრძნობდა.
დიახ. გმადლობთ, იგი შეჩერდა, თითებით საბნის ნაკერს აწვალებდა. შემდეგ გააგრძელა. კაპიტანო, მე ბევრი ვიფიქრე და მინდა ერთი რამ გთხოვოთ.
რა თქმა უნდა.
ის ოჯახები, ვისაც პარიზში სილასმა... იგი ისევ დუმდა. ძალიან ღელავდა. ვიცი, არავითარი თანხა არ იქნება საკმარისი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. და მაინც, იქნებ სამსახური გამიწიოთ და ეს თანხა გარდაცვლილთა ოჯახებს გაუნაწილოთ.
ფაში დიდხანს ყურადღებით უყურებდა მუქი თვალებით.
სათნო ჟესტია, მეუფეო. მე ყურადღებას მივაქცევ, რომ თქვენი სურვილი ასრულდეს.
მათ შორის მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.
ტელევიზორში კაფანდარა ფრანგი პოლიციელი პრესკონფერენციას ატარებდა უზარმაზარი სასახლის წინ. ფაშმა დაინახა, ვინც იყო და ეკრანს მიაპყრო ყურადღება.
ლეიტენანტო კოლე, მიმართა ბიბისის კორესპონდენტმა დამადანაშაულებელი ტონით, გუშინ ღამით თქვენმა კაპიტანმა ორ უდანაშაულო ადამიანს საჯაროდ დააბრალა
მკვლელობა. აპირებენ თუ არა რობერტ ლენგდონი და სოფი ნევე, პასუხი მოსთხოვონ თქვენს დეპარტამენტს? კაპიტანი ფაში ამის გამო დაკარგავს სამსახურს?
ლეიტენანტ კოლეს დაღლილი, მაგრამ მშვიდი ღიმილი ჰქონდა.
ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, კაპიტანი ფაში შეცდომას იშვიათად უშვებს. მე მასთან ამის თაობაზე ჯერ არ მილაპარაკია, რადგანაც ვიცი, როგორ მოქმედებს იგი, ეჭვი მაქვს, რომ ბატონ ლენგდონისა და აგენტ ნევეს საჯარო დევნა ჭეშმარიტი მკვლელის გამოსატყუებელი ეშმაკობის ნაწილი იყო.
რეპორტიორებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.
კოლემ გააგრძელა: არ ვიცი, ბატონი ლენგდონი და აგენტი ნევე თავისი ნებით იღებდნენ თუ არა მონაწილეობას ამ თამაშში. კაპიტანი ფაში თავის შემოქმედებით მეთოდებზე სახალხოდ არ ლაპარაკობს ხოლმე. მე მხოლოდ ის შემიძლია დავადასტურო, რომ კაპიტანმა ფაშმა წარმატებით დააკავა დამნაშავე და ისიც, რომ ბატონი რობერტ ლენგდონი და აგენტი ნევე ორივე უდანაშაულოა და ახლა უსაფრთხო ადგილას არიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფაშს ოდნავი ღიმილი შეეტყო ტუჩებზე, როდესაც იგი არინგაროსას მიუბრუნდა, კარგი კაცია ეს კოლე.
რამდენიმე წუთი გავიდა. ბოლოს, ფაშმა შუბლზე ხელი გადაისვა, გადაისლიკა უკან თმა და თან არინგაროსას უყურებდა.
მეუფეო, სანამ პარიზში დავბრუნდები, არის კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მინდა დაგელაპარაკოთ ესაა თქვენი მოულოდნელი გაფრენა ლონდონში. თქვენ ქრთამი შეთავაზეთ პილოტს, რომ კურსი შეეცვალა. ამით თქვენ რამდენიმე საერთაშორისო კანონი
დაარღვიეთ.
არინგაროსამ მოიწყინა.
მე სასოწარკვეთილი ვიყავი.
დიახ, ისევე, როგორც პილოტი, როდესაც ჩემმა ბიჭებმა დაჰკითხეს. ფაშმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ამოიღო მუქი წითელი ამეთვისტოსთვლიანი ბეჭედი, რომელზეც ნაცნობი
მიტრისა და საეპოსკოპოსო კვერთხის გამოსახულება იყო ამოტვიფრული.
არინგაროსას ცრემლები წასკდა, როდესაც ბეჭედი მიიღო და თითზე წამოიცვა.
თქვენ უაღრესად კეთილი ადამიანი ბრძანდებით, მან ფაშს ხელი მაგრად ჩამოართვა, გმადლობთ.
ფაში ფანჯარასთან მივიდა და ქალაქს გახედა. მისი აზრები აშკარად აქედან ძალიან შორს იყო. როდესაც მოტრიალდა, იგი თითქოს რაღაცით იყო შეწუხებული.
მეუფეო, აქედან სად წახვალთ?
არინგაროსას ზუსტად იგივე კითხვა დაუსვეს წინა ღამით, როცა კასტელ განდოლფოს ტოვებდა.
ეჭვი მაქვს, რომ თქვენი გზაც ისევე გაურკვეველია, როგორც ჩემი.
დიახ, ფაში შეჩერდა, ვფიქრობ, ადრე გავალ პენსიაზე.
არინგაროსამ გაიღიმა.
ცოტაოდენი რწმენა, კაპიტანი, საოცრებებს ახდენს. ცოტაოდენი რწმენა.
თავი 104
როსლინის სამლოცველო, რომელსაც ხშირად ,,კოდების'' ტაძრად იხსენიებენ, შოტლანდიაში, ედინბურგიდან შვიდი მილით სამხრეთით, მითრას უძველესი ტაძრის ადგილზე დგას. ის 1446 წელს ააგეს ტამპლიერებმა. ტაძარი უხვადაა მორთული ებრაული,
ქრისტიანული, ეგვიპტური, მასონური და წარმართული სიმბოლოების გამომსახველი ჩუქურთმებით, რომლებშიც ძალიან ძნელია რაიმე კანონზომიერების შემჩნევა.
ტაძრის გეოგრაფიული კოორდინატები ზუსტად ემთხვევა მერიდიანს, რომელიც გლასტონბერიზე გადის. ეს გრძედზე გაჭიმული ვარდის ხაზი ტრადიციულად მეფე არტურის
კუნძულ ავალონს აღნიშნავდა და ბრიტანული საკრალური გეომეტრიის სიმბოლოებს უკავშირდება. სწორედ ამ საკრალური ვარდის ხაზიდან წარმოიქმნა მისი სახელი Rosslyn,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც თავდაპირველად იწერებოდა როგორც Roslin.
მწუხრი იყო და არემარეს როსლინის წვეტიანი გუმბათების დაგრძელებული უსწორმასწორო ჩრდილები ეფინებოდა. რობერტ ლენგდონმა და სოფი ნევემ ნაქირავები მანქანა გააჩერეს კემპინგის ბალახიან მოედანზე იმ ციცაბო კლდის ძირში, რომელზეც ტაძარი იყო აღმართული. ლონდონიდანედინბურგში ხანმოკლე ფრენის განმავლობაში მათ შეძლეს დასვენება, თუმცა არც ერთს
არ დაუძინია იმის მოლოდინში, რაც წინ ელოდათ. ლენგდონი ღრუბლიანი ცის ფონზე გამოკვეთილ მკაცრ ნაგებობას შესცქეროდა და თავს ისე გრძნობდა, როგორც კურდღლის სოროში თავქვე გადაშვებული ალისა. ეს სიზმარია. მაგრამ მან ხომ ზუსტად იცოდა, რომ სონიერის ბოლო ცნობა სწორედ შენობაზე მიუთითებდა.
წმინდა გრაალი თქვენ როსლინის ძველ
ჩრდილში გელით.
მანამდე ლენგდონს წარმოედგინა, რომ სონიერი მათ რუკას, დიაგრამას, ნახაზს დაუტოვებდა, სადაც Xით იქნებოდა აღნიშნული საჭირო ადგილი. სინამდვილეში პრიორატის ბოლო საიდუმლო იმავე სახისა აღმოჩნდა, როგორიც სონიერის ყველა დანარჩენი გამოცანა. მარტივი ლექსი. ოთხი არაორაზროვანი სტრიქონი უეჭველად სწორედ ამ ადგილზე მიუთითებდა. გარდა იმისა, რომ აქ როსლინი იყო სახელდებული, ლექსში ამ ტაძრის რამდენიმე ცნობილი არქიტექტურული თავისებურებაც მოიხსენიებოდა.
სონიერის ბოლო შეტყობინება სრულიად გასაგები იყო, და მაინც, ლენგდონი თავს მშვიდად გრძნობდა. მას ეჩვენებოდა, რომ როსლინის მანძილზე ჩურჩულით ამბობდნენ, რომ ამ ქვის ტაძარშია დამალული წმინდა ბარძიმი. ბოლო ათწლეულებში ჩურჩული ხმამაღლა ყვირილმა შეცვალა. ეს მას მერე მოხდა, რაც მძლავრი რადარის საშუალებით ტაძრის ქვეშ გასაოცარი სტრუქტურები აღმოაჩინეს. ეს იყო მასიური მიწისქვეშა დარბაზი. ამ ღრმა საცავმა არა მარტო დაჩრდილა მის ზევით აღმართული ტაძარი, არამედ აღმოჩნდა, რომ მას არც შესასვლელი ჰქონდა და არც გამოსასვლელი. არქეოლოგებმა ითხოვეს ამ კლდის აფეთქების ნებართვა, რათა ამ იდუმალ დარბაზში შეეღწიათ. მაგრამ როსლინის საზოგადოებამ გარკვევით აუკრძალა ყველას ნებისმიერი სახის გათხრების ჩატარება ამ წმინდა ადგილზე. რა თქმა უნდა, ამან კიდევ უფრო გააღვივა წინანდელი ვარაუდები. რის დამალვას ცდილობდა როსლინის საზოგადოება?
როსლინი ახლა საიდუმლოების მაძიებელი პილიგრიმების სანუკვარ ოცნებად ქცეულიყო. ზოგი ამტკიცებდა, რომ ეს ადგილი ამ კოორდინატებზე დაფიქსირებული მაგნიტური ველის გამო იზიდავდა, ზოგი მიმდებარე გორაკებში დამალული მიწისქვეშა დარბაზის შესასვლელს ეძებდა, მაგრამ უმრავლესობა იფიცებოდა, რომ არემარის დასათვალიერებლად და წმინდა გრაალის შესახებ ცოდნის მისაღებად იყო ჩამოსული. თუმცა ლენგდონი როსლინში ადრე არასდროს ყოფილა, მაგრამ მას ყოველთვის ეცინებოდა, როდესაც ამ ტაძრის გრაალის ახლანდელ სავანედ ახასიათებდნენ. მართალია, როსლინი შეიძლება ოდესღაც იყო კიდეც ბარძიმის ადგილსამყოფელი, მაგრამ დღეს ვერ იქნებოდა. გასულ ათწლეულებში მეტისმეტად დიდ ყურადღებას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იჩენდნენ როსლინის მიმართ და ადრე თუ გვიან ვინმე იპოვიდა გზას მის მიწისქვეშა დარბაზში შესაღწევად.
გრაალის ჭეშმარიტი მკვლევრები შეთანხმდნენ, რომ როსლინი იყო მახე ერთერთი მიხვეულმოხვეული ჩიხი, რომელიც პრიორატმა ასე ოსტატურად შექმნა. თუმცა ამღამით, როცა ხელში პრიორატის ქვაკუთხედი ეჭირა ზუსტი მინიშნებით, ლენგდონმა მერყეობა იგძნო. მთელი დღის განმავობაში მას ერთი მეტად დამაფიქრებელი შეკითხვა უტრიალებდა თავში:
რატომ იწვალა სონიერმა ამდენი, რომ ამ აშკარა ადგილას მოვეყვანეთ?
აქ მხოლოდ ერთი ლოგიკური პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო.
როსლინში არის რაღაც, რის გაგებაც ჩვენ ჯერ კიდევ მოგვიწევს.
რობერტ! სოფი მანქანასთან იდგა და მას უყურებდა, მოდიხარ?
მას ხელში ეჭირა ვარდის ხის ზარდახშა, რომელიც მათ კაპიტანმა ფაშმა დაუბრუნა.
ზარდახშაში ხელახლა აწყობილი ორივე კრიპტექსი იდო, ზუსტად ისევე, როგორც იპოვეს.
მის შუაგულში კი უსაფრთხოდ იყო ჩაკეტილი ლექსიანი პაპირუსი. ამ კომპლექტს მხოლოდ
დამსხვრეული ძმრიანი ჭურჭელი აკლდა. ლენგდონი და სოფი გრძელ ქვიშიან ბილიკს ზევით მიუყვებოდნენ და ჩაუარეს ტაძრის
ცნობილ დავლეთის კედელს. აქ შემთხვევით მოხვედრილი ტურისტები ფიქრობდნენ, რომ
ეს გამოშვერილი კედელი ტაძრის დაუმთავრებელი ნაწილია. სიმართლე კი, როგორც ლენგდონს ახსოვდა, უფრო საინტერესო იყო.
ეს იყო სოლომონის ტაძრის დასავლეთის კედელი.
ტამპლიერებმა როსლინის ტაძარი ააშენეს როგორც იერუსალიმის სოლომონის ზუსტი ასლი. სრულყოფილი სახე ამ ტაძარს დასავლეთის კედლიანად ჰქონდა. ამას ემატებოდა ვიწრო სწორკუთხოვანი ეკვდერი და მიწისქვეშა დარბაზი, სწორედ ისეთი, როგორიც იერუსალიმისწმიდათაწმიდაა, სადაც ოდესღაც ცხრა რაინდმა პირველად ამოთხარა მიწიდან უძვირფასესი განძი. ლენგდონი იძულებული იყო ეღიარებინა: თვით ეს პარალელიზმი მოწმობდა იმას, რომ ტამპლიერებმა შოტლანდიაში წმინდა გრაალის უფრო თანამედროვე საცავი ააშენეს უძველესის მსგავსად.
როსლინის ტაძრის შესასვლელი მოსალოდნელზე უფრო მოკრძალებული აღმოჩნდა. პატარა ხის კარს ჰქონდა ორი რკინის ანჯამა და მუხის ხისგან დამზადებული მარტივი აბრა.
ROSLIN ლენგდონმა აუხსნა სოფის, რომ ეს ძველებური დაწერილობა იყო, რომელიც მერიდიანის, ანუ ვარდის ხაზის სახელიდან მომდინარეობს: გრაალის ისტორიის მკვლევარებს ისიც სჯეროდათ, სახელწოდებით ,,Line of Rose”. აღინიშნებოდა მარიამ მაგდალინელის შთამომავლობა.
ტაძარი მალე იკეტებოდა. როცა ლენგდონმა კარი გააღო, შიგნიდან თბილი ჰაერის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაკადი გამოვიდა, თითქოს ამ უძველესმა შენობამ დაღლით ამოისუნთქა გრძელი სამუშაო
დღის ბოლოს. მისი შესასვლელის თაღები დახუნძლული იყო ქვაში ამოკვეთილი
ხუთფურცელებით.
ვარდები. ქალღმეთის საშო.
ისინი ერთად შევიდნენ ტაძარში. ლენგდონმა ხარბი მზერა მოავლო იქაურობას,
თითქოს ყველაფრის ერთიანად ჩატევას ლამობდა. თუმცა წაკითხული ჰქონდა როსლინის
ოსტატურად ამოკვეთილი ქვის ორნამენტების შესახებ, მაგრამ თვალნათლივ ნახვა
გაცილებით უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა.
სიმბოლოლოგთა სამოთხე, როგორც ლენგდონის ერთმა კოლეგამ უწოდა მას.
ტაძრის მთელი ზედაპირი სიმბოლოებით იყო მოფენილი ქრისტიანული ჯვრებით,
ებრაული ვარსკვლავებით, მასონური ბეჭდებით, ტამპლიერთა ჯვრებით, ,,სიუხვის რქებით''
პირამიდებით, ასტროლოგიური ნიშნებით, მცენარეებით, ბოსტნეულით, ხუთქიმიანი
მაგიური ფიგურებითა და ვარდებით. ტამპლიერები უზადო ქვის მთლელები იყვნენ. მთელი
ევროპა მათ მიერ აგებული ტემპლის ეკლესიებით იყო მოფენილი, მაგრამ როსლინი მათი
სიყვარულისა და თაყვანისცემის ყველაზე ამაღლებული შედეგი იყო. ქვის მთლელს არც
ერთი ქვა არ დაუტოვებია ორნამენტის გარეშე. როსლინის ტაძარი იყო ყველა რწმენის,
ტრადიციისა და, ძირითადად, ბუნებისა და ქალღმერთის სათაყვანებლად აგებული
სალოცავი.
ტაძარი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ ტურისტთა პატარა ჯგუფი უსმენდა
ყურადღებით ახალგაზრდა კაცს. ეს, როგორც ჩანს, ამ დღის ბოლო ექსკურსია იყო. გიდს
ტურისტები ცნობილი მარშრუტით მიჰყავდა ერთადერთი წერტილისკენ ეს იყო გზა,
რომელიც უხილავი ძაფით აერთიანებდა ექვს ძირითად არქიტექტურულ წერტილს.
ტურისტთა თაობებს უვლიათ ამ წრფივ მონაკვეთებზე. ამ ხაზებით შეერთებული
წერტილებით ადამიანთა უთვალავი ნაკვალევით იატაკზე გამოიკვეთა უზარმაზარი
სიმბოლო.
დავითის ვარსკვლავი, გაიფიქრა ლენგდონმა. შემთხვევითი არ უნდა იყოს. ის
ცნობილია, აგრეთვე, როგორც სოლომონის ბეჭედი. ექვსქიმიანი ფიგურა ოდესღაც
ვარსკვლავთმრიცხველი ქურუმების ნიშანი იყო და მოგვიანებით ისრაელის მეფეებმა,
დავითმა და სოლომონმა, ის ძალაუფლების სიმბოლოდ აქციეს.
გიდმა დაინახა, რომ ლენგდონი და სოფი შემოვიდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე
დაკეტვის დრო იყო სასიამოვნო ღიმილი შეაგება და ანიშნა, თავისუფლად შეგიძლიათ
ყველაფერი დაათვალიეროთო.
ლენგდონმა მადლობის ნიშნად თავი დაუქნია და ტაძრის სიღრმისკენ წავიდა. სოფი კი
დაბმულივით იდგა შემოსასვლელში და სახეზე დაბნეულობა ეტყობოდა.
რა მოხდა? ჰკითხა ლენგდონმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფი ტაძარს მიშტერებოდა. მე მგონი, აქ ნამყოფი ვარ.
ლენგდონს გაუკვირდა. მაგრამ შენ ხომ თქვი, როსლინის შესახებ არც კი გამიგიაო.
არ გამიგია, მან ყურადღებით მოავლო თვალი ტაძარს. იგი სულაც არ იყო დარწმუნებული, ეტყობა, ბაბუას მოვუყვანივარ აქ, ძალიან პატარა რომ ვიყავი. არ ვიცი. ძალიან ნაცნობია აქ ყველაფერი, და როდესაც ოთახს ყურადღებით მოავლო თვალი, ახლა უფრო დარწმუნებით მოჰყვა თავის ქნევას.
დიახ, მან მონასტრის შემოსასვლელისკენ გაიშვირა ხელი, აი, ის ორი სვეტი ნამდვილად მინახავს.
ლენგდონმა შეხედა ორ მოჩუქურთმებულ სვეტს მონასტრის შორეულ ნაწილში. მათ თეთრი მანქანის მსგავს ჩუქურთმებს ძოწისფრად ღებავდა დასავლეთის სარკმლიდან შემოსული დაისის სხივი. სვეტები იდგა იქ, სადაც ჩვეულებრივ საკურთხეველი უნდა ყოფილიყო. მეტად უცნაური წყვილი ჩანდა. მარცხენა სვეტი მოჩუქურთმებული იყო მარტივი, ვერტიკალური ხაზებით, მარჯვენა კი ყვავილოვანი სპირალით.
სოფი უკვე იქითკენ მიდიოდა. ლენგდონი ჩქარი ნაბიჯით შეეცადა დასწეოდა და როდესაც სვეტებს მიაღწიეს, სოფი უკვე თავს იქნევდა ეჭვით.
სრულიად დარწმუნებული ვარ. მე ეს მინახავს!
ეჭვი არ მეპარება, რომ გინახავს, თქვა ლენგდონმა, მაგრამ აუცილებელი არ არის რომ აქ გენახა.
სოფი მისკენ მოტრიალდა.
რას გულისხმობ?
ეს ორი სვეტი ისტორიაში ყველაზე ხშირად კოპირებული არქიტექტურული სტრუქტურაა. მათი ასლები მთელ მსოფლიოში არსებობს.
როსლინის ასლები? მან ეჭვით შეხედა ლენგდონს.
არა, სვეტებისა. გახსოვს მე ადრე გითხარი, რომ როსლინი თვითონ არის სოლომონის ტაძრის ასლი? ის ორი სვეტი ზუსტი ასლია იმ ორი სვეტისა, რომლებიც სოლომონის ტაძარში იდგა. ლენგდონმა მიუთითა მარცხენა სვეტზე, ებრაულად ამას ჰქვია Boaz, ანუ ქვის მთელი სვეტი. მეორეს კი Jachin, ანუ შეგირდის სვეტი, იგი გაჩერდა, მსოფლიოში პრაქტიკულად ყოველ მასონურ ტაძარშიაორი ასეთი სვეტი.
მას უკვე მოყოლილი ჰქონდა ტამპლიერების ძლიერი ისტორიული კავშირების შესახებ თანამედროვე მასონურ საიდუმლო საზოგადოებასთან. ამ საზოგადოებების წევრობის ძირითადი ხარისხები იყო შეგირდი მასონი, კოლეგახელოსანი მასონი და მაგისტრი მასონი. ეს კი გვაბრუნებს ძველ, ტამპლიერების დროსთან. სოფის ბაბუას ბოლო ლექსი პირდაპირ ახსენებდა მაგისტრ მასონებს, რომელთაც მორთეს როსლინი შესანიშნავი ჩუქურთმებით. ის ასევე ახსენებდა როსლინის ცენტრალურ ჭერს, რომელიც ვარსკვლავებისა და პლანეტების ამსახველი ჩუქურთმებით იყო დაფარული.
მე არასდროს ვყოფილვარ მასონურ ტაძარში, თქვა სოფიმ. ის ისევ სვეტებს უყურებდა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ეს აქ მინახავს, იგი უკან მიტრიალდა, თითქოს რაღაცას ეძებდა, რითაც თავისი მეხსიერების გამოცოცხლება უნდოდა.
ტურისტები ახლა უკვე მიდიოდნენ და ახალგაზრდა გიდი მათკენ წამოვიდა სახეზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სასიამოვნო ღიმილით. ეს იყო სიმპათიური უცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდა კაცი, შოტლანდიურ უხეშყელიან ფეხსაცმელში და მოწითალო ჩალისფერი თმით. დღეს მე უკვე
ვამთავრებ მუშაობას. დაგეხმაროთ რამის მოძებნაში?
წმინდა გრაალზე რას იტყოდით? უნდოდა ეთქვა ლენგდონს.
კოდი, წამოსცდა სოფის, იგი უცებ მიხვდა, აქ კოდია!
გიდი ნასიამოვნები იყო მისი დაინტერესებით.
დიახ, ქალბატონო.
ის ჭერზეა, თქვა სოფიმ და მიტრიალდა მარჯენა კედლისკენ. სადღაც... იქ.
გიდმა გაიღიმა.
თქვენ, გეტყობათ, პირველად არ ხართ როსლინში.
კოდი, გაიფიქრა ლენგდონმა. მას დავიწყებოდა ეს პატარა ნიუანსი. როსლინის
მრავალრიცხოვან საოცრებებს შორის იყო გუმბათოვანი თაღიანი გასასვლელი, მისი
გამოშვერილი ქვის ბლოკები ქვევით ეშვებოდნენ და ქმნიდნენ უცნაურ მრავალწახნაგოვან
ზედაპირს. თითოეულ ბლოკზე ამოტვიფრული იყო ერთი სიმბოლო, თითქოს შემთხვევითი
სურათი, რაც ქმნიდა წარმოუდგენელი პროპორციების შიფრს. ზოგი თვლიდა, რომ კოდი
აჩვენებდა შესასვლელს ტაძრის ქვეშ არსებულ სიცარიელეში. სხვები ფიქრობდნენ, რომ ის
ბარძიმის ლეგენდას ყვებოდა. არავინ იცოდა, რომელი იყო მართალი. კრიპტოგრაფიები
საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ ამ კოდის გახსნას, მაგრამ ამაოდ. როსლინის
საზოგადოებამ გულუხვი ანაზღაურებაც კი შესთავაზა ნებისმიერს, ვინც საიდუმლო
მნიშვნელობას გამოავლენდა, მაგრამ კოდი მაინც გაუხსნელი რჩებოდა.
მე მოხარული ვიქნებოდი მეჩვენებინა...
გიდის ხმა სადღაც შორს დაიკარგა.
ჩემი პირველი კოდი. გაიფიქრა აღელვებულმა სოფიმ და მარტო გაემართა
კოდირებული თაღისკენ. ვარდის ხის ზარდახშა ლენგდონს გადასცა და იგრძნო, რომ
მყისვე დაივიწყა წმინდა გრაალი, სიონის პრიორატი და გასული ღამის ყველა ფათერაკი.
როდესაც კოდირებულ ჭერს მიაღწია და თავს ზემოთ სიმბოლოები დაინახა, მოგონებები
ნიაღვარივით წამოვიდა. სოფის ახსენდებოდა თავისი პირველი სტუმრობა ამ ტაძარში და
ამან უცნაურად დაანაღვლიანა.
სოფი პატარა გოგო იყო... მისი ოჯახის დაღუპვიდან შეიძლება ერთ წელიწადზე ცოტა
მეტი იყო გასული. ბაბუამ იგი ხანმოკლე არდადეგებზე შოტლანდიაში ჩაიყვანა. პარიზში
დაბრუნებადმე ისინი როსლინის ტაძარს ესტუმრნენ. გვიანი საღამო იყო და ტაძარი უკვე
დახურული იყო, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ შიგ იყვნენ.
შეიძლება, სახლში წავიდეთ, Grandpère? ეხვეწებოდა დაღლილი სოფი.
მალე წავალთ, ძვირფასო, ძალიან მალე, ბაბუას სევდიანი ხმა ჰქონდა, ერთი,
ბოლო რამ მაქვს აქ გასაკეთებელი. მანქანაში ხომ არ დაიცდიდი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ვინმეს უნდა შეხვდე?
ბაბუამ თავი დაუქნია.
შეიძლება, მე კიდევ ერთხელ გავშიფრო თაღოვანი გამოსასვლელის კოდი? სასაცილო იყო.
არ ვიცი. მე გარეთ უნდა გავიდე. მარტოს აქ არ შეგეშინდება?
რა თქმა უნდა, არა! უპასუხა ნაწყენი ხმით სოფიმ, ჯერ არც კი დაბნელებულა!
ბაბუამ გაიღიმა.
ძალიან კარგი, მან სოფი იმ თაღოვან გასასვლელთან მიიყვანა, ადრე რომ აჩვენა.
სოფი მაშინვე დაწვა ქვის იატაკზე. ზურგზე დაწვა და ზევით გაშლილი რებუსის ნაწილებს მიაშტერდა.
მე ამ კოდს გავხსნი სანამ შინ დაბრუნდები!
ესე იგი, შეჯიბრი გვაქვს, ბაბუა დაიხარა, შუბლზე აკოცა და მახლობელი გვერდით კარისკენ წავიდა, მე აქვე ვიქნები, გარეთ. კარს ღიას დავტოვებ. თუ დაგჭირდები, უბრალოდ დამიძახე, იგი საღამოს რბილ სინათლეში გავიდა.
სოფი იატაკზე იწვა და კოდს აჰყურებდა. მას თანდათან ძილი მოერია. რამდენიმე წამის შემდეგ სიმბოლოები უკვე ცუდად ჩანდა, ხოლო შემდეგ საერთოდ გაუჩინარდა.
სოფის რომ გაეღვიძა, იატაკის სიცივე იგრძნო.
Grandpère?
არავინ უპასუხა. სოფი ადგა და ტანსაცმელი ჩამოიბერტყა. გვერდითი კარი ისევ ღია იყო. ბნელდებოდა. სოფი გარეთ გავიდა და დაინახა ბაბუა, რომელიც ახლოს იდგა, ზუსტად ეკლესიის უკან მდგარი ქვის სახლის შესასვლელთან. იგი წყნარად ესაუბრებოდა
ადამიანს, რომელიც ძლივს მოჩანდა გამჭვირვალე ბადით დაფარული კარის უკან.
Grandpère? დაუძახა სოფიმ.
ბაბუა მოტრიალდა და ხელი დაუქნია, ანიშნა, კიდევ ერთი წუთით მომიცადეო. შემდეგ რაღაც საბოლოო სიტყვები უთხრა აუჩქარებლად კარის უკან მყოფ ადამიანს დაკოცნა გაგზავნა გამჭვირვალე ბადით დაფარული კარისკენ. სოფისთან რომ მივიდა, თვალები ცრემლიანი ჰქონდა.
რატომ ტირი, Grandpère?
ბაბუამ იგი ხელში აიყვანა და გულში მაგრად ჩაიკრა.
ოჰ, სოფი, მე და შენ წელს ბევრ ადამიანს დავემშვიდობეთ. ეს ძნელია.
სოფის გაახსენდა უბედური შემთხვევა, დედას და მამას, ბებიას და ჩვილ ძმას როგორ დაემშვიდობა. ახლა შენ კიდევ ერთ ადამიანს ემშვიდობები?
ძვირფას მეგობარს, რომელიც ძალიან მიყვარს, უპასუხა ბაბუამ გრძნობებისგან დამძიმებული ხმით, და ვფიქრობ, რომ ამ ქალბატონს ძალიან დიდხანს ვეღარ ვნახავ.
გიდთან ერთად მდგარი ლენგდონი ყურადღებით ათვალიერებდა ტაძრის კედლებს და გრძნობდა, თანდათან როგორ ეუფლებოდა ეჭვი. ეს შეიძლება ჩიხი იყოს. სოფი გვერდზე გავიდა, რომ კოდისთვის შეეხედა და ლენგდონი დატოვა ვარდის ხის ზარდახშით ხელში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქ იდო ბარძიმის რუკა, რომელიც ახლა უკვე უსარგებლო გახდა. თუმცა სონიერის ლექსი გარკვევით მიუთითებდა როსლინზე, ლენგდონმა არ იცოდა, ახლა რაღა უნდა ექნა. აქ უკვე
ჩამოვიდნენ. ლექსი ახსენებდა ,,ხმალსა და თასს'', რომელთაც ლენგდონი ვერსად ხედავდა.
წმინდა გრაალი თქვენ როსლინის ძველ
ჩრდილში გელით.
ხმალი და თასი ეს ორია კარების მცველი
ლენგდონმა იგრძნო კიდევ ერთხელ, რომ საიდუმლოს რომელიღაც წახნაგები ჯერ არ იყო გამოვლენილი.
მძულს ზედმეტი ცნობისმოყვარეობა, თქვა გიდმა და თან უყურებდა ვარდის ხის ზარდახშას ლენგდონის ხელში. მაგრამ ეს ზარდახშა... შეიძლება გკითხოთ, საიდანა გაქვთ?
დაღლილმა ლენგდონმა გაიცინა.
ეს საოცრად გრძელი ამბავია.
ახალგაზრდა კაცი ყოყმანობდა. ის ისევ ზარდახშას უყურებდა.
ძალიან უცნაურია ბებიაჩემსა აქვს ზუსტად ასეთი ზარდახშა სამკაულების შესანახად. ზუსტად ასეთივე გაპრიალებული ვარდის ხისგან არის დამზადებული, ასეთივე ამოტვიფრული ვარდი, შესაკრავებიც კი ერთნაირია.
ლენგდონმა იცოდა, ახალგაზრდა კაცი ცდებიდა. ამის მსგავსი ზარდახშა მეორე არ არსებობდა. ეს ზარდახშა შეკვეთით იყო დამზადებული პრიორატის ქვაკუთხედისთვის. ორი ნაკეთობა შეიძლება ერთმანეთს ჰგავდეს, მაგრამ...
გვერდითი კარი ხმამაღლა დაიკეტა და ორივეს მზერა მიიპყრო. სოფი გარეთ გავიდა, ისე რომ არაფერი უთქვამს. ახლა იგი ციცაბო კლდის ქვეშ ტაძრის შორიახლოს მდგარი ქვის სახლისკენ მიდიოდა. გაკვირვებულმა ლენგდონმა თვალი გააყოლა. სად მიდის? მას მერე, რაც შენობაში შევიდნენ, სოფი ძალიან უცნაურად იქცეოდა. ლენგდონი გიდს მიუბრუნდა.
იცით, რა სახლია ის?
მან თავი დაუქნია. თვითონაც გაკვირვებული იყო იმით, რომ სოფი იქით მიდიოდა.
ეს ტაძრის კურატორის სახლია. ის ამავე დროს როსლინის საზოგადოების ხელმძღვანელიცაა, გიდი შეყოვნდა, და ჩემი ბებია.
თქვენი ბებია უძღვება როსლინის საზოგადოებას?
ახალგაზრდა კაცმა თავი დაუქნია.
მე მასთან ერთად ვცხოვრობ იმ სახლში, ტაძრის მოვლაში ვეხმარები და ექსკურსიებსაც ვატარებ, მან მხრები აიჩეჩა, მე მთელი ცხოვრება აქა მაქვს გატარებული.
ბებიამ გამზარდა იმ სახლში.
სოფის გამო შეწუხებულმა ლენგდონმა დარბაზი გადაკვეთა კარისკენ.ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი, რომ იგი უცებ შეჩერდა. ახალგაზრდა კაცის ნათქვამში რაღაც ენიშნა.
ბებიამ გამზარდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონმა ჯერ მიმავალ სოფის გახედა, ხოლო შემდეგ ზარდახშას. შეუძლებელია.
ლენგდონი ნელა მოტრიალდა ახალგაზრდა კაცისკენ.
თქვენ ამბობთ რომ თქვენს ბებიას ასეთივე ზარდახშა აქვს?
ზუსტად ასეთი.
საიდანა აქვს?
ბაბუამ გაუკეთა. იგი გარდაიცვალა, მე რომ ჩვილი ვიყავი. მაგრამ ბებია დღესაც მასზე ლაპარაკობს. ამბობს, რომ უნიკალური ოსტატი იყო. მას ნებისმიერი ნივთის გაკეთება შეეძლო.
ლენგდონი უცებ მიხვდა, რომ კავშირების წარმოუდგენელი ქსელი ისახებოდა.
თქვენ თქვით, რომ ბებიამ გაგზარდათ. შეიძლება გკითხოთ, რა დაემართათ თქვენ მშობლებს?
ახალგაზრდა კაცი გაკვირვებული იყო.
ისინი გარდაიცვალნენ, როცა ძალიან პატარა ვიყავი, იგი შეჩერდა, ბაბუაც იმ დღეს დავკარგე.
ლენგდონს გული ძლიერ უცემდა.
ავტოავარიაში?
გიდი შეკრთა. მისი ზეთისხილისფერი თვალები გაოგნებით უყურებდნენ ლენგდონს.
დიახ. ავტოავარიაში. მთელი ჩემი ოჯახი იმ დგეს დაიღუპა. მე დავკარგე ბაბუა, მშობლები და ... იგი შეჩერდა, ძირს იატაკს დაჰყურებდა.
და თქვენი და, სიტყვა შეაშველა ლენგდონმა.
გარეთ, კლდის თავზე ქვის სახლი ზუსტად ისეთი იყო, სოფის რომ ახსოვდა. უკვე ღამდებოდა. სახლიდან თბილი და მიმზიდველი აურა იფრქვეოდა. ღია გამჭვირვალე ბადით დაფარული კარიდან პურის სუნი გამოდიოდა, ფანჯარაში კი ოქროსფერი სინათლე
ანათებდა. სოფი სახლს მიუახლოვდა. იქიდან წყნარი ქვითინის ხმა ისმოდა.
გამჭვირვალე ბადით დაფარული კარის შიგნით დერეფანში სოფიმ ასაკოვანი ქალი დაინახა. იგი კარისკენ ზურგით იდგა, მაგრამ სოფიმ შეამჩნია, რომ ქალი ტიროდა. მისმა გრძელმა, მდიდრულმა ვერცხლისფერმა თმამ უეცარი მოგონებები გაუღვიძა. თითქოს რაღაცამ მიიზიდა. სოფიმ ვერანდის კიბეზე შედგა ფეხი. ქალს ხელში ჩაებღუჯა ჩარჩოში ჩასმული მამაკაცის ფოტოსურათი და სიყვარულით სავსე სევდით თითის წვერებითეხებოდა მის სახეს.
სოფი ამ სახეს კარგად იცნობდა.
Grandpère.
ქალს აშკარად წუხელ გაეგო მისი სიკვდილის ამბავი.
სოფის ფეხქვეშ ფიცარმა დაიჭრიალა. ქალი ნელა შემოტრიალდა და მისმა ნაღვლიანმა თვალებმა სოფის თვალები მოძებნეს. სოფის გაქცევა უნდოდა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდა. ქალის გამჭოლი მზერა ერთი წუთითაც არ შეტოკებულა. მან დადო სურათი და გამჭვირვალე ბადით დაფარულ კარს მიუახლოვდა. თითქოს მთელი მარადისობა გავიდა, სანამ ორი ქალი შესცქეროდა ერთმანეთს თხელი ბადის მიღმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ, როგორც ოკეანის ტალღა თანდათან, ნელანელა იკრებს ხოლმე ძალას, ქალის სახეზე ჯერ მერყეობა... შემდეგ ურწმუნობა... მერე იმედი და ბოლოს უზომო სიხარული აისახა.
მან სწრაფად გააღო კარი, გარეთ გამოვიდა და სოფის მეხდაცემული სახე თავის ნაზ ხელებში მოაქცია.
ოჰ, ძვირფასო ბავშვო... კარგად დამენახე!
სოფიმ, მართალია, ვერ იცნო, მაგრამ იცოდა, ვინ იყო ეს ქალი. ხმის ამოღება სცადა, მაგრამ მიხვდა, რომ სუნთქვაც კი უჭირდა.
სოფი, ქვითინებდა ქალი და სოფის შუბლს უკოცნიდა.
სოფიმ ძლივს ამოღერღა.
კი მაგრამ, Grandpèreმა თქვა, რომ შენ...
ვიცი, ქალმა თავისი მზრუნველი ხელი სოფის მხარზე დაადო და ნაცნობ თვალებში ჩახედა. ბაბუას და მე სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ჩვენ იძულებულნი ვიყავით, ამდენი რამე გვექნა. ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც ჩავთვალეთ, რომ სწორი იყო იმ წუთას. ვწუხვარ. ეს შენი უსაფრთხოებისთვის გაკეთდა, პრინცესა.
ბოლო სიტყვის გაგონებაზე სოფის ბაბუა გაახსენდა. ამდენი წლის მანძილზე სწორედ ის ეძახდა პრინცესას. ახლა მისი ხმა ექოსავით გაისმა როსლინის უძველეს ქვებში. ეს ხმა თითქოს ქვევიდან ამოდიოდა და იდუმალ მიწისქვეშა სიცარიელეში ვიბრირებდა.
ქალი სოფის მოეხვია. ახლა იგი ტიროდა.
ბაბუას უნდოდა ყველაფერი ეთქვა შენთვის. მაგრამ თქვენ რთული ურთიერთობები გქონდათ. ის ბევრს ეცადა. კიდევ ძალიან ბევრი რამ არის ასახსნელი, მან კიდევ ერთხელ აკოცა სოფის შუბლზე და ყურში ჩასჩურჩულა: მეტი საიდუმლო აღარ იქნება. დროა, სიმართლე გაიგო საკუთარი ოჯახის შესახებ.
ერთმანეთს გადახვეული სოფი და ბებია ვერანდის კიბეზე ისხდნენ და ტიროდნენ. ამ დროს ახალგაზრდა გიდმა სწრაფად გადაკვეთა გაზონი, იმედისა და გაოცებისგან ანთებული თვალებით.
სოფი?
სოფი ადგა. ის ტიროდა და თან თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად. მან ვერ იცნო ახალგაზრდა კაცის სახე, მაგრამ, როდესაც ერთმანეთს გადაეხვივნენ, იგრძნო მათ ძარღვებში მოძრავი სისხლის ძალა... მიხვდა, რომ ერთი სისხლისანი იყვნენ.
ლენგდონმა გადაჭრა გაზონი და მათ შეუერთდა. სოფის უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ ჯერ კიდევ გუშინ თავს მარტო გრძნობდა. ახლა კი, ამ უცხო მხარეში, ამ სამი თითქმის
უცხო ადამიანის გვერდით მან ბოლოს და ბოლოს იგრძნო, რომ შინ იყო.
თავი 105
როსლინი ღამემ დაფარა.
რობერტ ლენგდონი მარტო იდგა ქვის სახლის ვერანდაზე და სიამოვნებით უსმენდა გამჭვირვალე ბადით დაფარული კარის იქიდან ხელახალი გაერთიანების სიხარულით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოწვეულ ხმებს. დიდი ფინჯანი მაგარი ბრაზილიური ყავით დროებით მოიკრიბა ძალები.
მაგრამ ისიც იცოდა, რომ დაღლილობა მალე ისევ დაუბრუნდებოდა. სხეულის ყოველი
მოლეკულა ჰქონდა გადაქანცული
ჩუმად გამოპარულხართ გარეთ, მოესმა უკნიდან.
იგი მიბრუნდა, კარში სოფის ბებია გამოჩნდა, ვერცხლისფერი თმა ღამეში უბზინავდა.
ბოლო ოცდარვა წლის მანძილზე მარი შოველი ერქვა. ლენგდონმა დაღლილი
ღიმილით გადახედა.
არ მინდოდა, ხელი შემეშალა თქვენი ოჯახისთვის, ფანჯარაში იგი ხედავდა, როგორ
ელაპარაკებოდა სოფი თავის ძმას.
მარი მასთან მივიდა და გვერდზე დაუდგა.
ბატონო ლენგდონ, როდესაც პირველად გავიგე ჟაკის მოკვლის ამბავი, ძალიან
შემეშინდა სოფის გამო. მისი დანახვა ამ ღამით ჩემი სახლის ზღურბლზე ჩემს ცხოვრებაში
ყველაზე დიდი შვება იყო. მე ვერასდროს გადაგიხდით მადლობას.
ლენგდონს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეპასუხა. მას უნდოდა სოფისა და მისი
ბებიისათვის განმარტოებით ლაპარაკის საშუალება მიეცა, მაგრამ მარიმ სთხოვა
დარჩენილიყო და მოესმინა. ჩემი მეუღლე თქვენ აშკარად გენდობოდათ და მეც ასევე
გენდობით.
ასე რომ, ლენგდონი დარჩა. იგი სოფის გვერდით იდგა და გაოგნებული უსმენდა მარის
მონაყოლს თავისი მშობლების შესახებ. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე
მეროვინგების დინასტიას ეკუთვნოდა, ანუ ის მარიამ მაგდალინელისა და იესო ქრისტეს
პირდაპირი შთამომავალი იყო. სოფის მშობელმა და წინაპრებმა, თავდაცვის მიზნით,
ადრევე შეიცვალეს გვარები და პლანტარი და სენკლური გახდნენ. მათი შვილები
გადარჩენილი სამეფო სისხლის პირდაპირი გამგრძელებელნი იყვნენ და ამიტომ მათ
განსაკუთრებული სიფრთხილით იცავდა პრიორატი. როდესაც სოფის მშობლები
დაიხოცნენ ავტოავარიაში, რომლის მიზეზის დადგენა შეუძლებელი იყო, პრიორატს
შეეშინდა, რომ ვიღაცამ სამეფო შტოს გამგრძელებელთა ვინაობა აღმოაჩინა.
თქვენს ბაბუას და მე, უხსნიდა მარი, რომელსაც მწუხარებისაგან ლაპარაკი უჭირდა,
ტელეფონის ზარისთანავე სასწრაფოდ უნდა მიგვეღო ძალიან მძიმე გადაწყვეტილება.
თქვენი მშობლების მანქანა ისის იყო მდინარეში იპოვეს, მან ცრემლები შეიმშრალა,
ჩვენ ექვსივე თქვენი ჩათვლით, ბავშვებო, მანქანაში უნდა ვმსხდარიყავით იმ ღამით.
საბედნიეროდ, ბოლო წუთში შევცვალეთ გეგმა. მანქანაში მარტო თქვენი მშობლები
ჩასხდნენ. როცა ამ უბედური შემთხვევის შესახებ შევიტყვეთ, ჟაკმა და მე ვერ შევძელით
ზუსტად დაგვედგინა, რა მოხდა სინამდვილეში... თუ ეს მართლა შემთხვევით მოხდა,
მარიმ სოფის შეხედა, ჩვენ ვიცოდით ჩვენი შვილიშვილები უნდა დაგვეცვა. და ამიტომაც
გავაკეთეთ ის ,რაც ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად მივიჩნიეთ. ჟაკმა პოლიციას
მოახსენა, რომ მანქანაში მე და შენი ძმაც ვიყავით... ორი ნეშტი, როგორც ჩანს, დინებამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წაიღო. ამის შემდეგ მე და შენი ძმა იატაკქვეშეთში გადავედით პრიორატის დაცვის ქვეშ.
ჟაკი ცნობილი ფიგურა იყო, ამიტომ ის ვერ გაქრებოდა. უფრო გონივრული იყო მასთან ერთად პარიზში სოფი დარჩენილიყო უფროსი შვილიშვილი. მის განათლებაზე და აღზრდაზე ჟაკი იზრუნებდა, რომელსაც პრიორატში ცენტრალური პოზიცია ეკავა. ამიტომ
მისთვის სოფის დაცვაც უფრო ადვილი იქნებოდა, ეს ახლა უკვე ჩურჩულებდა. ოჯახის გაყოფა უმძიმესი რამ იყო, რისი გაკეთებაც ოდესმე დაგვჭირვებია. მე და ჟაკი ძალიან იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. და ეს ყოველთვის განსაკუთრებით გასაიდუმლოებულ
გარემოში ხდებოდა… პრიორატის დაცვის ქვეშ. არის გარკვეული რიტუალები, რომელთაც
საძმო ყოველთვის ერთგულად იცავს.
ლენგდონმა იგრძნო, რომ ამ ისტორიამ ისეთ სიღრმეებს მიაღწია, რომელთა გაგებაც მისთვის საჭირო არ იყო. ამიტომ გარეთ გამოვიდა. ახლა, როცა ტაძრის წევრებს უყურებდა, ლენგდონმა თავი ვერ დააღწია როსლინის გამოუცნობი საიდუმლოს ამოხსნაზე
ფიქრის ცდუნებას. ბარძიმი მართლაც აქ არის, როსლინში? და თუ ასეა, სად არის სონიერის ლექსში ნახსენები ხმალი და თასი?
ამას მე წავიღებ, თქვა მარიმ და ლენგდონის ხელზე მიუთითა.
გმადლობთ, ლენგდონმა თავისი დაცლილი ყავის ფინჯანი გაუწოდა.
მე მეორე ხელზე გეუბნებით, ბატონო ლენგდონ. ლენგდონმა ახლაღა შეამჩნია, რომ მეორე ხელში სონიერის პაპირუსი ეჭირა.
მან ის ერთხელ კიდევ ამოიღო კრიპტექსიდან იმ იმედით, რომ რამეს დაინახავდა, რაც ადრე გამორჩა.
რა თქმა უნდა, მაპატიეთ.
მარი ამან გაართო. მან პაპირუსი გამოართვა ლენგდონს.
ერთ კაცს ვიცნობ პარიზში, ბანკში მუშაობს და ძალიან უნდა, რომ ვარდის ხის ზარდახშა ისევ ბანკში დაბრუნებული იხილოს. ანდრე ვერნე ჟაკის საყვარელი მეგობარი იყო. ჟაკი მას ბოლომდე ენდობოდა. ანდრე ყველაფერს იღონებდა, რომ პატივი ეცა ჟაკის თხოვნისთვის, დაეცვა ეს ზარდახშა.
ჩემი მოკვლის ჩათვლით. გაიხსენა ლენგდონმა და გადაწყვიტა, არაფერი ეთქვაიმაზე, რომ საწყალ კაცს ცხვირი გაუტეხა. პარიზის ხსენებამ ლენგდონს გაახსენა წინა ღამით მოკლული სამი სენეშალი.
პრიორატი? რა მოხდება ახლა?
მანქანა უკვე ამუშავებულია, ბატონო ლენგდონ. საძმომ საუკუნეებს გაუძლო და ამასაც გადაიტანს. ყოველთვის არიან ისინი, ვინც თავის ჯერსა და ზეაღსვლას ელოდება.
მთელი ღამის მანძილზე ლენგდონს ეჭვი ჰქონდა, რომ სოფის ბებიას პრიორატის საქმიანობასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. პრიორატში ქალებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ. ოთხი დიდი მაგისტრი ქალი იყო. სენეშალი, ანუ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მცველები, ტრადიციულად მამაკაცები იყვნენ. ქალებს კი პრიორატში გაცილებით უფრო პატივსაცემი სტატუსი ჰქონდათ და შეეძლოთ უმაღლესი პოზიციისათვის პრაქტიკულად ნებისმიერი მდგომარეობიდან მიეღწიათ.
ლენგდონს გაახსენდა ლი თიბინგი და ვესტმინსტერის სააბატო. ეს თითქოს წინა ცხოვრებაში მომხდარიყო.
ეკლესია ახდენდა რაიმე ზეწოლას თქვენს მეუღლეზე? აიძულებდა, რომ ქვეყნიერების დასასრულის წინ უარი ეთქვა სანგრილის დოკუმენტების გამოქვეყნებაზე?
ღვთის წყალობით, არა. ქვეყნიერების დასასრული პარანოიდელი ადამიანების მიერ გამოგონილი ზღაპარია. პრიორატის დოკუმენტებში არ არის დასახული რაიმე თარიღი, როდესაც გრაალს საიდუმლოების საფარი უნდა აეხსნას. სინამდვილეში, პრიორატი ყოველთვის იმ აზრს იცავდა, რომ ბარძიმი არასოდეს არ უნდა გამოაშკარავდეს.
არასოდეს? ლენგდონი გაოგნებული იყო.
იდუმალება და ინტერესი ასაზრდოებს ჩვენს სულებს და არა თვით გრაალი. გრაალი იმიტომაა მშვენიერი რომ მარადიულია, მარი შოველმა ახლა როსლის ახედა. ზოგისთვის გრაალი თასია, რომელიც მას მარადიულ სიცოცხლეს მიანიჭებს. სხვებისთვის დაკარგული
დოკუმენტებისა და ისტორიების ძიებაა. უმრავლესობისთვის კი, ალბათ, წმინდა ბარძიმი დღევანდელ ქაოსშიც კი შთაგონებით აღგვავსებს.
მაგრამ, თუ სანგრილის დოკუმენტები დამალული დარჩება, მარიამ მაგდალინელის ისტორია ხომ სამუდამოდ დაიკარგება, თქვა ლენგდონმა.
დაიკარგება? აბა ირგვლივ მიმოიხედეთ. მის შესახებ მოგვითხრობს ხელოვნება, მუსიკა და წიგნები. და ეს სულ უფრო და უფრო ხშირია. ქანქარა მოძრაობს, ჩვენ ვიწყებთ იმის მიხვედრას, თუ რა საშიშროების წინაშე შეიძლება დაგვაყენოს ისტორიამ… ჩვენმა დამღუპველმა არჩევანმა. ჩვენ ვიწყებთ იმის მიხვედრას, რომ საკრალური ქალურობა უნდა აღდგეს, იგი შეჩერდა. თქვენ ახსენეთ, რომ წიგნს წერთ საკრალური ქალურობის სიმბოლოთა შესახებ. ასე არ არის?
მართალია.
მარიმ გაიღიმა.
დაამთავრეთ ეს წიგნი, ბატონო ლენგდონ. უმღერეთ მას სიმღერა. მსოფლიოს თანამედროვე ტრუბადურები სჭირდება.
ლენგდონი ჩუმად იყო. მან იგრძნო მისი სიტყვების მნიშვნელობა. ირგვლივ სივრცე განათებული იყო სავსე მთვარის შუქით, რომელიც ხეებით დაფარული ჰორიზონტიდან მოდიოდა. მან როსლინს გახედა და ბავშვური აღტყინება იგრძნო უნდოდა, ამ ტაძრის საიდუმლო გაეგო. ნუ იკითხავ, უთხრა მან თავის თავს, ამის დრო ჯერ არ დამდგარა. მან შეხედა პაპირუსს მარის ხელში და შემდეგ ისევ როსლინს.
დამისვით შეკითხვა, ბატონო ლენგდონ, უთხრა კმაყოფილმა მარიმ, თქვენ ეს უფლება დაიმსახურეთ.
ლენგდონმა იგრძნო, როგორ გაწითლდა.
თქვენ გინდათ იცოდეთ, არის თუ არა გრაალი აქ, როსლინში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეგიძლიათ ამის თქმა?
მან ამოიოხრა, ვითომ გაღიზიანებული იყო.
რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს მას უბრალოდ თავი დაანებონ, დაასვენონ
გრაალი? მან გაიცინა. ეტყობოდა, რომ ეს სიტუაცია მას სიამოვნებას ანიჭებდა. რატომ
გგონიათ, რომ ის აქ არის?
ლენგდონმა მიუთითა პაპირუსზე. მარის ხელში რომ ეჭირა. თქვენი მეუღლის ლექსში
გარკვევითაა ნახსენები როსლინო. გარდა ამისა, იგი ახსენებს ხმალს და თასს, რომლებიც
ბარძიმს იცავენ. მე აქ ვერსად დავინახე ხმლისა და თასის სიმბოლოები.
ხმალი და თასი? ჰკითხა მარიმ. როგორ გამოიყურება ისინი? ლენგდონმა იგრძნო, რომ
მარი მას ეთამაშებოდა, მაგრამ აჰყვა მის თამაშს და
სწრაფად აღწერა სიმბოლოები.
მარის რაღაც გამომეტყველებამ გადაურბინა სახეზე. მან ბუნდოვნად გაიხსენა რაღაც.
აჰა, რა თქმა უნდა. ხმალი გამოხატავს ყოველივე მამაკაცურს. ეს ასე იხატება, არა?
საჩვენებელი თითით მან გარკვეული ფორმა მოხაზა თავის ხელისგულზე.
დიახ, თქვა ლენგდონმა. მარიმ ხმლის სიმბოლოს ნაკლებად გავრცელებული
:დახურული"ფორმა დახატა, თუმცა ლენგდონს ამ სიმბოლოს ორივენაირი სურათი ჰქონდა
ნანახი.
და ამას თუ გადავაბრუნებთ, თქვა მარიმ და ისევ თავის ხელისგულზე დახატა,
მივიღებთ თასს, რომელიც ყოველივე ქალურს გამოხატავს.
სწორია, თქვა ლენდონმა.
და თქვენამბობთ, რომ იმ ასოებით სიმბოლოს შორის, რომლებიც აქ, როსლინის
ტაძარშია გამოსახული, ეს ორი ფორმა არსად არ ჩანს?
მე ისინი არ დამინახავს.
და რომ გაჩვენოთ, წახვალთ დასაძინებლად?
სანამ ლენგდონი პასუხს გასცემდა, მარი შოველი უკვე ჩასულიყო ვერანდიდან და
ტაძრისკენ მიემართებოდა. ლენგდონი ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა უკან. როდესაც უძველეს
შენობაში შევიდნენ,მარიმ სინათლე აანთო და მონასტრის იატაკის ცენტრისკენ მიუთითა.
აი, ბატონო ლენგდონ, ხმალი და თასი. ლენგდონი დააცქერდა ქვის გაცვეთილ იატაკს.
ზედ არაფერი იყო, აქ ხომ არაფერი
არ არის...
მარიმ ამოიოხრა და დაიწყო სვლა ტაძრის იატაკზე აღბეჭდილი სახელგანთქმული
ტურისტული ბილიკით. როდესაც ლენგდონი უზარმაზარი სიმბოლოს დასანახად
მოემზადა, ის ჯერ კიდევ დაბნეული იყო.
კი მაგრამ, ეს ხომ დავითის ვარსკ...
ლენდონი უცებ შეჩერდა, იგი გაოგნებისაგან დამუნჯდა. იგი მიხვდა.
ხმალი და თასი.
ერთმანეთზე დადებული. ერთად შერწყმული.
დავითის ვარსკვლავი... ქალისა და მამაკაცის სრულყოფილი ერთიანობა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოლომონის ბეჭედი... რომელიც აღნიშნავდა წმინდათაწმინდას, სადაც ცხოვრობდნენ
მამრი და მდედრი ღვთაებები Yahew და Shekinah. ლენგდონს მთელი წუთი დასჭირდა ვიდრე ალაპარაკდებოდა.
ლექსი მართლაც როსლინზე მიანიშნებს. სრულყოფილებად, ზუსტად.
მარიმ გაიღიმა.
მართლა.
ეს გასაოცარი ეჩვენა ლენდონს.
ესე იგი, წმინდა გრაალი ქვევით არის, მიწისქვეშა დარბაზში?
ქალმა გაიცინა.
მხოლოდ სულიერად. პრიორატის ერთერთი უძველესი მიზანი იყო, ერთ მშვენიერ
დღეს გრაალი თავისი მშობლიური ქვეყნის, საფრანგეთისთვის დაებრუნებინათ, სადაც იგი
სამუდამოდ განისვენებდა. საუკუნეების მანძილზე ის აქეთიქით დაჰქონდათ, რომ
საშიშროებისგან დაეცვათ. ეს მას არ ეკადრებოდა. ჟაკის მოვალეობა, როდესაც იგი დიდი
მაგისტრი გახდა, იყო მისთვის პატივიცემის დაბრუნება მისი საფრანგეთში დაბრუნებით და
მისთვის დედოფლის შესაფერისი განსასვენებლის აგება.
მან ეს წარმატებით შეასრულა?
ახლა მარის სერიოზული სახე გაუხდა.
ბატონო ლენგდონ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ,
როგორც როსლინის საზოგადოების კურატორმა, შემიძლია გითხრათ რომ გრაალი აქ
აღარ არის. ლენგდონმა გადაწყვიტა, ჩასძიებოდა.
კი მაგრამ, წესით, ქვაკუთხედი იმ ადგილზე უნდა მიუთითებდეს, სადაც წმინდა
გრაალი ამჟამადაა დამალული. რატომ მიანიშნებს ეს როსლინზე?
იქნებ თქვენ არასწორად გესმით მისი მინიშნება. დაიმახსოვრეთ, გრაალმა შეიძლება
შეცდომაში შეგიყვანოთ ისევე, როგორც ჩემმა აწ გარდაცვლილმა ქმარმა.
კი მაგრამ, ამაზე გარკვევით როგორღა უნდა ეთქვა? იკითხა ლენგდონმა. ჩვენ
ვდგავართ მიწისქვეშა საცავის ზევით, რომელსაც აქვს ნიშანი "ხმალი და თასი",
ვარსკვლავიანი ჭერის ქვეშ, მასონი ოსტატების ნამუშევრებით გარშემორტყმულნი.
ყველაფერი ეს როსლინზე მიუთითებს.
ძალიან კარგი. მომეცით, მეც შევხედო ამ იდუმალ ლექსს. მან გახსა პაპირუსი და
გამოთქმით წაიკითხა.
წმინდა გრაალი თქვენ როსლინის ძველ ჩრდილში გელით.
ხმალი და თასი ეს ორია კარების მცველი.
მისი სავანე შემკულია ოსტატთა ხელით,
ვარსკვლავთა ქვეშე მოიპოვა სასუფეველი.
როდესაც დაამთავრა, რამდენიმე წამი ჩუმად იყო, შემდეგ მიხვედრით გამოწვეულმა
ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე.
ოჰ, ჟაკ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენგდონი მას მოლოდინით უყურებდა.
 თქვენ მიხვდით?
 როგორც თქვენ თვითონ დაინახეთ ტაძრის იატაკზე, ბატონო ლენგდონ. მარტივი რამ შეიძლება სხვადასხვანაირად აღვიქვათ.
ლენგდონი დაიძაბა, რომ მიმხვდარიყო. ყველაფერი, რაც ჟაკ სონიერს ეხებოდა, ორაზროვანი იყო. მაგრამ ლენგდონი მეტს აქ ვერაფერს ხედავდა.
მარიმ დაღლილობისგან დაამთქნარა.
 ბატონო ლენგდონ, მე თქვენ აღსარებას გეტყვით. ადრე ოფიციალურად არასდროს არავის ჩავუყენებივარ საქმის კურსში. არ ვიცი, სად არის ახლა ბარძიმი. მაგრამ მე დაქორწინებული ვიყავი ადამიანზე, რომელიც უზარმაზარი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი... მე კი ძლიერი ქალური ინტუიცია მაქვს, ლენგდონს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მარიმ ლაპარაკი განაგრძო, ვწუხვარ, რომ ამდენი ძალისხმევის შემდეგ თქვენ აქედან რეალური პასუხის გარეშე წახვალთ. და მაინც, რაღაც მიკარნახებს, რომ თქვენ ბოლოს და ბოლოს იპოვით იმას, რასაც ეძებთ. ერთ დღეს თქვენ მიხვდებით, მან გაიღიმა, და როდესაც ეს მოხდება, დარწმუნებული ვარ, ყველაზე მეტად თქვენ მოინდომებთ ამის საიდუმლოდ შენახვას.
ვიღაც მოადგა კარს.
 ორივე სადღაც გაუჩინარდით, თქვა სოფიმ და შემოვიდა.
 მე უკვე მივდივარ, უპასუხა ბებიამ. იგი სოფისკენ წავიდა, რომელიც კართან იდგა. ღამე მშვიდობისა, პრინცესა, მან სოფის შუბლზე აკოცა. ძალიან გვიანობამდე ნუ გააჩერებთ ბატონ ლენგდონს გარეთ.
ლენგდონმა და სოფიმ თვალი გააყოლეს, როგორ მიდიოდა იგი სახლისკენ. როდესაც სოფი ლენგდონისკენ მიტრიალდა, თვალები გრძნობით ჰქონდა სავსე.
 ეს ისეთი ბოლო არ არის, როგორსაც ველოდი.
მეც ამას ვფიქრობდი, გაიფიქრა ლენგდონმა. ლენგდონი ხედავდა, როგორი აღელვებული იყო სოფი. ამ ღამით მან გაიგო ახალი ამბავი, რომელმაც მთელი მისი სიცოცხლე შეცვალა.
 კარგად ხარ? ძალიან ბევრია ერთბაშად გასააზრებელი.
სოფიმ მშვიდად გაიღიმა.
 მე ოჯახი მყავს, აი აქედან უნდა დავიწყო. იმის გააზრება, თუ ვინ ვართ და საიდან მოვსულვართ, მეტ დროს მოითხოვს.
ლენგდონი ჩუმად იყო.
 ამ ღამის მერე, დარჩებიჩვენთან? ჰკითხა სოფიმ, რამდენიმე დღით მაინც?
ლენგდონმა ამოიოხრა. მას ამაზე მეტად არაფერი უნდოდა.
 სოფი, შენ დრო გჭირდება, შენს ოჯახთან მარტო რომ იყო. მე დილით პარიზში მივდივარ.
სოფის გული დასწყდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. არც ერთს კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. ბოლოს სოფიმ ხელი მოჰკიდა და ტაძრიდან გამოიყვანა. ისინი მივიდნენ ციცაბო კლდის ერთ პატარა ამაღლებულ ადგილას. აქედან მათ თვალწინ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაფანტული ღრუბლებიდან გამოჟონილი მკრთალი მთვარის შუქით განათებული შოტლანდიური სოფელი გადაიშალა. ისინი ჩუმად იდგნენ ხელჩაკიდებულნი. ორივე თანდათან მოძალებულ დაღლილობას ებრძოდა.
ვარსკვლავები სწორედ ახლა ჩნდებოდა ცაზე, მაგრამ დასავლეთით ერთი სინათლის წერტილი ღვიოდა სხვებზე მეტად. ამის დანახვაზე ლენგდონს გაეცინა. ეს იყო ვენერა. უძველესი ქალღმერთი დედამიწაზე თავის მოთმინებით აღსავსე სინათლეს გზავნიდა. თანდათან აგრილდა. დაბლობიდან სუსხიანი ნიავი უბერავდა. ცოტა ხნის შემდეგ ლენგდონმა სოფის შეხედა. მას თვალები დაეხუჭა, ტუჩები კი კმაყოფილი ღიმილით გაჰპობოდა. ლენგდონმა იგრძნო, როგორ დაუმძიმდა თვალები. ოდნავ მოუჭირა ხელი სოფის.
 სოფი!
სოფიმ გაახილა თვალები და ნელა შეტრიალდა მისკენ. მისი მთვარის შუქით განათებული სახე მშვენიერი იყო. მან ძილმორეული ღიმილით შეხედა ლენგდონს.
 გამარჯობა.
ლენგდონმა მოულოდნელი სინანული იგრძნო იმის წარმოდგენაზე, რომ პარიზში მის გარეშე უნდა დაბრუნებულიყო.
 შენ რომ გაიღვიძებ, მე ალბათ წასული დაგხვდები, იგი გაჩერდა. იგრძნო, რომ ყელში რაღაც გაეჩხირა, მაპატიე. კარგად არ მეხერხება...
სოფიმ მისკენ გაიწია და თავისი ნაზი ხელი სახეზე შეახო. შემდეგ, წინ გადაიხარა და ფაქიზად აკოცა ლოყაზე.
 როდის გნახავ ისევ?
ლენგდონს თავბრუ დაეხვა. იგი სოფის თვალებში დაიკარგა.
 როდის? გაჩუმდა. აინტერესებდა, სოფი თუ ხვდებოდა, რა ძალიან უნდოდა თვითონ ამის გაგება. მართლა, მომავალ თვეს ფლორენციაში კონფერენციაზე ვკითხულობ ლექციას. დაახლოებით ერთი კვირა ვიქნები იქ, ძალიან დატვირთული არ ვარ.
 ეს მოწვევაა?
 ფუფუნებაში ვიქნებით. ისინი ოთახს მაძლევენ "ბრუნელესკიში".
სოფის ეშმაკურად გაეცინა.
 თქვენ ბევრის იმედი გაქვთ, ბატონო ლენგდონ.
ლენგდონი შეწუხდა, ასე რომ გამოუვიდა.
 მე რასაც ვგულისხმობდი...
 მე იმაზე მეტი არაფერი მინდა, რომ ფლორენციაში შეგხვდე, რობერტ. მაგრამ ერთი პირობით, მას ახლა სერიოზული ტონი ჰქონდა. არავითარი მუზეუმები, არავითარი ეკლესიები, არავითარი საფლავები, არავითარი ხელოვნება, არავითარი რელიკვიები.
 ფლორენციაში? ერთი კვირა? აბა იქ სხვა რა უნდა ვქნათ?
სოფი ისევ მისკენ გადაიხარა და კიდევ ერთხელ აკოცა, ამჯერად ტუჩებში. მათი სხეულები ერთმანეთს ჩაეკონა, ჯერ ფრთხილად, შემდეგ ძლიერად. როდესაც სოფი ლენგდონს მოშორდა, თვალები დაპირებით ჰქონდა სავსე.
 კარგი, მოახერხა ლენგდონმა, ეს პაემანი იქნება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეპილოგი
რობერტ ლენგდონს უეცრად გაეღვიძა. იგი სიზმარს ხედავდა. საწოლის გვერდით დადებულ აბაზანის ხალათზე იყო მონოგრამა: სასტუმრო "რიცი", პარიზი. მან დაინახა, დარაბებში როგორ შემოდიოდა მკრთალი სინათლე. განთიადია თუ საღამო? ფიქრობდა იგი.ლენგდონი თბილად და მყუდროდ გრძნობდა თავს. ორი დღე თითქმის ძილში გაატარა. ნელა წამოჯდა ლოგინში და ახლა გააცნობიერა, თუ რამ გააღვიძა... საოცარმა აზრმა. ის დიდხანს ცდილობდა მიღებული უზარმაზარი ინფორმაციის დალაგებას, მაგრამ
ახლა აღმოაჩინა, რომ დაძაბული ფიქრობდა იმაზე, რაც მანამდე თავში არც კი მოსვლია. ნუთუ ეს შესაძლებელია?
ლენგდონი დიდხანს იჯდა გაუნძრევლად.
შემდეგ ლოგინიდან ადგა და მარმარილოს საშხაპისკენ წავიდა. შხაპის ქვეშ დადგა. წყლის ძლიერი ჭავლი მასაჟივით იყო. და მაინც, ლენგდონს ფიქრი არ ასვენებდა. შეუძლებელია.
ოცი წუთის შემდეგ ლენგდონი სასტუმრო "რიციდან" ვანდომის მოედანზე გამოვიდა. ღამდებოდა. ამდენი ძილის შემდეგ ცოტა გაუჭირდა ორიენტირება... და მაინც გონება უცნაურად ნათელი ჰქონდა. პირობა მისცა თავს, სასტუმროს ფოიეში გაჩერებულიყო და რძიანი ყავა დაელია, საკუთარ აზრებში კარგად რომ გარკვეულიყო. მაგრამ ამის ნაცვლად იგი ფეხებმა სასტუმროს გარეთ პარიზის ღამეში გაიყვანეს.
იგი აღმოსავლეთით რიუ დე პტი შამპზე მიდიოდა და გრძნობდა, როგორ ემატებოდა მღელვარება. სამხრეთით რიშელიეს ქუჩაზე გაუხვია, სადაც ჰაერში ჟასმინის ტკბილი სურნელი აღწევდა პალე როიალის დიდებული ბაღებიდან.
სამხრეთისკენ გააგრძელა გზა და დაინახა ის, რასაც ეძებდა ცნობილი სამეფო კამაროვანი გასასვლელი გაპრიალებული შავი მარმარილოს მბზინავი ნაგებობა. იქ რომ მივიდა, ლენგდონმა თავის ფეხქვეშ დაიხედა. წამები დასჭირდა, რომ ეპოვა მიწაში იდეალურ წრფეზე ჩასმული რამდენიმე ბრინჯაოს მედალიონი. ყოველი დისკო ხუთი დიუმის დიამეტრისა იყო ზედ ამოტვიფრული ასოებით ნ და შ.
ნორდ. ზიუდ. (ჩრდილოეთი, სამხრეთი)
ლენგდონი სამხრეთისკენ მიტრიალდა და თვალი გააყოლა მედალიონებით შექმნილ გრძელ ხაზს. მერე სვლა განაგრძო. კვალს მიჰყვებოდა და თან ტროტუარს აკვირდებოდა. როდესაც კომედი ფრანსეზის კუთხე გადაკვეთა, მეორე მედალიონი მოხვდა ფეხქვეშ. დიახ, სწორედ ასეა!
დიდი ხნით ადრე გაიგო ლენგდონმა, რომ პარიზის ქუჩებში არსებობდა ტრუტუარებში, შიდა ეზოებში ჩამაგრებული 135 ასეთი ბრინჯაოს ნიშანი. აქ, სადაც გადიოდა მთელი ქალაქის გადამკვეთი ჩრდილოეთისა და სამხრეთის შემაერთებელი ღერძი. იგი ერთხელ მიჰყვა ამ ხაზს საკრეკერიდან ჩრდილოეთით სენის გადაკვეთით და ბოლოს მიადგა პარიზის უძველეს ობსერვატორიას. იქ მან აღმოაჩინა, რა მნიშვნელოვანი ყოფილა მერიდიანი გაყოლებაზე გაყვანილი გზა.
ეს იყო დედამიწის საწყისი მთავარი მერიდიანი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს იყო მსოფლიოში პირველი ნულოვანი გრძედი.
ეს იყო პარიზის უძველესი ვარდის ხაზი.
ახლა, როდესაც ლენგდონი აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა რივოლის ქუჩაზე, იგი გრძნობდა, რომ მიზანთან ძალიან ახლოს იყო. ერთ კვარტალზე უფრო ახლოს.
წმინდა გრაალი თქვენ როსლინის ძველ ჩრდილში გელით.
ახლა უკვე ტალღებივით მოდიოდა გამონათებები.სონიერის ძველებური წესით დაწერილი სიტყვა Roslin... ხმალი და თასი... ოსტატთა შემოქმედებით გარემოცული საფლავი...
ამის გამო უნდოდა სონიერს ჩემთან დალაპარაკება? ნუთუ არ ვიცოდი, ისე მივხვდი სიმართლეს?
ნაბიჯი ააჩქარა. ფეხქვეშ გრძნობდა ვარდის ხაზს, რომელიც წინ მიუღძვებოდა, მიზნისკენ ეწეოდა. მოლოდინისგან თმაც კი აებურძგლა კისერზე, როდესაც რიშელიეს პასაჟის გრძელ გვირაბში შევიდა. მან იცოდა, რომ ამ გვირაბის ბოლოს პარიზელთა ყველაზე იდუმალი მონუმენტი იდგა. იგი თვით სფინქსმა, ფრანსუა მიტერანმა, ჩაიფიქრა და დააფინანსა 1980 წელს. ჭორი დადიოდა, რომ მიტერანი საიდუმლო საზოგადოებებში მონაწილეობდა. ამ კაცმა პარიზს მემკვიდრეობად დაუტოვა ის ადგილი, სადაც ცოტა ხნის
წინათ სტუმრობდა ლეგნდონი.
კიდევ ერთი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაუვიწყარი გამოცდილება.
ენერგიის უკანასკნელი მოზღვავებით ლენგდონი ნაცნობ შიდა ეზოში შევარდა და გაშეშდა. სუნთქვაშეკრულმა ასწია მზერა, ნელნელა, ეჭვით. მის წინ ლაპლაპა ნაგებობა აღმართულიყო.
ლუვრის პირამიდა.
ეს შენობა სიბნელეში ანათებდა.
მხოლოდ ერთი წუთი გაგრძელდა მისი ტკბობა. ლენგდონს უფრო ის აინტერესებდა, რაც პირამიდის მარჯვნივ იყო. იგი მიბრუნდა და იგრძნო, რომ ფეხები კვლავ ვარდის ხაზის უხილავ ბილიკს მიჰყვებოდნენ. შიდა ეზო გადაკვეთა და მიადგა კარუსელ დიუ ლუვრს, ბალახის უზარმაზარ წრეს, რომელსაც პერიმეტრზე შემოვლებული ჰქონდა კოხტად გაკრეჭილი ბუჩქების ღობე. ამ ადგილას ოდესღაც გაზაფხულის სადიდებელი ფესტივალები იმართებოდა... მხიარული წვეულებები ნაყოფიერებისა და ქალღმერთის სადიდებლად.
ლენგდონს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ახალ სამყაროში შეაბიჯა, როდესაც ბუჩქებს გადააბიჯა და წრის შიგნით ბალახზე აღმოჩნდა. ეს წმინდა მიწა მონიშნული იყო ქალაქის ყველაზე უცნაური მონუმენტით. აქ, ცენტრში, მიწაში ჩარჭობილი ბროლის უფსკრულივით პირი დაეღო შუშის უშველებელ შებრუნებულ პირამიდას. ლენგდონმა იგი
რამდენიმე ღამის წინ ნახა, როდესაც ლუვრის მიწისქვეშა ანტერსოლში შევიდა.
La Pyramide Inversee.
აცახცახდებული ლენგდონი მივიდა კიდესთან და დაბლა ჩაიხედა,სადაც ლუვრის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაშლილი მიწისქვეშა კომპლექსი ქარვისფერი სინათლით ელავდა. მან მზერა შეაჩერა არა მხოლოდ მასიურ შებრუნებულ პირამიდაზე, არამედ იმაზეც, რაც ზუსტად პირამიდის ქვეშ
იყო. იქ, ქვედა დარბაზის იატაკზე იდგა ყველაზე პაწაწინა ნაგებობა... სწორედ ის, რომელსაც ლენგდონი თავის წიგნში ახსენებდა.
ლენგდონმა ახლა სრულად გაიაზრა, რა სენსაცია შეიძლება მოჰყოლოდა ამას. მზერა ისევ ლუვრისკენ მიმართა, იგრძნო, როგორ შემოეხვია მუზეუმის უზარმაზარი ფრთები... მსოფლიოს ბრწყინვალე ხელოვანთა ქმნილებებით დამშვენებული დერეფნები.
და ვინჩი... ბოტიჩელი...
მისი სავანე შემკულია ოსტატთა ხელით.
ინტერესით გამოცოცხლებულმა კიდევ ერთხელ ჩაიხედა ქვევით, შუშის მიღმა მდგარი პაწაწინა ნაგებობისკენ.
მე იქ, ქვევით უნდა ჩავიდე!
წრიდან გამოვიდა, ჩქარი ნაბიჯით გაემართა შიდა ეზოს გადაღმა ლუვრის პირამიდის შესასვლელისკენ. ბოლო დამთვალიერებლების წვრილი ნაკადი მოედინებოდა მუზეუმიდან.
ლენგდონმა მბრუნავ კარში გაიარა და მოჩუქურთმებული კიბით ჩავიდა ქვევით პირამიდაში. იგრძნო, როგორ აგრილდა. ბოლომდე ჩავიდა და გზა გააგრძელა გრძელ გვირაბში, რომელიც ლუვრის შიდა ეზოს ქვეშ იყო გადაჭიმული, შებრუნებული პირამიდისკენ.
გვირაბის ბოლოს იგი ფართო დარბაზში შევიდა. ზუსტად მის წინ ანათებდა ზევიდან ქვევით ჩამოკიდებული შებრუნებული პირამიდა გასაოცარი ვს ფორმის შუშის კონტური.
ეს არის თასი. ლენგდონმა თვალი გააყოლა, როგორ ვიწროვდებოდა ის წვეტისკენ, რომელიც
იატაკიდან მხოლოდ ექვსი ფუტის დაშორებით წყდებოდა. იქ, ზუსტად მის ქვეშ, იდგა პაწაწინა ნაგებობა.
ლენგდონის საკრალური ქალურობისადმი მიძღვნილი წიგნი ლუვრის სრულყოფილი კოლექციის განხილვისას გაკვრით იხსენიებს ამ მოკრძალებულ პირამიდას.
”მინიატურული სტრუქტურა აისბერგის წვერივითაა ამოშვერილი იატაკიდან ეს არის მწვერვალი იმ უზარმაზარი პირამიდის ფორმის საცავის, რომელიც საიდუმლო დარბაზის
მსგავსად მის ქვეშ იმალება”.
დაცარიელებული ანტრესოლის თბილი სინათლით განათებული ეს ორი პირამიდა ერთმანეთს უყურებდა, მათი სხეულები იდეალურად იყო გასწორებული ერთმანეთის მიმართ, წვერები თითქმის ეხებოდა ერთმანეთს.
ზემოთ თასი, ქვემოთ ხმალი.
ხმალი და თასი ეს ორია კარების მცველი.
ლენგდონმა მარი შოველის სიტყვები გაიგონა: ერთ დღეს უეცრად მიხვდებით.
იგი იდგა უძველესი ვარდის ხაზის ქვეშ, ხელოვნების ნიმუშთა გარემოცვაში. ეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საუკეთესო ადგილი იყო სონიერისთვის, ვარდის ხაზის მცველისთვის. და მხოლოდ ახლა,
ბოლოს და ბოლოს, მიხვდა ლენგდონი დიდი მაგისტრის ლექსის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.
თავი ასწია და დაინახა ზევით შუშის მიღმა ბრწყინვალე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.
ვარსკვლავთა ქვეშე მოიპოვა სასუფეველი.
სიბნელეში სულების ჩურჩულივით ჩაესმა ლენგდონს დავიწყებული სიტყვები. წმინდა ბარძიმის ძიება არის მისწრაფება იმისკენ, რომ მუხლი მოიყარო მარიამ მაგდალინელის ძვლების წინაშე, მოგზაურობა, რომ ილოცო განდევნილის ფერხთით.
უეცრად მოძალებული მოწიწებით რობერტ ლენგდონი მუხლებზე დაემხო.
წამიერად მას თითქოს ქალის ხმა ჩაესმა... საუკუნეების სიბრძნე... დედამიწის სიღრმიდან ამოსული ჩურჩული.
ბთ, მივიღებთ ჩვენი ავტორის სრულ ინტელექტუალურ თვალსაწიერს.
მართლაც, აბა, რომელი საქმეში ჩახედული კაცი ვერ შენიშნავს ისტორიულ და კულტუროლოგიურ შეუსაბამობებს, რომლებითაც სავსეა რომანში არსებული „ღრმააზროვანი“ გადახვევები – ლენგდონის ლექციათა ნაწყვეტები, თიბინგის ახსნა განმარტებები. განა საჭიროა დღეს იმის მტკიცება, რომ „გრაალის“ ცნება ახალი აღთქმის დაწერიდან რვაასი წლის შემდეგ წარმოიშვა და მარიამ მაგდალინელის ცხოვრებაში უბრალოდ ვერ იარსებებდა, რომ ეკლესიისა და იმპერიის ურთიერთობა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში რომანში აღწერილის სრულიად საწინააღმდეგო იყო, რომ გნოსტიკური ტექსტები, რომელთა დაფარვაში თიბინგი ადანაშაულებს ეკლესიას, მთელი კაცობრიობისთვის და, მათ შორის ეკლესიისთვისაც, სულ რაღაც ორმოცდაათი წლის წინათაა აღმოჩენილი, თარგმნილია მრავალ ენაზე და დენ ბრაუნის მკითხველთაგან არც ერთისთვის მათი შოვნა არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს. კიდევ უფრო სასაცილოა თიბინგის მიერ შემოთავაზებული ხელოვნებათმცოდნეობა, უფრო კონკრეტულად კი ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ ინტერპრეტაცია. თიბინგი გვიჩვენებს, რომ იესოსა და მოციქულ იოანეს ფიგურები ფრესკაზე ლათინურ ასო მს ქმნიან. ამაში მანიით შეპყრობილი ისტორიკოსი მარიამ მაგდალინელის ინიციალს ხედავს. მაგრამ ასეთივე წარმატებით იმავე გამოსახულებაში შეიძლება დავინახოთ ფირმა „მოტოროლას“ ყველასათვის ცნობილი ლოგოც.
გამოდის, რომ ცუდი რომანი შევიძინეთ, ტყუილად გადავყარეთ ფული? ო, არა! – ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ჯერ ნაადრევია. ჯერ ხომ რომანის განქიქება არ დაგვისრულებია. საინტერესოა, რომ სწორედ განქიქებიდან ამოიზრდება მოულოდნელად
ის არგუმენტი, რომელიც გაამართლებს არა მარტო მატერიალურ ხარჯებს, არამედ წიგნის საკითხავად გამეტებულ საათებსაც.
რომანის პირველი შთაბეჭდილება ორი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს: ვერ მოსწყდები! მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ავტორი ამისთვის არავითარ განსაკუთრებულ ხერხს არ იგონებს. იგი უბრალოდ ერთმანეთზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახვავებს მოვლენებს, ყოველი შემდგომი კვანძი თითქმის დაუყოვნებლივ იხსნება, რომ ადგილი დაუთმოს ახალ, კიდევ უფრო მკვიდრად შეკრულ კვანძს. თხრობა თითქმის მონოტონურად რიგრიგობით ათავსებს თავის ფოკუსში პერსონაჟთა დაპირისპირებულ ჯგუფებს, ისეთი რიტმით, რომ ვერ მოვასწროთ მათიდავიწყება. კიდევ უფრო იშვიათად ხტის დროში, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ლენგდონის დაბნეულ აზრს გაჰყვეს. ამ დროს ვერ ამჩნევ, რომ ნამდვილ მკვლევარს რაღაც ასოციაციის დასაჭერად, რაღაც იდეისთვის ხელის ჩასავლებად არ სჭირდება საკუთარი ლექციების მოგონება. ლენგდონი კი საკუთარ თავს ისე უყურებს, როგორც საშუალო ნიჭის ბეჯითი მოწაფე – თავის გაღმერთებულ მოძღვარს. ამას ვერ ამჩნევ, თხრობის წრფივი და სწრაფი დინება გიპყრობს და ბრაზი გერევა: როგორ! პრუსტის ნარატიულ ტყეებში უკანასკნელი მოჰიკანივით ვიკვლევ გზას, ჯოისის გამოშვებულ ცნობიერების ნაკადში იხტიანდრივით დავცურავ და ამ გოიმმა ამერიკელმა როგორ უნდა!.. მაგრამ თითქმის ბოლომდე ჩაკითხული წიგნი და ოთახში მოულოდნელად შემოპარული გარიჟრაჟი ულმობელი სიცხადით გვიმტკიცებს, რომ მოსახდენი მოხდა – გოიმმა ამერიკელმა თავის მიზანს მიაღწია.

დაახლოებით იგივე ხდება შინარსის მხრივაც, თუმცა, ასე ვთქვათ, საპირისპირო ნიშნით. ბესტსელერის გამო გასაოცარი რელიგიური ბუმი ატყდა: დენ ბრაუნისა და მისი რომანის გასაკიცხად დროს პოულობენ უმძიმესი საეკლესიო ტვირთის მატარებელი კარდინალები, მის დასაგმობად ლოცვასა და მღვიძარებას აკლდებიან ასკეტი ბერ მონაზვნები. არც რიგითი ღვთისმოსავი კათილიკეები ჩამორჩებიან და დემონსტრაციულად

უარს ამბობენ წიგნის წაკითხვაზე, რაც მით უფრო ადვილია, რომ არც არავინ აიძულებს. ვლადიმერ ნაბოკოვისა არ იყოს, წიგნის გარშემო „ელვითა და ქუხილით დატვირთული სკანდალის გვარიანი ატმოსფერო შეიქმნა“ რაც მშვენივრად მოქმედებს ავტორის შემოსავალზე.

ეს კი ნამდვილად იმსახურებს განხილვას. მაშ ასე, რომანის მთავარი ინტრიგა მართლაც რელიგიური თემის ირგვლივ ტრიალებს. აქ შეკრებილია თანამედროვე ვითარებაში არსებული თითქმის ყველა იდეოლოგიური ტიპი: რაღაც ძველი და უკვე ბუტაფურიული საიდუმლოების მცველი არქივარიუსი, სიკვდილის შემდეგ თვითონაც ბუტაფორიულ ნიშნად ქცეული; პროფესორი, რომელიც ადამიანის საუკუნოებრივ სულიერ

სწრაფვებს საკუთარი აკადემიური კარიერის ძაფზე ათასფერ მძივებად ასხამს და თავშესაქცევ თავსატეხად გარდაქმნის; საცოდავი ალბინოსი, რომელსაც თვითგვემამ პიროვნება ჩაუკლა, მოძღვრის მორძილებამ კი სინდისი ჩაუნაცვლა; ეპისკოპოსი, რომელიც რწმენის სიღრმეს რიტუალისადმი მორჩილებით ზომავს, მის სიძლიერეს კი ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით; მანიაკი მეცნიერი, რომელიც ერთმანეთისგან ვეღარ

არჩევს შემეცნებისა და ძალაუფლებისკენ სწრაფვას; მომხიბლავი ქალიშვილი, რომელიც მთელი თვის ინსტიქტურ წესიერებას იმის გარკვევაზე ხარჯავს, უნდა უყვარდეს თუ სძულდეს საკუთარი ბაბუა; პოლიციის მამაცი კაპიტანი, რომელიც ცხოვრების მთელ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საზრისს მოვალეობის ფორმალურ აღსრულებაში ხედავს. წიგნში ყველანი მარცხდებიან, ვერც ერთი ვერ აღწევს სრულ დაკმაყოფილებას. უფრო მეტიც, მეტნაკლებად, ყოველი მათგანი საკუთარი ცხოვრების წესის ან იდეური შინაარსის სიცარიელის წინაშე აღმოჩნდება.

ახლა კი ვკითხოთ კეთილმორწმუნე რისხვით შეპყრობილებს: ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს უნდა გაემარჯვა, რომელი იმსახურებდა საწადელის წვდომას? რა თქმა უნდა არც ერთი. მაშ, რაღას ნიშნავს ეს რისხვა? უპირველეს ყოვლისა, დაფარულ და გაუმხელელ ბოღმას საკუთარი თავის წინააღმდეგ.

დენ ბრაუნმა ქრისტიან სამღვდელოებასაც ისეთივე მარტივი ხაფანგი დაუგო, როგორც ინტელექტუალურ მკითხველს. ტექსტის მთავარი შეკითხვა იერარქიისადმი ასე ჟღერს: რა

გააკეთეთ იმისთვის, რომ თქვენი სიტყვა თქვენივე სამწყსოსათვის ჩემს გამონაგონზე უფრო ძვირფასი ყოფილიყო?

საყოველთაოდ ცნობილია ერთი სასწაული, რომელსაც ყოველწლიურად მოუთმენლად ელიან ნეაპოლელი კათოლიკეები: წელიწადში ერთხელ ნეაპოლის ერთ ერთ ტაძარში დაცული მოწამე ეპისკოპოსის, იანუარიუსის შედედებული სისხლი თითქოს

ცოცხლდება და ისევ თხევადი და ალისფერი ხდება. აღწერილია ხიხ საუკუნის ერთი კარდინალის საუბარი კათოლიციზმისათვის სიმპათიით გამსჭვალულ ანგლიკან ქრისტიანთან. კარდინალმა აუხსნა პროტესტანტს, რომ წმინდა იანუარიუსის სასწაული მხოლოდ მდაბიოებისთვისაა ვარგისი, განათლებული ხალხისთვის კი არა. გაოცებულმა თანამოსაუბრემ იკითხა, განა თქვენ თვითონაც ქრისტიანები არა ხართო? „ჩვენ პრელატები ვართ“, უპასუხა კარდინალმა. ასე ხდება, როცა მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ადგილს პოლიტიკა იკავებს, ან რიტუალი, ან ინტერესი, მორალი. ქრისტე ყოველივე ამაზე დიდია ამას გვასწავლის დენ ბრაუნის რომანი, თუ საერთოდ რამეს მაინც

გვასწავლის.

მართალია, არის მასში პროტესტანტთა ჩვეული ქედმაღლობა და ნიშნის მოგება, არის სასაცილო გულუბრყვილობა და კვლავ პროტესტანტიზმისთვის დამახასიათებელი მკვეთრი ფერები, ნატიფი შუქჩრდილების არარსებობა. და მაინც, ეს ტექსტი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სკანდალი, ანუ, ეს სიტყვა ბერძნულიდან რომ ვთარგმნოთ, საცდური შეექმნა. მაგრამ განა აქ დრო არ მოვიდა, მოციქულის ნაცნობი ხმა გავიგონოთ? „ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარცმულსა: ჰურიათა სამე საცთურ, და წარმართთა სისულელე“ (ი კორინთელთა, 123). ჯვარცმული ქრისტე ყოველთვის სკანდალი, საცდური

იყო მათთვის, ვინც ძველი აღთქმის იუდეველთა მსგავსად მასზე წინ რიტუალს ან იერარქიას, ან კატეხიზმოს, ან პოლიტიკას აყენებდა. არა, ბრაუნი ჯვარცმულ ქრისტეს არ ქადაგებს, მაგრამ იმას კი ცხადად გვიჩვენებს, რომ მის გარეშე ყოველივე ფუჭია და უაზრო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმდენად, რომ თვით უკვდავი სულის მქონე ადამიანები ციცქნა წვრილმანი იდეებით
გატენილ ტიკინებად იქცევიან და ამასვერც ხორცის მოკვდინება შველის, ვერც საეპისკოპო
ხარისხი და ვერც საუკეთესო ამერიკული განათლება. ამაშია დღევანდელი ქრისტიანობის
ყველაზე მძიმე ტრაგედია და ის ვითარებაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს
განვაცხადოთ: დენ ბრაუნის რომანი ნამდვილად არ არის ლიტერატურის შედევრი, მაგრამ
ყველაზე მაღალ შედევრზე ნაკლებ სიღრმესა და ინტელექტუალურ ინტუიციას,
ყოველგვარი ჭეშმარიტი რწმენისთვის დამახასიათებელ უანგარო კეთილგანწყობას როდი
მოითხოვს იმისთვის, რომ მკითხველმა მასში თრილერთა შორის ერთერთი ყველაზე
ქრისტიანული წიგნი დაინახოს.
ნოდარ ლადარია



www.PDF.ChiaturaINFO.GE